

გაია ნინიძე

## მადლის წყარო

„წყალი, რომელი მე მივსცე მას, იქმნეს  
მის შორის წყარო წყლისა, რომელი  
ვიდოდის ცხოვრებად საუკუნოდ.“  
საზარება იოანესი 4.14

„კეთილი ფარად უფარე  
შენთვის ბოროტის მდომსაო,  
მადლისა წყაროს ასმევედე  
ცოდვის გუბეში მდგომსაო.“

ილია ჭავჭავაძე



თბილისი 1997

წიგნში ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მეცნიერული ანალიზითა და ობიექტური წყაროების მოშველიებით დასაბუთებულია, რომ მწერლის მრწამსი და ლიტერატურული მემკვიდრეობის მსოფლმხედველობრივი საფუძველი მართლმადიდებელი ქრისტიანობაა. ამ საზრისიდან არის განხილული მისი უმნიშვნელოვანესი თხზულებები. მათი სტილისტური და ტექსტოლოგიური კვლევის გზით გამოვლენილია შემოქმედებითი პროცესის თავისებურებანი და დღემდე შეუსწავლელი სიმბოლო-ალეგორიები. სრულიად ახლებურად არის წარმოჩენილი ცალკეულ ნაწარმოებთა შემოქმედებითი ჩანაფიქრი, სახისმეტყველება და პოეტური სემანტიკა.

წიგნი არის მცდელობა გაათავისუფლოს მკითხველი ათწლეულების მანძილზე გაბატონებული ათეისტური პროპაგანდის შეზღუდულობისაგან და დაგვანახოს ილიას თხზულებები მათი ავტორის თვალთახედვით. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ფილოლოგებს, პედაგოგებს, სტუდენტებს, უფროსი ასაკის მოსწავლეებს და საინტერესო წასაკითხი იქნება ქართული ლიტერატურის მოყვარული ყველა მკითხველისათვის.

- რედაქტორი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი  
აკაკი მინდიაშვილი
- რეცენზენტი თბილისის სასულიერო აკადემიის  
პრორექტორი მღვდელი გიორგი ზვიადაძე
- მსატყვარი ჯემალ ზენაიშვილი

© გამომცემლობა „ლომისი“

# ილია ჭავჭავაძის მრწამსი და მისი უემოქმედება

ვუძღვნი მამის,  
გრიგოლ გორგილაძის ხსოვნას

## „კვალი განათლებული“

*„დედავ! ისმინე ქართულის ეკრება:  
ისე აღზარდე შენ შვილის სული,  
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,  
უკან ქრჩეს კვალი განათლებული...“*

„არა მარტო ტკბილ ხმათათვის...“

ხელოვნება ცხოვრების მდინარის ძირში უნდა ჩავიდეს და „მონახოს შიგმდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრს ლექსა და ლაფსა: არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვანსა და არც მეორისა... რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკულლოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო კსჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა. ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი – ეგ აშქარაა,“ წერდა ილია სტატიკაში „საქართველოს მოამბეზედ“. ეს იყო მისი შემოქმედების მთავარი მიმართულება, მართლის თქმა – ავის მხილება და კარგისთვის „კარგის“ დარქმევა. ამას საფუძვლად ედო არა ადამიანთა სიბუღვილი, არამედ სიბუღვილი ცოდვისა, არა ადამიანთაგან კერპების შექმნა, არამედ სიყვარული მადლისა.

ილიას თხზულებებს ერთი უცნაური თვისება ახასიათებს. მათში თითქმის მუდამ ჩანს საზოგადო, ეროვნული, სოციალური თუ ზოგადად ადამიანური საკითხები და არა პირადული, თითქოს მწერალს თავისი საკუთარი განცდები მთლიანად სხვათა ჭირთან და ლხინთან გაუერთიანებია, პირადული, საკუთრივ მისი, საზოგადოსთვის შექწირავს. მწერლის „მე“ მხოლოდ მაშინ გამოჩნდება ხოლმე, როცა საქმეზე და მოუალეობაზე მიდგება ჯერი, სურვილები და მისწრაფებები კი მხოლოდ საჩვენოა, საზოგადო და არა პიროვნული.

ილიას მხატვრული მემკვიდრეობა მწერლის შემოქმედებითი თვითგამოხატვა არ არის მხოლოდ. იგი ერთგვარი ქადაგებაა, რომელსაც ლირიკული წიაღსვლების სახით ჩართული აქვს საკუთარი წვისა და დაგვის, ფიქრის და განცდის მაგალითები. ეს ლირიკაც კი ხშირად იგივე სწავლება-დარიგება გგონია, იმდენად განწმენდილი და დახვეწილია, მაგრამ იგი მოჩვენებითი არ არის, საესებით გულწრფელია, რადგან საუნჯისაგან მისი განწმენდილი გულისა არის ამოთქმული. ილია არ იყო ისეთი პიროვნება, ერთი ეთქვა და სხვა ეკეთებინა, ისეთი რამისკენ მოეწოდებინა, რასაც თავად არ ესწრაფოდა. მის თხზულებათა უმრავლესობაში პირდაპირ ჩანს მკითხველი, რომლისთვისაც შეიქმნა ეს ნაწარმოებები.

„შე თუ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს, ეგ (შენის თავის გასწორების) განზრახვა დღესა თუ ხვალე შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ, ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს, - რამდენადაც შეძლება აქვს, - შენი ცული, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო...“ წერს ილია მოთხრობაში „კაცია, ადამიანი?!“ მაგრამ არა მარტო ეს თხზულება, არამედ ილიას მთელი შემოქმედება ჩვენი სულიერი ავ-კარგის ჩვენებაა, ჩვენი სამსახურისთვის, ჩვენს გამოსაფხიზლებლად და სასწავლებლად შექმნილი.

სამწუხაროდ, მწერლის სიცოცხლეშივე ბევრს არასწორად ესმოდა მისი, მაგრამ მას თავის წმინდა მოვალეობაზე - მართლის თქმაზე ხელი არასოდეს აუღია და საქმისთვის არ უორგულია. ილიას ადამიანური მორალი მოყვასისთვის თავდადების ქრისტიანულ მცნებაზეა დამყარებული. მისი ერთ-ერთი გმირი ბრმა მეფანტურე, რომელსაც წუთისოფლის ცქერა აღარ შეუძლია, მაგრამ სულიერი თვალთ ბევრად უფრო შორს იხედება, ამბობს:

„ტყუილია სულთქმა, უში,  
კაცო უნდა კაცად იყვეს,  
სანთელსავეთ თვით დაიწვას  
და სხვას კი გზას უნათვიდეს.“

ამ სულისკვეთებით არის ამოთქმული ილიას სიტყვებიც:

„დაე თუნდ მოკვდე, არ მეშინიან,  
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი  
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან...“

ილიას მოთხრობის „გლახის ნაამბობის“ გმირი, მღვდელი ამბობს: კაცი, „რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს, ხიდად გასდებს“, რომ სხვებმა მშვიდობით გაიარონ, საღმრთო საქმეს აკეთებს, რადგან ყველაფერი საღმრთოა, „რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწვარა სანთელსავეთ და სხვისთვის კი გაუნათებიაო.“ ამ ეპიზოდში ლაპარაკია „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და მღვდლის ნათქვამიდან ჩანს, რომ ასეთი მაღლი უნდა ჰქონდეს მხატვრულ სიტყვას. მაგრამ, როგორც ილიასავე სხვა მოთხრობაში „ოთარანთ ქერივში“ ვკითხულობთ, მაღლი „მარტო ორშუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მაღლი მოჰხდეს. იგი ერთისაგან გაწირვას და მეორისაგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს. თუ ან გამწირველი არ არის, ან შემწირველი, მაღლიც არ არის.“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუნდ სანთელსავეთ დაიწვას მწერალი ჩვენთვის გზის გასანათებლად და ჭეშმარიტი „კვალი განათლებული“ დაგვიტოვოს, თუ მკითხველმა არ მიიღო ეს ნათელი, იგი თავის სასიკეთო საქმეს ვერ შეასრულებს ვერ გაგვინათებს, „წმინდა შუქი მშვენიერის სულისა ამაოდ და უქმადლა ჯავარსავეთ“ მიეფინება ცივს კედელს და მაღლი დაიკარგება - დაგვეკარგება ჩვენ და არა მას. ვინც იგი შემოგვწირა, რადგან მან ეს სიკეთე უანგაროდ, უშურველად მოგვამაღლა და ბრალი ჩვენი, რომ ვერ მოვიხმარეთ.

საუკუნეზე მეტი გავიდა ილიას სამწერლო მოღვაწეობიდან და დროა, ალბათ ქართველმა „მისგან შეყვარებულმა“ გულში ჩაიხედოს და საკუთარ თავს კკითხოს, მიიღო თუ არა მისგან ის ნათელი, ის მაღლი, რომელსაც იგი თავისი უსაზღვრო სიყვარულითა და თავდაუზოგავი ერთგულებით გეთავაზობდა. შეგვიძლია კი ჩვენ გულწრფელად ვთქვათ, რომ მისი ქნარი „ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა?“ (იხ. ლექსი „დაე. თუნდ მოკვდე...“)

ძალიან რთულ პერიოდში მოუსდა მოღვაწეობა დიდ ილიას. მისი სიცოცხლის ბოლო წლებში ათეიზმის მომძლავრებამ საქართველოში, მოგვიანებით კი კომუნისტური იდეოლოგიის სრულმა გაბატონებამ სავალალო გავლენა იქონია ლიტერატურულ კრიტიკაზე და ქრისტიანული მრწამსის მქონე მწერალთა თხზულებების განხილვას არასწორი მიმართულება მისცა.

ავტორის მსოფმხედველობა ის უმნიშვნელოვანესი ღერძია, რომელზედაც დამყარებულია თხზულებათა შემოქმედებითი ჩანაფიქრი. ამიტომ რელიგიური ცნობიერების და სარწმუნოებრივი მრწამსის გაუთვალისწინებლობით ფაქტიურად შეუძლებელი გახდა ქართველ მწერალთა საუკეთესო ქმნილებების სრულყოფილი ანალიზი. ამ ავტორთა შემოქმედების მეცნიერული შესწავლა თითქოს გრძელდებოდა და იყო საინტერესო დაკვირვებები და გამოკვლევებიც, მაგრამ კრიტიკულ ნაშრომთა უმრავლესობას აკლდა არსებითი რამ, ყველაზე ძირეული და სასიცოცხლო – მათში არ ჩანდა განსახილველ თხზულებათა ავტორის ლეთისმოსავი სული. ამ უაღრესად დიდი დანაკლისის გამო ქართული ლიტერატურათმცოდნეობა დღემდე ვალშია არაერთი ქართველი მწერლის და მათ შორის ილია ჭავჭავაძის წინაშეც. ამიტომ არ უნდა გავვიკვირდეს, რომ კვლავ მიუვბრუნდით მრავალგზის ნაკვლევი საკითხების ხელახლა განხილვას. ილიას თხზულებათა ანალიზმა მისი მსოფმხედველობის გათვალისწინებით, ავტორის ბევრი ისეთი ღრმა ნააზრევი და ძვირფასი მხატვრული ჩუქურთმა გამოავლინა, რომლებიც უამისოდ თითქოს ბურუსით იყო მოცული, შეუმჩნეველი რჩებოდა.

მწერლობა არის შემოქმედებითი პროცესი, რომლის დროსაც ხდება მანამდე მხოლოდ ავტორის იდეაში არსებული ჩანაფიქრისათვის გამომსახველობითი ფორმის მიცემა, მისი ხორცშესხმა. თხზულების ტექსტი თავიდან ბოლომდე სიუჟეტური ხაზით, კომპოზიციით, აღწერილი ამბით, გმირთა სახეებით და თითოეული სიტყვის მხატვრულ-სტილისტური შეფერილობით ფაქტიურად არის გამოხატვის ფორმა, რომლის შინაარსი ავტორის კონკრეტული გულისნადები ამ თხზულების შექმნასთან დაკავშირებული შემოქმედებითი ჩანაფიქრია: ამიტომ ლიტერატურული ქმნილების მცირე ნიუანსებშიაც კი ჩანს ავტორის არა მხოლოდ მხატვრული ოსტატობა, არამედ მისი სულის ნაწილიც ფიქრი, გრძნობა, განცდა, შეხედულებები. ნებისმიერი სახის ლიტერატურულ-კრიტიკულ ძიებას საბოლოოდ ამ ჩანაფიქრთან მივყავართ, როგორც მწერლის ძირითად მამოძრავებელ ძალასთან. ის არის დერიტა, დედააზრი, რომელსაც ილიასავე თქმით, ხელოვნების

ნაწარმოებში ემსახურება სხვა ყოველივე, თვით უმცირესი დეტალებიც კი.

მწერლის ძირითადი იდეის გაშლა-გამოვლინებაში მიზანდასახულად მონაწილეობს ნაწარმოების ყველა მხატვრული საშუალება, დიდიც და მცირეც. ამიტომ მთავარი იდეის გასაგებად ყოველივე ამის სწორი ანალიზია საჭირო. რამდენადაც დიდია ამ ძირითადი იდეის შეცნობის მნიშვნელობა, იმდენად დიდია მის განსაზღვრაში დაშვებული შეცდომა. გადავხედოთ, როგორ აფასებდნენ ილიას სხვადასხვა თხზულებების დედააზრს ჩვენი კრიტიკოსები.

არსებობს შეხედულება. თითქოს პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ „დიდი დამაჯერებლობით არიან დახატულნი გლეხკაცობის ღირსეულნი წარმომადგენელნი“<sup>1</sup>, რომ „ნაწარმოების მთელი სიუჟეტური ლოგიკა, ცენტრალური გმირის თავგადასავალი და მისი აღსარების ერთადერთი მსმენელის შეფასება აბსოლუტური, იმპერატიული კატეგორიულობით მეტყველებენ შურისძიების იდეის სასარგებლოდ“<sup>2</sup>.

მოთხრობა „გლახის ნამბობის“ გმირის გაბრიელის შესახებ ასეთ რამეს ვკითხულობთ: „ეს კაცის მკვლელი ამ წუთში კეთილ ქომაგად ხდება და ბოროტების ჯალათად, ცხოვრების ზნეობრიობის დამცველად და საზოგადოების არსებითი პრინციპების მფარველად“<sup>3</sup>.

გამოთქმულია აზრი, რომ „შური და მტრობა ილია ჭავჭავაძის გაგებით, ეს არის თვისებები ქართველი პრივილეგირებული კლასისა თავადაზნაურობისა, რომელსაც ქვეყანა დაცემისა და განადგურებისაკენ მიჰყავს“, რომ „ილია ჭავჭავაძის სატირებში: „კაცია, ადამიანი?“ „რა ვაკეთეთ...“ „სცენები...“, „ბედნიერი ვრი“ და სხვ. დაუნდობლადაა გაკილული ფეოდალური კლასის ზნეობრივი და გონებრივი დაცემულობა...“<sup>4</sup>

არსებობს შეხედულება, რომ ილიამ მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ „ყალბი კულტურის მიერ შეურყენელი, გულალალი გლეხის ტიპი მოგვცა“<sup>5</sup>, რომ ნაწარმოების ძირითადი იდეა არის არსებული კანონმდებლობის შეუსატყვისობა დანაშაულთან<sup>6</sup>.

ლიტერატურულ კრიტიკაში დომინირებს მოსაზრება, რომ „განდევლის“ მიზანდასახულობაა „გაამიშვლოს ცხოვრებიდან განდგომის უაზრობა, როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი, თვალსაზრისით.“<sup>7</sup> გამოითქვა მოსაზრება, რომ

1. ლადო მიანშვილი, ილია ჭავჭავაძე, 1995 გვ. 29
2. გურამ ასათიანი, ილია ჭავჭავაძე, წიგნში „საუკუნის პოეტები“, თბ. 1988, გვ. 157
3. კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1962, გვ.192
4. მიხეილ ზანდუკელი, ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, 1968, გვ.125, 289
5. გერონტი ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, 1958, გვ. 129
6. მიხეილ ზანდუკელი, ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, თბ. 1968, გვ. 73
7. იქვე, გვ.354

ილია ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქერიეში„ განაზოგადა გამამლებული ქალის და გადელლებული კაცის სახეები და „მას ლიტერატურული რეალიზაცია მისცა“<sup>1</sup>.

ჩენი აზრით, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას და ნაწარმოებებში აღწერილი ცხოვრებისეული ფაქტებისადმი მის დამოკიდებულებას ეწინააღმდეგება და ამდენად მიუღებელია დასკვნები, რომ „კაკო ყაჩაღი“ და „გლახის ნამშობი“ ბოროტებაზე ბოროტებითვე მიმგებელთა საქებრად შექმნა მწერალმა. „კაცია. ადამიანი?“ „აჩრდილი“ და სატირული ლექსები - მხოლოდ თავად-აზნაურთა სამხილებლად, „სარჩობელაზედ“ - გლეხი პეტრეს სამართლიანობისა და ცარისტული მართლმსაჯულების სისასტიკის წარმისაჩენად. „განდევილი“ სარწმუნოებრივი ღვაწლის „უაზრობის“ გასაშინებლად. „ოთარაანთ ქერიე“ - „გამამლებულ“ დედაკაცთა დასაგმობად და ასე შემდეგ. ამიტომ აუცილებლად გადასახელია არა მარტო ამგვარი საბოლოო დასკვნები, არამედ კვლევის ის მეთოდებიც, რომელთა შედეგადაც ისინი არის მიღებული.

მეცნიერული სიზუსტის მისაღწევად უპირველეს ყოვლისა აუცილებელია, რომ კრიტიკოსი თავისუფალი იყოს ყოველგვარი ზეწოლისაგან და შეეძლოს თავისი შეხედულებების შეუზღუდავად გამოთქმა. ამას გარდა საჭიროა, რომ, როგორც კვლევის პროცესში, ისე საბოლოო დასკვნების გაკეთებისას, იგი ეყრდნობოდეს არა პირად ემოციებს და შთაბეჭდილებებს, არამედ ლოგიკურ არგუმენტებს და ფაქტობრივ-დოკუმენტურ მასალას - მწერლის არქივებს, ხელნაწერ და ნაბეჭდ წყაროებს და სხვ.

ლირიკაში ავტორის პირადი სახე თვალსაჩინოდ აირეკლება ხოლმე და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის პიროვნების შესახებ, მაგრამ ეპიკურ ნაწარმოებში მხატვრულ-იგავური ენა უფრო დაქარაგმებულია მოგონილი გმირებითა და სიუჟეტებით, რის გამოც ავტორის სახე ნაკლებად შესამჩნევია. მხოლოდ ეპიკურ თხზულებებზე დაყრდნობით ძალზე რთულია, განსაზღვრო მწერლის მსოფლმხედველობა, ამიტომ არის ხოლმე აზრთა დიდი სხვადასხვაობა ძველი მწერლობის ისეთი ძეგლების შესწავლისას, რომელთა ავტორების შესახებაც ცოტა რამ არის ცნობილი. თვით „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელსაც კი ზან რომელ რელიგიურ აღმსარებლობას მიაკუთვნებენ ხოლმე, ზან რომელს, ზოგნი კი ათეისტად აცხადებენ.

ამ მხრივ გაცილებით უკეთესი შესაძლებლობები გვაქვს ჩენი წინამორბედი XIX საუკუნის მოღვაწეთა შემოქმედების საკვლევადა. ჩვენს ხელთ არის ისტორიული დოკუმენტები, ჟურნალ-გაზეთები, სხვადასხვა გამოცემები, არქივები, ავტოგრაფები და მრავალი სხვა საინტერესო მასალა, რომლებიც წარმოგვიჩენს, რა გარემო პირობებში ცხოვრობდნენ, რით სუნთქავდნენ, რა სულისკვეთება ამობრავებდათ ამ ეპოქის დიდ მოღვაწეებს.

1. „დოდონა კიზირია, „ოთარაანთ ქერიე“ ქართული ქალის ზნეობრივი იდეალი“  
გაზ: „ლიტერატურული საქართველო“, 1992 წ. 27 ნომბერი



.....იძისათვის, რომ ცოტად თუ ბევრად გამონათლდეს კაცის თვალწინ პროეტის სულიერი სახე, სათავე და მიზეზი უპოვოს მის ჩანების სიმთა ძერას, სულთა სწრაფვას, გულთა ძეგრას, ძარღვის ცემას, მის ჭირსა და ლხინს, მის გზას და მიმართულებას, არანაკლებ სამსახურს გაუწევს იგი პოეტის გარე ცხოვრების აკარგინაობა, რომელთა შორის დიდი ადგილი უჭირავს საზოგადო ყოფა-ცხოვრებას, ჟამთა ვითარებას, ჭირ-ბოროტს ქვეყნისას, პოეტის ოჯახს, პოეტის მახლობლობას და ნაცნობობას", - წერდა ილია ვახტანგ ორბელიანისადმი მიძღვნილ სტატიაში. მაროლატ, ძალზედ მნიშვნელოვანია მკვლევარისათვის ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების განხილვისას ავტორის შესახებ არსებული ობიექტური ინფორმაციის გაცნობა.

აქვეყნებდა რა ნიკოლოზ ბარათაშვილის რამდენიმე პირად წერილს, ილია აღნიშნავდა: „ვისაც ესმის რაგვარი მნიშვნელობა აქვს ამგვაროა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულების და თვისების ახსნისათვის, - იგი ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მაგ წიგნების პატივცემულს გარდმომცემელსა!“

სწორედ ასეთივე მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის თვით ილიას პირად წერილებს და კიდევ უფრო მეტი მის პუბლიცისტიკას. მასში პირდაპირ არის წარმოჩენილი მწერლის შეხედულებები მრავალ ცხოვრებისეულ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ ამა თუ იმ მხატვრული ჩანაფიქრის ასახსნელად უფრო ხშირად უნდა მივმართავდეთ ამ არაჩვეულებრივ ობიექტურ წყაროს.

ილიას ნაწერებში ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებების მხოლოდ ორი ტომია, მაშინ, როდესაც ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, სულ ცოტა, ექვსჯერ მეტი მოცულობისაა და მათში არაჩვეულებრივად არის ასახული ავტორის მრწამსი, მსოფლმხედველობა და შეხედულებები დღემდე აქტუალურ მრავალ პრობლემასთან დაკავშირებით. გარდა იმისა, რომ ეს წერილები უაღრესად მაღალმხატვრული და საინტერესო წასაკითხია, მათი მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ისინი ზოგჯერ მწერლისავე პირით მიგვანიშნებს. რა ეღო საფუძვლად მის ლიტერატურულ ნაწარმოებებს - რა განზრახვით იქმნებოდა ისინი და როგორ უნდა იქნას გააზრებული.

რაც შეეხება უშუალოდ მხატვრული ოსტატობისა და ცალკეული სტილისტური ხერხების ანალიზს, ამაში განსაკუთრებული დახმარების გაწევა შეუძლია წერილებს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ილიას ჰქონდა არა მარტო უჩვეულო შემოქმედებითი ნიჭი, არამედ ღრმა თეორიული ცოდნა, დახვეწილი მხატვრული გემოვნება, ობიექტური ხედვა და კრიტიკული ანალიზის შეუდარებელი უნარი. სხვა მწერალთა ნაწარმოებებში უზუსტესი შემოქმედებითი ნიუანსების შემჩნევით იგი უნებლიედ ავლენს, რომ ეს ხერხები, ეს მხატვრული არსენალი სიღრმისეულად აქვს გათავისებული. აქედან გამომდინარე კი

1. ილიას პირადი წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი, 1872 წ, 9 დეკ. ი. ჭავჭავაძე თხზულებანი ათ ტომად, ტ.10

ჩვენთვისაც იოლი ხდება მის შემოქმედებაში ანალოგიური მხატვრული შტრიხების დაფიქსირება.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მის არათუ მხოლოდ მცირე ზომის ლექსებში, არამედ ეპიკურ თხზულებებშიაც კი, თითქმის არ არსებობს წერილმანები. ბუნება, გარემო, გმირთა სამოსელი, სულიერი არსებანი და უსულო საგნები ნატურალისტური დეტალებისა და უბრალო ფონის სახით იშვიათად არის გამოყენებული. უმეტესწილად ყოველივე ეს ღრმა სტილისტური ფუნქციის მატარებელი ტროპებია. ამგვარი დეტალები კი მთლიანობაში იმდენად მრავლისმთქმელია, რომ მათი მხატვრული დატვირთვის უგულვებელყოფა და ნათქვამის მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით გაგება აუცილებლად დაგვაკარგვინებდა ავტორისეული ჩანაფიქრის შინაარსობრივი სიღრმეების აღქმის შესაძლებლობას.

მხატვრული ლიტერატურის კვლევისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ავტორის სარწმუნოებრივი მრწამსის გათვალისწინებას. იმისათვის, რომ მკვლევარმა სწორად გააანალიზოს ის ალუზიები, ციტირებები და პარალელები საღმრთო წერილიდან, რომლებიც უხვად არის ილიას შემოქმედებაში, იგი უნდა იცნობდეს შესაბამის ქრისტიანულ ლიტერატურას, მაგრამ ესეც კი ყოველთვის საკმარისი არ არის. მწერლის ჩანაფიქრის ჩანაწედომად, მისი გულისნადების განსაცდელად საჭიროა უფრო მეტიც, მკვლევარსაც. ისევე, როგორც ამ ნაწარმოებების ავტორს, „აარაა ქრისტიანული არ უნდა ეუცხოვებოდეს.“

ილია ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი იყო და ამ მრწამსითაა სულჩადგმული მთელი მისი შემოქმედება. ქრისტიანული მორალი უდევს საფუძვლად მის ნაწარმოებებში ასახულ ყველა მოტივს.

პატრიოტიზმი, რომელიც ამ თხზულებებში ხშირად წამყვანი თემაა. არ არსებობს ქრისტიანობისაგან მოწყვეტილი. „ქრისტეს რჯულს – ამ ახალ აღთქმას შეუერთა ჩვენმა ზალხმა“, ილიას თქმით, „ძეულისაგან ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის დღეში არ დამკვლდება, მინამ ადამიანი ადამიანობს, შეუერთა მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწინენ, ისე ჩაიქსოვნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა – რჯულის დაცვად.“ ენა, მამული და სარწმუნოება ანუ ქართული. საქართველო და ქრისტიანობა ილიას გაგებით ერთი მთლიანობაა და სიტყვაში „საქართველო“ სამივე ერთად მოიაზრება.

საუკუნეების მანძილზე დამპყრობთა შემოსევებისას ქართველი ხალხი იცავდა არა მარტო მამულს. არამედ სარწმუნოებასაც – „მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა“ – როგორც ვკითხულობთ „აჩრდილში“. „დაცვა რჯულას, მიწა-წყლისა მის მიწამიდ თქვენდა არის“ – როგორც ამზობს ლექსის „მფრანტურე“ მოაჯარი გმირი. „იმა უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუდგანა ქვეყნას სსრად და ცხინებად, თავისი ძლიერისიძლი

კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნობას," წერს ილია.

ეროვნულობისადმი ამგვარი მიდგომიდან გამომდინარეობს მისი აზრი: „სადეთო, საზეო არის ცხოვრება“. რომელიც მამულს შეეწირება.

წმ. ილია მართალი არ არის კოსმოპოლიტი. მას არ მიაჩნია, რომ საკუთარი ქვეყნის განსაკუთრებული სიყვარული საძრახისა და ადამიანებს. რომლებმაც ჯერ ღვიძლი ძმის სიყვარული და დედ-მამის პატივისცემა უნდა ისწავლონ, კაცობრიობის განზოგადებული სიყვარულით არ უბამს თვალს. ვისაც მოყვასი არ უყვარს, როგორც თავი თვისი, ის მტრის სიყვარულს როგორ შეძლებს? „რა საკვირეულია. რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს, ჩემსას უფრო შეეხაროდე. ჩემი უფრო მიამებოდეს და ჩემსას უფრო ხელს ეუწყობდეს... გრძობა თავისიანის სიყვარულისა ისეთივე ძლიერი, ისეთივე მკვიდრია, ისეთივე ბუნებრივია, მამასადამე ისეთივე სამართლიანი და პატივსაცემი, როგორც სიყვარული მამა-შვილური, დედა-შვილური...“ – წერს იგი.

უღმერთოებაში გაერთიანებული კაცობრიობის ერთად ყოფნა რომ ყოფილიყო ღვთის ნება, ბაბილონის-გოდოლის მშენებელთა შორის ენათა აღრევა არ მოხდებოდა და სულიწმინდის გარდამოსვლისასაც მოციქულები სხვადასხვა ენებზე არ აღაპარაკებოდნენ შორეულ ქვეყნებში ქრისტიანობის საქადაგებლად. უფლისთვის არც ის იქნებოდა შეუძლებელი. რომ კვლავ ყველა ერთ ენაზე ამეტყველებინა. ღმერთმა დაუშვა ერების არსებობა და მათი ცალკ-ცალკე ცხოვრება. ამიტომ მათი მოსპობის თუ საზღვრების წაშლის ცდა და ახალი ბაბილონის შენება უფლის ნების საწინააღმდეგოა. ამიტომ თეორიას – დიდი ერების მიერ პატარათა შთანთქმის კანონზომიერების შესახებ თავისი მახვილი სიტყვით და გონივრული საქმით წინ აღუდგა ილია. მისთვის თავისი ქრისტიანული სამშობლო უფლის დიდი სამწყსოს ის პატარა ნაწილი იყო, რომლის ბედის თანაზიარობაც არგუნა მას ღმერთმა. ამიტომ ამბობდა. რომ „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული...“ მისი აზრით, ქართველმა ღვთიური ვალი პირველ რიგში მამულის სიყვარულით, მისთვის თავდადებით უნდა მოიხადოს, რადგან:

„...დიდი არის  
ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება,  
რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი  
ქვეყანასავე შეეწირება.“

ამიტომ უძღერის ილიას პოეტურ წარმოსახვაში ქართველი ქალი შეიღს აკვანთივე:

„მამულს მივცა ზეცამა  
და თუ ზედ ღააკვდები.  
ნუგემ იცეს ღვამა.  
რომ კაცი კაცად ჰკვდები.“

ასეთი სულიერებით აღზრდილი ადამიანი სხვის მეობასაც არასოდეს გათელავს ფეხქვეშ: მტრის სიყვარული და მიტყევატაც ასეთისაგან უფროა მოსალოდნელი. ამის საუკეთესო მაგალითია ილიას მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“.

„ხიდნატეხილობის“ ცნება ადამიანთა ურთიერთგაუცხოებისა და უსიყვარულობის აღსანიშნავად ილიამ პირველად „გლახის ნაამბობში“ შექოტიანა. გაბრიელი ამბობს: „დათიკოს ვუყვარდი და მეც მიყვარდა. მაშინ რა ვიცოდი, სულელმა. რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომ ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება?“ მოგვიანებით მისგანვე ვიგებთ, რომ როდესაც დათიკოს მისი და თამროს სიყვარულის ამბავი უთხრეს და თავის ბოროტ განზრახვაზე ხელი მინც არ აიღო, მათ შორისაც დაიკარგა სიყვარული. „მე და დათიკოს შუა ხიდი მაშინ ჩატყდა და მეც გულში ერთი ძარღვი ჩამწყდაო“, — ამბობს იგი.

რაგორც ვხედავთ, აქ სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენელია შორის ხიდნატეხილობაზე ყურადღება გამახვილებული, მაგრამ ილიას სხვა მოთხრობებსაც თუ გადავხედავთ, დაერწმუნდებით, რომ ამ გამოთქმას ბევრად უფრო ფართო და მრავლისმომცველი შინაარსი აქვს. მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ „ხიდი ჩატეხილია“ პიროვნებასა და მიუღწეველობას შორის. დათიკოსა და გაბრიელს შორის სიყვარულის ხიდი ჩატეხა დათიკოს მხრივ ხორციელი ვნებების ამ სიყვარულზე წინ დაყენებამ, გაბრიელის მხრივ კი მიუტყეველობამ. პეტრესა და უმცროს ძმას შორის ხიდად გადებული ეს ერთადერთი ძაფი კი ჩაწყვიტა, ერთის მხრივ, პეტრეს ამპარტავნება-გულგრილობამ და, მეორეს მხრივ, ისევ მიუტყეველობამ.

ადამიანთა ურთიერთგაუცხოებას ილია ამჩნევდა არა მარტო სოციალურ ფენებს შორის, არამედ ქალაქელებსა და სოფლელებს. განათლებულებსა და გაუნათლებლებს და საერთოდ ადამიანებს შორის. მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ კარგად ჩანს, თუ როგორი არასრულფასოვნების კომპლექსით არის შეპყრობილი მოხუცი პეტრე. როცა ქალაქში ჩადის: „დასწყველოს ღმერთს ეს ქალაქელები. კაცი თუ ქალი რა მალე შეგვატყობენ ხოლმე სოფელელ კაცსო“ ფიქრობს იგი და ეშინია, „იქნება ამათ ჩემი გაბრიყვება უნდათ, სოფლელიაო“.

ეტლიდში „უცნაური ამბავი“ ნაწევნებია ქალაქისადმი სოფლელების დამოკიდებულება. მისი გმირი ამირინდო ამბობს: „ხომ ჩვენი ქალაქია, მაგრამ იქ გული არ მიდგება, თითქო ჩვენები აბარგებულან და გაჩინსულან და სხვები დასახლებულან. გული გულს აღარ ეკარება და სურვილი სურვილსაო“. გული რომ გულს აღარ ეკარება, ესეც იგივე ხიდნატეხილობაა.

განათლებულებსა და გაუნათლებლებს შორის ზღვარის არსებობა კარგად არის წარმოჩენილი ესკიზში „მარგალიტი ლექში“, სადაც ვკითხულობთ: „განათლება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მიწაზეთან გავასწოროთ კაცი. რატომ შენც განათლებული არა ხარო. არამედ, როგორც ძმას, რაიმელსაც არა ჰქონია ბედი განათლებისა, მოჰკიდო მზრუნველი ხელი და დააყენო ფეხზედ“ მისგანვე დამოკიდებულება ჩანს „ოთარაანთ ქვრივში“ არნილის

სიტყვებიდანაც: „უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაუჭქემ ეგულვით.“ ადამიანთა სხვადასხვა წრეებს შორის გაჩენილი ამგვარი ბარიერები ხელს უშლიდა მათ შორის ურთიერთგაგებისა და სიყვარულის არსებობას და, უფრო ზოგადად, ერის ერთიანობას.

1877 წელს სტატიაში „სოფლის უფროსის არჩევანი“ ილია წერდა: „გულგრილები ვართ სხვისი უბედურების დანახაზედ, სხვისი ჭირი ჩვენს საკუთარ ჭირად არ მიგვაჩნია, დაეიწყებულ იქნეს ურთიერთობის კავშირი, იმასა სცემენ — მე ზომ არაო, ვიძახით და ამით ვინუგემებო ჩვენს გაქსუებულს თავსა.“ სწორედ ამის გამო მწერალმა მიზნად დაისახა ადამიანთა გულებს შორის კავშირის განახლება, ერთმანეთისადმი თანაგრძობის და სინანულის გრძნობის გაღვივება.

როგორ, რა გზით შეიძლება ამ ურთულესი მიზნის მიღწევა? მოთხრობების „გლახის ნაამბობი“ და „სარჩობელაზედ“ სიუჟეტებში წარმოჩენილი ცხოვრებისეული მაგალითების მიხედვით ჩვენ ვნახეთ, რა უშლის ხელს ამის განხორციელებას. თავის ორ უკანასკნელ პროზაულ ნაწარმოებში „ოთარაანთ ქვრივი“ და „უცნაური ამბავი“ კი მწერალი შეეცადა ეჩვენებინა გამოსავალი ამ ზოგადადამონური ტრაგედიიდან. პირველ რიგში საჭიროა სიბრალული. სიტყვები „ცოდვა“ და „საცოდავი“; „ბრალი“ და „საბრალი“ შემთხვევით არ უნდა იყოს ნაწარმოები ერთი და იგივე ძირებიდან. იქნებ ჩვენს წინაპართა ცნობიერებაში ადამიანი საბრალი და-საცოდავი იყო სწორედ თავისი ცოდვა-ბრალის გამო. ქრისტიანული მსოფლხედვით ზომ მართლაც ასეა, რაც უფრო ცოდვილია კაცი, მით უფრო საბრალია. „ცოდვა ხარ და ცოდვას შერები“ — უბნება ილია თერგს. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ადამიანის გულში სიბრალულის გაღვივებას, ჩანს თეატრის პრობლემებისადმი მიძღვნილი ერთი სტატიიდანაც: „სიბრალული, გულშემატკივრობა, მეტად პატიოსანი გრძნობაა და არა არტისტს არ მიეტევა, თუ შემთხვევა აძლევს და ამ მშვენიერ გრძნობამდე არ აღზიდავს დღიურ ბოროტით მოქანცულს მაყურებელსა!“

მოთხრობას „ოთარაანთ ქვრივი“ მწერალი ამთავრებს სიტყვებით: „სხვა ვინ არ არის ცოდო ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“, ეტიუდში „უცნაური ამბავი“ კი წერს: „რა მადლია ქვეყანაზე, რომ ყველა სსვა მადლი იქილამ გამოდიოდეს, როგორც სხივები მზისაგან? მწამს და ვაღიარებ, რომ ამისთანა მადლი — მადლია სიბრალულისა. მადლსაც სიმართლისას. პატიოსნებისას, სიყვარულისას, ნუგეშცემისას, ერთმანეთის განკითხვისას, შეწყნარებისას, შენდობისას — დასაბამად, სათავედ სიბრალულის მადლი აქვს. თუ გებრალება, უსამართლობას ვერ უზამ; თუ გებრალება, გეყვარება კიდევ; თუ გებრალება უნამუსოდ, ვერ მოექცევი; თუ გებრალება, გულით წმინდით განიკითხავ; თუ გებრალება, შეიწყნარებ, თუ გებრალება,

შეუნდობ.“ ეტიუდის გმირის – სოლომანის ამ სიტყვებში კარგად ჩანს ამ უბედურებიდან გამოსავალი გზის სათავე. არც წოდებრივი, არც ქონებრივი, არც განათლების. არც ასაკის – არავითარი ბარიერი არ არსებობს ურთიერთშეწყნარებით განმსჭვალული, განწმენდილი გულებისათვის. ეს ცხრაკლიტული, რომელიც ადამიანთა ურთიერთგაგებას და სიყვარულს უშლის ხელს, გულში დაბუდებული ამპარტანების – საკუთარი უპირატესობის განცდის, ან პირიქით, არასრულფასოვნების კომპლექსის შედეგია.

ერთერთი ასეთი ბარიერის – ქონებრივის შესახებ ეტიუდის გმირი სოლომანი ამბობს: „ან რა არის სიღარიბე და სიმდიდრე? ვხვდავ ერთს ბევრი აქვს. მეორეს ცოტა, მაგრამ ჩემი ფიქრით, ამითი არ უნდა ირჩეოდეს ღარიბი მდიდრისაგან. საქმე ის არის, სურვილი ქონებას არ გადაამეტო. მე მგონია, – ღარიბი არ არის, ვინც ნდომობს იმას, რაც ეშოვება და არა მეტსა. მეტიც მდომი მდიდარიც ღარიბია.“

„ოთარანთ ქერივში“ ბატონყმობა, როგორც სოციალური პრობლემა უკვე აღარ დგას დღის წესრიგში. გლეხს აქვს სახლ-კარი, მიწა. მისი უფლებები, როგორც გიორგის წინააღმდეგ ომარაშვილის მიერ აღძრული საჩივრის მოგვარებიდან გამოჩნდა, არ არის განსაკუთრებით შეზღუდული. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების წესით მეტ-ნაკლებად გაწონასწორებული ეს წინააღმდეგობა, ერთგვარი ანარეკლის სახით შემორჩენილია ადამიანთა ფსიქიკაში, ბარიერად არის აღმართული მათ გულებში და, როგორც არჩილის სიტყვებიდან ჩანს, საზოგადოების სხვადასხვა ფენას ცალკ-ცალკე ლობეს ავლებს. ისინი ნახევარი გულით ცხოვრობენ და მკვდარი აქვთ გულის სწორედ ის ნახევარი, რომლითაც სხვებს უნდა უკავშირდებოდნენ. „ჩვენ შუა ხიდი ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დარჩნენ, ჩვენ აქეთ...“ ამბობს არჩილი.

როგორც მოთხრობის შემოქმედებითი ჩანაფიქრის კვლევამ გვიჩვენა, მწერლის აზრით, „გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი“ ამგვარი გულების განთავისუფლება და განწმენდა შეუძლია სინანულის ცრემლს, რომელიც „გაბეგრდება. მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მოიტანს, რომ... ჩატეხილი ხიდი გაამთელოს.“

ამრიგად, ილიას აზრით, ადამიანთა ურთიერთგაუცხოებისა და უსიყვარულობისაგან თავის დაღწევის გზა გულის განწმენდაა. განწმენდილი გულებისათვის არ არსებობს არავითარი ბარიერი. ეტიუდ „უცნაურ ამბავში“ მთავარი გმირი ცდილობს, რომ თავისი მოწაფის გულისაქენ გზა გაიკვლიოს. ამისათვის იგი ბაკუმს პირველ რიგში უტარებს სიბრალულის, სიკეთის, სხვისი თანაგრძნობის ცხოვრებისეულ გაკვეთილს. სოლომანი აღწევს მიზანს. ნაწარმოები მთავრდება მისი მადლიერი სიტყვებით: „ღმერთო, შენით! მე და ბაშვი დავმცობრდით. ბეწვის ხიდი გავიარე.“ ასაკობრივი, ქონებრივი, წოდებრივი და ინტელექტუალური განსხვავების მიუხედავად მოხდა ის, რომ მწვრთნელის განწმენდილმა და ყმაწვილის უმანკო გულებმა უცებ იცნეს ერთმანეთი და სულ რაბდენიმე წუთში ეს „სხვა ძია“ ყრმისთვის უახლოეს ადამიანად იქცა.

მოყვასის სიყვარული უფლის მიერ ადამიანთათვის მიცემული ერთერთი უმნიშვნელოვანესი მცნებაა. უსიყვარულოდ ადამიანი არ გამართლდება ღვთის სამსჯავროზე. „გლახის ნამბობის“ გმირი – მღვდელი ამბობს: „სხვა შენთვის და შენ სხვისთვის – აი, გზა ცხოვრებისა, აი ზიდი ცხოვრებისა, აი, გასაღები სამოთხისაო.“ ამიტომ, ჩვენი აზრით, ერთგვარი კავშირი უნდა იყოს ეტიუდში ნახსენებ „ბეწვის ხიდს“, „ცხოვრების ხიდსა“ და იმ „ბეწვის. ხიდს“ შორის, რომლის შესახებაც ილიას მოთხრობის „ოთარანთ ქერივი“ მთავარი გმირი ამბობს: ადამიანი უფლის წინაშე რომ წარსდგება, უფალი ეტყვის: „აღუღებულ კუპრის ზღვაზედ ბეწვის ხიდს გაგიღებ, თუ კარგი ხარ – გაივლიო; მადლი მხრებში შეგიჯდება და გაგატარებსო; კაი კაცს არ ჩაუწყდებაო.“

ილიას ყველა მოთხრობა იმის ცდაა, რომ მკითხველს ცოდვისა და უსიყვარულობის მწარე შედეგები აჩვენოს და ლიტერატურულ სახეთა მოშველიებით, მათდამი თანაგრძნობის გაღვივებით ერთმანეთისადმი სიყვარულიც გაუჩინოს, რადგან ამ ქვეყნად ყველა ცოდვილია და ყველა ცოდოა.

ილიას თქმით, მისი გმირი – მეფანტურე მეფე დიმიტრის თავგანწირვის ამბავს ყმაწვილებს „გულიდან ჟანგის მოსაშორებლად“ უამბობს. ამ „ჟანგის“ მოშორებას უსახურება არა მარტო ეს პოემა, არამედ ილიას მთელი შემოქმედება. იგი მუდამ საზოგადო ჭირზე წერდა და არა ერთეულ შემთხვევებზე. ამაზე მიგვანიშნებს მის ნაწარმოებებში წარმოჩენილი კრებითი ხასიათის მქონე, მრავალი პირისაგან შემდგარი, მაგრამ მინც ერთსახოვანი უცნაური გმირის – ვნებებს აყოლილი, ზერელი, გულგრილი, ფარისეველი ადამიანების მასის ანუ, როგორც ილია უწოდებს, „ხალხის გროვის“ სახე.

მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ მწერალი მისთვის ჩვეული, შეულამაზებელი, მახვილი სიტყვით საოცარი სიციხადით წარმოგვიჩენს ამ მასას „ხალხი, წუთის წინად სულგანაბული, ეხლა მზიარულად ჰყაყანება და პლაზმანდარობდა კიდევ. დაირღვა ხალხის გროვა. დაიშალა და გაიშალა მინდორზედ. ყველამ თავის სახლისაკენ გასწია სრულიად კმაყოფილმა, რომ ეს სამარცხეინო და გულის ამაზრუნე თამაშა ჰნახა.“ – წერს იგი და ეს „ხალხის გროვა“ მკითხველში ასოციაციას იწვევს საქონლის გროვასთან, რომლის შესახებაც ავტორი ორიოდე ფურცლით წინ წერდა „მინდორზედ საძოვნელად გაიშალაო“.

საინტერესოდ არის ნაჩვენები ამ ბრბოსადმი მთავარი გმირის – პეტრეს დამოკიდებულება. მას არ სჯერა, რომ ეშაფოტზე აყვანილი კაცი მართლა ჩამოახრჩვეს. „ე ხალხი რომ ასე ქეიფის გუნებაზეა, მიდის და მიყაყანებს მზიარულად, ეს რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო, ქვეტი ხომ არ არიან, ოჯახბაქტულები, ერთს ცვარს ცრემლს მინც ჩამოაგდებდნენო“. ფიქრობს იგი. შემდეგ კი, როცა სიმართლეს გაიგებს, გაუკვირდება; „მაშ ხალხი რაღას ჰხარხარებდაო“. ეს ის გულგრილი მასაა, რომელიც სხვისი უბედურებით გულს არ მოაკლავს და თუ ვინმეს კეთილი განზრახვა შეამჩნია, არ სჯერა. „არ დ მიჩამს კეიფელსაო, ჩემო რაოვო?“ ან „შენი რაო?“ („ოთარანთ ქერივი“)

კითხულობს, თითქოს ადამიანი ადამიანისათვის არა იყოს რა. საინტერესოდ წარმოაჩენს ამ მასის. სახეს მათი თითქოსდა გულმტკიცებული წამოძახილები. ეს კონტრასტს ქმნის, შეუსაბამობაშია იმ რეალობასთან, რომ ისინი დგანან და ამ უბედურებას სეირივით უყურებენ.

ეს მოჩვენებითად მგრძობიარე, სინამდვილეში კი ყალბი მასა, რომელიც, როგორც ცარიელი ჭური სხვის ჩაძახილს ამოიძახებს ხოლმე გაუაზრებლად და გულში გაუტარებლად, მოთხრობა „ოთარანთ ქერივშიც“ ფონს უქმნის ყოველგვარ უბედურებას. იგი დგას გიორგის კუბოსთან და ერთობა მისი და კესოს სიყვარულზე შეთხზული ჭორებით, გარს ახვევია ოთარანთ ქერივის ცხედარს და მასალას ეძებს ახალი სალაფობისათვის. „გაიბა ლაპარაკი... მითქმა-მითქმაში დაავიწყდათ, რომ მკედარს პატრონობა რამ უნდა. ყველას ის ეხარებოდა, „ერთი გავიგო, ვინ რას ამბობს“, — და საცა ჯგუფს დაინახავდა, ან ლაპარაკის ხათხათს ყურს მოჰკრავდა, იქ გარბოდა და მიეშურებოდა... დამტირებელი კი არავენ იყო“, ამბობს მწერალი.

ამ მასის ანარეკლს ეხედავთ ასევე ლექსში „მუშა“ გმირისადმი მიმართვაში:

„შენ გარდიქეცი ტომართურთ და გამველელ ხალხმა  
მაგ შენს ყოფაზედ იწყო უგრძნოდ მაღლა ხარხარი...“  
„...სწევ, ვერ ეწევი, — გეკარგება შენ საზრდო დღისა...  
ხალხი გიყურებს — და არავენ არა გშეეღინა!..“

ხალხის ამგვარი გულგრილობა და სულიერი დაკნინება აწუხებდა მწერალს და ამაზე ტეხდა განგაშს.

ილიას თხზულებებში ასევე კარგად ჩანს, თუ სად იღებს სათავეს მწერლის კაცთმოყვარეობა. მისთვის ყოველი ადამიანი ძვირფასია იმით, რომ ღვთის ქმნილებაა — „ღვთის კერძოა“. ლექსის „მუშა“ ადრინდელ ვარიანტებს ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა სიტყვები

„ვინ გამოსცადეთ, ძმებო, ტანჯვა იმა გრძნობისა,  
როს სჭერეჭ, რომ ფუჭათ ხდება კერძო ღვთაებობისა.“

ლექსის საბოლოო ვარიანტში კი ვკითხულობთ:

„აგერ წამოგწვდა, დაგეჯახა, — და როგორც კოკა,  
შენ, კერძო ღვთისა, არ დაგინდო დასამსხვერველად.“

ღვთის ქმნილების — ადამიანისადმი ამგვარი მოქცევით აღშფოთებული ავტორი დაჩაგრულის მწუხარე ღუმილით და დაუსჯელად დარჩენილი ბოროტების ხაზგასმით მოგვაგონებს ღვთის მოსალოდნელ რისხვას და მომავალ მარადიულ სასჯელს ამგვარი სისასტიკის გამოჩენელთა მიმართ:

„რასც მაშინ ჰგრძნობდი, ყოველი სთქვა მწუხარე თვალმა,  
შენს ღუმილშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი!“

მწერალს მუშაც, გლეხიც, თავადიც და დიაბეგიც უყვარს, როგორც ადამიანი — ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი და ამიტომ განიცდის როგორც ადამიანთა მიმართ უკადრის მოქცევას, ისე თვით ადამიანების მიერ თავიანთი ადამიანური ღირსების დაკარგვას. ეს კარგად ჩანს „კაცია,



ადამიანში“, ლექსში „სმა სამარიდამ“ და პუბლიცისტიკაშიც. მაგალითად, საქართველოს ერთერთი კუთხის გასაჭირზე საუბრისას ილია წუხს: „ათას-ათასი ღვთის კერძო ადამიანი წვიის, კივის, „გვიშველეთ““.

იესო ქრისტემ „აღამაღლა ღირსება და პატივი ადამიანისა იქამდე, სადამდინაც მისდა მოსკლამდე ვერ მიმწვდარიყო ადამიანის შეშინებული გონება და გაუღვიძებელი გრძობა. „ვით მამა ზეცის, იყავ შენც სრულიო“, უმოძღვრა კაცს და ამით გვამცნო, რომ კაცი შემძლებელი არის აღსკვლად ღვთაების სისრულეში. რაოდენი დიდებაა და პატივი კაცის ბუნებისა ამ ექვსს სიტყვაში, ღვთისა ბაგეთაგან წარმოთქმულში!.. იღვაწე და ღვთის სისრულეში შეგიძლიან ახვიდე და მიახწიო... ესოდენი განდიდება და აღმატება ადამიანის ღირსებისა ჯერ მანამდე არა ადამიანს არ გაეგონა...“  
წერს იგი და თითქოს სვამს კითხვას, განა შეიძლება, რომ ღვთის ხატებამ ლუარსაბივით იცხოვროს? კაცია იგი მაშინ, ადამიანი?

ილია იცავს გლეხის ადამიანურ ღირსებას, რადგან გლეხი და თაყადი, მდიდარი და ღარიბი ღვთის თვალში ყველა ადამიანია და ფასდება არა წოდებით ან სიმდიდრით, არამედ ადამიანობით, ნიჭს აძლევს ზენა კაცს და არა გვარიშვილობას, ანუ, როგორც პავლე მოციქული გვასწავლის ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში: „...რაიცა ვინ ქმნეს კაცად-კაცადმან კეთილი, იგიცა მოიღოს უფლისა მიერ, გინა მონამან, გინა თუ აზნაურმან.“(6, 8)

თუ როგორი უნდა იყოს ღატაკთაღმი მართალი ადამიანის დამოკიდებულება, წმინდა წერილში კარგად ჩანს მართალი იობის სიტყვებიდან: „რა ვქნა მაშინ, როცა ადგება ღმერთი? როცა დამკითხავს, რა ვუპასუხო?.. განა ვინც მე შემქმნა მუცელში, მანვე არ შემქმნა იგი?.. თუ ოდესმე მეთქვას უარი ღარიბ-ღატაკის სათხოვარზე და ქვრივის თვალები მოლოდინით დამექანოს? ან თუ მარტოს გამეტებოს ლუკმა და ობოლს არ ეჭამოს ჩემთან ერთად?.. რადგან მაშინებს ღვთის რისხვა და მის სიღიადეს ვერ გავუძლებდი...“ ილიას მორალიც ასეთივე იყო და ამიტომ ამხელდა უპოვართადმი გულგრილ დამოკიდებულებას. გავიხსენოთ ისევ ლექსი „მუშა“:

შენ უღონო ხარ... და უღონოს კაცი იბრძვივებს,  
მდიდარს მეტს მისცემს, შენ კი გროშზედ შეგევაჭრება,  
ვისაც არ უჭირს, მას გააძღობს, და შენ კი გიკლებს,  
შენ, რომელსაცა ერთის გროშით ღლე გემატება.“

მაგრამ მწერალი წინასწარვე გრძნობდა, რომ არა მარტო თავადებს შეუძლიათ გლეხების დაჩაგვრა, არამედ პირიქითაც – გლეხიც შეიძლება უსამართლოდ და სასტიკად მოექცეს თავადს და ესეც ისეთივე უსამართლობაა.

პუბლიცისტურ წერილში „ნუთუ“ ილია სავსებით მკაფიოდ გამოთქვამს თავის პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც სოციალისტური იდეებით შეპყრობილი ხალხის მასა განუკითხავ ბრძოლა-

იწყებდა თავადაზნაურობის წინააღმდეგ. ილია წერს: "მართალია, გლეხკაცი და ღარიბი უფრო მეტად საზრუნველია, უფრო მეტად გაჭირვებული, ვიდრე თავადი, აზნაური, მღვდელი თუ ვაჭარი, მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ ყველა ესენი ადამიანები არ არიან? მართალია თავად-აზნაურობამ, როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა დიდი ხანია თავისი დრო მოჰტამა, მაგრამ თავადს, აზნაურს, ვით ცალკე კაცს, ადამიანობა ხომ შერჩა და ვინ რას ემართლება, რომ დღეს კაცი ისე არ გაუვლის გვერდით თავადს თუ აზნაურს – წიხლი არა ჰკრას, ან მისს ხსენებაზე დორბლები არ წამოჰყაწროს..."<sup>1</sup> ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე ილია მომხრეა, რომ ყმა მშვიდობიანი გზით განთავისუფლდეს, მაგრამ ეს არაერთარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ამგვარად გუშინდელმა ყმამ მოიპოვოს დაუმსახურებელი პრივილეგიები და ახლა მან ჩაგროს სხვა. ამის შესახებ პოემაში „აჩრდილი“ ვკითხულობთ:

„მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,

წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,

სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლები,

არცვის ემონვი და არც იმონებ.“

როგორც ვხედავთ, ილიას შემოქმედებაში სოციალურ თემატიკას სწაფუძვლად უდევს არა სოციალისტური იდეები, არამედ ის ღრმა ბიბლიური აზრი, რომ თვის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს ღმერთმა თავისუფალი ნება მიანიჭა და მისთვის ამ ნების შეზღუდვა კაცის დამონებით ერთგვარი ხელყოფაა ღვთის მიერ ბოძებული უფლებისა. ყმობას ილია „ღვთის კერძო ადამიანის“ გაუპატიურებას უწოდებს<sup>2</sup>. მოთხრობა „გლახის ნაამბობის“ გმირს – მღვდელს გაბრიელის სიტყვების გაგონებაზე: „ყმა გახლავარ“, სახე ეცვლება და გულში ტკივილი დაუვლის.

„მონება კაცთ არ შეშენისთ,

ქრისტეა ამის მოწამე“ –

ამბობს მწერალი ლექსში „ჩემი თარიარალი“. სწორედ აქედან გამომდინარე ქადაგებს ილია თანასწორობას, რომ ღვთისთვის ყველა ადამიანი ერთნაირად საყვარელი და საზრუნველია. როგორც „გლახის ნაამბობში“ მღვდელი ამბობს: „ყველას გულში, – ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, – ღვთისაგან ანთებული ცეცხლი ანთია.“ იგივე მღვდელი გაბრიელს ასწავლის, რომ სწორედ მოყვასის სიყვარულით და მასზე ზრუნვითაც მკლავდება ღვთის სიყვარული. როცა „კაცი ირჩობა, ღვთის კერძო, შენსავით შეილი ერთის მამა-ღმერთისა, შენ გულხელდაკრუფილი დაჰყურებ... მითამ ქრისტე-ღმერთისათვის მოგირიდება პირიო...“

„ღმერთო მაღალო! სადაც კი შენი მაღლიანი ხელი ურევია, იქ ყველაფერი საყოველთაო ყოფილა!“ – ამბობს გაბრიელი.

1. ი. ჭავჭავაძე, ტ.5, გვ.116

2. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ჩუთ ტ.იხად, ტ.3, გვ.200

„ოთარაანთ ქერიეში“ გლეხებსა და თავადებს შორის ურთიერთგაუცხოების შესახებ არჩილი ასეთ აზრს გამოთქვამს: „...შორიშორისა ვარო და თვალი ერთმანეთისათვის ველარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი. რად უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიმორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰკონია და ღვთის მსგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება როგორც ერთი ტყლაპი რამ. ამ ღიდ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თუიერი შავად აჩვენოს?“ როგორც ვხედავთ, ადამიანის სახეში აქც ხაზგასმულია „ღვთის მსგავსება“ მომაკვდავი გიორგის სიტყვებზე კესოსადმი — „ხატსავით გლოცულობდი“ — სწორედ ამგვარადვე უნდა გავიგოთ და არა ისე, თითქოს გიორგის თავისი სატრფო კერპად ჰყავდა ქცეული. აკი სწორედ ამ განდობის შედეგად მოხდა ის, რომ გულგრილ კესოში სინანულის ცრემლებმა მართლაც გააღვიძა ღვთაებრივი ხატება. ეს არის უმნიშვნელოვანეი ფაქტი. ასე იზრუნა გიორგიმ თავის სატრფოზე, მის სულზე. რადგან ქრისტიანისათვის ადამიანის სიყვარული უპირველეს ყოვლისა მისი უკვდავი სულის სიყვარულია. მას უყვარს იგი, როგორც ღვთის ხატება და მსგავსება.

სხვადასხვა ნაწარმოებებში ილია არაერთგზის მოგვგვამონებს ღვთის განჩინებას ადამიანისადმი: „ვით მამა ზეცის, იყავ შენ სრული“. ეს არის ძირითადი საზომი, რომლითაც წყავს იგი როგორც ირველიე მყოფ ადამიანთა, ისე თავისი ლიტერატურული გმირების ცხოვრებას.

მიუხედავად იმისა, რომ ილია გლეხთა ჩაგვრას სავსებით გაუმართლებლად მიიჩნევს, იგი არც სოციალური ამბოხებების მომხრეა და არც იმას ქადაგებს, თითქოს ბატონის მიერ შევიწროებულ გლეხს მისი მოკვლა ან საზოგადოებისაგან გარიყულობებს ძარცვა-ყაჩაღობა ცოდვად არ ეთვლებოდეს.

ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში რაფიელ ერისთავის შემოქმედების განხილვისას ილია დასძენს, რომ მან წარმოაჩინა „მწვაეი ჩივილი ყობით გაუპატიურებულ ღმრთის კერძო ადამიანისა.“ აქ განხილულია ლექსი, სადაც გლახაკის გასაჭირია აღწერილი. იგი „პურს ითხოვს და ქვას აწვიდარ ხელში.“ ილიას მოსწონს, რომ „პოეტი მაინც საწყლის გულში ბოროტს არ ატრიალებს, რომელიც კაცს ხელს გამოაღებინებს ხოლმე სხვის ძარცვა-გლეჯად. ან, თუ უღონოა, სხვის საწყევლად და საქოლვად. მისს გლახა-მიხოვარს სწამს, რომ ქვეყანაზე განკითხვა, შებრალება, ქრისტიანობა კიდევ არის და ამ იმედით ნუგეშდებული კი არ იწყევლება, კი არ ჰბოროტობს, შებრალებას ითხოვს...“ რაკი ილიას ასეთი ღამოკიდებულება მოსწონს სხვა მწერლისა. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მის თვალთახედვას ესადაგებოდა და თუ ილიას მიაჩნდა, რომ ადამიანმა ბოროტებაზე ბოროტებითეე არ უნდა მიაგოს, ისმის კითხვა, მაშ რატომღა შექმნა თავად საპირისპირო სახეები: კაკო, ზაქრო, გაბრიელი, ბეჟანი და მისი ძმა?

მწერლობამ რეალობა უნდა ასახოს. რეალურად კი ასეთი მყამბოხე სახეები თანდათან უფრო მრავლდებოდა საქართველოში. ხელოვანმა „ლექიც

უნდა გამოხატოს“. მოვიყვანეთ ზემოთ ილიას სიტყვები. ამიტომ გვინკენა ისინი მწერალმა, როგორებიც იყვნენ, მაგრამ მოუწონა თუ არა საქციელი, ხედავდა თუ არა მათ შურისძიებაში სწორ ნაბიჯს და რა მოუტანა ოვით ამ გმირებს მათ მიერ აღსრულებულმა შურისძიებამ. ამის შესახებ ქვემოთ ვრცლად გვექნება საუბარი.

ფიზიკური მონობით შეზღუდული ადამიანი სხვებზე უფრო მძიმე მდგომარეობაშია. რადგან დიდი საცდურის წინაშე დგას, მაგრამ სულიერად მისი დადუპება იწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ცოდვის მონა ხდება. ილია რომ თავისუფლებაში უმეტესად სწორედ სულის სიწმინდეს, სულიერ თავისუფლებას და მონობაში კი ცოდვის ტყვეობას გულისხმობს. ეს ჩანს თუნდაც ბატონის შესახებ თქმული მისი სიტყვებიდან პოემაში „აჩრდილი“:

„ვერა გაჰკურნოს მან მონის წყლული,

ვინც მონებას თვით ემორჩილება.“

როგორც ვხედავთ, ფიზიკურად თავისუფალი ბატონიც მონა ყოფილა. ეს სულიერი მონობა, სხეულის კერპად დასმა და „სულის ეშმაკთათვის მიჩნება“ არის ილიას ჯზრით ყველაზე დიდი უბედურება, უდიდესი ადამიანური ტრაგედია. იგი თან სდევს ამქვეყნიური კეთილდღეობით განებივრებულ, დაუნდობელ მებატონესაც და მისი სისასტიკით შურისძიებად აღძრულ ყმასაც.

იოანეს საზარების მერვე თავის მიხედვით მაცხოვარი ამბობს: „...ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, მონაჲ არს იგი ცოდვისაჲ და მონამან არა დაიკვიდროს სახლსა შინა უკუნისამდე, ხოლო ძემან დაიკვიდროს უკუნისამდე... უკეთუ ძემან განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეი“ (იოანე 8:34). წმ. იოანე ოქრობირი ამ ადგილს ასე განმარტავს: „...ხოლო უწუენებს აქა, ვითარმედ ძალ-უც ცოდვისაგან განწმედაჲ მათი და განთავისუფლებაჲ და ვითარმედ უზეშთავს არს ესე თავისუფლებაჲ ვიდრეა ხორციელი, რამეთუ ხორციელსა თავისუფლებასა კაცნიცა მისცემენ, ხოლო ესე მხოლოესა ღმრთისაჲ არს და ამისათვის ასწავლის, რაჲთა არა ხორციელისა მონებისათვის პრცხვენოდის მათ არამედ უფრო მსად მონებისათვის ცოდვათაჲსა სირცხვილულ იყვნენ...“

„კაკო ყაჩაღის“ და „გლახის ნაამბობის“ გმირები ზაქრო და გაბრიელი განსაკუთრებით შესაბრაღისნი არიან არა იმიტომ, რომ ფიზიკურად დაჩაგრნენ, არამედ იმიტომ, რომ ცოდვის გზაზე დადგნენ და სული წარიწყმიდეს. პოემაში ეს ჩანს ზაქროს სიტყვებიდან:

„...მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭეჟა

და შეუნგრია გულის ფიცარი

იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამღუპველსა,

თავისთავის და სხვის წამწყმედელსა.“

მოთხრობაში ამაზევე მიგვანიშნებს თუნდაც გაბრიელის შინაგანი ღუღუღის და წინააღმდეგობების გამოშხატეული აზრები: „ძნელი ყოფილა, შენი ჭირიმე, კაცისკვლის ფიქრის წინათვე გულში გატარება! მეტად ძნელი ყოფილა!.. მე

იმ ერთმა დღემ თითქმის დამაბერა. კაცს, თუ გინდა, რომ გულში ჯოჯოხეთი გაუწინო, კაცისკვლის ფიქრი ჩაუსახე გულში. ეგ ეყოფა სატანჯველად“. ამასვე მოასწავებს მისი სიტყვებიც: „ვაი რომ ბელმა ქვეშ მომიტანა მისგან წახალისებული თავმოძვონე ბიჭი და აი, კელარ წამოვუდეკი, თორემ ვინ იცის? იქნებ მეც შემძლებოდა კაი კაცობა...“

ასე ილუპებიან ილიას თხზულებების გმირები, რადგან ცხოვრებაშიც მსგავსად ხდება. ბევრი ვერ უძლებს საცდურს. სასუფეველისკენ მიმავალი გზა „იწრო“ და „საჭირველია“ და მისგან როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ გადახვევა ერთნაირად დამლუპველია. ზოგს ფუფუნება და ზედმეტი უფლებები ღუპავს, ზოგს სილატაკე და უუფლებობა აცდუნებს. ავტორს კი ყველაზე ერთნაირად შესტკივა გული.

განსაცდელს ვერ გაუძლევს მოთხრობა „გლახის ნაამბობის“ გმირებმა – პეპიამ და თამრომაც. მოხუცის გულში თავისი უბედურების გამო იმოდენა ბოროტებამ დაიბუდა, რომ მან გაბრიელს დაადებინა უსასტიკესი ფიცი – მოსთხოვა დათიკოს მოკვლა უზიარებლად. აშკარაა, რომ პეპიას აქ არ ამოძრავებდა მასავით უსუსურ სხვა ადამიანებზე ფიქრი. მას დათიკოს სიკვდილი იმიტომ რომ სდომოდა, კიდევ სხვები არ გააუბედუროსო, მისი მოკვლა შეიძლება მოეთხოვა, მაგრამ არ დაიჟინებდა მინცაღამინც უზიარებლად მოკვლას. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მას სწორედ შურისძიების გრძნობა ამოძრავებდა. პეპიას უნდოდა დათიკოს სულიერი სიკვდილიც. ამიტომ მიიღო მან თავად მის მიერ სხვისთვის გამოტანილის მსგავსი სასტიკი განაჩენი მოკვდა აღსარების უთქმელად და უზიარებლად. ამას გარდა, ნაწილობრივ მას აწევს ცოდვად ორი ადამიანის დაღუპვა – თვით დათიკოსი, რომელიც მართლაც უზიარებლად მოკლა გაბრიელმა და გაბრიელის, რომელიც მოერიდა ფიცის გატეხას, აღასრულა იგი და ამისათვის თავადაც უზიარებლად სიკვდილით დაისაჯა. უფალი ბრძანებს: „რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქვენ და ზედა დაგერთოს თქვენ, რომელთა ეგე გესმის...“

ბედის უკუღმართობას ვერ შეეწინააღმდეგა ვერც პეპიას შვილი – თამრო. ისიც, თავდაპირველად უნებლიე მსხვერპლი, შემდეგ თავად ჩაეფლო ცოდვის მორევში. გლეხი ქალის ამგვარი ტრაგიკული ბედი ავტორს ამ მოთხრობის სიუჟეტის გასამაფრებლად საგანგებოდ არ მოუფიქრებია. ასეთი რამ, როგორც ჩანს, არ იყო ერთეული შემთხვევა და მწერალს იგი განზოგადებული სახითაც აქვს წარმოჩენილი პოემაში „აჩრდილი“ დამონებული გლეხკაცისადმი მიმართვაში:

„ქალს წაგართმევენ, ქალს გაპყიდიან,  
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად,  
უბრყვილო გულში ღვარძლს ჩაასხმინან,  
გახდიან ყვავილს ფეხქვეშ სათრეველად.  
უმანკო პირზე შენს ტურფა ქალსა  
გარყვნა დაასევამს საზარო დაღსა...“

შვილის ამგვარი დაცემა ცოდვაში აგდებს მის შობელსაც, რომელსაც საყვარელი ასული თავადვე შეზიზღდება, პირს უკუარიდებს და იტყვის:

ნეტავი გველად,

გველის წიწილად შენ მომცემოდი,

რომ ქვეყნის ქელვად, ქვეყნის სათრევლად

შენ, შვილო ჩემო, არ გამხდომოდი...”

ასე იწვევს ერთი ბოროტება მეორეს, ერთის დაცემა სხვის დაცემას, რადგან ყველა ისინი ერთი დიდი სხეულის, ერთი ქვეყნის, ერთი საზოგადოების შვილები არიან, სხვადასხვა სენით შეპყრობილნი, მაგრამ საერთო უბედურებით გაერთიანებულნი. ამის შეგრძნება ილიას ღრმად აქვს გაცნობიერებული და ამიტომ თავისი შემოქმედებით მუდამ იმის ცდაშია, რომ ამ დაცემულთა გულებში ჩამქრალი სიყვარული კვლავ გააღვივოს და მისი მადლით ფეხზე წამოაყენოს.

სარწმუნოებრივ ასპექტში ილია ჭაყვაძის თხზულებების შესწავლამ ბევრ გაურკვევლობას ახადა ფარდა და დაგვარწმუნა, რომ ილიას შემოქმედების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული მრავალი მოსაზრება საფუძვლიან შემოწმებას მოითხოვს.

ერი, რომელსაც გკუთვნის ესა თუ ის მწერალი, „თავის სამკაულით აკაზმინებს, თავის საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველს ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედებისას, მაგრამ ეგ მარტო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო“ — წერდა ილია. ასე იქმნებოდა, მისი აზრით, დიდი მწერლების მიერ ადამიანის საზოგადო ტიპები, რომლებშიც ნებისმიერი ერის კაცს იცნობდა მკითხველი. თვით მისი შემოქმედებაც, რომელიც საოცრად ზუსტად ასახავს ქართულ ყოფას, ეროვნულ, ეპოქალურ პრობლემებსა თუ სამომავლო პერსპექტივებს, ამავე ღროს თავისი ღრმა, კაცობრიული შინაარსით ზოგადადამიანურია. კონკრეტული თემების, სიუჟეტებისა და გმირთა სახეების საძირკველში დევს ყველა დროისათვის აქტუალური ისეთი საკითხები, როგორიცაა იმედი ღვთისა და სწრაფვა სრულყოფილებისაკენ; პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა; სიყვარული და სიძულვილი; მიმტყველობა და შურისძიება; ინერტულობა და „სული საქმით მეტყველი“, სისასტიკე და სიბრალული; ღალატი და თავდადება და მრავალი სხვა. ეს ისეთი თემებია, რომლებსაც მხატვრული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მრავალი დიდი ხელოვანი შესჭიდებია, მაგრამ მანც არ ამოწურულა და მწერლები კვლავ და კვლავ უბრუნდებიან, ეძებენ ახალ სიუჟეტურ ქარგებს, სიტუაციებს, სახეებს, სიტყვებსა და გამოხატვის სხვადასხვა ფორმებს მათ წარმოსაჩენად.

ბოროტება რომ უნდა დაიგმოს, სიყვარული რომ ამაღლებული გრძნობაა — თვით ასეთი „ანბანური“ ჭეშმარიტების ასახვისთვისაც კი შემოქმედებითი ძიების პროცესი გრძელდება და ეს სწრაფვა სავსებით ბუნებრივია, მხოლოდ

ის არ უნდა იქცეს იმგვარ „მოდურ უარყოფლობად“. რომელიც ასე არ უყვარდა ილიას, რომლისთვისაც მთავარია ერთადერთი – არ დაეთანხმოს წინამორბედს და, თუნდაც ამისათვის ჭეშმარიტებიდან გადახვევა მოუსდეს, თქვას აუცილებლად ახალი, ყველასგან განსხვავებული რამ.

როგორც ილია ამბობდა, ახალი ტალახი ძველ ვარდს არ უნდა ეამჯობინოთ, იმ მოტივით, რომ ის ახალია და ვარდი ძველი. ჭეშმარიტება დიხსაც ამ ვარდივით ძველი იქნება და არა ახალ-ახალი, მაგრამ მას მწერალი თავის გულის ქურაში ატარებს, თავისი სულის ნაწილს აყოლებს და მისეულად გამოთქვამს. დრო მიდის, საზოგადოება იცვლება და შესაძლოა ამ ფორმით, ამგვარად გამოხატული იგი უფრო მიწხიდველი, მისაწვედომი, იოლად შესაცნობი და ამდენად სასარგებლო იყოს მკითხველისათვის.

ხელოვნების ნაწარმოების უპირველესი დანიშნულება, რა თქმა უნდა ეს არის – ადამიანის ზნეობრივი და სულიერი ამაღლება. ამასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა ილიას ერთი სტატია თეატრის შესახებ: „სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველ სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა. იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედობს; ეიდრე სხვა რამე... თუ ეს ძვირფასი თვისება, როგორც ხალხის წერთნა და ზრდა სცენას ჩამოუაცილეთ, იგი მიკიტან-ხანად გადაიქცევა და მაშინ სჯობს წაწყდეს, ვიდრე სუფევდესო“<sup>1</sup>. დარწმუნებული ვართ, ასეთივე განაჩენს გამოუტანდა ილია მწერლობასაც, თუ ის ამ თავის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას დაკარგავდა.

ლიტერატურას უდიდესი ზემოქმედების ძალა აქვს. მწერალ გურამ დონანაშვილის თქმით, უბრალოდ ძახილი იმისა, რომ ბოროტება ცუდია და სიკეთე – კარგი, არაეის შესძრავს. მწერალს კი შეუძლია „ყელშიწამჭერი დამაჯერებლობით“ შეასხას ზორცი ამ ნათქვამს, წვითა და დაგვიო, ბოროტებაზე ფეხის დადგმითა და გასრესით აღმოაცენოს ადამიანში სიკეთე – „სულის დიადი – უზენაესი წვდომის ყვავილი“<sup>2</sup>.

სწორედ ამას ემსახურება ილია ჭავჭავაძის შემოქმედება. სწორედ ასეთი შემოქმედებითი წვის შედეგად აქვს ამოწურული გულის სიღრმიდან თითოეული სიტყვა. ამიტომ მისი თხზულებების ზედაპირული წაკითხვა და მიკერძოებული განმარტება შეუმჩნეველად ტოვებს მათ იმ მხატვრულ მოქნილობასა და შინაარსობრივ სიღრმეს, რომელიც რეალურად გააჩნია.

ილიას თქმით: „შორსმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა.“ იგი თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია“<sup>3</sup>. მაგრამ მის მიერ დანახული და გააზრებული საზოგადოებამ უნდა მოიხმაროს – ამაშია მისი დანიშნულება. ილია უდიდეს

1. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ზუთ ტომად. ტ.5. გვ.177

2. იხ. გურამ დონანაშვილი, ალექსანდრე ესეი პროზაზე, „ორი მოიხრობა“, 1984. გვ.120

3. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ოც ტომად. ტ.5. გვ. 120

მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ თითოეული საღი აზრი ხალხამდე, მკითხველამდე მიეტანა და გაეხადა მისი ცხოვრების წარმმართველი, მათორინტირებელი. ღრმა ძილში მყოფი ერი მისი სიტყვის ორღესულმა მახვილმა ერთი კი შესძრა და მოაფხიზლა, მაგრამ, სამწუხაროდ, მცირე ჟამს. ვერც მისმა ეპოქამ და ვერც ჩვენმა საუკუნემ ვერ დაიტია ის დიდი აზრი. რომელიც მას და მის შემოქმედებას ასულდგმულებდა. ეს „ბეგასზე მჯდომი ცხენოსანი“ დაჯაქვეითეთ, მის მერანსაც შევაკვეცეთ ფრთები. მასაც გავუბრალოვეთ ნათქვამი.

არის ხელოვნებაში და კერძოდ ლიტერატურაშიც ისეთი მიმდინარეობები, როდესაც ავტორს მკვეთრად ჩამოყალიბებული და გამოკვეთილი ჩანაფიქრი არა აქვს და მკითხველს უტოლებს უფლებას, გაიაზროს, როგორც უნდა. მაგრამ ილიას შემოქმედება ამგვარ მოდერნისტულ პრინციპს არ ექვემდებარება. თითოეული ნაწარმოების შექმნისას მას ამოძრავებდა განსაზღვრული შემოქმედებითი ჩანაფიქრი და მკვლევარის ვალი სწორედ მისი ძიებაა. ქართულ მიწაზე ჩვენს წინაპართა სისსლით და ოფლით ნაშენები წმინდა ტაძრები ბოლო საუკუნის მანძილზე საწყობებად და აბანოებადაც კი იყო გამოყენებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი დანიშნულება ასეთი იყო. მაღლობა ღმერთს, რომ დღეს მათში კვლავ უფლის საღიდებელი წირვა-ლოცვა აღევლინება და იქნებ წმინდა ილია მართლის გულის ტაძარსაც დაუბრუნონ მისი სიწმინდე. მისი ნააზრევის სწორად აღქმას უღიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არასწორად არჩეული გზით, რაგინდ დიდხანსაც არ უნდა ვიაროთ. მიზანთან ვერ მივალთ, ამიტომ, თუნდაც ნაგვიანვეაღ, მაინც ჭეშმარიტი გზის ძიებაა საჭირო. ისევე ილიას თხზულებებს მიუბრუნდეთ, გულისხმიერება მოვიკრიბოთ და ხელახლა დავიწყოთ მათი გაცნობა. აპოკალიფსურ ჟამთან ერთი საუკუნით უფრო მიახლოებულ ჩვენს ეპოქაში ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ილიას მთელი შემოქმედება მხატვრულ- იგავურ ფორმაში გამოთქმული ცხოვრებისეული სიბრძნეა, წმინდა წერილის სულისკვეთებაზე და სწავლებებზე დაფუძნებული, მისეული მაღლით მოსილი.

## ილია ჭავჭავაძის მრწამსი

ილია ჭავჭავაძის დაბადებამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე ქართველი ერის ცხოვრებაში მძიმე გარდატეხა მოხდა — საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა. რუსეთმა იგი თავის გუბერნიებად აქცია.

მართალია, მეფის რუსეთი მართლმადიდებელი ქვეყანა იყო, მაგრამ იმპერიის ხელისუფლების პოლიტიკა საქართველოსადმი იმდენად არასწორი იყო, რომ რუსეთთან შეერთებამ უარყოფითი გავლენა იქონია ჩვენი ხალხის სარწმუნოებაზე. ილიას სიჭაბუკეში თბილისის არცერთ ეკლესიაში წირვა-ლოცვა ქართულად აღარ მიმდინარეობდა და იყო მცდელობა, რომ „მთელ საქართველოს სოფლებში გადაეგდოთ ქართულ ენაზე ღვთისმსახურება და



ქართული საეკლესიო ენის მაგიერ შემოეღოთ სლავური ენა!<sup>1</sup> აკაკი წერეთელი გულისტკივილით აღნიშნავდა<sup>2</sup>, რომ ღვთისმსახურების უცხო ენაზე წარმართვამ და რუს საეკლესიო პირთა შოვინისტურმა დამოკიდებულებამ ქართველებისადმი გამოიწვია ჩვენში გაუცხოება ეკლესიისადმი. ქართველებს არ სჯეროდათ, რომ რუსები, რომლებიც მათ ეკლესიას – იგივე ქრისტეს ეკლესიას ასე ექცეოდნენ. მათსავით მართლმადიდებლები იყვნენ და შესვლა ტაძარში. სადაც ისინი ბატონობდნენ, ბევრ მათგანს აღარ უნდოდა. ერთ-ერთი მიზეზი ალბათ სწორედ ეს იყო, რომ თითქმის ორი ათასწლეულის მანძილზე მართლმადიდებლობის აღმსარებელ საქართველოშიც დაიწყო რწმენის შესუსტება და ათეისტური მსოფლმხედველობის მომძლავრება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ილია 1881 წლის „შინაურ მიმოხილვაში“ წერდა: სასულიერო სემინარიაში ქართულს ისე ასწავლიან, არ-სწავლება ჯობია. სამღვდლოებამ იმ ერის ენა არ იცის, სადაც უნდა იმოდღვროს. „დამუხჯდა ამის გამო ჩვენის ეკლესიების კათედრა, გაუქმდა ყოველად ძლიერი ქადაგება, წაწყმდა სასოება სარწმუნოებისა და ამის განმკითხველი არავინ არის.“ მწერალი გულისტკივილს გამოთქვამდა, ჩვენი ერი მალე ალბათ იძულებული გახდება „პერეგოჩიკის“ შემწეობით გაენდოს ხოლმე თავის მოძღვარსო.“ „მოდღვრის ფარ-ხმალი ენაა... უენო მოძღვარი მოძღვრობას ვერ იზამსო“, წერდა იგი<sup>3</sup>, ხედავდა რა, როგორ დიდ ზიანს აყენებდა ქართველი ხალხის რწმენას ეკლესიებიდან მშობლიური ენის განდევნა.

ჩვენი ერის უმტიყენეულეს პრობლემებზე და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვის უარყოფით შედეგებზე ობიექტურ წარმოდგენას გვიქმნის 1898 წელს სასულიერო სემინარიის რექტორის – სერაფიმისადმი ილიას მიერ მიწერილი წერილი და 1905 წელს პეტერბურგში სინოდის ობერ-პროკურორ ობოლენსკისთან ყოფნის დროს (იგი ახლდა ეპისკოპოსებს კირიონსა და ლეონიდეს) წარმოთქმული სიტყვა. მათში სრული სიცხადით არის წარმოჩენილი ქართველების და მათი მართლმადიდებელი ეკლესიის შევიწროებული მდგომარეობა რუსეთის იმპერიის ფარგლებში. ილიას უთქვამს სარწმუნოების საქმეში ყველა ერს – სომხებს, მუსულმანებს, ებრაელებს, თავისუფლება აქვთ, მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები ვართ მოკლებულნი ამ სასიცოცხლო მოთხოვნას და ამის ასე დატოვება „უდიდეს სახელმწიფო და სარწმუნოებით შეცდომად“ ჩათვლებაო. მწერალს თავის, როგორც „მოქალაქის“, წმინდა ვალად მიაჩნდა, რომ ყოველი ღონე ეხმარა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

იღია მართლმადიდებლობის ერთგული მიმდევარი იყო და მთელი გულისხმიერებით ცდილობდა ხალხში რწმენის შენარჩუნებას. ამის გამო

1. იაკობ მანუელაშვილი, მოგონებები, 1985, გვ.76
2. სტატია „ორი სიზმარი“, გაზ. „აკაკაზი“, 1906, №11, გვ.2. და ხელნაწერთა ინსტიტუტში აკაკი წერეთლის არქივში №302 დაცული რუსულენოვანი ავტოგრაფი
3. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ.5, გვ.240

გარდა ეროვნული და სოციალური საკითხებისა. მას სარწმუნოებრივ სფეროშიც მრავალი მოწინააღმდეგე გაუჩნდა.

ილია იყო არა მარტო ძვერალი, არამედ საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, ლიტერატურის თეორეტიკოსი და თეატრალური კრიტიკოსი, იურისპრუდენციისა და საბანკო საქმის სპეციალისტი. მას ერის ყოფა-ცხოვრების თითქმის ყველა დარგთან დაკავშირებით ჰქონდა ნათლად ჩამოყალიბებული აზრი, კარგად ზედგედა წინსვლა-განვითარების პერსპექტივებს და ზრუნავდა მათი ხორცშესხმისათვის. ასეთი ფართო დიპაზონის მქონე, თან აქტიურ და სინდისის წინაშე უკომპრომისო მოღვაწეს ვერცერთი საზოგადოებრივი დაჯგუფება და მიმდინარეობა ვერ აუვლიდა გვერდს. ამიტომ ერთთათვის იგი ერთგული თანამოაზრე და წინამძღოლი იყო, მეორეთათვის კი ძლიერი მოწინააღმდეგე. ბევრ თანამედროვეს ისეთი წრფელი გულით უყვარდა, ალბათ სიცოცხლეს არ დაიშურებდა ერის ბურჯად მღვარი მამულიშვილისათვის, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც სხვა მიზნები ჰქონდათ და იცოდნენ, რომ ილიას არსებობა მათთვის დიდი დაბრკოლება იყო. ამიტომაც ჭორების მთელი აბლაბუდა დაქსაქსეს, ათასგვარი ცილისწამება შეთხზეს ილიასათვის სახელის გასატყვნად, მისდამი ნდობის შესასუსტებლად; შემდეგ კი, რაკი სასურველ შედეგს ბოლომდე ვერ მიაღწიეს, ასეთივე დახლართულ-დაქსაქსული, ვერაგული გეგმები შეიმუშავეს მის მოსაკლავად.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთსა და საქართველოში ჩამოყალიბდა ილიას იდეურ მოწინააღმდეგეთა ბანაკი. მათ გადაწყვიტეს მოეკლათ იგი და ამით სამოქმედო ასპარეზი გაეთავისუფლებინათ თავიანთი გეგმების განსახორციელებლად. ხის ნაფოტივით არაფრად ჩააგდეს, მოკლეს და გული მიეცათ გამარჯვებისა. აღშოთებული მიზეზი ჯავახიშვილი მოგონებაში „წიწამურა“ წერდა: „ნ. ჟორდანიამ ილიას თბილი გვაში ერთხელ კიდევ ჩასწიხლა. ილიას რაობა და მისი მოკვლა ოთხი სიტყვით შეაფასა: „Лес рубят щепки летят“ ე.ი. ილია უბრალო ნაფოტი იყო და ტყის გაჭრაში ეს ნაფოტიც მიაყოლესო...“ მაგრამ მალე ცხადი გახდა და მკვლელები თავადაც დარწმუნდნენ, რომ ილიას საქმე, სიტყვა და სახელი ისე ღრმად იყო ერში ფესვგადგმული, რომ მისი მხოლოდ ფიზიკური განადგურება მათი გამარჯვებისათვის საკმარისი არ იყო. ილიას მკვლელობამ, მისმა ლანძღვამ და გმობამ ერის საღად მოაზროვნე ნაწილი უფრო გააღიზიანა და მისი მოწინააღმდეგეებისადმი უნდობლობით განაწყო. ცხადი გახდა, რომ ახლა მთავარი იყო ბრძოლა მის ნაკვალევთან და დაიწყო მწერლის საზოგადო ნაღვაწის და მხატვრული მემკვიდრეობის გაყალიბება.

გარდა იმისა, რომ კრიტიკოსები დამახინჯებულად ხსნიდნენ ილიას თხზულებებს, იბეჭდებოდა მის თანამედროვეთა მოგონებები, რომლებიც მკითხველის ცნობიერებაში მწერლის სახეს მიკერძოებულად წარმოგვიჩინდა. მოგონებათა ავტორები თითქოს სოტბას ასხამდნენ ილიას, მაგრამ ზოგ ისეთ ფრაზას ან ვითომდა რეალურ ფაქტს შეურევდნენ ამ ქებაში, რომ თავიანთ

საქება სიტყვებს ერთთავად აბათილებდნენ.

ამ აღმანიების სიტყვას კი ჰქონდა ძალიან დიდი გავლენა, რადგან ისინი იყვნენ ილიას თანამედროვენი, მასთან დაახლოებულნი და აბა ვის „დაეჯერებოდა,, თუ არა მათ. ცალკე-ცალკე ყველა მოგონების შესახებ არ ვისაუბრებთ, მაგრამ საერთო ტენდენციის წარმოსაჩვენად გავიხსენებთ მისი თანამედროვის და ერთგული თანამდგომის – იაკობ გოგებაშვილის ორ სტატუას იონა მეუნარგიას გამოსვლის შესახებ ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შესახებ. რადგან იონა მეუნარგია არის ავტორი მოგონებათა ერთ-ერთი ასეთი წიგნისა<sup>1</sup>. გოგებაშვილი წერს: „ილიას მეორედ მოკვლა მოიწადინეს. მოკვლა არა ფიზიკური... არამედ სულიერი. ეს უკანასკნელი მკვლელობა, რასაკვირველია, უფრო მძიმეა... ვინ მოიწადინა ეს მეორედ მკვლელობა ილიას? ბატონმა იონა მეუნარგიამ... რა თქვა? თქვენ აღიღებთ და აღმერთებთ ილიას. მაგრამ მე, რომელიც ახლო ვიდექი განსვენებულთან, სხვა აზრისა ვარო და მოგონების სახით მან თურმე დაუგროვა დამსწრე საზოგადოებას ევებერთელა ზეინი ჭორებისა, საიდანაც გამოდიოდა, რომ ილია ყოფილა: ძენწი, გულქვაკვი, ზარმაცი, ბანქოში მფლანგავი თავისი ქონებისა. სოფისტი, ეგონისტი, გამჭყლეტელი მართალი აღმანიისა და თითქმის უნიჭო პუბლიცისტი... ბევრს ძლიერ უკვირს სამარცხვინო საქციელი მეუნარგიასი. ჩვენც გვიკვირს, მაგრამ არა ძლიერ... ნელთბილი კოსმოპოლიტი, უფრო კიდევ ნელთბილი მამულიშვილი იყო. სადამდინ მივიდოდა ეს ნელაბილობა, სჩანს იქიდან, რომ არც ერთს თავისს შვილს ქართული თურმე არ ასწავლა... ასეთს ვაჟბატონს განა შეეძლო შეეგნო და დაეფასებინა ილია ჭავჭავაძე!... მის მიერ დარღვილი თავიდან ბოლომდინ სიცრუით სავსე ჭორია, ამიტომ მისი საქციელი უნდა ჩაითვალოს მიუტევებელ ცოდვად მთელი ერის წინაშე“

„იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის. ეს უმაგალითო მნიშვნელობა დამოკიდებულია ერთის მხრივ ილიას განსაკუთრებულ ნიჭზე, მეორე მხრივ ჩვენი ქვეყნის დაცემაზე.“ გოგებაშვილი აღნიშნავდა, თუ რა დიდი როლი დაეკისრა ლიტერატურას ქვეყნის სულიერი დაკნინების ხანაში და როგორი იყო ამ დროს მნიშვნელობა ისეთი მწერლებისა, რომელთა თხზულებები ზნობითად მწერთნელია და როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე: „ყველა მის უკვდავ ქმნილებაში გაისმის მაღალნიჭიერი ქადაგება უმაღლესი ეთიკისა, საქვეყნო ღვაწლისა, თავდადებულობისა, მაღლისა, სიყვარულისა და ყველა ეს განხორციელებულია საოცარი სიტყვაკაშმულობით.“

მიუხედავად იაკობ გოგებაშვილის და ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოფოთებისა, მოგონებათა ამგვარი წიგნები მაინც იბეჭდებოდა.

საბჭოთა პერიოდის კრიტიკოსთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეწყვიტა

1 იონა მეუნარგია, ილია ჭავჭავაძე. 1937წ.

2 ჟურნ „საქართველო“, 1908წ. №9,11

ილიას ძაგება და დაიწყო ქება, მაგრამ აქებდნენ არა იმისათვის, რაც რეალურად გააკეთა, არამედ მიაწერდნენ მას იმის თქმას, რაც მათთვის იყო ხელსაყრელი და ახალ იდეოლოგიას ესადაგებოდა, თუმც მწერალს ალბათ ფიქრადაც არასოდეს მოსვლია. დაიწყეს მწერლის ნააზრევად თავიანთი შეხედულებების გასაღება. ამასთანავე ზოტბას არ იშურებდნენ მისი მისამართით, რითაც ხალხის გაუთვითცნობიერებელ ნაწილში ახერხებდნენ ამ აზრების გავრცელებას და თავიანთი ავტორიტეტის მოხვეჭას.

მოაქევე და მოწინააღმდეგე ილიას, როგორც ვთქვით. გარდაცვალებამდეც მრავლად ჰყავდა, მაგრამ სანამ ცოცხალი იყო, პასუხს მაინც აძლევდა მათ, ამჯერად კი სიყალბის მქადაგებელთა მამხილებელი არავინ იყო და თუ გამოჩნდებოდა, სახელმწიფო აპარატი თავის ბეჭდვით ორგანოებსა და საინფორმაციო საშუალებებში, რა თქმა უნდა, არ გააჭაჭანებდა.

ილიას თხზულებათა შესახებ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში კრიტიკოსთა გარდა ცუდი როლი ითამაშა მის თანამედროვეთა. განსაკუთრებით კი ამა თუ იმ დარგის სახელოვან მოღვაწეთა მონაწილეობამ. ღღესაც კი ლიტერატურათმცოდნეები თავიანთი შეხედულებების დასამტკიცებლად იშველიებენ არჩილ ჯორჯაძის, ნოე უორდანიას და სხვა ისეთ პირთა აზრებს მის შესახებ, რომლებმაც სხვადასხვა ასპარეზზე თავიანთი მოღვაწეობით პოპულარობა მოიხვეჭეს, თან ილიას თანამედროვეები იყვნენ და პირადად იცნობდნენ მას. ყოველივე ამის მიუხედავად, მათი შეხედულებების უკამათოდ და შეუმოწმებლად მიღება გაუმართლებელია თუნდაც იმიტომ, რომ ილიასა და მათ შორის მწვავე დაპირისპირება იყო სხვადასხვა. უაღრესად პრინციპულ საკითხებში<sup>1</sup> და საეჭვოა, რომ მათ მისი სულისკვეთება და მისი გულის საკრალური საუნჯე ვეროვნად შეეფასებინათ. განსაკუთრებით გაუმართლებელია ამ მოღვაწეთა აზრზე დაყრდნობა ყველაზე პრინციპული და მნიშვნელოვანი საკითხის – მწერლის მსოფლმხედველობის განსაზღვრისას.

არჩილ ჯორჯაძის თქმით, ილიას ნაწერებში გამოვლენილია „ანტიეთოლოგიური სულის განწყობილება“<sup>2</sup>. ამ აზრს ერთგვარ ურყევ საბუთად იყენებდნენ ის მეცნიერები, რომლებიც ილიას მატერიალისტობის დამტკიცებას ცდილობდნენ. მწერლის გარდაცვალების შემდეგ, სამწუხაროდ, სწორედ იმ ცნობილმა პიროვნებებმა და აღიარებულმა კრიტიკოსებმა შესძლეს საზოგადოებრივი აზრის თავისებურად წარმართვა.

1936 წელს გამოცემულ წიგნში – „ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე“, გერონტი ქიქოძემ გამოთქვა აზრი, თითქოს ილია ებრძოდა ასკეტიზმსა და მისტიციზმს და რომ მისი აზროვნება სრულიად

1. იხ. ი. ჭავჭავაძის წერილი „გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიქოლოგია“, თხზულებანი ათ ტომად, ტ.3, გვ.340 და მისი პოლემიკა ნოე უორდანიასთან, იქვე, ტ.6, გვ.241-295

2. არჩილ ჯორჯაძე. ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ.2, თბ.1978

ესადაგება თეოფილ გოტიეს სიტყვებს: „ქრისტე ჩემთვის ამ ქვეყნად არ მოსულა და მე წარმართი ვარ როგორც ალკიბიადე; გოლგოთის მწვერვალზე ვნების ყვაილები არეასოდეს არ დამიკრფუა და არც ოდესმე იმ მღინარეში მიბანაუა, რომელიც ჯვარცმულის მკერდიდან მთელ მსოფლიოს თავს გადაესხა. ჩემს ამბოხებულ სხეულს არ სურს სულის ბატონობის აღიარება. ჩემს ხორცს არ სწადიან თავისი ჯვარცმა“

გერონტი ქიქოძეს საყურადღებო ნაშრომები აქვს დაწერილი ქართული ლიტერატურის შესახებ, მაგრამ მისი ეს შეხედულება ილიას მსოფლმხედველობასთან დაკავშირებით, უსაფუძვლო და ძიუღებელია. ანგარიშგასაწევია ის, რომ წიგნი გამოსულია საშინელი რეპრესიების დასაწყისში, რაც, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად შეზღუდავდა მკვლევარს, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ამიტომ დღემდე სინამდვილის ამსახველად მივიჩნიოთ და განვამტკიცოთ ამგვარი შეხედულება? მწერლის მსოფლმხედველობის განსაზღვრისას უნდა დავეყრდნოთ არა ამა თუ იმ გამოჩენილი ადამიანის პირად მოსაზრებას, არამედ ფაქტობრივ-დოკუმენტურ მასალას, ჩვენს შემთხვევაში მწერლის თხზულებებს და ეპისტოლარულ მემკვიდრეობას. ილიას ნაწერებისათვის თვალის ერთი გადავლებაც კი კმარა, რომ მასში არა გოტიესეული, არამედ სრულიად საწინააღმდეგო სულისკვეთება დაეინახოთ.

გავიხსენოთ ქრისტეშობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სტატია ილიასი: „ჩვენ გვესმის, და ადვილად გამოსაცნობიც არის, რისთვის გვიხარია იესო ქრისტეს შობის დღე, გვესმის ეს დიდი დღე რისთვის არის დიდი, რისთვის არის ყოველწლივ სიხარულით და მლოცვით მისაგებებელი, რისთვის არის სადღესასწაულო დღისა და პატარისათვის. ამ დღეს დაიბადა სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოვლად მოწყალეებისა და ყოვლად მხსნელის სიყვარულისა, ღმერთი ნუგეშის-მცემელი უძღურისა და უღონოსი, დავრდომილთა აღმადგენელი, სნეულთა მაურევებელი, ცოდვილთა შემწყნარებელი, მამურალთა და ტვირთ-მძიმეთა მეოხ-პატრონი და მოწყალეობელი... და საკვირველია განა, რომ ყოველ ამის შემდეგ ყოველ-წლივ იესო ქრისტეს შობის დღეს დიდებით ვადიდებთ, ერთმანეთს სიხარულით ვულოცავთ, ვმხიარულობთ და თვითოეულის გული მოწყალეებისათვის და მადლისათვის სძებრს.“ შევადაროთ ილიას პუბლიცისტური წერილის ეს მონაკვეთი გოტიეს სიტყვებს: „*ქრისტე ჩემთვის ამ ქვეყნად არ მოსულა...*“ გავიხსენოთ თუნდაც ილიას მეორე სტატია 1887 წელს ამავე დღესასწაულისადმი მიძღვნილი: „ამ დღესთან ერთად მოეფინა ქვეყნიერობას ნათელი ჭეშმარიტებისა და ხორცისაგან ძღუელი სული აღმობრწყინდა მთელის თავის საოცარის მშვენიერებითა...“

„არა. ბუნებაში ღმერთს არ შეუქმნია მაღალი და მდაბალი საგანი,

ყოველი საგანი მაღალია თავის კვალობაზე და ერთნაირად მოგვითხრობს იმ დიდ სულზე, რომელიც აცხოვრებს მთელს ქვეყანას“ წერდა ილია სტატიაში „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“ და ამ სიტყვებში აშკარად ჩანს ქვეყნის შემოქმედის – ღვთის თავყანისცემა და არა კერპებისა.

მნიშვნელოვანი რამ, რითაც უდავოდ იცნობა ქრისტიანული მსოფლმხედველობა, არის სინანული, რომლის აუცილებლობისაკენ მოწოდებასაც ეხედებით ილიას არაერთ სტატიაში: „დადგა მარხვა სინანულისა, მოვიდა დღე განკითხვისა... ეს იმისთანა განკითხვაა, საცა თითონ ბრალეული თავისის თავის გამკითხველია და მსაჯული... აქ მხოლოდ ის არის საჭირო, რომ კაცმა თავისი ცოდვები ჩამოთვალოს და სთქვას: ვინანიო. რაკი ვერეა, ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილ-უბრალოდ არ გააქარწყლოს... რასაკვირველია, ამ საჭიროების აჩენასაც თავისი შესაფერი ღონე უნდა სულისა. ვისაც ეს ღონე არა აქვს, ის, ჩვენის ფიქრით. მწევრია და არა კაცი...“<sup>1</sup> წარმოდგენილია, რომ ამ სიტყვების ავტორს თავად არ ჰქონოდა სინანული. სხვა წერილში ილია გულისტკივილით აღნიშნავს თავის თანამედროვეებზე: „სინანულისა და განკითხვისათვის აღარც გული გვაქვს გულის ადგილას და აღარც ჭკუა ჭკუის ადგილას...“<sup>2</sup> როგორც ეხედაეთ. მწერალი საოცრად ღრმა და სწორ გაგებას ავლენს სინანულისა, რომლის ქადაგებითაც ამზადებდა იოანე ნათლისმცემელი ხალხს ჭეშმარიტი მესიის მისაღებად და რომლის შესახებაც თვით მაცხოვარი ბრძანებს: „გეტყვი თქვენ ესრეთ იყო სიხარული ცათა შინა ერთისათვის ცოდვილისა, რომელმან შეინანოს. ვიდრეა არა ოთხმოცდა ათცხრამეტთა მათ მართალთა, რომელთა არა უხმს სინანული.“ (ლუკა 15,7) განა ჩანს ილიას სულისკვეთებაში რაიმე არაქრისტიანული, მაგალითად წარმართული? თეოფილ გოტიე ხომ ამბობს: „მე წარმართი ვარ როგორც ალკობიადე...“ როდის იყო, წარმართები სინანულს ქადაგებდნენ. მოვიგონოთ ილიას პოეტური ციტატა:

„...რომ თათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან, გთხოვდე: .მუენდე – არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“

რომელიც გამოძახილია გოლგოთაზე ვნებული მაცხოვრის მიერ წარმოქმნილი სიტყვებისა: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან.“(ლუკა 23,34)

გავიხსენოთ ილიას სიტყვები მაცხოვარზე: „ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანა ჩვენი ქვეყანა: იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად. რომელიც დღეს აქამომდე არ გააქრალა და არც გააქრება, მინამ არ გააქრება თვითონ ქართველიცა. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის ეწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა. მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს

1. ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“ რჩეული საწერები ხუთ ტომად, ტ.5. გვ. 326  
ი ჭავჭავაძე, „საახალწლოდ“, რჩეული საწერები ხუთ ტომად, ტ.3. გვ. 376

საბედნიეროდ აქვს მონიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზედ. სუმიეტი საუკუნე გულ-გაუდრეკლად ატარა თავ-პირ-ღასისხლიანებულმა, ჩვენს ღრმედ შეუწიკვლელად მოიტანა და ტანჯულმა და წამებულმა ჩვენ – შვილებს გადმოგვცა, ესლა თქვენ იცითო“, წერს ილია და ნუთუ ვინმეს სჯერა. რომ ილია ამ გვირგვინზე იტყოდა უარს? იქვე ვკითხულობთ: „ეკლის გვირგვინია, მაგრამ თვალ-მარგალიტით მორთულს გვირგვინს რითი ჩამორჩება? გვირგვინი წამებისა ჭეშმარიტებისათვის, კაცთმოყვარეობისათვის. გვირგვინი წამებისა მამკრალთა და ტვირთმძიმეთა ნუკეშისათვის, გვირგვინი წამებისა ერთმანეთის ძმურად და სიყვარულით განკითხვისათვის. მშვიერთა, მწყურვალთა, სნეულოთა. საპყართა და პატიმართა შეელისა და ხსნისათვის, ობოლთა, ქვრივთა, უპატრონოთა შეწყნარებისათვის – ნუთუ ეს იგივე თვალმარგალიტები და უფრო უკეთესნიც არ არიან?.. დიდი წამება იგივე დიდი გამარჯვებაა...“<sup>1</sup> წმინდა ლუარსაბ მეფისადმი მიძღვნილ წერილშიც ასეთივე აზრი იკითხება: „მხოლოდ დიდებუნიანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ იავეისი ცხოვრება და თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თვისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე...“ გაიხსენოთ აგრეთვე ილიას სხვა სიტყვები: „ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სიერი“ და შევადართო ყოველივე ეს გოტიესულ ფრაზას: „ვოლკოთის მწვერვალზე ვნების ყვაილები არასოდეს დამიკრეფია.“ კონტრასტი აქაც საესებით ამკარაა.

გადაუსვლოთ გვირგვინი ქიქობის მიერ მოხმობილი ციტატის სხვა სიტყვებს: „...ჩემს ამოხებულ სხეულს არ სურს სულის ბატონობის აღიარება...“ და შევადართო ილიას ღირიკულ ციტატას:

„ცხოვრებას აცისკროვნებს  
სული, საქმით მეტყველი  
და ის უბოლო არის,  
ვით სულის შთამბერველი.“

შეიძლება, რომ ხორცის განდიდება და სულის დაკნინება დაეწამოთ ადამიანს, რომელიც ამბობს. რომ უკეთეს და უდიდეს კაცთ ქვეყნიერებაზე ხორციით დაბერებულებსაც კი სული და გული არ უბერდებათ, რადგან ხორცის მბრძანებლად ხდიან მას და ხორცს არ გააღახვიანებენ „ზეგარდმო მადლით შუქმოფენილ“ თავიანთ სულსა და გულსო?“ სულსა და ხორცს შორის თუ რომელს ანიჭებდა უპირატესობას მწერალი, კარგად ჩანს მის სხვა სტატიებშიც.

1883 წლის აგვისტოს შინაურ მიმოხილვაში (საცენზურო ცალში) ვკითხულობთ, „ხალხს და ერს მხოლოდ ხორციელის ცხოვრების ნატკრა პქონდა... აღიარების ახსოვდა მაშინ, რომ ამ ქვეყანას ჰყოლია... მხნე მიუშაქნი... ეს უკანასკნელნი მათსავეთ ძვირად არ აფასებდნენ თავიანთ თავს. თავიანთ ხორცსა და ამ ხორცის მხოლოდ ხორციელს არსებობას. უსულოდ. უგულოდ.

1. გაზ „ივერია“, 1888. № 9

ქვეყნისათვის თავგამოუღებლად, მისთვის თავშეუწუხებლად...“

გავიხსენოთ ვოტის ფრაზა: „...ჩემს ხორცს არ სწადიან თავისი ჯვარცმა...“ და შევადაროთ ილიას ნათქვამს: „საქართველოს ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიბნევა იგი ჯვარი პატიოსანი ჯვარ-ცმულის ღმერთისა და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყეინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი.“ ნუთუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ როცა მთელი ერი ჯვარს ეცვა, ილია იტყოდა, ჩემს ხორცს არ სწადიან თავისი ჯვარცმა? სწორედ რომ თავდადება, თავისი თავის სხვათა სანაცვლოდ გაშეტება იყო ილიას სულისკვეთება და ამანვე ათქმევინა ლექსში „ჩემი თარიარალი“ – „ეემსხვერპლოთ ქრისტიისა მცნებას...“

სხნებულ წიგნში გერონტი ქიქოძე წერს: „თუმც ილიას უახლოესი თანამშრომელი და პირველი ბიოგრაფი გიგა ყოფშიძე გვარწმუნებს, ბავშვობაში ის ბერად შედგომაზე ოცნებობდაო. შემდეგ არც თავის აზროვნებაში, არც თავის ბუნებაში არაფერი გამოუმჟღავნებია განდევნილობის შესაფერიო.“ დაუფიქრდეთ. არის თუ არა დამაჯერებელი გრიგოლ ყიფშიძის ნათქვამი ილიას ბავშვობასთან დაკავშირებით და მისაღება თუ არა გერონტი ქიქოძის უკუიერი მოსაზრება შემდგომ პერიოდში მისი აზროვნებისა და ბუნების შესახებ.

ილიას ჭაბუკობისდროინდელ ლექსში „ჭაბუკობაზედ“ არის ასეთი სიტყვები:

„იმისთვის გეტყვიო. რაც აქა ბრწყინავს,  
ხვალ დაბნელდების, ამ სოფელს ბრუნავს,  
თქვენ ის ეძებთ, რისთვის ბერი ძრწუნავს,  
სამოთხეს პოებთ, მუნ ბნელიც ბრუნავს...“

მსგავსი სულიერი განწყობა ჩანს ამავე პერიოდის უსათაურო ლექსშიც: „დაღონებული, არ ვიცი რაზედ...“

„სიამოვნით სრულსა მოძეცა ღზენა,  
მაშინ ატოკდა ეს ჩემი ენა,  
ატოკდა, ღმერთი ეგრეთ ახსენა:  
ღმერთო, გადიდებს ქვეყანა შენა.“

ჩვენამდე ილიას ცხოვრების ადრეული პერიოდის თხზულებებიდან მხოლოდ რამდენიმე ლექსმა მოაღწია და მათზე დაყრდნობით, როგორც ვხედავთ, სავესებით დამაჯერებელი ჩანს გრიგოლ ყიფშიძის ნათქვამი ილიას სულიერი მისწრაფებების შესახებ. ღირიკა ამ მხრივ საიმედო დასაყრდენია. ვახტანგ კოტეტიშვილი ავლებს რა პარალელს პოეტის ღირიკულ და ეპიკულ ნაწარმოებებს შორის, წერს: „ილია ჭავჭავაძის ღირიკულ ლექსებში იგივე ხმები ისმის, რაც მის ბელეტრისტულ ნაწარმოებებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში იგი სხვათა სახით აპიროვნებდა თავის ფიქრებს თუ განცდებს, ღირიკულ ლექსებში კი თვით რჩება თავის თავთან და გვაგებინებს იმ დრამას, რომელიც მის არსებაში სწარმოებდა...“ როგორც ვხედავთ, ამ



ფიქრებს, განცდებს და სულის მოძრაობას არაფერი აქვს საერთო არც თუფილ გოტიესთან და არც მატერიალიზმთან.

რაც შეეხება ილიას ცხოვრების შემდგომ პერიოდში მის მსოფლმხედველობას, უნდა ითქვას, რომ ღრმა ქრისტიანული რწმენა ამ წლების თხზულებებსაც აშკარად ეტყობა. პოეტის რამდენიმე ლექსი პირდაპირ მიმართავს ღვთისადმი – ლოცვაა. ორ მათგანს ასეც ჰქვია – „ლოცვა“. მაგრამ ამას გარდა არსებითად ასევე ლოცვას წარმოადგენს მაგალითად ლექსი „გ. აბხ.“ ისიც მთლიანად ღვთის ედერების სახითაა დაწერილი. სამივე სტროფი იწყება ღვთისადმი მიმართვით:

„ღმერთო! აკურთხე ამ ყრმისა ძალნი...“

ღმერთო! მოჰმადლე მადლი ზეცისა...“

ღმერთო! თან სდედე უსუსურს ბაშვსა...“

განსაკუთრებით საყურადღებოა „არდილისეული“ ლოცვა ღვთისმშობლისა და ღვთისადმი:

„ღედაე ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ზეცერია...“

შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა...“

„ძლიერო ღმერთო! შენთვის ჰბრძოდნენ ქართველისა ძენი დასაბამითვე არ იციან, რა არს მშვიდობა.“

იკმარე საღმრთოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძრეენი,

თუ რამ შეგცოდეს, – შეისყიდეს ტანჯუით შენდობა.“

მართალია, პოემაში ამას თითქოს წარმოთქვამს მყინვარზე მდგომი არდილი, მაგრამ პოემა მთლიანად აგებულია ლირიკულ განცდებზე, რასაც პირდაპირ გვიდასტურებს ტექსტის ადრეული ვარიანტის ეპილოგში ავტორის სიტყვები:

„გულში ვფარავდი რა ტკბილსა იმედს,

მის აღსრულებას ვავედრებდი ღმერთს,

მე შეეტიროდი ჩემს ქვეყნის ბედსა

და მშიშარს კალამს ვანდობდი ცრემლსა“ –

ამრიგად სრულიად დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს თვით ავტორის ედრებაც არის ღვთისადმი.

ამდენად, ილიას ცხოვრება და შემოქმედება არავითარ საბუთს არ გვაძლევს დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, რომ ჭაბუკობაში ბერად შედგომა ჰქონოდა განზრახული. მართალია, ის არ გახდა ბერი, საერო მოღვაწეობის ჯვარი იტვირთა მაგრამ ეს არსებითად იგივე ჯვარი იყო, იმავე სიყვარულით ნატვირთი და ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას საერო მოღვაწეობა სასულიეროზე უპირატესად მიაჩნდა და ამიტომ შეცვალა გადაწყვეტილება. ეს ისეთი რთული საკითხია, რომელზედაც პასუხი თითოეული ადამიანის ინდივიდუალური ბუნების წიაღში ძევს და სხვათათვის მიუწვდომელია. მთავარი არის ის, რომ მან მის მიერ აღებული ჯვარი ბოლომდე პირნათლად ატარა.

სამწუხაროდ, ვერც კომუნისტური რეჟიმისაგან შორს მყოფ ქართველ ემიგრანტთაგან ყველამ ვერ შესძლო ილიას შემოქმედების და მისი

მსოფლმხედველობის სწორი შეფასება. შალვა კალანდაძე სტატიაში „ილია ჭავჭავაძის რელიგიის ფილოსოფიაზე“<sup>1</sup> წერს; „ილია ჭავჭავაძემ კარგად იცის, რომ სახარება სრულიად არ იძლევა რეკომენდაციას ცხოვრების ლოცვა-ვედრებაში გატარებისას, სრულიად არ გვასწავლის თითქოს ხსნა შეიძლებოდეს განმარტოებული ლოცვით.“ ვერ ვიტყვით, საიდან არის გამოტანილი ამგვარი დასკვნა, რადგან იგი აბსოლუტურად არ შეესაბამება ჭეშმარიტებას და კონკრეტულად არც ილია მართლის მრწამსს.

ილიას მსოფლმხედველობამ რომ ქართველი კაცი დააფიქროს, გასაკვირი არ არის, პირიქით ასეთი მწერლის თხზულებებში ჩაღრმავებით მარტო კრიტიკოსები არ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, რადგან მას ქართველი ერისათვის ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, რატომღაც, საბჭოთა პერიოდის ცნობილი მოღვაწენი, ამა თუ იმ დარგის გამოჩენილი სპეციალისტები, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გამუდმებით იმეორებდნენ ერთსა და იმავე აზრს – ილია მატერიალისტი იყო. მათ, ისევე, როგორც ზემოხსენებულ კრიტიკოსებს, არგუმენტაციას ამ აზრის დასაბუთებლად არავენ თხოვდა, რადგან ეს იყო ის პოზიცია, რომელიც აწყობდა გაბატონებულ იდეოლოგიას. ამით მკითხველზე ერთგვარი ფსიქოლოგიური ზემოქმედება ხდებოდა. ბევრი შემახილით ხეც განმზებარ ნათქვამია და საზოგადოების დიდი ნაწილის ცნობიერებაშიც ამგვარი „შემახილებით“ დამკვიდრდა შეხედულება, რომ ილია ათეისტი იყო, რომ მის თხზულებებში ათეისტური იდეებია ნაქადაგევი, რომ თუ გვინდა ჩვენც ისეთივე მამულიშვილები ვიყოთ. ჩვენც ამ იდეოლოგიაში უნდა ვეძიოთ ჭეშმარიტება.

მხატვრულ ნაწარმოებს იგავური ფორმა აქვს, იგავი კი გადაკრული ნათქვამია და ამიტომ ლიტერატურის მკვლევარისათვის შეუძლებელი არ არის. რომ ზოგი რამ თავისებურად წარმოუდგინოს მკითხველს. ასეც ხდებოდა...

მართალია, საბჭოთა პერიოდში ილია ჭავჭავაძის წიგნები აკრძალული არ ყოფილა და თითქოს პოპულარიზაციაც კი ხდებოდა მათი, მაგრამ იმ მკვლევართა და კრიტიკოსთა ნაშრომების დიდი ნაწილის მეშვეობით, რომლებიც წლების მანძილზე იწერებოდ მის შესახებ და ისწავლებოდა საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებლებში, ქართველი მკითხველი სულიერად უფრო ჩამოშორდა ილიას შემოქმედებით ნააზრევს და მისი სიტყვის ჭეშმარიტ მადლს. ასეთი იყო საკვალალო შედეგი მისი თხზულებების მცდარი ანალიზისა და მსოფლმხედველობის არასწორი შეფასებისა. ზოგ კრიტიკოსს არ მოსწონს, რომ გაზიარდა ილიას მხატვრული მემკვიდრეობის იდეალიზმისა და ათეოლოგიის პოზიციებიდან განხილვის ცდები და წუსს, ხელიდან გვიქრება პოზიტიური მნიშვნელობა ფილოსოფოსთა, სოციოლოგთა, ესთეტიკოსთა, ეთიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეთა მხრივ ილიას მსოფლმხედველობის მატერიალისტური შინაარსის მტკიცებისაო. ის, რომ ამდენი დარგის მეცნიერები წლების მანძილზე

1. „ილია ემიგრანტთა თვალთ“, თბ. 1997, ტ. I. გვ. 198

ამტიციებდნენ იმას, რასაც ძირშივე უარყოფს ილია ჭავჭავაძის სიტყვა და საქმე. თავისთავად სამწუხარო ფაქტია, მაგრამ სწორედ მათი სიმრავლის გამო და ტყუილის მართლად წარმოჩენით დაკარგული ერთი საუკუნის გამო, მით უფრო უნდა ითქვას სიმართლე. როგორც რუსთველი გვასწავლის; „ქმნა მართლისა, სამართლისა ზესა შეიქმს ხმელსა ნელლად.“

გადახედოთ იმ მწირ მტიციებებს, რომელთა მეშვეობითაც ცდილობენ კრიტიკოსები ილიას მატერიალისტობის დამტიციებას.

გამოთქმულია აზრი: ილია „თავისუფალია უზენაესის რელიგიური რწმენისაგანო.“<sup>1</sup> ამის დასასაბუთებლად კი მოშველიებულია ასეთი რამ — „მამათა“ და „შვილთა“ პაექრობისას გრიგოლ ორბელიანმა შეიღოთა ბანაკს ურწმუნოებაში დასდო ბრალიო. ეს ფაქტი არგუმენტად ნამდვილად არ გამოდგება, იმიტომ, რომ ეს ბრალდება სავსებით დამაჯერებლად უარყოფითი ილიამ თავის საპასუხო ლექსში „პასუხის პასუხი“, რომელშიაც აშკარად გამოიკვეთა მისი რწმენის არსი და „ჯვარცმული ღმერთის“ — ქრისტე მაცხოვრის სახე. ამის უარყოფა და ილიასეული რწმენის მოწყვეტა მამაპაქეული მართლმადიდებლური სარწმუნოებისაგან ყოვლად გაუმართლებელია. ხსენებულ ლექსში კეთილხელობთ:

იმით თამამობთ,  
რომ ბეზღით გეწამობთ  
ურჯულოებას, ღეთის უარყოფას?..  
ხოლო გეწამს ღმერთი —  
უქმთა წარმწყმედი.  
ტვირთმძიმეთა და მასურალთა მხსნელი,  
ღმერთი ტანჯულთა,

ღმერთი ჩაგრულთა,  
ღმერთი უძღურთა  
შემწყნარებელი:  
ყოველთა ძმობის,  
თანასწორობის  
მოძღვრებისათვის  
ქვეყნად ჯვარცმული.“

განა ეს ლექსი იმის საფუძველს გვაძლევს, რომ ურწმუნოებაში დავდლოთ ბრალი მის ავტორს? ნუთუ სავსებით ცხადი არ არის, რა სულისკვეთებით არის იგი დაწერილი და ვინ იგულისხმება „ფარისეველთა, სადუკეველთა გამკიცხველ“ და მამხილებელ ჯვარცმულ ღმერთში? განა არის აქ მწერლის ნათქვამში რაიმე ბუნდოვანება და არ ჩანს მისი მტიციე სარწმუნოებრივი პოზიცია?

ერთგან რომანტიკოსი პოეტების შესახებ ილია წერს, „ცას შეაყურებდნენ საიდანაც მოელოდნენ საუკუნო განსვენებასო.“ ზოგიერთ ლიტერატორს ეს ისე ესმის. თითქოს შემოქმედი იმ მწერლებს აკრიტიკებდეს „ცის თვალშეჩერების“ გამო. პირიქით. ილია ერთთავად იმას ამბობს, არა მარტო ერთეულების, საერთოდ ადამიანის მზერა არის მიმართული ცისკენ, რადგან შეტყობა იმისა, თუ რა არის ცაში, ან ცის იქით, მუდამის წყურევით შესატყობარი

1. ზ. დობორჯგანიძე, „ეთიკურისა და ესთეტიკურის ერთიანობის მსოფლმხედველობრივი საფუძველი ილია ჭავჭავაძის ნააზრევსა და შემოქმედებაში. გვ. 54

არის „ერთობ ადამიანისთვისო.“<sup>1</sup> თუ რა აზრი უნდა იყოს აქ გატარებული, ეს ნათლად ჩანს თუნდაც დიმიტრი ყოფიანისადმი მიძღვნილი ერთი სტატიაიდან, რომელშიც აღწერილია ბავშვობაში მისდამი უსამართლო დამოკიდებულების რამდენიმე შემთხვევა. ილია წერს: „რაც სხვას პირველშივე გაანადგურებდა. პირქვე დაამხოვდა. იმან დიმიტრი ყოფიანი გაამაგრა. ფეხზედ უფრო მკვიდრად დააყწა. ზე აახედა...“ როგორც ვხედავთ „ზე ახედისადმი“ ილიას აქ უარყოფითი დამოკიდებულება არა აქვს და სხვაგანაც „ცის თვალშეწიერებას“ ასეთივე შინაარსი ექნებოდა.

ცოცხალმა ადამიანმა უთუოდ ცას უნდა უყუროს სასიკვდილის თვალისა, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს. რომ ჯერ ამქვეყნიური ცხოვრება აქვს გასაღებული. რადგან ცის სასუფეველის დამკვიდრებას დამსახურება სჭირდება. წუთისიფლის ვალის პირნათლად მოხდით. ამიტომ, ილიას აზრით, როგორც ჩანს, ცის მინერება კი არ არის ცუდი, არამედ მხოლოდ ცის მინერება და უმოქმედ-უზრუნეულობა — კაცი ყველაფერს რომ ღვთისაგან ითხოვს და თავად თავის ადამიანურ მოვალეობას არ ასრულებს.

ამბობენ ილიასთან ვერსად ნახავთ, რომ „ცხოვრების გარდაქმნა-განკარგების იმედს ღმერთის კეთილ ნებასა და სურვილზე ამყარებდესო,“ ილია კი გარკვევით წერს: „ღმერთი არის სიყვარული და სიყვარული მხსნელია ქვეყნისა.“

ადამიანზე ღვთის ზრუნვა უპირველეს ყოვლისა ჩანს იქიდან. რომ ღმერთმა იგი თავის „ხატად და მსგავსად“ შექმნა. სული შთაჰბერა და ღვთაებრივი სრულყოფილებისაკენ სწრაფვა დაუსაზა მიზნად. ამ ბიბლიურ ფაქტს ილია უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ხშირად იხსენებს თავის თხზულებებში. ლექსში „როდემდის“ ვკითხულობთ:

„ძრწოდე, სულელო! ნუთუ ქრისტის არ სცნობ სიტყვათა,

ნუთუ შენს თავსა, მტკრათა შექმნილს, პხედავ კვლავ მტკრათა

და შენს სიცოცხლეს, ამ უკვდავ ნიჭს — მტკრის თანამგზავრად?

რომ მარტო მისთვის იგი არ გვაქვს, ქრისტემ სთქვა ცხადად...

ნუთუ არ იცი, რას გამცნებდა ღმერთი ჯვარცმული,

როს ბძანა: „ვითა მამა ზეცის, იყავ შენც სრული.“

ეს არის წყალობა ღვთისა და საწყაო ადამიანის ადამიანობისა.

ღმერთმა რომ ადამიანის ურჩობის, მისი ცოდვით დაკემის შემდეგაც არ დაივიწყა იგი, ამას ყველაზე ნათლად ის მეტყველებს, რომ მისი მხოლოდშობილი ძე შესწირა კაცობრიობის გამოხსნას ცოდვის ტყვეობისაგან. 1887 წლის 9 ივლისის სტატიაში ვკითხულობთ: „ყოვლად მოწყალე ღმერთი თავის დანაბადს ქვეყანას თვითივე არ დააქცევს. ღმერთი ქრისტიანობის შურისმაძიებელი ღმერთი არ არის, იგი კაცთმოყვარეა და ამის დასამტკიცებლად

1. ი. ჭავჭავაძე. წერილები ქართულ ლიტერატურაზე, თხზულებათა აკად. გამოც. ტ.5, გვ.537

ძე თვისი საყვარელი გამოგზავნა ქვეყნად ქვეყნის სახსნელად და მან ბეზან ღვთისამან განტეხა ხორცი თვისი და დაანთხია სისხლი თვისი მისატყეებლად ცოდვათა.“

ეპისკოპოსი ალექსანდრე „მართლმადიდებლურ კატეხიზმომი“ წერს: პირველ ადამიანების დაცემის შემდეგ ადამიანი შეიცვალა, თორემ ღმერთი და ღვთის საყვარელი უცვლელია. და ღმერთიც მოდის თავისი დაცემული ქმნილების საშველად... „ადამიანისათვის დაბრუნებული ეს ხე ცხოვრებისა არის ჯეკარი უფლისა – ხე სამსხვერპლო საყვარულისა.“ ამ უდიდეს წყალობას, ამ უდიდეს მსხვერპლს უფლისას, მისი ჯეკარცმის ფაქტს ილია ძალიან ხშირად გვახსენებს როგორც ღირიკულ, ისე ეპიკურ და პუბლიცისტურ თხზულებებში.

ღვთის საყვარულს, მის კეთილ ნებას იგი ყოველთვის გრძნობს და ამიტომ კი არ ეურჩება უზენაესის განგებულებას, არამედ ემორჩილება. იხილეთ მისი ორი ლექსი სათაურით „ლოცვა“:

„მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა,  
მუხლმოდრეკილი, ღმობიერი ედგაეარ შენს წინა;..  
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,  
არ მინდა ამით შეურაცყო მე ლოცვა წმინდა...  
არამედ მსურს მე, განმინათლდეს ცით ჩემი სული,  
შენგან ნამცნების საყვარულით აღმენტოს გული  
„...მაგრამ თუ, ღმერთო, შენ ღვთაებას სურს,  
რათა გამოცდა მით ქჷონდეს ჩემს სულს,  
განქჷრნენ შენ ზმასთან სურვილნი ჩემნი  
და იყვენ ნება, უფალო, შენი!“

ამიტომ, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ილიას შემოქმედებაში არ ჩანს ღმერთის ზრუნვა ცხოვრების გარდაქმნა-განკარგებისათვის, ეს უფლის კეთილი ნების უარყოფად კი არ უნდა მიიჩნიოს და ამის გამო ილიას ღვთის უარყოფლობა კი არ უნდა დასწამოს, არამედ უნდა ახსნას იმით, რომ ილიასათვის, როგორც ჭეშმარიტი მორწმუნისათვის ამქვეყნიური ცხოვრების გარდაქმნა-განკარგებაზე უფრო მნიშვნელოვანი ადამიანის სულიერების ამაღლება, მისი ზნეობრივი და სულიერი განწმენდაა, რაც მას მარადიულ ცხოვრებას მოაპოვებინებს.

საინტერესოა ამ მხრივ ეპისკოპოს ალექსანდრესადმი ილიას სიტყვა, რომელშიაც ვკითხულობთ: „უღონობა ქვეყნისა მარტო უფულობა და უქონლობა კი არ არის, როგორც ეს ბევრსა ჰგონია, არამედ, უფრო ისა, როცა სათნოებანი, კეთილ-მოქმედი, მაღალ ზნეობის კაცი არა ჰყავს. სიმაგრე ქვეყნისა, ქვეყნის ძალ-ღონე, ერის შემნახველი და გამდიდებელი ქჷთიკირი ადამიანის ცხოვრებისა მარტო სათნოებაა და მარტო სათნოებანი კაცი ქჷმნის ამ წუთისოფელს ტაძრად, სადაც ღმერთს აღიდებენ, და სამოთხედ, საცა ბედნიერება ადამიანისა ქსადგურობს.“

ილია, ისევე, როგორც ნებისმიერი ერისკაცი, უბრალო, ცხოვრებისეული საკითხებითაც იყო დაკავებული, მაგრამ მთავარი საზრუნავი მისთვის მაინც

სული იყო და არა ხორცი და მხატვრულ შემოქმედებაშიც უფრო სულიერი მისწრაფებები და განცდები აქვს ასახული, ვიდრე ყოველდღიური – ყოფითი. მორწმუნე კაცისათვის მთავარია სულიერი საზრდო და არა ყოფითი ცხოვრების განკარგება. უსახლკარო, მშვიერ-მწყურვალე ლატაკიც კი ილიასთან აღიღებს ღმერთს იმისათვის, რომ უფლის ტაძარში მასაც აქვს ადგილი, იხ. ლექსი „მოთქმა საწყლისა.“

ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით ილიას ნაწერებში ვერ შეხვდებით ვერც იმის დამადასტურებელ ფაქტს, რომ წუთისოფლის მძიმე ტვირთის მოხსნის იმედს მწერალი საიქიო სასუფეველში ხედავდეს, ილია კი ქრისტიანულ მოძღვრებას „კაცთა ხსნისა და მაცხოვარების...“ მოძღვრებას უწოდებს. 1887 წელს გამოქვეყნებულ სააღდგომო სტატიამი ვკითხულობთ: „რით მოგვანიჭა ცხოვრება მკვდრეთით აღდგომილმა ღმერთმა ქვეყანაზედ მოვლინებულმა ვითარცა ჭეშმარიტი ძე კაცისა?... რა საცხოვარი ძალი იყო ესოდენ ძლიერი, რომ მკვდარი სული მკვდრეთით აღადგინა? ეს იყო და არის მარტო ერთი მცნება, რომელიც ფეხვად გაედგა, საძირკვლად დაედვა მთელს მშვენიერს. დიდებულს, მართლად ცხოვრების მომნიჭებულს მოძღვრებას ქრისტესას: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.“ აი, მხსნელი კაცობრიობისა. აი, მაცხოვარი! ამას გარედ ადამიანს შეულა არა აქვს, თუ უნდა, რომ კაცად, ღვთის სახედ და მსგავსად დარჩეს.“

ილიას აზრი იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ კარგად ჩანს მის პირად წერილში ნენე დიმიტრის ასულ ანდრონიკაშვილისადმი, რომელიც 1858 წლის აგვისტოშია დაწერილი. ელენე და ილიკო ჩოლოყაშვილების მცირეწლოვანი ქალიშვილის დალუპვასთან დაკავშირებით ილია წერს: „თუმცა ყველა ჩვენგანი დარწმუნებული არის, რომ საიქიო უფრო ტკბილია თავის განუსაზღვრელ ნეტარებით, ნუგეშით და სიწმინდით... მაინც დედა შესაბრალისია შეილის საუკუნო განმორებაზედ...“ საიქიო ცხოვრების შესახებ მწერლის შეხედულება ასახულია „აჩრდილის“, ადრეულ ვარიანტშიც:

„ნუთუ იმ ქვეყნით შენ ხარ მოსული,  
სადაც მშვიდობა, ნუგეში ცხოვრებს,  
ანგელოზთ დასი ღვთაებას ჰგალობს?  
ნუთუ მუნით ხარ წარმოგზავნილი,  
რომ ჩემი ხალხი, აწ დაერდომილი,  
გამოაღვიძო ღვთიური სიტყვით...“

ლექსში „ლოცვაც“, სადაც მწერალი შენდობას ითხოვს თავისი მტრებისათვის, ფაქტიურად ჩანს აღიარება უფლის სამსჯავროს, სამოთხისა და ჯოჯოხეთისა.

„ბუნება წმინდა სანთელია იმათ ხელში. რასაც უნდა იმას გამოახატენებენ;  
ბუნება თუ არის მშვენიერი. – იმათ გრძნობის მიხედვით: ის, როგორც

1. 1887 წლის საშობაო სტატია გაზ. „ივერიაში“

ობიექტი არ არსებობს მათთვისო“, – წერს ილია ქართველი რომანტიკოსების შესახებ. ზოგიერთმა კრიტიკოსმა ეს ისე ახსნა, თითქოს ილია ამ სიტყვებით „უპირისპირდება ბუნების, როგორც ობიექტური რეალობის, იდეალისტურ-თეოლოგიურ უარყოფას.“ ჩვენი აზრით, აქ უბრალოდ აღეგორიულ მხატვრულ ხერხებზეა საუბარი და არა იდეალისტურ-თეოლოგიური შეხედულებების გამოაზე და მწერალს იმის თქმა უნდა, რომ ჩვენი დიდი რომანტიკოსი პოეტები, რომლებსაც ის დიდად აფასებდა, ბუნების მხატვრულ პოეტურ სახეებში თავიანთ განცდებს გამოხატავდნენ. სიტყვებით: „გაათბობს თუ არა (ბუნებას) თავის გულის ცეცხლითა, იმას გამოსახავს ზედ, რაც თითონ უგრძენია და არა იმას, რაც თვით ბუნებაშია, როგორც აუცილებელი თვისება მისი“, ილია კი არ აძაგებს „ციხის“ ავტორებს, არამედ ხოტბას ასხამს მათ მხატვრულ-ოსტატობას და თავადაც, საკუთარ თხზულებებში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ფართოდ მიმართავს ამ ნაცად მხატვრულ ხერხს ალგორიზაციისას.

გამოთქმულია აზრი: „უმაღლეს პოეზიასა და ფილოსოფიას სამოციანელთა მეთაური საღმრთო წიგნებში კი არ დაეძება, არამედ რეალური ცხოვრების სიღრმისეული პროცესების კონკრეტულ-ისტორიული ანალიზიდან გამოქიქნდაო.“<sup>1</sup> სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებს ილიას წერილი „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“, რომელშიაც ვკითხულობთ: „უეჭველია, ძრიელ გონიერად იქცევა ისა, ვინც მუდამ ჟამს კითხულობს საღმრთო წერილსა. იმის წამკითხავი ორნაირად არის სარგებლობაში, პირველად: შეისწავებს ღვთის ვედრებასა და რამდენსაც მომატებულად კითხულობს, იმდენად მკვიდრად დაინერგება იმის გულში სარწმუნოება ქრისტესი; და მეორედ; იქ შეხვდება მრავალ ნამდვილ ქართულ სიტყვასა, რომელნიც ამჟამად ბევრნი მათგანნი აღარ იხმარებინან საერო ლაპარაკში...“ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების განხილვისას ილია მოწონებით აღნიშნავს, რომ მან „სრულიად განდევნა სპარსული კილო და მითოლოგიური სახელებით აჭრელება სიტყვიერებისა.“<sup>2</sup> აშკარაა, რომ მისი აზრით თვით კილოსა და სიტყვის შერჩევამაც მეღავენდება ავტორის სულისკვეთება. ილიას თხზულებები ამ მხრივაც ქრისტიანულ საძირკველზეა.

პროფესორ სპირიდონ ვირსალაძის ნაამბობის მიხედვით, სიცოცხლის ბოლო წლებში ილია მუშაობდა ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენაზე, რისთვისაც წყაროდ წმინდა წერილის ტექსტებს იყენებდა. მას შედგენილი ჰქონია მასალა სქელტანიანი წიგნისათვის, რომელშიაც ამოწერილი იყო სიტყვები „ოთხთაიდან“ დავითის ფსალმუნიდან, საქმე წმინდა მოციქულთადაც და იაკობის ეპისტოლეიდან. ისეთ ლექსიკონს, როგორიც მას ჰქონია ჩაფიქრებული, ამ სიტყვა-ცნებათა ზედაპირული ცოდნით ვერ შეადგენდა,

1. ბ. დობორჯინიძე, უთიკურისა და ესთეტიკურის ერთიანობის მსოფლმხედველობრივი საფუძველი ილია ჭავჭავაძის ნაზრევსა და შემოქმედებაში, გვ. 33

2. თ. ჭავჭავაძე, თხზულებათა აკადემიური გამოცემა, ტ.5, გვ.534

მაგრამ, როგორც მისი შემოქმედების შესწავლიდან ჩანს, მას სწორედ რომ სიღრმისეული წვდომა შეეძლო ამ ტექსტებისა. სამწუხაროდ, ამ ლექსიკონის მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენამდე მოღწეული.

ილიასთან მოაზროვნისა და შემოქმედის მკვეთრი დაპირისპირება არ არსებობს, ამბობენ კრიტიკოსები და მატერიალურ მსოფლმხედველობას მექანიკურად აცხადებენ მწერლის შემოქმედების საფუძვლად. მაგრამ ვინ და რით დაამტკიცა, რომ იგი, როგორც მოაზროვნე, მატერიალისტი იყო? ილიას შემოქმედებას და მის აზროვნებას მართლაც აერთიანებს მისი მსოფლმხედველობის უნივერსალიზმი, მაგრამ ეს მსოფლმხედველობა აშკარად იდეალისტურია და არა მატერიალისტური. ამიტომ მისი მხატვრული ნაწერებიც სწორედ იდეალისტური თვალთახედვით უნდა იქნას განხილული.

ზემოთ მოვიყვანეთ ციტატა, რომელიც ასახავს ილიას დამოკიდებულებას საღმრთო წერილისადმი. პუბლიცისტური სტატიებიდან ნათლად ჩანს ისიც, რომ რწმენას და ეკლესიას ილია ერთმანეთისაგან არ აცალკევებდა, ტაძარი და ღვთისმსახურება რწმენის აუცილებელ, განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა. ეკლესიას იგი უწოდებს წინდს „ჩვენი წინაპართა ქრისტიანობის რჯულის სიმტკიცისა და გულმხურვალედ ღვთისმოყვარებისა.“<sup>1</sup> დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს დაწერილ სიტყვაში პოეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკლესია „ყოველთვის თაყვანით კვატრონობდა ჩვენს ერს...“ წერილში „აი, ისტორია“ კი ვკითხულობთ, რომ ჩვენი ერი „მონასტრებისა და ტაძრების შენებით წყურვილს სულიას“ იკლავდა ხოლმე.

სხვადასხვა გამოხვლებსა და სტატიებში გამოქვეყნებულია ილიას უდიდესი პატივისცემა და სიყვარული ღვთისმსახურთა მიმართ. ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს იგი წერს, რომ არის მისი „მეუფების ღოცვა კურთხევას მონასტრული“<sup>2</sup> და წარმოაჩენს მას პიროვნებად, „რომლის მიხედვით და მაგალითით იწურთვნება ხასიათი, იწმინდება გრძნობა და გული.“<sup>3</sup> ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეს მწერალი „უღრმესი და უგულითადესი პატივისცემით“<sup>4</sup> მიმართავს და მისი გარდაცვალების შემდეგ — წერს: „თვითეული წამი მისის ცხოვრებისა — მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვისო.“<sup>4</sup> ღვთისმსახურთა მიმართ მისი ამგვარი დამოკიდებულების ანარეკლი უნდა იყოს მღვდლის მხატვრული სახე მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“ და არც ის არის ალბათ შემთხვევითი, რომ ეტიუდ „უცნაური ამბავის“ მთავარი გმირი მღვდლის შვილია. მშობლიური სახლ-კარის უსაზღვრო სიყვარულის და მამის ხსოვნისადმი სოლომანის უდიდესი კრძალვის ჩვენებით ილია ხატონად წარმოაჩენს ჩვენი სამღვდლოების სულიერ მემკვიდრეობას.

1890 წლის 31 მარტს პეტრე უმიკაშვილისადმი გაგზავნილი წერილიდან

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა აკად. გამოც. ტ.5, გვ.84

2. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი. ათ ტომად, ტ.X, გვ.126

3. იქვე, გვ.138

4. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ათ ტომად, ტ.4



ირკვევა. რომ ილია მარხვას ინახავდა და აღდგომა დღეს აპირებდა გახსნილებას. აღექსანდრე ყოფიძის მოგონების მიხედვითაც, მწერლის ახლობლებს ჩვეულებად ქჷონიათ ილიასთან თავშეყრა „აღდგომის მისაგებებლად“<sup>1</sup>. ილია ყოველთვის სიხარულით აღნიშნავდა ხოლმე თავისი ანგელოზის დღეს – ილიაობას.

ილიას დამოკიდებულება ქრისტიანული დღესასწაულებისადმი ძალიან კარგად ჩანს ერთი ასეთი პატარა დეტალიდანაც: თავისი ლექსების ხელნაწერი წიგნაკის თავფურცელზე<sup>2</sup> მას ბავშვურად, წრფელი აღფრთოვანებით ოთხჯერ, ძახილის ნიშნებით მიუწერია: „გიორგობა! გიორგობა! გიორგობა! გიორგობა!“ ეს. თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტი, უნებლიე დასტურია იმისა. რომ ის, რასაც იგი სარწმუნოებასთან დაკავშირებით წერდა, გულიდან იყო ამოთქმული იმ გულიდან, რომელიც ასეთი სიყვარულით ეგებებოდა გიორგობის დღესასწაულს. როგორც ვხედავთ, დაინტერესებული მკითხველი ილიას ნაწერებში ბევრ ისეთ რამეს ამოიკითხავს, რაც სრულიად ეწინააღმდეგება მის შესახებ თითქმის საუკუნის მანძილზე დაყინებით გავრცელებულ ცრუ-ინფორმაციას.

კრიტიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, ილიასთან „მოაზრე ცხოვრების გვერდით არსად არ იხსენიება რელიგიური ცნობიერება, რომელიც მოსაქმე (პრაქტიკული) ცხოვრების მამოძრავებელი იქნებოდა. ასეთია ალბათ აზრი იმ ადამიანებისა, რომლებსაც სასულიერო პირთა მოღვაწეობა უსაქმურობად მიაჩნიათ, მაგრამ ილია რომ მათგან განსხვავებული შეხედულებისა იყო, ამის დამადასტურებელ არაერთ ფაქტს მოვიყვანთ ქვემოთ, ამჯერად კი გავიხსენებთ მის სიტყვას 1896 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის დღეს გაენათის მონასტერში წარმოთქმულს: „განსვენებული ღრმად-მიწვენილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰქონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა... კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისაო, – ამას მარტო ღრმად გამეცნიერებული სარწმუნოება იტყვის და ამისთანა სარწმუნოებისა იყო იგი, ვისიც სიბრძნე მარტო ჩვენ არ გვანცვიფრებს.“ როგორც ვხედავთ, აქ სწორედ მოაზრე ცხოვრების რელიგიურ ცნობიერებასთან კავშირზეა საუბარი.

„ილია ჭავჭავაძის მხატვრული დამოკიდებულება სინამდვილისადმი არსებითად „მატერიალისტურია...“ მისი თავისებური „რელიგიური“ მეტაფორისტიკა არამც და არამც არ გულისხმობს რაიმე მისტიკურ შეხედულებას... ილიას შემოქმედებითი ბუნებისათვის ყოველთვის უცხო იყო ქრისტიანული მისტიციზმი, „ღვთაებრივი“, „სულიერი“. იდეალები მის პოეზიაში

1. ალ. ყოფიძე, „ლიტ. მატიაზე“, 1940, 1-2, გვ.188

2. დაცულია ქართული ლიტერატურის მუზეუმში, ილია ჭავჭავაძის არქივი, № 17501

განუყოფლად დაკავშირებულია ამქვეყნიურ საერო მიზანსწრაფვებთან.<sup>1</sup> ძნელი სათქმელია, რა უდევს საფუძვლად ასეთ დასკვნებს. ილიას ნაწერებში ხშირად გვხვდება სახარებისეული ციტატა: „ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყვიან“ (მათე 12.34) ჩვენი მოვიშველიებთ ამ ფრაზაში ჩადებულ აზრს და ვიტყვიით, რომ ილიას მხატვრულ შემოქმედებაში იმიტომ არის ასე ხშირად საუბარი ქრისტიანულ რელიგიაზე, მცნებებზე, სწავლებებზე, მორალზე, წმინდანებზე, სასულიერო პირებზე, ეკლესიაზე, რომ მწერლის გული აღსავსე იყო ამ სულისკვეთებით, ამ განცდებით. იგი ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო და არა ათეისტი. იმიტომ მოწოდება იმისაკენ, რომ ეს არამც და არამც ასე არ უნდა გაეიგოთ ან მტკიცება იმისა, რომ მწერალი ყოველივე ამას ნიღბად იყენებდა მორწმუნე საზოგადოების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ცილისწამება და მისი პიროვნების შეურაცხყოფა.

მიუხედავად სარწმუნოებრივ საკითხებთან დაკავშირებით ილიას შეხედულებების ამსახველი მასალების სიმრავლისა, მათში მაინც ჩანს ბევრი დეტალი მწერლის პირადი ქრისტიანული ცხოვრების ამსახველი. იმდროინდელი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ცალკეული ინფორმაციებიდან ვიგებთ, რომ იგი სხვადასხვა დროს წირვა-ლოცვას და სხვადასხვა სახის ღვთისმსახურებას ესწრებოდა ტაძრებში: 1898 წლის 11 იანვარს – სიონში; 22 თებერვალს – სვეტიცხოველში; 1901 წლის 25 თებერვალს – ქაშვეთში; 1904 წლის 16 მაისს – ანჩისხატში; 1905 წლის ნოემბერში – სიონში, 1906 წლის ივლისში – პეტრბურგში, ალექსანდრე ნეველის ლაურაში და სხვ. მაგრამ ყველა ეს ფაქტი სხვა მოვლენებთან დაკავშირებით არის მოხსენიებული პრესაში და წერილებში და ასეც რომ არ იყოს, საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობის შესახებ, რა თქმა უნდა, მათში არაფერი იქნებოდა ნათქვამი. არც ილია წერს საღმრთო პირდაპირ, ვლოცულობ, აღსარებას ვამბობ და ვეზიარებიო, რადგან ეს ყველაფერი ადამიანის გულის საკრალური საუნჯეა და ასე იოლად მის კარს ვერ გახსნის.

ამასთან დაკავშირებით, ძალიან საყურადღებოდ გვეჩვენება მუულის – ოლლა გურამიშვილისადმი მიწერილი ერთი წერილი: „...როცა მეტი ვზა არ არის, რომ აღერსიანი სიტყვა უნდა ეუთხრა ვისმეს, მე თვითონ ეწითლდები. გაწითლებას კიდევ გაუძლებდი, სწორედ სულიერად ეიტანჯები ხოლმე. ასე მგონია ხოლმე, რომ გული გავიუპატიურე, როცა წმინდად გულში შენახული გრძნობა პირით გამოითქმის. იგი გრძნობაა მართალი, რომელიც კატასავით არ ჩხავის და მზეთუნახავად დაბინავებულია გულში.“<sup>2</sup> ამას ამბობს პოეტი ჩვეულებრივ ადამიანურ გრძნობასთან დაკავშირებით და, რა თქმა უნდა, უფრო გაუძნელდებოდა საღმრთო სიყვარულის პირდაპირ გამოთქმა. ეს სიყვარული უნდა ვეძიოთ მის შემოქმედებაში, სადაც მეტაფორული აზროვნება,

1. გურამ ასათიანი, „საუკუნის პოეტები“ გვ. 189-195

2. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ათ ტომად, ტ. X, გვ. 376

იგავური ენა შეფარვის საშუალებას იძლევა და მხატვრული სიტყვა ეხმარება შემოქმედს დაატყვისო ენით დაუტყვენელი. უსაზღვრო განცდები.

წმ. ილია მართალი არც ურწმუნო ყოფილა და არც მხოლოდ რელიგიურად განსწავლული. მას ქრისტიანობა შეტკობილი ჰქონდა მიეღი თაეისი სულით, გულით და გონებით. შეუორგულებელ სარწმუნოებას ზოგნი „ბრმადმორწმუნეობას“ უწოდებენ, მაგრამ რეალურად ეს არის ჭეშმარიტი რწმენა. 1987 წლის 24 დეკემბერს, ქრისტეშობის დღისადმი მიძღვნილ სტატიაში ვკითხულობთ: „ეს დღე მისალოცავია და ჭეშმარიტად სადიდებელი მარტო იმისთვის. ვინც გაგებით და ცოდნით, გულით და სულით იტყვის დღევანდელ დღეს: „მოზამან შენმან, ქრისტე ღმერთო-ჩვენო აღმოუბრწყინა სოფელსა ნათელი ბეცნიერებისა, რამეთუ რომელნი ვარსკვლავებსა მისახურებდნენ, ვარსკვლავებისაგან ისწავეს თაყვანისცემა შენი. მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მაღლით აღმოსაველეთით, უფალო. დიდება შენდა.“

ილიას დამოკიდებულება ყველანაირი ქრისტიანული აღმსარებლობებისადმი ერთნაირი არ არის. იგი აღიარებს მათ შორის არსებითი განსხვავების არსებობას და მტკიცედ დგას მართლმადიდებლურ პოზიციაზე. ერთგან პუბლიცისტურ წერილში იგი წერს: „ბ-ნის გოლმსტრემის დაღადი, რომ სომხებმა შეურყეველი ერიოგულება აღმოუჩინეს ქრისტიანულ მართლმადიდებელს აღთქმასაო, არ არის მართალი, იმიტომ, რომ ამ სახელით წოდებას სარწმუნოების და. მაშასადამე აღთქმებისა სომეხნი გაეცალნენ ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში და მას აქეთ სარწმუნოებით ცალკე გაეიდნენ. სად იგი სარწმუნოება, რომელსაც სომხები აღიარებენ. და სად იგი, რომელიც მართლმადიდებლად წოდებულია რუსეთში და რუსის მწერლობაში.“<sup>1</sup>

საინტერესოა ილიას აზრი კათოლიკეთა სასულიერო მმართველობის პოლიტიკური მისწრაფებების შესახებ. ამასთან დაკავშირებით 1887 წლის 3 ივნისის სტატიაში ვკითხულობთ: „პიოს IX-ს დროს კათოლიკეთა სამღვდელეობების კრება მოხდა და დაადგინეს დოღმატი რომის პაპის შეუცდომლობისა და ამით უნდოდათ ძირით თხემამდე პაპობის შერყეულის დიდებისათვის ერთი ძლიერი სვეტი შეედგათ შესამაგრებლად...“ „ძნელად საფიქრებელია, რომ პაპობამ უწინდელი დიდება და რიზი დაიბრუნოს. მაგრამ ევროპიის კონცერტში კი რომ ამასაც ერთი ხმა ექნება, ეგ კი უეჭველია. რის ნიშანია ესა: წინამსვლელობისა, თუ უკან დახვეისა, ეგ თვითონ მკითხველმა გამოიცნოსო...“ წერს იგი.

ჩვენ შეიძლებისდაგვარად შევეცადეთ შეგვეკრიბა მასალები, რომლებიც ნათელს მოჰფენდა ილია ჭავჭავაძის სარწმუნოებრივ მრწამსს. თუმც ყველასათვის არც იყო ალბათ საჭირო მტკიცება იმისა, რომ იგი მორწმუნე იყო. რადგან ღმერთმა, რომელმაც „უწყის დაფარულნი გულთანი“ ინება, რომ იგი წმინდანად შერაცხილიყო ამგვარი მტკიცებების გარეშეც.

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ.5, გვ. 108

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძის მატერიალისტად მიიჩნევა არაუიოარი არგუმენტაცია არ გააჩნია. ამის მტკიცება ერთგვარ ზარკს ჰგავს. რომელიც გაბატონებულმა იდეოლოგიამ დააკისრა ჩვენს მეცნიერებას. ილიას შემოქმედება რომ მართლმადიდებლური სულისკვეთებით არის ნასაზრდოვეები. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა იმიოაც, რომ ამ თვალსაწიერიდან მის თხზულებებზე დაკვირვებამ არა მხოლოდ შეავსო და გაამდიდრა ზედაპირულად ამოკითხული არაერთი მხატვრული სახე. უფრო მეტიც, წარმოაჩინა მწერლის სულიერი განცდებისა და პოეტური აზროვნების არანვეულებრივი მარგალიტები.

ილია წერდა, ფერწერული ტილო რიმ სრულყოფილად აღიქვა, ამისათვის „გასამინჯავ წერტილს“ უნდა მიაგნო. მხოლოდ იქედან ჩანს ყველაფერი იმ ზომისად და ფერისად, როგორადაც ავტორს აქვს ჩაფიქრებულიო. როდესაც ლიტერატურულ ნაწარმოებზე ვსაუბრობთ, ამ გასამინჯავ წერტილად ავტორის მსოფლმხედველობა შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ნებისმიერი მხატვრული ქმნილება ამ თვალსაწიერიდან იქმნება და თუ ეს საზრისი პოზიცია სწორად არ განესაზღვრეთ, ვერასოდეს ჩავეწდებით მწერლის ჩანაფიქრს იმ სისავსით, როგორადაც ჩანს მხოლოდდამხოლოდ ამ ერთადერთი წერტილიდან. ილია ჭავჭავაძის მატერიალისტად მიიჩნევა და მისი რელიგიური მრწამისი უარყოფა. ისევე გამორიცხავს მისი შემოქმედების ამა თუ იმ ასპექტის სრულყოფილად შესწავლას, როგორც პირით კვლისკენ ნახატის დაკიდება გაჩდის შეუძლებელს მისი მკვრეტელისაგან ფერწერული ტილოს და მხატვრის ღირსების სწორ შეფასებას.

ვერც ილია ჭავჭავაძის მატერიალისტობის მამტკიცებულთა სიმრავლე და ვერც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მათი ტრიუმფალური სვლა ლიტერატურულ-კრიტიკულ ასპარეზზე ვერ აქცევს სიყალბეს შემმარიტებად. როგორც ილია იტყოდა: „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, – აზრისა კი თავის დღეში არა. მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა...“<sup>1</sup> სიმართლის თქმა ილია მართლის შესახებ ჩვენთვისევა აუცილებელი, საშინელი განკითხვის კამს წმინდანის შეურაცხყოფა მოუნანებელ ცოდვად რომ არ შეგვერაცხოს.

### საქართველოს ქრისტიანული წარსული და ქართველ წმიდანთა სახეობი

ქართველთა მიერ ქრისტიანული სარწმუნოების მიღება ილიას უდიდესი მნიშვნელობის მქონე ფაქტად მიაჩნდა. „ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თვითონ ცალკედ, თავისთავადაც დიდი ღვაწლია... ქრისტიანობამ ქვითკირსავით

1. ი. ჭავჭავაძე, „საქართველოს მონაბეხედ“. თხზულებათა აკად. გამოც. ტ.5, გვ.121

შეგვკრა და გაგვამაგრა... მას აქედ ხუთმეტი საუკუნეა და მთელი ეს ხუთმეტი საუკუნე გულში ჯვრით და ხელში ხმლით იბრძოდა, იღვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავენ გააცვლევინა“, წერდა ილია წმინდა ნინოს დღისადმი მიძღვნილ წერილში 1888 წლის იანვარში.

„ჩვენის ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულთ-მოქმედი მხნეობა, თავ-გაწირვა; თავ-დადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათლით არის გასხივებული, იმ შარავანდელით არის მოსილი, როპელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ“, წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით ამართულმა, მოპყინა მთელს ჩვენს ქვეყანას“, ვკითხულობთ იქვე. ქართველთა ქრისტიანული ღვაწლის და მათი ღვთისმოსავობის შესახებ მწერალი მრავალ სხვა პუბლიცისტურ წერილშიც აღნიშნავს. ეს თემა ვრცლად და საინტერესოდ აისახა მის მხატვრულ თხზულებებშიც.

პოემაში „აჩრდილი“ აღწერილია საქართველოს წარსული, მისი აწმყო და პოეტის ფიქრები მომავალზე. მკითხველის თვალწინ იშლება ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ავტორის თვალით დანახული, მისებურად აღქმული. რა ადგილი უკავია მასში ქრისტიანულ სარწმუნოებას?

საქართველოს მოქცევა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცნადება ისტორიულად წმინდა ნინოს მცხეთაში მოხვლასთან არის დაკავშირებული, რაც თავისთავად განაპირობა მოციქულთა სწორის მიერ უფლის კვართის ამბის გაგებამ. ცნობილია, რომ ეს კვართი ღვთისმოსავმა ქალმა სიღონიამ მცხეთაში ჩამოატანინა თავის ძმას, გულში ჩაიკრა და მიიცივალა. ქალი კვართს ვერ დააშორეს და მასთან ერთად დაკრძალეს. საფლავის ადგილას სასწაულთმოქმედი ღობანის ნაძვი აღმოცენდა და ასევე სასწაულებრივმა წყალმა ამოხეთქა მიწიდან. „აჩრდილში“ ვკითხულობთ:

აგურა მცხეთაც – სავანე გმირთა,  
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,  
სად პირველ ქართველის მორჭმულთა შვილთა  
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების  
სადაც ჰყვაროდა ხე ცხოვრებისა  
ქართველის გულიდამ აღმოცენილი,  
და წყარო იგი წყაროდ შვებისა  
სჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი.  
სად ის ხე, ნაძვის მის სუნნელისა  
ჰყვაროდა ქართველის წყლულთა კურნებად  
და მის ქვეშ წყარო უკვდავებისა  
სცემდა იაზმას ერის ცხოვნებად;  
სად იმ ხის წმინდის ფოთოლი, ხილი  
საკვდავადც დაჭრილს ეკურნებოდა;  
სად იმა წყაროს წყლით დაბანილი  
ქართველის ტკივილი დაყუჩდებოდა.“

აი, სად უნდა ვეძიოთ, პოეტის აზრით, ერის წყლულების დაამება, მისი სნეულებ-ისაგან განკურნება და ხალხის სულის განთავისუფლება ბოროტების და ცოდვის ტყვეობისაგან. ლიბანის ნაძვის და მის ქვეშ მქექყარე წყაროს ამბავს ავტორი მოგვითხრობს, როგორც ისტორიულ ფაქტს და სქოლიოში ვახუშტის გეოგრაფიაზე მიგვითითებს, მაგრამ „ნაძვისა“ და „წყაროს“ სახეებს მხატვრული აზრით ტვირთავს და იქვე, პოემაში იყენებს შემდგომი ალეგორიზაციისთვისაც. მაგალითად, სიტყვებით:

„აწ აღარა სჩქეფს წყარი ცხოველი,  
ზე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა“.

მიგვანიშნებს არა მხოლოდ ამ რეალურ სიწმინდეთა დაკარგვაზე, არამედ ქართველთა შორის რწმენის შესუსტებასა და ლეთიური მადლის მოკლებაზეც.

პოემაში ვხედავთ წარსულისა და აწმყოს კონტრასტულ სურათებს. ილიას აზრით, ადრე ქრისტიანობა იმდენად კჷონდა შესისხლხორცებული ერს, რომ მამულის სიყვარული და მისთვის თავდადება ქართველს ლეთიურ ვალად მიაჩნდა.

„ქართველის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,  
რამდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია!..

ჯვარცმულის ლეთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო,  
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხეასა რომელს უვლია?“ –

წერს პოეტი. მართლაც, საუკუნეების მანძილზე მტრით გარემოცულ ჩვენს სამშობლოს სხვა საქმისათვის თითქმის არ ეცალა, რჯულისა და მამულის დაცვას ანაცვალა ყველაფერი. მაგრამ, როგორც „აჩრდილის“ ადრეულ ვარიანტში ვკითხულობთ, ხანმოკლე მშვიდობის წუთებში როდესაც ქართველები ქვეყნის და რჯულის დასაცავად ამოწვდილ ხმალს ქარქაშში ჩააგებდნენ, სულისათვის ზრუნეას და რწმენის განმტკიცებას მიეცემოდნენ ხოლმე:

„ქვათლილისა წმინდა ტაძრები  
ტყეში ან კლდეზედ გადმოჰკრთებოდნენ  
იქ წმინდა მამათ წმინდა ლოცვანი  
შეწირულთ ჭაბუკთ ცას ავედრებდნენ.  
ყმაწვილკაცობა იმ ნათელ წამში  
განშორდებოდა საყვარელ მამულს  
და განათლებულ დიდ ათინაში  
ჭეშმარიტებით აინთებდა გულს...“

აქ, როგორც ჩანს, ნაგულისხმევი უნდა იყოს ქართველთა მოღვაწეობა ათონის წმინდა მთაზე. რასაც ილიამ მოგვიანებით სპეციალური სტატიაც მიუძღვნა.

პოემის იმავე ვარიანტში აღწერილი იყო დიდი თამარის ღვაწლი კავკასიის წარმართ ხალხთა შორის ქრისტიანობის გავრცელებაში. როგორც პოეტი ამბობს, მისი წყალობით ეს ადამიანებიც გახდნენ მოზიარენი „წმინდა ლეთიური ჭეშმარიტებისა“ და იქ, სადაც ადრე „ძმა ძმას ებრძოდა“, მისი მეოხებით აწ „ლოცვა ისმოდა“

ილიას აზრით, ქართველ ხალხს, რომელიც ადრე მაღლიან ცხოვრებას ეწეოდა, აწმყოში დაკარგული ჰქონდა ერის წინაშე იმ ღვთიური მოვალეობის გრძნობა, რომელიც საერო, საქვეყნო ღვაწლს მოითხოვდა მისგან.

„დაჰვიწყებია, რომ დიდი არი  
ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება,  
რომელიც ქვეყნის წვითა დამწეარი  
ქვეყანასავე შეეწირება“ –

ამბობს ილია მისი თანამედროვე ქართველი კაცის შესახებ. მოხდა ყველაზე საბედისწერო რამ:

„ბნელზედ გაცვალა ხალხმა ნათელი,  
დამონებაზე სასუფეველი.“

პოეტი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ასეთი ისტორიის მქონე ხალხს მისი დახსნისათვის ჯვარცმული ღმერთის მოძღვრება „ღღეს მარტო სიტყვით უქმით რწმენია.“

„ერის მამებსაც“ კი, რომლებსაც თვით მაცხოვრისაგან ეალად აქვთ სამწყსოს სულისათვის ზრუნვა, გულ-ხელი დაუკრფვათ და არ ცდილობენ დაცემულის წამოყენებას. პოეტი მტკივნეულ რიტორულ კითხვას სვამს:

„სად არის სიტყვა დიდის სწავლისა  
სიყვარულის და სამართალისა...  
მათ ბაგეთაგან არ მომდინარებს  
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?  
სად არის იგი მლაღადებელი  
ქვეყნის ხსნისათვის ჭეშმარიტება?  
სად არის იგი, ბიწის მღვენელი  
ჯვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება?“

„აჩრდილის“ ადრეულ ვარიანტში ამ მცნებასთან დაკავშირებით მინიშნებული იყო ისიც, რომ ის არის ადამიანის ცასთან დამაახლოებელი.

როგორც ვხედავთ, პოემაში ნათლად ჩანს, თუ რა არის მიზეზი საქართველოს განსაცდელისა, მაგრამ იქვე მითითებულია ისიც, თუ რა შეიძლება გახდეს ქვეყნის ხელახალი აღორძინების საწინდარი. აჩრდილი ასე მიმართავს საქართველოს:

„ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგადს ცხოვრებას  
და მცნების ნათლით ზეაღზიდულ, ამაღლებული,  
ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,  
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,  
უქმისა დრტკინვით, გულის წვითა მწარე ცრემლს დაღვრის,  
მაგრამ არ ირწმენს, წამებულო შენს აღდგენასა  
და იგი ცრემლი ურწმუნობის, ეჭვის და ტანჯვის  
ჰლაღადებს მხოლოდ ძისა შენის უძღურებასა.“

როგორც ვხედავთ, ერის მომავლის გადასარჩენად მწერალი პოემაშიც

იმავე პირობას სვამს, რასაც ლირიკულ ლექსში „ქართველის დედას“ – „საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას...“ ერის უბედურების სათავე ამ მცნების დაკარგვაშია და მისი აღმავლობაც ამ მცნებისაკენ მობრუნებით უნდა დაიწყოს, რომ კვლავ „ამწყანდეს“ „ლიბანის ნაძვი“ – ერის ცხოვრების ხე და ქვეყნის გულიდან გარდამოდინდეს წყარო მაცოცხლებელი.

ილიას სჯეროდა. რომ ეს ოდესმე აუცილებლად მოხდება – საქართველო კვლავ დაიბრუნებს ღვთის მადლს და აღორძინდება... ამიტომ პოემის ეპილოგში, მას შემდეგ, რაც სპეტიკი მოხუცი – საქართველოს აჩრდილი – მისი თანამდევი უკვდავი სული მუნღმორეკით ცისკენ ხელააყრობილი თრთოლვით ევედრება ღვთისმშობელ დედას და მაცხოვარს ქვეყნის მეოხებას, ცოდვათა შენდობას და მამაპაპური სულის აღორძინებას, ცის კაბადონზე გამოჩნდება ცისარტყელია – „მახარობელი ტკბილ იმედისა.“

საინტერესოა ილიას პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და მასში ისტორიული პირის – წმინდა მეფე დიმიტრის სახე. იგი ეროვნული გმირი იყო, ქვეყნისათვის თავგანწირული, მაგრამ მისი თავდადების სათავე მის სულიერ სიმტკიცესა და ქრისტიანულ ზნეობაში იყო. მეფემ იცოდა, რომ თუ ის მტერს არ ეახლებოდა და სასჯელს არ მიიღებდა, ქვეყანას ააოხრებდნენ. სხვა მრავალ სისასტიკეთა გარდა, რაც მომხდურის შემოსევას მოჰყვებოდა, ქართველ მეფეს აძრწუნებს იმის წარმოდგენაც, რომ მტერი:

„საყდრებსა და მონასტრებსა  
დააქცევს, მიანგრ-მონგრევს,  
ხატებს, მამათ სალოცავსა,  
წამურტლავს და შეგვივინებს.“

არჩევანი ასეთი იყო – ან თავი უნდა გადაერჩინა და ან ხალხი, ქვეყანა. გადაწყვეტილების მიღებისას სურვილსა და გულისთქმებზე წინ მან მოვალეობა დააყენა და აი, რატომ:

„ბოლოს ბძანა: – ეს ქვეყანა  
ღვთისაგან მაქვს მონაბარი...  
მე დავრჩე და იგი წახდეს,  
მითხარით, რა მადლი არი.“

მეფეს ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული თავისი მოვალეობა ღვთისა და ქვეყნის წინაშე, არ უნდოდა ხალხის სისხლისღვრა და ერთგულ ქვეშევრდომებს უთხრა:

„კვლავ ფიცსა გთხოვთ:სისხლს ნუ დაღვრით,  
ნუღარ დამიმძიმებთ სულსა!..  
განკითხვის დღეს მეფეს ჰკითხვენ  
ყმის სისხლს. უქმად დანთხეულსა.“

ძნელია საკუთარი ნებით თავის შეწირვა, მაგრამ მას ძალას ჰმატებდა ღვთიური მადლი და იმის გახსენება, რომ თვით მაცხოვარმაც კაცთათვის დადო თავი, „ღმერთი იყო და ჯვარს ეცვა“. პოემაში რამდენჯერმე არის



ზაზგასმული ის აზრი, რომ მეფეს მაგალითად სწორედ ძე ღვთისას თავდადება და მისი ანდერძი ჰქონდა:

„მოყვასისთვის თავდადება  
ქრისტე ღმერთის ანდერძია.“

„მოყვასისთვის თავდადება  
გვიბძანაო მაცხოვარმა.“

სახარებაში უფლის ეს დარიგება ასე იკითხება: „უფრომს ამისა სიყუარული არავის აქუს, რამთა სული თვისი დაღვას მვეობართა თვისთათვის“ (იოანე.15.13.)

ქართველი მეფეც, ისევე, როგორც მაცხოვარი გეთსემანიის ბაღში, შეკლადლებს უფალს, რომ იყოს ნება მისი:

„ღმერთს აცადეთ... დეე იქმნას,  
რაც ჩემს თავზე განგებულა...“

„დეე ასრულდეს ნება ღვთისა,  
ზორცი მოკედეს, სული ცხონდეს  
მეფის თქვენის დიმიტრისა.“

მიუხედავად დიდი ცდუნებისა, გამოყენებინა ხალხის ერთგულება და გაეკეთებინა მისთვის სიცოცხლის შემანარჩუნებელი, მაგრამ ქვეყნისათვის სარისკო არჩევანი, მან ამჯობინა ის „იწრო“ და „საჭირველი“ გზა, რომელსაც სული ცხონებისაჲკენ მიჰყავს.

მღვდელმთავარმაც, თუმცა გულმოკლულმა მეფის მოსალოდნელი განსაცდელით, ცოდვად ჩათვალა სხვაგვარი რჩევის მიცემა და შეკითხვაზე, თავად რა აზრისა იყო, მეფეს მიუგო:

„ესტირ და გირჩეე ღვთის სახელით  
ზორცი დასთმო სულისათვის,  
უკვდავება არ დაჰკარგო  
წუთის-სოფლის გულისათვის.“

კარგად აქვს მწერალს წარმოჩენილი ხორცისა და სულის ჭიდილი მეფის სიკვდილით დასჯის წინ:

„შეჰკრთა, როგორც ხორციელი,  
უმისოდაც ქანცწყვეტილი...“

„მაგრამ ისევ თავს უშველა,  
არ დაუთმო ხორცსა სული...“

დიდი გამარჯვება მხოლოდ იქ არის, სადაც დიდი ბრძოლებაა. იღია არ ცდილობს თუნდაც წმინდანად შერაცხილი მეფისგან შექმნას ცალმხრივი, მხოლოდ დადებითი თვისებებისა და კეთილი გულისთქმების მქონე, შეუცდომელი, კერპადქცეული სახე. იგი ცხოველმყოფლად წარმოგვიჩენს ხელმწიფის სულიერ ბრძოლას, მისი შინაგანი წინააღმდეგობების მთელ სიღრმე-სირთულეს. სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოსაყვანად ჯალათის წინაშე გამოყვანილი მეფე, იქვე მდგომი თავისი ერთგული ქვეშევრდომების შეძრწუნებული სახეების დანახვით გულაჩუყებული, მოულოდნელად, თოთქოს მოტყდება და თავის

ვეზირს კენესით შესთხოვს: „ღამიხსენი! ..რაც გადამხდა, ისიც კმარა!..“  
ავტორი გვეუბნება:

„ეჰა, გატყდა რკინის გული,  
მეფე მაგითი იძლია!  
ამას კი ველარ გაუძლო.  
აქ კი ზორცმა სულსა სძლია!“

მაგრამ ეს იყო მხოლოდ წუთის სისუსტე და მეფეს ეს სიტყვები თითქოს არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ მწერალი გვიჩვენებს მისი სულის სბოლოო გამარჯვებას ზორცთან ჭიდილში:

„სთქვა და თქმული თვით შექზარდა...  
სახელი არ წაიხდინა...  
„-ჰა, ჯალათო“ – დაიძახა  
და კისერი გაიწვინა.“

ზორციელი გულისთქმისა და სულიერი სიმტკიცის ამ საოცრად შთამბეჭდავი ჭიდილის ჩვენებით ავტორმა საუკეთესოდ წარმოაჩინა მეფის მოქმედების – მისი არჩევანის სირთულე და მნიშვნელობაც. სამშობლოს სიყვარულს აქ საფუძვლად უდევს მოყვასის სიყვარული, სარწმუნოებრივი მოვალეობა ერის წინაშე და ქრისტიანული ზნეობა. მეფის სიტყვებში: „ერთ ძით ყველა, ისე ჩემით ერი ჩემი დაიხსენი“ ჩანს ზრუნვა მშობელი ქვეყნის, საკუთარი ხალხის არა მხოლოდ ზორციელ გადარჩენაზე, არამედ მათი სულის ხსნაზედაც. ძე ღვთისამ კაცობრიობა დაიხსნა სწორედ სულიერი სიკვდილისაგან. ამასვე შეეწირა ტარიგად ჩვენი ერის პატიოსანი მწყემსიც – თავდადებულად წოდებული მეფე დიმიტრი. მან ერს სწორედ სულისთვის ზორცის გაწირვის მაგალითი მისცა.

ილიას ამ პოემას იმთავითვე ორგვარი – ურთიერთსაპირისპირო გამოძახილი მოჰყვა. ამის მიზეზი იყო არა იმდენად პოემის მხატვრულ ღირებულებასთან დაკავშირებით კრიტიკული აზრის გაყოფა, რამდენადაც დამოკიდებულება თვით აღწერილი ისტორიული თემისადმი.

გ. თუმანიშვილი კიცხავდა ილიას იმისათვის, რომ იგი „დამღერის მეფეს, რომელმაც თავის თავის დაღუპვა ირჩივნა თავისა და თავის ქვეყნის დაღუპვასთან ერთად.“ მისი აზრით ეს ვერაფერი ღიდი გმირობა იყო და პოემაც „ახალს არაფერს გვეუბნება.“

უფრო მკაცრი იყო სილოვან ზუნდაძისეული შეფასება. აქაც მთელი ყურადღება გადატანილი იყო ისტორიული ფაქტისადმი დამოკიდებულებაზე. კრიტიკოსი წერს: მეფე დიმიტრი გმირი კი არა მხდალი და უგუნურია, ამისთანა მწყემსსაც „ფუ“ ეთქის, რადგან მისი საქციელი, თუ სიმხდალის არა უგუნურობის ნაყოფია, წინდაუხედავი და უანგარიშო თავგანწირვააო.“ რაც შეეხება პოემას, მის შესახებ სილოვან ზუნდაძე ასეთ აზრს გამოთქვამს:

ავტორის ნაკლულევანებად მარტო ის უნდა ჩავთვალოთ, რომ დიმიტრის ამგვარი უაზრო თავდადებით ერთობ აღტაცებულია, ეს მუყე თავის პოემის გმირად აუყვანია და იდეალად თვალწინ გვიყენებსო<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, მაშინდელ ქართველობას ავის და კარგის გარჩევა მართლა უჭირდა. თუმცა იყვნენ ობიექტური შემფასებლებიც: საკსებით სწორად ხედავს ავტორის ჩანაფიქრს ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელიც წერს: „წარსულის დიდებული სურათის დახატვით (ილია) ცდილობს ჩაუნერგოს საზოგადოებას სიყვარული მამულისადმი და სულით გამხნეება იმ დროს, როდესაც საქვეყნო საქმისათვის სამსახური ათვალწუნებული და მივიწყებული იყო.“<sup>2</sup>

ილიას პუბლიცისტიკაში მრავალგან შეიძლება ამოვიკითხოთ ჰასუხი კითხვაზე, პირადად მას რატომ მიაჩნდა საჭიროდ ამგვარ გმირობათა აღწერა და ხალხისთვის მათი გახსენება. მაგალითად, დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ სტატიაში იგი წერს: „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწერთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰპოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდბუნებოვანების შარავანდელითა და თაყვანსა სცემს სასოებით და მადლობითა. ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა.“

1886 წელს სტატიაში „ქართული თეატრი“ მწერლის მიერ გამოთქმული აზრი განგვიმარტავს, როგორ ესმოდა მას გმირობა და მოვანიშნებს იმაზეც, რა მიზეზი აქვს ზოგის უარყოფით დამოკიდებულებას სხათა გმირული საქციელისადმი. „გმირობა, რა სახისაც უნდა იყოს, სულის ღონეა და არა ხორცისა, და ამიტომ გმირის სიყვარული მარტო სულითვე ღონიერს შეუძლიან. აქ ხორციელს თვალს ვერას გააჭრევიანებთ, სულიერი თვალი უნდა...“

ისტორიული თემა უდევს საფუძვლად ასევე მოთხრობას „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. აქ გიორგი მეთერთმეტის მეფობის დროინდელი ამბავია აღწერილი. ურჯულო მტერი შემოესია ქვეყანას. ფიცხელი ომი გაჩაღდა. ერთმა ახალგაზრდა ბრგე თათარმა მთლად მოუკლა ქართველებს გული, ზედიზედ რამდენიმე ვაჟაკი გამოასალმა სიცოცხლეს ორთაბრძოლაში. მაშინ მოუხმეს მებრძოლებმა საშველად უკვე ასაკში შესულ ნიკოლოზს. მოთხრობაში ვკითხულობთ: „გოსტაშაბიშვილმა „ახსენა ღმერთი, აუკრიბა სადავე ცხენს და ჰკრა ქუსლი“ და იმ ღვთის შემწეობით, რომლის სახელიც ახსენა, ქართველმა გმირმა შესძლო ძლიერი მტრის შეტყვის მოგერიება და „ცხენიდან ძირს დასცა იგი“. მაგრამ ნიკოლოზმა არ მოკლა ყიზილბაში, „ცოდვთა შენი გაფუჭება. წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო, უთხრა.“ ამით მან მომხედური მასში აღძრული ძალადობის და ბოროტებისაგან განაიარადა. ეს

1. ი.ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, II. 1958, გვ.311

2. იქვე, გვ.194

იყო ამ სიტყვების მაღლის ძალა და არა ხმლისა. თათარმა რომ ნიკოლოზისაგან შეწირული მაღლი მიიღო და სხვა კაცად წაიღო ბრძოლის ველიდან, ეს ავტორს რემარკებით არა აქვს განმარტებული, მაგრამ საესეებით ნათლად იგრძნობა გმირის პასუხში: „მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვინუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანო.“ მან მართლაც მიიღო „ახალი სიცოცხლე“ და ნიკოლოზისადმი კეთილგანწყობით მისი თანამოზიარე, თანამგრძნობი გახდა მტრის სიყვარულში. ასეთ სულიერ ძლევაზე წერს ილია „დამაკვირდის“ სათაურით ერთერთ ლექსშიც:

„სიკეთით სძლიე შენს მტერსა,  
ერიდე სისხლით ზღვევასა:  
სულგრძელობითა ძლევა სჯობს  
ვაჟკაცობითა ძლევასა.“

მოთხრობაში „მგზავრის წერილები“ ქვეყნის წარსულის თემა წმინდა სამების ტაძართან დაკავშირებით წამოიჭრება. ნათქვამია, რომ აქ ყოფილა „უწინდელთ განძთა საფარი“ — „ქართველთა მეფეთა განძი აქაიდ უფარავენ მტრიანობისას.“ აქვე იყო ერთა საბჭო, „ბრძენ-ბერკაცნი“ „სამების სახელით, ხთისგან მათხაენილ მაღლით“ ჭრიდნენ ერობის მნიშვნელოვან საკითხებს და მათ გადაწყვეტილებას „არაეინ შემლიან, არაეინ გადავლიან.“ აწმყოს შესახებ კი მოთხრობის გმირი — მოხვეე სრულიად საწინააღმდეგოს ამბობს: „აწინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის...წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი...“

საქართველოს წარსულის სახე უფლის ტაძართან შემთხვევით არ არის დაკავშირებული და არც ის არის ღრმა აზრს მოკლებული, რომ აწმყოში მისი ფუნქციის დაკარგვა და დაცარიელება ალევორიულად ერის ცხოვრებაში მომხდარ საბედისწერო ცვლილებაზე მიგვანიშნებს. აქ იყო დაცული არა მარტო მატერიალური საგანძური, არამედ სულიერიც. მოთხრობაში ხომ აქცენტი ძირითადად მის დაკარგვაზეა გადატანილი და სწორედ ეს არის მიზეზი იმ ტკივილისა, რომელიც გულში ჰქონდა ალბეჰდილი მოთხრობის ავტორს.

ისტორიული თემატიკაა ასახული ილიას პატარა პროზაულ ციკლში „ამბავად გაგონილი“. აქ ლეგენდის მსგავსი ორი პატარა ამბავი ერეკლე მეფის ცხოვრებას უკავშირდება, ორი კი — გიორგი მეცამეტისას. თითოეული მათგანი ამა თუ იმ უსახელო გმირის — გლეხის, გლახაკის კარისკაცის და ალაღარის მოსწრებულ სიტყვაზეა აგებული. მათში არ ჩანს ისტორიული ქარტესილები, ბრძოლები და გამარჯვებები — სრულიად უბრალო, თითქოსდა უმნიშვნელო ამბებია აღწერილი.

ქართული კაცის ენამახვილობის ამსახველი ეს მასალა ფოლკლორის სფეროს კუთვნილებას უფრო გაეს, ვიდრე ილიას მხატვრულ ქმნილებას, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ შინაარსში რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო მწერლისათვის, ალბათ ის, რომ ოთხივეში არეკლილია მეფისა და რიგითი ერისკაცის ერთიანი სული — ურთიერთპატივისცემა და სიყვარული. ამ შინაგანი

განწყობის, ამგვარი სულისკვეთების წარმოჩენა კი ხსენებულ, სულ რაღაც სამგვერდიან თხზულებას, განსაკუთრებულ ღირსებას ანიჭებს. ვფიქრობთ, რომ ამიტომაც შეიტანა მწერალმა ისინი მის სიცოცხლეშივე გამოხულ საკუთარ თხზულებათა კრებულში წლების მანძილზე შემოქმედებითი წვისა და დაგვის შედეგად შექმნილ თავის მაღალმხატვრულ მოთხრობათა გვერდით<sup>1</sup>.

ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე ნაწარმოები, რომლებშიაც მწერალს ისტორიული წარსულის ამსახველი ფაქტები აქვს გადმოცემული. ქვემოთ ვრცლად გვექნება საუბარი „განდევლის“ ისტორიული ასპექტების შესახებაც. სხვა ნაწარმოებებში ასეთი კონკრეტული აღწერები არ გვხვდება. მაგრამ ბევრგან, განსაკუთრებით კი, ლირიკულ ლექსებში, ერის წარსულის განცდა და რთული ისტორიული პერიპეტებით გამოწვეული ტკივილები არანაკლები სიმძაფრით გამოსჭვივის მოკლე პოეტური ტაეებიდანაც.

### ქრისტიანული მოტივები, მართლმადიდებლური რეალიზმი და ალუზიები

ქრისტიანული მრწამსი, მორალი, ცხოვრების წესი საინტერესოდ არის წარმოჩენილი ილიას ყრმობისდროინდელ ლექსში „მოთქმა წყლისა“, მაგრამ, ვინაიდან მეცნიერთა მიერ მიჩნეულია, რომ ამ ლექსის ბიოგრაფიული ინტერპრეტაცია შეცდომაში შეგვიყვანდა<sup>2</sup>, საჭიროდ მიგვაჩნია, ვიდრე მის განხილვას შევედგებოდეთ, ზოგადი კუთხით მოიძიოთ ილიას სხვადასხვაგვარი კატეგორიის – ლირიკული და არალირიკული ლექსების რაობა.

პოეტურ ნაწარმოებებში ავტორის ნაფიქრალ-ნააზრევი უმეტესად ლირიკული გმირის პირით არის ზოლმე გამოთქმული, მაგრამ არა ყოველთვის... პოეზიას სხვაგვარი, ეპიკური ხერხიც გააჩნია. ზოგიერთ ლექსში მეტყველებს არა ლირიკული გმირი, არამედ ერთგვარი მხატვრული პერსონაჟი. ამგვარი ლექსები მრავალ უცხოელ და ქართველ პოეტთან გვხვდება და მათ შორის ილია ჭავჭავაძესთანაც.

ლექსში „ხმა სამარიდამ“ ილია პირველ პირში ალაპარაკებს გარდაცვლილ დიამბევს, რომელმაც ამქვეყნიური ცხოვრება სიხარბითა და ანგარებით განვლო და ამის შესახებ ჯოჯოხეთიდან გვაწვდის ხმას:

და აწ მეხი გლეხებისა,  
ერთგული ყმა ფულებისა,  
მტურადა ედევარ სამარესა,  
მოდი, ენდე ცრუ სოფელსა! “

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1892, ტ.3, გვ.193

2. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა აკად. გამოც. ტ.1, კომენტარები: გვ.523-524

მაგრამ იმ განწყობით, რომელსაც ლექსი ქმნის, აშკარად იგრძნობა პოეტის დამოკიდებულება პირველი პირისადმი. ლექსის მხატვრული ჩანაფიქრი მიზნად ისახავს არა დიამბეგის აზრთა გაზიარებას, არამედ მისი ამგვარი ცხოვრების შედეგის ჩვენებას. პოეტის აქცენტი სწორედ იმაზეა გადატანილი, რომ ამგვარი ყოფის ბოლო გოჯოხეთია.

წუთიერ გულისთქმათა, ხორციელ ვნებათა ამსახველია ილიას ლექსი „ლოთის რჩევა“ :

„ნუ დაუჯერებთ უგემურსა ჭკვას,  
გრძნობის განსჯაში ყოველთვისა ბრმას;  
გულის კითხვაზედ უარისათვის მზას;  
რა უნდა სჯობდეს, მითხარით, ამას,  
რომ ერთის ხელით ეხეიო მიჯნურს,  
მეორით – ყანწით ყლაპავდე კახურს?“

ლოთი ქადაგებს გონების კარნახის არაფრად ჩაგდებას და ვნებიანი გულისთქმების აყოლას, რაც ილიას შეხედულებათა მიხედვით დამლუპველია ადამიანისათვის.

ასეთი ტიპის ლექსები ერთგვარი საშულებაა სხვადასხვაგვარ ლიტერატურულ გმირთა დამოკიდებულების ჩვენებისა ამა თუ იმ საკითხებისადმი და ამის მეშვეობით თვით ამ გმირთა სახის წარმოჩენისა. ხსენებულ ლექსებში დიამბეგისა და ლოთის ფიქრები და განცდებია ნაჩვენები, პოეტის სახე კი, ისევე, როგორც ეპიკურ ნაწარმოებებში, მხოლოდ მხატვრული ნიუანსების და თითოეული სიტყვის სტილისტური ელფერის შერჩევაში წარმოჩინდება.

ლექსს „ხმა სამარიადამ“ გროტესკული ელფერი აქვს იმიტომ, რომ გარდაცვლილი დიამბეგი მის მიერ ჩაღწეულ ავკაცობას არა სინანულით, არამედ ერთგვარი ეშხითაც კი აღწერს. განსაკუთრებით შემზარავად უღერს მისი ბოლო სიტყვები:

„საიქიოს თუა ქრთამი  
გამახარეთ. ჩამომძახეთ.“

აშკარაა, რომ აქ ავტორის დამოკიდებულება გმირის სახისადმი უარყოფითია. ფორმა, პირველ პირში დიამბეგის ამტყველებებისა კი უაღრესად ხელსაყრელად არის შერჩეული, რადგან მისი მეშვეობით პოეტი თავად კი არ კიცხავს და აძაგებს დიამბეგს, არამედ მასვე აღაპარაკებს თავის თავზე. ეს ნათქვამს დამაჯერებლობას მატებს, კონტრასტი დიამბეგის მონათხრობის ზნეობრივ მხარესა და საკუთარი ქცევისადმი მის პირად დამოკიდებულებას შორის, კი ქმნის სასურველ გროტესკულ ელფერს.

ლექსი „ლოთის რჩევა“ მთავრდება ასეთი სტროფით:

„ცელქ სიყვარულით გაღვიძებულსა,  
შენ საყვარლისა ხვეწნათა შორის  
შენს თავს იხილავ... მაშინ ჰკითხე ჭკვას—  
რა უნდა სჯობდეს მაგ გაღვიძებას!“

ასეთი არის ლოთის რჩევა, ლექსის ავტორი კი „გაღვიძებაში“ საოცრად ღრმა ალგორითულ აზრს დებდა, მას სულიერ გამოფხიზლებასთან აკავშირებდა. ლირიკული პოემა „აჩრდილის“ პირველ ვარიანტს ლეიტმოტივად დაჰყვება სიტყვები:

„ოხ, ღმერთო! ამა ხალხთ გაღვიძება

ღიდ ძილის შემდეგ რა ტკბილ იქნება!“

„გაღვიძებაში“ ასევე ალგორითული აზრია „მგზავრის წერილებშიც“. „ლოთის რჩევისეული“ „გაღვიძება“ კი ერთგვარი პაროდირებული სახეა ამ ორ ნაწარმოებში და ასევე ლირიკულ ლექსებში იმავე მხატვრულ სახეში ჩადებული ამალღებული აზრისა.

განხილულ ლექსებში – „ხმა სამარიდამ“ და „ლოთის რჩევა“ ავტორისათვის აბსოლუტურად მიუღებელი აზრების პირველ პირში წარმოჩენით მიიღწევა სწორედ ის კონტრასტი, რომელიც ქმნის მხატვრულ დატვირთვას და ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. ეს ხერხი, ეს ჩანაფიქრი რომ გაუცნობიერებელი დაგვრჩეს, ავტორის სათქმელს აბსოლუტურად პირუკუ აღვიქვამდით. ეს ისეთივე სატირული ლექსებია, როგორიც „ბედნიერი ერი“, და „რა ვაკეთეთ. რას ვშვრებოდით?“, მაგრამ სატირული ელფერის მისაღწევად აქ დამატებით გამოყენებულია პირველი პირის ეპიკურის მსგავსი მხატვრული სახით ჩანაცვლების ხერხი.

როდესაც მწერალი ეპიკურ ნაწარმოებში ლიტერატურულ გმირს ალაპარაკებს ავტორის დამოკიდებულება გმირისა და მისი რომელიმე კონკრეტული გამონათქვამისადმი შეიძლება იყოს ან დადებითი ან უარყოფითი. მით უფრო მკვეთრია ეს პოზიცია ისეთი მცირე ზომის ნაწარმოებში, როგორიცაა ლექსი. აქ გმირის სახე სულ რაღაც რამდენიმე სტროფში უნდა გამოიკვეთოს, თითოეულ სიტყვას მეტი დატვირთულობა აქვს და სათქმელიც უფრო თავმოყრილი, კომპაქტური და კონკრეტულია. შესაბამისად, გაცილებით უფრო მკვეთრია ავტორის დამოკიდებულებაც წარმოჩენილი სახისადმი. ამდენად, თუ მწერალი დიაბგვის ხმას გვასმენინებს სამარიდან ან ლოთის რჩევას გვათვაზობს თავის მხატვრულ ქმნილებაში, ეს ხდება კონკრეტული განზრახვით, ამ შემთხვევაში ალბათ იმისათვის, რომ გარკვეულ ვნებებსა და ცოდვაზე მიგვაქცევინოს ყურადღება, გაგვაფრთხილოს და მოგვარიდოს მათ. ეს ხერხი, პირველ პირში მეტყველების გამოყენებისა გროტესკული სახეების შესაქმნელად, მწერალს გამოყენებული აქვს აგრეთვე ლექსში „რჩევა“ და „ო, რხმიანი საახალწლო ოპერეტი“.

არის ლექსები, სადაც პირველ პირში მეტყველებენ ალგორითული მხატვრული სახეები, მაგალითად „ჩიტი“ და „გუთნისღედა“. მათში ანარკლის სახით ეხედავთ პოეტის პირად განცდებსაც, მაგრამ ძირითადად ისინი მინც განზოგადებული ღრმა სახეებია, რომლებსაც ცალკე ანალიზი სჭირდება.

ლექსში „ქართველი სტუდენტების სიმღერა“ პირველი პირი მრავლობითის ფორმით არის გამოყენებული, რადგან პოეტი ქართველი სტუდენტობის სახელით

ლაპარაკობს, მათ საერთო საფიქრალს გადმოგვცემს.

როგორც ვხედავთ, „სხვისი პირით“ საუბრის ხერხი ილიასთან სხვადასხვა მიზნით არის გამოყენებული. დაკვირვებულმა ამ მხრივ ლექსს „მოთქმა საწყლისა“.

ლექსის გმირი – „საწყალი“ ლაპარაკობს თავის უსახლკარობაზე და კარდაკარ პურის სათხოვრად სიარულზე, რის გამოც მეცნიერები თვლიან, რომ ამ ნაწარმოებში არ შეიძლება გამოხატული იყოს მწერლის პირადი განცდები. ლექსი იწყება ასე:

„სად მოვასვენო საწყალმან თავი,  
არცა მაქვს სახლი, არც ქოხი ავი...  
მე ვარ საწყალი ქვეყნათ უსუდრო,  
არცა მაქვს არსად მცირედი ყუდრო,  
რომე მუნ მივწვე, მუნ მივეყუდრო...“

თუ ილიას პოეზიას დაეკვირვებით, იოლად შევამჩნევთ, რომ მისი არცერთი ლექსი არ არის მშრალი ნატურალისტური სახეებით შექმნილი. მართალია, მწერალს, მიუხედავად ადრე დაობლებისა, კარდაკარ პური არ უთხოვია და თავზე ჭერიც ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ მატერიალური ხელმოკლეობა, ობლობა და მიუსაფრობა საკმაოდ მწვავედ განიცადა და მისთვის რომ ამ ლექსის გმირის მსგავსად ერთადერთ ნუგეშად ღეთის მსასობელობა არ ყოფილიყო, ალბათ არც ლექსის „საწყალ“ გმირს არ აპოვნინებდა ამაში იმედს; თუ არადა რაიმე ხერხით მიგვანიშნებდა, საწყალი ღმერთში ჰპოვებს სასობას ჩემგან განსხვავებითო, ასეთი რამ კი ნაწარმოებში ნამდვილად არ არის. მით უფრო გამორიცხულია ირონია. თითოეული სიტყვა ისეთი ღრმა განცდით და თანაგრძნობით არის დაწერილი, რომ იგი აშკარად არის არა მარტო მოგონილი ვინმე „საწყლის“ ან ადამიანთა ერთი კატეგორიის, არამედ თვით ავტორის სუბიექტურ განცდათა გამოხატულებაც. სხვას რომ თავი დაეხანებოთ, გარკვეული ღრმა აზრით თვით მაცხოვარი ბრძანებდა: „მელთა ხურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს.“ (ლუკა, 9.58) ამ გაგებით წუთისოფელში „თავმისადრეკი“, „თავმისაყუდრებელი“ არა აქვს ზოლმე არა მარტო უსახლკარო გლახაკს, არამედ მათაც, ვინც სულიერ დასაყრდენს ვერ პოულობს გარემომცველ საზოგადოებაში.

თვალი გადავავლოთ შემდგომ სტროფებს:

„მე ბედი სხვისა არაფრათა მშურს,  
იგი ყველასთვის წმინდის გულით მშურს,  
მაგრამ მე ესჩივი ჩემს თავს დადაგულს,  
ვაი ჭმუნვაო, რათ სწვამ ჩემსა გულს... •  
ოხ. უხვო ღმერთო, მარტო შენგანა  
არა ვარ დავიწყებულ ობლად ყველგანა,  
შენის წყალობის წყაროით განა  
არ გინდა ყოვლის ერდგან გაბანა!



ყოველს სოფელში გაქვს ეკლესია.  
იგი ყოველთვის განგიწესია,  
მეფეც, საწყალიც. თუნდა მწყემსია,  
მუნ გადიდებენ. რაეარც წესია  
და წყალობა შენი უდიდესია,  
რომ მუნ ალაგი მეც მიწესია.“

ილიას ლექსის საერთო განწყობა ძალიან გავს პოეტ იოსებ დავითაშვილის ერთი ლექსისას. რომელშიც ვკითხულობთ:

..მაღალი ღმერთი გამიწყრეს.	იმათში ესე სწერია:
თუ რამ ვინდომო სხვისი მე...	კაცი გიყვარდესო.
კაცი ხარ. კაცად შობილი..	კეთილისათვის ბოროტად
კაცი გიყვარდესო...	თუ ვინმე გხდიდესო,
ეკლესიას დახვიდოდე	სამაგიეროს ნუ უზამ
ყოველ უქმე დაცხო	დეე თვით მიხვდესო!..
დავიანი და სახარება	ჩვენსა მხსნელსაც ეს დამართეს
ორივე იქა ძვესო.	კაცთა მოყვარესო.“

ილიას ლექსი „მოთქმა საწყლისა“ ავტორის სიცოცხლეში საერთოდ არ გამოქვეყნებულა. რომ დავითაშვილს წაკითხული ჰქონოდა და მიუბაძა. ჩვენ მათ მსგავსებაზე მხოლოდ იმიტომ გავამაჩვილეთ ყურადღება, რომ არსებობს იოსებ დავითაშვილის ამ ლექსის შესახებ ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმული აზრი. სწორედ ზემოთ მოხმობილი ტექსტის შესახებ ილია ასეთი შეხედულებისაა: „ნუ გეგონოთ, რომ ამ ტანჯვით გამწარებული ვისისამე მტრობას იგი გულში გაიტარებდეს. გულში ადგილს აძლევდეს, ან ტანჯვითე გაბოროტებული ვისიმე ჯავრის ამოყრას, სამაგიეროს გადახდას ჰლამოდეს! არა. ამისათვის იგი მეტად სულგრძელია, მეტად ყოველთა შემწყნარებელი და მიმტყუებელია. რაგორც მარტო დიდბუნებოვანი კაცია ხოლმე. მტრობა, ძულეობა, ჯავრი, შურისძიება შორს არის მისგან. მისი ნათელი სული არ იკარებს ამ ჭუჭყსა, ამ ფანჯსა.“ „არა! ყოველს ამაზედ იგი ძალდა სდგას. ამაში მსუღერს დიდი სიმი ეროვნებისა და აქა სცემს უბოროტო მარღვი ჩვენის ერის უბოროტო გულისა.“<sup>1</sup> „ამკარაა, რომ იოსებ დავითაშვილის შესახებ ამ სიტყვების მოქმელი თავისი მხატვრული ფანტაზიის ნაყოფს – ასეთივე სულღერების მქონე თავის „საწყალსაც“ კუთილშობილებისა და სათნოების ხატად შექმნიდა. ასეთ ადამიანში „მსუღერს“ დიდი სიმი ეროვნებისაო“ წერს ილია და, ვერავენ იტყვის, რომ იგივე სიმი მის გულშიაც ძალუმაღ არ ჟღერდა.

ილიას „მოთქმა საწყლისა“ უფლის სადიდებელი. მისი კაცთმოყვარეობის საგალობელია მარტივი, ჭაბუკური ენით და წრფელი გულით დაწერილი:

„მუნ შენა გხედამ ჩემსა გამჩენსა,  
მხურვალის გულით სახელსა შენსა

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა აკად. გამოც. ტ.5. გვ.354

ვაქებ, ვადიდებ სახელსა შენსა,  
წმინდის-ლოცვითა უფალსა ჩემსა.“

განსაკუთრებით საყურადღებო მასში სწორედ ის არის. რომ ავტორის ჩანაფიქრის მიხედვით ღმერთს აქებს და ადიდებს არა ყველაფრით უზრუნველყოფილი ჩინოვნიკი ან, თუნდაც თვით ავტორის მსგავსი ყმაწვილი თავადი. რომელსაც ჭკერი მანც ხურავს თავზე. არამედ უსახლკარო, მშვიერი და ყოველმხრივ მიუსაფარი გლახაკი. რაშიც კიდევ უფრო დიდი სიყვარული ჩანს უფლისა და დიდი სული ამ სიტყვების ავტორისა:

„მე ამ ქვეყანას ქვეყნიერს ვაძლევ;  
ვიტანჯვი, ტანჯვას ლოცვითა დაეძლევ.  
შენ საიქიოს დიდს იმედს მაძლევ.  
გმადლობ შენ, ღმერთო, ყოვლისა დამძლევ!  
შენი ბრძანებით გაიხსნება ზეცა,  
მუნ ყველა მივა, რა ჩავა მზეცა,  
თუმცა სახლი, კარი აქ არ მომეცა,  
შენგან ალაგი მუნ ზომ მაქვს მეცა!  
შენ, ჩემს უფალსა, ვადიდებ. ღმერთო,  
შენი წყალობა ქვეყნათ გაერთო.  
საწყლის, მდიდრისთვის არის საერთო,  
გმადლობ შენ, ჩემო უფალო ღმერთო!“

როგორც ჩანს, აქ ილიას იმის გამოხატვა სურდა, რომ ღმერთს დიდება და თაყვანისცემა შეშუენის არა მხოლოდ ცხოვრებით ასე თუ ისე უზრუნველყოფილი ადამიანისაგან, არამედ ყველასაგან, მათ შორის თვით ყოველმხრივ ხელმოცარული გლახაკისაგანაც კი. სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს აქ პირველი პირის „გასხვისების“ ხერხი. მწერალს რომ ლირიკული ვიწრობის პირით ელაპარაკა, ლექსი იქნებოდა ერთი ადამიანის. ავტორის გულისსადავების გამოიხატეელი, მაგრამ მან იცოდა, რომ მის ამ გრძნობას მრავალი თანამოზიარე ჰყავდა და ამიტომაც ააჩეტყველა პირველი პირით ერთი ასეთი ვინმე „საწყალი“. რომლის სახითაც შექმნა ერთგვარი განზოგადებული ტიპი ცხოვრებისაგან დაჩაგრული, მაგრამ მანც უფლის მსასოებელი ადამიანისა.

უფლის სადიდებლის საწყლის პირით გამოთქმით ილიას არც ის უნდა მიეაწეროთ. თითქოს მისი აზრით ღმერთი მარტო საწყლებს სწამდეთ. პირიქით, აქ უფრო ის არის ჩაჩვასმული, რომ როდესაც ცხოვრებისაგან გათულებულ ადამიანს ჰყოფნის იმის სულიერი სიჯანსაღე, არ დაბრკოლდეს. არ დაემდუროს უფალს წუთისოფლის უკუღმართობისათვის და ადიდოს მისთვის უკვარცმული მაცხოვარი. რომელმაც ბევრად უფრო მეტი უსამართლო ტანჯვა დაითმინა თითოეული ჩვენთაგანისათვის, მით უფრო მაღლიერი უნდა იყოს მდიდარი, რომელსაც ასეთი განსაცდელიც კი არ უნახავს. ეს რომ ასეა. მწერალი რომ ამ აზრისა იყო. ამაში ჩვენ მისი პუბლიცისტიკა და მონობილმა არაყრათმა

ციტატამ დაგვარწმუნა.

რა თქმა უნდა, „საწყალი“ ლირიკულისაგან განსხვავებული გმირია, მაგრამ მისი განცდები მწერალს ღიმილი თანაგრძნობით აქვს გადმოცემული და ჩანს, რომ იზიარებს მათ. ლექსის დელაზური, რომ კაცთაგან შეუწყნარებელი და წუთისოფლის გარემოებათაგან დაჩაგრული ადამიანი ღვთის იმედს არ კარგავს და მისგან მოელის ამ ქვეყნად განცდილ ტკივილთა დაამებას, ილიას ლირიკული გმირის პირითაც აქვს გამოთქმული, მაგალითად ლექსში „ჩემო კალამო...“

„თუ კაცმა ვერ სცნო ჩენი გული, ხომ იცის ღმერთმა,  
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩენი...“

ამიტომ ლექსის „მოთქმა საწყლისა“ გათვალისწინება ილიას მრწამსის, მისი მსოფლმხედველობის შესახებ საუბრისას, აუცილებელია. მისი სულისკვეთება აბსოლუტურად ეთანხმება პოეტის ლირიკული ლექსებისას.

ძალიან საინტერესოა 1858 წელს დაწერილი ლექსის – „სიზმარი“ მხატვრულ სახეებზე დაკვირვება. „ბნელი უფსკრული“, „ჯოჯოხეთის სიწყვდიადე“, „რისხვა წყველისა“, უზო-უკვლოდ მოწანწალე მზე, მთვარე, ცა და მიწა. „კბილით ხორცის გლეჯა“, „კბილთა კრაჭუნი“ სიკვდილის მოლოდინი და განწირულება – ყოველივე ეს თავისი ღრმა ალევორიული აზრით წმინდა წერილისეულ საშინელი მოოხრების ჟამს, უფლის მეორედ მოსვლას და მის სამსჯავროს მოგვაგონებს, რომელიც იოანე მახარებლის „გამოცხადებასა“ და სახარების სხვადასხვა ადგილებშია აღწერილი.

„ტიალ სივრცეში ოხრად ვნახე ბნელი უფსკრული,  
ჯოჯოხეთისა სიწყვდიადით ღრმად გადაკრული.

და იმ საშიშარ, სამარისებრ, უზომო სიღრმეს

ვსკვკვერტდი არეულთ ურთიერთთან ნგრეულთა ქვეყნებს.“

ეკითხულობთ ლექსის პირველ სტროფში და თითქოს გვაგონდება: „...რაუამს იხილოთ საძაგელი იგი მოოხრებისა... (მარკოზი 13.14); „...და იქმნა მეუფებაჲ (მზეცისა) მისი დაბნელებულ“ (გამოცხ.16.10); „...ეგულების აღმოსლვაჲ უფსკრულით და წარსაწყმედელად წარსლვაჲ... (მათე 24.2); „ვაი შენდა ქორაზინ. და ვაი შენდა, ბედსაიდა!.. ხოლო გეტყვი თქუენ, რამეთუ ტვიროსი და სიდონი უმოლხინეს იყოს ღღესა მას საიჯელისასა, ვიდრე თქუენ.“ „ხოლო შენ, კაპერნაუმ, ნუ ცადმდე აჰმალდები, არამედ ჯოჯოხეთამდე შთაჰხდე... ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ უმოლხინეს იყოს ღღესა მას საიჯელისასა, ვიდრე შენ.“ (მათე 11.21-24)

ლექსის მეორე სტროფში ეკითხულობთ:

„რისხვა წყველისა, შეჩვენების და განდებისა

იყო თანმგზავრად განწირულის იმ ქვეყნებისა.

სისხლით აღვსილსა ფიალასა იქ მზენი ჰგავდნენ

და ჯოჯოხეთის უფსკრულადა ვარსკვლავნი სჩანდნენ.“

ეს ალუზიებიც სახარებასთან არის დაკავშირებული: „...რამეთუ იყოს ქაშინ ჭირი დიდი ქუეყანასა ზედა და რისხვამ ერსა ამას ზედა.“ (ლუკა 21.23) „...და ტიროდინ და გოდებდენ მის ზედა მუუენი ქუეყანისანი...(გამოცხ. 18.9) „... გარე იყვენ ძაღლნი და მწამლველნი და მეძაენი და კაცის მკლველნი...“ (გამოცხ.22.15) „...და ვარსკულაენი ცისანი გარდამოციევენ ქუეყანად...“ (გამოცხ.6.13) „მზე შვე იქმნა, ვითარცა ძაძა ბაღისა და მთოვარე ყოვლითურთ იქმნა, ვითარცა სისხლი.“ (გამოცხ. 6.12)

შემდეგ ორ სტროფში კიდევ უფრო დიდი კოსმიური ცვლილებები და შემზარავი სურათია დახატული:

„მზე, მთვარე, ზეცა, დედამიწა საშიშ გრიალით

უგზო უკვლოდა წანწალებდნენ ტრიალით მალით.

აქ მთვარე მზესა – იმ სისხლის ტბას – მიაწყდებოდა

და ზარით, გრგვინვით და ქუხილით უკუხტებოდა...

და მზიდამ თითქო სისხლი სიღრმეს ღვარად სდიოდა

და მუნით ალი ჯიგრისფრად ამოდიოდა.

და ის ქვეყნები იმ აღისფრით იყვენ ისეთი,

თითქო უზომო სიერცეს მოცურს თვით ჯოჯოხეთი.“

ეს ნაწყვეტი ესმაურება წმინდა წერილისეულ შემდეგ ადგილებს: „...ვარსკულაენი დამოციევენ ზეცით და ძაღნი ცათანი შეიძრნენ.“ „...და იწყლა მესამედი მზისა და მესამედი მთოვარისა და მესამედი ვარსკულაეთა. რაითა დაბნელდეს...“ (გამოცხ. 8.12) „...და აღხდა კუამლი ჯურღმულისა მისგან, ვითარცა კუამლი ცეცხლისა მოტყინარისა და დაბნელდა მზე და ქაერი კუამლისა მისგან ჯურღმულთა...“ (გამოცხ. 9.2) „...და იქმნეს ქუხილნი და ხმანი და ელვანი და ძრვად...“! (გამოცხ. 8.5) „...და იქმნა სეტყუად და ცეცხლი, შეერთებული სისხლითა...“ (გამოცხ.8.7) „...მესამედი ზღვისაი იქმნა სისხლ...“ (გამოცხ.8.8) „...და აქუნდა ხელთა მისთა ბარძიმი ოქროისაი, სავსე საძაგელებითა და არაწმიდებითა სიძვისა ქუეყანისაითა.“ (გამოცხ.17.4) „...შთავარდეს ორნივე იგი ტბასა მას ცეცხლისასა...“ (გამოცხ. 19.20)

შემდეგ ლექსი ასე გრძელდება:

„და ღვთის რისხვისა ხმისა მძაფრი და ყრუ გრიალი,

ქვეყნებთა მრავალთ უგზო უკვლოდ წყევლით ტრიალი,

გრიგალთა, ცეცხლთა, წყალთა, ხმელთა ერთად მოდენა,

„წყეულიმც იყავ, წყეულიმცა! – ამის მოსმენა...“

ეს ნაწყვეტიც შევადაროთ „გამოცხადების“ ტექსტს: „...მისცნა შვილთა მათ ანგელოზთა შვიდნი ლანკნანი ოქროისანი, სავსენი გულის წყრომითა ღრმითსა მათ.“ (გამოცხ. 15.7.) „...მოვიდეს წელსლებანი მისნი სიკუდილი, გლოვად და სიყმილი, და ცეცხლითა დაიწუას...“ (გამოცხ. 18.8) „...პიროთა მათთაგან გამოვალს ცეცხლი და კუამლი და წუმწუზბად“ (გამოცხ. 6.17). „ცად წარიგრაგნა, ვითარცა წიგნი წარგრაგნილი და ყოველნი მთანი და ბორცუნი

ადგილთა თვისთაგან შეიძინეს.“(გამოცხ. 6.14) „...მაშინ პრქუას მარცხენითა მათცა: „წარვედით ჩემგან წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა...“(მათე 25.41) ლექსის ტაქები:

„კაცებრ ღემონნიც ურთიერთსა კბილით ზორცს აგლეჯდნენ და სამარცხენო სიმბთალით კბილთ აკრაჭუნებდნენ...“

გვაგონებს სახარებისეულ ციტატებს: „მათ მიიძულონ მეძავი იგი, განრყუნელ და შიშუელ ყონ იგი და ზორცნი მისინი შეჭამნენ...“ (გამოცხ. 17.16) „მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ...“ (მათე 24.51)

უკანასკნელი სტროფი კი:

„ყველა ელოდდა, განუშლიდა ხელებს სიკედილსა, იწვევდა, როგორც უკანასკნელს ნუგემს შოიმილსა, მაგრამ სიკედილიც იქ თვის მეხთა არ აღვიძებდა და იმა ქვეყნებს ღეთის რისხეასა მიანებებდა...“

უნდა უკავშირდებოდეს ასევე „გამოცხადების“ შემდეგ ადგილს: „მათ დღეთა შინა ეძიებდნენ კაცნი სიკუდილსა და ვერ პოვონ და მსუროდის მოკუდომად, და იელტოდეს მათგან სიკუდილი.“ (გამოცხ. 9.6) „...რამეთუ მოვიდა დღე იგი რისხვისა მისისაი და ვინ შემძლებელ არს დადგომად?“ (გამოცხ. 6.17)

როგორც ვხედავთ, ლექსი აშკარა გამოძახილია იოანე მახარებლის „გამოცხადებისა“, რომელშიაც საშინელი მოოხრების ყაში და უფლის სამსჯავროა აღწერილი. განუწყვეტელი ფიქრი ამ ჟამზე. მისი მუდმივი მოლოდინი ქრისტიანული სიფხიზლის ნიშანია. ამიტომ შემოხვევითი არ არის, რომ მწერალმა მასზე შეაჩერა მკითხველის ყურადღება. „ნეტარ არს, რომელი იკითხვიდეს და რომელნი ისმენდენ სიტყუათა ამის წინასწარმეტყულებისათა და დაიმარხონ რაი-იგი მას შინა წერილ არს, რამეთუ ყაში ახლოს არს“, ვკითხულობთ „გამოცხადებაში“ (1.3), მაგრამ აქ თითოეულ სიტყვაში იმდენად იღუმალი და ღრმა აზრი დევს, რომ მასთან დიდი სიფრთხილით მიახლებაა საჭირო. ლირიკულ ლექსში ამ წინასწარმეტყულების მხოლოდ ავტორისეული შთაბეჭდილებაა ნაჩვენები. რეალურად ეს თემა ამოუწურავი, ადამიანის გონებისათვის ბოლომდე მიუწვდომელი და ენით დაუტყვენელია. როგორც ჩანს, ამიტომ არ ცდილობს ავტორი წარმოსახული სურათის მტკიცებას, და აძლევს ფრთხილ სათაურს – „სიზმარი“. ეს ის „სიზმარია“, რომელიც აუცილებლად ახდება, მაგრამ როგორ? ვინ როგორ შეხვდება უფლის სამსჯავროს – ცალკე კაცნი და მთელი ქვეყნები?

წმინდა წერილისეული სწავლებები ყველაზე ვრცლად და თვალსაჩინოდ გვხვდება მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“. მისი ერთ-ერთი გმირი – მღვდელი ხან იგაუერი სახით, ხან განმარტებებით, ხან კი თავისი საქციელით ქადაგებს სახარებისეულ მოძღვრებას. მაგალითად ერთ-ერთ გლეხს იგი ასე ამხელს უსიყვარულობაში: „დღეს არ გეუბნებოდით საყდარში, რომ ქრისტე-ღმერთმა მტრის სიყვარულიც ბძანა;და შენ კი, მტერი კი არა. დვიძლი იმა ამოგიძულება...“

თუ კაცისა არა გცხენიან, ღმერთი ხომ ყველასა ჰხელავს, რა პირით შეხვდები?“  
მღვდელი უყვება გაბრიელს უფლისა და ტალანტების იგავს (იხ. მათე 25.15-30) და იქვე განუმარტავს: „ბატონი ღმერთია, იმისი მსახურები ჩვენა ვართ. ღმერთმა ყველას გონება და გული, სიკეთის შეძლება დაგვირიგა, ზოგს. მართალია. ცოტა. ზოგს ბევრი, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება, ცოტას – ცოტა, იმისათვის კი არ დაგვირიგა. რომ იმ ზარმაც მონასავით კიდობანში, ან მიწაში დავმალეთ, – იმისათვის, რომ ბევრი გაჭირვებულია ქვეყანაზედ, უნდა გავცეთ, რომ მოვიგოთ რაღე, თორემ ხელცარიელები დავრჩებით. როცა ღმერთი მოგვეკითხავს... ის ღვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცსა თავდაპირველვე ჩავსახებია, ჩვენთვის დაკარგულია, თუ სიკეთე არ მოვაგებინეთ.

გაჭირვებაში ჩავარდნილ მტერალ დედაკაცს მღვდელი ეუბნება: „სულმოკლეობა ღვთის საწყენია. ღმერთია მოწყალე, იმისი ნუგეში დიდი არის, ღმერთი არის ყველას მფარველი, მოჭირნახულე, ადამიანი იმას უყვარს; რაც უნდა მოხდეს, უნუგეშოდ არ გაგვიშვებს... მართალია ცრემლი მწუხარების შეილია. მწუხარებას ალბობს, მაგრამ „გონების თვალს არ უნდა მოერიოს ცრემლი. საქმის დანახვა სჯობს ცრემლით თვალების აბმასა...“

ეს ქადაგებები შემთხვევივით არ არის მოთხრობაში შეტანილი. ამას ყველაფერს ისმენდა მისი მთავარი გმირი – გაბრიელი. ესე იგი, მან იცოდა, რომ მტერიც უნდა ყვარებოდა, რომ გულში ღვთისგან ჩასახული მადლი აუცილებლად კეთილი საქმით უნდა ემრავლებინა, რომ ღვთის იმედის დაკარგვა და საკუთარ ნებას მინდობა – სულმოკლეობაა. ფაქტიურად მწერალი მიგვანიშნებს, რომ მღვდელი წინასწარვე ამზადებდა გაბრიელს მოსალოდნელი განსაცდელისათვის, მაგრამ მასში ყოველივე ამის შეგნება მხოლოდ ზედაპირული იყო, გაბრიელს მაინც არ სჯეროდა რომ მტრის სიყვარული შეიძლებოდა, შურისძიებით შეტყობილს მაინც დაებინდა „გონების თვალი“, ბოროტება მაინც ჩაიდინა.

„არა კაცი იმოდენა სიკეთეს არ მოგცემს, რამოდენადაც შენის ვალის ასრულება... შენს საქმეზედ იყავ ბეჯითი, გულმოდგინე, ერთგული, რომ ღმერთიც მადლობელი იყოს და კაციც...“ ამბობს მღვდელი და გაბრიელიც თავის ფიზიკურ მოვალეობებს პირნათლად ასრულებს, მაგრამ ადამიანს ხომ სხვა ვალიც აქვს, როგორც მოყვასის. ისე უფლის წინაშე...

„იესომ ბძანა, განკითხვის ღღეს გეტყვითო: მწყურვალი ვიყავ, არ მასვითო, მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო; შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო. სნეული ვიყავ, არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო: უფალო! სადა გნახეთ, რომ არ გიშველეთო? მე გეტყვიო: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არგაკითხული, მე ვიყავიო...! ასწავლის მღვდელი გაბრიელს, მაგრამ მას არ ესმის, რომ დათიკოც, ბოროტი უნით შეტყობილი, ერთი იმ სნეულთაგანია და მასაც შველა უნდა. მაგრამ არა ისე, როგორც გაბრიელმა „უშველა“.

„ამით გათავდა შენი შერმადინობაო?“ ეუბნება მას მომაკვდავი დათიკო

და თუმცა ვერც თავად გასწია ღირსეული აეთანდობა, ეს გაბრიელის შეცოდებას და დანაშაულს არ აქარწყლებს. დათიკოც ხომ ღვთის დანაბადია – ადამიანია. უფალი სწორედ მისნაირი ცოდვილების გადასარჩენად მოვიდა ქვეყნად, მისთვისაც ეცვა ჯვარს. სწორედ ცოდვილთა შესახებ ბრძანა მაცხოვარმა: „არა უხმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა.“ გაბრიელმა კი ცოდვილობის გამო საერთოდ უარყო მისი სიყვარული. ის კი არადა. იმასაც დარდობს, ადრე როგორ შევიყვარო, „ღმერთსა ვფიცავ და ჩემ მამა-პაპის სალოცავს“ ეს რომ მცოდნოდა, როგორ მომექცეოდა, „გულში ნაღველას ჩაიწურავდი და იმის სიყვარულს კი იქ არ გავიტარებდი.“ ამ უსიყვარულობის გამო გაბრიელმა უსასტიკესი განაჩენი გამოუტანა დათიკოს – შეგნებულად არ მისცა იმის საშუალება, რომ სიკვდილის წინ ამ ცოდვის მორვეიდან ამოსულიყო, მონანული და ნაზიარები წარმდგარიყო უფლის სამსჯავროზე. სხვა საქმეა, ექნებოდა თუ არა მას სინანული, მაგრამ ეს მას მოეკითხებოდა, ის კი, რომ ამ გმირს გაბრიელის გამო არ მიეცა ასეთი შესაძლებლობა, გაბრიელს მოეკითხა.

მღვდელი წმინდა წერილისეულ ჭეშმარიტებებს ქადაგებს. ამოტომ ესევა მას ხალხი ფუტკარივით, ამიტომ ეწაფებიან მის სიტყვას უკვდავების წყაროსავით. ამიტომ მიიზიდავს იგი მათ გულებს, „როგორც შხე შხუჭკერიტსა“. ხალხი „სულგანაბული შესცქეროდა, თითქო დაჯერებულთაო, იმის პირიდან ოქრო გადმოვარდება და შიშობს ხელიდამ არ გამივარდესო“, ნათქვამია მის შესახებ და „ოქროში“ სწორედ მისი ქადაგებებია ნაგულისხმევი, რომლებიც მრავლად იხმინა, მრავლად აგროვა აღფრთოვანებულმა გაბრიელმა, მაგრამ ყველა მიწაში დაფლა, არაფერი მოაგებინა.

სახარებისეული სწავლებები მოთხრობა „ოთარანთ ქერიეშიც“ გვხვდება, მაგრამ აქ მათ წარმოთქვამს არა მღვდელი, არამედ ქერიეი დედაკაცი. ამიტომ ფორმა გამოთქმისა უბრალო და, შესაძლოა, მოუხეშავიც არის თუმცა აზრი ნათელი და წმინდაა.

უფლის საშინელი სამსჯავროს შესახებ ქერიეი შეიღს ეუბნება: „ღმერთმა ადამიანი გააჩინა, უბანა: წალი, შენს თავს შენვე მოუარეო; შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო... აქ ჩემთან რომ ამოხვალ, მაშინ სხვა არისო. აღუღებულ კუპრის ზღვაზედ ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ – გაივლიო; მადლი მხრებში შაგიჯდება და გაგატარებსო, კაი კაცს არ ჩაუწყდებაო.“

„ვითარ იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა. და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოვებენ მას. (მათე 7.14) „მას ჟამსა ვჰრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნი თქუენ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი“ – წერია სახარებაში (მათე 7.23) და მიუხედავად იმისა, რომ ქერიეი ზუსტ ციტირებას ვერ ახდენს, მან იცის, რომ მთავარი ამ სწავლების საქმით აღსრულებია. „ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის კიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს და ტყვიასავით მიძიბეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით მსუბუქია“, ამბობს იგი და დღე და ღამ არაფერზე იმდენს არ ზრუნავს, რამდენსაც იმაზე, რომ ეს ცოდო და მადლი ერთმანეთისაგან გაარჩიოს,

ცოდო უკუაგდოს, მაღლი აგროვოს და შეილსაც და სხვებსაც იგივე ასწავლოს.

მუდმივ სულიერ მღვიმარებაზე არაჩვეულებრივი ქადაგებაა ქერივის სიტყვები: „ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის ფხანა რაღა დარღუბალა!... გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევიანებენ, რომ ძილი მოიგვარონ. გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის. ის კი არ იციან, რომ თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭვე, ისე გაგთელაეს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბაღსა.“ „იღვიძებლით უკუე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისაჲ მოვიდეს“ (მათე 25.13) – წერია სახარებაში და ქერივიც იმიტომ ამხელს მწარედ და დაურიღებლად თავის თანასოფლელებს ამა თუ იმ უკეთურებაში, რომ მოაფხიზლოს ისინი. ამიტომ უწოდა მის ასეთ ქცევას ავტორმა „პილპილმოყრილი მაღლი“. მართალია „პილპილმოყრილია, ცხარეა, მაგრამ მაინც მაღლია.

ილიასთან ხშირად ეხვდებით ამა თუ იმ ანდაზის ან სხვისი გამონათქვამის საკუთარი შეხედულების მიხედვით გადაკეთების შემთხვევებს. „მაღლი ჰქენი და ზედ მარილიც მოაყარეო“, ითხოვს ქართული კაცი და თუ მაღლიც სხვამ ქნა და ზედ მარილიც სხვამ მოგიყარა, შენ რაღას გააკეთებ?! უსაქმოდ მოდუნებულს და გემრიელი ლუკმით კარგად დანაყრებულს ჩაეკინება და სწორედ რომ მიძინარე შეხედები შენი განკითხვის დღეს. ასე რომ არ მოსდეს, ამიტომ არის ქერივის მაღლი პილპილიანი...

მართლის თქმის ასეთივე პრინციპი ჰქონდა თვით ილიას და შემთხვევითი არ არის, რომ ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში თავად გვეუბნება ოთარაანთ ქერივის მსგავს სიტყვებს: „...თითქო სიტყვა ადამიანისა სამურველი იყოს, რომ მარტო ყური ჰფხანოს და ჭკუას, გონებას, სულსა და გულს არ მიეკაროს არასეზით...“

ბიბლიურ თემებზე საუბარი მრავლად არის ილიას მოთხრობაში „კაცია, ადამიანი?!“, მაგრამ აქ მათზე ზედაპირულად მსჯელობენ დაბალი სულიერების მქონე და ყოვლად გაუთვითცნობიერებელი გმირები; მსჯელობენ მხოლოდ სიტყვის მასალისთვის და არა საქმისათვის, რის გამოც ყოველივე გროტესკულ ელფერს იძენს.

„მას აქეთ, რაკი ევამ ადამი შეაცდინა, მას აქეთ ნაბძანებია ღეთისაგან, რომ ჩვენის ოფლით პური უნდა ვჭამოთ“, ამბობს დარეჯანი. ამ სიტყვებით ერთგვარად მხილებული ლუარსაბი უმაღლვე თავს იმართლებს; „ეგ თავადებზედ ხომ არ არის ნათქვამი, გლეხებზედ არის ნათქვამიო“. „ბრძენი“ ქალბატონი კი უსაყვედურებს; „რას ამბობ? ისე ჰლაპარაკობ, ასე გგონია, არა იცოდე რაო! მაშინ ადამის და ევას მეტი არაეინა ყოფილა და ადამი თავის თავზედ თავადი ხომ არ იქნებოდაო.“

ლუარსაბი თითქოს ცნობისმოყვარეობას იჩენს; „არა, გეთაყვანე ის რა ხე იყო, იმათ რომ ხილი მოიპარესო?“ „ხე ბოროტისა და კეთილისაო“.



პასუხობს დარეჯანი და ახლა ამ ხის შესახებ აგრძელებენ საუბარს. ეხლაც არის იმისთანა ხე. „ამბობენ რუსთ ხელმწიფის ბაღში ერთი ოქროს ოთახიანო, იმაში არის, სულ იაგუნდის ფოთლები ასხიანო... ქვიშაზედ უმრავლესი ჯარი ახვევია თურმე... ერთი ფერია ყოფილა, ფერია არწივად გადაქცეულა, შეპარულა, მოუგლეჯია ერთი დიდი ალმასი, ჩაუყლაპავს და ისე გამოპარულა... მერე დედოფალი შებძანებულა, უნახავს, რომ ერთი დიდი ალმასი აკლია, მაშინვე რუსთ ხელმწიფისთვის შეუტყობინებია. რუსთ ხელმწიფე მაშინვე მიმხედარა, რომ ეს ხონთქრის საქმეა და ომი დაუწყია. ეს ომი ხომ დღესაც არ გადაწყვეტილა.“ ასე გადადის დარეჯანი ბიბლიიდან ზღაპრებზე და დიდი თვითდაჯერებულობით მსჯელობს ყველაფერზე. ლუარსაბი კი ისმენს და ხან „ხე ბოროტისა და კეთილისას“ ნაყოფის შეჭმაზე ოცნებობს, ხან ფერიის „ეშმაკობით“ აღფრთოვანებული მის ადგილზე ყოფნას ნატრობს და სხვ. დარეჯანის თვითდაჯერებულობას ლუარსაბიც კი ხედება, შენ ვერავინ გადაგარწმუნებს, „თუნდ სოლომონ ბრძენი მოვიდეს, მაშინვე ეტყვი: მე შენზედ ჭკვიანი ვარო.“

ლუარსაბს იმედი აქვს, რომ საიქიოშიც ბატონი იქნება. „შარშან კი არ იძახდნენ. რომ საიქიოს ბატონები ყმებად შეიკვლებიანო, ყმები კი ბატონებადარო; ენაცვლე დეთის მადლს, იქაც ისე არიანო, ბატონი ბატონადა, ყმა ყმადარო, როგორც აქა. ინგლისის ხელმწიფეს ბარათი ჩამოუგდიაო ფრანგის ხელმწიფისათვის, რომ „ნუ გეშინიანო, მეცა და ჩემ დიდკაცებსაცაო აქ უფრო დიდი პატივი გვაქვსო, მინამ მანდარო. ნუ დაიჯერებო, რასაც მანდ ყბდობენო.“ ეტყობა ლუარსაბს, რომ მდიდრისა და ლაზარეს იგავიც თუ გაგონილი აქვს, ასევე უკუღმართად გაუგია.

„უფლისა უფალსა და კეისრისა კეისარსაო“, ამბობს სახარების კიდევ ერთი „კარგი“ მცოდნე – ლუარსაბის რძალი ელისაბედი და იქვე განმარტავს: „კეისრები ჩვენა ვართო.“

„...მე დაგიწერ ლოცვას, ჩემო ბაბაღვე; დაწერილი ქალღმერთი იმ მხარეს დააკარ, რომელიცა სტკივა, ეგრე იყოს ორი სამი დღე, თუ შაკიკია, გააქარწყლებს მაშინვე“, – ეუბნება ამჯერად „სასწაულებრივ“ მკურნალად მოვლენილი დარეჯანი მეზობლის ქალს და ავტორი იქვე დასძენს ირონიით: „ვერ უყურებთ, მკითხველო! კნინა დარეჯანი მე უსწავლელი მეგონა და, დახეთ, რაები სცოდნია? ეხლა მომაგონდა, რომ იმისი განაყოფი რძალი ელისაბედი, რომელიც ორგანაც მოვიხსენიეთ, თურმე ჩუმად ქვეყანაში ჰლაპარაკობდა, რომ ვითომც დარეჯანმა ჯადოობაც იცისო, ვითომც სოლომონ ბრძნის წიგნიც წაეკითხოს და ამიტომც ღმერთი უწყრება და შვილს არ აძლევსო. ამისთანა ცილისწამებას როგორ დაეიჯერებ?“ აქ ერთგვარი პარადოქსია, რატომ უნდა გასწყრომოდა ღმერთი ერთ-ერთი დიდი წინასწარმეტყველის წიგნის წაკითხვისთვის? ეს შეუსაბამობაც ერთგვარ სტილისტურ დატვირთვას ქმნის და მხატვრულ ზემოქმედებას აძლიერებს. ასეთივე ბრიყვული შეუსაბამობაა ლურსაბის სხვა სიტყვებშიც: სოლომონ

ბრძენი ხომ არ ვიყავ. ჭერზე დამჯდარი ბუზების რაოდენობა დაუთვლელად გამომეცნო. გვერნებათ სოლომონ ბრძენი კი იმიტომ იყო ბრძენი, რომ ასეთი რამეები შეეძლო.

დარეჯანს სიზმარში ვილაც თეთრწვერა მოხუცმა კაცმა წამალი დააღვინა და უთხრა: „გამრავლდი, ვითარცა იაკობიო.“ მას წირვა-ლოცვაზე გაეგონა ეს სახელი, მაგრამ არ იცოდა, ვინ იყო. მიუხედავად ამისა, დაინტერესებულ ლუარსაბს ეს არცოდნა არ გაუმელა და კვლავ ჩვეული თვითდაჯერებით აუხსნა, იაკობი „აბრაამის მძახლის განაყოფის შვილი იყო.“

ბიბლიური თემებისა და სწავლებებისადმი გმირების ამგვარი დამოკიდებულების ჩვენებით მწერალი იმავე წმინდა წიგნებით ამხელს მათ. იგი იმიტომ გვიჩვენებს „ძაღლთა“ და „ღორთა“ წინაშე დაყრილ, ფეხქვეშაათელილ მარგალიტებს (მათე 7.6), რომ დაგვანახვოს, რაოდენ შემადრწუნებელია ეს და მოგვარიდოს ამგვარ ცოდვას.

„რა დასაძრახისია? მოსწყენია დავითნის კითხვა, გულზე რაღაცა სვედა მოსწოლია და გონების გასართავად და უგემურ ღღის დასაღვეად მიმჯდარა ფანჯარასთან, ამოუძვრია გულის ქინძისთავი და მიუყვია ხელი ამ მართლა-და გონებაგასართველ საქმისათვის“, ამბობს მწერალი გაქონილქალაღიან ფანჯრებზე ნემსით დაჩხვლეტილი, ნახატებისა და ნაწერების გამოხატველ ქალებზე. ასეთებს დავითნის კითხვა ღღის, „დაოვი ხეზე როგორ გაეა, იანანინაოს“ მსგავსი „სიბრძნე“ კი – ახალისებს. აქაც ავტორის კილოს აშკარად სარკასტული ელფერი აქვს და ამოკიოხულში ყველგან შეფარული აზრი უნდა ვეძიოთ და არა პირდაპირი.

ლუარსაბსა და დარეჯანთან დაკავშირებით მწერლის მიერ სახარებისეული გამოთქმის ზმარება – „ერთ სულ და ერთ ხორც“, ასევე გროტესკულია და უფრო სამხილია მათი, ვიდრე რაიმე დადებითზე მიმანიშნებელი.

„ჩემი თავი ერთ დროს წმინდი-გიორგის ჯვარზედ იყო დაფასებული, მაგრამ, ზომ ხედავთ, შესყიდულმა ტყვიამ აქამდისინ ვერ მიპოვაო“, – წუთიერად გაიუღეებს „გლახის ნაამბობში“ გაბრიელის ეს სიტყვები და მკითხველის გულში შემზარავ კვალს ტოვებს. ამით მწერალი წმინდანისა და სიწმინდის შეურაცხყოფით განცდილ ტყივილს გამოთქვამს. განა შეიძლება „შესყიდული ტყვიის“ ჯილდო წმინდა გიორგის ჯვარი იყოს? შეიძლება ძელი ჭეშმარიტებისას და დიდმოწამის სახელის ამით შებილწვა?

ილიას ნაწერებში ბევრგან ვხვდებით ქრისტიანული წესების ამსახველ ეპიზოდებსა და დეტალებს.

„ღმერთმა კურთხევა დიდ საქმეში წინ წაგიმძღვაროთ...“ ამბობს პოემა „ქართლის დედის“ მთავარი გმირი. ყოველ საქმეს ქრისტიანი ღვთის სახელის ხსენებითა და კურთხევის აღებით იწყებს. „...მივედი, ლოცვა-კურთხევა ვთხოვე, იმან პირჯვარი გადამწერა და მიბძანა: „ესეც იცოდე: ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავისა მტერია. მშვიდობით...“ იფრებს გაბრიელი. „მაშ დამილოცე მამისერთა შვილი“, სთხოვს იმავე მოთხრობაში გლეხი პეტრე მღვდელს და

ისიც აკურობებს ბავშვს. გლახუკამ „ქედმოშველებილმა კურობევა ჩამოართვა“.

კვითხულობო იქვე.

პირველს გამოისახავს და ღვთის სახელს ახსენებს მღვდელი ვიდრე მტკვარში ჩაყარნილი კაცის გადასარჩენად გადახტებოდეს. ბრძოლის წინ, როგორც ზემოთ ვთქვი, ღმერთს ახსენებს ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილიც. „ოთარანო ქერივში“ გიორგის გულჩახვეულობით შემოფოთებული დედა პირველს იწერს ავი ფიქრების დასაძლევად და ძილშიაც კი ღმერთს ეკვდრება, რომ ცოდვისაგან იხსნას მისი შვილი.

ილიას ნაწერებში. განსაკუთრებით კი „გლახის ნაამბობში“ კარგად ჩანს სინანულის და აღსარების მნიშვნელობა. უცოდველი ქვეყნად არავინ არის. ადამიანი შეიძლება ცოდვამ დასცეს, მაგრამ წამოდგომის ძალას მას სწორედ სინანული აძლევს. გაბრიელს თითქოს ღვთის სიყვარულიც აქვს, იმედიც არ აქვს დაკარგული. მაგრამ ერთი ადამიანის უსიყვარულობის, მისი დასაღუპად გამეტების და შემდეგ ჭკუშარიტი სინანულის უქონლობის გამო იგი, მუხლებზე დამოხიბილი, ვეღარ წამოდგება, რომ უფლის პატიოსან სისხლსა და ხორცს ეზიაროს. სინანული არა აქვს არც დათიკოს, არც პეპიას და საერთოდ მოთხრობის მიხედვით მისი უქონლობა თითქოს საერთო სენად არის ქცეული. შესავალშიც კი, მოთხრობელის ეპიზოდური სახის წარმოჩენისას დიდი აქცენტია ამაზე გადატანილი. გლახას დასიყვებული და დანირქებული ფეხების დანახვაზე იგი თვალს მორიდებს მას, შემდეგ შერცხვება და იფიქრებს: „უნდა წამოვმდგარიყავი და ბოდიშით შემენანა ჩემი მხეცური ქცევა. მაშინ გაემართლებოდი. მაგრამ სულის ღონე ჩემი ამ პატიოსნურ საქმისათვის უძლეური იყო.“ ეს პატარა. თითქოს უმნიშვნელო დეტალი ერთგვარი გზის მანქენებელია. რომ მოთხრობაში სულის ამგვარი ღონის უქონლობაზე იქნება ყურადღება გამაჩვილებული.

განსაკუთრებული აზრით ტვირთავს ილია სიკვდილის წინ ამა თუ იმ გმირის ზიარების ფაქტს. მწერალი ამით თითქოს მიგვანიშნებს სულის საბოლოო მდგომარეობაზე. ქვემოთ ვრცლად გვექნება ამის შესახებ საუბარი პეპიას, გაბრიელის, დათიკოს, გიორგის სახეების განხილვისას. პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ხაზგასმულია ეპიზოდური გმირის – ზაქროს მამის უზიარებლად სიკვდილის ფაქტი, რაც ერთგვარად აღრმავეს შვილის განცდებს:

„ვაიმე. მამა მე მომკვდომიყო

როზგვემა უღმერთოდ, უზიარებლად...“

ამბობს იგი.

რაც შეეხება „კაცია. ადამიანის“ მთავარ გმირს – ლუარსაბს, მისი ლოცვაც, პირველის წერაც, მარხვის შენახვაც, ეკლესიაში წასვლაც – ყველაფერი გარეგანია, ზედაპირული. მთავარ – სულიერ აზრს მოკლებული. ადამიანმა უღირსადაც შეიძლება მიიღოს ზიარება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგი მისთვის სასჯელად იქცევა და არა სულისა და ხორცის საკურნებლად.

ამიტომ ლუარსაბთან დაკავშირებით ამგვარი სიწმინდეების ხსენებამ არაბირდაპირი, საწინააღმდეგო შთაბეჭდილება უნდა გამოიწვიოს მკითხველში. ეს ყველაფერი კი არ ამართლებს ლუარსაბს, არამედ ამხელს მას. მეორეს მხრივ, „ყოველ წელს წმინდა ზიარება მიმიღიაო“, ამას ლუარსაბი სიზმარში ამბობს და ესეც ერთგვარად აცლის მას რეალურ შინაარსს.

„ოთარაანთ ქერიეში“ დაწვრილებით არის აღწერილი გიორგის დაკრძალვა: დიდი ყოფითა და ამბით დაამარხვინა არნილმა გიორგი. მთელი ახლომახლო სამღვდელთება, ახლომახლო სოფლები მოიწვია მიცვალებულის „გასაპატიოსნებლად“ წერია მოთხრობაში და არნილის გულმოდგინება არის შექებული, მაგრამ ამასთანავე ვიკებთ არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ მიცვალებულისთვის წესი აუგიათ. ამავე მოთხრობაში ჩანს, რით შეუძლია დაუურვოს ჭირისუფალმა მიცვალებულს: ქერივი „ყოველ კვირას კორკოტსა და წანდილს „ხარშავდა“ ქმრის სულის საცხონებლად და „ყოველწლივ აწირვინებდა“.

საერთოდ „ოთარაანთ ქერიეში“ მწერალი ცდილობს, „კაცია, ადამიანისაგან“ განსხვავებით, სიწმინდეზე შეფარვით ილაპარაკოს. ქერივის სოფლის აღწერისას ეკლესიის არსებობა არც კი არის აღნიშნული. მაგრამ როცა ვიკებთ გიორგის ცხედარი „სახლიდამ ეკლესიამდე“ და „ეკლესიიდან სასაფლაომდე“ არნილმა ისე ატარა, არავის გამოეცვლევინაო, ჩანს, რომ ეკლესია ყოფილა. არც ის არის პირდაპირ ნათქვამი, ქერივი ტძარში დადიოდაო, მაგრამ რაკი წირვას უკეთავდა ხოლმე, ჩანს, რომ დადიოდა კიდევ. ყოველივე ეს ნაწარმოებში ძალიან უპრეტენზიოდ და მოკრძალებულად არის ნახსენები, თითქოს სხვათაშორის. ქრისტიანობას არ უხდება ხმაძალაი სიქადული და მართლმორწმუნეობით თავის ქება.

როგორც პროზასა და პოეზიაში, ისე პუბლიცისტიკაში ილია ხშირად იყენებს ცალკეულ ფრაზებს, სწავლებებსა და მინიშნებებს წმინდა წერილიდან. როდესაც ისინი ზუსტად არის ციტირებული და ბრჭყალებშია ჩასმული, იოლად ამოსაცნობია, მაგრამ ყოველთვის ასე არ არის. ხშირედ ხდება ციტატის პერფორაზირება, ზოგჯერ კონტექსტის შესაბამისად გავრცობა და განმარტება. ასეთ შემთხვევებში მათ ამოცნობას მეტი დაკვირვება სჭირდება.

სახარებისეული სიტყვები წარუმძღვარა ილიამ თავის პირველ ჟურნალს — „საქართველოს მოამბე“. რომელმაც ერის სულიერი გამოფხიზლების უდიდესი საქმე იტვირთა. „ხოლო ლედვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაწვიან და გამოვალნ ფურცელი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული“ (მარკ. 13.28). სახარების ამ თავში ლაპარაკია ქვეყნის აღსასრულსა და მაცხოვრის მეორედ მოსვლაზე და ცხადია, რომ „ზაფხული“ — ვამი მკისა, იგავურად მიგვანიშნებს იმ დროზე, რომლის ხსოვნა და მოლოდინი მუდამაჟამს უნდა ჰქონდეს მართლმორწმუნე ქრისტიანს. ილიას მიერ დაარსებული ჟურნალის თავფურცელი და ძირითადად მასალებიც, სწორედ ამ სიფხიზლისაკენ მოუწოდებდა მკითხველს.

„აჩრდილის“ პირველ ვარიანტს ეპიგრაფად ქქონდა სიტყვები წმინდა დავითის ფსალმუნიდან: „აღზღვე უფალო ღმერთო ჩემო, და აღმართე ზელი შენი და ნუ დაივიწყებ გლახაკთა შენთა სრულიად!“

სახარებისეული ციტატის საფუძველზეა შექმნილი ცნობილი პუბლიცისტური წერილის „ქათა ღაღადი“ სათაურიც. იგი ასე იკითხება: „ხოლო იესო მიუგო და ქრქუა მათ: გეტყვი თქვენ, ღაღათუ ესენი ღუმენ, ქვანი ღაღადებდნენ“ (ლუკა 19.40).

ლუკას სახარების ოცდამეერთე თავში აღწერილ მდიდრისა და ქვრივი დედაკაცის შესახებ სწავლებას იყენებს ილია 1886 წელს ქალბატონ ნინო ბაგრატიონისადმი მიძღვნილ სტატიაში: „ქრისტე ღმერთმა გროში ღარიბის დედაკაცისა სხვაზედ მეტად შეიწირა, იმიტომ, რომ დედაკაცმა გაიწირა ყოველი, რაცა ქქონდა. საქმე მალალ ზნეობისა იმაშია, რომ აღამიანმა ის მოიტანოს წუთისოფლის სუფრაზედ, რაცა აქეს. ვინც მართლად აღნიშნავს თავისს მოსატანს და უკლებლად მოიტანს, მასზედ ითქმის, რომ იპოვა სგანი ცხოვრებისა და განახორციელა კიდევ.“

მათეს სახარების ოცდამესამე თავში ვკითხულობთ: „ვამ თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმსგავსებულ ხართ საფლაკთა განგოზილთა, რომელნი ჩანედ გარეშე შუენიურ, ხოლო შინაგან საესე არიედ ძუალებითა მკუდართაძთა და ყოვლითა არაწმიდებითა.“ ამის საფუძველზე უნდა იყოს აგებული ილიას პუბლიცისტური წერილის ასეთი შედარება: „ის ღიდკაცობა, როგორც სხვაგან, ისე ჩვენში, სწორედ კუბოა, რომელიც გარედან ხავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაბრწყინებული, მაგრამ ახსენით ის ბუზმენტები და ახადეთ თავი, შიგ ძვლებისა და სულის და ხორცის გახრწნილების მეტს ვერას დაინახათ...“

სახარებისეულ ამ შედარებას ილია იყენებს ასევე ლექსში „პასუხის პასუხი“:

„...მან კუბოს მორთულს,  
შიგ სიმყრალით სრულს,  
თქვენებრი კაცი არ დაადარა?!  
ზაკვით საესენო,  
ავმორწმუნენო,  
ის თქვენ სიტყვით გწამთ და საქმით არა.“

ბიბლიის „შესაქმის“ წიგნში ვკითხულობთ: „...და მიიქცია მისა მიმართ ტრედმან მიმწუხრი და აქუნდა ზეთისხილისა ფურცელი რტოთა პირსა შინა მისსა. და ცნა ნოე. რამეთუ მოაკლდა წყალი პირისაგან ქუეყანისა...“ ბიბლიის ამ ამბიდან გამომდინარე „ნოეს მტრედი“ და „ზეთისხილის რტო“ იქცა იმედის სიმბოლოებად, რასაც ილია ხშირად იყენებს, როგორც ცალკეულ გმირებთან მიმართებაში, ისე ზოგადი მნიშვნელობითაც.

„გლახის ნაამბობში“ თამროს კეთილგანწყობით იმედმოცემული გაბრეილი ამბობს: „გამიფრინდა ჩემი ნოეს ტრედი, მწვანე შტო კი ხელთ დამიგდო“.

ილიას პუბლიცისტიკაში ეს მხატვრული სახე გამოყენებულია საქართველოსთან მიმართებაში: „...გარშემო ეხვიათ მტრები და ნოეს მტრედსავით ეს მშვენიერი ხალხი თავის მშვენიერი მიწაწყლითა იყო ქრისტიანობის მახარობლად მაჰმადიანობით მოდებულ მტრებთა შორის.“

ლექსში „პასუხის პასუხი“ და ილიას ნაწერებში ბევრგან სხვაგანაც გვხვდება გამოთქმა „ტივითმძიმეთა და მაშურალთა მხსნელი“. რომელიც უნდა იყოს ალუზია სახარების შემდეგ ადგილზე: „მოვიდით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისუნეო თქვენ.“ (11,27)

მათეს სახარების მეშვიდე თავში ვკითხულობთ: „და ყოველმან, რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი და არა ყენეს იგინი, ემსგავსოს იგი კაცსა ცოფსა, რომელმან აღაშენა სახლი თვისი ქვიშასა ზედა. და გარდამოხდა წვიმაჲ, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუთვნეს სახლსა მას და დაეცა...“ არასწორად წარმართული საქმის შესახებ ილია ხშირად ხმარობს ზემოთმოყვანილი ეპიზოდიდან აღებულ გამოთქმას „ქვიშაზედ აშენებული შენობა.“

ესაია წინასწარმწიფველთან, შემდეგ კი ლუკას სახარებაში ვხვდებით გამოთქმას: „ხმაჲ მლაღადებელისაჲ უდაბნოსა“<sup>2</sup> (ლუკა 3.4). ერთგან კრიტიკის შესახებ, როიელსაც ყურს არავინ უგდებს, ილია ამბობს, რომ იგი არის „ლაღადება უდაბნოში“. იგივე ალუზიას ვხვდებით ვასილ მანაბლისადმი მიწერილ პირად წერილშიც: „მომეკეთნა ფრთენი და ღაღადვყავ უდაბნოსა შინა.“<sup>3</sup>

გვხვდება ალუზიები „ბაბილონის გოდოლთანაც“. არასწორად შედგენილი სასკოლო პროგრამების გამო ილია წერს: „საწყალო ბავშვებო, თუ თქვენ ამ ბაბილონის გოდოლის აშენებაში სრული გონება კიდევ შეგრჩათო...“<sup>4</sup>

ტალანტების შესახებ სახარებისეულ იგავთან არის დაკავშირებული „აჩრდილის“ ადრეული ვარიანტის სიტყვები:

„აქ კაცს სიკეთე რათ უძვირდება?

და ან სიცოცხლე რათ უმძიმდება?

კაცი რათ სუნთქამს მძიმედ და ძნელად

და ღვთიურ ნიჭსა რად ჰფარავს ბნელად

ვით ზანტი მონა შავ მიწაშია?“

მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“ ვკითხულობთ, თუ კესო ბაღში იყო, „ნამეტნავობისაგან გულისა“ დაუწყებდა ხოლმე გასაშლელად გაღიმებულს ყვავილს ალერსიანს საუბარსა, თითქო მერცხალი თავის ბლარტებს ეჭიკჭიკებო“. „...ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყვინ“, წერია მათეს სახარებაში (12.34)

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ.5, გვ.19

2. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა აკად. გამოც. ტ.5, გვ.578

3. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ათ ტომად, ტ. X, გვ.49

4. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა აკად. გამოც. ტ.5, გვ.231

მოდრობაში სახარებისეული ფრაზა ბრწყვალეშია ჩასმული, სხვა შემთხვევებისაგან განსხვავებით, რაც, ჩვენი აზრით, მიგვანიშნებს იმაზე, რომ აქ იგი ირონიული ელფერით არის ნახმარი, რადგან კესო რეალურად გრძობათა „ნამეტნავობით“ არ გამოირჩეოდა.

სახარებისეულ ამ გამოთქმასთან ალუზიური მიმართება ხშირად გვხვდება მწერლის პუბლიცისტიკაში, ზოგან პირდაპირი და ზოგან ირონიული ელფერით: „...პლალდებენ მარტო მტყუარნი ბაგენი მათნი ნამეტნავობისაგან გულისაო“<sup>1</sup>. ვკითხულობთ ერთგან. სხვა პუბლიცისტურ წერილში კი შედარების გარდა მოცემულია ამ სიტყვების მწერლისეული განმარტებაც: „...ერთმა ამისთანაებში უფრო მოსწრებული და ზედ-გამოჭრილი სიტყვა იცის, იმიტომ, რომ ბაგენი მისნი მეტყველებენ მარტო ნამეტნავობისაგან გულისა, ესე იგი მაშინ, როცა გული საესა.“

გიორგიის სიკვდილის წინ ღელის გამოუთქმელი ზარის შესახებ ავტორი ამბობს: „ამას მარტო თვალი გულისა-ლა თუ კხედავდა და ყური გულისა-ლა თუ ისმენდა!.. ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისათვის უღონოა.“ გამოთქმა „თვალი გულისა“ გვხვდება პავლე მოციქულის ეფესელთა მიმართ პირველი ეპისტოლეს პირველ თავში: „რათა ღმერთმან უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესმან, მამამან ღიდებისამან, მოგცეს თქვენ სული სიბრძნისა და გამოცხადებისაი ცნობად მისა და განანათლენს თუალნი გულისა თქუენისანი.“ შესაძლოა ილიამ ამ გამოთქმის მიხედვით დაამკვიდრა „ყური გულისა“, შემდგომში ერთ რთულ სიტყვად „გულისყურად“ გადაქცეული.

„ოთარანთ ქერივში“ არჩილისა და კესოს დიალოგში ვკითხულობთ: სიყვარული აქ „თავისთავად უნდა მოსულიყო, რომ უკაცრაოდ, ბრმა გული არ დახვედროდა. გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი.“ პავლე მოციქულის იმავე ეპისტოლეს მეოთხე თავში ეს შედარებაც გვხვდება: “ნულარამცა ხუალთ ვითარცა სხუანი იგი წარმართნი ვლენედ, ამოებითა გონებისა მათისამათა ...უმეცრებითა მით, რომელ არს მათ თანა სიბრძითა გულისა მათისამათა...” გამოთქმა „ბრმა გული“ მარკოზის სახარებაშიც გვხვდება (8.17).

პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“ არის შედარებები სახარებისეულ მოვლენებთან. მაგალითად:

„მისცივიდნენ უკადრისადა  
ვით ძეს ღეთისას ურიანი...“

აქ განხილული მაგალითები არასრული სურათია იმისა, რისი თავმოყრა და წარმოდგენაც შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ნიმუშად და მაგალითად ესეც საკმარისია.

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ.5, გვ.100

ცა და მასთან დაკავშირებული ბუნებრივი მოვლენები – ელვა, ჭექა-ქუხილი, ნისლი, ღრუბელი, ცისარტყელა; ასევე მნათობები: მზე, მთვარე, ვარსკლავი – ილია ქვეყანაძის თხზულებებში ხშირად არის ღრმა სტილისტური ფუნქციის მქონე მხატვრული სახეები და არა უბრალოდ ბუნებრივი გარემოს ამსახველი დეტალები.

პოეტის ზეციურ განგებულებაზე ლექსში „პოეტი“ ვკითხულობთ:

„არა მარტო ტკბილ ხმათათვის  
გამომგზავნა ქვეყნად ცაშა...“  
„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის  
მიწიერი ზეციერსა...“

მაგრამ მწერლის თვალთახედვით, არა მარტო პოეტის, არამედ ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე ცასთან არის დაკავშირებული. „მამულს მიგცა ზეცაშა“ – ასე მიმართავს ილიას ლექსის გმირი – ქართველი დედა თავის ჩვილს.

ცისა და მიწის, სულიერისა და ხორციელის, მარადიულისა და წარმავალის შეპირისპირებაზე ვკითხულობთ ლექსში „უსულდგმულო ცხოვრება...“

„უსულდგმულო ცხოვრება ცის ნიჭად ნუ გგონია, – იგი მიწის ყოფილა, რასაც ბოლო ჰქონია.	ცხოვრებას აცისკროვნებს სული საქმით მეტყველი, და ის უბოლო არის, ვით სულის შტამბერველი.“
---	---

ზოგჯერ პოეტი გვიხატავს დადუმებულ ქვეყანას, რომელიც თითქოს ცდილობს ცის მიმსგავსებას (მაგ. „ქვეყანაზედ და ზეცაზედა იყო დუმილი...“) მაგრამ ეს არის მხოლოდ გარეგანი ჰარმონია, რადგან ცით გადმოფენილ მადლს მიწა მაინც არ ღებულობს. ამიტომ პოემაში „აჩრდილი“ სიტყვების შემდეგ:

„ქვეყანაც იყო დადუმებული,  
თითქო დუმილით ყურს უგდებს ცასა“, –

პოეტი წერს, რომ მიუხედავად ამისა, „ქვეყანას ენებულს მადლი ცისა არ მიჰკარება“.

ილიას აზრით, პოეტს, როგორც ერის წინამძღოლს, ევალება შემაკავშირებლის როლი ცასა და ერს შორის. თუ სხვა არ ისმენს ციური ხმებისას, მან მაინც უნდა დაუგდოს ყური და აჰყვეს მათ ჰარმონიას, რომ ამით თავისებურად გაუზიაროს მიწას ციური მადლი:

„მეც ქვეყნის ხმითა, ხმით ცოდვილითა მათ ვაძლევ ბანსა, და მშვიდობასა, ალტაცებასა	ჰგრძნობს ჩემი გული, და შევჭვრეტ ცასა განცვიფრებული. ციურნო ხმებო, ოჰ, საკვირვებო!“
--	--



ეს პოეტური მაგალითები თვალსაჩინოდ წარმოაჩენს, რომ ცა. აქ სამყაროს შემოქმედის საბრძანებელია და არა ადამიანის თვალსაწიერში მოქცეული სივრცე. იგივე მხატვრული სახე ფართოდ არის გამოყენებული პროზაშიც, მაგრამ უანრობრივი სპეციფიკის გამო მისი მხატვრული დატვირთვა უფრო ღრმად შეფარულია. აქ ავტორის სათქმელი სხვადასხვა გმირთა მეტყველებაში, სხვადასხვა სიუჟეტურ ეპიზოდებშია გაფანტული და მწერლის შემოქმედებითი ჩანაფიქრის ამოსაცნობად მათი თავმოყრა და შესაბამისი ანალიზია საჭირო.

მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“ მღვდელი ეუბნება გაბრიელს: „თავი რას ჩაპლუნე? მარტო პირუტყვი იყურება დაბლა, კაცმა კი უნდა ცას უყუროს...“ იქვე თავად განმარტავს, რას გულისხმობს ამ ნათქვამში – რატომ უნდა უყუროს კაცმა ცას: „აგე, შენი ღმერთი სად არის, – მანვენა ცაზედ. მე იმისი ცოდვილი მსახური ვარ...“ როგორც ვხედავთ, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „ცაში“ ღვთის საბრძანებელი იგულისხმება. ცაზე მანიშნებს მღვდელი ყმაწვილს მეორედაც: „აგე, მადლობის მთქმელი სად არის, მანიშნა ცისკენ, – ის ეხლა იქილამ ორივეს დაგვეყურებს...“ ეს განმეორება კიდევ უფრო აძლიერებს აზრის მნიშვნელობას. ცხადია, რომ აქ იგაუურად ყველაგან სულიერი თვალთ ცისკენ მზერაზეა ლაპარაკი და არა ფიზიკური. ასევეა, ზიარების წინ წარმოსათქმელ ერთ ლოცვაშიც: „თვალნი სულისანი ზე გვაქენდნენ“.

ცის ალგორითული მნიშვნელობა ცხადად ჩანს „აჩრდილის“ ადრეული ვარიანტის შემდეგ ციტატაში:

„სად არის იგი ჭეშმარიტება,  
ის წმინდა მშობის მაღალი მცნება,  
რომელიც ჯვარზედ გატეულმა მოგვცა,  
და მით გვიჩვენა, რა ახლოა ცა?“

აქ ის ღრმა აზრი უნდა იყოს გატარებული, რომ უფლის ჯვარცმით, მის მიერ სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვით, ადამიანმა მოიპოვა ციური სასუფეველის დამკვიდრების იმედი – მიუახლოვდა ცას.

„ღედამიწის სარკე ზეცა არის ის გადაიცემს ხოლმე წუთისოფლის საქმესა“, ღმერთი „ყველაფერს ხედავს და ხელის გულზედ სწერსო“, ამბობს „გლახის ნაამბობის“ გმირი – გაბრიელი, მაგრამ ეს მარტო მისი აზრი არ არის. როგორც ზემოთ ვნახეთ ლირიკულ ლექსებზე დაკვირვებისას, ეს თვით მწერლის აზრია. ცის ამგვარ მხატვრულ სარკეში ის ხშირად წარმოაჩენს ხოლმე მის ნაწარმოებებში უკვე მომხდარი, მიმდინარე თუ მოსალოდნელი ამბების ანარეკლს, ზოგჯერ კი ცის იგაუურ სახეს იყენებს ამა თუ იმ მოვლენაზე მისანიშნებლად ან გმირების ქრისტიანული მცნებებისა და ზნეობის პოზიციებიდან შესაფასებლად.

მოთხრობის „ოთარანთ ქერივი“ მთავარი გმირი – ქერივი, თავისი ერთადერთი ვაჟის – გიორგის დაქორწინების შესახებ ასეთი აზრისა იყო: „ცოლ-ქმრობის საქმე ცაში პრივდება...სჩანს ღმერთს ჯერ არ მოუწადინებია...“ იგი ნატრობდა: „ოი, ერთი, მაგისი შვილი კი გამიგორა კალთაში და თუნდა

მაშინვე გულხელი დამიკრიბონ და ცოცხალი დამმარხონო.“ იმ დღით კი, როდესაც ძილვატეხილი დედა, მწარე ფიქრებს აყოლიდა საშინელ განცლებში იყო, მწერალმა „ცის სარკე“ ასეთად წარმოგვიჩინა: „ყუისავით თეთრი და ფაფუკი ღრუბელი ნაჭერ-ნაჭერ აქა-იქ მიდიოდ-მოდოდა წყნარად და აუჩქარებლად გადაწმენდილ ცაზედ, თითქო ტოლ-ამხანაგებს ეძებნო ხელი-ხელს გადასაბმელად. ციაგმერთალს ლაქვარდს დილის ცისას საუცხოვოდ გადაეშალა თავისი კალთები იმ სუბუქად მცურავ პაწია სტუმრებისათვის, თითქო დედა იწვევს ახლად გაღვიძებულს ბაღებს კალთაში გასაგორებლად.“ მძიმე ფიქრებში წასულ ქერივს, როგორც მწერალი ამბობს, ასეთი ცის დანახვამაც ვერ გაუხსნა „მჭახე შუბლი“. მაგრამ ავტორმა ამ სურათით ჩვენ კი წინდაწინვე მიგვანიშნა, რომ ამაოდ დარდობდა გულფრთხილი დედა, ღვთის გასარისხებელი მის შვილს არაფერი ჩაუღენია. ამიტომ იყო ცა ასე მშვიდი და უფრო მეტიც, ის, რასაც ქერივი ხანმოკლე წუთისოფელში ნატრობდა, თითქოს მარადიულ სასუფეველში მზადდებოდა მისი ვაჟისათვის...

მზემ ისევ „ამოპყო თავი მთის წვერიდამ და გადმოხედა ქვეყანას თავის ერთადერთის ოქროსავით ბრჭყვიალა თვალთა. მთების ნამს მიახვედრა მზემ თავისი სხივი თუ არა, მთამ ორთქლი აუშვა, თითქო საკმელს უკმევს ამ უზარმაზარ ცეცხლის ბურთსაო“, ასე აგრძელებს ამ დილის აღწერას ავტორი და აორთქლებული ნამის შედარებით საკმეველის კმევასთან კვლავ მიგვანიშნებს, რომ ცა თავისი მხატვრული მნიშვნელობით „დიდის ღმერთის საკურთხეველია“, მისი საბრძანებელია.

ცას შეკყურებს და, როგორც ჩანს, იქ დაეძებს თავის იღუმალ ფიქრებზე და ცხოვრების არსზე პასუხს ქერივის ვაჟი – გიორგიც. ვასაკვირი არ არის, რადგან ის იმ კაცის შვილია, რომელიც წუთისოფელში თავს სტუმრად მიიჩნევდა და თავის „შინად“, მარადიულ სახლად არა ამ ქვეყანას, არამედ ზეცას თვლიდა. გიორგის შესახებ ვკითხულობთ: „მოვიდოდა შინ მუშაობიდამ კარგა ბინდისას და თუ მთვარიანი ღამე იყო, წამოწვებოდა ეზოში მწვანეზედ. თავქვეშ ორსავ ხელებს ამოიდებდა და გარინდებული იღო ზოლმე მთელის საათობით გულადმა. შეკყურებდა ცას და ღრუბლებს, თითქო ვარსკვლავებსა სთვლის, ან ღრუბლებს თვალს ადევნებს თვალის გასართობლად.“ ილია მოთხრობებში თითოეულ სიტყვას გულდასმით არჩევდა. მასთან ამგვარი „თითქო“ ხშირად მიგვანიშნებს ნათქვამის ორაზროვნებაზე. გარეგნულად ჩანდა, თითქო ასე იყო, მაგრამ სინამდვილეში იქნებ ისიც იმიტომ უყურებდა ცას ასე დაჟინებით, რომ მისი მამული, მისი შინა იქ იყო... საერთოდ მწერალი ამკარად ერიდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ამაღლებული სათქმელის პირდაპირ გაცხადებას, მარტივად გამოთქმას. შემოქმედის ოსტატობაც ზომ სწორედ ის არის, რომ მხატვრულ ფორმას დაატეინოს ის, რასაც სიტყვათა უბრალო რიგი ნატიფ ელფერს დააკრავინებდა. გააუბრალოკება და შესიძლოა, ვერც დაიტევდა. აქ რომ ცის ყურებას ერთგვარი სტილისტური დატვირთვა აქვს, ამას მოწმობს ისიც, რომ „ოთარაანთ ქერივის“ ჩვენამდე მოღწეულ

ერთადერთ ხელნაწერში ავტორის მიერ შეტანილია ცვლილებები. პირველი ვარიანტის მიხედვით გიორგი საღამოობით პირქვე იყო დაწოლილი, შემდეგ კი მწერალს საგანგებოდ შეუცვლია და ამ სუფთა ხელნაწერში საღაც „გულდაღმა“ ჰქონდა დაწერილი, ყველგან „გულაღმაღ“ გადაუსწორებია. როგორც ვხედავთ, ამას ავტორისათვის არცთუ მცირე მნიშვნელობა ჰქონია.

არსებობს მოსაზრება, რომ „მგზავრის წერილებში“ ბუნების სურათები ადამიანური ცხოვრების ანალოგონს წარმოადგენს, „ოთარაანთ ქერიეში“ კი „ბუნების თავისთავადი მშვენიერებით ტკობას.“ ჩვენი აზრით კი ბუნების, ცის სურათებს „ოთარაანთ ქერიეშიც“ განსაკუთრებული მხატვრული დატვირთვა აქვს.

საინტერესოა ქერიეის გარდაცვალების ეპიზოდის წინ „ჭადარამორეული“ შემოდგომის სურათის აღწერა, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. მაგრამ ასევე საყურადღებოა თვით შობა ღამის აღწერილობაც: „ღამე არ იყო ბნელი. ცაზე ღროგამოშვებით კაშკაში მთვარე ხან გამოჰყოფდა ხოლმე ღრუბლებიღამ თავს, ხან ისევ ღრუბლებში გაეხვეოდა, თითქო ღრუბლის ბნელი და მთვარის შუქი ერთმანეთს ეჭიდებთან და ხან ერთია ქვეშ და ხან მეორეო.“ ასეთი სურათის ფონზე „ახლად მოსულ. ფეხუხლებელ თოვლზე“ მიმაგალს ვხედავთ ფიზიკურად დაუძღვრებულ ოთარაანთ ქერიეს, „უცოდველ თოვლზე“ , რომელსაც მისი თქმით, „ჯერ უწმინდური და მურტალი ფეხი ადამიანისა არ მოჰხვედრია და არ გაუცოდვიანებია...“ მთელ ამ აღწერაშიც მკვეთრად ჩანს საოცარი კონტრასტი შავისა და თეთრის, ბნელისა და ნათლის და ვხედავთ, რომ ეს ჭიდილი, რომელიც ჯერ ცის ფონზე გამოჩნდა, ხდება დედამიწაზე.

ცის მხატვრული სახის პოეტური სემანტიკის აღქმაში დაგვეხმარება ილიას კრიტიკული წერილი ქართულ ლიტერატურაზე, რომელშიაც ის ბარათაშვილის შესახებ წერს: „ახედავს ცას და შეჰკენისის უღონობის სიმწვავეითაო“ და მოჰყავს მისი სიტყვები:

„ჰე ცაო, ცაო, ხატება შენი

აქამდისა მაქვს გულს დაჩნეული...

აწცა რა თვალნი ლაჟუარდს გიხილვენ,

მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან...“

შემდეგ კი დასძენს: „განა მარტო მისნი ფიქრნი? მთელის კაცობრიობისა, რომლისათვისაც ცა ჯერ კიდევ საიდუმლოთა საიდუმლოა.“ იქვე მოჰყავს პოეტის სხვა სტროფი, რომელშიაც კვლავ ცაზეა ლაპარაკი:

„მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწუთრობა,

გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს.

ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამოუბა...“

და სუამს კითხვას: „ნუთუ აქ გამოთქმული სურვილი ძიებისა მთელის კაცობრიობის სურვილად არ უნდა ჩაითვალოს და უღონობა ამ სურვილის მიუღწევლობისა მთელის კაცობრიობის უღონობად?“ ამ სიტყვებიდან არაჩვეულებრივად ჩანს არა მარტო ლექსის ავტორის, არამედ თვით ილიას დამოკიდებულებაც „ცისადმი“, რწმენისადმი და ამასთანავე წარმონიერილია, როგორ უნდა განვიხილოთ მსგავსი მხატვრული სახეები.

დავუბრუნდეთ კვლავ მწერლის ლირიკულ ლექსებს. თავისუფლების ერთგვარი სიმბოლო – მისი „ჩიტი“ ამბობს:

„...და რა მზე მალეით            ქვეყნის დაბზადეის,  
თავს შორს ამოჰყოფს        მერედ – მთა და ბარს  
ჯერ შევხედავ ცას,            ჩემსა შემნასავს...“

აი, ეს რწმენა არის წყარო ჩიტის თავისუფლებისა, რაც დაკარგული აქვს ადამიანს და ამის გამო შურს იმ ალეგორიული „ჩიტის“, რომელიც არის სახე ცასთან სიახლოვისა.

თუ რას უნდა მიგვანიშნებდეს იგავურად განხილულის საპირისპიროდ მუდამ მიწის ჩაჩერება, ძირს ყურება, კარგად ჩანს ლექსში „გუთნისდღეა“, სადაც ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის დაკნინებით განცდილი ტკივილია გამოხატული:

„მეც შენებრ მიწას დავეყრებ თვალით.  
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით...“

როგორც ვხედავთ, სიტყვის ამ უდიდესი დიდოსტატის შემოქმედებაში ცაზე ღრუბელიც კი არ მოძრაობს, გმირი მზერასაც კი არ მიაჰყრობს ზევით თუ ქვევით ავტორის მიერ ამ დეტალში ჩადებული ღრმა ნააზრების გარეშე. ყველაფრის მიღმა რაღაც მნიშვნელოვანი სათქმელია და ყველაფერს დაკვირვება სჭირდება.

საინტერესოა უდარდებობის და ქედმაღლობის გამოხატველი. დღემდე ფართოდ გავრცელებული ფრაზის – „ცა ქუდად არ მიაჩნია. დედამიწა – ქალამნად“ ილიასეული, განსხვავებული, საპირისპირო ვარიანტი: „ცა ქუდად აქვს და დედამიწა – ქალამნად“, რომელიც არაერთგან გვხვდება მის ნაწერებში. განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ამ გამონათქვამის ღრმა აზრობრივი დატვირთულობა „გლახის ნაამბობში“, სადაც ამქვეყნიურ, ადამიანურ ურთიერთობებზე საუბრისას მღვდელი ამბობს: „იმას კი არა შეედრება-რა, როცა ცა ქუდად გაქვს და დედამიწა ქალამნადა.“ ალეგორიული საუბარი ცოდვიან წუთისოფელსა და ზეციურ თავისუფლებაზე მიგვანიშნებს, რა აზრი უნდა იყოს ჩადებული ამ გამონათქვამში. დედამიწა ქალამნად და ცა ქუდად აქვს აღბათ მას, ვინც წუთისოფელს ვალმოხდილი გაივლის და ზეციური სასუფეველის გვირგვინს მოიპოვებს. ილიას, როგორც მწერალს და მამულიშვილს, გულს უკლავდა ის, რომ ხალხმა დაკარგა ღვთისმოსაეობა, ზეციური გვირგვინისაკენ სწრაფვა და ამის შედეგად ცის კარი დაეკეტათ. ამაზე

მეტყველებს მისი სიტყვები ლექსიდან „...მეცა მქონია კარგი მამული...“

„...ღია ჰქონიათ მაშინ ცის კარი, –

ეხლა კია ეს მარტო სიზმარი...“

ცის მხატვრულ-ალეგორიული სახიდან გამომდინარე შესაბამისი სტილისტური დატვირთვა აქვს ცასთან დაკავშირებულ ბუნებრივ მოვლენებსაც. ილიას ეპიკურ ნაწარმოებებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ პროლოგ-ფაილოგში და სიუჟეტის განვითარების კრიტიკულ ეტაპებზე ხშირია ბუნების სურათები და ამას თითქმის ყოველთვის მნიშვნელოვანი სტილისტური დატვირთვა აქვს. მისი დანიშნულებაა ღვთის მიერ კაცთათვის მოცემულ მცნებათა სიმალლიდან დაგვანახოს ამა თუ იმ გმირის, მოქმედების თუ მოვლენის შეფასება. ზოგ შემთხვევაში მწერლის ეს ჩანაფიქრი პირდაპირ არის გაცხადებული. მაგალითად, „განდევალში“ ავტორი სამგზის გვიმორებს, რომ ჭკუა-ქუხილი ღვთის რისხვის მომასწავებელია. ასევეა ქუხილი, ელევა, შავი ღრუბელი, ნისლი, ქარი და ზეავი პოემაში „აჩრდილი“. ქვეყნის დაკნინების, სულიერი დაცემის საშინელი სურათის წარმოჩენის შემდეგ აქ ვკითხულობთ:

„ამ დროს ქუხილმაც დაიგრილა,

გრგვინვა დაიწყო მისმა ხმამ მთებში,

ცაზედ ელევა გაიპკრიალა

და გაანათა მდინარე ხევში.

ცას გადაედენენ შავნი ღრუბელნი,

ნისლში შთაცვიდნენ მთანი და ველნი;

ქარმა დაჰდმუვლა ხევ-ხუესა, მთებსა,

ბუქი სვეტსავით აატრიალა,

რისხვითა ჰგლეჯდა კლდესა და ღრესა,

ზეავმაც მალლიდამ დაიგრიალა“, –

აქვე, პოემაში წარმოჩენილ ამ მხატვრულ სახეთა საპირისპიროდ, გადაწმენდილი ცა, მზე და ცისარტყელა შეწყნარებას, მოტყუებას და იმედს განასახიერებს. ესეც მწერალს პირდაპირ აქვს ნაჩვენები ბუნების საოცრად კონტრასტული, მშვიდი სურათის ფონზე:

„მცირე ხანს შემდეგ გაღიწმინდა ცა,

გამოილიმა ნათლად მთამაცა

და მზისა სხივით გაბრწყინებული

კვლავ დაეინახე მოხუცებული...“

სწორედ ამ მოხუცის, ანუ საქართველოს თანამდევი უკვდავი სულის ვედრებას უფლისა და ღვთისმშობლისადმი მოჰყვება ცაზე ცისარტყელის გამოჩენა ნიშნად „წარღვნის მოლოდინის წარხოცვისა“ – იმედისა:

„მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაჟვარდსა

შვიდფეროვანი სარტყელი ცისა

და გაღუინა ჩემს ქვეყანასა

მახარობელი ტკბილ იმედისა.“

ცისარტყელის, როგორც პატიების, შეწყნარების, იმედის სახე სათავეს იღებს ბიბლიიდან, კერძოდ „დაბადებიდან“, რომლის მეტხრე თავში აღწერილია ღვთის აღთქმა წარღვნის შემდეგ ნოესა და ყველა სულდგმულისათვის მიცემული. ღმერთი აუწყებს, ვღებ ჩემს ცისარტყელას ღრუბელში ნიშნად აღთქმისა ჩემსა და ქვეყანას შორის. როდესაც ქვეყანას ღრუბლებით დაკლრუბლავ და გამოჩნდება ღრუბელში ცისარტყელა, მაშინ გავიხსენებ აღთქმას, რომ აღარასოდეს გადაიქცევა წყალი წარღვნად ყოველი ხორციელის დასაღუქადო. სწორედ აქედან უნდა იღებდეს სათავეს ცისარტყელის სიმბოლო, რომელიც პოემაში ჩვენი ღვთისმოსავი ერის გადარჩენის იმედს განასახიერებს.

; მზის სიმბოლური ხატი ილიას შემოქმედებაში გულის გამათბობელ, მაცოცხლებელ, იმედის მომნიჭებელ ძალას წარმოადგენს. ისიც ღვთის ნების გამომხატველია. რაც ნათლად ჩანს პოემა „განდევილის“ მიხედვით. იქ „ხორცთუსხმელი მზის სხივი“ „უფლის ბრძანებით“ უჭერს ბერს ლოცვანს, ღვთის წყრომა კი განდევილს იმავე სხივის მეშვეობით ასე ენიშნება:

„მივარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ  
და ეპა, სხივმა არ დაიჭირა!..“

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში. არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ გმირის სატრფო მეტაფორულად მზესთან არის შედარებული. ეს არის ამ კონკრეტული გმირის „მზე“. მაგალითად გაბრიელი ამბობს თამროს შესახებ: „ჩემს მზეს ორღობეში თვალი შევასწარ...“ ოთარაანთ ქერივის გიორგი კი, როცა დაუჟინებდნენ. „ჯამავირისა სთქვი რამეო“, პასუხობდა: „მე ისიც მყოფნის, რომ ყოველ ცისმარა დღეს მზეს ეუყურებო“. ბაღში მუშაობისასაც ხშირად ღიღინებდა: „ეს სოფელი მიტომ მინდა, შენ გიყურო ჩემო მზეო“.

მაგრამ არის სხვაგვარი შემთხვევებიც. აქ მზესთან შედარებას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს და არა კერძო. მაგალითად მზესთან არის შედარებული მეფე დიმიტრი თავდადებული ამავე სათაურის მქონე პოემაში:

„ცხენზედ იგი დალოცვილი  
გამობრწყინდა მზესავითა.“

აქ უკვე ერთი ვინმეს „მზეზე“ კი არ არის ლაპარაკი. არამედ თვით მთხრობელი აღარებს გმირს მზეს. ასევე მზესთან არის შედარებული „გლახის ნაამბობის“ მღვდელიც. მას „...ისეთი სანახაობა ჰქონდა, რომ როგორც მზე მზეუჭკერიტასა, კაცის გულს ერთის ნახვითვე თავისკენ მიიბრუნებდა.“

გავიხსენოთ მზესთან კიდევ ერთი შედარება. დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი წერილიდან: „...როცა ამისთანა კაცი სამუდამოდ მიღის, თითქო ჩემი და თქვენი წილხვდომილი სინათლე მზისა თან მიაქვსო... ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც კი ჰგრძნობს, თუქცა არა მხედავს...“ ქრისტიანულ ლიტერატურაში ხშირია მაცხოვრის, ღვთისმშობლის და წმინდანთა შედარება მზესთან და განხილულ შემთხვევებში იგი ილიასთანაც განსაკუთრებულ ღვთიურ მაღლმოსილებაზე უნდა მიგვანიშნებდეს. დიმიტრი ყიფიანი მას მიაჩნდა კაცად. რომელსაც ცხოვრების სავზლად „ერთი

საჭირნახულო მცნება ჰქონდა: „სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიმართლით ავიბარგო“.

ილიას თხზულებებში. განსაკუთრებით კი პოეზიაში ხშირად ვხვდებით მთვარისა და ღამის მნათობების მხატვრულ სახეებს. პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ასე იწყება:

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი  
მწუხრის ზეწარი გადაეფარა  
და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი  
ალაზნის ველზედ წამოიხარა...  
შორნი მნათობნი მოკამკამენი  
იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ...“

მზისგან განსხვავებით ღამის მნათობებს არ ძალუძთ მიძინებელი ქვეყნის გამოფხიზლება, წუსილის განქარვება, თანაგრძნობა, იმედის მოფენა; ისინი ღუმან, ჩუმაღ მესაიფობენ ან მხიარულობენ. მათი ნაზი ალერსი კი კიდევ უფრო უწყობს ხელს მიძინებას:

„და იმ მნათობთა სხვიის ალერსით  
ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა...!“

წერს ილია. ლექსში „მწუხარება“ კი მათ უთანაგრძნობას ასე მოიხსენიებს:

„მოღხენით იყვენ უღარდელნი მთიებნი ცისა...“

იგივე გულისტკივილი დევს მთვარის მხატვრულ სახეში ლექსში „უცხოეთში“:

„მთვარე მიცურავს დინჯადა ცაზედ  
და თვის მკრთალ სხივთა ჰყრის ქვეყანაზედ;  
მძინარ სოფელსა კამარა ცისა  
თვის სიმშვიდითა არ უფრთხობს ძილსა.“

ყველაზე უფრო მკაფიოდ კი ეს მხატვრული სახე და მასში ჩადებული აზრი იკვეთება ლექსში „ელეგია“:

„მკრთალი ნათელი საესე მთვარისა  
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა...“

როგორც ვხედავთ, თუმც საესე მთვარეა წარმორჩენილი, მისი ნათელი მაინც მკრთალია, მაინც მიმადინებელია, რაც გულის სიღრმიდან ამოაძახებინებს პოეტს:

„ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი.  
როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება.“

მთვარე არა ერთეული ალეგორიული სახე, არამედ თითქმის ჩამოყალიბებული სიმბოლოა, რომელიც სიმშვიდის, სინათლის, მაგრამ ამავე დროს სისუსტის, პასიურობის, მიძინების, შემგუებლობის გამომხატველია.

ღამის მნათობთა სახეში ილია კონკრეტულად არ გამოყოფს სოღმე ვარსკვლავებს, რადგან ამ მხატვრულ სახეს, უფრო სწორად კი მისი მსოღობითი რიცხვის ფორმას – ერთ ვარსკვლავს იგი სულ სხვა მნიშვნელობით იყენებს.

„მგზავრის წერილებში“ ჩანს „ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე“, რომელიც ერთ ადგილას გაჩერებული დანათის მყინვარს. აჩრდილის პირველ ვარიანტში იხსენიებოდა „ჩვენი დამხსნელი ვარსკვლავი“, ლექსში „მითხარით რისთვის...“ ვხედავთ, თუ როგორ ეტრფის პოეტი რომელიღაც ერთადერთ ვარსკვლავს:

„მითხარით, რისთვის მე ვეძებ გულით  
განმარტოებულს უცხო მალნარსა?‟

და გრძნობით ტკბილით, მინაზებულობით

ვეტრფი და ვეტრფი სულ ერთ ვარსკვლავსა...‟

ლექსში „სიმღერა“ სჩანს, რომ არის მომავლის ვარსკვლავი, რომლის სიმორე და უხილაუობა ლირიკულ გმირში უიმედობას იწვევს. „აჩრდილის“ ადრეულ ვარიანტში იყო ასეთი ფრაზა:

„ხალხი აღინთებს კიდევ თვის ვარსკვლავს

სისხლი მამათა დაიხსნის შეილსა...‟

ლექსში „ქართლის დედას“ ვიგებთ, რომ ეს ვარსკვლავი საეცხებით მკაფიოდ, გამოკვეთილად უკავშირდება ჩვენი ხალხის მომავალს:

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...‟

ჩვენ უნდა ვსდით ახლა სხვა ვარსკვლავს,

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,

ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...‟

ვარსკვლავის ამ ცალკეულ მხატვრულ სახეებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ მათში ფაქტიურად ერთი და იგივე შინაარსი დევს. ჩვენი დამხსნელი ვარსკვლავი, ერთადერთი ვარსკვლავი, რომელსაც პოეტი ეტრფის, მომავლის ვარსკვლავი, რომელიც შორს არის და არ ჩანს. მაგრამ რომელსაც კვლავ აღინთებს ხალხი, ვარსკვლავი, რომელსაც ჩვენ უნდა მივყევით – არსებითად ერთი და იგივე პოეტური სახეა. რომელიც ერთდროულად უკავშირდება მამულს და ქრისტიანობას. ლექსში „ქართლის დედას“ ჩანს, რომ ამ ვარსკვლავის მიყოლა, ერის მომავლის გამობრწყინება ახალი თაობის ქრისტეს მცნებათა მიხედვით აღზრდაზეა დამოკიდებული. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს სიმბოლოც, ცისარტყელის მსგავსად, წმინდა წერილიდან უნდა იღებდეს სათავეს, კერძოდ დაკავშირებული უნდა იყოს იმ ვარსკვლავთან, რომლის მეშვეობითაც კაცობრიობის მხსნელის – ძე ღვთისას ქვეყნად მოვლინება ეუწყათ მოგვებს: „და აჰა, ვარსკვლავი იგი; რომელი იხილეს აღმოსავალით, წინაუძღოდა მათ, ვიდრემდე მივიდა და დაადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმაჲ იგი“. (მათე, 2,9) ამრიგად, ვარსკვლავი, როგორც სიმბოლური სახე, ასევე სიმბოლურ ღამის წყვდიადში მოკაფე, ილიას თხზულებებში ღვთისმოსავი ხალხის იმედს – უფლის კაცთმოყვარებას და ახალ აღთქმას უნდა უკავშირდებოდეს. თუ საქართველო ამ ვარსკვლავს მიჰყვება და ქრისტეს მცნებებით იცხოვრებს, იგი გადარჩება.

ვარსკვლავის ამგვარ მნიშვნელობაზე დაყრდნობით ქმნის მწერალი



შედარებებს ცალკეული პროცენტებისას ამ ვარსკვლავთან. დავით აღმაშენებლის შესახებ „აჩრდილის“ აღრეულ ვარიანტში ეწერა:

„ხალხი თვის ბედსა და მხვედრს ლოცავდა  
და თავის მეფის ტკბილ ღიმილშია  
თვის დამხსნელს ვარსკვლავს მადლით ხელავდა.“

თამარისა და დავითის ეპოქის შესახებ თანამედროვე ქართველის პოზიციიდან პოეტი წერს:

„...რომელიც ეხლა ქართველსა უკვირს  
და რომელზედაც ხან ხარობს, ხან სტირს,  
როგორც გამქრალსა თვის ვარსკვლავზედა...“

მღვდლის შესახებ კი მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“ გაბრიელი ამბობს: „ჩემის ბნელის ცხოვრების გზაზედ იმის მეტი ვარსკვლავი არ ამოსულა, — და ამ უპირო კეყყანამ სხვა ნურა დამაყვედროს-რაო.“

ასეთია ზოგადად ცის, ციურ სხეულთა და ბუნების მოელენების მხატვრული ფუნქცია და პოეტური სემანტიკა ილიას ნაწარმოებებში.

## „თესლი კეთილი“

„არა არის რა შემთხვევითი...“

ილია ჭავჭავაძე წერდა: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისაო“. ე.ი. უმთავრესად, პირველად მას იდეა მიაჩნდა და არა მისი გარეგანი ჩარჩო. ამიტომ გვირჩევდა, ლიტერატურის კითხვისას „სულს ადევნე გულისყური და არა ხორცსაო, აზრსა და არა ამბავსაო, რადგან ამბავი მარტო აზრის გამოსახატავად არის აქ ჩართული და მოგონილიო.“ მართლაც, მის ეპიკურ თხზულებებშიაც კი სიუჟეტი აშკარად ნაკლებად მნიშვნელოვანია, თითქოს ცხოვრებიდან არის პირდაპირ აღებული და თავისთავად ახალს არაფერს გვეუბნება, მაგრამ მთავარი არის აღწერილი ამბებისა და ცალკეული გმირებისადმი მწერლის დამოკიდებულება — მისეული ხედვა.

ხელოვნების ნაწარმოებში არა „არის რა შემთხვევითი“. მასში ყველაფერი ერთად ემსახურება იმ მთავარი დედააზრის გამოხატეასო, წერდა ილია და ეს სიტყვები გვაკლდეულებს ზეტალურად ჩაუუკვირდეთ მისი მხატვრული ქმნილებების ყოველ წერილმანს, ყოველ ნიუანსს, რათა სწორად შევოცნოთ ის მთავარი ჩანაფიქრი.

რაც უფრო დიდი სათქმელი აქვს მწერალს, მით უფრო უჭირს მშრალ, თხრობით ფორმაში მისი ჩატევა და ხშირად მიმართავს სხვადასხვა მხატვრულ ხერხებს, განსაკუთრებით კი სიმბოლო-ალეგორიებს. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების სტილისტურმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ მრავალი სიტყვა, გამოთქმა და იგავურ-მხატვრული სახე წმინდა წერილიდან იღებს სათავეს.

რომ არაფერი ვთქვათ თვით შემოქმედებით განზრახვაზე, რომელიც ასევე ქრისტიანული სულისკეთებისა და მიზნად ისახავს მკითხველის სულიერ კათარზისს.

ბიბლიაში ბევრი რამ აღეგორიულად არის ნათქვამი. განსაკუთრებით მრავლადაა იგავური სახეები სახარებაში. ზეციური სასუფეველის შესახებ საუბრისასაც კი, მაცხოვარი ცდილობდა შეედარებინა იგი ადამიანებისათვის იოლად აღსაქმელ მოვლენებთან, რათა გაეიოლებინა მათთვის უხილავისა და სიტყვით დაუტყვენელის წარმოდგენა.

წმინდა ოთხთაეში გვხვდება იგავები მთესველის, უძლები შვილის, ხორბლისა და სარვეულას, ათი ქალწულის შესახებ და ბევრი სხვა. იმას, თუ რატომ მიმართავდა მაცხოვარი თავის ქადაგებებში იგავებს ასე ხშირად, იოანე ოქრობირი შემდეგნაირად განმარტავს: „რამეთუ გონებამან რაჟამს სახეცა ისმინოს საქმისაი და იხილოს რაი იგი, უმეტესად გულისხმა-ჰყოფს საქმესა მას, რომლისთვისაც ისწავლიდეს: და კუალად ამისთვის, რათა უფრო ტყბილად სახსენებელი იყოს კაცისა, რამეთუ არა ესრეთ მიიზიდავს მსმენელთა სიტყუაი მარტივი, ვითარ რაჟამს სახეცა აქუნდეს გამოცდილისა საქმისაი.“

ერთ პუბლიცისტურ წერილში, სადაც საუბარი აქვს იგავური მეტყველების შესახებ, ილია წერს: „...თითონ საღმრთო წერილის იგავნი ამავე ორკეც თვისებისანი და ღირსებისანი არიან“ და „მთელი ეგრეთ წოდებული სიტყვაკაზმული ლიტერატურაც ამ საფუძველზედაა აშენებული“ როგორც კელევამ გვიჩვენა, თავის მხატვრულ ნაწერებში იგი ფართოდ იყენებდა წმინდა წერილის იგავურ სახეებსაც. ყველაზე მთავარი კი, რაშიც მუდამ ეყრდნობოდა ბიბლიას, იყო ზნეობრივი კანონი. ნაწარმოების თითოეული დეტალი და მხატვრული შტრიხი, რომელიც მწერლის სუბიექტურ პოზიციას გამოხატავს, ყველა გმირი და მოქმედება ამ თვალსაზრისით არის დანახული, ამ სასწორზეა აწონილი.

ილია ჭავჭავაძის ეპიკური ნაწარმოებები ხშირად რიტორული შეკითხვით, მკითხველისადმი მიმართვით ან მრავალწერტილით მთავრდება, რაც ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს: იმ ჩანაფიქრს, რომ მწერლის მადლიანი საქმე მარტო მისი ნაფიქრალის ამოთქმით არ მთავრდება. კეთილმა თესლმა რომ ნაყოფი გამოიღოს, ეს პროცესი მკითხველის გულშიც უნდა გაგრძელდეს და ამჯერად მანაც გაარკვიოს თავისი დამოკიდებულება წაკითხულისადმი. მაგალითად, იცინოს თუ იტიროს „კაცია, ადამიანზე“, მიუძღვის თუ არა რაიმე ბრალი მოთხრობის „სარჩობელაზედ“ გმირ პეტრეს, როდემდის ექნება ის ტყვილი გულში „მგზავრის წერილების“ მოხრობელს, ვინ არ არის ცოდო ამ უსწორმასწორო წუთისოფელში და სხვ. მწერალმა პოემის „რამდენიმე სურათი...“ ბოლოსაც ასევე გადააბარა მკითხველს თავისი ნაფიქრალი სიტყვებით:

„ამ ორს გულში რა ბაღღამიც დუღდა,

წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა.“

უამთა სიავემ, რომელმაც კარგახნით დაგვაშორა იმ სულიერ განწყობას

და ზნეობრივ სიმაღლეებს, რომელიც ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ, დაგვიკარგა მათი ნააზრვეის წვდომის უნარიც. ამიტომ წლების მანძილზე კაკო, ზაქრო და გაბრიელი, რომლებიც ფიზიკურად გაუსწორდნენ თავიანთ მებატონეებს, ჩვენში აღფრთოვანებას იწვევდა. ვერ ვხედავდით, რომ მწერალს ისინი არა გამარჯვებულ გმირებად, არამედ უკულმართი წუთისოფლის, ბოროტების საცდურის მსხვერპლებად ჰყავს წარმოჩენილი.

## „რომელი იგი კლდოვანსა ზელა დაეთესა...“

„რამდენიმე სურათსა...“ და „გლახის ნაამბობს“ საერთო შემოქმედებითი ძირები აქვს და გასაკვირი არ არის, რომ მოთხრობაში, რომელიც უფრო გვიან დასრულდა და მოცულობითაც ვრცელა, პრობლემა მეტი სისავსოთ იყოს ასახული. ჩვენი ყურადღება მიიპყრო რამდენიმე მხატვრულმა შედარებამ და ალევორიამ.

გლახა თხრობის დასაწყისშივე ამბობს: „მე საყაჩაღო კაცი არ ვიყავი... გული მორბილებული მქონდა პატარაობითვე, მე ყმაწვილობითვე სხვა მზემ დამკრა და სხვარიგად გამითბო გული: მაგრამ ჟამმა მიმუხთლა და კაცმა არ მიპატივა...“ „ყმაწვილის გული... ადრეულა ყვაილსა ჰგავს; მზე დაახვდავს თუ არა, გაიშლება; ის კი აღარ იცის, რომ ზამთრის სუსხი კიდევ მოასწრობს ნამდვილ გაზაფხულამდე და დააჭკნობს. მე რა ვიცოდი, ჩემი გული პირველად ბატონის სახლში გათბა და სითბომე ბოლო მომიღო.“

გაბრიელის მგრძნობიარე გული მართლაც ოდნავ სითბოზედაც სიყვარულით ივსება და შესაბამისად ყვაილთან შედარებაც კვლავ მეორდება. ამჯერად თამროსთან შეხვედრის ეპიზოდში: „როგორც კოკორი მზისაგან, გული ისე გადამეშალა“, ამბობს იგი. განსაკუთრებული გრძნობით გაუთბო გული გაბრიელს მღვდელთან ურთიერთობამ. მის ლაპარაკზე „ხალხს თითქოს მზემ დაკერაო“ სახე ისე უნათღებოდა, – ამბობს იგი და იცის ამგვარი სითბოს ძალაც: „მზე რას უზამს იმოდენას დამზრალს ყვაილსა, რაც თბილი სიტყვა დაჩაგრულს გულსა!..ოო!..სითბო? დიდი რამ არის!.. დედამიწის ზურგი იმითი აყვავდება ზოლმე, წუთისოფლის ცხოვრება იმითი მოისხამს ყვაილსაო“; იცის ისიც, რომ მთავარი ეს ყვაილებია მღვდელს მისთვის ნათქვამი აქვს: „კოვდა ის არის, როცა შვილი დედის ჭირნახულს ყვაილებს არ გამოატანინებს, როცა დრო მოუვაო“, მაგრამ გაბრიელი – ეს სასიკეთოდ გამზადებული გმირი, მაინც ჭკნება ადრეულა ყვაილივით. იგი თავდაპირველად ისე დაეწაფა მღვდლის სიტყვებს, „კაცს რომ წყალი მოსწყურდება“, სიხარულით მიიღო, როგორც „უკვდავების წყარო“, მაგრამ რატომ „ამოადინა შხამად“ წუთისოფელმა?

ზოგი კრიტიკოსი გაბრიელს ზნეობრივ გმირად მიიჩნევს. მის მიერ ჩადენილი შურისძიების შესახებ კი წერენ: „ტყვიას გულში დაახლის და

შურს იძიებს რამდენიმე გაუბედურებულის და ნამუს-ახილი ადამიანისას.“<sup>1</sup> როცა გლახა დათიკოს მუსუსობის ამბებს ყვება, დასძენს: „ქვეყანა წამურტლა და აქამდისაც მიკვირს, რომ ამ მართლა-და მურტალს ქვეყანაზედ კაცი როგორ არ გამოჩნდა, რომ თოფი ეკრა და მიწასთან გაესწორებინა...შენ რაღას აკეთებდიო, იქნება იფიქროთ ჩემზედ. რას ვაკეთებდი? ევა მკითხე და გამკიცხე კიდეც. გული მეც შემღვრეოდა, მაგრამ ჩემი გაუბედავობა თუ იმისი სიყვარული ჩემს გულს იმორჩილებდა იმ დრომდინ, მინამ მე და ის ერთს გზაზედ ერთმანეთს არ გადავებხარხენით.“ როგორც ვხედავთ, გაბრიელი თავად აღიარებს, რომ სანამ დათიკოს მზაკვრობა პირადად მას არ შეეხო, სხვების დასაცავად თავი არ გამოუღია. ასე რომ, მისი საქციელი სხვებზე ზრუნვად არ უნდა ჩაუთვალოთ. იგი შორს არის იმგვარი ზნეობისაგან, რომელიც „ოთარაანთ ქვრივის“ გიორგის არც კი აკითხვინებს, მისია თუ სხვისია. ისე აუნიებს გულს დაჩაგრულის საშველად და ცოდვის სამხელად. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ცხოვრებამ (მწერლის ნებით) გაბრიელს ერთგვარი გამოცდა მოუწყო – მართლა ასე ძალიან უყვარდა დათიკო, რომ ამ სიყვარულის გამო არ აღუდგებოდა წინ მის ბოროტებას, თუ დათიკოს მიერ გაუბედურებულთა ბედი არ სტკიოდა საკმარისად?

გაბრიელი თავს იმართლებს: „რა მექნა ის სხვა ყველაფერში მადლიანი ბიჭი, მეტად მიყვარდა ლა არ ვიმეტებდიო“, მაგრამ როცა დათიკოს აუზნიანობა მას შეეხო, სიყვარულსაც შეეღია, მოსაკლავადაც გაიმეტა და სამუდამო სატანჯველისთვისაც გასწირა.

დავაკვირდეთ, როგორ მივიდა გაბრიელი დათიკოს მკვლელობამდე. მოკვლის მცდელობა მას ჯერ კიდევ მაშინ აქონდა, როცა დარწმუნდა, რომ თამროზე ხელს ვერ ააღებინებდა. „დათიკოს მოკვლის სურვილმა ელვასავით გამოიჩინა ფიქრში, მაგრამ თავი დაეჭირე, დაუძლიე ეშმაკის ცდუნებაო“, ამბობს იგი პირველად, მაგრამ ცდუნება განმეორდა და „იმედმოშორებულმა და გაბრაზებულმა“ გაბრიელმა მაშინ კი იძრო ხანჯალი...“ აღმოჩნდა, რომ დათიკოს ზაფანგი აქონდა მოწყობილი და გაბრიელმა ვერ შესძლო ბატონის მოკლა. თუმცა, ხელბეშქარული იგი კვლავ იმას გაიძასოდა: „მინც კიდევ გზას გიპოვი და შენს უნამუსობას ქათამსავით ზედ წაგაკლავო“, ყურადსაღებია მის მიერ მოგვიანებით ნათქვამი ასეთი რამ: „მე იმისთანა ხასიათის კაცი ვიყავ, რომ გააფთრებულს, გულაფეთქებულს, ცეცხლმოკიდებულს იქნება უეცრად კაცი შემომკვდომოდა, მაგრამ თუ წინ მოსაფიქრებლად ორს წუთის მინც ჩემი ჭკვა და გული შემრჩებოდა, ადამიანს სასიკვდილოდ ძნელად თუ გამოვიმეტებდიო“. დათიკოსთან ზემოთ აღწერილი საუბრის დროს იგი მართლაც „ცეცხლმოკიდებული“ იყო, მაგრამ მაშინ, როდესაც მართლა მოკლა დათიკო, შურისძიებისათვის კარგა ხანს ემზადებოდა და დასაფიქრებლად დიდი დრო

1. კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბ.1962, გვ.192

პკონდა.

როგორც ჩანს, გადამწყვეტი როლი გაბრიელის მიერ დათიკოს წინასწარი განზრახვით მოკვლაში ჰეპიასათვის მიცემულმა ფიცმა ითამაშა. თვით ფიცის დადება ცოდვა იყო – „ხოლო მე გეტყვი თქვენ: არა ფუცვად ყოვლადე...“ ბრძანებს უფალი (მათე 5.34). ფიცის დადება კაცის მოკვლის შესახებ კი ცხადია. უფრო დიდი ცოდვაა. ამ დაუფიქრებელი ნაბიჯის გამო დადგა გაბრიელი საბედისწერო არჩევანის წინაშე – ან ფიცი უნდა გაეტეხა, ან კაცი მოეკლა. აქ მან დაუშვა კიდევ ერთი შეცდომა. „მე აქამდისაც არ ვიცი, ამათში რომელი უფრო მძიმე ცოდვააო“ ამბობს და ამით ხსნის მის მიერ დათიკოს მოკვლის გადაწყვეტილების მიღებას. მსგავსი არჩევანის წინაშე დადგა გაუაზრებლად ფიცის დამდები მეფე ჰეროდეს, რომელმაც ძმისწულის ცეკვით მოხიბლულმა, „ფიცით აღუთქუა მას მიცემად, რაიცა ითხოვოს.“ როცა სალომემ, დედის რჩევით, იოანე ნათლისმცემლის თავი მოითხოვა, ჰეროდე შეეყოვნა, არ უნდოდა იოანეს მოკვლა, მაგრამ ფიცის გატეხვას მოერიდა და ეს სასტიკი მოთხოვნა აღასრულებინა. ჩვენ არ ვეადარებთ ნათლისმცემელს დათიკოსთან, უბრალოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ გაბრიელმა ჰეროდეს მსგავსი შეცდომა დაუშვა ფიცის დადებით, რამაც იგი დიდ ცოდვაში ჩააგდო. თუ ორ წუთს ჩემი ჭკუა და გული შემრჩებოდა, კაცის მოკვლა გამიჭირდებოდაო, ამბობს იგი, მაგრამ ამ ფიცის დადებით მისი ჭკუაც და გულიც ბოროტის ტყვეობაში აღმოჩნდა.

„განა ამისთანა კაცის მოკვლა დიდი ცოდვა უნდა იყოსო“, ამბობს გაბრიელი და აქაც არ უფიქრდება, რომ მცნებაში „არა კაც კლა“ უფალს არ განურჩევია, ზოგის მოკვლა არ შეიძლება და ზოგის კიო.

ბარში ჩამოსულ გაბრიელს გული მღვდლისაკენ გაუწევს. „მინდოდა, რომ იმისგან ლოცვა-კურთხევა მიმელო და მერე, რაც მოსასვლელი იყო, მოსულიყო“, ამბობს იგი. ალბათ იქამდე რომ მიეღწია, მისი ბედი სხვაგვარად წარიმართებოდა, მაგრამ მღვდლისაკენ, უფრო ღრმა გააზრებით კი, უფლისაკენ მიმავალი გზიდან მას გადაახვევინა დათიკოსაგან გაუბედურებულ და იმჟამად ცოდვებში ჩაფლულ თამროსთან შეხვედრამ.

„მამ ღვთის სამართალმა აღარ უნდა გაიღვიძოსო“, აღშფოთებულია გაბრიელი და ჰკონია. რომ დათიკოს მოკვლით თავად აღასრულებს ღვთის სამართალს. რომაელთა მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლე გვასწავლის: „ნუეის ბოროტსა ბოროტისა წილ მიაგებთ; წინასწარ განიზრახვედით კეთილსა წინაშე ყოველთა კაცთა... ნუ თავით თვისით შურსა იძიებთ, საყუარელნო, რამეთუ წერილ არს: „ჩემი არს შურისგებაი და მე მივაგო, იტყვის უფალი“ (რომ. 12.17-21)

გაბრიელი ფიქრობდა, რომ ჰეპიასათვის მიცემული უსასტიკესი ფიცის აღსრულებით მღვდლის დარიგებას ასრულებდა: „სხვა შენთვისაო და შენ სხვისთვისაო“. მაგრამ განა იგი მართალი იყო? განა სხვებთან ერთად დათიკოზეც არ უნდა ეფიქრა, როცა ასე იმეტებდა? ამას უქადაგებდა მღვდელი, როცა

ეუბნებოდა, ქრისტე ღმერთმა მტრის სიყვარულიც ბრძანაო? გაბრიელმა გადაწყვიტა დათიკოს მოკელა ისე, რომ წინასწარი განზრახვითვე უკარგავდა მას სიკვდილის წინ აღსარების თქმისა და ზიარების მიღების შესაძლებლობას. ეს კი ალბათ უძლეესი ვნებაა, რაც კი ადამიანმა ადამიანს შეიძლება მიუტანოს, და იგი ამას არ ნანობს არც უშუალოდ მკვლელობის შემდეგ, რაც გამოიხატა მის სიტყვებში: „გეტყვიტ ჩემის გულის ტუნწობას, მე ის მაინც არ შემეცოდაო“ და არც თავისი ამბის თხრობისას, სიკვდილის წინ, როცა აღიარებს: „ის დალოცვილი მღვდელი ხშირად მარიგებდა ხოლმე, რომ მტერსაც პატივობა უნდაო, მეც ასე ვამბობ, მაგრამ მაგას მარტო ენა ამბობს და გულში კი სხვა ბალღამი ტრიალებს.“ (მღრ. „კაკო ყაჩაღის“ უკანასკნელ ფრაზას.) გაბრიელს იმედი აქვს, რადგან პეპიასა და თამროსთვის ვიძიებ შურს და არა საკუთარი თავისთვის, „ღმერთი დანახავს ამას“ და „შემიწყალებსო, მაგრამ განა ამ შურისძიებით პეპიასა და თამროს რაიმე შეება ეძლეოდათ? მეორეს მხრივ, რაკი დათიკო ცოდვილი იყო, უფრო მეტად შესაბრალოსი არ უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი ცოდვებით წარსდგებოდა უფლის წინაშე?

გაბრიელმა იცის, როგორ ნაბიჯსაც დგამს. „რა უნდა მომივიდეს?.. სამუდამო ტანჯვა და ჯოჯოხეთი?! მამ სამოთხე რომ მომელოდეს, რაღა თავის გამოღება იქნება?! დეე რაც მომივა, მომივიდეს“, ფიქრობს იგი და საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს, თუმც ამის შემდეგ ღმერთს ევედრება: „დამიხსენ კაცისკვლისაგანო“, ეს ევედრება „გულმართალი“ აღარ არის, რადგან ამ გულში კაცისკვლის გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

მომაკვდავ დათიკოს გაბრიელი არიგებს, სიკვდილის წინ „ღმერთი მაინც ახსენე და ისე დალიე სული, შე ცოდვით სავსეო“, მაგრამ რეალურად განა თავად არ შეუწყო ხელი რომ იგი ასე უნანელ უზიარებლად წასულიყო?

მომაკვდავი დათიკო ერთგვარად აჯამებს თავის ცხოვრებას – მე რომ ბევრი ცული მიქნია, „ჩემი ასე ცულად წასდენა იმაში გამებაროსო“, პეპია თუ ჩემს გამო უზიარებლად მოკვდა, მეც ასე ვკვდები და „ეგეც ბარი ბარშიო“. ასეთი შეჯამება გაბრიელის სიკვდილის წინ მწერალს დაკონკრეტებული არა აქვს, მაგრამ უფალი ყველას შესახებ ამბობს: „ვერცა მამამან ჩემმან ზეცათამან გიყოს თქუნ, უკუეთუ არა მიუტკვენთ კაცად-კაცადმან ძმასა თვისსა ყოვლითა გულითა თქუენითა ცთომანი მათნი.“ (მათე 8.35). არის თუ არა მოთხრობაში ნაჩვენები, რომ ამგვარი სასჯელი გაბრიელსაც მოეღის?

გლახაკი და უპატრონო რომ იყო იმიტომ არ დარჩენილა გაბრიელი უზიარებელი. მიუხედავად ათასგვარი წინააღმდეგობებისა მწერალმა ასე „ინება“ – მღვდელი მიაყვანინა მასთან, თან ის მღვდელი, რომლისგანაც ეზიარა იგი ღვთის სიტყვას და რომელსაც ყველაზე მეტად ენდობოდა. მოძღვარსაც მის ზიარებაზე უარი არ უთქვამს, „ამოილო სანაწილედამ წმიდა ნაწილი, გლახას წინ დაუჩოქა, კოვზით ზიარება მიაწოდა და წარმოსთქვა ედრებითა: „პოი, ყოველთათვის ჯვარცმულო ღმერთო. ტანჯულთა და ცოდვილთა მეოხეე! მოიხსენე ესე მოსავი შენი, ოდეს მოხვიდე სუფევეითა შენითა.“ მაგრამ გლახა

მინც უზიარებელი დარჩა. მან უფლის წინაშე დაჩოქება ისურვა, პირჯვარი გადაიწერა და გოდებით შევედრა უფალს: „მომხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სიფევეითა შენითა“, მომტირალი პირქვე დაემხო და სული დალია.

„აქ მე შემინდვიხარ და იქ ღმერთმა იცოდესო“, – უთხრა მანამდე გაბრიელს მღვდელმა და ალბათ ის, რომ მას პირთან მიტანილი ზიარება მინც მიუღებელი დარჩა, შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეს მწერლისგან ალბათ იმაზე მიმანიშნებელია, რომ მას მინც არ მიუტყვა. სხვას რას უნდა ნიშნავდეს მოთხრობის უკანასკნელი შემზარავი ფრაზა: „საცოდავსა მინც ზიარების მიღება არ დასცალდა.“ გაბრიელი თითქოს დიდ სწრაფვას ამჟღავნებს ღვთის სიტყვისადმი. იგი თითქოს ღვთისმოსავი და მოყვარულია, მაგრამ არის კი ეს სიყვარული? იოანეს სახარების მე-14 თავში რამდენჯერმე გამეორებული მაცხოვრის სწავლება: „უკუეთუ გიყუარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხნით“. „რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარდე მე.“ გაბრიელმა კი ერთ-ერთი უმთავრესი მცნება ადამიანის სიყვარულისა არა მარტო დაარღვია, არამედ საერთოდ ეჭვი შეიტანა ვინმეს მიერ მის შესრულებაში. ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ რამდენიმე წლის შემდეგ ილიას მიერ თარგმნილი გერმანელი მეცნიერისა და მწერლის გეორგ ებერსის მოთხრობა „რამეთუ კაცი ვარ...“ ამ თხზულებას ილია ჭაუჭავაძის შემოქმედების მკვლევარები იყენებენ პოემა „განდევილის“ პრობლემატიკის განხილვისას, ჩვენი აზრით კი პრობლემებისა და დედააზრის მხრივ მას ბევრად მეტი საერთო აქვს სწორედ „გლახის ნაამბობთან“.

იქაც ზუსტად იგივე მდგომარეობაა. იღუპება ერთ-ერთი მთავარი გმირი – სტეფანე, რომელმაც ვერ შესძლო მტრის მიტყევა. მთელი თვრამეტი წელი იგი ბერად აღკვეცილი, მარხვაში, სინანულსა და ლოცვაში ატარებდა და იმედი ჰქონდა, რომ ცისკენ გზა გაეხსნებოდა. სიკვდილის წინ აღსარების მისაღებად მისული ეპისკოპოსი კი აფრთხილებს, რომ ამისთვის ერთი რამღა დარჩა მას – მიუტევოს მტერს, რათა გულმართლად თქვას: „და მომიტყეე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტყევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა.“ ეპისკოპოსი მოაგონებს სიტყვებს საღმრთო წერილიდანაც: „უკუეთუ თქვენ მიუტყევებთ კაცთა ცოდვათა მათთა, მოგიტყევებთ თქვენც მამა თქვენი ზეციერიო“ და კვლავ და კვლავ აფრთხილებს, „უნდა მიუტევო, რომ შენც ყოველივე მოგეტევოსო“, „მიუტყეე და ზეცა შენიაო“, მიუტყეე „მარტო პირით კი არა გულითაცაო“, მაგრამ სტეფანე ვერ შესძლებს. როდესაც იგი უკანასკნელ წუთებს ითვლის, მის წინაშე სწორედ ის მტერი აღმოჩნდება, რომლის პატიებაც უჭირდა და სიძულვილი კვლავ აენტება მის გულში. მეორე ბერი ეძახის: „თავი დაანებე, მიუტყეე, რომ ზეცამ შენც მოგიტევოს“, მაგრამ სიტყვებით: „რა ზეცა, რა მიტყეება... წყეულიმც იყოს...“ იგი თავის მტერთან ერთად გადაიჩენება უფსკრულში როგორც ფიზიკური, ისე სულიერი გაგებით.

ეს მოთხრობა, 1878 წელს დაიწერა, „გლახის ნაამბობის“ დამთავრებიდან ხუთი წლის შემდეგ, ამიტომ, რა თქმა უნდა, ქართველი

მწერალი მის მხატვრულ სახეებს აქ ვერ გამოიყენებდა, მაგრამ თვით ფაქტი ამ ნაწარმოების თარგმნისა, მიგვანიშნებს ილიას დაინტერესებაზე მსგავსი პრობლემებით და იმაზედაც, რომ მისთვის უცხო არ იყო ამგვარი ჭერეტა ცოდვა-მადლისა.

გაბრიელი ილიას მიერ შექმნილი მისაბაძი სახე კი არ არის, ეს ცხოვრების, წუთისოფლის უკულმართობის საცოდაობაა, რომელიც ტკივილად ქონდა მწერალს გულში და ამ მოთხრობის სახით ამოთქვა. ის ერთგან სწერს კიდევაც კირილე ლორთქიფანიძეს: „დიდი ხანია ეგ ნაამბობი გულში მელო.“

ამრიგად გაბრიელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიაც იმავე ცოდვაშია, რაშიც თარგმანის გმირი. ისიც არ მიუტყეებს თავის მტერს გულით და ამით თავადვე უარს ამბობს სასუფეველზე: „სამოთხე რომ მომელოდეს, რაღა თავის გამოღება იქნებაო.“

მღვდელმა რომ ლოცვები მასწავლა, „დღევანდლამდინ მხსოვან. მარტობაში ღმერთს დღესაც იმ ლოცვების სიტყვებით ველაპარაკები. ისინი მიკვალავენ ცისკენ გზასა და დღედადღე იმათთან ვაყოლებ სულსაო...“ თუ ასე იყო, ალბათ ის საუფლო ლოცვას „მამო ჩვენოსაც“ წარმოთქვამდა, იმეორებდა სიტყვებს: „მომიტყვენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტყეებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“ და თავადვე გამოჰქონდა განაჩენი საკუთარი თავისათვის. რადგან ვერ შესძლო დათიკოს მიტყევა. უფრო მეტიც, მას შეუძლებლად მიაჩნდა მტრის სიყვარული: „ღმერთო შეგცოდე, მაგრამ შენგან გაჩენილს ადამიანსა მარტო შენი სახე თუ მისცემია, თორემ გული კი არა. სულ ტყუილია! მაინც ადამიანს მტერი არ შეჰყვარებიაო“, ამბობს იგი.

მყინვართან ტყვეობიდან მის გამომხსნელ უცნობს ვაბრიელმა სახელი ჰკითხა, უნდა დაგლოცო. უცნობმა ანუ დათიკომ უპასუხა, თუ გინდა დამლოცე, „სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავსო.“ მაგრამ ვაბრიელმა, როგორც ჩანს, იმდენად ვერ დალოცა უცნობი, რამდენადაც წყევლა დათიკო. გულში სიყვარული და მადლიერება რომ მეტი ჰქონოდა მისდამი (როგორც უცნობისადმი), ვიდრე სიძულვილი. იგი სწორედ მისი ხელით არ მოკვდებოდა. ამოტომ მომაკვდავი დათიკოს მიერ მისთვის ამ სანთელ-საკმელის გახსენება მისი სამხილია.

ვაბრიელს თავი დამნაშავედ სიკვდილის წინაც არ მიაჩნია. მღვდელი რომ ეკითხება, ამ დღემდე რამ მოგიყვანაო, იმას კი არ ეუბნება, ჩემმა ცოდვებმაო, — „იმ ცეცხლმა, რომელიც ყველას ღვთისაგან გულში გვინთიაო“ და ზედ დასძენს, მე ასე მგონია და სხვისა კი არ ვიციო, ვაბრიელი ცდება. ღვთისგან ანთებული ცეცხლის შესახებ მღვდელი სულ სხვა რამეს ასწავლიდა — „ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა ჰირნათლად შევეყაროთ ჩვენს გამჩენსაო...“ „ის ღვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცსა თავდაპირველადვე ჩაგვსახებია, ჩვენთვის დაკარგულია თუ სიკეთე არ მოვაგებინეთო.“ ამდენად



გაბრიელი ამ დღემდე მიიყვანა არა იმ ღვთიურმა ცეცხლმა, სულიწმინდის მადლმა. რწმენამ, არამედ ყოველივე ამის დაკარგვამ მცნების შეუსრულებლობით.

„ყამა მიმუხთილა და არ დამაცალა... მომიტანა კლდემ ქვეშა და...ისე ეკრები, როგორც ცეცხლი, როცა გარედამ ჰაერი არა შევლისო!“ ამბობს გაბრიელი. მსგავსი შედარება გამოყენებული მღვდლისთვის ნათქვამ სიტყვებშიც: „შენგან ანთებული სანთელი შენს ზელში უნდა გაეკრეო...“ გაბრიელის სანიღელი ქრება იმიტომ, რომ მის რწმენას კეთილი საქმეები არ ახლავს. ათი ქალწულის სახარებისეულ იგავში ხუთი საკმაო ზეთს არ მოიძარავებს და ამიტომ „სიძის მოსვლას“ ჩამქრალი ლამპრით ხედება. ეკლესიის მამათა განმარტებით. არ არის საკმარისი რომ იწოდებოდე ქრისტიანად და მეორედ მოსვლის მოლოდინი ეკონდეს. ამას გარდა უნდა ზრუნავდე იმაზედაც, რით შეხედები უფალს. უგუნურება ეკონდეს რწმენა და არ ეკონდეს კეთილი საქმეები, იცოდე საღვთო სჯული და არ ასრულებდე მას. სულის გადარჩენისთვის მხოლოდ რწმენის ლამპარი არ არის საკმარისი, სჭირია ზოი – კეთილი საქმეები, რომ ლამპარი არ ჩაქრეს „სიძის მოსვლამდე.“ (მათე 25)

„კლდის“ მხატვრულ სახეს ალევორიული მნიშვნელობა უნდა აქონდეს. ეს მოთხრობაში კარგად ჩანს მღვდლისა და გაბრიელის პირველსავე საუბარში:

– „ყმა გახლავარ“

მღვდელმა უგემურად გაიქნა თავი, თითქო შეწუხდაო...რაც უნდა იყო, მე და შენ კაცები ვართ. ღვთის შვილები, – მითხრა პატარა ხანს უკან“, ყვება გაბრიელი. „კაცმა რომ მოინდომოს, კლდეს გაარღვევსო, ხომ გგიგონია?

– კლდის გამრღვევ კაცს სხვა ფერიც აძევს, შენი ჭირიმე!

– იმ ფერისა იქნება შენც გცხია: ყველას ღვთის სული გვიდგა, ჩემო ძმაო!“ აქ მინიშნება უნდა იყოს მოსე წინასწარმწიყველის მიერ კვერთხით კლდის გაპობაძე, რომლიდანაც წყალი გარდამოდინდა და რომლის შესახებაც პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში წერს: „და ყოველთა მოსეს მიერ ნათელ-იღეს ღრუბლითა მიმ და ...ყოველთა იგივე სასუმელი სულიერი სუეს, რამეთუ სუმიდენ იგინი სულიერის მისგან კლდისა. რომელიცა შეუდგა, ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე.“ ესე იგი მღვდელი მიანიშნებს გაბრიელს, შენც ქრისტეს სახელით ნათელდებული ხარ, ქრისტეანი ხარ და თუ მოინდომებ, შენც კი შესძლებ კლდის გარღვევასო. გაბრიელიც თითქოს აცხადებს ამისთვის მზადყოფნას სიტყვებით: „ღმერთმა ქნას, მეც ეგ მიინდა, ნეტავი მეცხოს! მე უარზე არა ვარ, ვცდი, თუნდა კლდემ ქვეშ მომიტანოს.“

გლახა იგონებს: „ეს რომ ეუთხარი. თვალი თვალში გამიყარა. თითქო ჩემი სიტყვა გულს მოჰხვდაო, მერე სახე გაუნათლდა და მითხრა... „ე! თუ მაგრეა, მაგისთანა გულმაგარსა ვერაფერი ვერ მოგიტანს ქვეშ, თუ მოგიტანს, აუღებები ფეხზედ.“

„ვაი რომ ბედმა ქვეშ მომიტანა იმისაგან წახალისებული თავმომწონე ბიჭი და აი, ვეღარ წამოვუდექი, თორემ ვინ იცის? იქნება მეც შემძლებოდა

კაიკაცობა?“ კვლავ გვაგონდება ეპისტოლეს სიტყვები: „არამედ არა მრავალნი მოთჳანნი სათნო იყვნა ღმერთმან. რამეთუ დაეცეს იგინი უღაბნოსა ზედა.“ „ამირიოგან რომელი ჰგონებდეს ღვთისა, ვერძალენით, ნუუკუე დაეცეს.“ (1 კორ. 10) წმ. დავითის ფსალმუნში ვკითხულობთ: „...თუ მისა დავაგე რომელთა მომაგეს მე ბოროტი, გან-რამე-უკუეკვარდე მტერთა ჩემთაგან.“ ეკლესიის მამათა განმარტებით აქ ნათქვამია, თუ ბოროტებაზე სანაცვლოს მივაგებ, დავეცე მტერთა ჩემთაგან ცუდადო, ეს კი მოსდის მათ, ვინც აკლდება მადლს. რომელსაც ქრისტეს სისავსე იძლევა. ასე დაეცა გაბრიელი.

კლდის მხატვრულ სახეს მოთხრობაში სხვაგვარი იგაუგური დატვირთვაც უნდა ჰქონდეს. ამაში დავრწმუნდებით, თუ გავიხსენებთ სახარების იმ ადგილს, სადაც ღვთის სიტყვისადმი დამოკიდებულების და ღვთის ნების აღსრულების მიხედვით ადამიანები ოთხ ვჯგუფად არიან დაყოფილი. ეს არის მაცხოვრის ქადაგება მთესვარის შესახებ. იგი იგაუერ სახეს ატარებს – მთესვარი განსახიერებს ქვეყნის შემოქმედს, ოესლი კეთილი ღვთის სიტყვას, ხოლო სხვადასხვაგვარი ნიადაგი – განსხვავებული ბუნების ადამიანებს. იგავის მიხედვით მთესვარის მიერ დათესილ კეთილ თესლთაგან ერთი დავარდა „კლდოანსა ზედა, სადა არა იყო მიწაი ფრიად და მყესეულად აღმოსცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმეი მიწისაი, მზეი აღმოჰხდა და დაცხა, და რამეთუ ძირნი არა დაებნეს, და განხმა.“ მაცხოვარი თავად განმარტავს ამ იგავს: „...რომელი იგი კლდოვანსა ზედა დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი (სასუფეველისაჲ) ისმინის და მყესეულად სიხარულით გულსა თვისსა მიიღის იგი, ხოლო ძირი არა აქუნ გულსა თვისსა. არამედ საწუთროსა არნ და რაჲმს არნ ჭირი ანუ დვენაჲ სიტყვისა მისთვის. მყესეულად დაბრკოლდინ“ (მათე 13) „რომელთა იგი ჟამ ერთ ჰრწამნ და ჟამსა განსაცდელისასა განდგინ“ (ლუკა 6). აი, რატომ მოიტანა გაბრიელი ქვეშ კლდემ და ჩაუქრო ღვთისგან ანთებული ცეცხლი, ჩაუკლა თავდაპირველად სიხარულით მიღებული მადლი

ერთგან ილია წერს: „შესაძლოა სხვა გარემოებამაც შეუწყოს ხელი კაცს გაჭირვებისაგან დახსნისათვის, მაგრამ თავი და თავი მოშქმედი ძალა მთა-კლდის გასარღვევად მაინც კაცის საკუთარი მხნეობაა, საკუთარი თვითმოქმედება.“ ამ თვითმოქმედებაში, მანამდე კი არასწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაუშვა შეცდომა გაბრიელმა და ამით დაიღუპა თავი.

„რაი სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკუეთუ ვინმე თქუას: სარწმუნოებაი მაქუს, და საქმენი არა ჰქონდენ? ნუ ძალუც მეა სარწმუნოებასა ხოლო ცხოვნებად მისა? „...სარწმუნოებაი, უკუეთუ არა აქუნდენ საქმენი, მკუდარ არს იგი ხოლო“, ვკითხულობთ წმ. იაკობ მოციქულის ეპისტოლეში. „უკუეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ მიყუარს ღმერთი და ძმაჲ თვისი სტულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არა უყუარს ძმაჲ თვისი, რომელი იხილა, ღმერთი. რომელი არა უხილავს, ვითარ ძალუც უყუარებაჲ“, წერია წმ. იოანე მოციქულის

პირველ ეპისტოლეში (4. 20, 21). როგორც ვხედავთ, წმინდა წერილში ამის შესახებ ბევრი რამ არის ნათქვამი, არც გაბრიელის მოძღვარს დაეწევა მისი ქადაგება. „ღმერთი..მარტო კარგის საქმით იდიდება“, „ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავისა მტერიაო“, „კვი კაცობა არ შევიძლიან?... მაშ რაღა კაცი ჰყოფილხარ? ღვთის სული რად გიდგაო?“ ამ სიტყვებით უქადაგა მტრის სიყვარული და მიმტყვებლობა. მაგრამ გაბრიელმა ვერ შესძლო მათი საქმით აღსრულება.

არსებობს აზრი, თითქოს მტრის შურისგება გაბრიელს მღვდელმა ასწავლა.<sup>1</sup> აქ საბუთად მოხმობილია რუსთველის სიტყვები:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ ღამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული – გზად და ხიდად“, რომლებმაც თითქოს წააქეზა გაბრიელი შურის საძიებლად, მაგრამ, ჯერ ერთი, რომ განსაცდელში ჩაეარდნის გაბრიელს ეს სიტყვები მღვდელმა კი არა, სიზმრისეულმა ჩვენებამ უთხრა და მეორეც, რუსთველის ამ სიტყვებში მხოლოდ ბოროტი გულისაქმებით დაბრმავებული კაცი თუ დანახავს შურისძიებისაკენ მოწოდებას. „იქნება არ ღამიჯეროთ, მაგრამ ჯოჯოხეთს მიეცეს ჩემი სული, თუ იმ კვირალამეს ჩემი მღვდელი სიზმარში არ მომიწვენებოდაო“, ამბობს გაბრიელი და ამ სიზმარს ისე ყვება, თითქოს რეალურად მართლაც მღვდელს ეთქვას მისთვის ეს სიტყვები. ბოროტ სულს მღვდლის კი არა, თურმე, ღვთისმშობლის გარდა ნებისმიერი წმინდანის სახის მიღება შეუძლია. ამიტომ გაბრიელი დაუფიქრებლად იქცევა, როცა ასეთი წყევით იკრავს თავს, „ჯოჯოხეთს მიეცეს ჩემი სულიო“. თან უცნაური ის არის, რომ რასაც მღვდელი რეალურად შთააგონებდა, ყველაფერს იფიქრებს „ამ სიზმრისეულ ჩვენებას კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და თან სწორედ ამის საფუძველზე არასწორ გადაწყვეტილებას ღებულობს. რუსთველის სიტყვები მას სიყვარულის მცნების გახსენებად უნდა აღეგნა. მაგრამ გაბრიელი დათიკოს თავის „მოყვარედ“ აღარ თვლიდა, მტრის სიყვარულისა კი, როგორც თავად ამბობს, არ სჯეროდა. ამრიგად თამროს გადასარჩენად მან გაწირა მტრად მიჩნეული დათიკო, იმაზე კი აღარ იფიქრა, რომ დათიკოც ადამიანი იყო – „ღვთის კერძო“ და სწორედ იმ მღვდელმა მისწირების სიყვარულიც უქადაგა.

გაბრიელის სახესთან მოთხრობაში სხვა ალევორიებიც არის დაკავშირებული. ის და მღვდელი ერთგან საუბრობენ „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილისა და შერმადინის ურთიერთობაზე. აღფრთოვანებული გაბრიელი შენატრის ასეთ ბატონყმობას, მღვდელი კი, რომელსაც, როგორც ეტყობა, არ სჯერა ამქვეყნიური სამართლიანობისა, მოულოდნელად ეკითხება: „ხელში ნაპატივები მიმინო უფრო კარგია თუ ის, რომელსაც გაჩენის დღიდან კაცის ხელი არ მოჰხვედრიაო.“ ასეთი უცაბელი გადასვლა ბატონყმობის თემიდან მიმინოს თემაზე, ამკარად მიგვანიშნებს ამ უკანასკნელის ალევორიულობას.

1. გურამ ასათიანი. „საუკუნის პოეტები“, ილია ჭავჭავაძე, თბ. იქრანი, 1988, გვ. 129

საუბარი კარგაჩანს გრძელდება და ამ ამბების კარგად მცოდნე გაბრიელი ყვება: მიმინოს „ხან ფროას აუკერენ, არ გაფრინდესო, ხან ბოლოს, არ გაიქნეოსო, თვალებს კი ყოველთვის აუბმენ, არა დაინახოს რაო...“ კლანჭებზედაც ეყენებიან თოკს გამოაბმენ, თუ ვინიცობა ნაკარდზედ გაიწიოს, არ გაუშვან.“ ამ მხატვრულ სახესთან დაკავშირებით გვაგონდება ილიას ერთი გამონათქვამი პუბლიცისტური წერილიდან: „წავიდა ნაკარდზედ ჩემი გულისთქმა, როგორც გათამაშებული მიმინო.“ და მსგავსი შედარებები ლექსიდან „ბედნიერი ერი“: „თვალაბმული“, „თავაკრული“ „პირს ლაგამი ზომიერი“; რომლებიც იმ მიმინოს მსგავსად თავისუფლების აღკვეთაზე და ცოდვის ტყვეობაზე მიგვიანიშნებს. მსგავსი რამ მრავალგან გვხვდება ქრისტიანულ ლიტერატურაში. მაგალითად ღირსი მამის ეფრემ ასურის სინანულის ლოცვაში არის აღწერილი ცოდვათა ტყვეობის შედეგი: „ზარი დაეცემის მე, უღაინობა და დახსნილება ხელთა და დაბნელება თუალთა და აღვირი პირსა, ხოლო ლაგამი ენასა...პოი მე მოვედ სულს ჩემსო, მოვედ განიუხიჩლე, განიბერტყე და განიყარე კამში თუალთად, აღვსდგეთ ერთად ...“<sup>1</sup>

მღვდელი კიდევ უფრო წვრილ-წვრილად ეკითხება გაბრიელს და ისიც ყვება და ყვება: „მწყერს აჭყრინებენ და თითონ კი სეირს უყურებენ მერე მწყერს აბგაში ჩაიწყობენ და შინ წამოვლენ...მიმინოს იმას გამოაწიწკინებენ, რაც კაცის საჭმელად არ ვარგა...“

— მინამ სული არ ამოუვა, სულ ამ ყოფაშია მიმინო?“ ეკითხება მღვდელი. „— არა, თუ მიმინომ შემოდგომაამდინ გაუძლო მონადირესა და არ მოკვდა, თავის ნებაზე გაუშვებენ ხოლმე... მინამ მწყერია. ანადირებენ, როცა მოილევა, იმასაც აღდგომის დღე მოუვა ხოლმე.“ ამაზე მღვდელი ჩაფიქრდება და ამოვრებიანებს გაბრიელს თავის ნათქვამს — „მამ მინამ მწყერები ბუდობენ, მონადირეს ხელთა ჰყავს მიმინო?...მგონი მწყერები მამის მოილევანს, როცა სამალავი და საფარი აღარ არის მინდვრებში; სიმინდი რომ მოიჭრება, ყანები, ფეტვები რომ დაიმკებიან; ერთის სიტყვით, როცა ყოველ კაი კაცის ნამუშევარი შემოვა...“

მღვდლის საუბარში „ყანას“ და „მკას“ ალგორითული მნიშვნელობა აქვს. ასევეა სახარებაშიც: „აღიხილენით თუალნი თქუენნი და იხილეთ ყანები, რამეთუ სპეტაკ არიან სამკალად“, — ეუბნება მაცხოვარი მოწაფეებს. წმ. იოანე ოქროპირის განმარტებით „ყანაა“ მოასწავებს სიმრავლესა მას სულთა მორწმუნეთასა“. „განსპეტაკებული“ ყანა კი — გონებათა მათთა, რომელნი მზა იყვნეს შეწყნარებად, რამეთუ ვითარცა ყანაა რაჟამს განსპეტაკების. მკად მზა არსო. ეგრეთ ესენი ცხოვრებად მზა არიან...“ მეორეს მხრივ. მკა უფლის მეორედ მოსვლას უკავშირდება: „...მეყსეულად მოავლინის მანგალი. რამეთუ მოიწია მკა...“ (მარკოზი 4,29)

გაბრიელი აგრძელებს საუბარს და კვლავ პირდაპირი მნიშვნელობით

1. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1988, გვ. 315

ასუხობს მღვდლის ღრმა, ორაზროვან შეკითხვებს! „– დიალ, შემოდგომაზე მწყერი ილევა, მაშინ მიმინოსაც თავის ნებაზედ გააფრენს ხოლმე მონადირე.“ რასაც მოჰყვება მღვდლის ასეთი ღალადისი: „დაილოცა ისევ შემოდგომის მადლიანობა!.. ვისაც კი მადლი ჰქონია და სიკეთე, უმუშაენია, დაუთესნია, სულ ყველაფერი მაშინ მომწიფდება და მოიკრიფება! სახლი, კარი ღვთის წყალობით აივსება ხოლმე...ქორწილებიც კი მაშინ იციან. ყველა მაშინ დაბინავდება, მიმინოც კი, მიმინოც!.. კაი დრო არის პური, ღვინო, ღვინო, ყველაფერია ბლომად. ყველა ღიდი და პატარა, მაძარია მაშინ და მხიარული!.. კაი დრო არის... ორი-სამი თვეც და გაზაფხულიც ზედ მოეპმის ხოლმე, ის ღამაში, მხიარული, თბილი გაზაფხული!.. ღმერთო! მოსავალი მოდის და გულმაროდლად მოამკვირე ყოველ მუშაკსა...“ ტიმოთესადმი პავლე მოციქულის ეპისტოლეში ვკითხულობთ: „მშრომელისა მის ქუეყანის მოქმედისა ჯერ არს პირველად ნაყოფისა გამოღებაი.“ ისწრაფე თავისა შენისა რჩეულად წარდგინებად წინაშე ღმრთისა, მუშაკად ურცხვინელად...“ აი, ამ ნაყოფზეა ღამაში მღვდლის სიტყვებშიც და არა უბრალოდ მოსავლის სიუხვეზე. პური, ღვინო, ქორწილი, მკა და სხვანი სახარებისეული აღგვრებიან. ისინი ყველა ქრისტიანისათვის ნაცნობია და ქართული მწერლებიც ხშირად იყენებდნენ. მაგალითად დავით გურამიშვილს აქვს: „არ დაგეკარგოს ქრისტეს ქორწილი.“ აკაკისთანაც ვხვდებით:

„მოვესწრები, რომ გამიფრთხოს მან ძილი

და მამლეროს მისი ტურფა ქორწილი...“

ამრიგად, ამკარაა, რომ გნხილულ ეპიზოდში ღამაშია ადამიანურ პრობლემებზე, კაცის თავისუფლებაზე, სასუფეველზე და არა უბრალოდ მიწის ზენა-თესვაზე. ამიტომ მისი პირდაპირი, სიტყვასიტყვითი გაგება მცდარი იქნებოდა. ცხადად ჩანს მიმინოს მხატვრული სახის კავშირიც გაბრიელთან.

ძველი აღთქმის წიგნებში: „გამოსვლათა“, „რიცხვთა“, „სიბრძნე სოლომონისა“ ნახსენებია უფლისაგან ატეხილი ქარით მორეკილი მწყერების სიმრავლე, რომელიც წინ უსწრებდა მანანის წვიმას. „სალამოს მოფრინდა მწყერი და დაფარა მთელი ბანაკი, დილით კი ცვრით იყო მოფენილი მთელი ბანაკი“ (გამოსვლ. 16.13) „სალამოსხანს ჭამეთ ხორცი და დილით დაძებით პურით და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.“ (რიცხვთა 11). ამ მწყერების ხარბად ჭამისაგან მრავალი ისრაილელი დაიღუპა, რის გამოც მათი დაკრძალვის ადგილს სიხარბის გორა ეწოდა.

შესაძლოა იღია „მწყერის“ სახეს ალგორიულად ხორციელი ცხოვრების, მატერიალური კმაყოფის მნიშვნელობით იყენებდეს, ზეციური პურისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ „მწყერების მოღვევის“ შემდეგ მიეცემა ადამიანს. ეს ხორციელი კეთილდღეობა აქვს მაგალითად ლუარსაბის ძმას დავითს. იგი „მკაში ბეგრის ხალხთან ოფლს არ იწურავს“, „სხვებსავეთ ხელებს არ დაიბებრებს ნამგლის ჭერითა“ და პაპანაქებაში „არ დაისიცხება“. „მუშები იქა მკიან და იმას კი, როგორც შეპყრის თაყაღიშვილის პატრონებასა,

ხელზედ ნაგეში მიძინო უზის და ნადირობს. გუშინ საღამოზედაც. ჯერისთვის რომ ბიჭი ამოვიდა, ერთი აბგა მწყერი გამოეგზავნაო, ამბობს მისი ცოლი ელისაბედი. ასეთებს „მწყერის ზორცი“ უხვად აქვთ, ტყვეობაში მომკვდარ მიძინოს კი არც მწყერის ზორცი ხედება ზოლზე და ვერც „აღდგომის დღეს“ ესწრება. ასევე დაემართა გაბრიელსაც. ამ ქვეყნადაც სიმწარე შეხვდა და ვნებებით შეპყრობილმა სასუფეველის დასამკვიდრებლადაც წინ კეთილი საქმეები ვერ წარიმძღვარა, ვერ განთავისუფლდა ცოდვისაგან.

ფეტვების დამკა, სამალავის მოშლა და მწყერების მოლვეა ალბათ ალევორიულად მიგვანიშნებს იმ უამზე, რომლის შესახებაც ნათქვამია: „მეცესულად მსაჯული იგი მოვიდეს და თითოეულისა საქმენი განშიშვლდენ...“ მართალია, სახარებაში არ არის ნახსენები შემოდგომა, მაგრამ არის „ჟამი მკისა“ – ზაფხული, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს შემოდგომას და ამდენად საგულისხმაოა, რომ ალევორიული მნიშვნელობით „შემოდგომა“ ილიასთან იყოს ის დრო, რომელიც „მკას“, მოკვება და როდესაც მღვდლის თქმით „ყოველ კაი კაცის ნამუშევარი შემოვა.“ მღვდელი ფაქტიურად ლოცულობს ყოველი ადამიანისათვის, რადგან ჟამი ახლოსაა და ყველამ უნდა მოასწროს უფლის წინაშე წარსადგომად თავისი წილის მომუშაება.

სამწუხაროდ გაბრიელი, რომლის ბედი განსაკუთრებით აფიქრებდა მღვდელს, ვერ აღწევს იმ სიმბოლურ შემოდგომამდე ანუ ვერ წარსდგება უფლის წინაშე კეთილი ნაყოფით - ღირსეული საქმეებით. იგი მხოლოდ „ადრეულა“ ყვავილის გამოღებას ასწრებს, რომელიც ადრევე უჭკნება, ნაყოფის გამოღებაამდე. მწერალს ეს კვლავ მინიშნებით აქვს გამოხატული ერთხელ მიძინოს შესახებ სიტყვებში: „თუ მიძინომ შემოდგომამდინ გაუძლო“ და მეორეჯერ სიკვდილის წინა დღეს გლახას პასუხში მთხრობელის შეკითხვაზე: „ღიდი ხანია, რაც ამ მხარესა ხარ?“ – „კარგა ხანია. ბატონო! აი, ხუთი წელიწადი უნდა შესრულდეს ამ შემოდგომაზედ, თუ მინამდინ დამცალდა.“

სამწუხაროდ ამქვეყნიურმა ბოროტებამ, საცდურმა და საკუთარმა ვნებათაღელევამ არ დააცალა მას შემოდგომამდე. ამ სიტყვების თქმიდან მეორე დღეს აღესრულა.

გაბრიელის სულიერი უნაყოფობა მინიშნებულია მისი უკანასკნელი თავშესაფრის აღწერაშიც. „...საურმე გზის პირას იდგა ერთი ძველი საბძელი, გომურზედ მიდგმული... ამ საბძლის გარშემო ადამიანის კვალი არა სჩანდა... იყო მხოლოდ „გოლეისაგან გამხმარი ბალახი“. საბძელი „ბზეს“ უკავშირდება, რომლის შესახებაც სახარებაში ნათქვამია: „განწმიდოს კალომ თვისი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა, ხოლო ბზედ დაწუას ცეცხლითა მით უშრეტითა.“ (ლუკა 3.17). „უღმრთონი ბზეს წააგვიანან ქარისაგან აღვეილს.“ (ფსალმ. 1.4) ყოველი ზორცი თივა და ყოველი დიდებამ კაცისამ ვითარცა ყუაეილი თივისა.“ მსგავსი მხატვრული სახეები გვხვდება წმინდა მამათა სწავლებებსა და ლოცვებშიც. იოანე დამასკელი წერს: „...მოძიძიეთ

კრავი ესე წარწყმედული, რომელი ბაკისა თქუენისაგან წარმიყუანა მეგომან მან და უცხო მყო, და მმწყისის მე არა კეთილად, არამედ საძოვართა ეკლითა და კუროს თავითა საესეთა მძოვებს. რომელი განეცემის სასასა ჩემსა და განეწონების გულსა ჩემსა და წყლულება იგი განძლიერდების და დასჭრის ყოველთა ასოთა ჩემთა, და მასწავლის მე უცხოთა სწავლითა, რომელი არა მსონავს მოძღუარსა თქუენსა:

ჩვენი აზრით ასე აღიქვამს და აღწერს ავტორი გაბრიელის სახეს და ამიტომვე უსვამს ხაზს მოთხრობის ბოლოში მის უზიარებლად სიკვდილის ფაქტს. ზიარება არის „საგზალი ცხოვრებისა საუკუნოისა“ (წმ. ბასილი დიდი), „წინდი მერმისა ცხოვრებისა და სუფევისა“ (წმ. იოანე დამასკელი) და ვისაც ეს საგზალი, ეს „წინდი“ არა აქვს წამოძვარებული. სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს. „დალათუ სარწმუნოება გუაქუნდეს და საქმეთაგან კეთილთა ოხერ ვიყენეთ, არა რამ არს დამყენებელ მისლვად ჩუენდა ცეცხლსა მას გეპენიისასა. დაუშრეტელთა სახუმილსა შინა გუემაჲ“, წერს წმ. იოანე ოქროპირი. ადამიანი ავადც რომ იქცეოდეს და სხვისი აზრით არ იმსახურებდეს სიყვარულს. ამ სიყვარულის ღირსი არის უფალი, რომელმაც მისთვის დაღვარა სისხლი. ასე რომ გაბრიელის უსიყვარულობა დათიკოს მიმართ მინც გაუმართლებელია. ეკლესიის მამათა სწავლებით ჩვენ უნდა ვცდილობდეთ „ეიქცუთ ხორბლად,“ რომ როცა უფალი თავის ზეციურ ბედელში მარცვალს შეავროვებს, უნაყოფოთა შორის არ აღმოვჩნდეთ. ამისთვის კი ღვთის სიტყვის კეთილ თესლს ფესვები უნდა გვაადგმევინოთ ჩვენს გულებში.

გაბრიელის სახისათვის მწერალს კიდევ ორი ტიკვილიანი ალევორია აქვს მისადაგებული. გლახასთან შეხვედრის ამბავს მთხრობელი ასე იწყებს: „ჯერ მზე ისევ მაღლა იყო, კალოს ხარის გამოშვების დრო იქნებოდა. ის უბედური კაცი, ისევ ისევ მწოლარე, იმავე ადგილას დაეინახეო...“ კალოს ხარის შვება ელოდა, გლახა კი ისევ ისევ იყო. კალოს ხარის ანუ მღვწეველი ხარის შესახებ წმინდა წერილში (II რჯ. 25,4) ნათქვამია: „არა შეუკრა პირი ხარსა მღვწეველსა...“ ამის თაობაზე წმ. პავლე მოციქული გვასწავლის: „ნუუკუე ხართაი რაიმე ეურეებოდა ღმერთსა? არამედ ჩვენ ყოველთათვის სამე იტყვის, რაშეთუ ჩვენთვის დაიწერა.“ (I კორ. 9,9) ილიამაც ადამიანთა გულისხმისსაყოფად დაწერა ეს ამბავი და მასაც ხარი კი არა, გაბრიელის მსგავს ადამიანთა ბედი აწუხებდა, რომლებსაც, პავლე მოციქულის თქმით სასოებით, უნდა ეხნათ, ელენათ, რათა შემდეგ სასოებითვე შეეკრიბათ, მაგრამ ვერ შესძლეს.

ერთგან გაბრიელი თავს თავმომწონე ფარმევენგს ადარებს, რომელიც კხარობს, მინამ თავის შავ ფეხებს დაინახავს, მაგრამ როცა კი შეამჩნევს, „მაშინვე ფრთებს დაღონებული ჩამოჰყრის“. მართალია, ეს შედარება კონკრეტულ ეპიზოდშია გამოყენებული, მაგრამ იგი არაჩვეულებრივად ესადაგება

ამ გმირის სახეს, რომელსაც თითქოს ფარშევანგევით მშვენიერი ფრთები აქვს და გასაფრენად მზად არის, მაგრამ შავი ფეხებით. ცოდვიანი საქმეებით, იმდენად არის მიჯაჭვული, რომ მისი წახალისებული გული ჩამოაყრის ფრთებს და მიწას მიაჩერდება. რეალურად რა უნდა იგულისხმებოდეს ამ „შავ ფეხებში“?

დიდ ხუთშაბათს – ჯვარცმის წინა დღეს მაცხოვარმა თავის თორმეტ მოწაფეს, მათ შორის თვით „მიმცემელსა თვისსა, ფერხნი დაჰბანა.“ ამით მათ ბოროტის წილ კეთილის მიგების და სიმდაბლის მაგალითი აჩვენა. პეტრეს, რომელიც არ ანუბებდა მისთვის დაბანას, მაცხოვარმა ასე განუმარტა: „უკუეთო არა დაგბანე. შენ ფერხნი, არა გაქენდეს ნაწილი ჩემთანა.“ მაცხოვრის თქმით, საჭირო იყო მხოლოდ ფეხთა დაბანა, რადგან სხვაგვარი ისინი ღვთის სიტყვის მიღებით იყვნენ განწმენდილნი: „განბანილსა მას არა უხმს გარნა ფერხნი ხოლო დაბანად...“ მღვდლის ქადაგებებით ღვთის სიტყვა გაბრიელმაც სიხარულით მოისმინა, მაგრამ ბოროტისა წილ კეთილის მიგება ვერ ისწავლა. ამიტომ დარჩა ფეხები ფარშევანგევით შავი. ამან კი ფრთებიც ძირს ჩამოაყრევინა.

როგორც არაერთხელ ვახსენეთ, ილია ადამიანებისაგან და თავისი ლიტერატურული გმირებისგანაც მითხროვს ღვთაებრივი სრულყოფილებისაკენ სწრაფვას. როგორც მათეს სახარებაშია ნათქვამი, ამისათვის აუცილებელი პირობაა მტრის სიყვარული. „ფეხთა ბანასთან“ დაკავშირებით იოანე ოქროპირი მოგვაგონებს: „იხილე, რაოდენი კეთილი უყო“ – „...ფერხნი დაჰბანა“, „ფარულად ამხილა“, „ტაბლასა თვისსა ზიარჰყო“, „ამბორის ყოფა მისცა“ და იგივეს ითხოვს ადამიანთაგანაც: „ულოცვედით ბოროტისმყოფელთა თქუენთა; რათა იქმნეთ მსგავს მამისა თქუენისა ზეცათაჲსა.“ (მათე 5.44)

თუ როგორ იყო მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მორწმუნე ადამიანის ცნობიერებაში დამკვიდრებული სახარებისეული ამგვარი ეპიზოდები და სულიერი სწავლებები, მათგან გამომდინარე მაღლი, საუკეთესოდ ჩანს აკაკი წერეთლის წერილში „ფეხთა ბანა“<sup>1</sup>. ისინი არა მარტო კითხულობდნენ წმინდა წერილს, არამედ განიცდიდნენ მას. მათთვის ყოველწლივ ხელახლად იშვებოდა ქრისტი, ხელახლად ივნებოდა ჯვარზე და კვლავ და კვლავ მოდიოდა აღდგომის სიხარული. ამრიგად სრულებით არ არის გასაკვირი, რომ ილია ასე მრავალმხრივ იყენებს წმინდა წერილის მხატვრულ სახეებს.

მეცნიერთა მიერ გამოთქმულია ვარაუდი, რომ პოემა „აკაკი ყაჩაღსა“ და მოთხრობას „გლახის ნაამბობი“ საერთო შემოქმედებითი ძირები აქვს – მწერლის ავტოგრაფული ესკიზები სათაურით „აკაკი“. თუნდ ესეც არ იყოს, კაკოს, ზაქროსა და გაბრიელის ბედი ბევრი რამით გაეს ერთმანეთს, უმთავრესი კი ამ მსგავსებაში არის ის, რომ სამივენი შურისძიებით პასუხობენ ბოროტებაზე

1. აკაკი წერეთელი. „მოგონება (ფეხთა ბანა)“ რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, 1990)



და რაკი ამ შურისძიებისადმი მოთხორობაში მწერალს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, ვგონებთ, არც პოემა უნდა მეტყველებდეს „შურისძიების იდეის სასარგებლოდ“<sup>1</sup>. ნაწარმოების სიუჟეტური ლოგიკა, გმირის თავგადასავალი და განსაკუთრებით კი ეპილოგი, რომელშიც პირდაპირ ჩანს ავტორი და მისი მიმართვა მკითხველისადმი, საწინააღმდეგოს უფრო გვაფიქრებინებს. ამ ორი გმირის გულში რომ „ბაღლაში დღედა“ იგივე მომწამლველი, სულიერად მომაკვდინებელი შხამია, რამაც დალუპა „გლახის ნაამბობის“ გმირი გაბრიელი („გულში კი სხვა ბაღლაში ტრიალებს“). ანკი ბაღლაში – „ჩირქი“, „შხამი“ რა კარგზე მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო. ეს ბაღლაში უსიყვარულობა და მოუტყეებლობაა. ენახოთ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ილიას მათდამი.

1887 წლის ილიას სააღდგომო სტატიაში ვკითხულობთ, რომ ქრისტეს მცნებამ სიყვარულისამ „გააპო კაცობრიობის ცხოვრება ორ დიდ ნაწილად და შუა გაუტარა დიდი კვალი სამზღვრად. კვალს იქით დარჩა მოძღვრება შურისძიებისა, სამაგიეროს გადახდისა, ჯავრისა და მრისხანებისა და კვალს აქედ მოძღვრება ურთიერთობისა, ურთიერთის სიყვარულისა, შენდობისა, მიტევებისა, მშვიდობისა, შეწყნარებისა. იქ რისხვა და მსჯავრია, აქ მშვიდობის ყოფა და მიტევება... ძველის მოძღვრებისაგან განდიდებულს, გაპატიებულს ზორცს, რომელსაც მარტო „კბილი კბილისა წილ კშიოდა“ და „თვალი თვალისა წილ“, მოკვდინებული ჰყვანდა სული, რომელიც მარტო ყოვლად მხსნელის სიყვარულის სხივითა ქნათობს, ქთბება, ჰყვავის, სცოცხლობს და სულდგმულობს. აი, ეს მკედარი სული აღზდგა მკედრეთით ქრისტეს აღდგომითა...“ განა შეიძლება, რომ ამ სიტყვების ავტორს თავისი ნაწარმოებები „შურისძიების იდეის სასარგებლოდ“ შეექმნა?

### „გზასა ზედა...“

მთესვარის იგავში ლაპარაკია იმ შემთხვევის შესახებაც, როდესაც თესლი კეთილი დავარდა „გზასა ზედა“ და „მოვიდეს მფრინველნი ცისანი და შეჭამეს იგი“. მაცხოვრის განმარტებით: „ყოველსა, რომელსა ესმეს სიტყუაი იგი სასუფეველისაი და არა გულისხმაყოს, მოვიდეს უკეთური იგი და მისტაცის თესლი იგი გულისაგან მისისა: ესე არს, რომელი იგი გზასა ზედა დაეთესა.“

მოთხორობა „გლახის ნაამბობის“ გმირი დათიკო სწორედ ამ შემთხვევას მოგვაგონებს, მაგრამ მწერალს მისი სახის წარმოსაჩენად წმინდა წერილისეული სხვა მსგავსი შედარება აქვს გამოყენებული. გაეიხსენოთ იოანეს სახარებაში სამარიტელ დედაკაცთან საუბარი, სადაც მაცხოვრის ღვთაებრივი სწავლება და სულიწმინდის მადლი სიმბოლურად წყალთან არის შედარებული: „...ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მივსცე მას, არღარა სწყუროდის

1. გურამ ასათიანი, „საუკუნის პოეტები“, ილია ჭავჭავაძე, გვ. 157

უკუნისამდე...“ ამ ღვთაებრივი წყლის სიმბოლოს ილია ბევრგან იყენებს სხვა ნაწარმოებებშიც, აქვე გაბრიელთან დაკავშირებითაც, მაგრამ, ამასთანავე გვიჩვენებს ამ წყლისადმი დათიკოს დამოკიდებულებასაც. მღვდელი რომ გაიგებს, დათიკო სოფელში ბრუნდებაო, შეწუხებული ამბობს: „საკვირველია, რომ მე ის ყმაწვილი ვერ მოვიკარეო“ და იგონებს რუსთველის სიტყვებს: „სწუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის, კაცი უშმაგო, ცნობილი...“ მერე თავად ეახლება დათიკოს, კარგახანს ესაუბრება და მისგან გამოსული, კვლავ დასძენს, „თავის სიტყვის კაცი ყოფილაო.“

როგორც „გლახის ნაამბობის“ ადრეულ რედაქციაში, მოთხრობაში „კაკო“ ეწერა, კაკო, – გაბრიელის წინასახე, უკითხავდა ხოლმე ბატონს „ვეფხისტყაოსანს“. ის ცოტა ხანს უსმენდა და „რა ნახავდა, რომ თავის ცხოვრების საყვედურის მეტი იქ არა არის რა, დაფიქრდებოდა ხოლმე და იქნება ცოტადენ სინანულშიც შევიდოდა, მაგრამ ეგ სინანული იყო წუთისა; გავიდოდა ის წუთი თუ არა, კოლა (ბატონი) თავის თავით შერცხვენილი უნებლიეთ დაჰკარავდა გაჯავრებული ხელს წიგნს და გადაადებინებდა კაკოს ხელიდან. – კარგი, გეყოფა! – იტყოდა ხოლმე გულზედ მოსული, – მეორე სახარებაც ერთი ეგა ყოფილა!.. ავტორი გვეუბნება: „როგორც ლაფი არ გარდამოიციემს მზის თბილ სხივებს, ისე საწყალი კოლას გული არ იკარებდა არარა კეთილსო.“

როგორც ვხედავთ, დათიკოს სახეში თავიდანვე ჩანდა სასარების და სულიწმინდის მადლის – იმ „მაცოცხლებელი წყლის“, იმ „თესლი კეთილის“ უარყოფა. დათიკოს მეტყველებაში ალბათ არცთუ შემთხვევითია ასეთი თვითდაჯერებული ფრაზები: „ვინცა ვარ, ის ვიქნები...“ „ვინც არ უნდა იყო შენ, მე ფერს ვერ მაცვლევინებ“ და ა.შ. აკი მღვდელმაც თქვა, თავის სიტყვის კაციაო. სულიერად მან მართლაც ვერ იცვალა ფერი – დარჩა იმად, რაც იყო, ისევე არ შეითვისა ღვთიური მადლი, როგორც გზის მოტკეპნილმა ზედაპირმა თესლი კეთილი.

„გლახის ნაამბობის“ შესავალში აღწერილია, როგორ კლავს ადამიანი ტყის ბინადარს – ირემს და ეს ეპიზოდი საოცრად გავს დათიკოს მკვლელობას. „ბევრჯერ გაუტაცნია ჩემი გონება მის თავისუფალს სილამაზესა. გადაუწყვირა ზურგზედ თავისი შტოიანი რქები, მორბის გამალებული, ლამაზი და ამაყი.“ კვითხულობთ ირმის შესახებ. დათიკოზე კი წერია: „ყველაფერში კაც კაცი იყო: მშენიერის სანახაობისა, გულუხვი, გულმარდი, გიჟმაჟი და ვაჟკაცი...“ „ის რომ ყარაბაღულ ცხენზედ შეჯდებოდა, ყელმოღერებული, ალვის ხესავით, ადამიანს თვალი ზედ დარჩებოდა...“

ირემზე ნადირობა ასეა აღწერილი: „შორიდანვე ესმის ირმის ფეხის ცემა ყურმახვილ მონადირესა: ესმის და მისი მოსისხლე გული ღელდება და ღელდება მეტის მოუთმენელობისა გამო... გგონია აგიქცევს გზას და მიეცემა საყვარელის ტყის განსაცდელით სავსე თავისუფლებასა, მაგრამ არა...“

გაბრიელი კი ასე ადასრულებს შურისძიებას: „ჩამოვედი ზიდამ, მოვახტი

ცხენსა და გულისცემით ტყეში ლოდინი დაეუწყე. გზა იმ ტყის პირად იდო. დათიკო იმ გზაზედ გამოვიდა და ჩემკენ წამოვიდა. რომ მომიასლოვდა, იმისი დიღინი მომესმა...”

„დაუშტვენ. მაშინ უნდა ანახოთ, რა მწუსარებით შედგება, რარიგ საოცარ მშვენიერებით მოიღერებს კისერსა...” ვკითხულობთ ირემზე. „მე ვარ გაბრო, შენი სულთამხდელი! შეეძახე მე...საწყალი შეტოვდა ცხენზედ, გადაიწია გადასავარდნად, მაგრამ თავი შეიმავრა...” ნათქვამია დათიკოზე.

„ისეთი ლამაზია...აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ლალი, გაირთხო ბალახებზედ...ის ამაყი, თავისუფალი ნადირი, რარიგ უდრტივინველად და მშვიდად კედება“ — ასე ამთაერებს სიცოცხლეს ირემი, დათიკოს შესახებ კი ვკითხულობთ: „დათიკო ცხენილამ ძირს დაცემულიყო... დაკინახე, რომ ის მშვენიერი ყმაწვილი კაცი, ის თავმომწონე თავადიშვილი ძლივლა ჰფეთქავდა... მოკვდა ის უბედურიშვილი. ტუნებზედ ისეთი დიმი შერჩა, თითქო დაიცინებო.“

ასე კედებიან ტყის ლამაზი ბინადარი ირემი და სულიერი გაგებით ასევე „ტყის ბინადარი“ დათიკო და ამ სცენებში ავტორის დიდი გულისტკივილი ჩანს. ირემმა, რომელიც შხამიან ასპიტებს ჭამს, წყალი რომ არ დალიოს და შხამი არ გააზავოს, დაიღუპება. ასევე შველის წყალი ასპიტის ნაკებზედაც. ღირსი მამის თეოფანეს სავედრებელ ლოცვაში ცოდეათა მოძრავლება გველის ჭამასთან არის შედარებული: „...ჩემთვის საწყალობელისა, და უძღებისა, და არა მქონებელისა კეთილისა სენიდილისა... და არა მყოფელისა განშორებასა ბოროტთა საქმეთა ჩეთასა, არამედ გემოთ-მჭამელისა გუელებისა და შემამწიკულებელისა სხეულისა ჩემისა სულისა...” ამიტომ ახსენებენ ზოლმე ხშირად ირემის წყურვილს. ამიტომ აქვს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა წყალს. ამიტომევა დაეთი მეფსალმუნესთან ირემის სწრაფვა წყლისაკენ შედარებული საღეთო წყურვილთან: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა ვგრედ სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“ ეს წყურვილი დათიკოს საერთოდ არა აქვს. იგი ამქვეყნიური ცოდვიანი ყოფის შხამ-ბალღამს ხარბად დებულობს, მაგრამ მაცოცხლებელ წყალს უარყოფს და ამიტომ იღუპება.

### „ეპალოთა შორის...”

ილია ჭავჭავაძის მოთხრობებში არცერთი გმირი იმდენს არ ლაპარაკობს ღმერთზე, წირვა-ლოცვაზე, მარხვასა და ბიბლიურ გადმოცემებზე, რამდენსაც ლუარსაბი და დარეჯანი. ისინი ახსენებენ ადამსა და ევას, ზე ცნობადისს და ღვთის განჩინებებს; ურვეენ ერთმანეთში სოლომონ ბრძენის წიგნებსა და სომხურ კარაბადინს, ლოცვას და შელოცვას, რწმენას და ცრურწმენას; წინასწარმეტყველებასა და მკითხაობას. თავისუფლად, თვითდაჯერებით ლაპარაკობენ ყველაფერზე და უაზრო განმარტებებით ფესქვეშ თელავენ სიწმინდეებს. შემთხვევითი არ არის, რომ ლუარსაბი ღმერთს მაღლობას

უხდის მხოლოდ ხორციელი საზრდელის მიღებისთვის: „გმადლობ შენ უფალო, რათა განმამძღე მე... და წვეუტს ლოცვას იქ, სადაც ლაპარაკია სულიერზე: „ნუ მომაკლებ ჩვენ ზეცისაცა შენსა სასუფეველსა...“

ლუარსაბის სიზმრისეული ლოცვა არსებითად იგივეა, რაც სახარებაში აღწერილი ფარისევლის ლოცვა. ისიც თვითამაყოფილია, ისიც სინანულის ნაცვლად ცდილობს დაამტკიცოს თავისი ღირსეულობა და დაამციროს სხვა. „ღმერთო... რა დაგიშავე, შე დალოცვილო, რომ შეიღს არ მაძღვე?... წირვა-ლოცვას უამისოდაც არ ვაკლდები, მარხვა მე არ გამიტეხია. ყოველ წელიწადს წმიდა ზიარება მიმიღია და აღსარება 'მითქვამს... დავითის ლუკმად უნდა გამხადო? რაც იმას ქვეყანაზედ ცოდვა ჩაუდენია. ვინ მოსოვლის...“ ამბობს ლუარსაბი სიზმარში და საკუთარის ნაცვლად მოჰყვება თავისი ძმის ცოდვების ჩამოთვლას: იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის დღეს ხორცი უჭამია, უკურთხებულ ყურძენს ჭმას, დღესასწაულზე სუფრის კურთხევას არ მოუცდის, დათვივით მსუნაგად მიეარდება ხორციულსო. მე ხომ ამისთანა არაფერსა ვცოდავ, რად მიწყრებო? როგორც ეხედავთ, სხვის ცოდვებს ლუარსაბი კარგად ხედავს, თავისას კი – ვერა.

მოთხრობაში ძალიან კარგად ჩანს ლუარსაბისა და დარეჯანის ავტორისეული შეფასება: „რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით. თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია... მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით. რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია, ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია, მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექმნა, ის გიქმნია?“ მიმართავს მწერალი თავის გმირს. რადგან, როგორც მისი ერთი პუბლიცისტური წერილიდან ჩანს, მას სჯერა, რომ „ქვეშმარტი კაცობა არქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონაა მადლისა.“

ამ გმირთა სახეებს მიესადაგება მთესვარის ივავის შემდგომი ადგილი: „და სხუაი იგი დავარდა ეკალთა : შორის და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი... ესე არს რომელთა ისმინიან სიტყუაი და ზრუნვისაგან და სიმდიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისა ვლენედ და შეაშთვიან და არა ნაყოფიერ იქმნიან.“

ქვეყნიურ სიტყობებაზე და ხორცის სიამოვნებაზე ზრუნვამ მოაშთო ლუარსაბსა და დარეჯანში თესლი კეთილი და ვერ ამრავლეს იგი. ამაზე მიგვანიშნებს მათი უნაყოფობა – მათი უშვილოდ გადაგება. ეკლიანი გარემოს ალევორიის შემცვლელად აქ გვევლინება გუბე, რომლის ბინადარიც არის ლუარსაბი და რომელზედაც მოთხრობის წინასიტყვაობის ერთ-ერთ ვარიანტში. აი, რას ამბობდა ავტორი: „უპ, რამდენი მყრალა ბალახ-ბულახი, მალეით იმ დამპალ წუმპის ქვეშ ამოზდილი მომედო ფეხებზედ. რის ყოფით, ვაი ვაგლახით ის დამპალი ბალახები, რომელთაგანაც მოწამლული იყო იქაური ჰაერი, მოვაშორე ფეხებსა და თავი დავახწიე... ისე რომ თავი იმ წუმპიდან არ ამომედო, კატასავით შიგ ამოვიხრჩობოდი“.

ის, რომ ლუარსაბმა და დარეჯანმა, მთხრობელისაგან განსხვავებით. ვერ დააღწიეს თავი იმ წუმბესა და მყარალბალახს და ამით ჩაკლეს თავიანთ თავში თესლი კეთილის გამრავლების უნარი, მინიშნებით ჩანს დარეჯანის სიკვდილის აღწერაშიც: „ამათ შვილი არ მიეცათ. დარეჯანმა ერთი ექიმი დელაკაცი იშოვა და წამლობა დაიწყო ექიმმა დელაკაცმა ერთი რაღაც წამალი მისცა, მოელი კვირა ასმევდა და მესამე კვირას კი ფეხები გააჭიმინა.“ რა უნდა დაეღვეინებინა ექიმბაშს დარეჯანისათვის, თუ არა ისევე ის ბალახ-ბულახები, რაც იმ მყარალ გუბეში იყო? მათ ხომ სხვა გარემო არ ჰქონდათ! ერთგან ნაიქამიც არის: „ბევრი რაღაც ბალახ-ბულახი მიიჩიო და ლუარსაბსაც დააღვეინა. მაგრამ ვერა ეშველათ რაო.“

უცნაურად კვდება ლუარსაბიც. ფერისცვალების დღეს ნათლიმამამ კალმახი მიართვა, „ჯაერისაგან იმ კალმახს ლაზითიანად მიაძღა, მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაბარდა პატრონსა.“ ლუარსაბი თავისი ძმის შესახებ ამბობდა, უკურსხეველ ყურძენსა ჭამს, ფერისცვალობამდის არ მოიციდის ხოლმეო“. ამხელდა ძმას სიმსუნაგეში და დასძენდა, „მე ხომ ამისთანას არაფერსა ვცოდავ, რად მიწყრებიო? მისი საქციელი კი ამის საწინააღმდეგოზე მეტყველებს.

მორეს მსრივ, თევზი მაცხოვრის სიმბოლოა – იმ მოძღვრების საფუძველზეა, რომელსაც ხორციელად „დახარბდა“ ლუარსაბი, არა სულიერად. ამიტომ ვერ შეითვისა, ვერ შეიტკბო, ვერ იცვალა ფერი და ამას გადააყვა კიდევ.

„რამეყო აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. ყოველმან ზემან. რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოიკუთოს და ცეცხლსა დაედვას.“ (მ. 3. 10) – ასე მიმართა იოანე ნათლისმცემელმა ფარისევლებს<sup>1</sup> და ალბათ მსგავსი აზრით უნდა იყოს ლუარსაბის სახლ-კარის აღწერისას ნახსენები ერთად დაყრილი, ერთმანეთთან შეუფერებელი მყარალბალახი და თევზი: „აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები. მაგალითებრ: ტალახიანი ყარაბაღეული თყარი წალები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყარალა ბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი“. ეს ის მყარალბალახია ალბათ, რომელმაც იმსხვერპლა დარეჯანი და ის თევზი, კი ლუარსაბისათვის საბედისწერო – რომელიც ჩვეულებრივი თევზისაგან განსხვავებით ლუარსაბის ოჯახში გამხმარი, გამომშრალი იყო.

„ტალახიანი“ და „თეთრი“, „სპილენძის“ და „პირმოტეხილი“ – ასეთი კონტრასტების გარდა ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ამ აღწერილობიდან გაქონილმა შანდალმა, რომელიც მოთხრობაში სხვაგანაც არის ნახსენები, მაგრამ არცერთხელ მასში სანთელი არ ანთია. ლუარსაბის

1. პუბლიკაციაში „იგავური ენა და სიტყვაკაზმული ლიტერატურა“ შეცდომით შეწერა, რომ ეს თქვა მაცხოვარმა ფერისცვალების დღეს, რისთვისაც უფრანალ „მნათობის“ მკითხველს ბოდიშს უუხლდ

მორგევით კისრის, ხაშხაშა ლოყების, ფაფუკი დაბაბის, ღიპისა და ქონით გატენილი ხელების აღწერისას მწერალი დასძენს: „ესე ყოველი ერთად და თითოეული ცალკ-ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის „ცით მონაბერის სულის“ ღირსეული სამკაული. ის „მონაბერი სული“ არსად ჩანდა. თითქო ჩამკედარაო, ისე გაშლილიყო მის ბრწინეალების ქონშია“ სწორედ ამ სულჩამკედარი სხეულის სიბოლური გამოხატულება უნდა იყოს ის უსანოლო, ქონიანი შანდალი, რომელიც ამ თავადიშვილის ოთახის „მუდმივ სამკაულად“ არის ქცეული. სულის სანთელთან შედარებაც ურისტიანული ლიტერატურისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლის სვედრებელში ვკითხულობთ: „დამიშრეტიეს სანთელი სულისა, და ვიყოფები ბნელსა შინა ცოდვისასა.“<sup>1</sup>

სანთელთან დაკავშირებით საყურადღებოა ილიასეული კიდევ ერთი შედარება. ლუარსაბი და დარეჯანი ზიზღით ამბობდნენ ხოლმე ცოდო არ არის, მეფეები – ვრეკლე და თამარი მიწაში იყვნენ და ჩვენი დავითი და ელისაბედი ცოცხლებიო? „აბა წუთის-სოფლის ანგარიში ვე არის და, დაატანდა ლუარსაბი“ და, როგორც ავტორი ამბობს, ასე ამოიოხრებდა, რომ „სანთელი წინა სდგომიყო, გააქრობდა.“ ეს შედარებაც არ უნდა იყოს შემოხვევითი. თავისი სანთელი ხომ გამჭრალი აქვს ლუარსაბს და ამ ფიქრებით თითქოს თავისი რძლისა და მახლის სანთლის გაქრობასაც ნატრობს.

ცარიელი შანდლის მსგავსი შინაარსის უნდა იყოს ლუარსაბის წარმოდგენაში კაცის გაიგივება ძირგავარდნილ ქვეერთან. „სულია ღვინო კეთილი, ხორცი – ჭურჭელი მყრალია.“ დავით გურამიშვილის ამ სიტყვებს თუ გაეხსენებთ, მიეხვდებით. რისი თქმა უნდა აქ ილიას – ძირგავარდნილ ქვეერში ღვინო ვერ შეკალება. სიწმინდე ვერ დაისადგურებს და ცარიელი, უვარგისი ჭურჭელი დარჩება გაქონილი შანდლის მსგავსად.

ილიას მოთხრობებში ხშირია გმირის ალევორიული დაკავშირება რომელღმე ფრინველის ან ცხოველის სახესთან. ამ მხრივ. ყურადღებას იქცევს „კაცია, ადამიანის“ შესაჯალში თათქარიძეების კალოს ბუნოზე შეყრილი ღორების სურათი. მწერალი გვამცნობს: „აქ ხშირად უქეიფინათ გრძნობის აღმტაცის ზრუტუნით ნებიერ ღორებსა, თავის ფაფუკის დინგით ბევრჯერ უთხრიათ ეს სურნელი ბუნო, ისე გულმოდგინებით. ისეთის სინაზით, ასე გგონია, მართლა და ღორები იყვნენ. მერე იმათი ოხუნჯობა და აღერსი! ოპ, ეს კი აუწერელია. რაღაც კმაყოფილებით გატაცებულთა, იმ ღორებს ერთმანეთისათვის ბევრჯერ წაუთავაზებიათ დინგო...“ მოთხრობის მომდევნო ეპიზოდებში ლუარსაბისა და დარეჯანის ყოფის აღწერისას მწერალი ზუსტად იგივე სარკასტულ კილოს და ისეთ გამონათქვამებს იყენებს, რომ თვალწინ გვიყენებს ღორების ამ სურათს: „ფაფუკი დაბაბი“; „ნებიერმა ლუარსაბმა ხანდახან განაზება იცოდა.“ „ლუარსაბის ქეიფი და ნებიერობა“, „ლუარსაბს

1. საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1988, გვ. 328

იმა და, რომ უკან არ ჩამორჩეს ალერსშია, თითონაც უჩქმიტა“, „უნდოდა ერთი ამისთანა ალერსი მოეწყო“, და სხვ. ამაზევე მიგვანიშნებს ლუარსაბის შედარება „ნასუქ კურატთან“, მისი გულია „ლორის ჯაგართან“. ამ შედარებებს ეხმიანება მწერლის სიტყვები: „ქართველები იტყვიან. ვისაც ბალანი ბლომად აქვს ტანზედ მოდებულიო, ის ბედნიერიაო, მართალიც არის, პირუტყვები სულ იმისაგან არიან ბედნიერნი, თუ ეს ტყუილია, ბევრი ჩვენგანი პირუტყვობას რაღა ცდილობს?“ როგორც ვხედავთ, იგი გარეგნული მსგავსების გარდა თვისობრივზეც ამახვილებს ყურადღებას.

ლორების აღწერისას თითქოს პარადოქსულად ჟღერს მათ შესახებ ნათქვამი: „ასე გგონია, მართლა ღორები იყვნენ“, რაშილიც თავისი სარკასტული ელფერით ღორებზე უფრო ადამიანებზე უნდა მიგვანიშნებდეს. ესენი თუ ღორები არიან, ზუსტად ასევე პირუტყვეულად მცხოვრებთ რად ვუწოდებთ ადამიანებს – ღეთის ხატად და მსგავსად შექმნილებს? და თუ ისინი ადამიანები არიან, იქნებ არც ესენია ღორები. ეს მხატვრული პასაჟი ერთგვარად ეხმიანება მოთხრობის სათაურსაც „კაცია, ადამიანი?!“

### რომელთა ისმინიან სიტყუაი იგი და შვიწყნარიან...“

კიდევ ერთხელ მიუბრუნდეთ მოესვარის იგავს, სადაც კლდეზე, გზაზე და ეკლებში დავარდნილთა გარდა ზოგი თესლი კვილი ნიადაგზედაც მოხედა: „...ესენი არნ...რომელთა ისმინიან სიტყუაი იგი და შვიწყნარიან და ნაყოფი გამოიღიან: ოცდაათეული, სამოცეული და ასეული.“ ილიას ამ ალეგორიის შესაბამისი მხატვრული სახეებიც აქვს შექმნილი, მაგრამ იმისათვის, რომ ისინი უკეთ შევიცნოთ დავაკვირდეთ „პური არსობისასთან“ დაკავშირებულ იგავურ სახეებს.

ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება მწერალს პუბლიცისტიკაში ხშირად აქვს შედარებული პურის მოყვანასა და გამოცხობასთან დაკავშირებულ ისეთ საქმიანობებთან, როგორიცაა ხენა, თესვა, მარგლეა, მკა, ცხავეში გატარება, ლეწვა, დაფქვა, გაცრა, მოხელა და გამოცხობა, ხოლო გამომცხვარი პური – „პური არსობისა“ განასახიერებს ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების ნაყოფსა და საგზალს მარადიული ცხოვრების დასამკვიდრებლად.

ერთ. სტატიამი ილია წერს: „ვისაც გულხელი დაუკრეფია, იმას ამ ქვეყანაში პური არსობისა ვერ გამოუცხვია და საცა ეგ პური არ არის, იქ არც სიცოცხლეა; იქ მკვდარი მკვდარზეა აკიდებული საფლავამდე წასაღებად.“ როგორც ვხედავთ, ამ არსობის პურის გამოცხობა საყოველთაო ვალია.

„აყადენ მკუდარნი დაფლვად თვისთა მკუდართა, ხოლო შენ წარვედ და მიმოსდეე სასუფეველი ღმრთისაჲ“ (ლუკა 9.10) – ეუბნება მაცხოვარი მის მიერ მოწოდებულ ერთ-ერთ მოციქულს. ფრაზა „მკვდარი მკვდარზეა აკიდებული საფლავამდე წასაღებად“, რომელიც სახარების ამ ეპიზოდთან უნდა იყოს დაკავშირებული, ალბათ მიგვანიშნებს, რომ ვისაც „პური არსობისა“

არ გამოუცხვია, მას მხოლოდ მიწიერ, ამქვეყნიურ არსებობაზე უზრუნია – არაფერი გაუკეთებია მარადიული ცხოვრების დასამკვიდრებლად და განწირულია არა მარტო ხორციელი, სულიერი სიკვდილისთვისაც.

„პური არსობისას“. ამგვარ შინაარსზევე მიგვანიშნებს სხვა მაგალითიც: „წუთისოფლის სუფრა ჩვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავისი საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოპთესოს, მოქნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსობის პური.“ მადლს ყველა ადამიანი ზეციდან იღებს, მაგრამ მას ამ მადლის კეთილად მოხმარა და ნაყოფთა გამრავლება ევალება. ამიტომ მწერლის წარმოსახვაში მადლმოსილი ადამიანი არა მარტო იღებს „პურს არსობისას“, არამედ ამრავლებს კიდევაც – თავადაც აცხობს. ეს გამრავლება მადლისა სახარებაში კარგად ჩანს მთესვარის და ტალანტების შესახებ იგაუებში და ასევე სამარიტელი დედაკაცისთვის ნათქვამ მაცხოვრის სიტყვებშიც: „არამედ წყალი, რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლისა, რომელი ვიდოდის ცხოვრებად საუკუნოდ“ (იოანე 4.14)

პუბლიცისტიკაში საოცრად მრავალადაა პურისა და მის მოყვანა-გამოცხობასთან დაკავშირებული მხატვრული სახეები. მათი ალევორიული აზრი მკვეთრად არის გამოხატული და იოლად აღიქმება. ნათქვამის იგაუური შინაარსი ზოგჯერ გარკვევით ჩანს მხატვრულ პროზაშიც.

ეტიუდ „უცნაური ამბავის“ გმირი – სოლიმანი. რომელიც ყრმის აღზრდის საპასუხისმგებლო საქმეს შეუდგება, ამბობს: „სწული მზად არის, თესლიც გალიეებულა...“ კონტექსტიდან გამომდინარე, სავსებით ცხადია, რომ ხნულის მზადყოფნასა და თესლის გალიეებაში, რაც ალევორიულად დასაწყისია „არსობის პურის“ გამოსაცხობად წარმართული საქმიანობისა, ნაგულისხმევა დასაწყისი ყმაწვილის – პატარა პატიკოს აღზრდისა. ეტიუდში, მართალია, არ ჩანს. ამ ყრმის შემდგომი ცხოვრების გზა, მაგრამ სიტყვები: „სწული მზად არის...“ უნდა მიგვანიშნებდეს, რომ აქ მწერალი მოგვითხრობს სწორედ ერთ-ერთ ისეთ შემთხვევაზე, ისეთ კეთილ ნიდაგზე, რომელიც ნახსენებია მთესვარის იგავის ბოლოს, როგორც ნაყოფისმოძქეში.

მხატვრულ პროზაში ალევორიული სახეები მეტწილად მაინც უფრო ღრმად არის შეფარებული. ამიტომ „პურის“ მარტივ მხატვრულ სახეებზე დაკვირვება ღიად გამოგვადგა მოთხრობებში ამავე „პურთან“ დაკავშირებული ღრმა სტილისტური ხერხების შეცნობაში. სულ სხვაგვარი ჟღერადობა მიიღო მაგალითად „ოთარანთ ქერიში“ არჩილის სიტყვებმა: „რა სწნავს იმისთანა კაცურ-კაცს, როგორიც გიორგი იყო, ან იმისთანა დედაკაცს, როგორიც ოთარანთ ქერივია? მაგისთანა პური მარტო იმათს თორნეში-და ჰცხვება...“ ნათელი გახდა, რომ მწერალი ოთარაშვილებს უბრალო პურს კი არ ადარებს, არამედ იმ არსობის პურს, რომელიც სახეა ადამიანის სისხლსავსე, მადლიანი ცხოვრებისა და საწინდარი – მარადიულის მოსაპოვებლად.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მოთხრობის იმავე ეპიზოდში არჩილი



თავიანთ თავს „კუტ პურს“ ადარებს, შემდეგ კი, გიორგის სიკვდილის წინ. ბუნების აღწერაში შეფარულია სიტყვები: „მშვიდობიანი, „გრილ-სითბოიანი მშრალი, უნესტო, უღრუბლო საღამო შემოდგომისა კუტსაც კი ფეხს ადგმევიენებდა და გარედ გამოახელებდა“ და იქვე, თითქოსდა შემთხვევით ნათქვამია: „არჩილი და კესოც გამოსულიყვნენ სახლიდამო.“

პურთან დაკავშირებული შედარებები, მეტაფორები და სიმბოლო-აღგვორიები, რომლებსაც მწერალი უხვად მიმართავს არა მხოლოდ მსატრულ თხზულებებში, არამედ პუბლიცისტიკაშიც, სათავეს იღებს საზარებიდან: „მე ვარ პური ცხოვრებისა“, ამბობს მაცხოვარი (იოანე 6.35). საუფლო ლოცვაში „მამაო ჩვენო...“ სიტყვებით „პური ჩენი არსობისა მომეც ჩენ ღღეს...“ ზორციელი საზრდოს გარდა ქრისტიანი ოთხოვს იმ „ცხოვრების პურთან“ – მაცხოვართან ზიარებას.

უფლის იგაეური ქადაგებების აღქმა ზოგჯერ მოციქულებსაც უჭირდათ. ერთგან მათ სწორედ იმის მიხედვრა გაუჭირდათ, რომ მაცხოვარი „პურის“ იგაეურ შინაარსს გულისხმობდა: „არა ჰრქუა მათ კრძალვად ცომისაგან პურისა. არამედ მოძღვრებისაგან ფარისეველთამსა და სადუკველთამსა.“ (მათე 16.17) ესე იგი მაცხოვარმა ცრუ-მოძღვართა პურს ერიდეთო. ამითი თავის მოწაფეებს უთხრა – მათ მოძღვრებას ერიდეთო. იგაეური, ალგვორიული ნათქვამის გაგება მსატრულ ლიტერატურაშიც საკმაოდ ძნელია. მართალია, ამგვარი სასუები ჩვეულებრივ ნათქვამზე უფრო მეტდ შთაბეჭდავი და ღრმია, მაგრამ ზოგჯერ ეს სიღრმისეული მნიშვნელობა ჩაუწვდომელი რჩება.

უფლის მიერ ზეციდან გადმოვლენილი წმინდა პურით – მანანით სავსე თასი მოსე წინასწარმეტყველის ღროიდან ინახებოდა აღთქმის კიღობანში. ეს ზეციური მანანა, როგორც იოანე ოქრიპირი განმარტავს, მაცხოვრის, ანუ ჭემმარიტი „პური ცხოვრებისას“ სახე იყო.

ოთარაანთ ქვრივის ოჯახის აღწერისას ვკითხულობთ: „კუთხეში ერთი დიდი კიღობანია. ეტყობა ძველი ნაკეთობაა, იმიტომ, რომ წინაპირზედ გამოზარატებულია სხვადასხვა სახე და ძველებური გრეხილ-ხვეულები სიღამაზისათვის.“ მინიშნება ძველ ნაკეთობაზე, გამოზარატებული სახეებისა და გრეხილ-ხვეულების ხსენება მოგვაგონებს ძველი აღთქმისეული „მოწმობის კიღობნის“ აღწერილობას (გამოსულ. 25) და გვაფიქრებინებს, რომ ალუზიური კავშირი აქვს მასთან.

ამ კიღობანში რომ უბრალო პური არ ინახება, იქ რომ ქვრივის წმიდათა-წმიდაა, ეს ჩანს ერთი ასეთი საინტერესო პარალელიდან. როდესაც გიორგის ხასიათის ცვლილებებით შეწუხებულ ქვრივს გულში ერთმანეთზე საშინელი ფიქრები უტრიალებს, როცა ზარავს იმის შიში, შვილს რამე მძიმე ცოდვა არ ჰქონდეს ჩადენილიო, მწერალი, თითქოს სხვათაშორის, ახსენებს. კუთხეში, პურის კიღობანთან „თაგვი აფხაკუნდაო“. შეიძლებოდა ეს პატარა დეტალი აღწერილობით წერილმანად ჩაგვეთვალა, მაგრამ, როდესაც თხრობა გრძელდება – კიდეც უფრო დაბნელდა, ქვეყანა კიდეც უფრო გაყურდა და

ქერიის ფიქრებიც უფრო და უფრო გამძაფრდაო, ავტორი კვლავ ამხსვილებს ყურადღებას იმ თავგზებზე: „თავები ისევ ცოდვილობდა კილობანთანო“. ეს ლამაზი პარალელი ხატოვნად წარმოგვიჩინებს, თუ როგორ ემუქრება ქერიის გულის საუნჯეს რაღაც ავბუდითი, როგორ ღრღინის მას გარედან, მაგრამ შიგ კერ აღწევს, მის სიწმინდეს ვერ ეხება, ამაოდ ცოდვილობს.

ერთგან ქერიი სულიერად მიძინებული ადამიანის გულს დაობებულ პურს აღარებს: „სიტყვა სამურველი ხომ არ არის, მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კილობანში დაეიწყებულს პურს.“ ქერიის პურს, მისი მუდმივი სულიერი სიფხიზლის გამო, ამგვარი საფრთხე არ ემუქრება და, როგორც ზემოთ ენახეთ, ვერც თავი აკლებს რამეს, რადგან კარგად არის დაცული საიმედო „კილობანში“.

მხატვრულ სახეთა ამგვარი გააზრება გასაგებს ხდის, თუ რატომ შეადარა ქერიმა გიორგისადმი მტრულად განწყობილნი ვირთაგვებს. რომ გაიგო შეილისაგან, რომ სასამართლოში უჩიელეს და ბოლოს თავად გაამართლეს, თქვა: „დახე, მაგ ვირთაგვებსაც ზოგჯერ სწორე სამართალი სცოდნიათო!..“ ასეთ შედარებებს იღია შემთხვევით არ იყენებს. ვირთაგვებს იმიტომ შეადარა, რომ „პურს“ უტევდნენ.

გიორგის ხასიათში იღუმალი გარდატეხა მოხდა, რაც მან ასე ახსნა: „დრო იყო – ბუბუსა ეწოვდი, დრო მოვიდა – გამომცხვარ პურსა ეჭამო.“ ესეც, რა თქმა უნდა, ალეგორიული ნათქვამია, თორემ ადრე რომ ბუბუს წოვდა და მაშინ კი პურს ჭამდა, ეს ხომ დედაპისმა ისედაც იცოდა. მოიხსრობაში ხაზგასმით არის ნახსენები გიორგის დაუზარელი ღვაწლი პურის მოყვანაში: „ერთი გიორგის ხელეური მთელ ძნად შეიკვრისო“, „მარტოხელი ძნის ურემს დაუდებს და შინ მოიტანსო... საქმის გულით ამყოლია და ბოლომდე გატანისო.“

პირველი სიტყვები, რაც მომაკვდავი შეილის დანახვის შემდეგ ამოიკენესა ქერიმა, იყო: „მღვდელი, ღვთის გულისათვის, მღვდელი!“ მიუხედავად იმისა, რომ მომხდარი უბედურება ყველაზე მძიმე სწორედ მისთვის იყო, ქერიი სულიერად მაინც ყველაზე ფხიზლადაა. „მოიყვანეს მღვდელი და შეილი უზიარეს!“ ამ ერთადერთ მოკლე ფრაზას მწერალი ცალკე აბზაცად გამოყოფს ტექსტიდან და ძახილის ნიშნითა და მრავალწერტილით მიგვანიშნებს. მის სიღრმესა და მნიშვნელობაზე.

განსაკუთრებული ალეგორიული დატვირთვა უნდა ჰქონდეს უნაყოფო თვის ზეინიდან გიორგის ჩამოვარდნის ეპიზოდს: „ოთხი ურემი ოთხკუთხივ მოსდგომოდა სათივეს... შუა სარი სათივისა ორ აღლზელა ჰჩანდა და სათივე ვიწროზე აღიოდა თავის მოსაბმელად... თვალის დახამხამების უმაღ სათივეს ზედ თავზედ მოექცა, მიშალ-მოშალა, ჩამოჰყარა ძირს თივა, დაადებლა სათივე და რაკი ჰნახა, აქედამ ეხლა სწორედ აუაო, დაიწყო დგმა. მინამ დიდი ბინდი მოეფინებოდა ქვეყანას, გიორგიმ თავისი საქმე გაათავა... უეცრად გაუწყდა წნელი... გიორგი: პირალმა გადმოქცეული წამოვიდა მაღლიდამ და ურმის ჭალს ზედ დაეგრ ზურგიოთა...“

რას უნდა განასახიერებდეს ეს ზეინი, რომელიც ოთხი კუთხიდან მოზიდული თივით იდგება? „შეკრიბნეს რჩეულნი თვისნი ოთხთაგან ქართა კილითგან ქუყანისაით“, ნათქვამია სახარებაში უფლის მორედ მოსვლის შესახებ. ქუყანა, გარემო კი, რომელიც გარს აკრავს გიორგის, მართლაც უნაყოფო თივას გაეს. მას თავი გიორგის მიერ ედგმის. „თავით თვისით ქუყანამან გამოიღის ნაყოფი: პირველად თივადი. მერმე თავი, მაშინდა სრული იექლი მას შინა.“ ესე იგი. ის იექლით სრული თავთავი, რომელიც მთელი ამ უნაყოფო ზეინიდან გამოირჩევა, არის გიორგი. მხოლოდ მას ძალუძს იმ ვიწრო ბჭის და საჭირველი გზის გავლა. რომლის შესახებაც ნათქვამია: ვითარ იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზად, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოვებენ მას.“ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ურმის ჭალზე დაგებასაც. გიორგის მამა სიკვდილის წინ ამბობდა: „ეჰ, ნეტავი კი ეგ დაეაყკაცებული მენახა და!.. მერმე იუნდა ურმის თვალზედ გავცმოდით.“ როგორც ჩანს, ურმის ჭალზე თუ ურმის თვალზე გაცმა განსაკუთრებული მსხვერპლია რაღაცის ფასად გაღებული და უკაცშირდება წმ. გიორგის ურმის თვალზე წაშებას. მომაკვდავი თევდორე მზად იყო ასეთი აღსასრული მიეღო, ოღონდ შვილი დაეაყკაცებული ენახა, ოღონდ თავისი ცხოვრების ნაყოფს მოსწრებოდა. შვილი სახეა მამისა და „დაეაყკაცებაში“ იგი. რა თქმა უნდა, მხოლოდ ასაკის მომატებას არ იგულისხმებდა. გიორგიმაც უნაქელად გაიღო ეს მსხვერპლი.

ამ ეპიზოდის განსაკუთრებული მხატვრული დატვირთვა და შინაარსობრივი მნიშვნელობა იქვლანაც ჩანს, რომ 1889 წელს წერა-კითხვის განმავრცელებული საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ სალიტერატურო და სამუსიკო საღამოზე ილნამ მიუღლი იავისი თხზულებებიდან „ოთარანთ ქერივის“ სწორედ ეს ეპიზოდი აირჩია წასაკითხად.

მაინც რა არის ნაწარმოების მიხედვით გიორგის ის მადლი, რომლის გამოსაოქმელადაც მწერალმა ასეთი ღრმააზროვანი მხატვრული ალგორითები გამოიყენა? პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“ მამულისა და სარწმუნოებისათვის თავდადებულ წმინდა მეფეს პოეტი ათქმეივნებს სიტყვებს:

„ღმერთო, ღმერთო!..თვალწინ მიდგა

დიდტანჯული მე ძე შენი...

ვით ძით ყველა, ისეც ჩემით

ერი ჩემი დიხსენი.“

ძე ღვთისას ძალედვა კაცობრიობის გადარჩენა, მეფეს თავისი ერისათვის თავგანწირვა, მაგრამ ყველა ასეთ დიდ ჯვარს ვერ იტვირთებს. მოყვანისათვის თავდადება, ერთი სულის ჭეშმარიტებისაკენ მობრუნება, ერთი სულის მონადირებაც კი ადამიანისათვის დიდი მადლია: „უფრო ეს ამისა სიყუარული არავის აქუს, რა. მათა სული თვისი დაღვას მეგობართა თვისთათვის (იოანე 15.13) მართალია, სიუფეტის მიხედვით გიორგი უნებლიედ ჩამოვარდა სათივედან, მაგრამ მისი სიტყვები: „არა ენანობ, არაო“. რომლებიც ნაწარმოებში განსაკუთრებით არის ხაზგასმული არა მარტო გმირის სიკვდილის ეპიზოდში.

არამედ არჩილისა და კესოს შემდგომ საუბარშიც. მიგვანიშნებს, რომ ის მზად არის მოკვდეს მოყვასის სულიერი გამოფხიზლებისათვის. გარკვევით ჩანს ნაწარმოებში ამ მსხვერპლის შედეგიც – კესოს ცრემლები. რომლებმაც „შესძრა გიორგი და შეაყრყოლა. ეს ცრემლი თითქოს უკვდავების წყაროდ ებუკრა, იამა, გაუხარდა, მოსულიერდა, თითქო მიმავალი სიცოცხლე უკანვე დაუბრუნდაო.“ გიორგის ეს სიტყვები – „არა ვნანობ, არა“, რომლებიც არჩილის თქმით, მომაკვდავმა მათ დაუტოვა თავიანთი „თავის გასაკითხად“, საწინდარი გახდა კესოს სხვა – ამჯერად არა სიბრალულის, როგორც მომაკვდავთან ან მის სამარესთან, არამედ სინანულის ცრემლებისა, რომლებიც არჩილის თქმით, „მდუმარე წვიმისებრ ნაყოფის გამომტეპელია.“ გიორგის მსხვერპლმაც სინამდვილის გარდამქმნელი ძალა შეიძინა. მან შესძლო ის, რასაც ვერ მიაღწია მოთხრობის „სარჩობელაზედ“ გმირმა მოხუცმა პეტრემ. – სულიერად მონადირა მოყვასი, ქედმაღალ, გულგრილ კესოს გული გაულო და მისი ცრემლების დანახვაზე სიტყვებით: „მივდივარ და თან მიმაქვს ამის ცრემლით განუღლებული სიხარული. იქ ვახეირებ. იქ...“ ნებით. უდრტინველად შეეწირა მოყვასის სიყვარული.

ისე აღზარდე შენ შეილის სული.

რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება

უკან ჰრჩეს კვალი განაოლებული...”

ასეთ მიზანს უსახავს ილია ქართულის დედას და გიორგიც სწორედ ამგვარად აღზრდილი შეილია. მას წინ გაუძღვა „ჭეშმარიტი ხორცი და სისხლი ქრისტესი“. აქ კი დატოვა სულიერად თვალახელილი არჩილი და კესო.

განსაკუთრებული ალკგორიული შინაარსი უნდა ჰქონდეს „წისქვილის“ და „მეწისქვილის“ სახეებსაც. ერთგან, აზრის ძალდაუტანებლად ჩამოყალიბების და გამოთქმის აუცილებლობაზე საუბრისას ილია წერს: „აეცტარი ითითონ უნდა გრძნობდეს... აზრის წარმოთქმის საჭიროებასა. აზრი უნდა გამომდინარეობდეს ლაღად, თავისთავად გონებიდგანა... ძალად გამოყვანილს წყალს წისქვილის დაბრუნება არ შეუძლიან: ის არის უღონო, რიმელსაცა რაკი მოხვდება თიბათვის მზის შუქი, მაშინვე გაჰქრებაო.“ ჩანს, რომ წისქვილის ამოქმედება განსაკუთრებული მადლია, ამ მადლის ქონა-არქონას კი ამოწმებს თიბათვის მზე. ზაფხულის იგაგური სახე სახარებაში უფლის მეორედ მოსვლას და საშინელი განკითხვის ჟამს უკავშირდება და როგორც ჩანს, თიბათვის მზე ილიას ამ გამონათქვამში და შესაძლოა გალაქტიონის ცნობილ ლექსშიც, ქვეყნიერების ჭეშმარიტი მსაჯულის, სიმართლის მზის. უფლის სახესთან იყოს ასოცირებული. მადლოთ უნდა იყოს დაკავშირებული „ოთარაანთ ქვრივში“ სამი წისქვილის წყლის ხსენება: „სოფელს ზედ შუაზედ სამის წისქვილის წყალი ჩამოუდიოდა. როცა ძალიან გოლვა იყო, მაშინ კი წყალს სოფელში ერთმანეთსა ჰპარავდნენ...ოთარაანთ ქვრივს კი ვერ უბედავდნენ წყლის

მოკლებასა. თუ ვინმე გაჰბედავდა, ვაი იმას!.. ოთარაანთ ქერივი მეწისქვილესავით გაიღებდა ხოლმე მხარზედ თოხსა და აყვებოდა რუს თავამდინა...“ კეთიხულობთ მოთხრობაში და შემთხვევითი არც ამ მაღლიანი წყლის დასაბრუნებლად მიმავალი ქერივის მეწისქვილესთან შედარება უნდა იყოს.

წისქვილის სახე კვლავ განსაკუთრებულ მხატვრულ დატვირთვას იძენს არჩილისთავის ნათქვამ სიტყვებში. გიორგი ამბობს: „წყალი გადმოვარდნილიყო ამ ჩვენ პატარა ბაღში წისქვილის რუიდამ და იმის გადასაგდებად ვიყავით“. ეს მოხდა სწორედ თივის ზეინზე ასვლის წინ. წყლის წისქვილისათვის დაბრუნებით მან თითქოს ასამოქმედებლად მოამზადა იგი, იმ „ოქციით სრული“ თავთავის მისაღებად, რომელიც იმ საღამოს უნდა მოსწყვეტოდა უნაყოფო თივის ზეინს. მსგავსი იგაეური სახეები ზოგადად ახასიათებდა ქრისტიანულ ცნობიერებას. მათ ვხვდებით არა მარტო ლიტერატურაში, არამედ მართლმორწმუნე ქრისტიანთა ცხოვრებისეულ გამონათქვამებშიც. ქრისტესთვის წამებული წმინდა ეგნატე ღმერთმემოსილი განსაცდელს შეხვდა სიტყვებით: ხორბალივით დავიფუქვები ღომის ხახაში.

წისქვილის ალეგორიულობაზე უნდა მიგვანიშნებდეს ისიც, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელსაც კარგად ესმის ოთარაშვილების ოჯახის ფასი, მეწისქვილე სოსიაა. იგი შორიდან აღევნებს თვალს მათ ღვაწლს, მათ საქმით მეტყველ სულს და თუმც იგი სოსიაა და არა იოსები ცოდვა-მადლის გარჩევა იცის.

ილია მართალს სარწმუნოებრივ საკითხებთან დაკავშირებით საოცარი სიფრთხილე და ზომიერება ახასიათებს და ჩვენც არ გვინდა რაიმეში გადავჭარბოთ. იგი გამოგონილ გმირს წმინდანთან, რა თქმა უნდა, არ გაატოლებდა, მაგრამ იმ გაგებით, რომლითაც ნებისმიერი ქრისტიანი ბავშვს რომელიმე წმინდანის სასულს არქმევს და ამით მის ერთგვარ მფარველობას ითხოვს და ყრმასაც მიზნად უსახავს მის მიმსგავსებას, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ოთარაანთ ქერივის ვაჟს წმინდა გიორგის სახელი ჰქვია. სწორედ შემოდგომაზე, გიორგობისთვეში კაბადოკიელი მხედარი ურმის თვალზე აწამეს. მისმა სიმხნევემ და სარწმუნოებრივმა სიმტკიცემ იმ დღეს ათასობით ადამიანი მოაქცია ჭეშმარიტებისაკენ, მრავლის გულის კარი გაუღო ღვთაებრივ მადლს. ამ დღისაღმე ქართველებს განსაკუთრებული კრძალვა და სიყვარული აქვთ. მოთხრობის გმირის – გიორგის ურმის ჭალზე დაცემა თითქოს მისდა უნებლიედ მოხდა და ამ ფაქტის შედეგად მხოლოდ ორ ადამიანს გაეხსნა სულიერი თვალი, მაგრამ ეს მაინც ერთგვარი მინიშნებაა მისი მფარველი დიდმოწამისეულ მადლზე, რადგან თუნდაც ერთი ადამიანის გამოფხიზლება და გადარჩენა მაინც დიდი საქმეა.

გიორგის მამის – თევდორეს შესახებ ფაქტებით ბევრი არაფერი ვიცით, მაგრამ მისი ცხოვრების ის ერთი – უკანასკნელი ეპიზოდიც კი, რომელიც მოთხრობაშია აღწერილი, საკმარისია მისი სახის სისავსით წარმოსადგენად. იგი აბსრლუტურად უღრტიწველად მიდის წუთისოფლიდან: „სააკოს სტუმარი

ვიყავ და ეხლა შინ მივდივარო...“ რაზე უნდა მიგვანიშნებდეს ეს სიტყვები თუ არა იმაზე, რასაც წერს პავლე მოციქული ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეში: „ხოლო ჩუენი მოქალაქეობაი ცათა შინა არს, ვინაიცა მაცხოვარს მოველით, უფალსა იესო ქრისტესსა.“ თველორეს ასეთ სულიერებაზე მიგვანიშნებს მისი ოჯახის სახე და მისი სახელიც, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა და „ღვთის ნიჭს“, „ღვთის საჩუქარს“ ნიშნავს.

განსაკუთრებით საინტერესოა მოთხრობაში ქვრივის სახე და მისი ცხოვრების ბოლო, ერთგვარად შემაჯამებელი ეპიზოდები. როდესაც ავტორი გვაჩვენებს მას უკანასკნელ ღამეს სასაფლაოსაკენ მიმავალს და ადარებს მის თვალყურსაგდებად მისულ, მაგრამ ქვეშაგებში მწოლარე და „გულიანად“ მიძინებულ დედაკაცთან, სვამს კითხვას: „რაში ჰგავდნენ ერთმანეთს მიძინარე და წამყალი?“ და თავადვე პასუხობს: „მართალი უთქვამთ, წუთისოფელი ზოგისათვის მამაა, ზოგისათვის — მამინაცვალიო.“ რისი თქმა უნდა აქ ავტორს? რატომ არის ეს სოფელი ქვრივისათვის მამინაცვალი? ალბათ მისთვისაც, როგორც მისი გარდაცვლილი ქმრისთვის, ეს ქვეყანა საწუთო სასტუმროა, მარადიული სამყოფელი კი ზეცაშია. იოანე მახარებლის პირველ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „უკუეთუ ვისმე უყუარდეს სოფელი ესე, არა არს სიყუარული მამისაჲ მის თანა... საყუარულნი, აწ შეილნი ღმრთისანი ვართ და არღა გამოჩინებულ არს, რაჲ ყოფად ვართ.“ ვინც მხოლოდ ამა სოფლისზე ზრუნავს, ეს სოფელია ალბათ მისთვის ყველა და ყველაფერი, მაგრამ არიან სხვანიც — „შეილნი ღმრთისანი“, რომლებიც თავს ამა სოფლის შეილებად არ თვლიან და ზეციური მამისაკენ ისწრაფვიან. ჩვენი აზრით, ასეთად ჰყავს მწერალს წარმოჩენილი ოთარაანთ ქვრივი.

საინტერესოა ქვრივის გარდაცვალების ეპიზოდამდე ბუნების სურათის აღწერა, რომელიც მიწისა და ცის, ბნელისა და ნათლის, მანკიერისა და სპეტაკის დაპირისპირებას წარმოადგენს: „მთა-ბარს, ტყე-მინდორს დილდილაობით ჭირხლი ედებოდა და მხოლოდ შუადღის გულზედ მზე პირდაპირ დაჰხედავდა თუ არა, ჭირხლს, ზოგს წყლად ქცეულს, მწყურვალი მიწა სვამდა და ზოგი ორთქლად ცას აჰქონდა და ბაშბის ქულასავით თეთრ, ფუნჩულა ღრუბლად აქა-იქ ატარებდა თავის თვალგადაუწვდენელს სიგრძე-სიგანეზედ, სიღრმე-სიმაღლეზედ.“ ცისკენ მიზიდული ღრუბლების მოძრაობა თითქოს აღმართულ ჯვარს გამოსახავს, მაგრამ ეს ჯვრის სახეზე ერთადერთი მინიშნება არ არის.

ქვრივის გარდაცვალებას პირველად იგებენ არა თანასოფლელები, არამედ საშობაოდ სოფლად ჩამოსული მწყემსები. „მემცხვარეებს ისე სციოდათ, რომ შეცივნული ხელები გულზედ გადაეჯვარედინებინათ და უბეში ეწყათო“. გვეუბნება ავტორი და სპეტაკ თოვლიან ჭზაზე მიმავალი ამ მწყემსების სურათს ისე აღწერს, თითქოს ქვრივის სულის მისაბარებლად ანგელოზები იყვნენ ციდან გარდამოსულნი.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი კი არის შჭმლის საფლავეზე ზედ დამკვდარი

მიცვალბულის აღწერა: „საფლავზედ გარდიგარდმო გადაქეულიყო, ფეხები აქეთ პირას მიწაზედ ებჯინა თითის წვერებითა და ორივე ხელი იქით პირას გადაეკიდნა, თითქო სდომებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის ხევენით გულში ჩაეკარა...“ ქრისტიანის საფლავზე უბრალო ქვა კი არა ქვის ჯვარი იღებოდა ხოლმე. ვაჟის საფლავთან ერთად მას იხუტებდა გულში ქვრივი და თავადაც აგრერივად გადაწვდენილი შვილის ცხედართან ერთად ჯერის ფორმას გამოსახავდა. ასეთი იყო ამ დღეა-შვილის ამქვეყნიური ჯვარი.

ამდენ ალეგორიებსა და მინიმენტებში განსაკუთრებით საინტერესოა ორაზროვნება ქვრივის სიტყვებისა იმ შობა ღამეს: „ვინ მემახის, ვინ!“ „წადი, წადიო!.. რად იმახის გული?“, „რად მემახი, რად!.. შექცილა ეხლა კი ხმამალა ვიღაცას კენესითა და ვაებითა...“ „იღვე!.. კიდევ მემახის!.. დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!.. მოვდივარ, მოვდივარ!“ რატომღაც ამ ფრაზებს მხოლოდ ცალმხრივად აღიქვამენ ხოლმე და „ვიღაცაში“ გიორგის გულისხმობენ. ქვრივს კი არცერთხელ არ უხსენებია შვილი და არც ავტორს უთქვამს, გიორგი შობას დაიბადაო. მიხეილ ზანდუკელი წერს: „თვით მოჩვენება, რომ გიორგი ემახის, გადაწყვეტილების მიღებაც, რომ გიორგის საფლავზე წავიდეს, სწორედ გიორგის დაბადების დღეს ეთხვევა.“ მაგრამ ასეთი დასკვნის საფუძველს ტექსტი არ გვაძლევს. მწერალს ნათქვამის ორაზროვნება საგანგებოდ უნდა აქონდეს ჩაფიქრებული და მოთხრობის ამ თავსაც იმიტომ უნდა აქონდეს ასევე იდუმალი სათაური – „ემახის“ იქნებ აქ გიორგიც შეიძლება ვიგულისხმოთ, მაგრამ უფრო მეტი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქვრივს საუკუნეების წინათ სწორედ ამ დღეს განხორციელებული ძეღეთისა ემახის და მოუწოდებს თავისთან.

ამრიგად, ოთარაშვილების ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ ზრუნვა იყო მარადიულის მოსაპოვებლად, არსობის პურის გამოსაცხობად. ისინი თავიანთ ვალს პირნათლად ასრულებენ და მშვიდად აღესრულებიან, რადგან ამქვეყნიურს არაფერს ებლაუჭებიან. სახარებაში ძალიან ხშირად არის გამოყენებული მწყემსისა და „ცხოვარის“ სახე. „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართა თვისთათვის (იოანე 10,11) „ცხოვართა ჩემთა ხმისა ჩემისა და ისმინონ (იოანე 10, 27) განსაკუთრებით საყურადღებოა ამ შემთხვევაში ცხოვართა და თიკანთა შეპირისპირებული იგაუერი სახე: „მწყემსმან განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან (მათე 25,32) „დაადგინის ცხოვარნი მარჯუენით მათსა...“ (მათე 25,33) ყოველივე ამის ფონზე საინტერესოდ გვეჩვენება „ოთარაანთ ქვრივის“ და „ოთარაანთ გიორგის“ საგვარეულო სახელზე დაკვირვება. „ოთარ“ თურქულად „ცხვრის ფარას“ ნიშნავს და ეტიმოლოგიურად აქედან არის წარმომდგარი ასეთივე მნიშვნელობის მქონე რუსული სიტყვა „отара“. იქნებ ამ ხაზგასმული გვარ-სახელითაც მწერალს მათ სულიერ სახეზე უნდა მიგვანიშნოს, რომ ისინი იმ ცხოვართაგანნი არიან, რომელთაც უფალი მარჯვენით თვისსა დაადგენს. ასე განასახიერა მწერალმა ის ნიადაგი, რომელმაც თესლი კეთილი მიიღო და ამრავლა. უკანასკნელ ხანებში გაბატონდა ისეთი

შეხედულება, თითქოს გმირი, რომელიც კედება, მარცხდება. ამას საფუძვლად უდევს მატერიალისტური ცნობიერება, რომლის მიხედვითაც ადამიანის სიკვდილით ყველაფერი თავდება. მაგრამ ქრისტიანისათვის ასე არ არის და ფიზიკურ სიკვდილს იგი დამარცხებასთან არ გააიგივებს. მით უფრო ისეთი გმირის სიკვდილს, როგორც გიორგი იყო. „უკუეთუ არა მარცუალი იფქლისაი დაეარდეს ქუეყანასა და მოკუდეს, იგი ხოლო ეგოს; უკუეთუ მოკუდეს მრავალი ნაყოფი გამოიღოს.“ თევდორეც, ქერივიც და გიორგიც იმიტომ კედებიან უშფოთველად, რომ მათი სულებისათვის სიცოცხლე გრძელდება. „დავიძინებ და, მადლობა ღმერთსა, აღარ გავიღვიძებო“, ამბობს ქერივი და დაუნანებლად მიდის წუთისოფლიდან. რომელსაც თვით ავტორი მოთხრობის ბოლოს „უთაბოლოს და უსწორმასწოროს“ ეძახის.

თევდორეს და ქერივის ცხოვრების ნაყოფი მათი შვილი იყო და ის მადლი, რომელსაც სოფელს უზიარებდნენ, გიორგისა კი სულიერად გამოფხიზლებული არჩილი და კესო, მწერალი ამ სახეების შექმნით ალბათ მიზნად ისახავდა, რომ მკითხველთა გულებშიც ემრავლებინა „თესლი კეთილი“.

ალეგორია და სიმბოლო ისეთი მხატვრული ხერხებია, რომ მკვლევარი მათ მათემატიკური სიზუსტით ვერასოდეს დაამტკიცებს, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრებების სასარგებლოდ ბევრი რამ მეტყველებს: წარმოდგენილი მხატვრული გააზრებანი ტექსტის პირდაპირ მნიშვნელობებზე ბევრად უფრო ღრმა და საინტერესოა. მათში არ არის არავითარი წინააღმდეგობა. ისინი სავსებით ესადაგება მწერლისეულ უფრო მარტივ შედარებებში გამოვლენილ მხატვრულ-ასოციაციურ ხედვას და სტილს; ავრთვე შეესაბამება ხელოვნების დანიშნულებისა და სტილისტური ხერხების შესახებ ავტორის შეხედულებებს და მის მსოფლმხედველობას. სიმბოლო-ალეგორიების ასსნასთან დაკავშირებით ამაზე მეტი მტკიცებების წარმოდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია, დანარჩენი ინტუიციამ – მხატვრულ-ესთეტიკურმა ალღომ უნდა გადაწყვიტოს.

## თესლიდან პურამდე

აქვე უფრო ვრცლად გავიხსენოთ ხორბლის მოყვანასა და პურის გამოცხობასთან დაკავშირებული შედარებები ილიას პუბლიცისტური წერილებიდან, რომლებიც თვალსაჩინო სურათს ქმნის, თუ როგორ მზადდებოდა მწერლის შემოქმედებით წარმოსახვაში ზემოთგანხილული რთული სიმბოლო-ალეგორიები.

ასეთ შედარებებს მწერალი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებთან მიმართებაში იყენებს, რადგან ნებისმიერ საქმიანობას ადამიანები წარმართავენ. მათ მოვალეობა სხვადასხვა აქვთ, მაგრამ დაკისრებულის აღსრულება კი ერთნაირად მოეთხოვებათ. ერთგან ილია წერს: „ჩვენ მეცნიერებასა და ხელოვნებას მოეთხოვთ არსობის პურსა ცხოვრებაში



გამოცხვარსა და მშვიერთათვის მოსახმარსა და გამოსადგესა.“<sup>1</sup> აქ, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე „პურის“ გარდა წარმოიშვა ამ პურის მომხმარებელთა, მკითხველთა – „მშვიერთა“ ალეგორიული სახეც.

ხნულისა და თესლის მომზადებიდან პურის გამოცხობამდე მრავალი სხვადასხვა ეტაპია გასავლელი და მწერალი თითოეულ მათგანს ახალ-ახალი შედარებების წყაროდ იყენებს.

დავიწყოთ თესლთა შეკრებით. მეცნიერებისა და ხელოვნების ღვაწლი ერთგან დაკავშირებულია ნაყოფიდან ახალი თესლის მიღებასთან: „როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხმენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოქსნევენ, ისეე მიწას გადმოქსნემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და იმ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, ვგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსული შტოები – მეცნიერება და ხელოვნება ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოქსნევენ სათესლოდ, ისეე ცხოვრებასვე გადმოქსნემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად.“<sup>2</sup>

გენიოსი შედარებულია „ზრდასრულ, დამწიფებულ“ ნაყოფთან, რომელშიც არის „მთელი აწყო თავის ღრობისა და თესლიც მომავლისა.“ ზოგადად ცხოვრების შესახებ კი ნათქვამია: „ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი იზრდება; ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება... იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილს ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს ახალი, ნელლი ცხოვრება.“ თესლის შეკრებასთან დაკავშირებით გვხვდება სხვა ალეგორიებიც: „ძველი ცხოვრება აივსო, დამწიფდა, რაც დათესილი იყო იმის ნაყოფი მოიტანა და ესლა ამ ნაყოფიდან უნდა გამოიკრიბოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად.“ ასეთსავე კანონზომიერებას ექვემდებარება მწერლისეული შედარებით, აზრის განვითარებაც. „აზრს ფეხი აუდგამს და უსაქმია... გაშლილა შეფოთლილა, გამოუღია თავისი ნაყოფი და მერე თესლიც დაუყრია შემდეგისათვის და აგრე მოღენილა ჩვენამდე.“ სწავლისა და ცოდნის შექმნას ილია ეძახის იმ ძვირფას თესლთა შეკრებას, რომელიც „მშობელ ქვეყნად უნდა მოჰზიდონ ერთი ათასად მოსამკელად.“

თესლის შეკრების გარდა თესვისათვის საჭიროა ხნულის მომზადება. ქალსა და ღელაკაცს შორის არსებითი განსხვავების წარმოსაჩენად ილია იყენებს ასეთ მხატვრულ შედარებას: „ქალისათვის ეს წუთისოფელი სასიერნო წალკოტია, ღელაკაცისათვის – სახლია პატიოსანის შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყანაა სამკალი, ძნაა სალენწი, სარბიელია საომარ ჭკუითა და მარჯვენითა.“

როცა ხნული და თესლი ორივე მზად არის, საჭიროა თესვა... ამასთან დაკავშირებით გვხვდება ასეთი ალეგორიები: „თითონვე იგემა ბატონმა აკაკიმ ნაყოფი თავის დანერგულისა და დათესილისა...“ ამგვარ ალეგორიებში კარგად

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ.3.გვ.63

2. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ.3.გვ.58

ჩანს ხოლმე საქმიანობის უწყვეტი ჯაჭვი: „თესლისაგან ნაყოფი სადღეისოდ და ნაყოფისაგან თესლი სახვალიოდ. გუმინდელი რას სთესდა დღეისათვის და დღევანდელი დღე რას ითხოვს ხვალისაგან.“

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების განხილვისადმი მიძღვნილი სიტყვებიდან ვიგებთ, რომ თესლის გაღვივებას ხელს უწყობს უუჟუნა წვიმა, რომელსაც აქ ალევორიულად პოეტის ცრემლები განასახიერებს: „ეს ცრემლი მოხუცისა იგი უუჟუნა წვიმაა, რომელიც ასე კშველის თესლსა ნაყოფის გამოსაღებად.“

ხორბლის გასაძლიერებლად საჭიროა მისი განთავისუფლება სარეველებისაგან. ლიტერატურასა და კრიტიკასთან დაკავშირებით გვხვდება ასეთი ალევორია: „კარგისა და ავის გარჩევა, ღვარძლის დაგლეჯვა, მარგველა ხორბლის გაძლიერებისათვის, ადვილი საქმე არ არის.“

მოსავლის დამწიფებასთან დაკავშირებით ილია წერს: „ხალხის დაწინაურებული თაობა მამინეუ მიხვდება ცხოვრების ნაყოფის შემოსვლასო“. ასე დგება უამი მკისა, რომლის შესახებაც სხვაგან ვკითხულობთ: „დროთა ბრუნვამ წლის მანძილზე „რა გვათესინა, რა მოგვამკვეინა, რა დაგვამუნათა...“

ბუჩოიან ხორბალს გაღვივებასა და წისკვილში წაღებამდე გარჩევაც უნდა. მწერლობასთან დაკავშირებით გვხვდება ასეთი ალევორია: „ლიტერატურა თავისის ფართო მნიშვნელობით გონების ნაჭირნახულევი ხეავია, საცა წმინდა ხორბალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიცაო.“ ამას უკავშირდება შემდგომი ეტაპიც – ცხავში გატარება – „რაც ცხავია ხეავისათვის, ისიც კრიტიკაა ლიტერატურისათვის.“ სხვაგან კრიტიკა სამტკიცთან არის შედარებული, რომელიც „ფქვილს არჩევს ქატოსაგან.“

გადარჩეული, გამზადებული ხორბალი უნდა დაიფქვას, გაიცრას, მოიზილოს და გამოცხვეს. ერთგან მწერალი ასეთ ალევორიას ქმნის: „ჩვენი შინაური საქმეები ჯერ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე. უნდა ჩვენ თითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დაეფქვათ, მოეზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში გამოვაცხოთ.“ ამ შედარების მიხედვით პური ჭკუის თონეში ცხვება, მაგრამ, როგორც სხვა მაგალითებიდან ჩანს, ამ საქმეში ჭკუაზე კიდევ უფრო ღიდი წვლილი გულს მიუძღვის. გავიხსენოთ „დამაკვირდის“ სათაურით დაბეჭდილი ილიას ერთ-ერთი ლექსი, რომელიც მთლიანად ამგვარ ალევორიაზეა აგებული: „ჭკუამ სთქვა: წუთის-სოფელსა

აღმართი მე ვახუნვეინე,  
თესლი მოვკრიბე და ხნულში  
დაეთესე, დავაბნეინე...  
გულმა სთქვა: ჭკუავ, მართალ ხარ,  
და ზოგიც მე მათქმეინე!  
შენი ნახნავის გორახი  
ფარცხით მე მომაფშვნეტინე;  
ნაგოლევი, მშრალი ბელტები

ცრემლით მე მომარწყვევინე;  
შენი ნათესი, ნანერგი  
სისხლის ღვრით გამაზღვევინე;  
შენსა ჯეჯილში, ყანაში  
ღვარძლი მე ამარჩევინე  
ნაამაგარი ძნალ შევკარ  
ზვინად მე დამადგმევინე...“

საქმის არაკეთილსინდისიერად შესრულება, მიტოვება, გაფუჭება სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება მოხდეს. მაგალითად – ან თესლი არ ვკარგოდეს, ან ხნული. ამის დამადასტურებელია მეტაფორა „უეიცობის ხნული“ და ხნულში ჩავარდნილი, მაგრამ გაუღვივებლად დარჩენილი თესლის ალეგორია. წინა თაობის გულშემტკირვე, მაგრამ იმედგაცრუებულ მოღვაწეთა შესახებ ილია წერს: გულისტკივილი მათი „თესლად დარჩა ცხოვრების ხნულშიო.“ და შემდეგ კიდევ უფრო აერცობს ამ ალეგორიას: „ჩვენ ვწუხვართ, რომ მეტის სისავსით ვერას ვიტყვი ამ თესლად დარჩენილისას, რომელიც, როცა ამინდი დაუდგებოდა, ხელაზლად უნდა გაღუბულიყო აღმოსაცენად, თუ ცხოვრებას კსურდა, თავისი მახლობელი სათავე არ დაჰკარგოდა სამუდამოდ... ზოლო რაცა ესთქეთი, ისიც საკმაო გეცოდინოს, რომ ამ თესლზე გასწყდა ჯაჭვი ცხოვრების ზღმიყოლებისა, აწყმოსა და წარსულ შუა ჩაქსწყდა ხიდი, შემდეგს სათავე და დასაბამი მოუწყდა.“

მარგვლა ხორბლის გასაძლიერებლად აუცილებელია, მაგრამ თუ ნათესი თავისთავად უვარგისია, მაშინ მარგვლას აზრი აღარა აქვს. ისეთი მწერლის ნაწარმოებების განხილვის შესახებ, რომელსაც კრიტიკაც ვერ უშველის, ილია ასეთ ალეგორიას იყენებს: „თუ არ მოცილილი კაცი, რომელი აღამიანი დაიწყებს მარგვლას იმ კვლებისას, რომელთაგანაც არაფერს არ ელის იმავე ბალახის აღმოსვლის მეტს...“

შესაძლოა უკვე მოწეული მოსავალიც კი გააფუჭოს, ვერ ისარგებლოს მუშაკმა: „მართალია ეს დაწინაურებული თაობა ხშირად თავადებით ცდილობს შეაგროვოს მოსავალი... რათა თავის დროზე შეიღებისათვის მაინც ყოველმა მარცვალმა მოიტანოს ნაყოფი და იმ ნაყოფმა ახალი თესლი ახალი ცხოვრებისათვის... მაგრამ უფრო ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ვერ ქსილვეენ მოსავლის სიმრავლესა... მაშინ ეგ თავგამოდებულნი მოჭირნახულენი რჩებიან, როგორც მუშაკნი, რომელთაც ზოგიერთი მასალა მოუზადებით ახალის შენობისათვის, მაგრამ გამგებელი არ ჰყავთ... რომ დასძრას პირველი ქვა ძველის შენობისა და გაამაგროს პირველივე ქვა ახლის საძირკველშია.“

არასწორი აზრი ერთგან შედარებულია გაუღენწე ხორბალთან: „წავიდა ის დრო, როცა ამისთანა ბუნჩიან ხორბლის მარცვლით წაიტყუებდნენ ხოლმე ბელურა-ჩიტებსო.“

შეფერხება შეიძლება მოხდეს წისქვილის მუშაობაშიც. ამიტომ გვხვდება შედარებები: „ამაოდა ჰფქვავს მინდმოკლებულ წისქვილსავეთ, „ ვისაც რა მოხვდება, არახუნებს მოშლილ წისქვილსავეთ“ და სხვ.<sup>1</sup>

ცომის მოზელას საფანელიც რომ სჭირდება, ილიას არც ეს ავიწყდება. ერთგან ვკითხულობთ: „საფანელი არ არის ჩვენს ცხოვრებაში და ამის გამო არც აზრის შედეგებია“. გვხვდება სხვაგვარი გამონათქვამიც: „სურვილი დიდი ჰქონია ჩემთვის სახელი გაეტეხა და სირცხვილი ეჭმევი, მაგრამ საფანელი დაქლებია და ვერ მოუხერხებია.“<sup>2</sup>

როგორც ვთქვით, „არსობის პურის“ გამოცხობაში გადამწყვეტ მონაწილეობას გული ღებულობს. აქედან გამომდინარე ერთი პიროვნების მეტყველებაში მწერალს შეაქვს ასეთი სატირული ალეგორია: „გულში რომ ნაქერწყალიც არ იყოს, მანაც ხანდისხან დამჭირდება გაჩვენოთ, რომ შიგ გახურებული თონეა, თონე ხომ იცით, პურს არსობისას აცხობსო.“<sup>3</sup>

კაცთა ცხოვრებით გამომცხვარი პური ყველა ერთნაირი არ არის – ყველა არსობის პურად ვერ ჩაითვლება. ზოგს ის თავდაპირველი მადლი და არსი ამ ალეგორიული სახისა დიამეტრალურად შეცვლილი აქვს. ამაზე მწერლის ერთ სატირულ ლექსში ვკითხულობთ:

„მე ნუ მონცეს ღმერთმა იგი, <sup>ა</sup>

რაც ხონელმა სთესოს, ჰფარცხოს;

მე იმ პურსა ნულარ მაჭმევთ,

რაც ზოილმა გამოაცხოს.“

განხილულთა მსგავსი მხატვრული ალეგორიები მარტო ილიასთან არ გვხვდება. იგი ხშირია სხვა ქართველი მწერლების ნაწარმოებებშიც. მაგალითად დაეით გურამიშვილის ერთ ლექსს, რომელშიც ძე ღეთისას ქვეყანად მოვლინების და მისი ჯვარცმით ადამიანთა სულების სიკვდილისაგან სსინის – ახალი აღთქმის შესახებ არის საუბარი, სათაურად აწერია: „ამიცანად იგავი ასახსნელად ადვილი“:

„ვიდრემდის განახლდებოდა

ძველი ღლე, ღამე მზიანი,

იფქლი კალოზედ ეყარა

განურჩეველად ბზიანი,

ახალმან ღლემან განწმინდა

ღვარძლიან ნაკმაზიანი,

და მის ღლითგან მოჩანს გარჩევით

სარგებელი და ზიანი.“

ეს ლექსი-ვაშლიცანაც ალბათ ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძის თხზულებების მხატვრული ალეგორიები, პართლაც არ არის ძნელი ასახსნელი, თუ სწორ

1. ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა აკად. გამოც. ტ.5.გვ.362

2. ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა აკად. გამოცემა, ტ.5. გვ.54, 263

3. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა აკად. გამოცემა. ტ.5, გვ. 194. 118

გასაღებს მოვარგებთ, ანუ იმას, რომელიც ავტორმა შეურჩია.

ამ მხრივ ცალკე გვინდა დავაკვირდეთ ილიას ცნობილ ლექსს „გუთნისდედა“, რომელიც სამართლიანად მიაჩნიათ სიმბოლიზმის ნიმუშად. ეს ლექსიც, ჩვენი აზრით, არის „პროსობის პურის“ გამოსაცხობად წარმართული საქმიანობის ერთ-ერთი ეტაპის – ნიადაგის მომზადების ანუ „ხენის“ აღვეორიული სახე, გუთნისდედა კი ზოგადად იმ ადამიანის განსახიერება. ვისაც ეს სასიკეთო საქმე – კეთილი თესლის გასამრავლებლად ნიადაგის მომზადება დაუსახავს მიზნად, მაგრამ წინააღმდეგობებს აწყდება:

„აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,

რომე აჩენოს მარტო მიწანი

და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,

რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას? –

ამბობს ლექსის გმირი. ეს „თესლი“ ის კეთილი მარცვალა, რომლის გაძლიერებას, გაღვივებას და გამრავლებასაც უნდა ცდილობდეს ყველა ადამიანი, მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ საქმეში ხელს უშლის სარეველები და გუთნისდედა კი ვეღარ ხნავს მიწას, – მხოლოდ ჩიჩქის. მიწა ამ შემოხვევაში, ისევე, როგორც მოესვარის იგავში, ადამიანის გული უნდა იყოს. სარეველები – წუთისოფლის საცდურები, რომლებიც ათასგვარ გულისთქმებსა და ვნებებს აღძრავს მასში და ხელს უშლის სიკეთის მიღებაში. საყურადღებოა მსგავსი მეტაფორული სახის მაგალითი გრიგოლ რობაქიძის ლექსში „წმინდა ნინო“:

„ნათელო ნინო! ვით მიწის ხნულები

შენ წინ გადახსნილან აწ ჩვენი გულები.

მო, გადაგვიარე, ბედს გადაეურჩებით

და ტერფებს დაგიკონით მაგარი ტურებით.“

რა აზრი უნდა იყოს ნაგულისხმევი გუთნისდედის შედარებაში ხართან და მისი ხვედრის განსაკუთრებული სიმძიმის მრავალგზის ხაზგასმასში?

„მეც შენებრ მიწას დავეყურებ თვალით,

რადგანაც ზეტა წამართვეს ძალით...

შენებრ მეც მელის მიწა, ვით მსხვერპლსა,

სიკვდილის შემდეგ დასაეიწყველსა, –“

ეუბნება გუთნისდედა თავის ლაბას. ხარი, როგორც ფშვინიერი პირუტყვი თავიდანვე მიწას დაჰყურებდა, რადგან არ ჰქონდა უკვდავი სული. მაგრამ ადამიანი ღვთის .ხატად და მსგავსად იყო განილი და ზეტას შეპხაროდა. ცოდვის გამო კი ხდება ისე, რომ ეს სიხარული მასაც ხარივით მიწაზე მიჯაჭვულობით ეცვლება. როგორც ჰკვლე მოციქული წერს: „...იცოდეს ღმერთი. და არა ღმრთებერ აღიდებდეს მას... და დაუბნელდა უგულისხმოი იგი გული მათი... და ცვალებს დიდებაი იგი უხრწნელისა ღმრთისაი მსგავსად ხატისა

1. კიტა აბაშიძე, ეტიულები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ. 1962, გვ. 152

2. ჟურნ. „ვეჯარი კაზისა“. 1989 №3

მის ზრწნადისა კაცისა და მფრინველთა და ოთხფეხთა და ქუეწარმაველთა...“ წმინდა წერილისეულ ამ იგაგურ სახეს ხშირად მიმართავდნენ ქართველი პოეტები. მაგალითად თეიმურაზ პირველი „ვარდბულბულიანში“ წერს:

„უკვდავი ხარ – ცნობა გმართებს,

პირუტყვად გაქვ გან ეგ სული?“

ამაზე ილიაც ამახვილებს ყურადღებას თავის პუბლიცისტიკაში. უკადრისი საქმის ჩამდენის შესახებ ერთგან იგი წერს: „...ამისთანა კაცი უმცირესია ყოველს პირუტყვზე, ამისათვის რომ პირუტყვი თავის მდრეკილების მორჩილი, სრულიად ხმარობს იმ ღონისძიებასა, რაც მიუნიჭებია მისთვის ბუნებასა საცხოვრებლად და მოურიდებლად ადასრულებს თავის მნიშვნელობასა.“<sup>1</sup>

გუთნისდღის – ადამიანის უბედურების მიზეზი ის არის, რომ ზორცისაზე ფიქრში სული ავიწყდება. როგორც 1887 წლის 7 ნოემბრის სტატიაში წერს ილია: „უფროს ერთი ადამიანი ისე გაივლის ზოლმე თავისი ცხოვრების გზასა, ისე დაკლევს ზოლმე თავის სიცოცხლეს, რომ ერთხელაც არ ჩაახედებს თავის თვალს გულში იმის გამოსარკვევად, თუ რისთვის ვიყავ, რისთვის ვარ და რა გამიკეთებიაო... ზოგს ბედი ისე უმძიმს, რომ ამ ბრძოლას და გართვას არა ჰყოფნის მისნი დღენი, მისნი საათნი, მისნი წუთნი: ყველა ესენი შეწირული აქვს მთლად და გადურჩენულად იმ მცირე სიამოვნებისათვის, რომელსაც ადამიანი ძლივ-ძლივ გამოჰკლევჯს ზოლმე ამ ძვირს წუთისოფელსა და ურომლისობა ადამიანის არსებობას შეუძლებლად აჰხდის. ამ წრეში მოტრიალეს კაცს მოცალეობა არა აქვს თავისთავს ჩაუბრუნოს თვალი განსაკითხავად და დღიურ ლუკმისათვის გარჯილსა და მაშერალსა არც ხალისილა აქვს ამისთანებისათვის. ამისთანა კაცისათვის ბრძოლის მოკდნილად თვალის მოშორება ერთს წამსაც დღიური ლუკმის პირიდან გამოცლას მოასწავებს და ძნელია სხვა რილასთვისმე მოიცალოს.“ ასეთ დღეშია ადამიანი, რომელსაც ღმერთმა ღეთაებრივი სრულყოფილებისაკენ სწრაფვა დაუსახა მიზნად, ზორცისაზე ფიქრში სულზე ზრუნვა მიუტოვებია. ამით მისი ცხოვრება პირუტყვის არსებობას არის დამსგავსებული. ასეთ მდგომარეობაშია არა მარტო რეალურად მიწის მხენელ-მთესველი, არამედ ზოგადად ადამიანი, რადგან, როგორც ვთქვიო, „გუთნისდღა“ ალეგორიული სახეა.

„ნუ დამიღონდი!..შენი უღელი

ჩემს უღელზედა არ არის ძნელი...“

ეუბნება ხარს გუთნისდღა. „ალიღეთ უღელი ჩემი თქვენ ზედა, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოვოთ განსვენებაი სულთა თქვენთაი. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“ – ამბობს მაცხოვარი (მათე 11. 29-30). ამ უღელის იგაგურ მნიშვნელობას იონა ხელაშვილი ასე განმარტავს წიგნში „განმარტებაჲ სახისმეტყველებითი“:

1. შურნ. „ჯვარი ვახისა“, 1989 №32. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა აკად. გამოც. ტ.5 გვ.467

„სიზღაბლე სულისა არს ქრისტეს უღლისა ტკბილისა აღება და სუბუქისა ტვირთისა მიღება. უღელი არს წმიდისა ეკლესიისა ბრძანებათა აღსრულება, და ტვირთი არს შეყვარება ღვთისა, რამეთუ სიყვარული ღვთისა არა არს მძიმე შემჭვალულისათვის.“<sup>1</sup> მაგრამ არსებობს სხვა უღელიც, რომლის შესახებაც პავლე მოციქული წერს: „ახანაურებითა მით, რომლითა ქრისტემან ჩვენ განგუაზნაურნა, მტკიცედ დევით და ნუ კუალად უღელსა მას მონებისასა თაეს იღებთ.“ (გალატ. 5.1) ამრიგად გუთნისდღეასაც ცოდვა უმძიმებს მსუბუქ უღელს. ის სიმართლეს გულში იკლავს, საცდურებს ვერ უმკლავდება, გულს მადლის მისაღებად ვერ განიწმენდს და ამით კეთილ თესლს რიგიანად ვერ პატრონობს. ამიტომ ელის ასეთ გუთნისდღეას, თავისი პირუტყვის მსგავსად, მხოლოდ შავი მიწა და სიკვდილის შემდეგ დავიწყება და არა „განსვენებაი სულთაი“, რაც მას, როგორც უფლის ხატად და მსგავსად შექმნილს შეეძლო მოეპოვებინა.

სახნისზე ხელჩაკიდებული კაცის – იგივე გუთნისდღის იგავეური სახე ერთგან სახარებაშიც გეხვდება (ლუკა 9. 62). „არავინ დასდვის ხელი სახნველსა და კხედავან იგი გარეშეუკუნ და წარმართებულ არს სასუფეველსა ღმრთისასა“, ეუბნება მაცხოვარი ადამიანს, რომელიც მის დამოწაფებას აპირებს, მაგრამ დაუყოვნებლივ კი არ უნდა, რომ გაყვეს, არამედ სთხოვს, რომ ნება დართოს ჯერ თავის ახლობლებს გამოემშვიდობოს. როგორც ვხედავთ, ეს იგავეური სახე მსხენელისა უფლის გზაზე დადგომის მსურველ ადამიანთან შედარებისათვის არის გამოყენებული. მაცხოვრის სწავლებით, თუ მას თვალები უკან რჩება – ამქვეყნიურისაკენ, არ არის „წარმართებულ“ „სასუფეველსა ღმრთისასა.“ არსებითად ასეთია ლექსის გმირი გუთნისდღეაც – მასაც თვალები მიწისათვის ჩაუჩერებია ზორციული საზრდოს შოენის მიზნით, ცისკენ ასახვდად და სულიერი გუთნისდღეობისთვის კი ვერ მოუცლია და ასე კარგავს ცას.

ლექსში გამოხატული განცდები ზოგადადამიანურ სატიკვარს ასახავს და ამდენად, რა თქმა უნდა, პოეტისათვისაც არ არის უცხო. იქნებ ამითაც იყოს გამოწვეული გუთნისდღის „ხმლად“ სწორედ მეტყველების, სიტყვის დასახელება და მის დაჩლუნვებაზე გულისტკივილი. სიტყვა ხომ უპირველეს ყოვლისა მწერლის იარაღია:

„შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,  
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს...  
შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?  
ეგ ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...  
რად მიწდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,  
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება...  
...ჩემის კაცობის გულის დუღილის  
სიტყვანი გულში მებადებიან,

1. იონა ხელაშვილი, განმარტებაი სახისმეტყველებითი

მაგრამ გულშივე უხმოდ კვებებიან...“

ამბობს გუთნისდედა და ეს სიტყვები უნებლიედ მოგვაგონებს სხვადასხვა ციტატას ილიას თხზულებებიდან. 1881 წლის იანვრის ერთ-ერთ შინაურ მიმოხილვაში იგი მწარე ირონიით წერდა: „სულ გადამაიწყდა, რომ ადამიანს სიტყვა აზრისათვის არა აქვს მინიჭებული, არამედ იმისათვის; რომ ღიღმა სთქვას: „მე შენ გიბრძანებ და ხმა უნდა გაიკმინდო“ და პატარამ მიუგოს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ენა მუცელში ჩამივარდა, ბრძანებისამებრ თქვენისა.“ სტატიამი, სადაც მწერალს უნდოდა გულახდილად გამოეთქვა თავისი გულისტკივილი სხვადასხვა ეროვნულ და საზოგადოებრივ საკითხებთან დაკავშირებით. იგი წერს: „ამ წერილს თირკმლები განგებ ამოვაცალეთ და შუა წელი გამოვსჭერით, რომ თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდათ ქვეყანაში გამოსვლისა.“ მოთხრობა „მგზავრის წერილების“ ეპილოგში ვკითხულობთ: „ჩემმა მოხვევებ კიდევ ბევრი რამ სხვა მოთხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისაო...“ „კაცია, ადამიანშიც“ არის მსგავსი რამ: ...ესა ვთქვათ და ენა მოვიკნინოთ, თორემ...“ ორივეგან მრავალწერილებში სწორედ ის არის ნაგულისხმევი, რის თქმასაც ვერ ახერხებდა ადამიანი, კონკრეტულ შემთხვევაში კი მწერალი.

ლექსი „გუთნისდედა“ მთავრდება იმ განწყობით, რომ ხარმა ხარისა და კაცმა კაცის საქმე უნდა აკეთონ და თავიანთი გუთანი ბოლომდე გაიტანონ, მაგრამ ადამიანს მხოლოდ მიწიერი გუთნისდედობა არ მოეთხოვება. მან მიწის ხნულის გარდა გულშიც უნდა გაიყვანოს კვალი სიკეთის მისაღებად და გასამრავლებლად. ლექსის ალეგორიულ ჩარჩოში ამაზე მეტის თქმა ადამიანის დანიშნულებაზე ალბათ შეუძლებელი იყო.

როგორც ვთქვით ამ ნაწარმოებში ავტორის პირადი განცდებიც არის გადმოცემული იმდენად, რამდენადაც თავადაც ადამიანია და ზოგადად ადამიანური საკითხები მასაც ეხება, მაგრამ საკუთრივ მისი, როგორც მწერლის განწყობა საკითხისადმი უფრო მკაფიოდ არის გამოთქმული ლექსში „ჩემო კალამო...“ პოეტის გუთანი კალამია, რომლის შესახებაც ილია „დამაკვირდის“ სათაურით ცნობილ ერთ-ერთ ლექსში წერს:

„ხმალი იმოდენს ვერას იქმს  
მრისხანე და ძლიერიო,  
რასაც იქმს მშვიდობიანი  
კალმის პატარა წვერიო.“

გუთნისდედის ეპილოგში ვკითხულობთ:

„მაშ რა გაღონებს?.. გასწი ჭაპანსა  
და გაიტანე გუთანი ბოლოს...“

თითქოს ამ განწყობის გაგრძელებაა ლექსის „ჩემო კალამო... პირველივე



სიტყვები:

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გეინდა ტაში?“

რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახურით...“

აქ, ავტორის მიერ არჩეული მხატვრული ფორმა ისე ღრმად აღვეგორიული არ არის და უფრო იოლად აღიქმება. „გუთნისდღისეული“ ზოგადადამიანური სიტყვის-უთქმელობის და ხმალდაჩლუნგებისაგან განსხვავებით გარკვევით არის გამოკვეთილი პირადად ავტორის სულისკვეთება:

„ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოფინოთ ხალხში...“

ეს „წმინდა სიტყვა“ ასევე კეთილი თესლია, რომლის მისაღებადაც თაყვისი გულის ხნულს უნდა ამზადებდეს ყოველი ადამიანი, რომელსაც „გუთანზე სული უკიდია“ და უკან კი არა. წინ იხედება.

### ვაჟი ობოლი

ვენახი, ვაზი, ყურძენი, ღვინო ბიბლიაში არაერთგან გვხვდება ღრმა იგაუერი მნიშვნელობით. „სავენახის უფლის“ და „მუშაკთა ვენახისათა“ სახეები გამოიყენა მაცხოვარმა ცათა სასუფეველის შესახებ ქადაგებისას: „მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა სახლისა უფალსა, რომელი განვიდა განთიად დადგინებად მუშაკთა ვენახსა თვისსა...“ (მათე 20). „ვენახის უფლის“ და ბოროტ „ქუეყანის მოქმედთა“ სახეებია მარკოზის სახარების მეთორმეტე და ლუკას სახარების მეოცე თავებშიც, სადაც თვით მოწაფეები ამბობენ, თუ რა ბედი მოელის ბოროტ მუშაკს: „ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდეს და ვენახი იგი მისცეს სხუათა ქუეყანის მოქმედთა, რომელთა მისცენ მას ნაყოფი ეამსა თვისსა.“ მათეს სახარების ოცდამეერთე თავში არის კაცისა და ორი ძის იგავი, რომლებიც წარგზავნა თავის ვენახში სამუშაოდ. „მე ვარ ვენახი ტემშარიტი, და მამაჲ ჩემი მოქმედი არს... მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი...“ კვლავ იგაუერად ამბობს მაცხოვარი სხვა ქადაგებაში (იოანე 15).

ყურძნის, როგორც კეთილი ნაყოფის სახეში შეფარული იგაუერი შინაარსი გვხვდება მათეს (7.16) და ლუკას (6.44) სახარებათა შედარებებში: „ნუუკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი...“ და „არცა მყუალთაგან მოისთულიან ყურძენი!“

უფალი თავის ღვთაებრივ სწავლებებში ღვინის იგაუერ სახესაც მიმართავს: „არცა შთაასხნიან ღვინოჲ ახალი თხიერთა ტუელთა, რამთა არა განსქდენ თხიერნი და ღვინოჲ დაითხიოს და თხიერნი წარწყმდნენ. არამედ შთაასხნიან ღვინოჲ ახალი თხიერთა ახალთა და ორნივე დაიმარხნიან.“ ერთ-ერთი პირველი სასწაული, რომელიც მაცხოვარმა მოახდინა, იყო კანას გალილეაში ქორწილში წყლის ღვინოდ გადაქცევა. რასაც წმინდა მამათა სწავლებით. იგაუერი მნიშვნელობაც ქონდა. ღვინო, რომელიც ვენახის ნაყოფის – ყურძნისაგან იწურება, ექპარისტის წმინდა საიდუმლოში სულიწმინდის მადლით უფლის პატიოსან სისხლად გადაიქცევა მორწმუნეთა სულის და

ხორცის საკურნებლად და მათ საზიარებლად უფალთან. „სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისაჲ, მრავალთათვის დათხეული მისატყვევლად ცოდვათა“ (მათე 26,27), ამბობს უფალი. პური იგავურად განასახიერებს სიმტკიცეს ღვთისა, ღვინო კი მის სიბრძნეს.

ვენახის, ვაზის და ღვინის სახე ძველ აღთქმაშიც არაერთგან გვხვდება. ღვთისაგან განდგომილი, უსჯულოებაში ჩაყარნილი რჩეული ერის შესახებ ესაია წინასწარმეტყველთან ვკითხულობთ: „წაიბილწა მიწა მის მკვიდრთა ქვეშ, რადგან გადაუდგნენ რჯულს, დაარღვიეს კანონი, გატყებეს საუკუნო აღთქმა. ამიტომ წყევლა ჭამს მიწას და ისჯებიან მისი მკვიდრნი, ამიტომ გადაიბუნენ ბიწიერნი და მცირენილა გადარჩნენ. გამწარდა მაჭარი, დაჭკნა ვაზი, კენესის ყველა გულმზიარული (ესაია 24).

როგორც ვხედავთ, ვენახის, ვაზის და ღვინის სახეები წმინდა წერილში ღრმა საღვთისმეტყველო იგავური შინაარსით არის დატვირთული. რომელიც შეძლებისდაგვარად ახსნილი აქვთ წმინდა მამებს თავიანთ განმარტებებში. მთავარი, რა თქმა უნდა, ეს შინაარსია და არა ზედაპირული ხატი, მაგრამ კრძალვა იმ დედაზრისადმი წმინდა წიგნების მკითხველს აღუძრავს კრძალვას ზედაპირული ხატისადმიც. ალბათ პირველ რიგში ამით უნდა აიხსნას ვენახის, ვაზისა და ყურძნისადმი ქრისტიანთა და მათ შორის ქართველთა, განსაკუთრებული კრძალვა და სიყვარული,<sup>1</sup> რაც შესაბამისად აისახა ერის ცხოვრების ისეთ თვალსაჩინო ანარეკლში, როგორიც მწერლობაა.

ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ქართულ ლიტერატურულ ძეგლში, სადაც აღწერილია წმინდა მოწამის – შუშანიკ დედოფლის ცხოვრება, ავტორს, იაკობ ხუცესს, მოხმობილი აქვს თავმდაბალი დედოფლის მიერ თქმული სიტყვები, რომელთა მიხედვითაც იგი თავს უფლის „მევენახეთაგან“ ყველაზე ნაკლებად გარჯილ მუშაკს ადარებს: „უკეთუ ღირს რამე ვარ უკანაჲსკნელი ესე მეთერთმეტეჲ მოქმედი ვენახისაჲ...“ (შდრ. მათე 20).

ხშირი იყო ვენახის იგავური სახის გამოყენება საგალობლებში. ამის საუკეთესო დასტურია დიმიტრი მეფის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ცნობილი იამბიკო:

„...შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,  
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული...“

მსგავსი მაგალითები მრავლად არის სხვადასხვა საუკუნეების სასულიერო ხასიათის თხზულებებში, მაგრამ არა მარტო სასულიეროში, ამ მხრივ საკმაოდ მდიდარია საერო ლიტერატურაც, მაგალითად დავით გურამიშვილის მხატვრული მემკვიდრეობა.

„დავითიანში“ ვენახის, ვაზის და ღვინის სახეები სულ სხვადასხვა კუთხით არის გამოყენებული. არის ალუზიები სახარებასთან. უფლის მიერ კანაში მოხდენილ სასწაულს უკავშირდება სიტყვები: „კანას წყლის ღვინად

1. აკაკი მინდიაშვილი, ღვთაებრივი და ეროვნული. თბ.1995. გვ.81

მსმველო...“ არის ღვთისმშობლის მეტაფორული შედარებაც ვენახთან:

„...ნაყოფიერო ვენახო,  
ვით ვაზო, მორჩ-უჭკნობელო,  
უკვდავებისა მტკვანთა  
მოკვდავთა მოსართლობელო...  
მიგრილე ცოდვით საწევასა,  
იესოს ქრისტეს მშობელო...“

პოემის შესავალშივე, თავისი ვინაობის გაცხადების შემდეგ, დავითი მოკრძალებულად ამბობს:

„ვენახის ღვინო დაძვირდა,  
ქართლს დაემტერა რა ჭარი,  
ვიძცვრივე ჭალას ბაბილო  
ნაქაჯი და ნაჭაჭარი,  
მოსასხენებლად ჩემდა ყრმათ  
უმზადე ტკბილი მაჭარი...“

თუ რა „ჭარზე“ ანუ ჭირზეა აქ ლაპარაკი, რომელმაც ქართლს მადლიანი ვაზის ნაჟური მოაკვლო, ავტორს შემდეგ ვრცლად აქვს საუბარი. რა თქმა უნდა, ვენახის ღვინოს აქ იგაუური მნიშვნელობა აქვს, რწმენისმიერ მადლს და სიწმინდეს უკავშირდება, რომელთა „დაძვირებასაც“ განიცილიდა, დავითის თქმით, მაშინ ქვეყანა. რჯულის გადადგომა და ცოდვებში ჩაფლობა, როგორც ეთქვით, ესაია წინასწარმწყველსაც იგაუურად ვაზის ჭკნობით და მაჭრის გამწარებით აქვს გამოხატული.

ამ. აღსაქმელად შედარებით მარტივ, შედარება-მეტაფორათა გვერდით დავით გურამიშვილის ნაწარმოებში გვხვდება სტილისტურად უფრო ღრმა სახეებიც. ტყვეობიდან გამოქვეული დავითი უფალს ავედრებს თავს და სულის საზრდოს ითხოვს: „მიბოძე საზღო სულისა, შშიან, მაჭამეო...“ სწორედ ამის შემდეგ მშვიერი ნატუსალარი გზად, როგორც ნათქვამია, „მდღევარ“ საზრდოს – ორ კიტრსა და საზამთროს ნაჭერს წააწყდება. დავითი მდინარეში საზამთროზე წყლის გადავლებას მონიღომებს, კიტრები უბიღან ამოუცვივდება და წყალი წაართმევს. ფიზიკური შიმშილი წუთიერად სძლევეს სულის სიმტკიცეს და პოეტს ღვთის სამღურავე წამოსცდება:

„ღვთისაგან გულსა შემაკლდა,  
ვაყვეღრე, ასე ვიტირე...  
თუ არ გინდოდა ჩემთვისა,  
რად დამხვდა განმზადებული,  
თუ არა, რისთვის წამართვი  
საზღო უბეში დებული.“

მაგრამ დავითი მალე მოეგება გონს და მის გულში სინანული გაიღვიძებს:

„თავს დავგმე. უთხარ; შიმშილით  
რა გული დავიყმეღია?“

როდესაც პოეტმა გზა გააგრძელა და თან მსურველედ ითხოვდა პატიებას ღვთისაგან, მოულოდნელად დაინახა „მსხმოიარე ბაღნარი ატმინი და ვაზიანი.“ პოეტი დაბურულ ვაზნარში შევიდა და როგორც კი ყურანით მოიკლა შიშშილი, სირცხვილის გრძნობა დაეფულა. სინანულით აღიკსო და ღმერთს შექალადა: „შენი მოცემული კიტრი შენვე რომ წამართვი, მოუთმენლობამ შემიპყრო, შენ კი სულგრძელად მაპატიე და „აწ უმჯობესიც მომაგვი“:

„თურმე წინასწარ ხედვედი  
შენ ჩემსა გზასა. კვალებსა,  
შვების წყალობას უზემდი  
ჩემსა ხორცსა და ძვალებსა:  
მე ვერ ეხედვედი, ვცოდვედი,  
ლიბრი დამკროდა თვალებსა,  
აწ ხორცმან გცოდა, ხორცს ჰკითხე,  
სულს ნულარა სთხოვ ვალებსა.“

ამ ორი კიტრის გამოდევნება, მისთვის ტირილი და ამის შეპირისპირება განმზადებულ მსხმოიარე ვენახთან შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამას მოწმობს ისიც, რომ ამ ფაქტმა პოეტის გულში სულ სხვა. ღრმა ფიქრები აღძრა. მან სრული სიცხადით გააცნობიერა, რომ ის ხორციელი. რომელსაც აღამიანი ასე ესწრაფვის, არარაა იმ „საუენახესთან“ შედარებით, რომელიც განმზადებული აქვს უფალს მართალთა სულებისათვის.

გურამიშვილი პოეზიაში თავის მასწავლებლად და მაგალითის მიმცემად რუსთველს მიიჩნევს და მართლაც არაერთგან მიმართავს მისეულ მხატვრულ ხერხებსა და სახეებს. ჩვენი აზრით „კიტრი“ ზემოხსენებულ ეპიზოდში ისეთივე მხატვრული შინაარსით უნდა იყოს დატვირთული, როგორითაც ეს ავთანდილის სიტყვებშია:

„მე იგი ვარ, ეინ სოფელსა არ ამოვკრეფე კიტრად ბერად...“

ის ორი კიტრიც გურამიშვილის პოემაში ამა სოფლის ალკგორიული სახე უნდა იყოს. კიტრი უყუათო საზრდელაა, თითქმის ცარიელი წყალაა, რომელიც მხოლოდ წუთიერად აკმაყოფილებს აღამიანს, ღვინო კი, წინასწარმეტყველის თქმით. „ახარებს გულსა კაცისასა.“ წყლისა და ღვინის შეპირისპირებით იგაგურ მნიშვნელობასთან დკავშირებით იოანე ოქროპირი სახარების განმარტებაში წერს. კანაში უფლის მიერ წყლის ღვინოდ გადაქცევა იმაზეც მიგვანიშნებს. რომ აღამიანის ზარმაც და გრილ ბუნებას უფალი გარდაქმნის ხოლმე „წყლისა მსგავსებისაგან სიმტკიცედ ღვინისა, რაფთა ძლიერ იყვნენ და სიხარულისა მიზეზ თავთა თვისთათვისა და სსვათათვისაცა.“ სწორედ ეს მაღლი იგრძნო ვენახის ნაყოფით შიმშილმოკლულმა დავითმაც.

ჩვენს მიერ განხილული ღრმა, ალკგორიული ეპიზოდი ისევ ვაზთან და ღვინოსთან დაკავშირებული მეტაფორული სახეებით გრძელდება, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს მის ამგვარ შინაარსობრივ მნიშვნელობას:

„სულთა ღვინო კეთილი.

ზორცი ჭურჭელი მყარალია,  
ზორცი ამ სოფლის გემოთი  
ნებიერობით მთურალია,  
სული იმ სოფლის დასჯისთვის  
შიშითა სულ გამქრალია.“

შემდეგ გურამიშვილი ასევე იგავეურად აღწერს, როგორ უნდა იზრუნოს ცოცხალმა. ზორცში მყოფმა ადამიანმა, თავის განწყობდაზე:

..უნდა მეღვინემ საღვინე  
კარგვარად გამორეცხოსა,  
განაყრეინოს, გაწმინდოს  
რაც შიგნით მწიკვლი ეცხოსა.“

ბოლოს კი. უფლისადმი ვედრებაში, ახსნილია ამ აღქვორიის შინაარსიც:

..აღმომიწმინდე მწიკვლთაგან  
გული, გონება და პირი...“

ის, რომ დავით გურამიშვილის შემოქმედებაში მრავლად არის გამოყენებული წმინდა წერილისეული მხატვრული სახეები და, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი „სარწმუნოებრივი დაღაღება დავით წინასწარმეტყველის სიმაღლემდე ასული“, მეცნიერთა ყურადღების გარეშე არ დარჩენილა, მაგრამ ამ მხრივ სრულებით შეუსწავლელია თვით ილია ჭავჭავაძის შემოქმედება. ვენახის, ვაზის, ყურძნის და ღვინის სახეებს ისიც მრავალმხრივ იყენებს, როგორც მარტივი შედარების, მეტაფორის ან ალუზიის სახით, ისე – სიმბოლო-ალეგორიებადაც.

მეტაფორული შინაარსით არის დატვირთული და სახარების ერთ-ერთ ზემოხსენებულ იგავეურ სახეს მოგვაგონებს ილიას „ორხმიანი საახალწლო ოპერეტის ალეგორიული შედარება:

..ტყუილად იქადს... ზომ იცით,  
ანწლი ვერ მოგცემსთ ყურძენსა...“

ყურძნის, როგორც „კეთილი ნაყოფის“ მხატვრული სახე ლამაზად არის წარმოჩენილი „გზავარის წერილებში“, სადაც იგი დაპირისპირებულია ძალღყურძენასთან: „...ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალღყურძენაცა.“

კიდევ უფრო ღრმად და შთამბეჭდავად მჟღავნდება ვაზის პოეტური სემანტიკა ილიას ლექსში „გაზაფხული“:

..ტყემ მოისხა ფოთოლი,  
აგერ მერცხალიც ჭყვივის,  
ბაღში ვაზი ობოლი  
მეტის ღვინითა სტირის...“

ეს სიტყვები მისმა ზოგიერთმა თანამედროვემ სწორხაზოვნად აღიქვა და საყვედურიც გამოთქვა, თავადი ჭავჭავაძე „ვაზს აობლებს ბაღში, რომელსაცა რამდენიმე ასი დ ათასი სხვა ვაზები ახვევიანო.“ რა თქმა უნდა, ლექსში რომ

აქ მართლაც მხოლოდ ვაზი იგულისხმებოდა, ეს შენიშვნა სწორი იქნებოდა, მაგრამ ილიას პასუხიდან ჩანს, რომ ასე არ არის. აქ ვაზში ნაგულისხმევია ის მაღლი და სიწმინდე, რაც შერჩენოდა მაშინ საქართველოს. ჩვენი ქვეყანა, რომელიც ოდესღაც უფლის დიდი სავენახე იყო, სადაც თვით შუშანიკ დედოფალიც კი უმცირეს მუშაკად თვლიდა თავს, ილიას თქმით, მის დროში სულიერად ჩავსმოკიდებულ გუბებს დაემსგავსა. ღრმა შინაარსის მქონე ის ძირძველი სავენახე ერისა გაპარტახდა და სადღაც ობლად, ეულად თულა იყო შემორჩენილი ვაზისმიერი მაღლი და სიწმინდე.

ბუნება თავის კანონს ემორჩილება და ზამთრის სუსხს გაზაფხულის მაცოცხლებელი სინოტივე მოჰყვება, რომელსაც სინარულით ეგებება გასხლული ღეროებიდან თითქოსდა ცრემლმდინარე, მტირალი ვაზი. ბუნება იღვიძებს განახლების მოლოდინში, მგრამ პოეტი და ერის ძველ. მაღლიან ძირზე შემორჩენილი ეული ვაზი სულ სხვა გაზაფხულს ნატრობენ – ერის სულიერ გამოღვიძება-განახლებას. სიტყვებში: „მამულო, საყვარელო, შენ როსლა აყვებდი?“ იგივე ტკივილია გამოთქმული, რაც „მგზავრის წერილებში“ მიმართვაში იმავე „საყვარელი მიწა-წყლისადმი“: „როდემდის მქონდეს ვე ტკივილი გულში, როდემდის...“

ის მხატვრული შინაარსი, რომელიც პოეზიაში მეტწილად შედარების და მეტაფორის სახით ვლინდება, მხატვრულ პროზაში ხშირად სიმბოლო-ალეგორიათა სახეს იღებს. აქ რომ რეალობის და მხატვრული ხატის ასოციაციური კავშირია მთავარი და არა სტილისტური ხერხის სახეობა, ამას მოწმობს სწორედ ამ ლექსზე მუშაობისას ილიას მიერ მარტივი შედარების ჩანაცვლება იმავე ლექსიკურ ერთეულზე აგებული მეტაფორით. ლექსის ადრეულ ავტოგრაფულ ვარიანტში იკითხება:

„...ბაღში, როგორც ობოლი,  
ვაზი ჩუმათა ტირის...“

საბოლოო ვარიანტის მეტაფორა კი ასე გამოიყურება:

„...ბაღში ვაზი ობოლი  
მეტის ღხენითა სტირის...“

სტილისტური ხერხების ჩანაცვლება სავსებით ბუნებრივია და რალა თქმა უნდა ტროპის არჩევანს ყველაზე მეტად ნაწარმოების ჟანრი განაპირობებს. მოთხრობაში „ოთარანთ ქერივი“ ოთარაშვილების ოჯახში სხვა არა არის რა, თუ არა სწორედ ის ობოლი ვაზი, რომელიც გუბედქცეული სოფლისაგან ზნეობის მაღალი და მტკიცე ღობით არის გამოყოფილი, თავს იცავს მათთან სულიერი ათქვეფისაგან. ის, რომ აქ მარტივ შედარებებზე ხშირად სიმბოლო-ალეგორიებია გამოყენებული, სწორედ ჟანრობრივი სპეციფიკით და მწერლის სტილით არის განპირობებული.

ეკლესიის მამათა განმარტებით, როცა ქვეყნად ვცხოვრობთ და ვსარგებლობთ მისი სიკეთებით, არ უნდა დაგვაიწიყდეს, რომ ეს ქვეყანა უფლის ვენახია. რომელიც ჩვენ მხოლოდ დროებით სარგებლობაში გვაქვს

ლეთისგან ნაბოძები, რათა მიეცეთ მას მოსავალი და თავის დროზე წარესდგეთ მის წინაშე ანგარიშით. წუთისოფელში ჩვენ უფლის მუშაკები ვართ, მის სარჩო-საბადებელზე დადგინებული. მოსავალი, ნაყოფი კი, რომელსაც უფალი მოითხოვს ჩვენგან – თავისი მვეწნახუებისაგან, არის კეთილი საქმეები მოყვასთა მიმართ.

აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ ალევორიული დატვირთვა ქჰონდეს იმას – ქვრივი შვილის დავაუკაცების შემდეგაც რომ აგრძელებდა ვენახში მუშაობას და საერთოდ ყველა ნიუანსს, რაც ვენახთან არის დაკავშირებული. „უფლის მვეწნახობა“ ისეთი საქმიანობაა, რომელსაც აღამიანმა თავი არ უნდა დაანებოს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე და ქვრივიც დაუზარებლად მუშაობდა. „ვენახს ძალიან კარგად უვლიდა, ძალიან აპატიებდა და ვენახიც კარგს მოსავალს იძლეოდაო“, ნათქვამია მოთხრობაში.

ალევორიული აზრისა უნდა იყოს ისიც, რომ გიორგიმ არჩილს სწორედ ვენახის ჩაყრის სწავლებისას მისცა პირველი გაკვეთილი და თან არა მხოლოდ მეურნეობაში, არამედ ადამიანობაში. როცა კესომ იგი აფორიაქებული ნახა და ჰკითხა, რა მოგსვლიაო, არჩილმა უპასუხა: „ის, ჩემო კარგო, რაც თავმოწონებულს არცოდნას მოსდის ხოლმე ყოველთვის. ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვეგონია, ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩაკვიდეთო...“ „ჩვენ ვთაკილობთ და არა გვეჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი, იგივე წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისთვისაც კი ოსტატიაო.“ ამრიგად, დაანახა რა თავისი „უეიცობის ცუდმდილობა“, გიორგიმ მას სხვაგვარი „მვეწნახუების“ გაკვეთილი ჩაუტარა. არჩილის მიერ ჩაყრილი ვენახი (ისევე, როგორც მისი წიგნიერი ცოდნა) გიორგის სწავლების გარეშე უნაყოფოდ დარჩებოდა, რადგან ისე იყო განლაგებული, რომ წყალი, რომელიც ქრისტტიანულ ლიტერატურაში და არაერთგან ილიას შემოქმედებაშიც ღვთაებრივი მადლის მნიშვნელობით არის ნახმარი, ვერ მიუღებოდა.

მხატვრული ნაწარმოების მთელი მიმზიდველობა იმაშია, რომ ამგვარი სიღრმისეული მარგალიტები მხატვრული ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ მწერალი მაინც გვიტოვებს ხოლმე პატარა ხელჩასჭიდს მათ მისაგნებად.

ქართველი კაცი ვენახს და მვეწნახუობას პირველ ყოვლისა კახეთთან დააკავშირებდა, მით უფრო, რომ ილია კახელი იყო და ეს კუთხე იყო მისთვის ყველაზე ახლობელი, მაგრამ მწერალი, ჩვენი აზრით შეგნებულად, ვვარიდებს ამ ფიქრს, რომ მოთხრობის მოქმედება კახეთში წარმოვიდგინოთ. იმავე ეპიზოდში, სადაც არჩილის მიერ უჯრა-უჯრად ჩაყრილი ვაზის შესახებ არის საუბარი, მწერალი გიორგის ნალაპარაკიდან ამჟამად მიგვანიშნებს. მოქმედება კახეთში არ ხდებაო. „სამი-ოთხი წელიწადი იქნება, – გაივიგე, რომ კახეთში ვერე უკეთებია ვენახი ერთს თავადიშვილს. გული არ დამიღვა. მინამ არ წავედი და არ ვნახე. ვნახე და მომეწონაო“, ამბობს გიორგი და იქვე ახსენებს განსხვავებასაც კახეთსა და მათ კუთხეს შორის: „აქ ჩვენში ხომ ნამი არ იცის, როგორც კხეთში და შშრალი მიწაც არისო.“ მთელი მოთხრობის

მანძილზე არ არის ნახსენები საქართველოს რომელ კუთხეში ხდება მოქმედება და აქაც არ იყო მაინცადამაინც აუცილებელი ამაზე მინიშნება. რაღაც სხვა განზრახვა რომ არ ქონოდა მწერალს. მაინც რა გვითხრა მან ამით? ჯერ ერთი, ყურადღება გაამახვილა მევენახეობაში გიორგის გულმოდგინებაზე. იგი იმდენად დაინტერესებული ყოფილა ჯაზის მოხერხებულად დარგვის ცოდნით, რომ ქვეყნის სხვა კუთხეში, სახლიდან ალბათ შორ მანძილზე წასვლა არ დაზარებია მის სანახავად. მეორეს მხრივ, მწერალმა, ისევე, როგორც სხვა მოთხრობებში. თავი აარიდა იმ აზრს, თითქოს მოთხრობაში რომელიმე ერთი კუთხის ამბავია აღწერილი და მის გმირებში აუცილებლად „კახური“ ან რომელიმე სხვა კუთხის კაცის ხასიათები უნდა ვეძიოთ და არა ადამიანის საზოგადო ტიპები. საყურადღებოა კიდევ, ერთი გარემოება, მოქმედება რომ კახეთში ყოფილიყო, ვენახის და ღვინის ასეთ ხშირ ხმარებას მკითხველი ამ გარემოებით ახსნიდა და არ დააკვირდებოდა ამ ივანური სახეების სიღრმისეულ შინაარსს.

ოთარაანთ ქვრივის შესახებ მოთხრობაში ნათქვამია: „რაც უნდა მდარე მოსავალი ყოფილიყო, სამს საპაღუნო ღვინოს მაინც გაჰყიდდაო ყოველწლივ... მაინც სახარჯოდ ღვინოს სამყოფხედ მეტს ინახავდა. ათის დღის მიწას ყოველწლივ ხნავდა სყიდვით იქნებოდა, ალოთი, თუ თავისის გუთნით. ათის დღისას უსათუოდ მოჰხნავდა და მოსთესავდა.“(მდრ. ილიას ნათქვამს, წუთისოფლის სუფრაზე მისატანად ყველამ „თვითონ უნდა მოჰოესოს, მოჰხნას...“)

გაჰყიდდა ღვინოსა და მომეტებულს პურს თუ არა, ფულს ხუთ ნაწილად ჰყოფდა და ხუთრიგად ინახავდა.“ დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მაგრამ მაინც გამიზნულად გვეჩვენება ბიბლიური საკრალური რიცხვების: „სამი“, „ათი“, „ხუთი“ გამოყენება. მოთხრობის ტექსტის მიხედვით ოთარაანთ ქვრივის შემოსავალიც, მისი საკვებიც და სხვისთვის გასაცემიც პური და ღვინოა. ის ფულიც, რომელსაც ქისებში დებდა, ისევ შემდგომი წლის პურისა და ღვინის მოსავალს ხმარდებოდა. პირველ ქისაში დებდა „სახარჯოს პურისა და ქერების სამკაღად, მოსაზიდად და საღეწად“; მეორეში – სახარჯოს „ვენახის სამუშაოსათვის“; მესამეში – გადასახადებისას; მეოთხეში – მოჯამაგირის საჯამაგიროს.“ ამას ყველაფერს გარკვეული თანხა სჭირდებოდა და ამიტომ ქვრივი დათვლით დებდა მათში, მეხუთე ქისაში კი ინახავდა ოჯახისათვის სახარჯო და ღარიბთა გასაკითხ ფულს. აქედან გამომდინარე, ამ ქისას ორნაირი სახელი ჰქონდა – „ფარსილას ქარვასლა“, ალბათ იმიტომ, რომ ამ ფულით, რაც ოჯახისთვის გარედან სჭირდებოდათ ამ სავაჭრო სახლში უნდა შეეძინათ და „შიოს მარანი“, ეს კი ალბათ იმიტომ, რომ გლახაკებს მისგან, როგორც დიდი იონან ზედაზნელის მოწაფის – წმინდა მამა შიოს სასწაულებრივი მარნიდან<sup>1</sup>, უხვად და უსასყიდლოდ მიეცემოდათ.

1. იხ. თელო სახოკია, ქართულ ხატოვან სიტყვა ოქმათა ლექსიკონი. თბ.1979



საინტერესო ის არის, რომ ოჯახის კერძო საჭიროებისათვის და გლახაკებისათვის მისაცემი ფული ერთ ქისაში იყო. ეს ნიშანია იძისა, რომ ქვივს თავისი და სხვისი მოთხოვნილება ერთგვარად გათანაბრებული ჰქონდა. – „რაც პირველს ოთხს ქისას გადარჩებოდა, ყველას მეხუთე ქისაში დაუთვლელად ჩაჰყრიდა და მინამ გამოილვეოდა. დაუთვლელადვე მსარჯავდა.“

საყურადღებოა, რომ ოთარაშვილების ოჯახის სისავსისა და სიუხვის მოუხდავად, სხვა საკვებ-სასმელი იქ ნახსენები არ არის, რაც ასევე მიგვანიშნებს პურისა და ღვინის სიმბოლურ მნიშვნელობაზე.

გლახაკებს ქვრივი ასევე პურითა და ღვინით აძლევდა მოწყალებას. ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს (ისიც ხორბლისაგან მზადდება) თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე „წვირილშილიან ქვრივ დედაკაცს“; გლახაკს წაიყვანდა და ერთ-ორიოდ ჩარეკას კაი ღვინოს გადაახუხებდა; ერთ გლახაკს გამოუტანა გასაკითხად ერთი უშველებელი შოთი და რომ ნახა, ფეხსუცმელობით ფეხები საცოდავად დახეთქოდა, კიდევ ექვსი შოთი აიღო. წაიყვანა და საქალამნე ტყავი უყიდა იმ პურების ფასად. ასე რომ სულ შვიდი პურით გაისტუმრა.

ეს ყველაფერი პურსა და ღვინოს შემთხვევით არ უნდა უკავშირდებოდეს. მაცხოვარმა თავისი ღვთაებრივი მადლით ხუთი პურით (და ორი თევზით) ხუთიათასი ადამიანი დააპურა, შემდეგ მსგავსი სასწაული მოახდინა შვიდი პურით (და მცირედი თევზით) და თუ არ ღვთის მადლით, ვერც მარტოხელა ქვრივი დედაკაცი შესძლებდა ხუთ ქისაში ჩაყრილი, თავისი შრომით მომუშაებელი ფულით ოჯახის ავსებასაც და კარზე მომდგარი ყველა გაჭირვებულის გაკითხვასაც. ამიტომ ეს პურიც მხოლოდ ცალმხრივი მნიშვნელობის მქონე ხორციელი საზრდო კი არ უნდა იყოს, არამედ იმ განსპეტაკებული ოჯახის სულიერი ღვაწლის მადლიანი ნაყოფი. ეს მხატვრული აღგვორიები კი უნდა ემსახურებოდეს იმაზე მინიშნებას, რომ ეს ოჯახი, ეს ადამიანებიც იმ წმინდა პურს არიან ნაზიარებნი, იმ პურისაგანნი არიან, რომლის შესახებაც პავლე მოციქული წერს: „ერთ პურ და ერთ ხორც ჩვენ მრავალნი ესე ვართ; რამეთუ ყოველთა ერთისა მისგან პურისა მოგუაქუს.“

როდესაც ქვრივი შვილის გულისწაღილს გაივებს, წინ არ აღუდგება მის განზრახვას: „დაუდუღარი მაჭარია და ბუფბუყებს. დაუდუღარს მაჭარს სარკველი არ დაეხურება, ჭურჭელს გააბეთქს. დეე თავის ნებზედ იყოსო...“ ცოტა ქვემოთ, გიორგის სათიფიდან ჩამოვარდნის ეპიზოდის წინ მწერალი გვამცნობს, დადგა შემოდგომა „დადუღდა მაჭრები“. „მზიარულმა მაჭრობამ თავისი დრო მოჭამა და მიჩუმდაო...“ ეს ალბათ მინიშნებაა მოახლოებულ სისხლიან მსხვერპლზე. უკანასკნელი რამ, რაც გიორგიმ იხმა სიცოცხლეში, ღვინო იყო. სიკვდილის წინ მან წყალი ითხოვა, მაგრამ ღვინო მოასმევინეს „ძალის მისაცემად“. შემდეგ ერთხელ კიდევ უკვე თავად ითხოვა ღვინო, რომ მისით განმტკიცებულს თავისი სათქმელი ბოლომდე ეთქვა.

ასეთი იყო ოთარაშვილების მადლიანი „პურ-ღვინო“.

მოსზრობა „ოთარანთ ქერიეში“ ვკითხულობთ, გიორგის ამბები არაერთხელ გაუგიათ არჩილსა და კესოს და არაერთხელ „გაჰკვირვებით მისი ზნე და ხასიათი. ვერ გამოეცნოთ, გლეხკაცობაში საიღამ და როგორ უნდა დაწნულიყო ამისთანა ზნე, ამისთანა ხასიათი. — „ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, ამ ქვეყნიერებაში იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსაო“ — ეტყოდა სოლმე არჩილი თავის დას ჰამლეტის სიტყვებს, როცა გიორგიზედ ჩამოუყარდებოდათ ლაპარაკი. გამოუსვენელს გამოცანას ამით მოულებდნენ ხოლმე ბოლოს.“

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ უბრალოდ ხასიათის უცნურობაზეა ლაპარაკი, მაგრამ ცოტა ქვემოთ, მკითხველისადმი თავისი ერთადერთი მიმართებით: „გიორგი, როგორც ჩემთვის, მკითხველო, ისეც იმათთვის გამოცანა იყო“ ავტორმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ გმირის განსაკუთრებულ, ადამიანური გონებით ჩაუწვდომელს ღვთაებრივ მადლზე მიგვანიშნებს. კიდევ უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავის უკანასკნელ პროზაულ თხზულებაში — ეტიუდში „უცნაური ამბავი“, პატარა პატიკოს ბუნების ასახსნელად მწერალი შექსპირისეულ ზუსტად იმავე ციტატას იყენებს: „ჲინ გაიგოს, ბაშვის პატარა ჭკუამ და პატარა გულმა ამ შემთხვევაში თვალი რადა და როგორ აახილა და ერთმანეთს რა მიაწოდა. ამაზე, რასაკვირველია, ბევრი რამ ითქმის, მაგრამ ჰამლეტისა არ იყოს, ბევრი იმისთანა საიდუმლოა ქვეყანაზე, რომელიც ჩვენს ფილოსოფოსებს სიზმრადაც არ მოეჩვენებიათ ხოლმე.“ გიორგის თავისებურებას „უცნაურ ხასიათს“ მიაწერენ, ეტიუდს კი ალბათ პატარა გმირის ასეთივე ხასიათის გამო „უცნაური ამბავი“ ეწოდება. განსაკუთრებული ღვთიური მადლმოსილების გამო არის სწორედ უჩვეულო „გლახის ნაამბობის“ მღვდლის სახეც. აქ გაბრძნულს პირდაპირ ათქმევინებს მწერალი: „დაილოცა ღვთის სიძლიერე, იმისი გზა და კვალი გაუგებარია! როგორ ეტეოდა ამოდენა ხალხის გულისტკივილი იმ ერთ გულშიო“.

ასეთი ადამიანები ხშირად საზოგადოებისაგან განსხვავებულად ცხოვრობენ და გარშემო მყოფთ უჭირთ მათი გაგება. „გიჟია, თუ რა?“ — ასე ქვია მოთხრობის ერთ ქვეთავს, რომელიც გიორგის ეხება და მასში თანასოფელელთა პირით რამდენჯერმე მეორდება ერთი და იგივე აზრი: „ეს კაცი ან გიჟია. ან ღვთისაგან მოგზავნილი...“ „ეგ კაცი ან გიჟია, ან ერთი რამ ღვთის ნიშანია მაგის თავზედ.“ იქვე ახსენებენ მისი მშობლების „მოუსვენრობასაც“ და დაასკვნიათ: „მაგათში ან ღიღი ცოდო პტრიალებს, ან ღიღი მადლიო.“ რა თქმა უნდა, აქაც მინიშნება ღვთაებრივ მადლზე შემთხვევითი არ უნდა იყოს. მაგრამ რაკი იგი ასეთი ძნელი შესაცნობია, ალბათ აუცილებელია, რომ ყურადღებით დავაკვირდეთ ამ გმირებთან დაკავშირებულ ყველა დეტალს.

გიორგის სახესთან დაკავშირებით მრავალი ურთიერიგამომრიცხველი

ახრი აქვთ გამოთქმული კრიტიკოსებს. ტექსტის სიტყვასიტყვითმა გაგებამ, მხოლოდ სიუჟეტზე დაყრდნობამ და მხატვრულ სახეობა აუხსნილობამ გამოიწვია ილიას შიერ მთელი რუდუნებითა და სიყვარულით შექმნილი ამ ვმირის სახის არასწორი აღქმა. ცნობილი მეცნიერი კიტა აბაშიძე წერდა: „სქესობრივ გრძნობას სწირავს სიცოცხლეს და ამ გრძნობის წინშე უარყოფს ყოველივეს – მამის ანდერძსაც, დედის ამაგსაც და ერთგულებასაც“.

სულიერად გაწონასწორებული ადამიანი ყველასადმი გრძნობს ადამიანურ სიყვარულს. ქალის მიმართ ვაჟს შეიძლება ლტოლვაც .ქიანდეს. მაგრამ დავაკვირდეთ ამათგან რომელი იმარჯვებს გიორგის სახეში. ეს ჭიდილი ორი გრძნობისა საუკეთესოდ არის აღწერილი ეპიზოდში. სადაც კესო უხსნის გიორგის, როგორი ბალის გაშენება უნდა. კესო თავისთან ახლოს მისვლას სთხოვს, რომ ნახაზი აჩვენოს. გიორგის ფეხები ეკვეთება. არ ემორჩილება და ხედვითაც ვერაფერს ხედავს. თავდაც უკერს. რა ეშართება და ფიქრობს: „ჯადო მეწვეა ეკან თუ ხატი არ მიშვებს წინო“ გიორგის. რა თქმა უნდა. უყვარს კესო, მაგრამ იგი გონებას არ კარგავს. თუმც პირადად მისთვის წოდებრივი ბარიერი არ არსებობს, მას რეალურად აქვს გაცნობიერებული, რომ კესოს გული სწორედ ამით არის დაბრმავებული. ამ ცხრაკლიტულშია ჩაკეტილი. გიორგის ძალიან უყვარს. მაგრამ გულისთქმების ტყვე არ არის და სულიერ სიფხიზლეს ინარჩუნებს – იქნებ ხატი არ მიშვებს წინო. ფიქრობს. იგი მართლაც „ხატმა“ დაიფარა, ღვთის მადლმა დაიცვა და სწორედ ამ მადლის შემწეობით მასში სულიერმა გრძნობამ ხორციელ ლტოლვაზე გაიმარჯვა: „ხატმა არ ვაუშვა წინ“ და ესლა ამოილაპარაკა: „ეხლა დამითხოვე. შენის ღმერთის გულისათვის...“ გიორგი აბსოლუტურად არ ცდილა კესოს გულის მონადირებას. მან უარი თქვა ებრძოლა საკუთარი ბედნიერებისათვის და ამიტომ მიიღო უფრო დიდი საზღაური. თავისი უსიტყვო სიყვარულით. უანგარო მზრუნველობით და ჩუმი სიკეთით გიორგიმ შესძლო თავისი საყვარელი ადამიანი სულიერად მონადირებისა, აემაღლებინა.

რამდენად სწორია, რომ გიორგიმ დედის ამაგს და ერთგულებას უღალატა. „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არ სჩანან“, ეუბნება მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“ მღვდელი გაბრიელს და ქვეყნის სამსახურში ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ერთი ადამიანის გადარჩენას გულისხმობს. „რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამა. თვისი და დედა თვისი და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და მერმე კუალად სულიცა თვისი. ვერ ხელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა...“ ეუბნება მატხოვარი შეკრებილ ერს (ლუკა 14.26).

სახლიდან გიორგი, რა თქმა უნდა კესოს სიყვარულს მიჰყავს – წრფელ სურვილს. რომ მის სიახლოვეს იყოს და მას ემსახუროს. მაგრამ ამასთანავე იგი ქვეცნობიერად ემზადება სხვა. სულიერი მოვალეობის აღსასრულებლად. დედაც არ უშლის წასვლას იმიტომ, რომ ქვეყნის და არა

მარტა საკუთარი ოჯახის სამსახურის მოვალეობის შეკრძობა სწორედ მან აღზარდა თავის ვაჟში.

გიორგის ოჯახიდან წასვლას ნაწარმოებში დიდი მხატვრული დატვირთვა აქვს. ქვრივის სიტყვებიდან ჩანს ამ მოვლენის მნიშვნელოვანი განზოგადება: „მე დედა ვარ და წამავალი. ის შეილია და მომავალი; მე მიედივარ და ის მოდის. იმისი დღენი გასაკვლელი მინდორია. მე კი ჩემი მანძილი გამივლია. მე ბოლოში ვარ, ის თავში. წინ ვერ აეფარები.“ გიორგის სახილდან წასვლა ალგვარიულად კანონზომიერი დამოკიდებულებაა მომავლისა აწმყოსთან. ქვრივსაც. თუმცა ადამიანურად გული სტკივა და ძალიან განიცდის. ესმის ეს აუცილებლობა. აწმყო რომ მყოფადს ჩამოეკიდოს და უთხრას, „შენი გზით არ წახვიდე, სულ ჩემს გვერდით იარეო. ამით ხომ თავადვე მოკლავს თავის მომავალს.“

რას ნიშნავს ქვრივის სიტყვები: „დედაშვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს?... თუ აქვს. რად უჭრის ერთი თავისად. მეორე შეილისად? გული რად იხედება გარედ ორის თვალითა, რად? რატომ ერთი თვალი არ ებრმავის. როცა მეორე იყურება, ვინ ვისთვისაო. — რა საკითხავია დედა-შვილობაში? ვაი რომ საკითხავი ყოფილა. ამისი ჭიდილია თურმე დედაშვილობაცა.“ თვალი, რომელიც თავისად იყურება. რომელიც ქვრივს ტკივილს აყენებს და უძძიმებს შეილის სახილდან წასვლას — აი, შვილი მიდის და უკან არც კი იხედებაო. რომელიც გულს უტეხს და სასოწარკვეთილებისაკენ უბიძგებს. ხორციელი თვალია, მაგრამ მეორე — სულიერი თვალი აღბათ მოაგონებს, რომ ასეც უნდა მომხდარიყო. რადგან არსებობს შეილისათვის კიდევ უფრო დიდი ვალი. რომლის გამოც მან უნდა უარყოს სხვა ყოველივე ქვრივმა იცის, რომ გზების გაყოფისას და ასეთი ჭიდილისას ეს ორი თვალი ერთმანეთთან ვერ მორიგდება და ამიტომ საოცარ გადაწყვეტილებას იღებს — მთელ ძალაუფლებას იმ მეორე — სულიერ თვალს უტოვებს და ამბობს: „არა, შეილო! — შენ გაიხარე, შენ! მე კი... მე კი... მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრძვეებ და შენისად მაყურებელით-ღა ვივლი და ვიცოცხლებო.“ „ორი თვალის“ ამგვარ მხატვრულ შეპირისპირებაში. რა თქმა უნდა. მატერიალურ ორგანოზე არ არის ლაპარაკი. აქ არც საკუთარი და შეილის ინტერესების შეჯახებაა მხოლოდ. არამედ არის ძალიან ღრმა დაპირისპირება სულიერ და ხორციელ ხედვას შორის. თვალზე, როგორც „სანთელზე გუამისაზე“ და ორი ბატონის მონობის შეუძლებლობაზე არის საუბარი მათუც სახარების მეექვსე თავში. იღია რომ ამ საკითხით ძალიან დაინტერესებული იყო ჩანს სწორედ „ოთარანთ ქვრივზე“ მუშაობის პერიოდში დაწერილი ერთი პუბლიცისტური წერილიდან „ქართული თეატრი“. სადაც იგი სწორედ ხორციელ და სულიერ თვალზე საუბრობს და გულისტკივილით აღნიშნავს: „ჩვენში ხორციელი თვალი უფრო მოქმედობს. ვიდრე სულისაო.“ ამზევე მტყველებს მისი გამოთქმა — „სულიერის თვალის ახილება“.

ამრიგად, ეს ეპიზოდი. რომელშიაც ქვრივის განცდება აღწერილი.

ფაქტიურად არის მის ბუნებაში მომხდარი უდიდესი გამარჯვება სულიერისა ზორციულზე და გმირის ხასიათის სრულყოფილი ანალიზისათვის ამ ეპიზოდს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ქვრივი თითქოს ასრულებს მაცხოვრის სწავლებას: „უკუეთუ თუალი შენი მარჯუენე გაცთუნებდეს შენ, აღმოიღუ იგი და განაგდე შენგან...“ იოანე ოქროპირი ამ ეპიზოდს ასე განმარტავს: „არათუ ასითათვის იტყვიან. ნუ იყოფინ! რამეთუ არასადა იტყვის ბრალსა ასოთასა, არამედ ბრალობაჲ ბიროტისა მის გონებისაჲ არს: არათუ თუალი ხელაქს ენებულად. არამედ გულისსიტყვაჲ მიახედვიეს...“

ცხოვრებისეულ რეალობაში აწმყო-მომავლის ამგვარი დამოკიდებულებების შესახებ ილიას არაერთხელ აქვს გამოთქმული აზრი თავის პუბლიცისტურ წერილებში: „დიად. ბატონებო. ხვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერში. ღმერთმა ადიდოს. ასახელოს და გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობინება ქვეყნის სამსახურში და რომელიც ვერე ვჭირება ჩვენს საყვარელ საქართველოს.“ ჩვენი წინაპრები ამბობდნენ: „ის ურჩენია მამულსაო, რომ ჩვენი შვილები ჩვენა გვეჯობდნენო ჩვენ რაღა გეთქმის, ჩვენ. რომლებიც იმათ წინშე ქონდრის კაცებად თუ ჩავითვლებით.“ „ხვალე არ უნდა ჰგავდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა აღამიანისა ფუჟ; სიტყვად არ მიაჩნია.“ აი, წინსვლის ამ უბერებელ კანონს ებორჩილება ეიორგი. როდესაც სახლიდან მიდის. აქ ისევე არ არის დედის უპატივეცემულობა, როგორც „გლახის ნამაზობის“ მღვდლის მოქმედებაში – მღინარეში ჩაყარდნილი კაცის გადასარჩენად თავი საფრთხეში რომ ჩაიგდო. თუმცა გაბრიელისა უსაყვედურა: „თუ შენი თავი არ გებრალეობდა, დედაშენს მაინც შეიბრალედი. უფრო ცოდვა არ იქნებოდა, რომ მოხუცებული დედა უპატრონოდ დაგეგდო ამ ტრიად ქვეყანაზედო?“ მაგრამ, როგორც მღვდელმა თქვა, ამგვარი საქციელი უსიყვარულობა-უპატივეცემულობის ნიშანი კი არ არის, არამედ იმის ნიშანია, რომ „იმის ძეძუმ კაი საქმე შეაძლებინა“, რადგან, როცა დრო მოუვიდა. დედის ჭირნახულს ყვაილები გამოატანინა.

როგორ მიდის გიორგი არჩილის ოჯახში? იგი არ მიდის იქ. როგორც მოჯამავირე. ჯამავირს არ ითხოვს და არც აუღია. არც იმისთვის მიდის, რომ მათგან რაიმე ისწავლოს. პირიქით, არჩილი ამბობს, მე გიორგის შეგირდად მივებარებიო. შემთხვევით არ არის აღწერილი ასე დაწერილებით, რომ დედა გიორგის ქვეშაგებიანად ყველაფერს ატანს ოჯახიდან. მას ქვეშ დასაგები და ზემოდან დასახურიც კი თავისი მიაქვს და მიდის არა იმიტომ, რომ სხვისი ცხოვრების წესი გაიზიაროს, არამედ იმისთვის, რომ თავისი შეიტანოს მათ ოჯახში. ასე რომ სწორი არ არის, მაფრამასავით მოკრული ეს ბარგი მზითვეს რომ შეადარეს და გიორგის „გადედლების“ ნიშნად წარმოაჩინეს.

რაც შეეხება ბრალდებას: „გიორგის მიერ მეჯინიბის ცემას მოხელეებრივი

„დამსახურების“ სუნი უდის, სხვის ტყავზე კარიერის გაკეთების ფერი აქვს. თუმც ჩინის ადგილი აქ კესოს გულს უჭირავსო“. თუმც ეს მოსაზრება მის ავტორს – კიტა აბაშიძესაც შემდეგ გამოცემებში აღარ გაუმეორებია და სხვებმაც არ გაიზიარეს, დასაბუთებულად არავის გაუბათილებია და ალბათ ამიტომ, ერთგვარი ხინჯი მაინც დატოვა ამ გამირისადმი მკითხველის დამოკიდებულებაში. არადა ეს რომ ასე არ არის, ამის დამამტკიცებელი არგუმენტები თითქოს წინასწარვე გაგვიმზადა მწერალმა.

რომ არ გვეფიქრა, გიორგი სხვის საქმეში იმიტომ ერეოდა, რომ მართალი კაცის სახელი უნდოდაო, არჩილს ათქმევინა, მეჯინიბეს რომ ყვირილი არ აეტეხა. გიორგის ნამოქმედარს ვერ გავიგებდითო. არჩილსავე მოაყოლა: რომ გავიგე, გიორგიმ ერთი გლეხის კამეზი დაიჭირა და მეორეს მიაყენა კარზე, შენს ჯეჯილს აფუჭებდაო, ვიფიქრე კამეზის პატრონის ჯავარი სჭირებიაო.“ არჩილი თავის შეცდომას აღიარებს: „ღმერთო შეგცოდე... ესხლა ენანობ. რომ ეს გაეფიქრე და ამ ფიქრით შევეუჩინე ნამუსი მაგ პატიოსანს კაცსაო.“

მწერლის გულმოდგინება იმისათვის, რომ მართლაც „ნამუსი არ შევეიგინო“ მის მიერ ასეთი სიყვსრულით და რუდუნებით შექმნილ მხატვრულ გამირს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა გიორგის თივის ზენზე ასვლის წინა ეპიზოდში. რომ არ ვიფიქროთ, არჩილისა და კესოს წინაშე თავის გამოდება უნდა გიორგის და იმიტომ აძლევს შენიშვნას თივის ზენზე ასულ მოხუც პეტრესო, ავტორმა საგანგებოდ აღნიშნა: „ომ მშრიგ, საიდაამც გიორგი მოდიოდა, არჩილს წინ ურემი ეფარა და ურმის გამო ვერც გიორგი დანახაუდა არჩილსა და კესოს. ვერც ესენი გიორგისაო.“ ალბათ აქ მეტი კომენტარი აღარც არის საჭირო.

არ არის სწორი, თითქოს გიორგის არასრულფასოვნების კომპლექსი ჰქონდეს თავისი სოციალური მდგომარეობის გამო. კესოსადმი გიორგის კრძალვა სიყვარულით არის გამოწვეული და არა ამგვარი შეზღუდულობით. ამის უტყუარი საბუთია ის, რომ არჩილისადმი დამოკიდებულებაში იგი აბსოლუტურად თავისუფალია, შეუზღუდავადც იტყუება და, როცა საჭიროება მოითხოვს, შეცდომაზეც დაუფარავად მიუთითებს თავადიშვილს. მისი ბუნებითი თავაზიანობა და თავდაჭერილობა სიბენჯვედ არ უნდა ჩაეუთვალოთ.

რაც შეეხება სიზარმაცესთან, დაუდევრობასთან და უსამართლობასთან ბრძოლის გიორგისეულ ზერხს. თავდაპირველად იგი ყოველგვარ ცოდვას მხილებით და წინააღმდეგობის შემთხვევაში ფიზიკური ანგარიშსწორებით ებრძოდა და თუმც მიუკერძოებელი იყო, ნაყოფი განსაკუთრებით მაღლიანი არ ჰქონდა. მოჯამაგირის, მეჯინიბის თუ ბავშვობაში მასზე სუსტის დამბრძოლებელი ბიჭის ცემით გიორგიმ გამოხატა თავისი დამოკიდებულება და შეურიგებლობა სიზარმაცის, დაუდევრობისა და ძალმომრეობისადმი, მაგრამ მათში, ვისაც ის სჯიდა ამა თუ იმ სიგლახის გამო, მის მოქმედებას სინანული არ აღუძრავს. გიორგი თავისი საქციელით აღადგენდა ხოლმე მიწიერ

სამართლიანობას (ლილები პატრონს დაუბრუნა, კამეზები გამოხსნა, ცხენს უპატრონა), მაგრამ სულიერ ასპექტში ამით გარეშოზე ვერაუთარ ზემოქმედებას ვერ ახდენდა. ყმაწვილი თელოც, ომარაშვილის მოჯამაგირეც და არჩილის მუჯინბეც შორს იყენენ სინანულისაგან. სულ სხვა რამ მოხდა იმ შემოდგომაზე, როცა „მაჰარი დაღინდა“ და „თივის ზენს თავი დაედგა“. მაშინ გიორგიმ სულ სხვა მადლი მიიღო – ჩხუბის გარეშე, მუშტების მოუშეველებლად. მხოლოდ თავისი სიმშვიდით, სიყვარულით და თავგანწირვისათვის მზადყოფნით მან მოიპოვა უდიდესი გამარჯვება – ორ ადამიანს აუხილა სულიერი თვალი და გამოაფხიზლა.

გარკვეული მხატვრული დატვირთვა უნდა აქონდეს მოთხრობაში აღწერილი სოფლის სახელსაც. „იმ ვეებერტელა სოფელში, რომელსაც თუნდა „წაბლიანს“ დაეარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქერიეი.“ ჩვენ უკვე მივეჩვიეთ, რომ მწერალი მნიშვნელოვან მხატვრულ ხერხებს თითქოს სხვათაშორის გეაწვდის ხოლმე, სინამდვილეში კი ღრმა ალეგორიას აქსოვს. არც ეს სახელი – „წაბლიანია“ გაუაზრებლად არჩეული. სოფელს, სადაც ქერიეი ცხოვრობდა, იმიტომ ქვია წაბლიანი, რომ გვირი, რომელზედაც არის მოთხრობილი ნაწარმოებში და რომლის სახელსაც იგი ატარებს, სწორედ რომ წაბლს გავს – გარეგნულად ეკლიანია და შინაგანად – გულსავსე. მტირეწლოვან შეილთან მარტო დარჩენილი ახალგაზრდა ქერიეი გარეგანი „ეკლებით“ თავს იცავს წუთისოფლის საფრთხეთა და საცდურთაგან – საიმედოდ ზრდის და ნელნელა მადლით ავსებს თავის გულისნაყოფს – ერთადერთ ეაჟს და რაკი კარგად გაზრდის და მოამწიფებს, წაბლივით ეკლებს გადახსნის, გაათავისუფლებს და მომავლის გზას დაულოცავს.

ქმრის სიყვარული ოთარაანთ ქერიეს მისი გარდაცვალების შემდეგაც არ დაუკარგავს. მის „ანდერმს არ უღალატა“, „ოჯახიც შეინახა“. „შვილის მოელას ხომ ზედ შეაღია თავისი ყმაწვილქალობა.“ „თუმცა ბევრი მოხონელი ჰყავდა... არ გათხოვდა და არა. მერე რა პირით-ღა შეეყვრები საიქიოს ჩემს ქმარსაო.“ „მამაშენს ვუღალატო!.. შენ გაგცე!..აი, უწინამც დეღამიწა ვაირღვევა და შიგ ჩამიტანსო“, ეუბნებოდა გულში მამით დაობლებულ თავის პატარა ბიჭს. ასეთ ქერიეებს პავლე მოციქული ტიმოთესადმი პირველ ეპისტოლეში „ჰქმარიტ ქერიეს“ უწოდებს და ქმრისადმი მის ერთგულებას სარწმუნოებრივ ერთგულებასთანაც კი ადარებს.

1886 წელს ილიამ გამოაქვეყნა წერილი ქართველი მანდილოსნის – ნინო დადიანის ასულ ბაგრატიონ-მუხრანსკის შესახებ. ამ ქალბატონს, ილიას თქმით, შეეძლო ქალაქის ყოველგვარი სიამოვნებანი ხელთ აქონოდა, მაგრამ წაივიდა სოფლად, დღე და ღამე ათენა და გაასწორა შრომითა და მხნეობითა. ქალბატონ ნინოს ილია თელის დედაკაცად, რომელსაც მიესადაგება სოლომონ ბრძნის სიტყვები: „დედაკაცი მხნე ვინ ჰპოვოს, უძვირეს არს ქვისა მრავალსასყიდლისა.“ „ამისთანა დედაკაცს მოწყენისათვის მოცლა არა აქვს, იგი ყოველთვის გართულია და გართულია ისე, როგორც ქმენის ღვთის

მსგავსებით და სახით დაბადებულს ადამიანსაო“ წერს ილია და უნებლიედ გვახსენდება ქერივი და მისი სიტყვები: „ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა. წუთისოფელი ვის აცლის მარტოობისთვის?“ არ ვიცით, იქონია თუ არა რაიმე გავლენა ქერივის სახის ჩამოყალიბებისას ქალბატონი ნინოს პიროვნებამ. მაგრამ. თუ გავითვალისწინებთ, რომ სტატია სწორედ „ოთარაანთ ქერივზე“ მუშაობის დროს დაიწერა. ასეთი რამ გამორიცხული არ არის.

ნაწარმოების დასაწყისშივე მოთხრობილია ერთი ამბავი. გზირმა ქათამი წაართვა ქერივს. „დიამბევი მობძანდა, სოფლად ქათმებს ვაგროვებთო“, რის გამოც ნათქვამია: ქერივმა „გუბერნატორამდე თავის ფეხით იარაო და ერთი ქათამი შეიდეულად დაუსვა მოურიდებელს გზირსაო. თუმცა თვითონ ქერივსაც ერთი ათიოდ მანეთი შემოჰხარჯოდა მისვლა მოსვლაში, მაგრამ ამას ამბობდა თურმე: „ფული რა არის?! ხელის ჭუჭყია... ერთი მანეთი რა სათქმელია!.. ჯავრი რომ არ შევარჩინე, ეს რაღა პღირს! ტყუილუბრალოდ რომ არ დავეჩავერინე. ცოტაა?!“

ნაწარმოებში პირდაპირი სახით არ ჩანს ამ ფაქტისადმი მწერლის დამოკიდებულება, მაგრამ პუბლიცისტიკაში ხვდებით ისეთ აზრებს, რომლებიც ნათელს ქვენს ქერივის ამგვარი ქცევის მოტივაციას. ილიას აზრით „ბიწისაგან აღშფოთებული გამწვავებული გრძნობა ადამიანობისა... კაცს ვალად სდებს ბიწს ბიწის კარამდე სღიოს.“ 1887 წლის 25 ივნისს გამოქვეყნებულ ერთ სტატიაში კი, რომელიც, როგორც ჩანს, ოთარაანთ ქერივზე მუშაობის პროცესში დაიწერა, აღწერილია ერთი უსამართლოდ დაჯარიმებული პრუსიელი სოვდაგრის ამბავი. მან დაახლოებით ერთ მანეთიანი ჯარიმის გამო დიდ სახელმწიფო სამართალში – რეიჰსგერისტში იჩივლა. „სასაცილოა განა, მკითხველო, ასეთი დავიდარაბა ერთის მანეთის გულისათვის.“ წერს ილია, „მერე ვისგან? მღიდარის სოვდაგრისაგან. ჩვენებური კაცი მაშინვე ამოიღებდა ქისილამ ერთს მანეთს და დაამწყრალებდა პოლიციას, მაგრამ აქ საქმე განა მარტო ერთს მანეთზე! რა არის ერთი მანეთი მღიდარის სოვდაგრისთვის, ხელის ჭუჭყია, მტვერია და სხვა არაფერი. მაგრამ აბა ახლა შიგ ჩაიხვედეთ ამ საქმეში, გუნება და ბუნება გაუგეთ, მაშინ სიცოლის მაგიერ გრძნობა პატივის-ცემისა მიგახვედრებთ ამ სოვდაგარზედ. ცხადია, მღიდარს სოვდაგარს ის კი არ ანალელებს, რომ ერთი მანეთი ერთმევა, არამედ ის, რომ მისის აზრით კანონი და სამართალი ირღვევა... აი ნამდვილი, ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი თავგამოდება, აი, ჭეშმარიტი ქველობა კაცთა საზოგადოების წევრისა.“ თუკი სოვდაგრის საქციელი ასე შეაფასა ილიამ, აშკარაა, რომ ქერივის ამ მოქმედებისადმიც ისეთივე დამოკიდებულება ექნებოდა.

რატომ ამხელს ოთარაანთ ქერივი თავის თანასოფლელებს ასე დაურიდებლად და დაუნდობლად? ილიას მიაჩნდა, რომ თუ ადამიანი გიყვარს,



მასში რაღაც ცუდს ხედავ და მისი გამოსწორება გინდა, უნდა ამხილო. „როგორც მტერშია დაუნდობლად შენიშნავ ნაკლულევეანებასა და მკაცრად სდევ. ისე შეილშიაც უნდაო, რომ მოყვრულად გამოვადგესო. ამბობს ხოლმე ჩუანი გლეხკაცის გაუწიოლებელი ჭკვა, რომელიც უკეთესია ბევრ ცრუ სხივიო განათლებულ და ეპოლექტიბიან ჭკვაზედა.“

ქერივს მთელი სოფელი საკუთარი ღვიძლიყიას სტკივა და ამიტომაც არავის მხილვას არ ეჩიოდება. თავის თავს ვალად სდებს ყველას გამოსწორებაზე იფიქროს. გარშემო მყოფთა მიმართ ადამიანის ამგვარი დამოკიდებულების შესახებ ილია წერს: „ავის საქციელის მდევნელი ზრდილობიანი. მართებული. გონება-გახსნილი პატიოსანი კაცი რისთვის აღიძვრის ხოლმე დევნად? იმისათვის ხომ არა, რომ ზოგიერთობისავით სიხარულით ქული ჭერსა ჰკრას, აცა ჩემს მომძეს ძლივს ცუდი ეუბოეო და ძლივს ჩემს ლანძღვიო საცე გუდას პირს მოუუხსნიო. არამედ იმისთვის, რომ ან ავის მოქმედს ავი მოაშლევინოს, ან ავზედ სხვას აუხილოს თვალი... რაც გულისტკივილით და წრფელიობით არის ნათქვამი. ბუნებითად არც სათაკილოა, არც საწყენი.“

ქერივი დახმარებას ყველა გაჭირვებულს აძლევდა, უარით არავინ გაუსტუმრებია. ამიტომ მისი მწარე ლაპარაკი ქვეცნობიერი სიძუნწის წუწუნის კი არ არის, არამედ გულშემატკივრის პირდაპირობაა. ილიას აზრით „გლახა მთხოვრობით ცხოვრება პირველი რომ... თითონ ადამიანის ღონის მომშლელი და დამღუნებელია და მეორე – არც შემძლებელია, რომ ადამიანი მართლა ფეხზედ დააყენოს, გამოაბრუნოს და ოდესმე თავისით აცხოვროს, თავისით გამოაკეთოს. გლახა-მთხოვარა, რამოდენადაც წაქეზებულია. სხვის გულშემატკივრობისაგან, იმოდენად თანდათან უკან მიდის, იმოდენად სული და გული უღონდება, უკვდება და ბოლოს ისე გამოდის, რომ მთლად გადაეჩვევა თავის თავის პატრონობას და მოვლას. ამ გადაჩვევას ხომ უღონო, დაუძღურება სულისა და ხორცისა მოსდევს...“ ამიტომ თუ აფხიზლებდა ქერივი გლახაკებს მწარე სიტყვით, რომ ხედავდა მათში მცირე შემძლებელობას მაინც საკუთარი თავის მისახედად. ეს ჩანს ერთი გლახაკისადმი ნათქვამ საყვედურში. იქნება ქლამანის ამოსხმაც არ იციო. განსაკუთრებით კი წერილშიელიანი ქერივი დედკაცისათვის ნათქვამ სიტყვებში: „რისთვის მოუცია ღმერთს ევ ბარძაყის ოდენა მკლავები!... ხელის განძრევა რომ არ გინდა და სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულს ძვალს გადმომიგდებენო.“ მართალია, ქერივი ძალიან მკვახედ ლაპარაკობს, მაგრამ იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ იმ ადამიანებზე მისი ამგვარი ლაპარაკიც კი არ მოქმედებს და მაინც ძველებურად ცხოვრობენ, უნდა ვიფიქროთ, ქერივმა იცოდა, რომ მათი გამოფხიზლება ასე იოლი არ იყო.

ნაწარმოებში გმირის სახე წარმოჩინდება მისი სიტყვით, საქმით, ფიქრით, სხვათა შეფასებით. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ავტორს წინასწარ აქვს

მოფიქრებული გმირის სახის მთლიანობის გამოსაკეთად. ამას ზოგჯერ ემატება თვით ავტორისეული რემარკები და გმირთან დაკავშირებული ყველა დეტალის აღსაწერად გამოყენებული სტილისტური ხერხების მხატვრული ეფექტი. ამიტომ ამა თუ იმ გმირის სახის განხილვისას არ არის საკმარისი ან მარტო საკუთარ თავზე მისივე შეხედულებით მსჯელობა ან მხოლოდ სხვათა აზრზე დაყრდნობა. ყველაფერი ერთმანეთთან უნდა შეჯერდეს, რომ მივიღოთ ავტორის ჩანაფიქრთან დაახლოებული მონოლითური სახე.

ილიას ზოგიერთი გმირის (მაგალითად ლუარსაბი) სიტყვა და საქმე შორიშორს არის ერთმანეთისაგან, რისი მიზეზიც მათი არააღელწრფელობა და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენაა. ოთარაანთ ქვრივის ტექსტს თუ დავაკვირდებით. აქაც ენახათ მთავარი გმირის სიტყვასა და რეალობას შორის შეუსაბამობას. გლახას რომ ქალამნები უყიდა, ფაქტია იცრუა. მაგის ვალი მემართა თორემ საკუთარ თავს ლუკმას არ მოვაკლებდი და მაგას არ დავახარჯავდიო. გიორგიმ რომ უთხრა. დედი, ძილში სულ იმას იძახდი: „ღმერთო, მიხსენო“, იუარა, მე ცხადლივ მეჯავრება ტყუილებრალი ღიჭინო. მაგრამ ესეც ფაქტი იყო. კესოს რომ უნდოდა ეთქვა „ვარო შენის ლოცვითა და კურთხევითო“, მაშინაც ისე აფორიაქდა, როგორც გიორგის ნათქვამზე. სიტყვა შუაზე გააწყვეტინა: „მე ჩემთვისაც არა ვლოცულობ ღმერთი არ შევაწუხო მეთქი და თქვენთვის სად ვილოცებდიო...“ ალბათ ესეც ისეთივე სიმართლე იყო, გლახაკს საუკეთესო ღვინოს რომ დააღვინებდა და ეუბნებოდა: „ნუ გეგონოს კი, რომ მადლს გიმვრებოდე რასმე, აი, ქვევრში რაღაც წუმპე ნამირალა დამრჩა. მაინც გადასადგრელია და ბარემ შენ ჩასცეცხლოო. „ხოლო რაჟამს იქმოდე ქველის საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა. ვითარცა იგი ორგულთა ყვიან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა რაჰთა იდიდნენ კაცთაგან. ამინ გეტყვი თქვენ, მიუღებთს სასყიდელი მათი...“ ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქველის საქმესა, ნუ სცნობნ მარცხენე შენი რასა იქმოდის მარჯუენე შენი“. ბრძანებს მაცხოვარი (მათე 6.2) „ჰვეშმარიტ ღირსებას ყვირილი არ უნდა. მისი ბუნება და თვისება ის არის, რომ მით უფრო სასახელია და საგულელები, რაც უფრო მღუმარაა“. წერს ილია: სიყვარულს, სიკეთეს სათნოებას მალეა უნდა, რომ აღამიანთა ქებით და სახელის მიხვეჭით უფრო დიდი სასყიდელი არ დაკარგოს აღამიანმა. აი, ამიტომ მალავდა ქვრივი თავის მადლს ასე გილდაგულ, მხოლოდ უკიდურეს გასაჭირში ან ძილში თუ წამოსცდებოდა ხმაძილდა უფლის სახელი: „ღმერთო, ცამრველის გამჩენო!“ ამრიგად ქვრივი ასრულებს მეორე შეგონებასაც: „...რაჟამს ილოცვიდე, არა იყო ყრუ, ვითარცა იგი ორგულნი, რამეთუ უეუარნ შესაკრებელთა შორის და უბანთა ზედა დგომი და ლოცვაი. რაითა უწუნონ კაცთა. ამინ გეტყვი თქვენ: მიუღებთს სასყიდელი მათი. ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შევედ საუნჯესა შენსა და დაჰხაშ კარი შენი და ილოცე მაშისა შენისა მიმართ ფარულად...“

მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“ რამდენჯერმე არის ხაზგასმული, როგორ მდგომარეობაში ვარდებოდა მღვდელი. როცა ვინმე მის ქველმოქმედებას ან სხვა მადლს აღნიშნავდა. მის შესახებ ვკითხულობთ: „მოაშორა თვალი... თითქო თავის გულის მადლიანობა უნდა დაუმალოს...“ „იქვე არ დააცალა სიწითლემორეულმა მღვდელმა.“ თითქო შერცხვა და მადლობას თაკილობსო...“ „ხმა არ გამცა. ყური ზომარიდა. საკვირველია კეთილი კაცია! სარკემი ჩახედვა ევაერება, თავისთავის დანახვა ეთაკილება. ეზარება. რაც უნდა უყავ. თავის სიკეთეს კი ნუ დაანახებ...“ მაგრამ მღვდლის კეთილ საქმეებს მაინც ყველა ხედავდა. ხედავდა გაბრიელიც და ამან ათქმევინა. „სემი ღმერთი შენა ხარო“. მღვდლის დარიგებაზე, რომ თავად მხოლოდ ღვთის მსახურია. ღმერთი კი ცაში სუფევს. გაბრიელმა მხოლოდ ნაწილობრივ შეიცვალა თავისი აზრი: „შენ ღვთის მსახური იყავ და მე კი შენი ვიქნებო“. შესაძლოა მისი რწმენა სწორედ ამიტომაც დარჩა ზედაპირული ადამიანისადმი უფრო დიდი სასიყება რომ ჰქონდა, ვიდრე ღვთისადმი.

დაუგბრუნდეთ კვლავ ქერივის სახეს. რას უნდა მოასწავებდეს ძილში უფლის სახელის წამოძახება. „ვეფხისტყაოსნის“ გმირის – ავთანდილის სახის განსილვისას. კრიტიკულ მიმოხილვაში ილია ყურადრებას ამახვილებს რუსთველის მიერ გამოყენებულ ერთ ასეთ მხატვრულ ხერხზე – „ავთანდილი უფრო გონების კაცია, ვიდრე გრძნობისა. მინამ ის ფხიზელია, ესე იგი როცა ჭკუას ბუნებითად ღონე აქვს მოქმედობისა, არაბუნებრივი იქნებოდა, რომ მწერალს მასზე გრძნობის გაბატონება ეჩვენებინა. არადა უნდოდა გამოეხატა, რომ მის გულშიც ძლიერი სიყვარულია თინათინისა. ეს პრობლემა რუსთველმა ერთი კალმის მოსმით გადაჭრა. გვიჩვენა ავთანდილი ჩაძინებული, როცა ჭკუა არ მოქმედებს და ძილში წამოაძახებინაო.“ ასეთივე ხერხს იყენებს თავდაც. როცა ქერივს გულმოდგინედ ამაღვინებს, ღმერთს არ ვაწუხებ ჩემი ლოცვებითო და ამავე დროს სიზმარში წამოაძახებინებს უფლის ედრებას. ქერივი არათუ სიფხიზლისას, ძილშიაც ლოცულობს, „ძილშიაც არა სძინავს“, როგორც ილია იტყოდა და სწორედ ამიტომ იგი სულიერი მღვიძარების სახეა. ამასვე მოწმობს მის ბავთაგან წარმოთქმული სიფხიზლის სადიდებელი: „...თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსაო.“

## მართლის გზა – „ორი დანაკი“

„ცრემლნი პეტრესნი მომძაღლენ  
იუღად ნუ გამბერაო...“ (თეიმურაზ I)

ილია ჭავჭავაძის თხზულებები განსაკუთრებით ფასოვანია იმიო, რომ მაღალი მხატვრული ოსტატობის გარდა ისინი ზნეობრივად მწვერთელი და სულიერად განმწმენდელია. ალბათ ამ მადლს თუ გრძნობდა ის ქალბატონი. რომელსაც იაკობ გოგებაშვილისათვის უთქვამს, ილიას თხზულებებს რომ კეთიხულობ, „სულით და გულით ემაღლდები, პირად აღდგომას

ედღესასწაულობო.“<sup>1</sup> ძალიან საინტერესოა ამ მხრივ დაკვირვება ილიას შემოქმედებითი მოღვაწეობის შუა პერიოდში შექმნილ პატარა მოთხრობაზე — „სარჩობელაზე“. ნაწარმოების სიუჟეტი საკმაოდ მძაფრია. მაგრამ, ისევე, როგორც მწერლის სხვა თხზულებებში, ავტორის ყურადღება ძირითადად გმირთა სახეების გამოქანდაკებაზეა გადატანილი. როგორები არიან ისინი?

ერთ-ერთ გმირს — ბეჟანს ასე გვაცნობს ავტორი: „იმისი სხარტე და ფირფიტა ნიკაი, იმისი წერილი, სწრაფი და მოუსვენარი თვალი, ჩქარ-ჩქარი თვალთა ჩაძახიმი ცხადად აბზობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხო გულია დამალული.“ გმირის სულისა და ხორცის ეს ურთიერთშერწყმული სურათი საესეებით ნათლად წარმოგვიდგენს მის არაკეთილშობილურ ბუნებას, მაგრამ, ამას გარდა, მწერალი იქვე ამახვილებს ყურადღებას არანაკლები მნიშვნელობის ერთ ფაქტორზე. — რომელმაც განაპირობა ამ ყმაწვილის „თვითრჯული“ და „უჯათი“ ხასიათის საბოლოოდ გაუკუღმართება და განსაზღვრა მისი შემდგომი ბედი: „იმისთანა იერის ყმაწვილი იყო, რომ კაი კაცის კვალზედ დადებოდა, — შესამჩნევი არა იქნებოდა რა, ავის კაცის კვალზედ დადებოდა. — ქურდ-ბაცაციობის მეტს ვერაფერს ვერ შესძლებდა.“ როგორც ვხედავთ, გარდა იმისა, რომ ამ გმირს თავიდანვე არ ჰქონია კეთილშობილური ზნე და ხასიათი, ცხოვრებაში გზის გამკვალავიც არ ჰყოლია ღირსეული და მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში სწორედ ამას უთამაშია გადამწყვეტი როლი.

ბეჟანიც იმავე უკეთურ კანონებს დაემორჩილა. რაც მის გარშემო იყო გამეფებული. მან ისე შეისისხლხორცა მლიქვნელობა და გაიძვირობა. ისე აღივსო ბოროტებითა და სიძულვილით, იმდენად დაუნდობელი გახდა, რომ ბოლოს კაცის კვლამდეც კი მივიდა — მაშინაცვალს ცემით ამოხადა სული. მიუხედავად ამისა, სარჩობელასთან მდგომი, გაფითრებული, შეშინებული, სრულიად დაუცველი, უთანაგრძნო და განწირული იგი თავადაც სხვების მსხვერპლია და ამიტომ მკითხველში მაინც სიბრაღულს იწვევს. სახრჩობელის ირგვლივ შეკრებილი ჯალხი სეირს უყურებს და არც კი ფიქრობს, რომ მათ თვალწინ, მათივე უხმო დასტურით იღუპება ერთი მათთაგანი, მათივე სისხლი და ხორცი, რომელიც შესაძლოა ზოგ მათგანზე უფრო ცოდვილი არც კი იყოს.

ნაწარმოების სიუჟეტში ბაჟანი ცენტრალური ფიგურაა. მაგრამ მწერალი ნაკლებად ცდილობს მისი ხასიათის გაშლას. ეს „გულნამცეცა“ ადამიანი ასევე გულნამცეცა საზოგადოების გარემოცვაში ფერმკრთალად გამოიყურება და მიუხედავად თავისი მდგომარეობის უკიდურესი ტრაგიზმისა, პიროვნულად განსაკუთრებით არ გამოირჩევა. რაც უფრო ვუღრმავდებით მათხრობის ძირითად სათქმელს, უფრო მკვეთრად იკვეთება სხვა ორი გმირის სახე. ესენია ბეჟანის უმცროსი ძმა და მეურმე პეტრე.

მაშინაცვლის მკვლელობაზე და ბეჟანის დატყვევებამდე ძმების ცხოვრება

1. ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტ.3. 1990, გვ.142

ერთნაირად მიედინებოდა: ისინი ერთ ოჯახში დაიბადნენ, ერთად გაატარეს ბავშვობა და სიყმაწვილე და მთელი ამ ხნის მანძილზე არავისგან, თვით დედისა და ახლობლებისაგანაც კი, არც სითბო უგრძობნაოთ და არც მზრუნველობა. ისინი ქურდობისა და ძარცვის გზასაც ერთად დაადგნენ და ადამიანიც ერთად შემოაკლდათ, მაგრამ მწერალი მაინც ასერხებს მათ ხასიათებში მკვეთრი განსხვავების ჩვენებას. უმცროსი ძმა ბუნებით არ არის უკეთური. მას „სხვა ნიშანწყალი“ ჰქონდაო — წერს ავტორი. იგი შინაგანად ეწინააღმდეგება ბოროტებას, არ უნდა, რომ იცრუოს, არ უნდა, რომ იქურდოს, მაგრამ იმდენად არის ჩათრეული გარემომცველ წუმპეში და ისეა მიზნებული უფროსი ძმის ბოროტ ნებას, რომ ძალაუწებურად თავადაც ყოველგვარ აკაცობას ჩადის მასთან ერთად.

მოთხრობის ამ ეპიზოდის ადრეული ესკიზის ერთ ადგილას ნათქვამი იყო უმცროსი ძმის შესახებ: „ისე სულგანაბული იყო, ისეთი დაშინებული, თითქო ამისი სული უფროსის ხელში არისო“. რა თქმა უნდა, ძველი ჩანახატების მიხედვით 'მოთხრობის გმირზე ვერ ვიმსჯელებთ, მაგრამ უფროსი ძმის უარყოფითი გავლენა უმცროსზე, რომელიც ზემოთ მოხმობილ ციტატაში ასე ცხადად იყო წარმოჩენილი, მოთხრობის „სარჩობელაზედ“ შინაარსზე დაკვირვებიდანაც საკმაოდ გარკვევით ჩანს. აქაც ბეჟანია ყოველგვარი აკაცობის მოთავე. მურმეებიც მან მოატყუა და ჯიბეებიც მან დააჭრა პეტრეს, უმცროსი ძმა კი შორიდან უყურებდა ყოველივე ამას. იგი ჯერ ტუქსავდა და აფრთხილებდა ბეჟანს, შემდეგ, მოხუცის გამარცხისას, მართალია ხმა ვერ ამოიღო და ხელი ვერ შეუშალა, მაგრამ გული მაშინაც ეთანადრებოდა და წუხდა. ბოლოს კი ისიც დამორჩილდა ბელს, „გაწყდეს საცა წვრილიაო“ თქვა და ჩაჰყვა ბოროტის ნებას. ის ფაქტი, რომ ცხოვრების ლექსმა არა მარტო ბეჟანის, არამედ უმცროსი ძმის ჩათრევეც შესძლო, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ძმების გზიდან აცდენაში სწორედ გარემომ და არა მათმა ადამიანურმა ბუნებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. აქ საყურადღებოა ერთი ასეთი რამ. ნაწარმოებში ნახსენებია „ვინი კანტანისტების სასწავლებელი“, რომლის შესახებაც ილია ასეთ რამეს ამბობს: „იძისთანა სკოლაში... უფრო მოსალოდნელია კაცს გონება დაეხშოს, ვიდრე გაეხსნას და გაუძლიერდესო.“<sup>1</sup> ჩანს, ილია ასეთ დეტალსაც შემთხვევით არ ჩართავდა ზოლმე ნაწარმოებებში და დაობლებულმა ძმებმა ამ სკოლაში რომ ვერ გაძლეს, შემთხვევითი არ იყო.

კეთილბუნებოვანი გმირის გაუკუღმართებული ცხოვრება ილიას სხვა ნაწარმოებებშიც აქვს ასახული. გაბრიელიც, კაკოც და ზაქროც, ისევე, როგორც უმცროსი ძმა, ბოროტებითვე შეეცადნენ ბოროტების აღმოფხვრას. გმირთა ამ სახეებს აერთიანებს ისიც, რომ მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი სასიკვდილე ცოდვებისა, არცერთს არ აწუხებს სინანული და ოდესღაც სიკეთით გამთბარ გულებში ბოროტება დაბუდებიათ. სხვებივით არც უმცროსი ძმა

1. ი. ჰავაჭავაძე, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ.5, გვ. 429

ნანობს იმას, რომ კაცი შემოაკვდათ. როგორც მისი მონათხრობიდან ჩანს, ადამიანის სიკვდილმა მათ თავზარი კი არ დასცა, კი არ დააფიქრა, ეს რა ჩავიდინეთო, პირიქით, კიდევ იქაურობის აკლებას აპირებდნენ პოლიციას რომ არ მიესწრო:

მოთხრობაში „სარჩობელაზედ“, ილიას სხვა თხზულებების მსგავსად, მწვავედ დგას ადამიანთა შორის ხილჩატეხილობის პრობლემა. აქ ხიდი ჩატეხილია პიროვნებასა და მთელ საზოგადოებას შორის და არა მხოლოდ განსხვავებულ წოდებებსა და საზოგადოებრივ ფენებს შორის. ეს რომ ასეა, ამაზე აშკარად მიუთითებს უმცროსი ძმის სიტყვები: „სამუდამოდ მოეწყდო ქვეყანას, როგორც წინააღმდეგ მოტეხილი ტოტი, უკანასკნელ ძაფზედა დაკიდებული...“ „მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო, ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩატეხებე ხიდი. მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ, მრავალნი. იქით...“ იგი გაუცხოებას და სიშორეს გრძნობს არა საზოგადოების რომელიმე ფენასთან, არამედ მთელ საზოგადოებასთან. საერთოდ ადამიანთან, დაწყებული დედიდან, მამინაცლიდან და თავისი წრის ხალხიდან და დამთავრებული შინამოსამსახურე ბიჭებით.

ერთადერთი რამ რაც ბეჟანის ძმას ჯერ კიდევ ასულდგამულებს, არის მის გულში შერჩენილი ის სიბოძო, რომელიც პეტრეს მიერ გამოჩენილმა სიკეთემ ჩაუსახა და, მიუხედავად იმედის გაცრუებისა, ჯერ კიდევ უღვივის, „როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნალვერდალი“. უმცროსი ძმა გრძნობს, რომ „ისიც მალე გაქრება“ და სწორედ ეს არის ამ გმირის ტრაგედია. ეს მინავლებული ცეცხლი სიცოცხლის ძალაა. ვიდრე იგი ოდნავ მაინც ბუჭტავს კაცის გულსა, იგი საბოლოოდ განწირული არ არის და მისი მობრუნება ჯერ კიდევ შეიძლება. თუ ჩაუეკვირდებით, სწორედ აქ ჩანს მწერლის ჩანაფიქრი — მკითხველს „თვალი გულისა“ აუხილოს და დაანახოს ასეთ განწირულ, მიტოვებულ და დაცემულ ადამიანთა გასაჭირი, მკითხველის გულებში გამოწვეული თანაგრძნობით ნუგეშისმცემლები გაუჩინოს მათ, კვლავ გააღვივოს იმათ გულებში მიმქრალი ნაპერწკალი და ერთ დიდ ცეცხლად შეკრიბოს „ჩვენის ქვეყნის გაცივებულის გულის გასათბობლად.“

ყველაზე უფრო რთული და წინააღმდეგობრივი ნაწარმოებში პეტრეს სახეა. ერთი შეხედვით იგი დიდად არ განსხვავდება მოხუცი გლეხის ტიპიური სახეებისაგან, მაგრამ მოთხრობის სიუჟეტის განვითარებასთან ერთად მისი სახეც თანდათან ღრმავდება, რთულდება და საბოლოოდ წარმოგვიჩენს ადამიანის ბუნების საოცრად იღუმალ მხარეებს. პეტრეს ისეთი თვისებები, როგორიცაა დაუზარლობა, ხელგშლილობა, ენაწყლიანობა — ტიპიურია როგორც ილიას, ისე სხვა მწერლების მიერ შექმნილი გლეხთა სახეებისათვის, მაგრამ ერთგვარად უჩვეულოა პეტრეს ხასიათისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი სხვა თვისება და მისი ესოდენ წინააღმდეგობრივი ბუნება.

თუ დასაწყისში პეტრე ერთგვარ თავმდაბლობას ამჟღავნებს იმით, რომ ყმაწვილებს უკეთესი ვახშმით უმასპინძლდება და თავის ნაბადსაც უთმობს,

მოთხრობის მეორე ნაწილში იგი ამპარტყენებისაგან გაფუყულია. მოდიოდა ქალაქში, მაგრამ როგორ მოდიოდაო გვეუბნება ავტორი და აღვიწერს: „იმავე თავმოწონებით, როგორც უწინ, ხოლო ეხლა სხვა მიზეზი ქაონდა თავმოწონებისა... ეხლა ამის ღვინის ურემზედ მისი უფროსი შვილი იჯდა და ხარკამეჩს ისა ქხმარობდა. თითონ კი გადაებოტნა უშველებელ საესე რუმბზედ და ყვინსავით გამოჰვიძული იჯდაო.“ თუ დასაწყისში იგი შემწეობას აღმოუჩენს უცნობ ყმაწვილებს, მოთხრობის ბოლოს საერთოდ არ რეაგირებს იმ უბედურებაზე, რაც მის თვალწინ ხდება.

საერთოდ, პეტრე ამ მოთხრობის ყველაზე მნიშვნელოვანი სახეა. დასაწყისშიც და დასასრულშიც მთელი ყურადღება მასზეა გადატანილი და მოთხრობის უკანასკნელი სიტყვებიც მას უკმშირდება. ჩამოხრჩობილის ძმა პეტრესაც ადანაშაულებს თავისი ძმის სიკვდილში. პეტრე ამბობს, მე რა შუაში ვარო და მწერალი სვამს რიტორულ შეკითხვას: „მართლა-და ჩენნი ბებერი პეტრე რა შუში უნდა იყოს...“ აი, ამ შეკითხვაშია სწორედ ჩადებული მწერლის ძირითადი სათქმელი.

ზემოთ ლაპარაკი გექონდა იმის შესახებ, რომ ილია თავისი თხზულებების ბოლოს ხშირად უთმობს ასპარეზს მკითხველს, რიტორული შეკითხვით ან მრავალწერტილით გადააბარებს ხოლმე მას მოთხრობაში წამოჭრილ საკითხებს ფიქრის გასაგრძელებლად და დასკვნის გამოსატანად. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მწერალს ამ რიტორულ შეკითხვაზე თავისი კონკრეტული პასუხი არ გააჩნია და არა აქვს ნაფიქრი იმაზე, რა აზრია ჩადებული ამ მრავალწერტილში. მოთხრობის შინაარსზე დაკვირვებიდან და მხატვრული სახეების ანალიზიდან ჩანს, რომ ავტორს ეს ყველაფერი სტილისტურ ხერხებში და მხატვრულ სახეებში შეფარული, ნაწარმოებშივე აქვს მოცემული.

დავაკვირდეთ, რაზე უნდა მიგვანიშნებდეს მოთხრობის ბოლოში დასმული რიტორული შეკითხვა. იგი გამოძახილია უმცროსი ძმის ბრალდებაზე და მწერალი რომ მასში იმას გულისხმობდეს, პეტრე ნამდვილად არ არის დამნაშავეო, მაშინ იგი უნდა ეწინააღმდეგებოდეს უმცროსი ძმის ბრალდებას. ვნახოთ რამდენად ლოგიკურია ეს.

პეტრე სიკვდილით დასჯის ცერემონიაზე შემთხვევით არ მომხდარა. მან გაიგო, რომ როცა ზარბაზანი გაეარდებოდა მასათაზე კაცს ჩამოახრჩობდნენ და შეგნებულად წავიდა იქ: „ბევრი ვაი-ვაგლახი მინახავს ჩემს სიცოცხლეში... მოდი, ერთი ესეცა ვნახოო.“ თავისი ეს გადაწყვეტილება მოგვიანებით მანვე ასე შეაფასა: „კაცის გული მაღია, მაღი ცოდვის საქმეზედ. კაცის დარჩობის სანახავად გამოუქნელ მოზუერსავით კი გამომიწია და!.. ამ პატარა გულში რამოდენა ცოდვა და მაღლი ტრიალებსო.“

პეტრე ჩამოხრჩობასაც და ჯამბაზობასაც სანახაობად თვლის და მათ შორის დიდ სხვაობას არ ხედავს. როცა იფიქრებს, ქალაქელები მატყუილებენ და ნამდვილი ჩამოხრჩობა კი არა, ჯამბაზობა გათამაშდებოო, „არც ეგ არის ურიგოო“ ფიქრობს, „ეგ უფრო კარგიც იქნება, თორემ მართლა კაცის ჩამორჩობა

აბა რა სანახაეია. კატა ხომ არ რის, აილო და ჩამოჰკიდლო: რაც უნდა იყოს, ლეთის სული, ადამიანია.“ მგრამ ამასთან ერთად დასძენს: „ლეთის წინაშე კი იქაე რომ მცოდნოდა თვალთმაქციობას ითამაშებდნენ, იქნება არ წამოვსულიყავო.“ ესე იგი მას კი ეცოდება „ლეთის სული ადამიანი“, როგორც თავად ამბობს, მაგრამ ფაქტია, რომ როგორც სანახაობა ნამდვილი ჩამოხრჩობა ურჩევნია, რადგან ჯამბაზობაში მას ატყუილებენ, ჩამოხრჩობისას კი სინამდვილეს უჩვენებენ. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს სხვა ეპიზოდიც. მას შემდეგ, რაც ყმაწვილი ჩამოახრჩვეს, პეტრე კვლავ გაურკვეველობაში იყო, მაგრამ დაციწვის შიშით არც მაშინ კითხულობდა ამბავს. როგორც მწერალი ამბობს: „ეხლა მარტო იმის დარდი ჰქონდა, შეეტყო რაში ტყუედება: იმაში, რომ ეს მართალი თვალთმაქცობაა და ტყუილი ჩამორჩობა, თუ მართალი ჩამორჩობაა. სწორედ გითხრათ, პირველში მოტყუებას უფრო ჰთაკილობდა მისი გული: აბა თვალთმაქცობამ ტყუილი მართლად როგორ უნდა მაჩვენოს ამ დროულ კაცსაო. და მართალი კი რომ ტყუილი გამომდგარიყო, ეგ არაფერი; მაგას როგორღაც უფრო ადვილად ჰყაბულობდა ჩენი პეტრე...“ ამრიგად, პეტრემ თავის შეცდომაში შეყვანას და ბიჭის ჩამოხრჩობას შორის ფაქტიურად უკანასკნელი აირჩია. მართალია, მას ის ყმაწვილი არც დაუჭერია, არც დაუსმენია და ეცოდებოდა კიდევ, მაგრამ საკუთარი თავი იმდენად უფრო მეტად უყვარდა, რომ თავის დაციწვას ბიჭის სიკვდილი ერჩინა. დაციწვის შიში უფრო ჰქონდა, ვიდრე გაფითრებული, უსუსური ყმაწვილის სიკვდილისა. ამიტომ, მოუხელაჯად იმისა, რომ იგი ფიზიკურად არ მონაწილეობდა ამ ბიჭის მოკვლაში, ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით, თავის გულში მანაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ყმაწვილს.

ილია აქტიურად იბრძოდა სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმებისათვის. ამ საკითხზე იგი მოხსენებით გამოვიდა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში და სიკვდილით დასჯის განაჩენის უარყოფით მხარეთა მიმოხილვისას ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ასეთი სანახაობისადმი შეჩვევით ხდება ხალხის გადაგვარება, „ზნეობის შერყევა“, „გრძნობათა დაჩლუნგება“ და სხვ! ილიას ცხოვრება, მისი შეხედულებები და ზნეობა გამორიცხავს, რომ იგი მოთხრობის ბოლოში დასმული რიტორული შეკითხვით პეტრეს გამართლებას ცდილობდეს.

მოხუცი პეტრე განიკითხავს იმ ხალხს, რომელიც სარჩობელასთან გასართობად მივიდა და ამ სასტიკი სანახაობიდან სულ რაღაც წუთის შემდეგ მხიარული ყყანით გაემართა შინისაკენ. განსაკუთრებით განიკითხავს ქალებს: „ამ დედაკაცებს რაღა ღმერთი გასწყრომიათო.“ პეტრე იმასაც ხედავს, რომ თავდაც ცოდვას ჩადის – ჩამოხრჩობის სანახავად „გამოუქნელ მოზვერსავით გამომიწვია გულმაო“, მაგრამ თავის თავს მაინც ისე არ კიცხავს, როგორც სხვებს და გული უნანელი აქვს – მე რა შუაში ვარო, მაინც ამას

---

1. იხ. სიკვდილით დასჯის შესახებ მოხსენების შავი კონსპექტი, რომელიც დაცულია ლიტერატურულ მუზეუმში.



ამბობს. მაგრამ მწარე სიძარტლე ზარით რეკს უმცროსი ძმის სიტყვებიდან: „იქ ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დაუღლებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი და ვინ მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს; იქ სამართალი არ გაბრუნდებია.“ ამას ეუბნება უმცროსი ძმა პეტრეს და რაკილა ავტორმა მას ეს ათქმევინა და ამასთანავე თავად პეტრეს გულის უნანელობა და სიგრილეც გვაჩვენა, ჩანს, რომ ეს მარტო ჩამოხრჩობილის ძმის კი არა, მისი ბრალდებაც უნდა იყოს ამ გვირის მიმართ.

ესიკივებს, რომლებშიც მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ერთი ეპიზოდის ადრეული ვარიანტია წარმოდგენილი, სათაურად აქვს „მარგალიტი ლექში“. ლექის და გუბის მხატვრული სახე ილიას სხვა თხზულებებშიც არაერთგან აქვს გამოყენებული და მასში ჩადებული მხატვრული შინაარსი ჩვენთვის ცნობილია – იგი სულიერად და ზნეობრივად დაცემულ ცხოვრებას განასახიერებს, რომელიც შხამავს და ახრჩობს მასში მოხვედრილ ყოველ სიტოცხლეს. სახრჩობელასთან გამართული „თამაშაც“ და მასში მონაწილე ხალხის მასაც იგივე ლექი, იგივე სახრჩობელაა. იგი უფროს ძმას ფიზიკურად კლავს, უმცროსს სულიერად და ამასთანავე თავადაც გულგრილობაში ახრჩობს საკუთარ სულს. სახრჩობელასთან მისვლით და სისასტიკის უხმო თანდასწრებით მოხუცი პეტრეც ამ მასას შეუერთდა.

პირველი შესხედრისას პეტრეს სტუმართმოყვარეობით, მისი სითბოთი და ყურადღებით მონადირეული გული უმცროს ძმას კვლავ გაუცივა მისმა დანახვამ სახრჩობელასთან მდგომთა შორის. „თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე კი ეუყურებდი და ვიწოდი... მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო... განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი.“ აქ იგი ერთხელ კიდევ უმეორებს პეტრეს: „ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანსო.“ ამრიგად უმცროსი ძმის ეს დაჟინებული ბრალდება და თვით ფაქტები მიგვანიშნებს, რომ მიუხედავად გარეგანი კაცთმოყვარეობისა, პეტრეს გული არ ჰქონდა წმინდა. დავაკვირდეთ მოთხრობას და ვნახოთ, რა ენება იყო ამ გულში დაბუღებული.

პეტრეს კეთილი საქციელი – მისი ხელგაშლილობა მოთხრობის დასაწყისში იმდენად ზიბლეს მკითხველს და ალბათ ასევე მოხიბლავდა მსგავსი მოქმედება გარშემო მყოფთ რეალურ ცხოვრებაშიც, რომ ერთბაშად გოჭირს იმის დაჯერება, რომ ეს სანდომიანი მოხუცი ასე შორს არის გულის სიწმინდისაგან. მაგრამ როცა პეტრეს მიერ ბეჟანისა და მისი ძმისადმი გაწეულ სიკეთეზე ვლაპარაკობთ, ერთი რამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში – მოხუცმა მეურმემ, თავისი აზრით, დახმარება აღმოუჩინა არა უსახლკარო, ყველასაგან მიტოვებულ და დაჩაგრულ ობლებს, არამედ დროებით გასაჭირში მყოფ მდიდარ თავადიშვილებს. ძნელი სათქმელია, როგორ მოიქცეოდა პეტრე, ბიჭების ნამდვილი ამბავი რომ სცოდნოდა. ერთი კი ფაქტია, ბეჟანი

თავადიშვილობას არ მოიგონებდა, რომ არ სცოდნოდა სიმართლის თქმის შემთხვევაში გლეხებისაგან დახმარებას ვერ მივიღებო. ამას გარდა პეტრე უნებლიედ თავადაც აღიარებს, რომ ბიჭებს მათი თავადიშვილობის გამო ექცევა გამოირჩეული პატივისცემით. „თავადიშვილები ხართ, ჩვენსავით ცარიელ მონაზუნე გდებას ვერ აიტანთ“, უბნება მათ და თავის ნაბაღს უშლის დასაძინებლად; თითონ ხმელა პურს ჭამს. მათ მწვადებს აჭმწვს და თან ბოდიშობს პურადმჭირობაში არ ჩამომართვათო. ორივეს ურემზე ისევამს და პიირდება: „ასე ჩაგიყვანთ ქალაქშია, რომ ქარიც არ მოგადინოთო.“ მისივე სიტყვებიდან ჩანს, რომ უსახლკარო ძმებს ასეთი ყურადღებით არ მოექცეოდა ბეჟანს რომ ტყუილების ნაცვლად სიმართლე ელაპარაკა. პეტრე ისე ძალიან აფასებდა სხვების აზრს, რომ „აღბათ იფიქრებდა, საკუთარ დედას მიუტოვებია, არავის მათთვის თავი არ შეუწუხებია და მე რომ შევიკედლო, ხალხი სულელად ჩამოვიღისო. „ბევრს უცხოვს მართალია, ვეცოდებოდით საწყალი ობლები, მაგრამ შეველა კი არსად იყო, წერს უმცროსი ძმა პეტრესადმი გადაცემულ ბრათში და არ არის გამორიცხული, რომ პეტრეც სწორედ იმ უცხოებით მოქცეულიყო.

მოთხრობის დასაწყისში, როდესაც ბეჟანი და მისი ძმა მეურმეებს ხვდებიან და თავს აცოდებენ, ერთი მეურმე ძალიან ავლებულად გამოეჩინებოდა ბიჭებს, პეტრე კი წამოიძახებს: „ვაი ჩემს გამწენს!.. უცხო ქვეყანაში რად იქნებით!.. ასე გონია სათათრეთში იყვნეთ! ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოა...“ იგი იქაღის ქართველობით და ქრისტიანობით, კიცხავს ვიღაც ავ კაცს, რომელსაც ბიჭების ცოდვა აუღია, გაუძარცვავს და გზაზე მიუტოვებია და თავად ისე იქცევა, როგორც კეთილ კაცს შეეფერება. მაგრამ ეს სიკეთე, როგორც ზედაპირული, საპნის ბუშტივით ქრება პირველივე წაფორხილებისას. რაკილა ბიჭებმა სიკეთეზე ბოროტებით უპასუხეს და მშვიდად მიძინებული მასპინძელი გამარცხეს, პეტრემ ინანა თავისი კეთილი საქციელი და ხელი აიღო მასზე. მოხუცმა არა მარტო მეურმეობას დაანება თავი, „ვხვდავ ალარ ვარგივარო, არამედ უცნობის ტკივილის გაზიარებას და მის დახმარებასაც. პეტრეს ეს გადაწყვეტილება რომ მისი ხასიათის კონკრეტულ თვისებაზე, სიკეთის კეთებაზე ხელის აღებასაც ნიშნავს, ეს მწერალის მისთვის ჩვეული მაღალმხატვრული ალევირიით აქვს შეფარული გმირის სიტყვებში: „არა, შეილო, ეხლა ჩემი შეილდი უნდა ძირს დავდოო.“ ეს „შვილდი“ ილიას თხზულებებში ალევორიულად სულიერი და ზნეობრივი ღირსებაა კაცისა. ამიტომ მასზე უარის მთქმელ, მის ძირს დამდებ პეტრეს ოთხი წლის შემდეგ სახრჩობელასთან სულიერად განიარაღებულს ვხვდავთ.

მანც რამ უბისტა პეტრეს ასეთი გარდატეხისაკენ, რამ ჩაკლა, რამ დათრგუნა მასში სიკეთის კეთების სურვილი – სიკეთისა, რომლითაც მან კინაღამ მოინადირა განსაცდელში ჩავარდნილი ერთი ქრისტიანის სული?

ზემოთ ვნახეთ პეტრეს სიამაყე და სიქადული ქართველობით და ქრისტიანობით. ავტორი ოთხი წლის შემდგომი პერიოდის ამსახველ ეპიზოდშიც

გვიდასტურებს: „იმავე თავმოწონებით მოდიოდა, როგორც უწინო“, ესე იგი თავმოწონება და ამპარტავენება პეტრეს აღრეც ახასიათებდა და შემდეგაც. ამან კი გამოიწვია ის, რომ გადარცვის შემდეგ პეტრე სამინელ განცდებში ჩაეარდა. ხალხი დამცინებს, შენ იმათ სიკეთე უყავი, მათ კი როგორ გაგაბრიყვესო. ეს დაცინვის შიში იმდენად ღრმა და ძლიერი ფაქტორია. რომ პეტრე სწორედ მის გამო ამბობს უარს თავის „შვილდზე“. ეს დაცინვის შიში მოთხრობის შესაბამის ეპიზოდში მრავალგზის და მრავალნაირად არის გამოთქმული: „სირცხვილით შინ როგორღა მივიდე“, „ეს სირცხვილი როგორა ვჭამო“, „ვისაც ვეტყვი დამცინებს“, „ჯალაბსაც სიცილად არ ვეყოფი“, „მეზობლები ჯაჟრით გამხეთქენ“, „სირცხვილადაც მეყოფა და სიცილადაც“. რისი სცხვენოდა პეტრეს? იმის, რომ ბიჭებს ენდო და შეიკელლა? გამოდის რომ ამის. რა დასკვნა გამოიტანა მან აქედან? – რომ სხვა დროს თავისი თავისათვის მიეხვდა და სხვისთვის თავი არ გამოედო. ესე იგი მან ფაქტიურად უარყო მის მიერვე სადღინილი სიკეთე. მაცხოვარმა პეტრესაგან განსხვავებით წინასწარვე იცოდა, რომ იუდა გასცემდა, მაგრამ ისიც არ განუგდია თავისგან, მასაც სიყვარული აჩვენა და თავის პატიოსან სისხლსა და ხორცსაც კი აზიარა. მაცხოვარსაც ამცირებდა და დასცინოდა გარშემოკრებილი ბრბო, მაგრამ მან ეს ყოველივე დაითმინა და თავის მიმდევრებსაც ამისკენ მოუწოდა და თუ პეტრე ასე სიამაღლა იქადის ქრისტიანობით, რატომ თმობს ასე იოლად სიკეთეს დაცინვის შიშით?

ურთიერთსაწინააღმდეგო განცდები – უცხოხადში თანაგრძნობა და დაცინვის შიში კვლავ შეეჯახნენ ერთმანეთს სახრჩობელასთან და გამარჯვება კვლავ ამ უკანასკნელმა მოიპოვა. სიამაყემ და სურვილმა, რომ ეს, თანასოფლელებში გამორჩეული კაცი, ქალაქელებსაც არაფერში ჩამორჩენოდა, მიიყვანა პეტრე სახრჩობელასთან. მისი შიში, რაიმეში ჩემი სოფლელობა არ გაეამყლავნო, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ვერც ცერემონიალის შზადებისას და ვერც ჩამოხრჩობის შემდეგ მან ვერ გაბედა ვინმესთვის ეკითხა, მართლა ახრჩობდნენ კაცს თუ ჯამბზობა იყო ეს ყოველივე. ეს შიში დაცინვისა კვლავ მრავალგზის არის ხაზგასმული: „აქაოდა სოფლელიაო, მალე მოტყუედებო...“ „ჰა, პეტრე!.. არიგებდა პეტრე თავისთავს, – არ გაბრიყვედე, ეშმაკმა არ გაცდინოს, მართალი არ გვეროს!.. ვე სულ მაცდურობაა, დაცინებენ, იტყვიან, სოფლელია და მოტყუედებო.“ არადა სწორედ ამ ფიქრებით შეცდა იგი და მოუდუნდა სიფხიზლე. „არა, შვილოს, ვერ მომატყუებთ...“ „იქნება ამათ ჩემი გაბრიყვება უნდათ, სოფლელიაო. ჰა, პეტრე!.. თავს გაუფრთხილდი, არ გაბრიყვედე!.. არ შერცხვე ეს დროული კაცი; ამოდენა ჯარ-ჯამაათის სასაცილოდ არ გაიხადო თავი...“ „არა, აქაოდა სოფლელი ვარ, არ გამაბრიყვო კი, თუ ღმერთი გწამს...“ „ერთი გული ეუბნებოდა, მოდი ვკითხავ, რა ამბავია. მეორე კი ეუბნებოდა, სირცხვილია, დამცინებენო.“ „კარგია, არა ვკითხე, აბა კიჟინას დამცემდნენ, აი! ჰა, პეტრე, გაფთხილდი, არ გაგაბრიყვონ, სასაცილოდ არ გაიხადო თავი.“ პეტრეს ამ ფიქრებზე ავტორი გვეუბნება:

„ძნელი რამ არის, როცა გუნება თავში გამწვევ ცხენსავით დალოჯავს ჭკუის ლაგამს და ცალმხრივ გაიწვესო.“ ბუენის ჩამოხრჩობის შემდეგაც ორი აზრი უტრიალებს პეტრეს თავში: „ნეტაეი მეკითხნა“ და „ეჰ, დამცინებდნე“. უმცროს ძმასთან შეხვედრისასაც მას ეს შიში დაძლეული არა აქვს. ნაბლიანმა რომ წერილი მიაწოდა, პეტრეს კვლავ ექვევებოდა. „იქნება მატყუებს კიდევო“, მაგრამ იმის იმედით გამოართვა, მერე რა, „თითონ წაივდა, ხომ ვერ დამცინებსო.“ ეს შიში უფრო ძლიერი აღმოჩნდა პეტრეში, ვიდრე კაცთმოყვარეობა, მოყვასის სიყვარული და ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ამ შიშმა ჯერ მიიყვანა და შემდეგ ბოლომდე უხმოდ გააჩერა იგი სახრჩობელასთან.

როგორც ზემოთაც ვთქვით, ამით მან სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და სიკეთის რწმენა საბოლოოდ დაუკარგა ბუენის უმცროს ძმას. სარჩობელასთან მდგომ პეტრეს, როგორც გვიან მოაგონდა, ნაბადში გახვეული და თვალებზე ქულნამოფხატული უმცროსი ძმა „სულ გვერდით აეტუზებოდა ხოლმე“, საითაც კი წაივლოდა, „როგორც კრუხი წიწილას“, ისე გარს დასტრიალებდა. ალბათ ელოდა ან ეხლა გამოხატავს რაიმეს სინანულის მაგვარს, ან ეხლაო. პეტრე ხომ ის კაცი იყო, რომელმაც ასე ომახიანად შესძახა, რისი გეშინიათ ეს ქვეყანა სათათრეთი კი არ არის, საქრისტიანო საქართველოო. გავდა კი სახრჩობელასთან სასერიოდ შეყრილი ხალხი ქრისტიან ქართველებს? მოხდა ისე, რომ პეტრე, რომელსაც ასე უშინოდა ამ ხალხისაგან ჩამორჩენის და მათი დაცინვის, ბოლოს მათ გვერდით აღმოჩნდა. ილიას მეორე მოთხრობის — „ოთარანთ ქერივის“ გმირი დედაკაცი ამგვარ დაცინვაზე ასე იტყვოდა: „თავ-საცილს კაცი არ მოუკლავს. კაცი რომ სულელების კბილთა ღრვკას აპყვეს, სად წაეაო?“ ამიტომ, პეტრესაგან განსხვავებით, ის მათ გვერდით არასოდეს არ აღმოჩნდებოდა.

დაუებრუნდეთ პეტრეს სახეს და კვლავ გაეხსენოთ, როგორ მიდიოდა ოთხი წლის შემდეგ იგი ქალაქში და რა იყო ამჯერად მისი ამპარტაუნების მიზეზი. „გადაბოტნა უშველებელ სავსე რუმბზედ და ყვინსავით გამოჭიმული იჯდაო“, წერს ავტორი. პეტრე იჯდა ღვინის რუმბზე — ღვინისაზე, რომელსაც ქართველი კაცი სიწმინდელ რაცხს და კრძალვით ევიდება. პეტრე კი ზემოდან აჯდა — თავი ყველაზე და ყველაფერზე, თვით სიწმინდეზედაც კი მაღლა ყავდა დაყენებულნი. ამიტომაც მას მოყვასის სიცოცხლე საკუთარ შეურაცხყოფასთან არაფრად მიაჩნდა.

ავტორი გვეუბნება, მისი თავმოწონების მიზეზი ამჯერად ის იყო, რომ „გზის მამალი ამის შვილის ურემზედ დაესვათ, პირველობაც ურმის ქარავანში ამის შვილისათვის მიეცათ. პეტრეს ეს ამისთანა პატივი შვილისა და ტოლებში თავგამოსაჩენი ამბავი ძალიან უხაროდა და თავი მოსწონდა. უხაროდა და პფიქრობდა: შინ რომ მივალ, ჩემს ბებრუცუნა ჯალაბსაც ვახარებო ჩვენის შვილის გაპატიონებასაო.“ შემთხვევითი არ უნდა იყოს აქ მამლის ხსენებაც, რომელსაც სქოლიოში ავტორის საკმაოდ ვრცელი კომენტარი ახლავს: „ურმის ქარავანი რომ წავა შორს მანძილზედ, ერთ-ერთს ურემზედ მამალს დასმენ

ხოლმე, რომ მამლის ყვილმა გათენება შეატყობინოს ქარავენსა. მეურმეების სათი გზაზედ მამალია. უფრო ხშირად, ვისაც პირველობა აქვს ქარავენში, მამალიც იმას უზის ხოლმე. ურმის ქარავენში პირველობა, ესე იგი წინანურმის მეურმეობა, გლეხობაში სასახელოა, რადგან მარტო კარგს, გზის მცოდნეს, ფხიზელს, სანდო მესრეს და კაი ხარ-კამეჩის პატრონს ანდობენ ხოლმე მაგ პირველობას.“ ქვემოთ საუბარი გვექნება მამლის ყვილზე, როგორც სულიერდ მომთხიზლებელზე, გულის გამთიენებელზე, მასში სინანულის აღმძვრელზე, პეტრემ კი - „მე რა შუაში ვარო“, მხოლოდ ესა თქვა. მეორეს მხრად მამალი პირველობასთან არის დაკავშირებული. ყოველივე ეს პეტრეს სახეს. ჩვენი აზრით, შემთხვევით არ უნდა უკავშირდებოდეს. მოთხრობის ცალკეულ გმირთა თუ მოვლენათა წარმოჩენისას ილია ხშირად უკრძნობა წმინდა წერილს. ერთ-ერთმა მოციქულმა უფლისამ - სვიმონმა. რომელიც თავისი სარწმუნოებისათვის მაცხოვარმა კლდეს შეადარა და „პეტრე“ უწოდა, მისი სიქადულის გამო, სხვა ყველა რომ დაბრკოლდეს შენს მიმართ უფალო, მე არ დავბრკოლდებიო, განსაცდელის ჟამს უარყო იგი და უხმო დამსწრე გახდა მისი სამარცხვინო გასამართლებისა. აღსრულდა მაცხოვრის სიტყვები: „ვიდრე ქათმისა სმობამდე სამგზის უარ-ყო მე.“(მათე 26,34).

მოთხრობაში, მართალია, უფლის კი არა, ერთი ცოდვილი ყმაწვილის სამსჯავროა ნაჩვენები, მაგრამ მაცხოვრის თქმით, ქრისტიანი ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ ყოველ ადამიანში, რომელსაც რაიმე უჭირს, თვით უფალს უნდა ხელაეღეს და შეეწოდეს. ვინც ასე არ იზამს. მათ ვეტყვიო: „წარვედით ჩემგან. წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განშაღებულ არს ეშმაკათათვის და ანგელოზთა მისთა. რამეთუ შმიოდა და არა მეცით ჭამადი, მწყუროდა და არა მასუთ მე, უცხო ვიყავ და არა შემინწყალეთ მე, შიშუელ ვიყავ, და არა შემომისეთ მე, უძღურ ვიყავ და საპყრობილესა და არა მოხუედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მათცა და პრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ შმიერი ანუ წყურიელი ანუ უცხოებასა, ანუ შიშლოებასა, ანუ უძღურებასა, ანუ საპყრობილესა და არა გმსახურეთ შენ? მაშინ მიუგოს მან და პრუას მათ: ამინ გეტყვი თქუენ, რადენი არა უყავთ ერთსა ამას მტირეთაგანსა, მე არა მიყავთ.“(მათე 25,49). მოთხრობის გმირმა პეტრემ თავდაპირველად დააპურა, შემოსა და შეიფარა ყმაწვილები და მათი სახით უფალი ჩვენი, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ, სულიერ მადლს მოკლებულმა, უფლის ხატების - ადამიანის სიკედილით დასჯის სანახავად გართობის მიზნით წასვლით თვით უფლის უსიყვარულობა გამოამჟღავნა.

მოციქულთა თავი პეტრე თავის ცოდვის გამო ისეთ სინანულში ჩაეარდა, რომ მამლის ყვილზე გამუდმებით ცრემლი სდიოდა. მოთხრობის გმირის სინანული კი არ ჩანს. ჩამოხრჩობის ცერემონიალის გახსენებაზე პეტრე იმას ამბობს. ეს ამოდენა ხალხი რამ მიიყვანა იქო, თორემ მეც რომ მივედი კაცის კელის სანახავად, ესე იგი თავდაც დიდად არ განესხვავებდი მათგან და არც ურგულო თათრისაგანო, ამას არ ფიქრობს. ამიტომ იყო, რომ პეტრე, რომელიც

იქაღდა, ქრისტიანი ვარ, თათარი კი არაო, ავტორმა ღვინით სავსე რუმბზე წამომჯღარი თვით ყველაზე სისხლისმსმელ – „ყვინს“ შეადარა.

ჩამოხრჩობილის ძმის მიერ ერთი ათად დაბრუნებული „სამი და ათი შაურიც“ იუდას ოცდაათი ვერცხლივით მიწაზე დაიფანტა. პეტრე თითქოს გრძნობს, რომ ეს მისი სამხილია. ამ ფულის არც დათვლა აინტერესებს და ალბათ არც დანახვა უნდა.

აქვე გვინდა ყურადღება გაკვამახვილოთ ერთ დეტალზე. მწერალმა, რომელმაც ლუარსაბის და დარეჯანის სახლ-კარის აღწერისას გვიჩვენა, რომელი „ეკულით“ მოიკვეთებოდა ეს ცოლ-ქმარი – „მყრალა ბალახი“ და „თევზი“; რომელმაც ვიდრე თივის ზვინზე აიყვანდა, ოთარაანთ გიორგის წისქვილი მოამზადებინა ხორბლის მისაღებად, აქაც მსგავს ხერხს მიმართა. ვიდრე პეტრე ჩამოხრჩობის საყურებლად წავიდოდა და იქ დასწრებით სიკეთისაკენ მისწრაფების სურვილს და საერთოდ მისი არსებობის იმედს გადაუწურავდა ბეჟანის ძმას, მან წისქვილის ქეები იყიდა. საერთოდ იგი ამ ქეების საყიდლად იყო ამჯერად ქალაქს ჩამოსული – სხვა საქმე არ ჰქონდა. რაში დასჭირდა მწერალს ამ დეტალის ხაზგასმა? ამ ეპიზოდში ავტორი არაერთგზის მიგვანიშნებს პეტრეს სწრფევაზე პირველობისაკენ და მის ამპარტავენებაზე.

სახარების ერთ ეპიზოდში უფალმა თავის მოწაფეებს, რომლებიც ბჭობდნენ, ვინ იყო მათ შორის უპირატესი, უთხრა: „ვის უნდეს თქუენგანსა პირველ ყოფაი, იყოს იგი ყოველთა მრწემ და ყოველთა მსახურ.“ შემდეგ კი, იმის გამო, რომ მოციქულები მასთან ყრმებს არ უშვებდნენ, დასძინა: „რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთაგანი მორწმუნეთაი ჩემდა მომართ, უმჯობეს არს მისა გამო-თუმცა-იბა ქედსა მისსა წისქვილის ქვაი ვირით საფქველი და შთავარდა ზღუასა.“ (მარკ. 9, 42). პეტრესნაირ გმირსაც, რომელიც აბრკოლებს ყრმას სიკეთის მიმართ, ასეთივე განსაცდელი ელის და ალბათ ამიტომ აქვს გამზადებული წისქვილის ქეები.

პეტრეს სახეს ზოგი „პასიურ, არამებრძოლ სიკეთეს“ უწოდებს, მაგრამ ამ ეპიზოდზე დაკვირვებიდან და მხატვრულ სახეთა ანალიზიდან ჩანს, რომ ამას არ შეიძლება ეწოდოს სიკეთე – არც პასიური და არც აქტიური, რადგან გმირის არსებაში საკუთარი თავის სიყვარულია გაბატონებული, რომელსაც იგი სხვას ყველაფერს სწირავს.

„ჩვენი პეტრე“ – ასე მოიხსენიება რამდენჯერმე ეს გმირი მოთხრობაში. ამ სიტყვებში ჩანს ავტორისეული მწარე სარკაზმიც და მისი გულისტკივილიც, გამოწვეული იმ უტყუარი ფაქტით, რომ ეს კაცი მართლაც ჩვენია, „ჩვენებური“ პეტრეა, ჩვენი სისხლი და ხორცი და თან არა თუ უარესთაგანი.

ილიას ეს მოთხრობა საოცრად ღრმა და შემზარავია. იგი თავისი უკანასკნელი რიტორული შეკითხვით: „მართლა და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...“ რომელსაც მრავალწერტილით ამთავრებს, ცდილობს დააფიქროს გარეგანი კეთილი საქმეებით გამორჩეული, საზოგადოებაში კარგ

კაცად ცნობილი, შინაგანად კი ამპარტავანი და მოყვასისადმი გულგრილი ყველა პეტრე. მწერალი მოუწოდებს მათ ფარისეველივით კი ნუ იქადიან, რომ სხვებზე უკეთესნი არიან, ან სხვებზე მეტად უყვართ მოყვასი, ჩაისვლონ თავიანთ გულებში, მკერდზე ხელი მიირტყან და მეზვერესავით აღიარონ თავიანთი ცოდვები.

მოთხრობის ძირითადი სატიკვარი ადამიანებში სინანულის არქონაა. არც უმცროს ძმას მიაჩნია თავი დაშნაშავედ. ისიც იმასვე ამბობს: „მე ჩემი გზა მართლის გზა მგონიაო“ და იმედი აქვს, რომ ღვთის სამსჯავროზე, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი ცოდვების სიმძიმისა, მაინც გამართლდება. მაგრამ იქნება კი ასე? იაკობ მოციქული წერს: „ვითარცა ხორცი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაი თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს.“

ამრიგად ილიამ მოთხრობაში წარმოგვიდგინა ორი სხვადასხვა გმირი, რომელთაგან ერთი კეთილ საქმეებსაა მოკლებული, მეორე კი გულის სიწმინდეს, მაგრამ არცერთს არა აქვს სინანული. მაცხოვარმა აქ ორ მადლს, რომელიც არსებითად იგივეა, რაც „რწმენა ჭეშმარიტი“ და სარწმუნოებრივი საქმეები“, იგაუერად „ორი დანაკი“ უწოდა და თქვა, რომ ისინი ყოველი მისი მიმღევარისათვის აუცილებელია. იგივე აზრია ჩადებული „ათი ქალწულის“ იგაგვიც, სადაც „ლამპარი“ რწმენას განასახიერებს, „ზუთი“ კი სარწმუნოებრივ საქმეებს. ამდენად, ვერც მარტო კეთილი საქმეებით, გულის სიწმინდის, მასში ჭეშმარიტი რწმენის ბატონობის გარეშე და ვერც მარტო ასეთი გულით, კეთილი ნაყოფის – შესაბამისი საქმეების გარეშე, ადამიანი ვერ გამართლდება: გული წმინდა უნდა ქქონდეს კაცს და ნაყოფი კეთილი. ამის მისაღწევად უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ყველამ თავისი ცოდვა დაინახოს, მისი გამოსწორების სურვილი გაუჩნდეს და ჭეშმარიტების გზას დაადგეს. არსებითად სწორედ ამ ქრისტიანული სწავლების ცოცხალი და შთამბეჭდავი სურათია ეს მოთხრობა.

ნაწარმოები ისე მთავრდება, რომ პეტრეც და უმცროსი ძმაც ცოცხლები არიან. მათ კიდევ აქვთ შესაძლებლობა, რომ გაიაზრონ ყოველივე და სწორ გზას დაადგენ. საყურადღებოა ერთი რამ – მოთხრობის ფინალში თავის უკანასკნელ სიტყვებს პეტრე ძველებური რიხითა და თვითდაჯერებულობით კი არა, „კენესითა“ და „თრთოლვით“ წარმოთქვამს, უმცროს ძმას კი გულისნადების სხვისთვის გამხელის, ერთგვარი აღსარების და ნაქურდალის უკან დაბრუნების სურვილი უჩნდება. შესაძლოა ეს გმირთა ხასიათში მომხდარი მცირე, მაგრამ სასიკეთო ქვრების ნიშანი იყოს. იქნებ დილით თავის ურემზე შემოძვლარი მამლის ყვილმა, რომელიც მანამდე პატივმოყვარეობას აღძრავდა მოხუც პეტრეში მას პეტრე მოციქულივით სინანულის ცრემლები გადმოადინოს და გული განუწმინდოს. მაშინ იქნებ მას ეტვირთა ადამიანებზე გულგატეხილი, იმედგაცრუებული ყმაწვილის გულის მონადირებაც. მოთხრობაში მოვლენათა შემდგომი განვითარება არ ჩანს და ალბათ ესეც მწერლის განზრახვაა,

დასმული პრობლემით, თავისი მრავალმნიშვნელოვანი მრავალწერტილით გზის გასაყრზე დატოვოს მკითხველი და დააფიქროს. ასეთი არჩევანი ფაქტიურად ყველა ადამიანის წინაშე დგება: კვლავ გააგრძელოს თავის მართლება თუ გულის კარი გაუღოს სინანულს და თქვას: „ღმერთო, მიღხინე მე ცოდვილსა და შემიწყალე!“

მოთხრობა გადამწყვეტ ნაბიჯზე წყდება, მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვი, თვითმზანი გამოვლილი სიუჟეტით თავის გართობა კი არ არის, არამედ მკითხველის სულიერი განწმენდა. ჩვენ თუ სისრულით დაინახავთ და გავითავისებთ ილიას სათქმელს, იქნებ ასეთმა ცრემლებმა ჩვენც განგვიწმინდოს გული.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რაც განასხვავებს მოთხრობას „სარჩობელაზედ“ ილიას ადრეული ნაწარმოებებისაგან – გლახის ნამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, არის ის, რომ იქ გმირები – გაბრიელი, კაკო და ზაქრო ძირითადად კონკრეტული პიროვნებების ბოროტების მსხვერპლნი იყვნენ, აქ კი ობოლი ძმების ცოდვა მთელ ამ ბრბოდ ქცეულ, გულგრილ საზოგადოებას აწევს კისერზე. ამბობს კიდევაც ბეჟანის ძმა: „ჩვენი ცოდვა ყველამ დაიღო კისრადო.“

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამით განსხვავდება ეს მოთხრობა სხვებისაგან. ზოგან სიუჟეტში ასახული პრობლემები სოციალურ ხასიათს ატარებდა. გაბრიელის, კაკოს თუ ზაქროს გაუბედურების მიზეზი ნაწილობრივ მათი, როგორც ყმების, სოციალური უუფლებობა იყო, ბეჟანი და მისი ძმა კი შედარებით მაღალ წოდებრივ საფეხურზე დგანან. მიუხედავად ამისა, ნაწარმოებში გარკვევით ჩანს, რომ ამ აზნაურიშვილებს სხვებთან ერთად შინამოსამსახურე ბიჭებიც კი სცემენ და უდიერად ექცევიან. სამხედრო სკოლიდან გამოქცეულ ძმებს საკუთარ სახლში ისინი დამესაც კი არ გაათევენებენ – გარეთ გაყრიან.

მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ ნაწევნები გლეხები არც ისე ღარიბები ჩანან. როგორც ვხედავთ, პეტრეს კარგი თბილი ნაბადიც აქვს, შოთის პურებიც, ლეინოც, ცხერის მწვადებიც და ჯიბეში ფულიც – როცა მოშივდება დუქანში შესვლაც შეუძლია. არც ის ჩანს, რომ ისინი არაადამიანურად შრომობდნენ – სიცხეში ისვენებენ, ღამით ტკბილად სძინავთ. ყოველივე ამის გამო ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, თითქოს აქ ნაწევნები იყოს „ტვირთმძიმეთა“ და „მამურალთა“ მონური უღელი და ეს მოთხრობა „სოციალური უსამართლობის მამხილებელი“ ნაწარმოები იყოს<sup>1</sup>. ეს პრობლემა ბევრ სხვა ნაწარმოებში აქვს ილიას ასახული, მაგრამ არა მოთხრობაში „სარჩობელაზედ“. პირიქით, მისი სიუჟეტიდან ჩანს, რომ ამა თუ იმ წარჩინებული წოდების ქონა თავისთავად სულაც არ არის ადამიანის ბედნიერების და უზრუნველი ცხოვრების გარანტია. ძმების ტრაგედიას სოციალური მდგომარეობა არ უღვევს საფუძვლად. იგი

1. გიორგი ჯიბლაზე, „ილია ჭავჭავაძე“, თბ. 1978. გვ.45



ზივადადამიანური, მორალურ-ზნეობრივი პრობლემით არის განპირობებული და არა წოდებრივი უსამართლობით.

მოთხრობაში წარმოჩენილი ამბავი რომელიმე მხატვრული გმირის პირით არ არის გადმოცემული. მასში მოთხრობელი თავად ავტორია. იგი, რა თქმა უნდა, გადმოგვცემს გმირთა საუბარსაც, წერილობით მონათხრობსაც. მაგრამ ამას ყოველთვის თავს უყრის და აქა იქ თავადაც ჩაერთვება ხოლმე. ნაწარმოების სიუჟეტში ერთ-ერთი შემადრწუნებელი ფაქტია ბუენისა და მისი ძმისადმი მათი დედის დამოკიდებულება. „დედა მალე გაგვითხოვდა... მინამ პატარები ვიყავით, ჩვენ სოფელში ვეყარნით უპატრონოდ და ისინი კი ქალაქში იყვნენ. როცა მოვიდოდნენ, ჩვენ საწყლებს სულ ტყავს გვაძრობდნენ ცემითა...“ ვკითხულობთ უმცროსი ძმის წერილში. დედის მხრივ არსებობდა ალბათ ამის საწინააღმდეგო გზაც. „ოთარაანთ ქერიეში“ ვხედავთ, როგორ იქცევა ნაკლები მატერიალური შეძლების მქონე, დაქვრივებული გლეხი დედაკაცი. ქერიე ქალს რჯულის მიხედვით მეორედ გათხოვება აკრძალული არა აქვს, მაგრამ ქორწინებისადმი ერთგულების შენარჩუნება მეტ სიწმინდედ ითვლება. (იხ. ტიმოთესადმი პავლე მოციქულის ეპისტოლე) საყურადღებოა, რომ მოთხრობებში „გლახის ნამბობი“ და „სარჩობელაზედ“ გარკვეული წვლილი ემაწვილთა ბედის გაუკუღმართბაში დედინაცვალსა და მამინაცვალს მიუძღვით. „გლახის ნამბობში“ გაბრიელი იგონებს: „მე დათიკოსთან სიკვდილი შერივნა ჩემ დედინაცვალთან ასის წლის ცხოვრებასაო...“ ვფიქრობდი, ვაითუ „გამიწყრა ღმერთი, ისევ ჩამადგეს იმ ქაჯის ხელშიო!“ ბუენის დედის მეორედ გათხოვების ფაქტისადმი ავტორს თავისი დამოკიდებულება პირდაპირ არა აქვს გამოთქმული, მაგრამ საყურადღებოა მის მიერ გამოყენებული ერთი უცნაური მხატვრული ხერხი — სახრჩობელასთან მდგარი ხალხი წამდაუწუმ ახსენებს სიკვდილმისჯილის დედას: „ეუი, შენს დედას!“ — იძახის ერთი, „ვაი შენს დედასა, შე საცოდავის შვილო“ — მოთქვამს მეორე; „ეგ ხომ მოკვდება და წავა, ვაი მაგის მშობლების ბრალი, რა ცეცხლში ჩაცვივიან! — ამბობს მესამე; „რა თონეში უნდა იწოდეს ახლა ამისი დედის გული“ — მოთქვამს კიდევ სხვა, ეს დედა კი არსად ჩანს და როგორც უმცროსი ძმის წერილიდან ვიგებთ, თავადაც მიუძღვის წვლილი შვილის უბედურებაში. აქ მწერალი დედის საქციელზე არაფრის თქმით, დუმილითაც ახერხებს მის მხილებას. შესაძლოა აქ ქერიეის ხელმეორედ ქორწინებაში და დედინაცვალ-მამინაცვლის სახეებში ცოტა უფრო ზოგადი მოვლენაც იგულისხმებოდეს — ოჯახის შინაგანი მიკროსამყაროს არსებითი ცვლილება, ძველ სულიერ ღირებულებებზე უარის თქმა.

ილია ჭავჭავაძის ეპიკური ნაწარმოებების  
კომპოზიციური თავისებურება

ილია ჭავჭავაძის მოთხრობების სიუჟეტები უმეტესწილად კონკრეტული

გმირების თავს გადახდენილ ამბებზეა აგებული. ასეთი გმირებია: „მგზავრის წერილებში“ – მგზავრი. „კაცია, ადამიანი“ – ლუარსაბ თათქარიძე, „გლახის ნაამბობში“ – გაბრიელი, მოთხრობაში „სარჩობელაზე“ – ბეჟანი და მისი ძმა, „ოთარანთ ქროში“ – ოთარანთ ქერივი და ნიკოლოზ გოსტშაბიშვილში – ნიკოლოზი. გამონაკლისს წარმოადგენს „ამბავად გაგონილი“, რომელიც მოკლე ისტორიულ ჩანახატებს ასახავს და სრულიად განსხვავებული აგებულებისაა. ზემოთ ჩამოთვლილი მთავარი გმირებისა და ძირითადი სიუჟეტური ხაზის განვითარების მონაწილეთა გარდა, ილიას მოთხრობებში ყველგან იკვეთება კიდევ სხვა, განსაკუთრებული პერსონაჟის სახე. ეს არის სხვა წრის, სხვა გარემოს და ზოგჯერ სხვა ეპოქის წარმომადგენელი, რომელსაც ან უამბობენ ამ ამბავს, ან რომლის თვალთაც არის იგი დანახული. ტექსტებზე დაკვირვება გვიჩვენა, რომ მწერალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ, სიუჟეტის ძირითად ხაზს გარეთ მდგომი, გმირის სახეს და მის დამოკიდებულებას მოთხრობილი ამბისადმი.

„კაცია, ადამიანი“ ლუარსაბის, დარეჯანის, დავითის, მოსეს და ძირითადი ამბის მონაწილე სხვა გმირების გარდა, რეალურად ჩნდება ავტორისა და მკითხველის სახეები. ლიტერატურულ მიმოხილვაში „ცისკარი 1862 წლამდინა“ ილიამ გამოთქვა აზრი, რომ მწერალმა ცხოვრება უნდა აღწეროს ისეთი სახით, როგორც იცა მას ხედავს. ავტორის მხატვრული სახე მოთხრობაში „კაცია, ადამიანი?“ წარმოჩენილი პრობლემისადმი, აღწერილი ამბისა და გმირებისადმი სწორედ ამგვარი დამოკიდებულების ცოცხალი ნიმუშია. როგორც ვთქვით, ორიოდ შტრიხით გამოკვეთილია მკითხველის სახეც: „...ვიცი, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, თქვენში მკითხველო, ძნელად თუ იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართალს სიტყვას გონება გაუსწოროს...“ წერს ილია, მაგრამ იქვე გამოთქვამს იმედს, რომ მკითხველს აუხილება თვალი, ამ მოთხრობაში სარკესავით ჩაიხედავს, შიგ თავის ნაკლს დაინახავს და გამოასწოროებს.

მოთხრობა „მგზავრის წერილები“ ეპისტოლარული ფორმით არის დაწერილი. მასში აღწერილია მოთხრობელის მგზავრობა ელადიკავკასიდან თბილისამდე, მაგრამ საყურადღებოა, რომ აქაც ჩანს ამ ამბების გარეშე მსმენელი, „წერილების“ ადრესატი – მშობლიური მიწა-წყალი.

მოთხრობა „გლახის ნაამბობი“ პირველ პირში თხრობით იწყება. მოთხრობელი, თითქმის ნადირობიდან მომავალი, გამოელაპარაკება გლახაკს და მისგან ისმენს იმ ამბავს, რომელზედაც აგებულია მოთხრობის ძირითადი სიუჟეტი. ბატონ-ყმობის უარყოფით მხარეებზე, ადამიანურ სისასტიკეზე და დაუნდობლობაზე ამ მოთხრობამდეც ბევრი რამ იყო დაწერილი და არც დათიკოს და გაბრიელის ტრაგიკული ბედი მკითხველისათვის უცხო არ იქნებოდა, მაგრამ მწერლის ყურადღება აქ სხვა საკითხისადმი მიჰყრობილი – როგორია მათდამი ამ ამბის შემთხვევითი მსმენლის – იგივე მოთხრობელის დამოკიდებულება. რა პოზიციას დაიჭერს იგი გაბრიელის მიმართ – ზიზლით თვალს აარიდებს, როგორც ეს წამიერად მოიძოქმედა მისი ჩირქმდინარე

ფეხების დანახვაზე თუ ყურადღებით მოუსმენს და თანაუგრძნობს?

მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ძირითადი სიუჟეტური ხაზი ბეჟანისა და მისი ძმის თავგადასავალზეა აგებული, მაგრამ ამავე დროს ნაწარმოებში უფრო ღრმად არის წარმოჩენილი მოხუცი მეურმის – პეტრეს განცდები მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და მისი ხასიათის ცვალებადობა. ობოლი ძმების უბედურებაში ბევრ ადამიანს მოძღვის ბრალი: მძობულ ღელას, რომელმაც ზრუნვა მოაკლო; მამინაცვალს, რომელმაც სარჩო-საბადებელი წაართვა; მოჯამაგირე ბიჭებს, რომლებმაც საკუთარი სახლიდან გამოყარეს; სამხედრო სკოლის მასწავლებლებს. რომლებიც დაუნდობლად ექცეოდნენ და უზნეობას აჩვენდნენ... მაგრამ მწერლის ჩანაფიქრის მიხედვით უმცროსი ძმის ერთგვარი ბრალდება-აღსარება მოისმინა შემთხვევით გაცნობილმა მოხუცმა მეურმე – პეტრემ, რომელსაც ეს ბიჭები სულ ორჯერ ჰყავდა ნანახი. საქმე იმაშია, რომ მწერალს უნდოდა სწორედ უცხო ადამიანის დამოკიდებულება ეჩვენებინა ყმაწვილების ბედისადმი.

„ოთარაანათ ქერივში“ მოთხრობილია ამბავი ადრე დაქვრივებული ქალისა, რომელმაც საკუთარი მხრებით ზიდა ცხოვრების მძიმე ჭკაპანი, რომ ობლად დარჩენილი მცირეწლოვანი ვაჟი ღირსეულ კაცად აღეზარდა. აქ, განსხვავებით მოთხრობებისაგან „გლახის ნამბობი“ და „სარჩობელაზედ“, მთავარი გმირის ამბავი მის მიერვე არ არის გადმოცემული. მას მოთხრობელი ყვება და, ალბათ, იმისათვის, რომ იგი მთელი სისაესით განაცდევინოს მკითხველს, ავტორს სხვადასხვა ხერხის მოხმობა სჭირდება. შესაძლოა ნაწილობრივ ამ მიზანსაც ემსახურებოდეს აქ წარმოდგენილი გულგრილი ადამიანების გვერდით ერთი ისეთი გმირის შემოყვანა, რომელმაც ქერივის უბედურება საკუთარვით განიცადა და მკითხველსაც განაცდევინა. ეს არის სოსია მეწისქვილე. ისიც თითქოსდა პირდაპირ არ მონაწილეობს ძირითადი სიუჟეტური ხაზის განვითარებაში, მაგრამ მისი დამოკიდებულება მომხდარისადმი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამას საგანგებოდ გამოჰყოფს ავტორი.

ამრიგად, თავის მოთხრობებში იღია გადმოგვცემს ამა თუ იმ გმირის თავს გადახდენილ ამბავს, ძერწავს ამ ამბავში მონაწილეთა სახეებს, მაგრამ ამას გარდა, იქვე წარმოგიდგენს ვიღაც სხვა გმირს, რომელიც ფაქტიურად განზე დგას მოქმედების ძირითადი ხაზის განვითარებისაგან. ამ გმირის შესახებ ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით, მაგრამ მწერალი მისი თავგადასავლის დეტალური აღწერის გარეშეც, მხოლოდდამხოლოდ მისი დამოკიდებულებით მომხდარისადმი, ახერხებს ამ გმირის ხასიათის გახსნასაც და მისი მეშვეობით მოთხრობაში აღწერილი ამბის ახალი კუთხით, ახალ ასპექტში წარმოჩენასაც. ამიტომ ხშირად ეს სახე მოთხრობის მთავარი გმირისაზე ნაკლებსაინტერესო და ნაკლებმნიშვნელოვანი არ არის. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას მოწმობს ისიც, რომ არცერთი ზემოხსენებული მოთხრობა ძირითადი ამბის თხრობით არ მთავრდება. ფინალში ყურადღება ყველგან ამ, სიუჟეტში განცალკევებით მღგარ გმირზეა გადატანილი და მისი განცდებია აქცენტირებული.

„კაცია; ადამიანი!“ მკითხველისადმი მიმართული და მოთხრობილი ამბის ერთგვარი ანალიზით მთავრდება; გლახას ამბავი – მთხრობელის გულისტკივილით: „საკოდავსა შიარების მიღება არ დასცალდა“; „სარნიზელაზედ“ – რიტორული შეკითხვით, რომელიც სწორედ პეტრეს უკავშირდება – „მართლა-და ჩენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...“ „ოთარანთ ქერიის“ ფინალში კი სოსიას გულიანი მოთქმა ისმის და მას კომენტარის სახით ასლავს ავტორის სიტყვები: „მართლა რომ ცოლოა!.. მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოლო? ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყვეაკრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში.“

ამ მხრივ ერთგვარი გამოხატვისა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, რომელიც უშუალოდ ნიკოლოზის ამბის მოყოლით მთავრდება, მაგრამ აქ მწერალმა მოთხრობის შესავალშივე გარკვევით გამოხატა თავისი ჩანაფიქრი და სურვილი, რომ ეს ამბავი, როგორც არაჩვეულებრივი მაგალითი ქართული ვაჟკაცობისა და შემწყნარებლობისა, სუფთა, უმანკო პატარა ყმაწვილებისათვის მოესმენინებინა, მათ გასაგონად და დასამოძღვრად, მათთვის გზის გასანათებლად მოთხრო.

როგორც ეხებათ, ყველა განხილული მოთხრობის სიუჟეტს ერთნაირი კომპოზიციური თავისებურება ახასიათებს. ის ნაწილი სიუჟეტისა, სადაც გადმოცემულია ამბები კონკრეტული გმირებისა, თავისთავად იმდენად შეკრული და სრულყოფილია, რომ დამოუკიდებლადაც შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ თითოეულ მოთხრობას აქვს ერთგვარი სიუჟეტური მეორე პლანიც, რომელსაც ქმნის მოთხრობილი ძირითადი ამბისაგან განზე მდგომი გმირი და მისი დამოკიდებულება მომხდარისადმი. ძირითადი სიუჟეტური ხაზის განვითარებაში მონაწილე გმირი და მისი პრობლემები აქ ან სულ სხვა თვალთ წარმოჩინდება, ან განსხვავებულ სიღრმესა და მნიშვნელობას იძენს.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ზუსტად ასეთი ზერხი ნაწარმოების კომპოზიციური აგებისა, გამოყენებულია მის პოემებშიც. „არდილში“ იმეამინდელი საქართველოს დაცემულ ყოფას პოეტი წარმოგვიდგენს მყინვარზე მდგომი მოზუცის – საქართველოს „თანამდევნი უკვდავი სულის“ სიმალლიდან.

პოემაში „კაკაქაჩაჩაბი“ ტყეში ყაჩაღად გაჭრილთა ცხოვრებაზე ავტორი წუთიერად შეგვახედავებს. მოზუცი მეურმის თვალთ, რომელსაც თითქოს შემურდა იმათი ბედი, შაქროს მხერა გააყოლა და „ახ. ნეტავი შენ! წაიდუნა.“ ადამიანთა უმრავლესობა მღბათ მოზუც მეურმესავით შენატროდა ტყეში გაჭრილებს, მაგრამ პოემის ბოლოში სინტერესოა ავტორის მიმართვა მკითხველისადმი: „... წარმოიდგინოს, რა მალღამი დულდა ტყეში შეხვედრილი ორი ყაჩაღის გულში, იყო კი მათი ბედი შესაშური?“

მოქმა მეფე დიმიტრი თავდადებულის“ ამ თვალსაზრისით განხილვისათვის საინტერესო გავიხსენოთ მისი შექმნის ისტორია. ილიას

სტუდენტობაში დაწერილი ჰქონდა ლექსი „მეფანტურე“, რომელშიაც ბრმა მიმღერალი წარსულ დროს აღიღებდა. მაგრამ მას მთების გარდა არავინ უგდებდა ყურს. ლექსის შექმნიდან თითქმის თურამეტი წლის შემდეგ პოეტმა ეს მეფანტურე გამოიყვანა მთხრობლად პოემაში, რომელსაც თავდაპირველად „ბრმა მეფანტურეს“ არქმევდა, საბოლოოდ კი „მეფე ღიმიტრი თავდადებული“ უწოდა. აქ, ლექსისაგან განსხვავებით, ბრმა მეფანტურე მხოლოდ საკუთარი გულის მოსახებლად არ აუღერებს ფანდურს, არამედ ყმაწვილი, ბიჭის თხოვნით. მას უსმენს ხალხი „გულიდან ჟანგის მოსაშორებლად“. ამ ნაწარმოებში განსაკუთრებით კარგად გამოიკვეთა სიუჟეტური ხაზის ის განშტოება, რომელზედაც გვექონდა საუბარი, რადგან იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებლადაც არსებობდა ლექსის სახით.

სიუჟეტის აგებულებით ამ ნაწარმოებთან ერთის შეხედვით გამოირჩევა პოემა „ქართლის დედა“. იგი თავის მეგობარს – პეტრე ნაკაშიძეს უძღვნა მწერალმა და მისდამი მიძღვნის სიტყვებით იწყება, მაგრამ მამულისათვის თავდადებული დედის სახეს, რომელიც, როგორც ავტორისავე სიტყვებიდან ჩანს, პეტრესა და მას ისედაც „მარად გულში“ ჰქონიათ, პეტრე ნაკაშიძისათვის აღარ შექმნიდა მწერალი. პირიქით, ეს უფრო იმით გასაგონად უნდა იყოს დაწერილი, ვისაც შესაძლოა დავიწყებული ჰქონდა წინაპართა ნათელი სახეები და მათი სულისკვეთება. ამ თვალსაზრისით პოემა ყველაზე მეტად დამაფიქრებელი და სამაგალითოა ქართველი დედებისათვის. ამიტომ, ჩვენი აზრით, შესაძლოა ერთი ჩანაფიქრი ედოს საფუძვლად ამ პოემას და ლექსს „ქართლის დედას“, რომელიც მთლიანად ქართველი დედებისადმი მიძარტვას წარმოადგენს. პირველად სწორედ ამ ლექსში ჩნდება მცნება ქართლის დედისა, რომელიც განსაკუთრებულ მამულიშვილურ მოვალეობასთან არის დაკავშირებული. აქაც წარსულისაგან შობილ აწმყოზე მყოფადის დაშენებაზეა საუბარი და, ხსენებული პოემის მსგავსად, საოცარი გრძობითა და სიმძაფრით ჟღერს სიტყვები: „მამული“, „შვილი“, „ვალი“ და „თავისუფლება“. ლექსის ორაზროვნებაში მწერლის ჩანაფიქრი შეფარვით არის გამოხატული. პირდაპირ არ არის გაცხადებული, როგორი მყოფადის შენება აქვს მიზნად დასახული პოეტს ან რას გულისხმობს ერთობასა და თავისუფლებაში. ამის დაკონკრეტება მკაცრი ცენზურის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა. როგორც ვხვდავთ, პირიქით მოხდა თითქმის ასეთივე დასათაურების პოემაში „ქართლის დედა“, სადაც მწერალმა კონკრეტული მაგალითით გამოკვეთა თავისი მიზანი, მაგრამ ცენზურის გამო ვერ მისცა მას სათანადო განმარტება – ვერც შესავალი გაუკეთა და ვერც დასკენა. უფრო მეტიც, მან სიცოცხლეში ერთხელაც ვერ გამოაქვეყნა ეს პოემა მისთვის სასურველი სათაურით – „ქართლის დედა“ (იბეჭდებოდა, როგორც „დედა და შვილი“) და მინაწერით „სცენა მომავალი ცხოვრებიდან“. ცენზურის თვალის ასახვევად ავტორი ხან დავით აღმაშენებლის დროინდელ ამბად აცხადებდა მას და, ხან თამარ მეფის დროინდელად. თუმცა ჩაფიქრებული ჰქონდა, როგორც სურათი ქართველთთვის

სასურველი მომავლისა.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლექსისა და პოემის ასეთი ურთიერთკავშიარი ილიასათვის უპრეცედენტო არ არის, ვგულისხმობთ „მეფანტურისა“ და „მეფე დიმიტრი თავადადებულის“ ისტორიას, სიუჟეტის აგების ჩვეული ზერხიდან გადახვევა ამ შემთხვევაში მკაცრ საცენზურო პირობებს შეიძლება მივაწეროთ და ლექსი „ქართვლის დედას“ და პოემა „ქართვლის დედა“ ერთიან შემოქმედებით ჩანაფიქრად აღვიქვათ.

ილიას უკანასკნელ და ურთულეს პოემაში „განდგეილი“ სიუჟეტის ორპლანდიანობა ერთბაშად თვალშისაცემი არ არის, მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ ბეთლემის ამენების ისტორია და იქ წმინდა მამათა ყოფნის ამბავი, რასაც, როგორც ჩანს საფუძვლად დაედო ისტორიულ წყაროებში ამოკითხული თუ ხალხში გაგონილი მასალა, ზმნა-შემასმენლის თურმობითის ფორმებით არის გადმოცემული – „გამოუქცაბავთ“, „შეკვლელია“ და სხვ. VII თავში კი, სადაც იწყება მწერლის მიერ შეთხზულ სიუჟეტზე გადასვლა, რომელიც გადმოგვცემს მოგვიანებით იმავე გამოქცაბულში შეფარებული ერთი ბერის ამბავს, შემოდის რეალური ნამყოს ფორმანი ზმნები: „კლეკოდა“, „შესტქერდა“, „გამრა“ და სხვ. ამ გადასვლას ზმნათა განსხვავებულ ფორმებზე ავტორი განდგეილის თვალწინ გადაშლილი ბუნების არაჩვეულებრივი სურათის აღწერის ეპიზოდში ისეთი მაღალი ოსტატობით ახდენს, რომ სპეციალური დაკვირვების გარეშე შეუმჩნეველი რჩება.

რა აზრი უნდა იყოს ზმნათა ფორმების ამ დაპირისპირებაში? შესაძლოა ეს იმის გამოხატულება იყოს, რომ ნაწარმოებში სიმბოლურად ასახული დაცემა ამაღლებულისა, ღვთივ მინიჭებული მაღლის დაკარგვა, ილიასათვის ის რეალობაა, რომელსაც იგი ზედავს, დანარჩენი კი ლეგენდად ქცეული წარსულია. შეპირისპირება წარსულისა და აწმყოს სურათებისა პოემის რვატაეპიან ბოლოსიტყვაობაშიც ზმნათა განსხვავებული დროის ფორმებით არის გამოხატული: ღმერთი „უდიდებიათ“, ქებისა და ღაღადების მსხვერპლი „უწირავთ“, მაგრამ დღეს კი ქარი „ქშუის“ და ნადირი „ღმუის“.

როგორც ვხედავთ, სიუჟეტის ორპლანდიანობა ერთგვარი კანონზომიერებით ვლინდება ჩვენს მიერ განხილულ ყველა ნაწარმოებში. ვფიქრობთ, რომ ამას მწერლისათვის ერთგვარი მიზანი ჰქონდა: ერთის მხრივ, სრული სისავსით აღწერა თანამემამულეთა ყოფა, მათი ავ-კარგი და, მეორეს მხრივ, ყოველივე ეს გასაგები და ახლობელი გაეხადა ყველასათვის. ამ ზერხის მეშვეობით ზომ ავტორი წარმოგვიჩინებს ამა თუ იმ საკითხის შესახებ არა მხოლოდ ერთ, არამედ ზოგჯერ რამდენიმე თვალსაზრისსაც; აწმყოზე წარსულის თვალითაც გვახედებს, დღევანდელი დღის ფონზე წარმოგვიჩინებს მომავალს, ცდილობს არასოდეს არ იყოს ცალმხრივი და მიკერძოებული მის მიერ აღწერილი ფაქტებისა და გმირებისადმი. საზოგადოებისაგან მოძულებულ პერსონაჟს

უფრო ისეთი კუთხით გვიჩვენებს, რომ ჩვენში მანაც სიბრალული და თანაგრძნობა გამოიწვიოს; ერთის შესხვევით მიმზიდველი გმირის წარმოჩენისას კი მოულოდნელად მის ისეთ თვისებებზე მიგვაქცევინებს ყურადღებას, რომელიც უცებ გამოგვიყვანს ხოლმე ხიბლიდან და მოგვაგონებს, რომ უნაკლო და უცოდველი ადამიანი არ არსებობს. ყველა ადამიანი სცოდავს და თუნდაც ამ ცოდვის გამო ყველა საცოდავია.

აქ წარმოდგენილის მსგავსი სიუჟეტური განშტოებები არაერთი ქართველი და უცხოელი მწერლის თხზულებებში შეგვხვედრია, მაგრამ ასე – მთელს შემოქმედებას რომ გვემაზომიერად და მიზანდასახულად გასდევდეს – არა. ილიას, როგორც ჩანს, ეს მეთოდი, იმდენად ღრმად გაცნობიერებული და გათავისებული აქონდა, რომ ამან მის პუბლიცისტიკაშიც თავისებური გამოხატულება ჰპოვა. ქართველთა წინაშე მღვარი სხვადასხვა პრობლემური საკითხები რომ საზოგადოების ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომი და გასაგები გაეხადა, მწერალმა მოიგონა ორი მხატვრული სახე – სხვადასხვა ასაკის, განათლებისა და შეხედულებების მქონე ადამიანებისა და ამ ფსევდონიმების თუ ფსევდოგმირების – „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ საშუალებით არაერთი საკითხი წარუდგინა მკითხველს იოლად აღსაქმელი, გამარტივებული და თან მიმზიდველი სახით.

ვფიქრობთ, რომ სიუჟეტის აგების ამ ხერხმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი გამომსახველობითი ფორმის ტევადობას და მწერლის ჩანაფიქრის სრულყოფილ ხორცშესხმას ნაწარმოებში.

## დაცარიელებული ბითლემი

„ნაშთი ჩვენის სულიერად ზე-აღსავლობისა...“

პოემა „განდევილის შექმნიდან დღემდე მრავალი სპეციალური სტატია და გამოკვლევა დაიწერა მის შესახებ, მრავალი სხვადასხვაგვარი აზრი გამოითქვა. ლიტერატურული კრიტიკისათვის ეს ნაწილობრივ მისაღები მოვლენაა, იმდენად, რამდენადაც ხელოვნებაში ყველაფრის ახსნა ცალსახად არ შეიძლება, მაგრამ, ჩვენი აზრით, ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც მეცნიერებისათვის, შეუფერებელია. რომ ამა თუ იმ თხზულების შემოქმედებით ჩანაფიქრთან დაკავშირებით გვერდიგვერდ თანაარსებობდეს აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავი დასკვნები, „განდევილის“ შემთხვევაში კი სწორედ ასეთი სურათი გვაქვს. სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრით ილიამ თხზულება

შექმნა განდევილობის დასავგზობად<sup>1</sup>, მეცნიერთა მეორე ჯგუფის თვალსაზრისით კი პირიქით, ეს პოემა განდევილობის დასავგზობად არ შეიძლება იყოს დაწერილი<sup>2</sup>. ფაქტია, რომ ორი ამგვარი საპირისპირო განზრახვა ერთდროულად ვერ ექნებოდა შემოქმედს და აქ ცალსახა დასკვნაა საჭირო. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ორი თვალსაზრისიდან ერთ-ერთი მცდარია. რადგან ლიტერატურათმცოდნეობა მეცნიერების დარგია, აუცილებელია, რომ სათანადო დასკვნის გაკეთებისთვის დავეყრდნოთ ფაქტობრივ დოკუმენტურ მასალას, ლოგიკურ არგუმენტაციას და არა განყენებულ პირად შთაბეჭდილებებს. შემოქმედებითი ჩანაფიქრის განსაზღვრისას ჩვენ მოლიანად ავტორის პოზიცია და მისი განზრახვა გვანტერესებს და არა თუნდაც ძალზე ცნობილი და სახელოვანი ადამიანების აზრი ამის შესახებ.

როგორი ნაწარმოებიც არ უნდა იყოს „განდევილი“ – ჩვეულებრივი ეპიკური თხზულება, ალღორიული თუ ფსიქოლოგიური, ერთი რამ უდავოა, რომ ავტორმა ზედაპირულ ზატად, თემად გამოიყენა განდევილი ბერის ამბავი და ამიტომ უპირველეს ყოვლისა ჩვენთვის საინტერესოა ილიას დამოკიდებულება განდევილობის – ბერ-მონაზვნური ღვაწლის, როგორც ცხოვრებისეული ფაქტისადმი.

საოცრად გავვიმართლა, რომ ილია ჭავჭავაძე მწერლობის გარდა პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც ეწეოდა და შემოგვეჩა ამ საკითხთან

---

1. კიტა აბაშიძე წერს: „რა უნდოდა ეთქვა „განდევილი“ პოეტს თუ არა ის, რომ ყოველი კაცი, რომელიც გაურბის ცხოვრებას, ცხოვრებისგანვე იქნება დასჯილი, როგორც განდევილი.“ („ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბ. 1962, ილია ჭავჭავაძე, გვ. 131) ვახტანგ კოტეტიშვილის აზრით: „აქ სრულიად მარტივად არის ნაჩვენები საზოგადოებრიობა და ასკეტიზმი და ასევე მარტივად არის ნაჩვენები უკანასკნელის დამარცხება.“ (იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX ს. თბ. 1959, ილია ჭავჭავაძე, გვ. 304-366) მიხეილ ზანდუკელი: „განდევლის“ დედააზრი მკითხველისათვის ამჟამააკაცის სიციხულე ცხოვრების გარეშე ამაოა, კაცი ცხოვრების გარეშე ვერ მოიპოვებს ვერც სიმშვიდეს, ვერც კმაყოფილებას. ის ისევე განადგურდება, უკვალოდ, როგორც განადგურდა თვით განდევილი.“ (ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა“, თბ. 1968, გვ. 55)

2. გრიგოლ ყოფშიძის აზრით ეს ნაწარმოები ილიას ღვთისმსახურებისადმი სიყვარულით აქვს შექმნილი (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914, გვ. XVI); ესტატე ბოსლველი წერს: „ბატონ ჭავჭავაძის პესიმისტურს შეხედულებას „საქაოზე“ საზღვარი არა აქვს...“ (იხ. გაზ. „შრომა“, 1883, № 18); დავით კეზელის აზრით: „ამ სოფლიდან გაცლა და ლოცვაში სიციხის გატარება აქ იდეალად არის დასახული...“ კიტა აბაშიძის გადმოცემით საზოგადოების ერთი ნაწილის აზრით ილია აქ ბერად შედგომას გვიქადაგებდა: „საწუთრო ესე საზიზღარია და სულის მშვიდობას მხოლოდ რომელსამე უდაბნოს სენაკში მოიპოვებო.“ (იხ. „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ. 1962, გვ. 157) აკაკი ბაქრაძე წერს: „უბრალო ლოგიკის თანახმად, დასავგზობი შეიძლება გახდეს ის უარყოფითი მოვლენა. რასაც ამა თუ იმ მიზეზით, საზოგადოებაში აქვს ფეხი მოკიდებული. ასკეტიზმი კი მაშინ არც ფეხმოკიდებული ყოფილა და არც ფეხგადგებული.“ (იხ. ილია ჭავჭავაძე, წიწამური, თბ. „ნაკადული“, 1984, გვ. 97)



დაკავშირებით მისი პირადი აზრის დამადასტურებელი არაერთი საბუთი. აი, რას ამბობს იგი დიდი კაბადოკიელი წმინდანის – სვიმონ მესვეტის შესახებ, რომელიც 80 წლის მანძილზე ურთულეს ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა სვეტზე და იქვე ლოცვაში აღესრულა: „სვიმონ მესვეტე სვეტზედ ავიდა და იქ მიეცა გახრწნილებას სულის საოხად. და ნუთუ ეს სიზარმაცით მოვივინა და ქვეყანას იმიტომ მოვივინა, რომ ქვეყანა ხელ-ფეხის მოძრაობას, გარჯას და მუშაობას კითხოვლობდა და სვეტზედ კი უძრავად შეეძლო დებულიყო...“ ამ რიტორულ შეკითხვას ზოგი კრიტიკოსი ალბათ თავისი პოზიციის შესაბამისად შეატრიალებდა და იტყოდა, ასე დაგმო ილიამ უსაქმოდ სვეტზე დაყუდებო, მაგრამ აქაც გაგვიმართლა, რომ მწერალმა მომღვეწო წინადადებებში დააზუსტა თავისი აზრი სიტყვებით: „ამისთანა ამბავს სხვა მიზეზი აქვს, რომელიც თავს იმაღლავს ადამიანის მრავალფერს ბუნებაში და, რამოდენადაც ეს ფარულნი მიზეზნი შორს არიან უბრალო სიკვდილის შეილთა თვალთათვის, იმოდენად მათი პოვნა და მიგნება მხვედრია მარტო იმისთანა კაცებისა, როგორც რუსიაველია და სხვანი.“<sup>1</sup> ესე იგი, აქ მესვეტის სიზარმაცეში არ ყოფილა საქმე და არც ბერის მიერ არასწორად არჩეულ გზაში. ციტირებული პუბლიცისტური ნაწყვეტიდან შეიძლება რამდენიმე დასკვნის გაკეთება: 1. ილიას აზრით სვიმონ მესვეტე და მისი მიმდევრები ასკეზის გზას სამოღვაწეოდ მიმართავენ და არა განსასვენებლად. 2. „ხელ-ფეხის მიძრაობის“. გარჯის და ფიზიკური მუშაობის გარდა ილია აღიარებს სხვაგვარ – სულიერ ღვაწლსაც, რომელსაც პირველზე დაბლა არ აყენებს. 3. ამგვარი ღვაწლის არსებობას ხსნის „ადამიანის მრავალფერი ბუნებით“ და მიანჩნია, რომ იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი და „უბრალო სიკვდილის შეილთათვის“ მისახვედრი არ არის.

„განდევილის“ შესახებ ბოლო ათწლეულის მანძილზეც ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ ღელააზრთან დაკავშირებით კვლევა მინც ძირითადად ძველ წყაროებში გრძელდება და დასკვნებიც შესაბამისია – რომ „განდევლობაში, წუთისოფლისათვის ზურგის შექცევამი ილია ხელაქს ბოროტებას, სიცოცხლეზე სიკვდილის გამარჯვებას და სიკეთის დათრგუნვის საფრთხეს“<sup>2</sup>, რომ მწერალს სურდა „დასურათხატებით ეჩვენებინა განდევლობის უაზრობა და უნადაგობა.“<sup>3</sup> რომ იგი მხატვრული დამაჯერებლობით უჩვენებს. რომ განდევილი ხსნის ყალბ გზას ადგას“<sup>4</sup>

„უწინ ხასულიერო წოდებაში შესვლა და ყოფნა დიდ პატივად და დიდ ღირსებად მიაჩნდათ. დიდნი გვარიშვილნი, მეფეთა ოჯახისანი და ძენიც კი ბედნიერად პრაცხნდნენ თავიანთ თავს თუ-კი ეღირსებოდნენ სასულიერო

1. სტატია „აკაკი წერეთელი და კეფისიტყაოსანი“  
 2. გურამ შარაძე, ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება. 1987, ტ.1, გვ. 270  
 3. ზურაბ კიკნაძე, „სალოსი და განდევილი“ ე. „კრიტიკა“. 1990 №6  
 4. ლადო მინაშვილი. ილია ჭავჭავაძე. თბ. 1996

წოდების კაცად გახდომას, სასულიეროში შესვლას და სამსახურსა. ყველამ იცოდა, რა მძიმეა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი მამულისა და ეროვნებისა და სახელიც მოღვაწისა ამ სიმძიმეში იყო. ეს სიმძიმე აპატიონებდა ღვაწლსა, ეს ტვირთი ასხივონებდა სამსახურსა და ამ პატიონებასა და სსივონობაში იყო თავმოწონებაც და ჯილდოც მოღვაწისა... საქართველოს მეფენი ჰკრძობდნენ რა სიდიადეს წმიდათა მამათა მოღვაწეობისას საქართველოს გარეთ. არა ჰზოგავდნენ არა სახსარს, რომ ქონებით უღონობა და ნაკლებულობა არა ჰქონოდათ მონასტრებსა და ეკლესიებსა ქართველებისას“, — წერდა ილია 1888 წელს გაზეთ „ივერიის“ მეცხრე ნომერში, რაც ასევე მოწმობს იმას, რომ მას ბერ-მონაზვნური საქმიანობა დიდ და რთულ ღვაწლად მიაჩნდა.

ბერ-მონაზვნებისადმი ილიას დამოკიდებულება კარგად ჩანს 1898 წელს ალექსანდრე ეპისკოპოსისადმი მიმართულ სიტყვაშიც: „თქვენი სიცოცხლე მთელი და განუწყვეტელი სათნობაა, რომლის მაგალითს მარტო იმ მაღლით ცხებულ მღვდელ-მონაზვნების შორის ეპოულობთ, რომელნიც ერთს დროს ყოფილან ჩვენში ჩვენდა საბედნიეროდ და ეხლა, ჩვენდა საუბედუროდ, აღარ არიან.“ როგორც ვხედავთ, ილია პირდაპირ მისტერის იმ ბერ-მონაზვნობას, რომლის გმობასაც ჩვენ მას ეწამებთ. „...თქვენ გვამთ, რომ ადამიანის მხსნელი მისი რჯული და სარწმუნოებაა და ამ გზაზე ღვაწლმოსილობისათვის არა დაგიზოგიათ რა. ამისდა მოწამეთ თქვენს მიერ აღდგენილი მონასტრებია. ეს ნაშთი ჩვენის სულიერად ზე-აღსავლობისა“, ვკითხულობთ იმავე სტატიაში და ვხედავთ, რომ ბერ-მონაზვნურ ცხოვრებაში ილია „ბოროტებას“ და „სხნის ყალბ გზას“ კი არ ხედავს, არამედ სულიერ წინსვლას.

სტატიაში ათონის ქართული საეპისკოპოსოსის შესახებ ილია წერს, ათონის მთაზე, სინაზე, სირიაში და იერუსალიმის ახლო-მახლოს ქართველთა მიერვე აშენებულ მონასტრებში მოღვაწე ჩვენი დიდი სულიერი მამების ცხოვრება და საქმენი „თავმოსაწონებლად ექმნება ქართველსა ყოველთვისო“<sup>1</sup> და განა შეიძლება, ამ სიტყვების ავტორზე ვთქვათ: „მძლავრ რეალურ ფერებში იძლევა დრომოკმული, წარმავალი სამონასტრო ცხოვრების სურათებსო“? ეს ხომ ცილისწამებაა მისთვის სწორედ იმაში, რასაც თავად სასტიკად გმობდა — სარწმუნოება სამოსელი ხომ არ არის, რომ კაცმა ხან ჩაიცვას და ხან გაიხადოსო. „სარწმუნოება, რომლის დიდი ნასკვი ადამიანის სულიერ წიაღშია, ორთავლა და ორგულა ვერ იქნება... კაცი შეურყევლად მოსავია მარტო იმ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებს და გულში ატარებს. უამისოდ სარწმუნოება სარწმუნოება კი არ არის, სამოსელია, რომელსაც კაცი, როცა უნდა იხდის და როცა უნდა იცვამს.“ წერს იგი ნარკვევში „ქვათა ღაღადი“

ილია უდიდეს ღვაწლად მიიჩნევს განდგეგილობას არა მარტო ისეთს, როდესაც ბერები ჩამოდდიოდნენ ერში და ფიზიკურადაც ეხმარებოდნენ ხალხს

1. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი ხუთ ტომად. ტ.5. გვ. 13

რითიმე, არაბმელ ისეთ განდევნილობასაც, როდესაც იოანე ზედაზნელივით და შიო მღვიმელივით გამოქცევულში იყვნენ განმარტობულნი ან სვეტზე სვიმონ მესვეტესავით. ბერის ძალა ზომ ლოცვაშია და არა ვინმესთვის ფიზიკურად დახმარებში. ალექსანდრე ეპისკოპოსის დიდ დამსახურებად თვლიდა ილია იმას, რომ მან აღგვიდგინა ჩვენი დავიწყებული წმინდანები შიო მღვიმელი და იოანე ზედაზნელი. აქ უნდა იგულისხმებოდეს მის მიერ გამოცემული „ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა და ძველი ვაჰხანის ქვაბთა.“ (1896 წ.) ილიას მიერ დასახელებული ეს წმინდანებიც. სვიმონ მესვეტეც განმარტობულ ცხოვრებას ეწეოდნენ და ადამიანებს თუ ეხმარებოდნენ რითიმე – თავიანთი ლოცვით, მაგრამ სავსებით ნათლად ჩანს ილიას კრძალვა და სიყვარული მათდამი. ბერ-მონაზვნობისადმი და კონკრეტულად ასკეტი მამებისადმი ილიას დამოკიდებულება სავსებით შეესაბამება მართლმადიდებლურს. ამიტომ მოსაზრება, თითქოს „თორნიკე ერისთავი“ მოხსენიებული გაბრიელ სალოსის მიერ არჩეული ღვაწლი იმით ჯობდეს „განდევნილსეული“ ბერისას, რომ გაბრიელი არ კარგავს კავშირს ხალხთან და ფიზიკურად ეხმარება მათ, არ უნდა იყოს სწორი. ორივე გმირის გზა ღვთისაკენ მიდის, თუ მისგან არ გადაუხვევს. განდევნილის მიერ არჩეულ გზას არ შეიძლება არასწორი ეუწოდოთ. აბსოლუტურ განმარტობაში არა ერთი და ორი წმინდა მამა მოღვაწეობდა.

მარამ მუკევიპტელი უფლისაიკენ მიმავალ გზას რომ დაადგა და ღრმა უღაბნოში შევიდა, მრავალი წლის მანძილზე ადამიანი საერთოდ არ უნახავს (ზოსიმე ბერის გარდა, რომელმაც გარდაცვალების წინ აზიარა), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მან მოიძულა ყველანი. პირიქით, ეს უფლისკენ მიმავალი ერთ-ერთი ყველაზე რთული გზაა, რომელსაც ძალუძს ადამიანი უმძიმესი ცოდვებისაგანაც კი განწმინდოს და უფლის დიდებას აზიაროს. გაბრიელ სალოსისა და ილიას „განდევნილსეული“ ბერის შეპირისპირება იმის ტოლფასია, კარგი მოისარი და ცუდი შუბოსანი რომ შეეადაროთ ერთმანეთს და ეთქვას, შუბი უვარგისი იარაღიაო. ილიას ბერი მარცხდება არა იმიტომ, რომ მის მიერ არჩეული გზა არ არის სწორი, არამედ იმიტომ, რომ თავად ვერ ივარგა ამ გზისათვის. თორემ გაეცხსნოთ სხვები, რომლებიც ამავე პოემის მიხედვით ამ ბერამდე იყვნენ გამოქცაბულში. განა თუნდაც რაიმე წერილმანში მაინც ჩანს, რომ მწერალი მათ ღვაწლს არ აღიღებდეს? ამ განდევნილ ბერებს ავტორი „წმინდანებად“ იხსენიებს:

„იქ სადაც წმინდანთ უდიდებით

ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების...“

უდიდესი პატივისცემა და მოკრძალება იგრძნობა ამ ბერებისადმი, რომლებიც „ღვთისთვის ქვეყნიდან განდევნილან“, „ბეთლემის“ მონასტერი გამოუქვაბავთ და ღმერთი უდიდებით. არავითარი მინიშნება იმაზე, ბერები ერთი ჩამოდიოდნენ და ხალხს ფიზიკურად ეხმარებოდნენ, არ არის. ჩანს მხოლოდ, რომ ისინი ლოცულობდნენ და პოეტის აზრით მიაღწიეს თავიანთ მიზანს – ეღირსნენ

საუკუნო საეანეს და გარშემოც ისეთი მადლი მოჰქინეს, რომ მაშინაც კი, როდესაც უკვე ტაძარი დაცარიელდა, იმ ადგილისადმი კრძალუა და რიდი მაინც შემორჩა:

„...აქ ღირსებიან მართალთა თანა

საეანესა მას საუკუნოსა...“

„...და ის ადგილი, ის არეპარე

ესოდენ წმინდად სწაჰს დღესაც ერსა,

რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს,

მონადირეცა ვერ ახლებს ხელსა.“

ვახტანგ კოტეტიშვილი წერს: „ილია ჭავჭავაძის განდევილი კი არ აღმოჩნდა აქ სუსტი, არამედ თვით განდევილობის იდეა, რადგან პოეტის აზრით საბოლოოდ მაინც შეუძლებელია სურვილთა იმ ათასნაირი ქსელების დაწვევტა, რომელნიც გეაკავშირებენ ცხოვრებასთან და რომელნიც თვით ხანგრძლივ განდევილობაშიც კი ცნაურდებიან შურის, წყველის, წყურვილის თუ უბრალო ტკბილ მოგონებათა სახითო.“ კიტა აბაშიძის აზრით: „...ამ ბრძოლის ამგვარად დასრულებით პოეტს თითქოს ის უნდოდა ეთქვა, ტყუილად წუ ცდილობთ გაეძტეთ ცხოვრებას: მისგან გატკევა შეუძლებელია და ვინც კი ამას ცოინდომებს, განდევილის ბედს შეეყრებაო.“<sup>1</sup> მაგრამ პოემის შესაქლის მიხედვით ჩანს, რომ ამ „ქსელების“ დაწვევტა თუმც ყველას არ შეუძლია, მაგრამ ზოგს მაინც ძალუძს. ამიტომ ეს აზრი ეწინააღმდეგება ილიას მიერ ამავე გამოქვაბულის ადრინდელ ბერთა ცხოვრების აღწერას. ისინიც იყვნენ აქ, სწორედ ასეთ განდევილ ცხოვრებას ეწეოდნენ და საწადელს აღწევდნენ. ამრიგად პოემის მიხედვით, განდევილობა მიუღწეველი არ არის. უბრალოდ, სიუჟეტის ზედაპირული სატის მიხედვით ერთმა კონკრეტულმა ბერმა ვერ შესძლო ამ მძიმე ჯერის ბოლომდე ტარება. ვინმეს რომ რაიმე საქმიანობაში ხელი მოეცაროს, ამიტომ ეს საქმე ხომ არ უნდა დაეგმოს. ასეთი შემთხვევები ხომ ცხოვრების ყველა სფეროშია და რაც უფრო რთულია საქმე — მით უფრო მეტი.

1 მწერალს რომ იმის მინიშნების სურვილი ჰქონოდა. განდევილის დამარცხების მიზეზი ის არის, რომ საზოგადოებისაგან მთლიანად მოწვევტილია, არ ჩამოდის და არ ეხმარება მათო, მცირე ნიუანსით მაინც მიგვანიშნებდა ამაზე. მეორეს მხრივ, განდევილის შესახებ ვერც ვიტყვით. მოძულეული ჰყავდა ქვეყანაო. იგი დიდი განსაცდელის ჟამს სწორედ ქვეყნისთვის ლოცულობდა და როდესაც ერიდან მისულმა უცნობმა მისგან შეელა ითხოვა, იგი ფიზიკურადაც დაესპარა მას. მის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯის შესახებ ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი.

ამრიგად, არ მიგვაჩნია სწორად არც ის, თითქოს განდევილი ეგოისტურად

1 „...ტრეულება XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბ. 1962, გვ. 162

მარტო საკუთარი სულის ხსენაზე ფიქრობდა და არც ის, თითქოს იმიტომ დაიღუპა, რომ მოწყვეტილი იყო ქვეყანას, ხალხს და ეკლესიას. ბერ-მონაზონთა ცხოვრება ხომ განსაკუთრებული სულიერი მოღვაწეობაა და როგორ შეიძლება მათ ეკლესიისაგან მოწყვეტა დაეწამოთ. განა მონასტერი იგივე ღვთის სახლი არ არის? წმინდა მამები ხშირად აღმოუჩენდნენ ხოლმე დახმარებას მათთან მისულ ერისკაცებს. მაგრამ იმათ ყველაწიერ თხოვნას არ ასრულებდნენ, აკეთებდნენ იმას, რისი ძალაც ღვთისაგან შესწევდათ, მაგრამ არ ივიწყებდნენ არც საცდურს. ზოგი წმინდა მამა, მათ შორის ის წმინდა სვიმონ მესვეტე, რომლის შესახებაც ილიას აზრი ჩვენთვის ცნობილია, ქალებს, თვით საკუთარ დედასაც კი ასეღოს არ უშეებდა თავისთან, ოთხმოცი წლის მანძილზე სვეტიდან არ ჩამოსულა და შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკურად არავის არაფერში დასმარებია. მაგრამ მის ლოცვას ღვთის შემწეობით ბევრად უფრო მეტი შეეძლო და აკეთებდა კიდევ, ვიდრე ეს ნებისმიერი კაცის ფიზიკურ შესაძლებლობებშია.

ილია, რომელიც სვიმონ მესვეტის გზის სიღიადეს ხედავდა, განდევალს არ დაადანაშაულებდა იმაში, რატომ სოფელში არ ჩამოდიოდა და ხალხს არ ეხმარებოდაო. პირიქით, მას შეიძლება არასწორად შეეფასებინა თავისი გმირის ის ნაბიჯი – ქალი რომ შეუშვა თავის სენაკში და ლაპარაკი გაუბა. როდესაც წმინდა ილარიონ პალესტინელითან ელვეთერეპოლელი უშვილო დედაკაცი მივიდა და შეევედრა სიბერწისაგან კურნებას, წმინდანი „ივლტოდა მისგან“, რადგან მონაზონურ ცხოვრებას უწეოდა და ქალთან დალაპარაკება არ უნდოდა. დედაკაცი მისდევდა ბერს და მხურვალედ ევედრებოდა დახმარებას. წმინდა ილარიონი მსოფლიო მას შემდეგ გამოეპასუხა მას, როცა მისი ღვთისმომშიშება, სასიება და უზაყველი განზრახვა დაინახა! განდევილს მსგავსი სიფიზიზლე არ ეტყობა, თორემ ისიც კი შეეძლო ქალისათვის თავშესაფარი მიეცა და თავად განრიდებოდა.

ამრიგად, ილიას განდევილის დაღუპვის მიზეზი განდევილური ცხოვრების წესის არამართებულობაში არ უნდა ვეძიოთ და ამ გმირის სახე განდევილობასთან არ უნდა გავაიგიოთ. ჭეშმარიტი ასკეტური ცხოვრება კი არ მარცხდება ილიასთან, არამედ ამგვარი ცხოვრების გზიდან გადახვევა.

ჰუბლიცისტურ წერილში „ორიოდე სიტყვა...“ ილია ძალიან გარკვევით გამოთქვამს თავის შეხედულებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეარჩიოს მთარგმნელმა სათარგმნი მასალა. ამიტომ ალბათ შემთხვევითობად არ უნდა ჩაითვალოს მის მიერ ვალტერ სკოტისეული ერთი ლექსის თარგმნა, რომლის შინაარსიც საუხეხით ესადაგება ილიას თვალსაზრისს, მის დამოკიდებულებას ბერ-მონაზონობისადმი:

„რა ტკბილ არს, ოდეს წყევლიად ღამეში

1. „ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა ილარიონისი“. თსუ. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. გვ. 192)

ბნელ ბილიკზედა უდაბურ ტყეში  
წმინდა გალობა მეუღაბნისა  
შეეპარება მგზავრისა ყურსა:  
ლოცვა ირთება მუსიკის ხმითა,  
მუსიკა აღვალს ცად ლოცვის ფრთითა,  
და ვით ფრინველნი – მოალერსე მზის –  
ფრინვენ ცისკენა ხმები გალობის.“

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძე ქრისტიანულ ასკეტიზმს, ბერ-მონაზვნურ ცხოვრებას დიდ ღვაწლად, დიდ საქმედ მიიჩნევდა, როგორც პირადად ადამიანის, ისე ერის ცხოვნებისათვის. ასევე აზრისა იყო იგი თავისი მოღვაწეობის ყველა პერიოდში, რასაც მოწმობს ის, რომ პუბლიცისტური წერილები, რომლებშიაც იგი განადიდებს სასულიერო მოღვაწეობის ამ სფეროს, სრულიად სხვადასხვა პერიოდში და წლებშია დაწერილი. ამდენად სავსებით გაუმართლებელია ის მოსაზრება, თითქოს იგი პოემაში „განდევილი“ გმობდეს მას.

იგივე უნდა ითქვას იმ პიესის ფრაგმენტული ხასიათის ავტოგრაფული ჩანაწერების შესახებ, რომელიც ილიას აღარ დაუმთავრებია იმ სახით და გამომცემლებმა პირობითად მისცეს სათაურად ერთ-ერთი გმირის სახელი – „ირაკლი“. ეს ფრაგმენტები ძირითადად წარმოადგენს დიალოგს ორ გმირს შორის, რომელიც დაახლოებით მოგვეგონებს განდევილისა და მწყემსი ქალის საუბარს. აქაც ერთ-ერთი პერსონაჟი ჭეშმარიტი რწმენისათვის მიუღებელ აზრებს გამოთქვამს, ფაქტიურად გმობს ღმერთს და კრიტიკოსები მას, ყოველგვარი არგუმენტების გარეშე, ავტორის მსოფლმხედველობის გამომხატველად მიიჩნევენ.

ეს ჩანახატები, მათი თემიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ მართლაც არის პოემა „განდევლის“ შემოქმედებითი ჩანაფიქრის პირველსახე, მაგრამ მისი გმირის – ირაკლის შეხედულებები, ისევე, როგორც მწყემსი ქალისა, არ შეიძლება ასე დაუსაბუთებლად, დოკუმენტური მასალების საპირისპიროდ, ავტორის თვალსაზრისის გამომხატველად მივიჩნიოთ. მართალია, ირაკლი თავისი გამონათქვამებით უპირისპირდება ჭეშმარიტებას, მაგრამ ეს არის მხოლოდ გმირი და არა თვით ავტორი. წარმოვიდგინოთ, რამდენად სწორი იქნებოდა, შექსპირის „რიჩარდ მესამიდან“ მხოლოდ მთავარი გმირის გამონათქვამები ან მცირე მოცულობის დიალოგები რომ შემორჩენილიყო ჩვენამდე ან ამა თუ იმ ბოროტების ამსახველი სცენა და მათ საფუძველზე გვემსჯელა პიესის ავტორის პიროვნებაზე, გაგვეთანაბრებინა გმირის ბუნება და მისი მსოფლმხედველობა ავტორისასთან. ასევე არ შეიძლება დაუმთავრებელი პიესის ან რაიმე თხზულების გმირის იდეათა გამოცხადება ავტორის სულიერი სამყაროს პირდაპირ გამომხატულებად, თუ ამას ძალიან ღრმა, არგუმენტირებულ დასაბუთებას არ წაუემძღვარებთ. ასე რომ არა, – ბოროტთა, ავისმოქმედთა, მკვლელთა და მემრუშეთა მამხილებელი არაერთი დიდი ხელოვანი თავად

უნდა მიგვეჩინა ბოროტმოქმედად.

## მწყემსი ქალი და ჭოთისოფელი

პოემა „განდევლის“ ძირითად ამბავში სულ ორი გმირია წარმოდგენილი – განდევლი ბერი და მწყემსი ქალი. წლების მანძილზე კრიტიკოსთა დიდი ნაწილი ამ ქალის სახეს ილიას ერთგვარ იდეალად მიიჩნევს და მის მსოფლმხედველობას და შეხედულებებს მწერლისასთან აიგივებს. ამ ქალის სახეში ზოგი ალევორიულად „თერგის“ განსახიერებას ხედავს, ზოგი ელინიზმისას, ზოგი რენესანსისას, ზოგი პირველქმნილი ქრისტიანული რწმენისას და სხვ. მოდით, ერთხელ კიდევ გადავხედოთ პოემის ტექსტს – მაინც როგორია ეს ქალი, რას ამბობს, რას აკეთებს და რა შედეგამდე მიდის, რადგან, როგორც ნათქვამია, ხე ნაყოფით იცნობა.

პოეტი მართლაც საოცრად ხატოვნად აღწერს მის გარეგნულ სილამაზეს:

„ემაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,  
სავსე შეენების ჯადოთი, გრძნებით,  
ნაზად, ამაყად ცეცხლაპირს იჯდა,  
ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით.“

მოძხიბლავი სურათია, მაგრამ თითქოს მთელ ამ აღწერილობას ერთი მიმართულება აქვს – ენებისაღმძვრელი:

„მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქფენით,  
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!..  
დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას  
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს...“

ქალის სილამაზე თითქოს რაღაც აქტიური ძალაა, გულთა დასატყვევებლად შემართული. ეს არის „შეენების ჯადო“, „გრძნება“, „გრძნეული ჯადო“, რასაც იწვევს ქალის შინაგანი არსება და არა ბუნებით მინიჭებული ნაკვთთა დახვეწილობა. ენებისაღმძვრელ ხიბლს, ჯადოს, გრძნეულებას ღვთაებრივ ნიჭთან არავითარი საერთო არა აქვს და ამ შედარებების ხმარებით ავტორი სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ღვთით დაბადებულ ამ მოძხიბველ არსებაში უკვე სხვა ძალაა გაბატონებული. მწერალს ხაზგასმული აქვს, რომ ბაგეზე შერჩენილი ღიმილი, რომელიც „ზედ დასაკვდომად კოცნას იწვევდა“ და რომელმაც მიიზიდა ბერი, „ძილში ჩაყოლილ ფიქრს თუ ოცნებას“ დაეტოვებინა მის სახეზე. ამრიგად ბერი მისმა გარეგანმა სიტურფემ კი არ აცდუნა, არამედ შინაგანიდან გამოძინარე „გრძნებამ“. ბასილი დიდის სწავლებით, „ხშირად ძილისმიერი ოცნებანი გამოძახილია იმ აზრებისა, რომლითაც დღისით ვართ შეპყრობილნი“, დაძინების წინ კი ქალი ამ ქვეყნის განდიდებით, ჭეშმარიტი ღვთისმსახურების უარყოფით და ზორციელი გულისთქმებით იყო დატყვევებული.

ეს ქალი არის ღვთის ხატად შექმნილი ადამიანი, რომელმაც ხორცზე ზრუნვით, გულისთქმათა მონობით და სულის დაკნინებით ხატი იგი „უხმარ

ჰყო“. რა აზრისა იყო ილია ამგვარი ადამიანების შესახებ და შეიძლება თუ არა, რომ ეს გმირი მას იდეალიზირებული ჰყოლოდა? 1885 წელს სტატიკაში „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“, ილია წერდა: „ადამიანი ხატებაა ღვთაებისა განა ხორციტა? ადამიანს ხორცის გარდა ერთი რამ სხვა მოჰმადლებია, რომლითაც იგი ადამიანობს ვით კერძო ღვთისა. ის ერთი – სული და გულია, უჭკნობლობის ნიჭით და ღონით დალოცვილი. ეგ ღვთაებრივი ნიჭი, როგორც ყოველივე ღვთაებრივი, ღრთა მბრძანებელია და არა ყმა. შესაძლოა ხორცი დაბერდეს. დაუძღურდეს, სული და გული კი ჰყვაოდეს ზეგარდმო მადლით შუქმოფენილი და მრავალფერად გადაშლილი, თუკი ადამიანი საკადრისად უპატრონებს, ადამიანურად მოუვლის, ხორცის მბრძანებლად გახდის და ხორცს არ გაალახუნებს... უკეთესნი და უდიდესნი კაცნი ქვეყნიერობაზე ამისთანანი ყოფილან.“ მწვემსი ქალი კი, როცა გაიგებს:

„...იქ, ყინულებში კაცი სცხოვრობსო,

სულისთვის ხორცი გაუწირია.

წუთისოფლოდ მარტოკა სძლებსო...“

გაიკვირებს და აღიარებს. „ვერ ვიზამ მაგას, ვერ მოვიკლავ გულისო“. იგი გულისთქმებს არის აყოლილი და ამ გულისთქმებზე უარის თქმას გაუმართლებლად თვლის. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ბერს საცდურად სწორედ ის მოეკლინა.

ილიას ვნებათა დათრგუნვა და სულიერი განწმენდა ადამიანისათვის უპირველეს აუცილებლობად მიაჩნდა. 1895 წლის ერთ-ერთ შინაურ მიმოხილვაში იგი წერს: „ვით მამა ზეცის იყავ შენც სრული“ – აი, თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, – ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა სწრაფეა ამ გზაზედ დაუღალავად სიარულისათვის, – აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელი ერისა.“ არც მწვემს ქალს და არც წუთისოფელს, რომლის მეზობტვეც ის არის და რომელსაც ერთგვარად განასახიერებს კიდევც, ამგვარი სულიერი სწრაფვისა არაფერი ეტყობა. ქალი ამბობს: ღმერთმა რისთვის მორთო ასე. ლამაზად წუთისოფელი. თუ არა იმისათვის, რომ ადამიანი ხორციელად დატკბესო. მას ეს ქვეყანა „ლხინთან“ და „სიხარულთან“ აქვს ასოცირებული, მაგრამ არაფერს ამბობს იმ „რყენაზე“, „წარწყმელასა“ და „ლაღატზე“, „ცილსა“ და „ზაკვაზე“, რაც იქ არის გაბატონებული და რის გამოც ბერი განერიდა მას.

რა კავშირია ღვთის მიერ შექმნილ მშვენიერებასა და იმ დამღუპველ, მაცდუნებელ ძალას შორის. რომელსაც იგი ბოროტისაგან იძენს ხოლმე? დავაკვირდეთ რას ამბობს ილია ამის შესახებ ქვეყანასთან დაკავშირებით ლექსში „კითხვა-პასუხი“:

„კარგი რამა ხარ. ჩემო ქვეყანავ.

ლამაზად მორთულ და მოკაზმული...“



გიმზერ და მზერა კვლავ სწყურიან თვალს.

გისმენ და სმენით ყური ვერ სძლება...

რა დაგრჩენია კვლავ სანატრელი.

ლეთისგან რა არ გაქვს მომადლებული?..

ვინ მოგმართოს შერ და წინ არ დახვდეს

შენი სიმდიდრე. შენი უხვება..."

მაგრამ ოთხივე ამ კითხვას თითო „მაგრამ“ ასლავს: „მაგრამ რამდენადც მშვენიერი ხარ...“ „მაგრამ რამდენადც საყვარელი ხარ...“ „მაგრამ რამდენადც მაღლით საკესე ხარ...“ „მაგრამ რამდენადც მდიდარ-უხვი ხარ...“ და ოთხივე ერთნაირად მთავრდება – „იმდენად უფრო გული მიკვდება.“ ამ შინაგან დიალოგში პოეტი ეკითხება ქვეყანას ამ გულის კედლის მიზეზს:

„მარკვი. რად არის იქ გულთა კდომა,

სად სიცოცხლეა გახარებული,

და რამდენად შენ ცხოველმყოფელ ხარ,

იმდენად უფრო რად კვდება გული?“

ეს ხომ სწორედ ისეთივე შეკითხვაა, როგორც ასე მტკივნეულად დგას „განდევილში“ – რატომ უნდა იწვევდეს სილამაზე ცდუნებას. რა იყო მწყემს ქალში ისეთი. რამაც ბერის დაღუპვა გამოიწვია, რატომ არის, რომ წუთისოფელი, რომელიც თითქოს სიტკბოებით არის საკესე, გვაშორებს სულიერ სიხალღოვეს მარადიულ ჭეშმარიტებასთან. ვნახოთ ამის შესახებ ქვეყნის პასუხი:

„...და ან რა კქმნას თვით წმინდათა-წმინდამ,

სად ცოდვას მაღლი დაუძლევა?“

ქვეყანა, რომელსაც მწყემსი ქალი განასახიერებს, სამოთხეს გავს გარეგანი მშვენიერებით. მაგრამ სულიერი დაკნინების გამო იგი შინაგანად ჯოჯოხეთად არის ქცეული და ამიტომაც არის დამღუპველი:

„იქ თვით სამოთხეც ჯოჯოხეთია,

სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური.“

შემთხვევითი არ უნდა იყოს იგივე შედარების გამოყენება „განდევილშიც“. მწყემსი ქალის მყინვართან მიახლოებისას ისიც რომ სამოთხიდან ჯოჯოხეთად გადაიქცევა:

„მართლა უნდობი ყოფილა ეს მთა!

უცებ სცოდნია ჩამობნელება,

უცებ სამოთხეს ჯოჯოხეთად კქმნის,

უცებ გატკბობს და უცებ აფთრდება!“

როგორც წინდაწინვე გვაუწყა მწერალმა, ასეთი რამ ხდება მაშინ, როდესაც სიწმინდეს ცოდვა მიუახლოვდება, როდესაც ღვთის არა ღირსი შექბელავს ამ სამოთხეს.

„ღმერთმა ყოველივე კეთილი მიმამალა ქვეყანასაც და ამ ქალსაც. მაგრამ მათ უმთავრესი – სული უარკყვეს, ცოდვას დაემონნენ. გულისთქმებს

აყენენ და მხოლოდ ხორცი აპატივეს. ლექსს „კითხვა-პასუხი“ ასე ამთავრებს ავტორი:

„იქ თვით სამოთხის წალკოტი. მდელი  
უღაბნოლაა ურგებ-ურწყული,  
სადაც არ აბნევს თვის წმინდა ნამსა  
სული მართალი და წრფელი გული.“

დაუებრუნდეთ კვლავ მწყემსი ქალის სახის განხილვას და ენახოთ, აქვს თუ არა მას ასეთი მართალი სული და წრფელი გული.

კრიტიკოსთა ერთ ნაწილს ძალიან მოსწონს ქალის უშუალოება და „სიწრფელი“, მაგრამ აქ ისინი სულ სხვა აზრს დებენ და არა იმას, რაც ილიას „წრფელ გულშია“ ნაგულისხმევი. ადამიანმა შეიძლება ხმამაღლა გამოთქვას თავისი განცდები და მოყვეს თავს გადახდენილი ამბები, მაგრამ თუ მას არა აქვს განსჯის უნარი, რა კარგია და რა ცუდი, და არა აქვს სინანული, ეს გულს არ განწმენდს და წრფელს არ გახდის. წრფელი მართალს და სწორს ნიშნავს. ამიტომ სულის სიმართლეს და გულის სიწრფობაც ერთ სასწორზე უნდა აიწონოს, შედარდეს ღვთაებრივ ჭეშმარიტებას – ღვთის სიტყვას. მწყემსი ქალი შესაძლოა ამბობდეს ყველაფერს, რაც თავს გადახდა და რაც გულში აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას მართალი, წრფელი გული აქვს. ამ გულში უამრავი გულისთქმაა, რომელთაც ის არ ეწინააღმდეგება.

საყურადღებოა, რომ ქალი მყინვარის ჯაჭვთან აღმოჩნდა თავისი უგულისყურობის და ერთ-ერთი ამგვარი გულისთქმის გამო. მას დაეიწყა მამის ნათქვამი – მყინვარს ნუ ენდობი, მზეც რომ ადგეს, უცებ ნიაღვარს წამოჰხეთქს ხოლმეო; ეს დაუდევრობა კი გამოიწვია მისი გულის სიხარბემ, რასაც იგი ხმამაღლა აღიარებს, მაგრამ ცოდვად არ მიიჩნევს, ამართლებს კიდევ, გულს როგორ ვუთხრა, კარგ სანახავზე ნუ ხარ ხარბიო.

ასე დალუპა მწყემსმა ქალმა ცხვარი – მამის ერთადერთი სარჩო-საბადებელი და თავიც საფრთხეში ჩაივლო. შემდეგ მან თითქოს აღიარა დანაშაული, ჩემნაირ მამის ურჩზე ახია, რაც დამემართაო, მაგრამ ეს სინანული იყო მხოლოდ წუთიერი. მან იქვე კვლავ იმართლა თავი, ეს სულ იმის ბრალია, რომ ვერსად წაუხვალ, „რაც ფაოურაკად მოსავალიაო“. ასეთ შემთხვევებზე წერს ილია სტატიამი „ცისკარი 1857 წლიდან 1862 წლამდინა“: „რეკვენი საქმეს წაახდენს, ფათურაკს დააბრალებსო...“ და ამ ხალხური ანდაზის შემდეგ დასძენს: „ბედი რა არის?.. ჩენი თავის მტრები ჩვენ თითონვე ვართ, ამის ღვიარება ჩვენ გულს გვიძმარებს და ამიტომაც ყველაფერს ბედს ვაბრალებთო“. აი ეს – თავისი დამნაშაევობის შეგრძნება. სინანული ვერ ჩერდება მწყემსი ქალის გულში. იგი უნანელი და უდარდელია.

ქალის მონათხრობიდან კივებთ. რომ მამის ნათქვამმა, ვილაც კაცს „სულისთვის ხორცი გაუწირია“ და მყინვარის გამოქვაბულში ცხოვრობსო“. იგი გააკვირვა. სულით და გულით ქრისტიან ადამიანში ამკვარ რამეს გაკვირება

და უარყოფითი დამოკიდებულება არ უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ, როგორც ილია წერს „აჩრდილში“, მწყემს ქალსაც და მის მიერ განსახიერებულ ქვეყანასაც მათი ხსნისთვის ჯვარცმული ღვთის მოძღვრება „ღღეს მარტო სიტყვით უკმით რწმენია.“

მწყემსი ქალის მსოფლმხედველობის ამოსავალი ის არის, რომ მას სულისთვის ხორცის გაწირვა უაზრობად მიაჩნია და განა შეიძლება მისი თანამოაზრობა დაკებრალთ პოემის ავტორს, რომელიც მრავალგზის და არაორაზროვნად ღაღადებდა, სული უნდა გავხადოთ ხორცის მბრძანებლადო?! „განდევილის“ წინ დაწერილ პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებულს“ მან ხომ სწორედ სულის და ხორცის დიდი შინაგანი ორთაბრძოლა და პირველის დიდებული გამარჯვება წარმოაჩინა. 1895 წლის ერთ „შინაურ მიმოხილვაში“ იგი წერს:– „ვინცა სწივის და ჰღაღადებს სახორციელო პურისათვის, ის იმდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღწვოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი. „ვით მამა ზეცისა იყავ შენც სრულიო“ – აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა...“ არა მხოლოდ პოემა „განდევილი“, ილიას მთელი შემოქმედება და მისი ცხოვრებისეული პოზიციის ამსახველი თითოეული დოკუმენტი მოწმობს იმას, რომ მწყემსი ქალის დამოკიდებულება სულისათვის ხორცის გაწირვისადმი, ავტორისეულისაგან რადიკალურად განსხვავდება.

მწყემს ქალს „არ ესმის“, რა არის კარგი განდევილობაში ან რა შეიძლება არგოს კაცს სულისთვის ხორცის გაწირვამ – ქვეყნისაგან განდგომამ. ილია ალექსანდრე ეპისკოპოსს ასე მიმართავდა: „თქვენ ხორცი დაუმორჩილეთ სულსა და ერთი უდიდესი სათნობაც ეს არისო...“ სტატიაში „პატარა საუბარი“ ის ამგვარსავე დამოკიდებულებას გამოხატავს სულის უპირატესობისადმი: „მარტო ასაკოვნება სულისა ადამიანს კაცად ქნდისო.“

მწყემსი ქალი წამდაუწუმ ახსენებს ღმერთს: „მიხსენ, ღვთის მადლსა“ „ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული“, „მიბრალა ჩემმა გამწენმა“, „ღმერთმა გარჩინოს“, „როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა...“ „ღმერთო, ნუ მიწყენ“, „განა სწყინს ღმერთსა“, „ღვთითვე დაბადებულსა“ და სხვ. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ის ჭკუშმარიტი ღვთისმოსავია. იგი თავისუფლად ლაპარაკობს ბერთან სულიერ საკითხებზე – რა სწყინს ღმერთს და რა – არა, რა უნდა და რა – არა. ღვთის ამგვარი ხშირი ხსენება და ამარ ლაპარაკი უმაღლეს ჭკუშმარიტებაზე, ყველაზე ხშირად ილიას თხზულებათაგან, „კაცია, ადამიანში“ გვხვდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ლუარსაბი და დარეჯანი ილიას მხატვრულ გმირთაგან ყველაზე ღვთისმოსავეები არიან. „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე უფალო, უფალო! შევიდეს იგი

სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოხნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ“ (მათე 7,21). ამბობს უფალი. ადამიანმა მარტო სიტყვით კი არა, საქმით უნდა აღიღოს ღმერთი. ამის თაობაზე ილიას აზრი კარგად ჩანს ერთ თეატრალურ მიმოხილვაში, სადაც ცაგარლის დრამის შესახებ საუბრისას იგი აღნიშნავს: „არც ის მოქმედობს მაყურებელზე სასიამოვნოდ, რომ დღეა, საცა გინდა და არ გინდა წამლადუწუმ გაიძახოს – მე ჩემი შვილები ჩემის მამულისათვის გამოზრდიანო. ერთხელ ამისი თქმაც მეტია, იმიტომ, რომ ეგ უნდა გვაუწყოს მისმა მოქმედებამ, მისმა საქმემ და არა სიტყვამო.“ თავის მხატვრულ გმირთა სახეების შექმნისას ამ პრინციპს ილია ყოველთვის ითვალისწინებდა. ასე რომ მწყემსი ქალის საქმემ უნდა გამოაჩინოს მისი ღვთისმოსაეობა და არა ლიტონმა სიტყვებმა. საქმე კი იმაზე მეტყველებს, რომ მიუხედავად ხშირი სიტყვიერი ხსენებისა თავისი ცხოვრების წესით, ფიქრით და საქმით ის ღვთის მგმობელია.

დიდ ხელოვანთა და მათ შორის ილიას მიერ შექმნილ მხატვრულ სახეთა შეცნობას დიდი დაკვირვება სჭირდება. ავტორი მზამზარეულად არასოდეს გვეუბნება – ეს გმირი ასეთია და ის – ისეთიო. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გმირის სიტყვა და საქმე, ავტორის მიერ მისი წარმოჩენისათვის გამოყენებული თითოეული სიტყვის ნიუნანსი და ელფერი უნდა შევერდეს და მხოლოდ მაშინ აღვიქვამთ ცალკეულ მხატვრულ გმირს ავტორის ჩანაფიქრისათვის შესაფერისი სისრულით. თეალი გადაეკელოთ. რას ამბობს ილია ხელოვნების ამ სერხის შესახებ თავის პირველსავე კრიტიკულ წერილში, „ორიოდე სიტყვა...“ კახლოვს უნდა გვაჩვენოს შემლილი გოგოს სურათი და თუმცა გვეფიცება იგი შემლილიაო, ამ გმირის სახეს აბსოლუტურად არაფერი ეტყობა შემლილობისა, შექსპირის ოფელისა და მეფე ლირისაგან განსხვავებით. შექსპირი კი „არ ანობს, რომ ჭკვიდამ შემლილები არიანო. მაგრამ მიაყოლეთ გონება იმათ სიტყვებს და მაშინვე გაიგებთ შესაბრალებელს შემლილ ადამიანის სულის მდგომარეობას; იქ წინასიტყვაობა საჭირო არ არის, რომ შემლილიაო, საქმიდამა ჩანს ყველაფერიო.“ მწყემს ქალთან დაკავშირებით საქმიდან ის ჩანს, რომ მისი პირიდან ღვთის სახელის ხშირი ხსენება ის მაცდუნებელი პირბაღეა, რომლითაც შეაღწია მან მწირის სურამი და მოაღწია მისი სიფხიზლე. რეალურად მას ღვთის არც რწმენა ეტყობა, არც სასიოება და არც სიყვარული.

დავაკვირდეთ ქალის მიერ თქმულ ერთ ფრაზას: „ოღონდ დღეს გავთბე, შენ, შენი ღმერთი!“ ქალი ღვთის სახელით ერთადერთ რამეს ითხოვს – ხორციელ გათბობას. სიტყვები „ოღონდ დღეს გავთბე“ მისი არა მარტო წუთიერი სურვილის, არამედ ალეგორიულად მთელი მისი სულისკვეთების გამომხატველად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ის მხოლოდ ხორცის განცხრომაზე ფიქრობს და საერთოდ არ აწუხებს ზრუნვა სულისათვის.

კრიტიკოსთა ნაწილი მწყემს ქალს უცოდველად მიიჩნევს იმაში. რაც ბერს გადახდა. ჩვენი აზრით. ქალის შედარება. თავისი აქტივობით, „მგზავრის წერილების“ თერგთან არ შეიძლება. მაგრამ. მეორეს მხრივ. იგი მაინც არ

არის პასიური მონაწილე იმისა, რაც ბერს მოუვიდა.

როდესაც განდევილს ქვემოდან ხმა შემოესმა, იგი ცდილობდა გაერკვია. ვინ იძახდა დ შემოეშვა თუ არა, მაგრამ მწყემსმა ქალმა ამოსძახა, „რა დროს კითხვა“. შემობრალე, ლამის ცა ჩამოშექცეს და თავშესაფარი მომეციო.“ თან ღვთის სახელი უხსენა, „ღვთის მადლსაო“. ამით მან ბერს დაფიქრების საშუალება არ მისცა. მოადუნა მისი სიფიხიზლე და დაარღვევინა განდევილური ცხოვრების წესი, რომლის მიხედვითაც ქალს უნდა განრიდებოდა<sup>1</sup>. მწყემსი ქალი არ სჯერდება მხოლოდ თავისი პირადი პოზიციის გამოხატვას განდევილობასთან დაკავშირებით. იგი ბერის მიერ არჩეულ გადაწყვეტილებასაც უტევს და ცდილობს თავის აზრზე მის გადაყვანას. ამ მიზნით ახარბებს მას წუთისოფლის სიტკობებს: „მერე იცი კი, რარივ ტკბილია?!...“ საბოლოოდ მწყემსი ქალი სიწმინდის შეურაცხყოფამდე და ღვთის გმობამდე კი მიდის სიტყვებით:

...აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,

აქ ჭირია და იქ კი ლხინია.“

ჭირიაო ამბობს „ბეთლემზე“, რაც ცხოვრებისა და სიწმინდის სახლს ნიშნავს. სიკვდილიაო ამბობს ადგილზე, რომელსაც სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველის – იესო ქრისტეს შობის ადგილის სახელი ჰქვია, საიდანაც მოგვევლინა სწორედ ჭირთაგან დამხსნელი და სიკვდილისაგან განმათავისუფლებელი, სადაც წმინდა მამებს უდიდებით:

„ღმერთი მსჯავრის და ჭემმარიტების,

...სად უწირავთ უფლისა მიმართ

მსხერპლი ქებისა და ღაღადების...“

მწყემსი ქალი ამით ეწინააღმდეგება და გმობს არა ერთი კონკრეტული ბერის გადაწყვეტილებას არამედ იმ წმინდა სამყოფელს, რომელიც ცისა და ქვეყნის ერთგვარი შემაკავშირებელი, მათი შემრიგებელი იყო.

ქალი საკმაოდ აქტიურად ცდილობს მოხიბლოს ბერი და მოაბრუნოს ქვეყნისაკენ. აგონებს მას თვისტომს, ტოლს და სწორს, ღედ-შამას, და-ძმას, სახლ-კარს, მოკეთუსა და გულშემატკივარს და ბრალს ღებს – შენი განდგომა იმას ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი გულიდან ამოვიღია და არ გვნაღვლებაო. როგორც ვიცით, სინამდვილეში ეს ასე არ არის, რადგან ქალის მოსვლამდე ბერი მთელი ქვეყნის ხსნისთვის ევედრებოდა ღმერთს:

„...და ხელაღპყრობით ევედრებოდა

წაწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა.“

განსაკუთრებული შინაარსობრივი დატვირთვა უნდა ჰქონდეს იმ ფაქტს. რომ ბერის მყუდროება სიუჟეტის მიხედვით ირღვევა სწორედ მაშინ, როდესაც იგი, ღვთისმშობლის ხატთან დამხობილი, ქვეყნის ხსნას ევედრება ღმერთს. სწორედ ამ დროს შემოესმება მას უცნობი ხმა. მაგრამ ძალიან მძიმე ჯვარია

1. ამის შესახებ დაწერილებით იხ. ფირუზ მეტრეველი, ე „რელიგია“, 1993 წ. №2

ლოცვა მთელი ქვეყნისათვის, რომელიც ბოროტის სამეუფოდ, ცოდვის სადგურად არის ქცეული:

„სად რყენა. წარწყმედა და ლალატია,  
სადაც ძმა ქხარობს სისხლსა ძმისასა,  
სად ცილი, ზაკვა ტულებადა ქხდის  
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.“

არის კი ბერი იმისათვის მზად, რომ თავისი ლოცვით ამ ხალხის ცოდვები იტვირთოს, მყინვარის ტაძრამდე აიტანოს და ღვთისმშობლის შემწევობით, რომელიც არის კიბე ადამიანთა ზეცას ამყვანი, უფალს მიაწვდინოს? შესძლებს კი ეს ბერი ხსნას იმ ადამიანებისას, რომლებიც, როგორც ამ ქალის სახეში ჩანს, თავად ვერ არჩევენ ცოდვა-მადლს ერთმანეთისაგან. სულ ზორცის განლაღებაზე ფიქრობენ. სული კი ავიწყდებათ? თითქოს ამის შესამოწმებლად ჩნდება პოემაში მწყემსი ქალის სახე, რომელიც ალეგორიული ხატია ამა სოფლისა. ამრიგად ბერი პირისპირ ხედება მას, ვის გადარჩენაზეც ლოცულობდა წუთის წინათ და სულ მალე ვრწმუნდებით, რომ ჯვარი, რომელიც მან იტვირთა მისთვის მეტად მძიმე აღმოჩნდა.

ზოგიერთი მეცნიერი ამ ნაწარმოების განხილვისას აღნიშნავს. თითქოს მწყემსს ქალს რაღაც დიდი გამარჯვება მოეპოვებინოს. კიტა აბაშიძე წერს: „პოეტმა წარმოგვიდგინა სურათი სიცოცხლისა და ცხოვრების და მისი უარყოფის – ასკეტიზმის შეტაკებისა, რომელშიაც პირველი დარჩა გამარჯვებული.“ გურამ ასათიანის აზრით: „ქალის წრფელი თავდაჯერება ის ცხოვრებისმიერი ძალაა, რომელიც ქვას ქვაზე არ ტოვებს მწირის ასკეტური პრინციპებისაგან“. ალეგორიულ აზრს რომ თავი დავანებოთ, ნუიუ ბერის ცდუნება და მისი დაღუპვა ასეთი მისასაღმებელია? რა შექმატა ამ დაღუპვამ ვინმეს? ილიას ურჯულო მტრის მოკვლაც კი არ ახარებდა და მის სიყვარულს ქადაგებდა, რომ არაფერი ვთქვათ პირად მტერზე. რომლის შესახებაც ამბობს:

„რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,

გთხოვდე: შეუნდე, – არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“

რა სიკეთე მოიბოქმედა ასეთი მწყემსმა ქალმა, რომ კრიტიკოსთა ამგვარი აღფრთოვანება დაიმსახურა? ბერს ხომ ბერის სამოსელი არ გაუხდია და ქალთან ერთად ქვეყნად არ დაბრუნებულა „ახალი ცხოვრების“ ასაშენებლად, რომ, მატერიალისტური პოზიციიდან მაინც, ერთი მუშახელის შემატება ახარებდეთ? ამ პოემის სიუჟეტში რომ რაიმე სასიკეთო და ავტორისათვის მოსაწონი ხდებოდეს, მის ეპილოგში ქარის ქშეილსა და ნადირის ღმუილს არ მოგვასმენინებდა ილია და ერთხელ მაინც გამოაჩენდა იმ „გამარჯვებულ“ მწყემსს ქალსა და მის მიერ განსახიერებულ „ტკბილ“ ქვეყანას, რომელთა სახეებიც, როგორც მართლა „ემშაკის მახისა“ და „ცდუნებისა“, თავიანთი ცოდვიანი მოვალეობის აღსრულების უმაღლ ქურდის, მპარავის მსგავსად ქრება პოეზიიდან. ამ ქალზე ისევე შეიძლება ვიხმაროთ სიტყვა „გამარჯვებული“, როგორც ზღვის ტალღებში დასახრჩობად განწირულ ადამიანზე, რომელმაც

საშველად მისულიც ჩაიყოლია ზღვის ფსკერისაკენ და საკუთარ თავთან ერთად ისიც დალუპა. მათეს სახარებაში (18,67) კეთხულობთ: „ვამ სოფლისა ამის საცთურთა მათგან, რამეთუ უნებლია მთცა მომაველ არიან საცთურნი, ხოლო ვამ მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცთური.“

მწყემსი ქალი ღვთის სახელის მოშველიებით ჭეშმარიტი მართლმადიდებლური რწმენისათვის მიუღებელ აზრებს ქადაგებს, რომლებსაც მკველევარი ლადო მინაშეილი წიგნში „ილია ჭავჭავაძე“, რატომღაც „პირველქმნილი ქრისტიანული რწმენის“ პოზიციას უწოდებს. ამ ქალს არავითარი კრძალვა არ ემჩნევა ღვთისადმი, რომელმაც ადამიანთა სულიერი სიკვდილისაგან გამოხსნისათვის თავად უცოდველმა „ადიხვნა ცოდვანი სოფლისანი“ და ამისათვის ხორციელი ვნებანიც დაითმინა. ქალი თავისი მიწიერი ფილოსოფიით სრულიად ეწინააღმდეგება მართლმადიდებლობას.

რატომ არის მწყემსი ქალი ასეთი მომხიბლველი გარეგნობისა? ზოგ მკითხველში ეს შეკითხვა ეჭვს ბადებს, მწერლის ერთგვარი სიმპატია ზომ არ ჩანს ამაში გმირის მიმართო. საკმაოდ ხატოვნად არის აღწერილი ილიას „გლახის ნაამბობის“ გმირის – დათიკოს გარეგნობაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს არც იმას, რომ იგი სულიერადაც ასეთივე ლამაზია და არც იმას, რომ მწერლისთვის მოსაწონია. „განდგეილის“ ბერს . რომელსაც უნდა დაეთრგუნა თავის თავში ხორციელისადმი სწრაფვა, სწორედ ასეთი ცდუნებისათვის უნდა გაეძლო, რომ სრულყოფილების კიბეზე ამალღებულიყო. ლოცვით და მარხვით „ხორცუძღურქმნილი“ მისნაირი სახე, ბუნებრივია, მისთვის გამოცდელი ვერ იქნებოდა. ამიტომ უნდა მოეღწეოდა სწორედ ისეთი, ხორციელად აყვაკებული, მომხიბლველი და მომაჯადოვებელი ქალი, როგორიც პოემაშია წარმოჩენილი.

იმაზე, თუ რატომ აღწერა ასე ხატოვნად ილიამ ამ ქალის გარეგნობა, გარკვეულ წარმოდგენას მოგვცემს მისი ერთი დაუმთავრებელი მოთხრობის ეპიზოდი. როგორც ნაწარმოების პირველივე ფურცლებიდან გვიმხელს ავტორი, ეს გმირი მას ადამიანური სიწმინდის, სისპეტაკის, კეთილშობილების განსახიერებად ჰქონდა ჩაფიქრებული. მის შესახებ ავტორი გვეუბნება: „მე მის სახეს არ აგიწერ მკითხველო, იმისათვის. რომ საცა ლაპარაკია სულის სიღონეზედ და ადამიანობის ზნეობითს ძალზედა, იქ სახე შენთვის საჭირო არ არისო.“ როგორც ვხედავთ. როდესაც მწერალი სულიერ სიმაღლეზე მყოფ გმირებს აღწერს, იქ გარეგნობის დახასიათებას არ მიიჩნევს აუცილებლად. მწყემსი ქალის გარეგნობა კი ალბათ საპირისპირო მიზეზით აღწერა ასე ხატოვნად.

„სშირია ხოლმე, როცა სული ჭლექდება, ხორცის დღეობა მაშინ არის; როცა სული ჰყვავის, ხორცი დნებაო“ , წერს ილია „კაცია, ადამიანში“. ამ გმირის სახეში რომ სწორედ ხორცის აყვაკება უნდოდა ეჭვენებინა და არა სულის, იმიტომ არ დაიშურა მსატკრული ფერები და მეტაფორები მისი

გარეგნობის აღწერისას თორემ, როგორც ცნობილია, პოემის პირველ ვარიანტში ბერის გარეგნულ სახეზე ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი. რაკილა იგი პოემის პირველ ნაწილში სულის ზეობას განასახიერებდა, გარეგნობის აღწერა ზედმეტად მიიხინია მწერალმა და პოემაში მხოლოდ მისი ერთ-ერთი პირველი მსმენელის თხოვნით დაუმატა შემდეგ. თუმც ამ გარეგნულ აღწერილობაშიაც კი გმირისა უფრო სულია წარმოჩენილი, ვიდრე სორცი:

„სულის სიმალლე ზედ დასწნევოდა.

ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი

სულ სხვა მსოფლიოს შექიზნებოდა.“

და სხვ. მწერალი იმიტომ აღწერდა ერთის მხოლოდ ფიზიკურ სილამაზეს და მეორის სულიერს, რომ ეს ორი გმირი ამ ნიშნით არის პოემაში შეპირისპირებული, მაგრამ მთავარი კონტრასტი ხორცისა და სულისა მწვეფსი ქალის გამოჩენის შემდეგ გადაინაცვლებს თვით ბერის სასუქში, რასაც გვიდასტურებს არაერთი ადგილი პოემიდან:

„არა და არა! არ აიყრის მადლს,

და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,

არ ანაცვალებს და არ დაუთმობს

ხორცს, ესდენ ღვაწლით და ტანჯვით ძლეულს!“

„ნეთუ აწ ღმერთი ღირსად არ ქხადის

რომ ღედა-ღვთისა კელავ ინახულოს

და მის შეწევნით მისვე წინაშე

ხორცზედ კელავ ძლევა ისასწაულოს.“

მწვეფსი ქალის სახე მწერლისათვის უფრო ერთგვარი საშუალებაა ბერის სულიერი წინააღმდეგობის და გარდატეხის წარმოსაჩენად. ამაში დავრწმუნდებით, თუ დავაკვირდებით ცეცხლის მხატვრულ სასიეს. რომელიც ქალის გამოჩენამდე ბერის სენაკში მინავლებული იყო:

„...მხოლოდ კი ერთგან, ღველფად ქტეული,

ცეცხლი ჩამქრალი ფერფლქვეშე ჰწნდოდა.“

ეს უნდა იყოს ბერის ის მდგომარეობა. რომლის შესახებაც იქვე ნათქვამია: „და ხორციელი გულისთქმა ყველა დამარხულა და განსვენებულა.“ საერთოდ ცეცხლი წმინდა წერილში ორი განსხვავებული იგაგური მნიშვნელობით გვხვდება. სულ სხვაა ცეცხლი სულიწმინდისა, რომელიც ილიასთან ნახსენებია „გლახის ნამბოის“ გმირის – მღვდლის სიტყვებში: „ყველას გულში...ღვთისაგან ანთებული ცეცხლი ანთია...“ და სულ სხვაა ცეცხლი გვენიხისა. იგი სწორედ ცოდვასთან და ვნებასთან არის დაკავშირებული. ეს ცეცხლი იმავე მოთხრობაში ჩანს გაბრიელის სიტყვებში: „კაცისკვლა, რაც არ უნდა იყოს მაინც დიდი ცოდვაა...ეს მე ვიცოდი და ეს მიკიდებდა ცეცხლს და გულ-ღვიძლსა მწვეადა...“ აი, ამგვარ ვნებათა ცეცხლი ჰქონდა ბერს გულში მინავლებული, ქალი კი სენაკში შესვლისთანავე ამ დანაცრებულ ცეცხლს მივარდა, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით:



„სტუმარი იგი დანაცრულს ცეცხლსა  
ფიცხლაჲ მივარდა დამზრალი, სველი.  
ლექლფი გაქექა. ჩაჯდა ცეცხლაპირს  
და გაიწოდა სათბუნად ხელი.“

მაგრამ ამასაც არ დასჯერდა. იგი თითქოს უცებ გაბატონდა სენაკში – ბერს შუშა მოსთხოვა ცეცხლის დასანთებად და სამაგიეროს გადახდასაც კი დაჰპარდა: „ხვალ თუნდა მოვლს ზურგს მე ამოვიტანო“. ამ ნათქვამშიც ჩანს ქალის არასულიერება. ბერს, რომელსაც მთელი ქვეყანა აქონდა დათმობილი იმ თავისი სიუხვიითა და სიღამაზით, განა გაჭირვებაში ჩაეარდნილი მოყვასისათვის შუშა დაენანებოდა სანაცვლოს ამოტანას რომ არ დაჰსირებოდა? მაგრამ მწყევსმა ქლმა ამით თითქოს გზა მოეპტრა ბერის მხრივ უარის თქმას. მან ფაქტიურად წინასწარ უთხრა მას, რასაც იფიქრებდა ცეცხლის დანთებაზე უარი რომ მიეღო. ამით მან ერთხელ კიდევ მოადუნა განდევნილის სიფხიზლე ისევე, როგორც ქვეყიდან ამოძახილით, რა დროს შეკითხვებიაო. ქალმა ბერს არ მისცა საშუალება. დაფიქრებულიყო, რა შეიძლებოდა მოსოლოდა ცეცხლის დანთებას. ამას კი რა მოჰყვა:

.....რა გაძლიერდა, ცეცხლისა შუქმა  
ბნელი სენაკი სინათლით მორთო.  
სოლო რა შუქი იმა ცეცხლისა  
სტუმარს, იქ მჯდომარს, ზედ მიუფინა,  
გასაოცარი რაღაც შენება  
განდევნილს თვალწინ წარმოედგინა...“

ამრიგად, ცეცხლი ის ხორციელი ვნებაა, ბერს რომ მინაცრებული აქონდა თავის სხეულში და სტუმარმა რომ დაეინებით მოითხოვა მისი დანთება. ამიტომ არის განსაკუთრებული ხაზგასმით გამოყენებული იმავე ცეცხლის მხატვრული სახე ამ ქალის აღწერისას. იგი თვით ცეცხლია, იგი თვით ვნებაა:

„ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალებს  
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,  
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,  
ვითა ძლეული, უკუ-პკრთებოდა.“

ამრიგად, საბლოოდ რომ შევაჯამოთ ამ ქალის მხატვრული სახე, ასეთ დასკვნამდე მივალთ: იგი საწუთროს მებოტება, მუდამ ფიქრობს ზორცზე და არა სულზე. წუთიერზე და არა მარადიულზე. რის გამოც წუთისოფლის აღვეგორიულ სახედაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

იმ წუთისოფლის შესახებ, რომელსაც აქებს და განასახიერებს მწყევსი ქალი, ილიას არაერთ თხზულებაში გამოუხატავს თავისი დამოკიდებულება და იგი მეტწილად უარყოფითია. ერთ-ერთ ლექსში სათაურით „დამაკვირდი“ ვკითხულობთ:

..მადლმა სთქვა:წუთის სოფელში

ყოფნა ვაი რა ძნელია!  
ძალი ძაღლოვნობს, ჰბატონობს,  
მე გული გადამელია...

„ოთარაანთ ქერივის“ ბოლო ეპიზოდში ავტორი წუთისოფელს „უთავბოლოს“ და „უსწორმასწოროს“ უწოდებს. მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“ კი გაბრიელს ათქმევინებს: „წუთის სოფელი იმიტომა პრქმევია, რომ ყველაფერი წუთობითა სკოდნია უბედურობის მეტი... დამაწაფა სოფელმა უკვდავების წყაროსა და ბოლოს მხამად ამომადინაო“. რასაც მოაყოლებს რუსთველის დაუეიწყარ სიტყვებს:

„მიიღოძნი საწუთროსანი  
მისთა ნიეთთაგან რჩებიან,  
იშვებენ, მაგრამ უმუხთლოდ  
ბოლოს არ მოურჩებიან.“

ორი ბატონის მონობა არ შეიძლება. ადამიანი ან ცის მსასოებელი უნდა იყოს და ან მიწის. ზორციელ გულისთქმათა მიყოლა, წუთისოფელის ამაოებანი ავიწყებს ადამიანს ღმერთს და საკუთარ სულზე ზრუნვას. (იხილეთ წმ. იაკობ მოციქულის ეპისტოლე 4,4) მწყემსი ქალი კი არა მარტო თავად არის ამ სოფლის მოტრფიალე, არამედ ბერსაც აქეთუენ უბიძგებს.

ილია ჭავჭავაძის მოელი მხატვრული მემკვიდრეობა და პირადი ცხოვრება ცხადად წარმოაჩენს, რომ იგი ღვთის მსასოებელია და ჭრა საწუთროსი. მან იცის, რომ მაშინაც კი, როცა ადამიანები უსამართლოდ დასძრასაიენ და ცილს დასწამებენ. ზეცაიერ მსაიჯულს სიმართლე არ დაემალება და ამიტომ ამბობს:

„თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ზომ იცის ღმერთმა.

რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენიო...“

პირველ რიგში ილია სულისაზე ზრუნავს და არა ზორცისაზე; ამაღლებულზე, მარადიულზე და არა იოლად ხელმისაწვდომზე და წარმავალზე. ამიტომ არ შეიძლება, რომ მწყემსი ქლის საზე ავტორის მხრივ იდეალიზირებული იყოს და მის შეხედულებებს გმობსაქადეს. გამოთქმულია აზრი, რომ: „მწირის სულში გაღვიძებული ლტოლვა ქალისადმი ილიას დახასიათებული აქვს...როგორც უადრესად პოეტური, თავისებურად ამაღლებული განცდა.“<sup>1</sup> ეს მოსაზრებაც ალბათ იმას ეყრდნობა, პოეტმა ასეთი სიცხადით და დამაჯერებლობით რომ წარმოაჩინა ეს ეპიზოდი, მაგრამ განა ეს გვაძლევს საფუძველს იმისა, რომ ეს საზე იდეალიზირებულად წარმოვიდგინოთ და ილიას გულისთქმათა და ზორციელ ენებათა განდიდება დავწამოთ?

„...იგი მწირისა იწყრალი. გულმწრალი...“

პოემა „განდევლის“ მთავარი გმირი ბეთლემის გამოქვაბულში განმარტოებული ბერია. თუმცა კრიტიკულ ლიტერატურაში ამის შესახებ მრავალი განსხვავებული აზრი არსებობს, პოემის ტექსტიდან გამომდინარე,

1. იხ. გურამ ასათიანი. „საუკუნის პოეტები... თბ. „მერანი“. 1988, გვ.168

მინც ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ასკეტური ცხოვრების გზა, რომელსაც ბერი ადგას, ზოგადად მიუწვდომელი არ არის. ბერის მისვლამდე აქ იყვნენ სახვა მამები, რომლებმაც ბოლომდე ღირსეულად ატარეს განდევნილური ცხოვრების მძიმე ჯვარი და თუ ბერმა ეს ვერ შეძლო, ამის მიზეზი მასში უნდა ეეძიოთ და არა ცხოვრებისაგან განდგომის შეუძლებლობაში. როგორც ამას ზოგი კრიტიკოსი წერს. დამაჯერებლად არც ის გვეჩვენება. თითქოს ბერის დალუპვის მიზეზი კანონის გამკაცრება იყოს<sup>1</sup>. პოემის იმ ეპიზოდში, სადაც მისი განდევნილური ცხოვრების წესია აღწერილი, მწერალი არცერთი მხატვრული ნიუანსით არ გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას მისდამი. არც ის არის სადმე აღნიშნული. თითქოს ამ ბერს გამოქცაბულში მანამდე მცხოვრებ მამათა კანონი შეეცვალოს და გაემკაცრებინოს, არადა მათ ხომ მიაღწიეს სულიერ ამალლებას. ბერის ცხოვრების წესი რომ ღვთისათვის სათნო არ ყოფილიყო განა ნიშნად მადლისა სასწაულს მოუვლენდა? ჩვენი აზრით, განდევნილის ცხოვრება იმ ეპიზოდამდე, როდესაც იგი მზის ჩასვლას ხარბად დააცქერდება, სრულიად სწორი გზით მიდიოდა და ამის დასტურია ის, რომ მზის სსივი იმ დღესაც, როგორც ჩანს, ჩვეულებრივ უჭერდა ლოცვას.

დავაკვირდეთ პოემის ტექსტს იმ ეპიზოდიდან, სადაც იწყება ძირითადი სიუჟეტური ხაზი ანუ ამბავი, რომელიც თავს გადახდა ბერს ერთი ღამის განმავლობაში:

„ერთსელ, საღამოს, ლოცვით დაღლილი,  
გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა  
და დაფიქრებით გადმოჰყურებდა  
მწვანით დაფენილს მთისა კალთებსა.“

სიტყვები — „ლოცვით დაღლილი“ თითქოს ერთგვარად გვაფიქრებინებს. რომ ბერი ლოცვისაგან დასასვენებლად გამოვიდა სენაკის კართან და განსვენებას ხორციელი თვალის ტკობით განიცდიდა. ესეც სიფხიზლის მოდუნებაა. ამის შემდეგ მწერალი ხატოვნად აღწერს ჩამავალი მზის სურათს და მის შემყურე განდევნილს. ბერი უყურებდა ამ სანახაობას, როგორც „უბიწო ხილვას“, „ერთ ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას.“ მას, როგორც ჩანს, არ ახსოვდა ღვთის გაფრთხილება: ფრთხილად იყავი, რომ „ცისკენ ახედვისას და მზისა, მთვარისა და ვარსკვლავების, ცის მთელი მხედრობის დანახვისას არ შეცდე და თავი არ სცე მათ...“ (II რჯული, 4,19) ამიტომ პოეტი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ამ ზღვით განცვიფრებაში მოსული ბერი „წრტყვენილი იქმნა“ ანუ ამ სიტყვის საბასეული განმარტება რომ მოვიშველიოთ, სრულიად დატყვევებულ იქმნა.“

წუთისოფლის მზეს, როგორც ჩანს, აქვს ერთგვარი ხიბლი. ალბათ ამიტომ თუ დასჭირდა დავით გურამიშვილს ხაზგასმით ეთქვა თავის პოემაში,

1. იხ. ფირუზ მეტრეველი, განდევნილის პრობლემატიკა, ჟურნ. „რელიგია“ 1993. №2

კემპარიტ მზეს, სიძარტლის მზეს – ძე ღვთისას ამ ხილულ მზეზე –  
თინათინზე არ გაეცვლი ანუ საწუთროს მარადიულ სასუფეველზეო:

„რა გინდ მე ასრე გავეციდე,  
თავი ეახლო ტინზედა;  
მზეცნი, ფრინველნი ვასერო  
ჩემსა ხორცსა და ტვინზედა  
ვეონებ არც მაშინ გაეცვალო  
იგი მზე თინათინზედა.“

მზისგან განდევილის წარტყვევნას რომ ღრმა მნიშვნელობა აქვს და უბრალო  
აღწერილობითი დეტალი არ არის, ამას მოწმობს ის. რომ მწყემსი ქალის  
მონათხრობის მიხედვით ისიც ეს – წუთისოფლის მადიდებელი არსება, ისევე  
უყურებდა ამ სურათს, როგორც ბერი. ქალი და განდევილი ერთნაირად  
დაატყვევა ჩამავალი მზის ხიბლმა. ქალი ამბობს:

„ლამაზი იყო ამ ღლის საღამო,  
რარიგ შეენოდა მზე დამავალი!  
შეეხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,  
გაეშტერდი, ვეღარ მოვსხლიტე თვალი.  
ღვთის სახესავით გარს შექმოსხმული  
მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალეება  
და საკვირველი ის სანახავი  
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა.“

„თუ ოდესმე მზის ხილვისას მის ბრწყინვალეებაში და დიდებულად მიაჩნული  
მთვარისა იღუმალ მოცთუნებულყოფის ჩემი გული და მეკოცნოს ჩემი  
ხელისათვის... ესეც სამსჯავრო დანაშაული იქნებოდა, რადგან მაღლა ღვთის  
უარმყოფელი ვიქნებოდი“, – ამბობს მართალი იობი. ასე რომ, ამ ეპიზოდს  
მართლაც ღრმა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ქალის მხრივ, რომელიც  
ყველაფერს ხორციელი თვალით უყურებს და აფასებს, ბრწყინვალე მზით  
აღფრთოვანება გასაკვირი არ არის, მაგრამ ამ საამო საცქერალმა. როგორც  
ენახეთ, წარტყვევნა თვით ბერიც. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ფრაზაში  
– „წარტყვენულ იქმნა განყენებული“, ხაზგასმულია, რომ ხორციელმა თვალმა  
არა უბრალო აღამიანის, – განყენებული ბერის სულიერი სიფხიზლე მოადუნა.  
ეს ერთგვარი სამხილია ბერისა. აქედან იწყება მისი სულიერი დაღმასვლა.

გვირდა გაეხსენოთ ერთი რამ, პოემა „აჩრდილში“ ამ საღამოსავით  
მომხიბლველი დილაა აღწერილი, ასევე მცინვარის ფონზე:

ისეთი მშვიდი, ნარნარი  
იყო იმ ღლისა ლამაზი დილა,  
რომ თვით მცინვარის რისხვა და ზარი  
იმ დილის მადლსა დაემორჩილა.“

მაგრამ ამ მომხიბლველმა სანახაობამ ვერ დაატყვევა და ვერ ატლუნა პოემის  
ლირიკული გმირი. იგი ამბობს:

„ხოლო კი ჩემი უნდო გონება  
არ მოიხიბლა იმ დილითაცა...  
„ნუ გჯერსო. – მითხრა, – ეს მყუდროება,  
სტყუისო ზეცაც და ქვეყანაცა!  
ამგვარი დილა ქვეყანას ბედკრულს  
ბეგრჯერ სხვა დროსაც გასთენებია,  
მაგრამ არც ერთხელ მის გულსა ვნებულს.  
მაღლი ცისა არ მიჰკარებია.“

პოეტი თითქოს თავს იმცირებს. „უნდო გონება მაქვსო, ეს მხატვრული ხერხია. სინამდვილეში მას უნდო კი არა. ფიზიკური გონება აქვს. რაც არ აღმოაჩნდა „განდევლის“ ბერს. ამიტომ „აჩრდილის“ ლიბრიკული გმირი ღვთისაგან „ყოვლად მსსნელ სასოებას“ და „მაცხოვრებელ ნუგემს“ იღებს. ბერი კი ამ ნუგემს კარგავს და იღუპება.

„ჩვენში ხორციელი თვალი უფრო მოქმედობს. ვიდრე თვალი სულისაო“ ზემოთაც ვახსენეთ ილიას სიტყვები და განდევილში მწერალი თვალნათლივ გვიჩვენებს, რამდენად საბედისწეროა ეს.

დაეუბრუნდეთ კვლავ განსახილველ ეპიზოდს და დაეაკვირდეთ. რა მოჰყვა ჩამავალი მზის სურათის ხარბ ცქერას. ქალი გაშტერდა, ვეღარ მოსხლიტა თვალი მზის მშვენიერებას და ამ ხილვამ თვალთან ერთად გულიც მოსტაცა. მას დაავიწყდა თავისი მოვალეობა – ცხვარი გაფანტა და დაღუპა, მაგრამ მარტო მას მოუვიდა ასე? ჩანს, რომ ქალივით ბერმაც ვერ უთხრა თავის გულს. „ყარგ სანახავზე ნუ ხარ ხარბიო“ და დაავიწყდა, რომ აქ სწორედ წუთისოფლის საცდურთაგან განსარიდებლად და მარადიულ ჭეშმარიტებასთან საზიარებლად იყო ამოსული. მას ჯერ ჩამავალი მზის ბრწყინვალებამ მოსტაცა თვალი, შემდეგ კი მწვემისი ქალის ვარევნულმა სიტურფემ:

„და რაღაც ძალით ქალზედ კვლავ დარჩა  
თვალი ტყვე-ქმნილი, გაშტერებული –  
რად შეემსჭვალა თვალი იმ სახეს?  
ის სახე ატკბობს თუ ეოცება?  
მორიდება მსურს და ნეტა თვალი  
რად ეურჩება და არ კნებდება?  
დიდხანს დასცქერდა...“

ცდუნება რომ პოემაში სწორედ წარმტაცი ხილვით იწყება, ამაზე მიგვანიშნებს ავტორის საგანგებო გაფრთხილება წუთისოფლის შესახებ:

„...სად ყოვლი ნიჭი მაცდურება,  
სად თვით სიტურფე და სათნოება  
ემზაკის მახე და ცდუნებაა.“

განდევლის თვალი გაიტაცა ჩამავალი მზის ცქერამ. როგორც ჩანს, იგი იმით შეცდა, რომ, როგორც „ღვთის დიდების სატს“, ისე უყურებდა ამ

სურათს, მაგრამ განა ღვთის ღიძების ჭერება შეიძლება ხორციელი თვალით? მზე მარტოოდენ ქმნილებაა ღვთისა. მოვა დრო, როდესაც ისიც დაბნელებდა და მთვარეც აღარ გამოსცემს ნთელს (მათე 24,29) მარადიული, დაუსრულებელი ნათელი მხოლოდ თვით ღმერთია. წმინდა გრიგოლ ნოსელი „ქება ქებათაჲს“ განმარტებაში წერს: „ვინაჲთგან უკუე ერთი ხოლო არს სამარადისოდ ერთსა ზედა მღგომარე. უხილავი იგი და უნიეთოჲ ბუნებაჲ ხოლო ნიეთი წარვალს ცვალებითა რაჲთამე და ღიძებითა მარადის შეცვალებული. და ესე უცილობელ არს, რამეთუ რომელი მტკიცესა განეშოროს, იგი დაუღვრომქლისადა შეყოფილ არს უეჭველად და მის თანა ღის და იქცევის და რომელი წარმაჯალსა ამას სდევდეს და წარუვალი იგი დაუტევოს, უეჭველად ორთაგანვე გამოეხუების. ერთსა მას დატყუებითა და მეორესა, რამეთუ დამჭირვად შეუძლებელ არს“! ამდენად ბერი მანსე წარმავალის ცქერამ გაიტაცა და მარადიულზე ფიქრს მოსწყვიტა. ხორციელმა სიბღმა სულიერად მოადუნა. იგივე კრძელდება მწყემსი ქალის გამოჩენის შემდეგაც. ქალი, თითქოს იცისო ბერის სუსტი წერტილი, მოაგონებს მას. რომ ეს ქვეყანაც ღვთის შექმნილია:

„ეფიქრობდი: ნეტა მამ რისთვის მართო  
ესე ლამაზად წუთისოფელი?“

სიტყვებით:

„მაგრამ მიბრალა ჩემმა გამწენმა  
და შენამდე ხმა ამოვაწვდინე...“

კი ერთგვარად იმაზეც მიანიშნებს, იმასაც მოაგონებს ბერს, რომ თავადაც, ასეთი ტურფა და მშვენიერი, ღვთის დანაბადია.

შემთხვევითი არ არის სულიერი სიფხიზლის შესასუსტებლად აქ ჩამავალი მზის სახის გამოყენება. მზის ჩასვლას სიბნელე მოჰყვება. ამიტომ „ჩამავალი მზე“ ალგორითული მნიშვნელობით ილიასთან არაერთგზის გვსვდება ადამიანის სულიერ შესუსტებაზე მისანიშნებლად. გარკვეული მხატვრული დატვირთვა აქვს მას მოთხრობებში „სარჩობელაზედ“, „გლახის ნაამბობი“ და სხვ. ბერი, რომელიც მზის სხივით ამოწმებდა თავის სიწმინდეს, მით უფრო ფხიზლად უნდა ყოფილიყო მზის ჩასვლის შემდეგ, როდესაც ეს ნიში აღარ ეძლეოდა, მაგრამ არ ჩანს, რომ ის ამაზე ფიქრობდეს. მსგავსება ბერისა და მწყემსი ქალის მიერ ჩამავალი მზის ჭერებაში უკვე მიგვანიშნებს ბერში მიმდინარე არასასურველ ცვლილებაზე. ამას ამკარად მოწმობს ისიც, რომ ჩამავალი მზის ცქერით მოხიბლული ბერის განცდების აღწერა პოემამი მოულოდნელად წყდება სიტყვებით:

„უეცრად ასტყდა რამ ნიაექარი  
დაჰბერა კლდეთა, ნაპრალთ და მღვიმეთ  
და მყინვარიდამ. ვითა ვეშაბი,

1. წმ კლიმენტი რომელი, კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე, ჟურნ. „გზა სამეუფოს“ დანართი №3, 1997 წ.

შავი ღრუბელი დაიძრა მიძიმეთ.“

ეს შავი ღრუბელი ბოროტი ძალების აღშურისა და მოახლოებული განსაცდელის მომასწავებელია, რომელსაც ცასთან შეჯახებისას გამაფრთხილებელი ქუხილი მოჰყვა:

„დაიძრა მძლავრი, უზარმაზარი,  
ცაზედ განერთხო და გაიშალა,  
და იქ, თითქო მტერს შეეჯახაო,  
ჭექა-ქუხილით დაიგრილა.“

ეს არ არის ამინდის უბრალო ცვალებობა. აკი წინდაწინ გვითხრა მწერალმა:

„თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერეინ თურმე  
ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება,  
და თუ შექმდეს, მსწრაფლ რისხვა ღვთისა  
ჭექა-ქუხილით მოველინება.“

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჭექა-ქუხილს ასეთივე ალეგორიული დატვირთვა აქვს წარმოდგენილ ეპიზოდშიც:

„შეირყა მთელი ცა და ქვეყანა  
იმა ჭექით და იმა ქუხილით...“

განდევილმა ბერმა მარადიულ ჭეშმარიტებას მოსწყვიტა. სულიერი თვალი და ხორციელი თვალით დატყვევებულ იქმნა წარმავალი მზის მიერ.

მწყემსმა ქალმა მაშის დარიგება დაივიწყა და მისთვის მინდობილი ცხვარი დაფანტა. განა ამის შემდეგ ამ ფაქტებისაგან მოწყვეტით უნდა განვიხილოთ მყინვარის შესაბამისი სახეცვლილება, რომლის ალეგორიულობაზეც ავტორი თავადვე მიგვანიშნებს?

„ესე ყოველნი, ერთად რეულნი,  
კაჯუნენ ცით ვლენილს რისხვას ღვთისასა,  
თითქო ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვილს  
დღეს მას საშინელს განკითხვისასა.“

ბერი ვერ აცნობიერებს თავის სულიერ მოდუნებას. ვერ ხედება, რომ ეს გაფრთხილება ციდან შესაძლოა მისთვისაც იყოს მოვლენილი. მან ზომ ასე სიამით გააცილა მთის გადაღმა თავისი სიწმინდის შემამოწმებელი მზის სხივი.

ატეხილი ავდრის გამო განდგეილი ხელაპყრობილი, ცრემლით ვეღარება ღვთისმშობელს ქვეყნის გადარჩენას, მაგრამ მის ლოცვას ალბათ უკვე აღარ აქვს ის მაღლი, რომ მთელი ქვეყნისთვის შეებლოს შუამდგომლობა ღვთის წინაშე. ეს ის დროა, როცა მან ასევე მხურვალედ ჯერ საკუთარი გადარჩენისათვის უნდა ილოცოს, რომ კვლავ მაღლით აღივსოს და სხვისი მეოხებაც შესძლოს. მაგრამ განდგეილი ამას ვერ გრძნობს და სულიერად შესუსტებული ტვირთულობს ქვეყნისთვის ლოცვას. იგი მწყემსი ქალის სახით სენაკში უშვებს ღვთის რისხვისაგან გადასარჩენად სწორედ ამ ქვეყანას. მაგრამ თავისი სულიერი შესუსტების, საკუთარ ძალებში ზედმეტი

დაჯერებულობის გამო, თავადაც ეცემა.

ბერმა იცის, რომ ღმერთმა შეიძლება დაუშვას მისი გამოცდა, მაგრამ არ ჩანს, რომ უფალს ამ განსაცდელის ჟამს გაძლიერებას სთხოვდეს. მას ზედმეტად სჯერა თავისი თავისა. განდევნილი გამოხატავს მზადყოფნას, შესვლეს განსაცდელს და უშვებს სენაკში უცნობს, რომელიც მისიგან შევლას ითხოვს:

„მართალი ხარ შენ... თუ ხარ ძე კაცის.

ცოდვია გარეთ დაგტოვო ამ დროს;

თუ მაცდური ხარ, სიანს ღმერთს სწადიან.

მწირი ცოდვილი დღეს გამომტადოს.

ამოვედ, ვინც ხარ... იყაენ ნება ღვთის!...“

ამბობს ბერი. წმ. იაკობ მოციქულის ეპისტოლეში (1.13) ეკითხულობთ: „ნუვინ განცდილთაგანი იტყვიან, ვითარმედ ღმერთისა მიერ განციცდები, რამეთუ ღმერთი გამოუცდელ არს ბოროტისა და არავის განსცდის იგი. არამედ კაცად-კცადი განიცდების თვისისაგან გულისთქუმისა, მიიზიდვის და სცთების. მერმე გულის თქუმაი იგი მიუდგის და შვის ცოდვად და ცოდვად იგი სრულ იქმნის და შვის სიკუდილი.“<sup>1</sup> ამრიგად მიზეზი ამ განსაცდელის აღძვრისა თავად ბერის სულიერი მორღუნება იყო, რამაც ბოროტს საშუალება მისცა განეტადა იგი. რაკი სტუმარი თავისუფლად შედის სენკში, ბერი ამას იმის ნიშნად მიიჩნევს, რომ მოსული ადამიანია და არა ბოროტი სული. მაგრამ, როდესაც ბერმა ნახა, რომ ეს იყო ასალგაზრდა, სიცოცხლით და ვნებით აღსავსე მწყემსი ქალი, რა თქმა უნდა, მას მეტი სიფხიზლე უნდა გამოეჩინა. ქალთან საუბრის გაბმამ თანდათან შეიყვანა ბერი შეცდომაში.

შევიდა ეს ქალი სენაკში და თითქოს თან შეკცვა ბერის მიერ უარყოფილი და მიტოვებული მთელი ქვეყანა. მაგრამ განდევნილი თითქოს ამისთვისაც მზად არის – გულში ამბობს:

„მაგრამ იქნება ბედმა ეგე ჰქმნა

მისდა საცდელად თვით უფლის ნებით!..

და კისრად იღო, ვით ნება ღვთისა

სასოებით და გულდამშვიდებით.“

განსაცდელის ჟამს სიფხიზლე და ღვთისადმი ვედრება საჭირო და არა „გულდამშვიდება“. უფალმა უთხრა მოწაფეებს: „იღვიპებდით და ილოცევდით, რაათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა“ (მათე 26, 41). ადამიანი, რომელიც რაღაც განსაცდელის წინაშე დგას და თავისი თავის ამო იმედი არა აქვს, ღმერთს ევედრება ზოლმე მის აცილებას ან თავისი თავის გაძლიერებას. მაგალითად, ლექსში „ლოცვა“ თვით ილია ამას სთხოვს ღმერთს, როდესაც ურწმუნოებისა და მაცდურების ღმობნი საწამლავიან თასს მომაწვდის:

„ნუ მანდობ, ღმერთო. ბედისა ტრიალს.



ნუ დამაწაფებ დემონის ფიალს  
და უკეთუ არს შესაძლებელი,  
მე განმარიდენ იგი სასმელი!”

ამ სიტყვების შემდეგ ილიას ღირსიული გმირიც იმასვე დასძენს, რასაც განდევნილი: მაგრამ თუ ჩემი გამოცდა გსურს, „იყავნ ნება, უფალო შენო“, თუმცა, ბერისაგან განსხვავებით, რომელსაც მწყემსმა ქალმა სწორედ ასეთი შხამით სავსე ფიალა მიაწოდა, მას ის სიყვინძლე აქვს, რომელიც პირველ რიგში თავის თავში შეაქვს ხოლმე მორწმუნეს და განსაცდელის არიდებას ათხოვნიებს ღვთისაგან.

იმის გამო, რომ უფაოს კაცობრივი ბუნებაც სრულად ქჷონდა მიღებული, ადამიანური განცდები (ცოდვის გამოკლებით) მისთვის უცხო არ იყო. ჯვარცმის წინ ისიც, თუ ეს შესაძლებელი იყო, პირველად იმ „სასუმელის“ არიდებას ითხოვდა მამისაგან და თუ არა, მაშინ გაძლიერებას. ადამიანს არ ძალუძს განსაცდელის გადატანა. რადგან: „ყოველივე ძალსა თვისსა მინდობილი მსწრაულ მისდრკების ვხათაგან სიმართლისათა შურითა ემსაკისათა.“ ბერი თუ ამპარტავენებაში არ იყო ჩაყარდნილი და თავის თავს არ იყო მინდობილი, მაშინ იგი გულდამშვიდებული არ უნდა ყოფილიყო და სასოებაც ღვთისა უნდა ქჷონოდა და არა საკუთარი თავისა.

„ვის არ მოიძრობს, მოინადირებს  
ყოვლად ძლიერი მშვენებება!“

წერს ავტორი. მწყემსი ქალი არის საოცრად შთამბეჭდავი განსახიერება ადამიანის გარეგანი სიტუაციისა, ღვთის ხატებისა, რომელიც უმთავრესისაგან – ღვთიური სულისაგან განმარტულია და ბოროტის ხელში ადამიანის საცდურადაც არის ქცეული. აი ამ ძალამ დასძლია ღვთიურ მადლს მოკლებული ბერი:

„და დაუწყნარდა ძალს შვენებისას  
იგი მწირიცა მწყერალი, გულმშრალი.“

ძალიან ზუსტად, გამოზომილად აქვს აქ მწერალს შერჩეული სიტყვა „გულმშრალი“. წყალი ილიასთან საღმრთო წერილის მსგავსად ძალიან ბევრგან ღვთისმიერ მადლს განასახიერებს, უდაბნო კი ცოდვიანობას. ლექსში „კითხვა-პასუხი“ უკვე ვნახეთ „ურწყული უდაბნოს“ და წრფელი გულის „ნამის“ მსატერელი სახეები. აქ, როგორც ჩანს, მწერალს უნდა მიგვანიშნოს სწორედ იმაზე, რომ ბერის გულს მოაკლდა ღვთიური მადლი, სულიწმინდის მადლი – წყალი მაცოცხლებელი.

ზემოთ საუბარი გეჷონდა ჩამავალი მზის ხილვით ბერის წარტყვევნაზე. ეს ტყვეობა ამჯერად ქალის ხიბლს დამორჩილებული, კვლავ გრძელდება:

„ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თვალი...“

„და რაღაც ძალით ქალზედ კვლავ დარჩა  
თვალი ტყვექმნილი, გაშტერებული...“

თუ რომელ ტყვეობაზეა აქ ლაპარაკი, თავად ბერი განგვიმარტავს ერთგან

თავის სიტყვებში: სული

„...ტყვე არის წუთისოფლისა  
და ეგ ყოველი მის ბორკილია.“

ბერი განერიდა წუთისოფლის სიტკობებსა და საცდურს ამ ტყვეობიდან თავის გასათავისუფლებლად. მაგრამ მაინც ვერ შესძლო ამ ბორკილებისაგან თავის დაღწევა. იგი მოცილდ- ცოდვილ ადამიანებს, მაგრამ მასაც როგორც ადამიანს, თან ახლდა თავისი მიძინებული ენებები და წუთიერი მოღუსება სიფხიზლისა საქმარისი აღმოჩნდა. რომ კვლავ ამ ბორკილების ტყვეობაში აღმოჩნდიყო.

სენაკში ქალის შესვლის შემდეგ განდგილი თანდათან სულ უფრო კარგავს სიფხიზლეს, შეუფერებლად სიტყვამრავლობს. მარტობას არ ეძებს. არ ლოცულობს და შემდეგ ამისა უნებლიედ ღვთის სამღურავე დასცდება. ჯერ იტყვის:

„შენვე სთქვი, სხვა ვინ მოხედავს ქვეყნიო  
ერთს დავიწყებულს და განდგილს მწირს!“

შემდეგ კი ფაქტიურად უბედურებად ჩათვლის იმ გზას, რომელსაც ის ადგას: გზა ხსნისა ასეთი მერგო მე უბედურსაო...“ მისი დატყვევებული თვალები ამ წუთისათვის უკვე მწყემსი ქალის თვალთახედვით იმზირებთან. პაველ მოციქული ეპისკოპოს ტიმოთეს თავის ეპისტოლეში არიგებს, რომ განერიდონ „ყბულებს“, და „ცნობისმოყვარეებს“, რომლებიც „იტყვიდ უჯეროსა.“ (1 ტიმოთე, 5.13) ეპისკოპოსისათვის განკუთვნილი ეს რჩევა მით უფრო უნდა შეესრულებინა განდგილ ბერს, ის კი დაუჯდა ამ ქალს და მანამ ელუქერაკა, სანამ თავიდაც ღვთის გმობაში არ ჩავარდა. ბერის მჭკრეტელობის არიდან თანდათან ქრება ყოველივე სულიერი და შემოდის ხორციელი. ამიტომ ბერი, რომელიც თავის ბედზე გააწყრალი და გულგამშრალია. ჯერ თვალით არის დატყვევებული და გული უცოდველი აქვს. მაგრამ მალე ბოროტი იქაც აღწევს:

„ეს რა სურვილი გულს გაიტარა!..“  
„დაგძლიე თუ არ!..- ეს ვინ გააკვივის  
გასარებული იმის მკვდარ გულში!“

ამას კი მოჰყვება ყველაზე საშინელი რამ:

„სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად,  
გული სხვას ამბობს. არა კნებდება...“

ყოველივე ეს კი ხდება იმიტომ, რომ როდესაც ბერს ღვთის სამღურავე დასცდება და გააცნობიერებს ამას. მწყემსი ქალის მსგავსად, წუთიერი სინანულის შემდეგ, თავისი თავის გარეთ დაუწყებს ძებნას დამნაშავეს. იგი ფიქრობს, როგორ მოხდა, რომ მე არ ვიკმარე ჩემზე უხვად მომადლებული ღვთის კურთხევა. სულის მშვიდობა, მყუდროება და უკმაყოფილება გამოვთქვი და:

„იმპოიხედა თვის გარს საბრალდომ,  
თითქო მტერს ეძებს შემაცდენელსა.“

არაეინ იყო... ხოლო ცეცხლაპირს  
ქალს დაღალულსა მისძინებოდა  
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,  
ვით საყვარელსა. ზედ დაქნაროდა.“

ბერს რომ მის მიერ ჩადენილი ცოდვის მიზეზი თავის გარეთ კი არა, თავის თავშივე ეძებნა. მისი განსაცდელი შეიძლება ასე არ დამძიმებულყო, მაგრამ თვალი, რომელიც მისი ცდუნების მიზეზს ეძებდა, უცებ გადააწყდა კვლავ ამ ცდუნებას. მწირი გულისთქმამ შეიპყრო და ქალის საკონცენტრაციოდ დაიხარა. იგი მალევე მოეგო გონს. მაგრამ ეს გულისთქმა, როგორც უფალი გვასწავლის, იგივე ცოდვია. რადგან „ყოველნი, რომელი ჰხედვიდეს დედაკაცსა გულისთქმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თვისსა“ (მათე 5,28) და ეს, რა თქმა უნდა, იცის ბერმა.

კვლავ დაკუბრუნდეთ მწყემსი ქალის მონათხრობს. რა მოხდა. როდესაც ჩამავალი მზის ყურებამ მას თვალთან ეროად გულიც მოსტაცა? დაავიწყდა მამის ნათქვამი:

„ნუ ენდობიო. შეილო ამ მყინვარს.  
ნასავ. მზე ადგას. უცებ გაწყდება  
და წამოხეთქეს ცილამ ნიაღვარს.“

როგორც ამბობენ. ასეთია ბერ-მონაზვნური ცხოვრებაც. იგი განსაკუთრებით სათნო და გამორჩეულია ღვთის თვალში სხვა ღვაწლთა შორის, მაგრამ ბრძოლები და წინაღმდეგობებიც დიდი აქვს და დაცემის შემთხვევაში — განსაცდელი უფრო ძლიერი. როგორც მყინვარზე ნათქვამი: „უცებ სამოთხეს გოჯოხეთად ჰქმნის.“ შესაძლოა მწყემსი ქალის ნათქვამით მწერალს აქ იმაზე უნდოდა მინიშნება, რომ ამ ქალივით თვალის ტყვექმნილმა ბერმაც დაივიწყა თავისი ზეციური მამის მოწოდება სიფხიზლისაკენ და გაფრთხილება სულიერი ამინდის ცვალებადობის შესახებ. ბოროტმა ჯერ თვალი მოსტაცა, შემდეგ — გული და ბოლოს იმედიც დააქარგვინა.

როდესაც მწყემსი ქალი გონს მოეგო, ცხერის გამობრუნება მოინდომა. მაგრამ გვიანდა იყო. ფარა სეტყვამ დაუფრთხო და დაღუპა. ატყდა თუ არა აუდარი, ბერიც სენაკში შებრუნდა და „ცრემლით ალტობდა ღვთისმშობლის ხატს“, რომ ქვეყანა — მისი გაფანტული ფარა — აღამიანები გადაერჩინა, მაგრამ. როგორც ვხედავთ. მანაც დაავიანა. რადგან არა თუ ქვეყანა, თავიც კი ვეღარ იხსნა.

ბერის დაცემის შემდეგ ეს ქალი პოემიდან ქრება. აღარ ჩანს, თითქოს მისი მისია ამოიწურა. იგი ერთგვარი საშუალებაა პოემის მთავარი გმირის — ბერის სახის წარმოსაჩენად და მისი შინაგანი გარდატეხის საჩვენებლად. ამ სახეს ავტორი იყენებს იმისათვის. რომ განდევნილად მცხოვრები ბერი ილაგ შეახვედროს და შეაჯახოს წუთისოფელს, მაგრამ, ამას გარდა, რეალური აქ უნდა იყენებდეს კიდევ ერთ უცნაურ ხერხს, რომელზედაც ჩვენ სხვა ნაწარმოებების განხილვისასაც ვაგამახვილეთ ყურადღება. გიორის სახის

გასაშლელ-გამოსაკლენად იგი ზოგჯერ ყურადღებას გადაგვატანინებს სოლმე სულ სხვა გმირზე ან სხვა მოვლენაზე, მაგრამ მისი დახასიათებით მხედველობაში აქვს ის პირველი, უფრო მნიშვნელოვანი სახე. იმ ანდაზის მსგავსად, „ძალსა სცემდნენ, რძალს ასშენდნენ“. მაგალითად „ოთარაანთ ქერიში“ იმისათვის, რომ მიგვანიშნოს, შეილმკვდარ ქერივთან თვალყურის საგდებად მისულ ღელაკაცს თავისი მოვალეობა დაეიწყებოდა და „გულიანად ეძინაო“, რამდენჯერმე, აშკარა ხაზგასმით ხან მთხრობელს და ხან მწყემსებს აქებინებს ძალს, რომელსაც იმ ქალისაგან განსხვავებით, ქერიის შინიდან გასვლა არ გამოუპარა. „ფრთხილს ძალს პატრონის გარედ გასვლა არ გამოუპარა...“ ამბობს მთხრობელი; „დახე, ძალდი პატრონს არ მოჰშორებია!.. დალოცვილი პირუტყვია. ბარაკალა. ძალლო, ბარაკალა!...“ წამოიძახებს თუში მეცხვარე. „მემცხვარემ და ნამევეეტნავად თუშმა იცის ყადრი ამ ერთგულის და მართლა საქებარის ოთხუხისა...“ ამბობს ისევ მთხრობელი. ერთადერთხელ არის ნათქვამი – „ბებერმა ღელაკცმა კი ვერ შეუტყო ავადმყოფს გაპარვა, – იმას ისევ გულიანად ეძინაო“, მაგრამ ძალღის ასეთი დაჟინებული ქება ფაქტიურად ამ ქალის უგულისყურობის სამხილია. მწყემსი ქალის მიერ წარმტაცი სანახაობით დატყვევების გამო მამის ნათქვამის დაეიწყება და ფარის დაღუპვა კი „განღეგილში“, ფაქტიურად ბერის ხასიათის წარმოსაჩენად უნდა იყოს შემოტანილი.

საბოლოოდ რამ დაღუპა ბერი? თვალი მივაღვიწროთ პოემის სოუჟეტის შემდგომ განვითარებას. განდევილი ელოდა მზის ამოსვლას, როგორც თავის „უკანასკნელ ნუგეშს“. იგი კვლავ ითხოვდა ღვთისაგან სასწაულს, რომელიც მას ნიშნად ძაღლისა მოუვლინა უფალმა. მზე რომ ამოვიდა. მწირი გახარებული შეეარდა სენაკში; მზის სხივი რომ დაინახა, გულზედ მოეშვა და სასოება დაუბრუნდა და, როდესაც ღვთისმშობლის ხატზე კვლავ მადლით და ნუგეშით გადმოშირალი დედა ღვთისა დაინახა და არა ის ქალი, როგორც იმ ღამით, იმედი მიეცა, რომ ღვთისაგან არ იყო შერისხული, მაგრამ დააყრდნო ლოცვანი სხივზე, სხივმა არ დაიჭირა და „უკანასკნელი ნუგეში“ გაქრა. ბერმა გამშრალმა და ზარდაცემულმა შეჰბღავლა ღმერთს და სული განუტყევა.

ყურადღება მივაქციოთ ბერის ორიოდ გამონათქვამს. ერთგან იგი მწყემსს ქალს ეუბნება:

„მე ნუ მიმადლი, შეილო, შენს დახსნას,  
ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი...  
ღვთით არგაწირულს ყველგან წინ უძღვის  
მისი მარჯვენე შემწყნარებელი.“

ბერის ნათქვამიდან ისე ჩანს, თითქოს ღვთისაგან გაწირული ადამიანიც არსებობდეს. იგივე აზრი ჩანს მის ფიქრებში საკუთარი თავის შესახებაც: „არ შერისხულა, სჩანს, ჯერედ ღვთისგან!...“ შესაძლოა ასეთმა ფიქრმა მიიყვანა იგი ბოლოს სასოწარკვეთილებამდე. ღმერთი თავისი ნებით არავის არ წირავს. მისი „მარჯვენე შემწყნარებელი“ ყველას უძღვის წინ მთელი

ცხოვრების მანძილზე, ვისაც მისი სასოება აქვს. უფალმა ბრძანა წინასწარმეტყველის პირით: „ნებსით არა მნებავს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხოვრება მისი.“ სიმონ ახალი ღვთისმეტყველი ბრძანებს: „უწყი ვითარმედ არა სიდიდე შეცოდებათა, არცა ცოდვათა სიმრავლე აღებატების ღვთისა ჩემისა მრავალსა სულგრძელებასა და კაცთმოყვარებასა. არამედ წყალობითა და თანაღმობითა მხურვალედ შემანანებელთა განკსწმედ და განანათლებ და ნათელ-ჰყოფ ზიარებითა.“ ღვთის კაცთმოყვარეობის იმედით აღსაქვე იოანე ოქროპირი კი ასე მიმართავს უფალს: „...რამეთუ შეძავი, ცრემლით მოსრული, არა განკსდევნე, არცა ავაზაკი განარე, რომელმან იცნა მუუფება შენი. არცა რომელი მდევარ იყო დაუტყვე, შეინანა რა, არამედ სინანულით მოსრული შენდა ყოველნი გუნდსა მოყვარეთა შენთასა დააწყისენ.“ ბერი იმ შეცოდების გამო კი არ დაღუპულა, რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, არამედ ამ ცოდვით გამოწვეული უიმედობის გამო.

წმინდა მამათა ცხოვრებიდან ცნობილია არაერთი შემთხვევა, რომ ამგვარი და უფრო მძიმე ცოდვების შემდეგაც კი ბერებს ღრმა სინანული უჩვენებიათ და გადარჩენილან. მაგალითად 1895 წელს ჟურნალ „ნივაში“ გამოქვეყნდა წმინდა მარტინიანის ისტორია. ბერთან, მისი შეცდენის განზრახვით, ასევე ქარიშხალში მივიდა მწყემსად გადაცემული ახალგაზრდა დიდგვაროვანი ქალი. აქაც ბერი მოიხიბლა ქალის გარეგნობით და აკოცა. მაგრამ დილით საოცარ სინანულში ჩაეარდა და საკუთარი თავის დასახველად ცეცხლის აღზე ფეხები დაიწვა. ამის შემყურე ქალს თავადაც სინანული დაუფულა. ამავი მთავრდება იმით, რომ ბერიც გადარჩება და ქალიც სხვა მონასტერში მონაზვნად აღიკვეცება. ამგვარი შემთხვევები, წმინდა მამას მის საცდუნებლად განზრახ მისული ადამიანი რომ გადაერჩინოს და ჭეშმარიტების გზაზე დაეყენებინოს, არაერთია. ასეთივე შესაძლებლობა მიეცა პოემის გმირ განდგვილსაც. იაკობ მოციქული წერს: „ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა, რამეთუ გამოცდილ იქმნეს და მოიღოს გვირგვინი ცხოვრებისაი, რომელი აღუთქუა ღმერთმან მოყუარეთა მისთა“(1,12).

მაგრამ ბერი გარდა იმისა, რომ ქალზე დადებითი გავლენა ვერ იქონია, თავად მოექცა მისი გავლენის ქვეშ და როცა ეს გააცნობიერა და ნახა, რომ მისი სიწმინდე შელახული იყო და ღვთისაგან ამ სიწმინდის ნიშნად მოვლენილი სასწაული აღარ ეძლეოდა, სასოწარკვეთილებით დაიღუპა. უიმედობა რომ არ ჰქონოდა, მისი გადარჩენა ალბათ შეიძლებოდა, მაგრამ სასოწარკვეთილება დამღუპველი აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, გარკვეული სინანული თავისი ცოდვის გამო იუდამაც გამოავლინა, მაგრამ მისი დაღუპვა უსასობამ, უიმედობამ გამოიწვია. ასე დაემართა ბერსაც.

არსებობს აზრი, რომ „განდგვილის ლოცვის მთავარ მიზანს საკუთარი სულის გადარჩენა წარმოადგენს“<sup>1</sup> რომ „ილიას განდგვილი ეგოცენტრისტია,

1. იხ. გურამ ასათიანი, „საუკუნის პოეტები“, თბ. 1982

მისთვის არ არსებობს მოყვასის არსებობა და მისდამი სიყვარული... მისი სულიერი სალარო მრუდეა და მახინჯია. ცრუ და ყალბი. ყალბ ღირებულებათა „ანატოგე“ ამაღლება კი ობოლი ოცნებაა. ამიტომ დაამარცხა ილიამ თავისი ვანდევილი““ მაგრამ არის კი ეს ასე? განა ავტორმა თავადვე არ გვითხრა, ჭკეს-ქუხილის ატეხისას ბერი ქვეყნის ხსნას ევედრებოდა ღმერთსო? აქედან ის უფრო საფიქრებელია, რომ მოძმეთა გადარჩენისთვის მხურვალედ მლოცველ ამ გმირს ცხოვრების გზის არჩევისასაც მათზე ზრუნვა ჰქონოდა განზრახული. ზემოთაც ვთქვით. ბერი წმინდა მამის ლოცვას ათასჯერ ღიღი შემწეობა მოუტანია ადამიანებისათვის, ვიდრე სხვათა მატერიალურ ან ფიზიკურ დახმარებას. და თუ ბერს გზაც სწორი ჰქონდა არჩეული და არც „ეგოცენტრისტი“ იყო, რატომ დატრიალდა ყველაფერი ასე თავდაყირა?

ჩამავალი მზის ხარბად ყურება მიგვანიშნებს, რომ ბერშიც ხორციელმა თვალმა გაიღვიძა და მიაჩინა სულიერი. აი ამ სულიერ სიცარიელეში. ამ ნაპრალში შემოაღწია საცდურმა – გარედან მოისმა ხმა. სულიერად მიძინებულ ბერს შეეპარა ზედმეტი თვითდაჯერება. წარმოიდგინა, რომ უკვე მზად არის გაუძლოს ცდუნებას და ცოდვაში არ ჩავარდეს. ამიტომ „გულდაიშვილებით“ გაულო კარი იმ საცდურს, რომელსაც ადრე ერიდებოდა. სიფხიზლიყოღუნებული და ამპარტანებაშეპარული ბერი არ აღმოჩნდა იმ სულიერ სიმაღლეზე, რომ ამ შემოტყვევისათვის გაეძლო. ამჯერად სიძვამ სძლია. დაცემის შემდეგ მისი რწმენის კიდევ უფრო შესუსტება იმაში გამომედავნდა, რომ ცოდვის უფსკრულში ჩავარდნილი, სულიერების კიბის პირველ საფეხურზე შედგომას და თანდათანობით ამაღლებას კი არ შეეცადა, არამედ კვლავ მწვერვალზე მონღლომა უცებ აღმოჩენა – სასწაულებრივი ნიში მოითხოვა ღვთისაგან და როცა ვერ მიიღო, ჩავარდა უკანასკნელ და საბედისწერო ცოდვაში – სასოწარკვეთილებაში.

ბერის თავს გადახდენილ ამბავს შეიძლება ტრაგედია ვუწოდოთ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ – ის, რაც მის შესახებ არის მოიხრობილი პოემის ძირითად სიუჟეტურ ნაწილში (ჩამავალი მზის სურათის აღწერიდან...), სრულიად არ შეესაბამება განდევნილური ცხოვრების ჭკემარიტ გზას. პირიქით, გმირის თითქმის ყოველი ნაბიჯი ამ გზიდან თანდათანობით გადახვევას განასახიერებს. ამიტომ სიუჟეტის პირდაპირ პლანში ტრაგედიას განიცდის ერთი კონკრეტული გმირი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ არის ასკეტური ცხოვრების ალევორიული განსახიერება.

---

1. შალვა კალანდაძე. „ილია ჭავჭავაძის რელიგიის ფილოსოფია“. „ილია ემიგრანტთა თვალთ“. ტ.1. გვ.198

განდევილს „რწმენის ტრაგედია“ უწოდეს<sup>1</sup>, მაგრამ ამ გამოთქმის ერთგვარი ორაზროვნების გამო იგი მოარულ ფრაზად იქცა სულ სხვაგვარი მნიშვნელობით, თითქოს თავისთავად რწმენაში და ასკეტური ცხოვრების წესში იყოს შინაგანი წინააღმდეგობა და იგი განიცდიდეს ტრაგედიას და არა კონკრეტული გმირი და კონკრეტული საზოგადოება. პოემის დედააზრის ამგვარი ინტერპრეტაცია. ჩვენი აზრით, მიუღებელია. „განდევილის“ იგავური შინაარსის ამოხსნას აუცილებლად შექდგომი დაკვირება და ანალიზი სჭირდება.

### „მთავი მღუშარი...“

„განდევილის“ შიშობილველები პოემის მხატვრულ სახეთა ახსნის მიზნით სშირად მიმართავენ ხოლმე „მყინვარის“ მხატვრულ სახეზე დაკვირებას „აჩრდილისა“ და „მგზავრის წერილების“ შესაბამის სახეებთან შეპირისპირების გზით. ამის შედეგად ისინი განსხვავებულ დასკვნებამდე მიდიან, მაგრამ თვით პრინციპი, რომ ესა თუ ის მნიშვნელოვანი მხატვრული სახე მთელი შემოქმედების ფონზე უნდა იქნას განხილული, თავისთავად სწორად მიგვაჩნია.

დავაკვირდეთ მყინვარის სახეს თავდაპირველად მოთხრობაში „მგზავრის წერილები“: „დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. ცისა ლაქვარდ ზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრევლად. ერთის მუჭისოდენი ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალ შუბლსა. მის ყინვით შევერცხლილს თავსა. ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე ზედ დაქნათიოდა, ერთს ალაგს გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულს სახეს განუცვიფრებიაო.“ მყინვარის ეს აღწერილობა საკვებით შეესაბამება „აჩრდილის“ შესავალში წარმოჩენილ მის სურათს:

„აღმოჩნდა მთების ზემოდ მყინვარი

ციხა და ქვეყნის შუა დაკიდულ.

იგივე დიადი, იგივე მძინვარი,

იგივე დიდებულ და დაღუმებულ.“

მყინვარის ასეთისავე სურათს ეხედავთ „განდევილის“ შესავალშიც:

„სადაც დიდებულ მთასა მყინვარსა

ორბნი, არწიენი ვერ შექხებიაჩ,

სად წვიმა-თოვლნი ყინულად ქმნილნი

მზისგან აროდეს არა ჰდნებიაჩ...“

ამ სამი სურათიდან ვიგებთ, რომ მყინვარი დიდებული, დიადი, თეთრი, მყუდრო და აუმღვრეველია. მას ცა ქუდად აქვს და დედამიწა ქალამნად. ცისა და ქვეყნის შუა არის დაკიდული, თითქოს მათი დამაკავშირებელია — ადამიანის ზეჯკასთან მიმასალოებელი. მაგრამ სამივეგან მყინვარის აღწერაში შემოდის ერთგვარი კონტრასტული ელფერი. „აჩრდილში“ ნათქვამია:

1. ა. ა. კი ბ. ა. ჩიხიძე

ქ. ა. გვაგაძე. წიწამური. თბ. „ნაკადული“ 1984. გვ. 108

„ქვესკნელთ ძალთაგან იგი მთა მდგრად  
ცის გასარღვევად აღმოზიდულა,  
მაგრამ მის სრბოლა ცაში უცტრად  
თითქო განგებით შეყენებულა.“

ესე იგი მყინვარს, რომელიც ცის გასარღვევად იყო ქვესკნელიდან ამოზიდული, არსებითი გარდატეხა განუცდია – მისი სრბოლა ცისკენ შეყენებულა. მას შემდეგ, რაც მაცხოვარმა თავისი სიკვდილით სიკვდილი დათრგუნა. მართალ ადამიანებს გზა გაეხსნათ ჯოჯოხეთიდან ზეცისაკენ, მაგრამ სასუფეველი იოლად არ მოიპოვება. მის დასამკვიდრებლად ამქვეყნიურ ცხოვრებაში დიდი ძალისხმევაა საჭირო. იგი, როგორც წმინდა წერილში წერია, „იიძულების“. პოემიდან ჩანს, რომ მყინვარს, რომელიც ცის გასარღვევად, ადამიანთა ასამაღლებლად და ზეცას „ამყვანებლად“ იყო ქვესკნელიდან აღმოზიდული, ანუ განასახიერებდა უფლისკენ მიმავალ გზას, ეს ფუნქცია დაუკარგავს. ამით არის გამოწვეული ის, რომ მზის სხივის დანათებაზე:

„ქვეყანას მშიშარს მის ფრთეთა ზვავი  
დასცქერის რისხვით და მუქარებით, –  
თითქო ელისო განკითხვის დღესა,  
რომ იგრიალოს, წამოიქუხოს,  
ხმელეთს დაეცეს, მერმედ ქვესკნელსა.  
თვითც დაიღუპოს. ისიც დაღუპოს.“

იგივე აზრი უნდა იყოს ჩადებული განდევნის სიუჟეტურ განვითარებაში. ეს ჩანს შემდეგი სტროფებიდან:

„განსულან ამა ქვეყნით მამანი  
და ტაძარი ღვთის გაუქმებულა...“  
„აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა  
მარტო ქარილა დადის და ქშუის  
და გამომფრთხალი ჳექა-ქუხილით  
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის.“

„აჩრდილშიც“ აშკარად ჩანს, რომ მყინვარი სხვაგვარი იყო და სხვაგვარი გახდა – რომ მისი წარსული და აწმყო კონტრასტულად უპირისპირდება ერთმანეთს. რისი სახე უნდა იყოს ეს მყინვარი თუ არა საქართველოსი, რადგან აქ სუფევს მისი თანამდევი უკვადავი სული; რისი სახე უნდა იყოს დაცარიელებული, მიტოვებული, გაუქმებული ტაძარი – „ბეთლემი“ თუ არა ქართველთა სულიერად დაცლილი დღევანდებლობისა, რომელიც იმავე „აჩრდილში“ სწორედ გაუქმებულ ტაძართან არი შედარებული:

„და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა...  
და დაუგდინარ, ვით ტაძარი გაუქმებული...“

ამ ორი პოემის მხატვრულ სახეებში ჩადებულ ღრმა შინაარსს თუ გავიაზრებთ, სულ სხვაგვარად აღვიქვამთ მოთხრობა „მგზავრის წერილებში“ პოემების მსგავსად, მყინვარის დიდებულების აღწერის შემდეგ მისდამი



წყენებულ ბრალდება-საყვედურებს. ყურადღება მივაქციოთ, რომ მოთხრობაშიც, ისევე, როგორც „აჩრდილში“ პოეტი ფიზიკურად უყურებს მყინვარს – ეი, უყურებს როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალით. ფიზიკურად იგი ხედავს მის გარეგნულ სიდიადეს, სულიერად კი ჭკრეტს იმას, რომ მისი სრბოლა ცისკენ შეჩერებულია, მთავარი ფუნქცია ცასთან დაახლოვებისა, დაკარგული აქვს. ამრიგად ყველა საყვედური მიემართება დღევანდელ მყინვარს: „მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მალეღვებს, მაციებს და არ მათბობს, – ერთი სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზედ უღგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა განზედ გამდგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა.“ მყინვარი „უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა. ცივია – როგორც უკვდავება და ჩუმი, როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდან დადებულია, ყოველი შენობა ძირიდან ამაღლებულია, მაღლიდან კი შენობა არსად არ დაწყებულა.“ „არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალია! რად მინდა მისი სიმაღლე თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი.“

რას შეიძლება ნიშნავდეს ეს საყვედურები? რით აიხსნება, რა აზრია მათში ჩადებული? იქნებ „ცივია“ იმიტომ, რომ სიცოცხლის არსისაგან დაკლილია, „თეთრია“ იმიტომ, რომ ყინულის სუღარა აქვს გადაფარებული, „ყინულოვანია“ იმიტომ, რომ სინანულის ცრემლი აღარ აღნობს ამ ყინულებს. „არ მალეღვებს“ იმიტომ, რომ მოჩვენებითია, „მაციებს და არ მათბობს“ იმიტომ, რომ თავად ცივია. „საკვირველია“ იმიტომ, რომ გარეგნულად დიდებულია, მაგრამ „შესაყვარებელი არ არის“ იმიტომ, რომ ღვთიური მაღლისაგან დაკლილია. „შუბლზედ ძარღვი არ აუტოკდება, განზედ გამდგარია და „მიუკარებელია“ იმიტომ, რომ დღევანდელი ადამიანისათვის მიუწვდომელია. ღვთის ღირსის გარდა სხვა ვერ შეჰბედავს, ღვთის ღირსობა კი ყველას დაკარგული აქვს.

სამჯერ ამბობს ილია: „არა, მყინვარი არ მიყვარს“, „არა, მყინვარი არ მიყვარს“, „არა, არ მიყვარს მყინვარი“, თითქოს თავის თავსვე ეკამათება და ძალათი აჯერებს ამ უცნეურ სათქმელს, რომლის დაჯერება მართლა ძნელია. არ მიყვარსო ამბობს იმ თვალწარმტაც, მომხიბლველ სიმაღლეზე, სისპეტაკესა და სითეთრეზე, რომელიც მეტად ბრწყინვალე ვარსკვლავსაც კი აოგნებს, და ამბობს იმიტომ, რომ ხედავს, ეს ყველაფერი შინაარსისაგან დაკლილი გარეგანი ბრწყინვალეა, გარეგნი სიდიადე, რომლითაც არ უნდა მოიხიბლო. საოცარი მხატვრული დატვირთვა აქვს მწერლის ამ სიტყვებს. მყინვარი ზოგადად

საქართველოს წარსულისა და აწმყოს ერთიანი სახე უნდა იყოს, მაგრამ მყინვარი, რომელსაც პოეტი უყურებს და მიმართავს განხილულ ნაწარმოებებში, რა თქმა უნდა, მის დღევანდლობას განასახიერებს. გარეგანი დიდებულება მას წარსულიდან აქვს, მაგრამ აწმყოში ამ დიდებულების მხოლოდ აჩრდილადღაა ქცეული.

ამ მხატვრული სახის აღსაქმელად დაგვეხმარება ილია ჭავჭავაძის სტატია „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის ჯამბაკურიან ორბელიანისა.“ ეს იყო ადამიანი, რომელსაც ილიას თქმით, სამშობლოს სიყვარულის გზიდან არასოდეს გადაუხვევია და რომელიც იყო უადრესად ერთგული მისი წარსული სიდიადისა. ილიას მოჰყავს პოეტის ციტატა ლექსიდან „ძველი დმანისი“, სადაც ლირიკული გმირი დგას დმანისის დანგრეული ციხის, კოშკის და ტაძრის – „მამა-პაპათა ისტორიის წმინდა რვეულთა“ წინაშე და ამბობს:

„ედგაეარ თქვენს წინა თაემოხრილი, ფიქრით მოცული,  
ედგაეარ და ფიქრში მიახლდება, რაც არს წარსული;  
მაგრამ რისთვისა და რად მინდა მის მოგონება,  
რაც რომ ყოფილა, წარსულა და აღარ იქნება,  
რაც ფიქრს აწუხებს, გულს აკენებს და სულსა სტანჯავს,  
რაც რომ მდიდარსა ფანტაზიას და ზღაპარსა ჰგავს?!..

განჰქრი დმანისო და დაინთქე უფსკრულსა შინა,

ჩემს სატანჯველად რომ არ იდგე ჩემს თვალთა წინა!“

ციტირებულ ლექსს ილია ასეთ კომენტარს უკეთებს: „ჩვენს მგოსანს უყვარს წარსულის დიდების ამბები, უყვარს, მაგრამ რაკი ჰხედავს, რომ ის დიდება აღარ არის და მის სანაცვლოდ წარმომდგარა ახალი შენობა, რომლის კირსა და ქვას, ვით სუსტს ასულს, არც ძალა აქვს და არც ღონე“, გულამოსკენით მოთქვამს:

„მაგრამ რად გვინდა მის ამბეი, რაც არს აღარა,

რაც თვალთ წინა გვაქვს, გულსაკლავად ისიცა კმარა.“

ამ ბოლო სიტყვებს ილია ასე განგვიმარტავს, ქვეყანას გარდახდენილი ჭირი და ვაივაგლახი, „როგორც უკვე გარდასული ამბავი, ისე არა სწევას ადამიანის გულს, როგორც გარდასული ბედნიერება და დაკარგული დიდება. იმ იმედის გარდასულას და დაკარგვას იმ უმწვერვალეს ტკივილამდე მიჰყავს ჩვენი პოეტი, როცა ყოველივე გრძობა დუმდება, სასოებას ადგილი აღარა აქვს და საცა მარტო სასოწარკვეთილებადა ჰღაღადებს თავის საშინელის ზართთა.“

მყინვარი, რომელსაც ილია შეჰყურებს, ფაქტიურად ასევე „არს აღარა“. ასევე „ფანტაზია“ და „ზღაპარია“. რადგან შინაგანად, სულიერად დანგრეულია. ამიტომ ვახტანგ ორბელიანის მსგავსად, რომელიც თავის საყვარელ დმანისს შესძახებს: „განჰქრი, დაინთქე უფსკრულსა შინაო“, ილიაც სამგზის ამოიძახებს: „არა, მყინვარი არ მიყვარსო.“

ილიას არ უყვარს მყინვარის მოჩვენებითი და მაცდუნებელი სიდიადე, რომელიც რეალური შინაარსისაგან დაცლილია. „შვილმა უნდა იცოდეს, სად

და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის წვეა. შეიღს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიანდა კეთილად და რა კეთილი – ავად, რა უმართავედა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნობდა, და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თითონ შეილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუშო სპილოს ეგანება. დავით გურამიშვილისა არ იყოს...“ წერდა ილია სტატიაში „ერი და ისტორია“ 1888 წელს. მართალია, ერის ღიდი წინაპარი ნამდვილად იდგა მყინვარის სიმაღლეზე, მაგრამ შემდგომმა თაობებმა ის სიმაღლეები დაკარგა. მომავალს კი პირდაპირ წარსულზე ვერ დააშენებ. ნამდვილი მამულიშვილი თავს არ იტყვილებს მოუწვეველი ოცნებებით და ცდილობს რეალურად რისი გაკეთებაც არის შესაძლებელი, ის დაისახოს ამოცანად. ამის დანახვაში კი მას ეხმარება ისტორიული გამოცდილება. „რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე. ამას ხსნის და გეითარგმნის ზოლმე მარტო ისტორია, და თუ იგი დავივიწყეთ, მაშინ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი და თუ ასეა – რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?“ „ისტორია იგი ღიდებული ტაძარია, საცა უწირვს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის ღიდებულ და ღიდებუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი...“ კეთიხულობთ იმავე სტატიაში, როგორც ვხედავთ, ილია ერის წარსულის ხსოვნას აუცილებლად მიიჩნევს, მაგრამ იმ წარსულს უნდა ჰქონდეს კავშირი აწმყოსთან. ამის შესახებ იქვე წერია: „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უშეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია...“ იმისთანა ერს, რომელსაც ჰქონია ისტორია და დაუეიწყია, არა აქვს „მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ, იმიტომ, რომ, რა იყო – ის დაეიწყებული აქვს და, მამასადამე, რა არის – არც ის იცის. არ იცის რა გაიმაგროს, რისთვის გაიწიროს თავი, რას გამოუსარჩლოს და რას არა. ფეხ-ქვეშ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტანი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადლებს ზოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად. იგი ღიდება, იგი სახელი, რომელსაც ამისთანა ერი შეინარჩუნებს ზოლმე წარსულისაგან თავის გულში, თავის სამღერალსა და საგალობელში, თავის ზღაპრებსა და მოთხრობებში, მართალია ბევრს ანუგეშებს ზოლმე ჭირსა და ღბინში, მაგრამ, რაც დრო მიდის, ეგ ნუგეშიც, ისტორიის დაეიწყებასთან ერთად, ნელდება და თანდათან ჰქრება, იმიტომ, რომ სამღერალსა და საგალობელში, ზღაპრებსა და მოთხრობებში ჩარჩინილნი სახსოვარნი, ისტორიის დაეიწყების გამო მართალს აღარა ჰგვანან და უაზრო და უსაგნო ზღაპრებადღა გარდაიქცევიან, როგორც მთქმელის, აგრეთვე გამგონის თვალშია. ამის გამო ამ სახსოვარში ის ცეცხლმოსაკიდებელი ძაღლონე აღარ არის, რომელიც

კაცს ააფეთქებს ხოლმე მოქმედებისა და გარჯისათვის, და რაკი ეს არ არის, ყოველი ეს განძი და საუნჯეც კი წარსულისაგან გადმოლოცვილი, ამოა და ფუჭი ერის გამხნეებისათვის, ერის დღევრძელობისათვის.“ აი. ასეთ ამოდ ქვეულ განძად არის ქართველთათვის ქვეული ის მყინვარი, რომელიც თავისთავად დიდებულების განსახიერებაა, მაგრამ აწმყოში დაცლილია შინაარსისაგან.

„...მეც წარტყვევნილვარ წარსულ დღეთა შენთა ნატკრითა...“ ამბობს პოემა „აჩრდილში“ საქართველოს თანამდევნი უკვდავი სული და ამგვარი ფიქრი მართლაც წარტყვევენაა, ამოა თუ მას არ ახლავს რეალობის შეგრძნება და ფიქრი მომავალზე, მაგრამ აქ ეს ყველაფერი სრულყოფილად არის. „აჩრდილში“ და „განდევილში“ მწერლის მიერ დასახული მიზანი ერთნაირია — ერის ამძლევა „მცნების ნათლით“ და დაცარიელებული ბეთლების გამოცოცხლება.

ვახტანგ ორბელიანისადმი მიძღვნილი ილიასეული სტატია იმის ახსნაშიც დაგვეხმარება, თუ რას ნუშნავს მყინვარის კატეგორიული დუმილი — „იგივე მდუმარი“, როგორც „აჩრდილშია“ ნათქვამი. დუმილს იწვევს ხოლმე დაცემის შემდეგ სასოების დაკარგვა და უიმედობა. აი, რას ვკითხულობთ აქ სტატიაში: „...მეთვრამეტე საუკუნის თავზარმა და მეცხრამეტის პირველი წლების წყევალგულვამ საქართველოს ერი მოჰძალა, ქანცი გაუწყვიტა, თავისთავის იმედიც კი დააკარგვინა და, რასაკვირველია, რომ როცა შემთხვევა მიეცა, ერმა თავი თითქო მოსვენებას მისცა და თითქმის ხმაამოუღებელივ დაემორჩილა ახლად მოვლინებულ სეეზედსა... თვითვეული ცალკე კაცი და მთელი საზოგადოება საერთოდ თავბრუდასხმულსავით გარინდებული იყო და საქვეყნოდ ხალისი, არცა ღონე არ გამოუჩენია არც უკან მიხედვისათვის, არც წინ დანახვისათვისა, თითქო დიდი ნისლი მოხვევიათ და ელიან, აცა გადიყრისო.“ აი, ამ ნისლით დაბურულს ვხედავთ სწორედ მყინვარსაც:

„ცას გადაედვენენ შავნი ღრუბენნი,

ნისლში შთაცვივდნენ მთანი და ველნი...“

საერთოდ, არა მარტო მყინვარის, ზოგადად მთის სახეს ილიას შემოქმედებაში მსგავსი ალეგორიული მნიშვნელობა აქვს — აწმყოში დაცარიელებული წარსული სულიერი სიმძალეებისა. მყინვარის დუმილის მსგავსი მხატვრული აზრით უნდა იყოს დატვირთული მთის დუმილიც ან მწუხარე ბანი. „ლექსს მეფანტურე“ ლეიტმოტივად გაჰყვება ასეთი სიტყვები:

„მაგრამ მხოლოდ მთა, ნაღვლით მზირალი, მას ყურს ჯგდებდა

და ჩამაფიქრველ, მწუხარე ხმით ბანს გამოსცემდა.“

რატომ უსმენდა მეფანტურეს მხოლოდ ეს ნაღვლით მზირალი მთა ან რას ნიშნავს მისი მწუხარე ბანი თუ არა იმას, რომ ბრმა მომღერალი სწორედ მათ ამბავს, მათი წარსული სიდიადის ისტორიას ყვება და ისინი თავიანთი ბანით უმოწმებენ. ამ მთის აწმყო ისე აღარ ჰგავს მის წარსულს, ისეა ქვეყანა გამოცვლილი, რომ მეფანტურეს თავადვე ახარებს მისი სიბრმავე და

ამბობს:

„აწ მიხარის, რომე თვალნი  
აწმყოსათვის ჩემნი ჩაქრენ.“

ასევე ჩამქრალი უნდა იყო აწმყოსათვის იმ მთის „თვალებიც“, რომლებიც  
ნალელით იზიზრებიან, მაგრამ არ კი ჩანს, რომ რაიმეს ხედავდნენ.

ასევე „მთაი მღუმარი“ ისმენს ალაზნის ბუტბუტს პოემაში „რამდენიმე  
სურათი...“

„მის ბუტბუტს მარტო მთაი მღუმარი  
დაფიქრებული ყურს მიუყრობდა.“

წარსულიდან მომდინარე ალაზანი კი, როგორც ლექსიდან „ალაზანს“  
ჩანს, სწორედ მთის ცრემლით ყოფილა შემდგარი, იმ ძველი, ადრინდელი  
მთისა, რომელსაც ჯერ არ ჰქონდა დაკარგული უნარი ცრემლთა დენისა.  
ამიტომ პოეტი ტკბილი წარსულის მოგონებას სწორედ ამ წყლის ტალღებში  
ეძებს და ამბობს:

„მდინარეე, ჩემის მშობლიურ მთის ცრემლით შემდგარო!..

დაგცქერ ქმუნეთა და შენს წყალში ვეძებ ჩემს წარსულს...“

„რაც კი არს ჩემს წინ, მომაგონებს მას, რაც დაკარგეო“, ეუბნება პოეტი  
ალაზანს და ამჟამად, რომ იგივე გულისტკივილი იგულისხმება დიადი მთების  
დანახვისასაც.

მთის ცრემლებზე განსაკუთრებით თბილი და მონატრებით აღსავსე  
მოგონებაა ლექსში „ქართვლის დედას“:

„ქართვლის დედაო! ბუბუ ქართვლისა

უწინ მამულსა უზრდიდა შეილსა;

დედის ნანასთან ქეითინი მთისა

მას უმზადებდა მომავალ გმირსა...“

მთების სიდიადე ხატონად არის აღწერილი „ყვარლის მთებშიც“.  
ნიშანდობლივია, რომ უცხოეთში მიმავალი პოეტი სწორედ მთებს ემშვიდობება,  
როგორც მშობლიურის და მოსანატრებელის განსახიერებას, მაგრამ აქაც  
უხედავთ სახეს დღევანდელი და არა ადრინდელი მთისას, რომლის სიდიადე,  
მართალია ყმაწვილ პოეტს „ქანკალს“ და „ურჟოლას“ ჰგვირდა, მაგრამ  
მოკლებული იყო უნარს – ნუგეში ეცა ღირიკული გმირისათვის. აი, როგორ  
მიმართავს მას პოეტი:

„თქვენ შეგჩიოდით, შეგტიროდით, თუმც კი იმ ჩემს ცრემლს,

როგორცა ეხლა, ისე მაშინ არ სცემდით ნუგეშს.“

მთის სახე რომ აწმყოში ერთგვარად ილუზორული და მოჩვენებითია, ამაზე  
მიგვანიშნებს ისიც, რომ ილიას არაერთ ნაწარმოებში უხედებით მათ არა  
რეალურ სახეს, არამედ სიზმრისეულ ჩვენებას ან აჩრდილს. ლექსში „სიზმარი“  
ეკითხულობთ:

„მესიზმრა მშობელ

ქვეყნის მთა-ბარი;

ხვევნი მსურდა მთის

ჩემ ძველ ნაცნობის...“

მაგრამ ეს სიზმარია...

მეორე ლექსში „ელეგია“ პოეტი ამბობს:

„ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი  
კვლავ ჩემ ქვეყნის მიღს ეალერსება.“

როგორც ვხედავთ, აქაც „ძილი“ და კვლავ „ჩრდილია“, რადგან სულიერად მიძინებულ ქვეყანას დიადი მთების მხოლოდ ჩრდილი თუ შეეფერება. მის რეალურ სახეს კი, უნდა ვიფიქროთ, ვიხილათ, როცა ქვეყანა გაიღვიძებს. ასეა პოემა „აჩრდილის“ ეპილოგში:

„მცირეს ხანს შემდეგ გაღიწმინდა ცა,  
გამოიღიმა ნათლად მთამაცა...“

პოემის „რამდენიმე სურათი...“ შესავალშიც – არა მთებს,  
არამედ მთების ჩრდილს ვხედავთ:

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი  
მწუხრის ზეწარი გადაეფარა  
და მთვარის შუქზე მთებისა ჩრდილი  
ალაზნის ველზედ წამოიხარა.“

არსებითად იმავე ჩრდილზეა ლაპარაკი ლექსში „ქართვლის დედას“:

„გააქრა ის ღროცა!.. დიდმა ნალექლმა,  
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა  
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,  
თვით შენი შეილიც ჩრდილად შესცვალა.“

ლექსში „სიზმარი“ ილია თავად განგვიმარტავს, რომ რეალობასა და ჩრდილს შორის დიდი ზღვარია. იგი წერს:

„განა ყვაეილის  
ჩრდილი თვით ყვაეილს  
რითმე ედრების?“

მაგრამ აქაც მხოლოდ ყვაეილზე არ არის საუბარი. ამ „ჩრდილებისაგან“ თავის დაღწევა, მათი კვლავ რეალობად ქცევა შეიძლება ერთი გზით – შეეწყვიტოთ უნდა ჩივილი იმაზე, რაც დამარხულა და დაკარგულა და შეეხედოთ მომავალს. წარსულის დაეიწყება ცუდია. მაგრამ წარსულით ცხოვრებაც არ შეიძლება. საჭიროა, რომ ობიექტურად იქნას შეფასებული აწმყო და მასზე დაშენდეს მომავალი. სიმართლეს თვალებში უნდა შეხედო, აღიარო, რომ არა ხარ აწმყომი ის, რაც ოდესმე ყოფილხარ. ასე უფრო შესძლებ კვლავ მოპოვებას იმ სიმაღლეებისას. ჩვენი წარსული სიღრმედ სარწმუნოებაზე იყო დაფუძნებული და მომავლის შენებაც მისი აღორძინებით უნდა იქნას დაწყებული. ლექსში „ქართვლის დედას“ ვკითხულობთ:

„აღზარდე შეილი, მიეც ძალა სულს,  
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას...“

არსებითად იგივე აზრია გატარებული „აჩრდილშიც“.

მომავლის ბედს წარსული ვერ განსაზღვრავს, იგი აწმყომ უნდა

გადაწყვიტოს. „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ შესავალში ბრმა მეფანტურე ახალგაზრდებს მიმართავს:

„რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ.  
რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით...  
ღმერთი გვიხსნის, თუ შეილთ მაინც  
გზად და ხიდად გავედებით.“

ილიას თხზულებებში მთის სახის მხატვრულ დატივრთვას კარგად შენიშნავს ვახტანგ კოტეტიშვილი: „ეს მთები უბრალო გეოგრაფიული ნიშანი კი არ არის, არამედ მისი (პოეტის) პატრიოტული განცდების შესაკრები პუნქტია, საქართველოს ერთგვარი სიმბოლო“, წერს იგი<sup>1</sup>. „აჩრდილის ადრეულ ვარიანტში საინტერესოდ იყო ამ მთებთან დაპირისპირებული „ველის“ მხატვრული სახე. საქართველოს, რომელსაც აწმყოში რეალურად დაკარგული ჰქონდა სიმაღლე მთისა, პოეტი დაჟინებით „ველს“ უწოდებს:

„ველო, შენს თავზედ იყო მრავალი  
ქუხილი, ტეხა, ბედისა გმობა...“

„ველო, გქონია შენც დრო კეთილი...“

„მშვენიერ ველო! შენზედ გაზდილ ხალხს  
სად წაულია, სად დაუმარხავს  
იგი სიკეთე, იგი დიდება...“

პოემის იმავე რედაქციაში ამ მიმართვას ენაცვლება სიტყვები: „ტკიბილო ქვეყანავ“ ბოლო რედაქციაში კი მიმართვა უფრო კონკრეტიზირებულია: „საქართველოვ“, „ქართელის სამკვიდროვ“ და „ქართლო“.

საყურადღებოა, რომ „აჩრდილის“ ადრეულ რედაქციაში „მთისა“ და „ველის“ სახეებს უპირისპირდება „კლდისა“ და „ხვეის“ ალევორიებიც. ნაწარმოებში „ველზე“ მცხოვრები ადამიანების შესახებ ვკითხულობთ:

„ეხედავ, მიადგნენ საშინელ კლდესა  
წინა შედგა და შთახედა ხვესა,  
და, რა იხილა საშინელება,  
ისურვა მსწრაფლვე გამობრუნება,  
მაგრამ უკანამ შურით ხელი ჰკრა  
და წინა კაცი თვალთავან გაქრა...“

ძმის დამღუპველსაც იგივე ბედი ეწია, მაგრამ ამჯერად სხვისგან:

„შურმა აღუნთო ამასაც გული  
და როგორც ლომი, დამშიებული,  
თავის ძმას უცა და ორნივე ერთად  
მაგრად ჩაკრულნი იმ საშინელ ხვეს  
შურისა გამო მიეცნენ სხვერპლათ!...“

იმ ალევორიის შინაარსი, რაც „აჩრდილის“ ამ ვარიანტში ჰქონდა მწერალს,

1. ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX ს. თბ. 1959, გვ.354

მოგვიანებით პირდაპირ გამოთქვა ლექსში „რა ვაკეთეთ, რას ეშვებოდით...“ და ერთ პუბლიცისტურ წერილშიც: „თუ ოდესმე ან გული შეგვივარდება რაზედმე, ან ხელს გავანძრევთ როგორმე, ეგეც იმისთვის მოხდება ხოლმე, რომ ჩვენს მოძმეს გზა გადაუღობოთ, ორმო გავუთხაროთ და კლდეზე გადაეჩეხოთ ხოლმე... უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუნშიაც არ მოგვლის! ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან და შიგ გადაჭირებებით დედაბუდიანად... ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და უღონოდა ვბზუთ „მე ვარ და ჩემი ნაბადიო...“ და ამ ბზუილიდან არა გამოდის რა...“ ეს განსაცდელი, ეს კლდე, ხევი და თხრილი ამოებათა სიღრმეა, ცოდვის უფსკრულია, სულიერი დაცემაა. მისი სიახლოვე გაუღებების სახით ასევე ჩანს ლექსში „მწუხარება“:

„ესე უწყალოდ, გაწირული და დაშთომილი

ვეგვე მარტოკა უცხო ცისქვეშ დიდ კლდისა პირსა...“

თითოეული ამ მხატვრული სახის ურთიერთშეჯერებით მკაფიოდ იკვეთება ის აზრი, რომ ამ საშიშროების, ამ განსაცდელის წინაშე მდგომმა რაღაც უნდა იზრუნოს, რომ საფრთხეს გადაურჩეს. პირველ რიგში კი, ალბათ, უნდა გააცნობიეროს თვით საშიშროება, რომელიც ყველაზე მძაფრად ასახულია ლექსში „სიზმარი“ „ბნელი უფსკრულის“ სახით. სულიერი განწმენდის თითოეული ნაბიჯი ამ უფსკრულისაგან მოშორების მცდელობაა და ვინც ამ გზას ადგას, უფალი შეეწევა მას, როგორც წმინდა სამებისადმი აღსაყენ დილის ლოცვებში წერია: „უფსკრულსა შინა სასოწარკვეთილებისასა მდებარეთ“ აღგვაღგენს „აღმსობად და დიდებისმეტყველებად“ ძალსა თვისსა.

ესლა დაუბრუნდეთ „მგზავრის წერილებს“ და გავიხსენოთ, რამ მოიტანა მოთხრობაში „მეინვარზე საუბარი და რა უსწრებდა მას წინ. რუსეთიდან სამშობლოსაკენ მომავალი პოეტი გზაში ხედავს უცხო მიწაზე „ნათრევ ლოს“ და მსგავსებულ თერგს და აღებერება ფიქრები მის მიერ ასევე უცხოეთში გატარებული ოთხი წელიწადის შესახებ – როგორი გახდა ის თავად „უცხო ნიადაგზედ გადარგული“, ხომ არ დაავიწყდა მშობლის ენა და გასაჭირი; რა გამოვა მისგან – „ბრწყინვალე მტყეანი“ თუ „ძალეყრძენა“? შესძლებს იგი თავისი უპირველესი ადამიანური ვალის – მამულის სამსახურის პირნათლად აღსრულებას? შესძლებს, რომ გულნატკენი, მტირალი, მგლოვიარე, დავრდომილი, უნუგეშო მისი ქვეყანა ფეხზე წამოაყენოს? ამ განცდებშია პოეტი და თან ემინია, რომ ეს ამაღლებული ფიქრები მარტო ფიქრებად არ დარჩეს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, და თავის თავს უსვამს კითხვას – ფიქრი კი, მაგრამ ჩემმა ქვეყანამ საქმე რომ მომთხოვოს, რეალურად რა უნდა ვქნაო. ამ ეპიზოდს ცვლის შეხვედრა რუს ოფიცერთან, რომელიც მოთხრობლის თვალწინ დახატავს საქართველოს მომავლის მისეულ გეგმას. ასე შეეჯახება ერთმანეთს პოეტის ფიქრები სამშობლოს გულისტკივილის დაამებასა და ფეხზე წამოყენებაზე რეალურად მისალოდნელი მომავლის ამაზრზუნ სურათს. ამის შემდეგ მწერალი ამოდის სტეფანწმინდას. იქ მის



თვალწინ გადაიშლება საქართველოს მშვენიერი სანახაობა – მყინვარი და თერგი. ეს იწვევს მასში ასოციაციას საქართველოს წარსულის აჩრდილთან და მის აწმყოსთან.

მყინვარისაგან განსხვავებით, რომელიც მაღალი, დიდებული, მაგრამ უმოქმედო, ფუნქციონირებადია, თერგი სახეა „ადამიანის გაღვიძების ცხოვრებისა“, „იმის მღვრიე წყალში სწავის მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა“ ნაცარიანი წყალი თავიდან სამინლად მღვრიეა, მისი ნახარში – ნაცარტუტა კი თავადაც წმინდა და გამჭვირვალეა და სარეცხსაც ათეთრებს. ასევე მღვრიე თერგიც შეიძლება ნაცარტუტასავით გამწმენდელად იქცეს, ამით არის ამაღლებელი და ღირსსაცნობი. თერგსაც ცალმხრივად. იდეალიზირებულად არ აღგვიწერს ავტორი. ჯერ გვეუბნება – ორპირი ყოფილა. „დეკვირული ხმა ჩასწყვეტია“, „დამღოვრებულა“, „მიმკვდარა“, თითქო ან „როზგაქვემ არის გატარებული, ან დიდი ჩინი მიუღიაო“, „საცა მისულა, იქაური ქუდი დაუხურავსო“, მაგრამ მწერალს თერგი ურჩევნია მყინვარს და ამის მიზეზი აი, რა არის – „ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდან დადებულა, ყოველი შენობა ძირიდან ამაღლებულა. მაღლიდან კი შენობა არსად არ დაწყებულა.“ ამიტომ ამბობს: მე, „როგორც ქვეყნის შეიღს, თერგის სახე უფრო მშონს, უფრო მიყვარსო“. იგი ერთგვარად განგვიმარტავს – როგორც ქვეყნის შეიღსო, ქვეყნის დანგრეული შენობის განახლებისათვის ასე სჯობიაო, იმიტომ, რომ ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედის განახლება, მისი დაშენება ილუზორულ მყინვარზე შეუძლებელია. სხვა საქმე იქნებოდა, იგი რომ რეალურადაც ისეთი ყოფილიყო, როგორც გარეგნულად ჩანდა. კარგია მყინვარის სიმალე. მაგრამ წარსულზე, აწმყოს გარეშე, მომავალს პირდაპირ ვერ დააშენებ. დღევანდელი მყინვარი კი სიმალის მხოლოდ გარეგანი სახეა, შინაგანად დაფუყული, გულგამოცილი. წარსულსა და აწმყოს შუა ხიდი ჩატეხილია. ამიტომ ცდილობს პოეტი ჯერ ამ ხიდს აუშენოს ქვაკუთხედი, როგორც თავად ამბობს ერთ პუბლიცისტურ წერილში, „ქვაკუთხედი იმ ხიდს, რომელიც დროთა გარემოებამ ჩატეხა წარსულსა ადა აწმყოს შუა, რომლის ხელახლად გადებას შეუდგა დღევანდელი დღე.“ ამ მიზნით პოეტი ირჩევს არა „სელაშეწყვეტილ“ „დადუმებულ“ მყინვარს, არამედ თერგს მთელი თავისი ვაითა და ვაგლახით, რადგან ის არის აწმყოს ერთადერთი ცოცხალი ძარღვი.

მყინვარი შედგა და ღვთისადმი აღვლენილი ღოცვა ქარის ქშეილმა და ნადირის ღმუილმა შეცვალა. თერგი კი მიმდინარეა და თავისი „სამინელი ხმაურობა“ „ბაყაყების ყიყინზე“ ჯერ არ შესცვლია.

აი, ამიტომ ილიამ ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედის განსახლებლად აირჩია არა ზესწრაფვაშეწყვეტილი, შინაგანად დადაბლებული მყინვარი, არამედ თავისი „გაღვიძებულობით ამაღლებული თერგი, მაგრამ არა იმიტომ, რომ მეორე ჯობდა პირველს, არამედ იმიტომ, რომ რეალურად ხელმისაწვდომი იყო. არის თუ არა რაიმე კავშირში ამ მხატვრულ სახეთა ჩანაფიქრი პოემა

„განდევილის“ დედააზრთან? ჩვენი ფიქრით – არის. ბერს ისეთივე სიწმინდისათვის აქონდა მიღწეული, როგორც ოდესღაც საქართველოს – მისი ლოცვა ღმერთთან მიდიოდა და მაღლი ეძლეოდა მისგან. მაშინ მყინვარი მიუკარებელი არ იყო:

„ღღუღადამ სულთქმა და ღაღადება  
მოპყენია კლდეს ყინულისასა,  
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,  
ვითა ღელესა მას გლოვისასა.“

მაგრამ ამქვეყნიურმა ცდუნებამ, სულიერი სიფხიზლის მოდუნებამ, ანუ სულიერმა მიძინებამ, რომელსაც ილია ასე ხშირად ასხენებს, ბერიც დასცა, როგორც საქართველო. სულიერი თვალი რომ ღვთისმშპვრეტელობას მოსწყდა და ხორციელი თვალი ქვეყნიერმა დაატყვევა, სწორედ მაშინ დაიძრა მყინვარიდან ეშაპის მსგავსი ღრუბელი.

„მგზავრის წერილებისეული“ მთხრობელისაგან განსხვავებით პოემა განდევილის მთავარმა გმირმა თავისი და ერის დანგრეული სულიერების განახლება, დაცემის შემდეგ წამოდგომა, ისევ მყინვარის სიმაღლეზე მოინდომა, კვლავ სასწაულებრივი ნიში მოითხოვა, რომელიც მას, წმინდა ცხოვრების საზღაურად ეძლეოდა და არა დაცემის. ამიტომ ვეღარ მიადწია მისმა ლოცვამ ღმერთამდე და ლოცვანი ძირს დაეარდა. ისიც დაიღუპა და წმინდა ლოცვაც, ქვეყნის ხსენისათვის აღელვნილი, შეწყდა. ქართველი ხალხიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სულიერი დაცემის შემდეგ ზედმეტად მისტიროდა წარსულს იმ გაგებით, რომ პირდაპირ უნდოდა მისი დაბრუნება. იმაზე კი არ ფიქრობდა, რომ იმ წმინდა და ამაღლებული ცხოვრებით წმინდა და ამაღლებული ხალხი ცხოვრობდა და იმ წარსული ყოფის დასაბრუნებლად ვერ დაკარგული ზნეობრივი და სულიერი სიმაღლის მოპოება იყო საჭირო. უამისოდ წარსულის დაბრუნება შეუძლებელი იყო. წარსული თავისი სიდიადით ვერ მობრუნდებოდა, რადგან აწმყოსა და მას შორის ხიდი იყო ჩატეხილი და სულიერი მემკვიდრეობითობა დარღვეული იყო. აქედან გამოსავალ ერთადერთ გზად მწერალს ესახებოდა რეალობის ობიექტურად შეფასება. თუ აწმყო ამას გააკეთებდა, იგი შესძლებდა ზიადად გადებულიყო წარსულსა და მომავალს შორის.

თერგისა და მყინვარის შედარებისას ილია თერგის სახეს ბაირონთან აკავშირებს იმის გამო, რომ ამ სახეში მუდმივ სწრაფვას ხელავს. ხშირად კრიტიკოსები ილიას მიერ შექმნილ ამ სახეს აქტიური ფიზიკური მოღვაწეობის სიმბოლოდ მიიჩნევენ, მყინვარს კი – პასიური ცხოვრების, ქვეყნისაგან განდგომის, მისი მოპულების სახედ, როგორც არის მათი აზრით განდევილობა. ამ საკითხის გასარკვევად გავიხსენოთ ილიას კიდევ ერთი პუბლიცისტური წერილი, რომელიც მან სამოციანი წლების დასაწყისში დაწერა. სწორედ მაშინ, როდესაც დაიწყო „მგზავრის წერილებზე“ მუშაობა. ამ სტატიაში – „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვიდგან

„შემლილის“ თარგმნაზედა“ მწერალი ერთმანეთს ადარებს კაზლოვის „Чернец“-ის და ბაირონისეული „მანფრედის“ მხატვრულ გმირებს. იგი კიცხავს კაზლოვს ხელოვნურობისათვის და ხოტბას ასხამს ბაირონს – იმ ბაირონს, რომელიც მან შემდეგ თერგს შეადარა. ამდენად ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ეს ეპიზოდი: „ბაირონის გმირები კაზლოვის ბერისავით არ კნავიან და ჩივიან, რათა ნუგეში სცეს ვინმემ. ისინი ისეთ აგებულებისანი არიან, რომ თავის ტანჯვების წყაში, ეჭვის ღრღუნაში, თავის სულის წყურვილში ჰხედვენ უკედეგების ღირსს ცხოვრებასა. ისინი არ შეეკედლებიან მონასტრის კედლებსა მოსასვენებლად, იმათ სულ მოძრაობა უნდათ. ისინი არ მირბიან გულის გაუთავებელ წყულულთა მოსარჩენად კაცთან, არამედ თავიანთთავე გულის სიღრმეში და სულის უკედეგებაში ეძებენ სასოწარკვეთილების წამალსა.“

ბაირონის სხვა გმირებსაც ახასიათებს აქტიურობა, ძიება და თვითწარმატება, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, აქ ლაპარაკია უპირველეს ყოვლისა „მანფრედზე“, რომლის გავლენასაც განიცდიდა ილიას აზრით კაზლოვი თავისი „Чернец“-ის შექმნისას. თვით ილიას დაინტერესებას ბაირონის ამ პიესით ისიც მოწმობს, რომ მისი ერთი ეპიზოდი თავად უთარგმნია<sup>1</sup>. საინტერესოა, რომ ბაირონის ამ პიესაში სულ ორი გმირის სახე იკვეთება და არცერთი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას არ ეწევა. ისინი უფრო სულიერად იღწვიან, სულიერ ძიებაში არიან. თხზულების მთავარი გმირი განმარტოებულად ცხოვრობს. იგი იღუპება და ამის მიზეზი ნაწარმოებში ახსნილია პიესის მეორე გმირის – აბატის, ანუ მამათა მონასტრის წინამძღვრის მიერ:

„ადამიანებს, შენს მოძმეებს სულით და ხორციით;  
მე ვიცი, რომ შენ ერიდები და მთელს ცხოვრებას  
მარტოობაში რომ ატარებ, მაგრამ განდგომა  
მაჩვენებელი სიწმინდისა არ არის მუღამ...“

ესე იგი, განდგომა საერთოდ სიწმინდის მაჩვენებელია, მაგრამ არა მუღამ. მანფრედი ბნელ ძალებთან დაიჭერს კავშირს და იღუპება. როგორც იგივე აბატი ამბობს:

„შეიძლებოდა გამხდარიყო ამაღლებული  
ქმნილება იგი, და იმაში თავმოყრილ ძალებს  
სახე შეეძლოთ წარმოეშვათ ღიღებით საესე,  
რომ წარმართულნი ყოფილიყვნენ გონივრულ გზითა.  
ახლა კი მასში საშინელი ქაოსი მეფობს...“

როგორც ვხედავთ, პიესის არცერთი გმირი აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას არ ეწევა, პირიქით – განრიდებულა ადამიანებს. ამდენად ილია მათ კაზლოვის ბერთან მოძრაობა-უძრაობის ნიშნით ვერ დააპირისპირებდა. ილიას მოსწონს

1. ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა აკად. გამოცემა, ტ.3, 1988, გვ. 65

ბაირონისეული გამოშასველობითი ცხოველმყოფელობა გმირებისა. იგი ასახავს ცხოვრებას, როგორც ის არის. რაც შეეხება კაზლოვის ნაწარმოებს, იგი ვერ ახერხებს ასე ცოცხლად და დამაჯერებლად დაგვიხატოს თავისი გმირი. თუ ბერია და განდგეილ ცხოვრებას ეწევა, რაღას უჩივის ბელს და ითხოვს მაინცადამაინც ადამიანურ ნუგეშს? ამ ბერის სახეში არ ჩანს ის მუდმივი წვა. სულის წყურვილი და მოძრაობა, რაც ბერს უნდა ჰქონდეს და ამიტომ იწუნებს მას ილია.

ამდენად, მყინვართან თერგის შედარებისას მწერალს თერგში მხოლოდ ფიზიკური აქტივობა კი არა აქვს განსახიერებელი, არამედ სულიერი ზესწრაფეაც. მოძრაობა მარტო გარეგანი ფუსფუსი არ არის. ადამიანის შიგნით ზოგჯერ ბევრად უფრო დიდი ბრძოლები და ძვრები ხდება, ვიდრე ეს ფიზიკურად შეიძლება გამოიხატოს. ამის ასახვას რომ ახერხებს დამაჯერებლად, სწორედ ის მოსწონს ილიას ბაირონში.

რაც შეეხება გოეთესთან მყინვარის სახის შედარებას. გამოთქმულია აზრი, რომ გოეთე იყო „მებრძოლი და განამთავისუფლებელი ზნეობრივ, სულიერ სფეროში და არა სახელმწიფოებრივისა და სამოქალაქოში“ და შეიძლება ამიტომ შეედარებინა ილიას იგი მყინვართან. რაიმე საბუთი იმისა, რომ ილია ასე აღიქვამდა დიდი გერმანელი მწერლის პიროვნებას, ჩვენ ხელთ არა გვაქვს. ილიას იგი თავის პუბლიცისტურ ნაწერებში არაერთგზის ყავს მოხსენიებული და ყველგან დიდი პატივისცემით. იგი მას „დედ გოეტეს“ უწოდებს<sup>1</sup>.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა მსჯელობამ სტატიიდან „პასუხი“ ილია წერს: „როცა ცრუკლასიკური მიმართულება ეცემოდა ევროპიაში და იბადებოდა ნელ-ნელა რომანტიკული მიმართულება... როცა გამოჰსწინდა გეტე თავის „ვერტერი“... მაშინ ევროპას პირველად ეცა დამატკობელი სხივი პოეზიისა; მაშინ ცრუკლასიკურ მიმართულებით დათრგუნეილი მწერალნი მივარდნენ მშვიერსავით ახალშობილს პოეზიის მიმართულებას, მაგრამ პირველად ვერ იცნეს ვერც გეტეს „ვერტერი“, ვერც „ელოიზა“ ჟან-ჟაკ რუსოსი... მათში სენტიმენტალური სული მოესმათ, ვე სული მამულთა მისთა განავითარეს და დაჰბადეს სენტიმენტალური სხოლა...“ ამ მიმდინარეობის შესახებ კი ილია ამბობს, რომ იგი არავის არ სჭირდება.

ამდენად, გოეთეს ღირსება სწორად ვერ შეიცნეს მისმა თანამედროვეებმა – იგი მიუწვდომელი იყო მათთვის. შესაძლოა, რომ სწორედ საკუთარი სიდიდით, მაგრამ მიუწვდომლობით ადარებდეს ილია მყინვარს გოეთესთან. სხვაგვარად ამას ვერ აეხსნით, რადგან ფაქტია, რომ ილია ყველგან აქებს გოეთეს. გაეიხსენოთ ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი წერილი, სადაც განხილულია „სანდალას“ წიგნი. მასში თურმე შეუფერებლად არის ნახსენები

1. ლადო მინაშვილი, „ილია ჭავჭავაძე, გვ.221

2. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ხუთ ტომად, 5 ტ. გვ.54

შილერი. ილია წერს: „როცა გერმანიას თავის მოწონება უნდა, პირველი, ვისაც თავის სასახელოდ ასახელებს ზოლმე, გეტე და შილლერია და ეს მართლა სახელოვანი მწერალი სანდალამ უნდა უარყო! აფსუს შილლერის სახელო!“<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, საუბარი ეხება შილერს, მაგრამ ილიას არ დაეწყვებია მის წინ გოეთეს სახელის დაყენება და თუ იგი ასე აფასებს შილერს, ჩანს, რომ გოეთე კიდევ უფრო დასაფასებლად მიაჩნია. ამგვარი დამოკიდებულებიდან გამომდინარე წარმოდგენილია, რომ მას გოეთე ზოგადად უარყოფითად დაეხატა ეს ხომ სანდალას შეცდომის მსგავსი საქციელი იქნებოდა.

განხილული ფაქტები კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ „მგზავრის წერილებისეულ“ მყინვარის სახეში ილიას არა აქვს ნაგულისხმევი ისეთი რამ, რასაც საერთოდ მიუღებლად მიიჩნევს და არ აფასებს. ეს არის ის სახე, რომელიც აწმყოს არ არგია იმით, რომ მისი სიმაღლე მიუწვდომელია დღევანდელიობისათვის. მყინვარის სახე მოთხრობაში დაგმობილი კი არ არის, არამედ უარყოფილია მომავლისათვის საძირკვლის განსაახლებლად. მყინვარი დიდებულია, მაგრამ მისი სიმაღლეების დაყრობა მომავლის საქმა.

როგორც ვხედავთ, გეოგრაფიული ლანდშაფტის სახეები ილიას შემოქმედებაში ხშირად სულიერ და ზნეობრივ სიმაღლეებს უკავშირდება. ამ მხრივ საინტერესოა ერთ წერილში წარსულისა და მომავლის შემაკვეშირებლად „ქედის“ დასახელება. ეს ქედი ქვეყნის აწმყოს განსახიერებს. მის შესახებ ვკითხულობთ: „როცა დროთა ბრუნვამ ძველსა და ახალს შუა ამართულს ქედზედ დაგვაყენა, საიღამაც წარსულსაც გადაყურებთ და მომავალსაც, ჩვენ გული აღარ გვიცემს არც მისთვის, რომ წარსულს გაეტიროდეთ, და არც მისთვის, რომ მომავალს შეეხაროდეთ.“<sup>1</sup>

მთის იგაუერი სახე მრავალგან არის გამოყენებული წმინდა წერილშიც. ილიას ალეგორიებიც რომ ამ წყაროდან იღებს სათავეს, ამას მოწმობს ერთი ასეთი ციტატაც ილიას პუბლიცისტიკიდან: „მარტო გულწმინდად მიცემული ნუგეში და მარტო გულწმინდად გზად და ზიდად გადაებული სიყვარულია იგი უზენაესი მაღლი, რომელიც კაცს აღიყვანს „მაღალსა მას მთასა წმიდასა, სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას.“<sup>2</sup> წმ. დავითის 23-ე ფსალმუნში ვკითხულობთ: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? უბრალოი ხელითა და წმიდაი გულითა, რომელმან არა აიღო ამაოებასა ზედა სული თვისი და არცა ეფუცა ზაკით მოყვასსა თვისა.“

როგორც ვხედავთ თითოეულ სიტყვაში ბევრად უფრო ღრმა აზრი დევს, ვიდრე ეს მისი ლექსიკურ-სემანტიკური მნიშვნელობით არის განსაზღვრული. იგაუერი შინაარსის მქონე სახეთა აუხსნელობას მიეყვარათ თხზულების შემოქმედებითი ჩანაფიქრის არასწორ აღქმმდეც კი.

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ათ ტომად, ტ.5. გვ.205

2. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა აკად. გამოც. ტ.5. გვ.104.

„განდევლის“ ანალიზისას ლიტერატურათმცოდნეები ხშირად იშველიებენ ხოლმე ფსიქოლოგთა, ფილოსოფოსთა, ეთიკოსთა, ესთეტიკოსთა, ქრისტოლოგთა და სხვათა და სხვათა აზრებს, მაშინ, როდესაც პირველ რიგში გასაკეთებელია ის, რაც მათ მიერ უნდა გაკეთებულიყო – თხზულების სტილისტური ანალიზი. მეცნიერების სხვა დარგებიდან კი არ უნდა იღებდეს ლიტერატურის სპეციალისტი რეკომენდაციებს ტექსტის ანალიზისათვის, არამედ ჯერ თავად უნდა იკვლევდეს მას, რადგან მხატვრულ სახეთა ახსნამდე იმ მეცნიერთა მიერ მოწოდებული რჩევები არასწორი იქნება. თუ კრიტიკოსმა ნაწარმოების ყველა მხატვრული სახე სისხვედრით არ ამოიკითხა და ისე მიაწოდა თხზულება განსასჯელად მაგალითად ფსიქოლოგებს, რა თქმა უნდა, მათაც შეცდომაში შეიყვანს, ისე, როგორც ხშირად მომხდარა ხოლმე. არასასურველ შედეგს მოგვცემს ასეთი რამ ისტორიკოსებისთვისაც, რომლებიც მწერლის პიროვნებას არასწორად ინტერპრეტირებულ მის ნაწარმოებებზე დაყრდნობით წარმოაჩენენ.

როგორც განდევლის მხატვრულ სახეებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, მწერალს სიმაღლე და სისხეტაკე კი არ მოსწყინდა და იმიტომ კი არ თქვა, განზე გამდგარ მყინვარს „გრივი“, „გადარეული“ თერგი მირჩვენიაო. იგი აქაც იმავე აზრს გამოთქვამს, რასაც შთააგონებდა წარსულით მოტრაბახე ლუარსაბს: „ერთი მაქვს სჯობს ათას მქონდასო“. იმავე აზრს იღია პუბლიცისტურ წერილში „ქვათა ღაღადიც“ გამოთქვამს<sup>1</sup>. თერგი არის ის, რაც საქართველოს აქვს, მყინვარი კი რეალურად, არა ჩრდილადქცეული, არა განსზე გამდგარი და მდუმარე სახით, არის ის, რაც მას ჰქონდა. ამრიგად პოეტი უარყოფს არა მყინვარს, არამედ მის ბუტაფორიას.

რაც უფრო მალეიდან ეცემა ადამიანი თუ მთელი ერი, მით უფრო დიდია ნგრევა და ნგრევის ტკივილები. იმიტომ თავისთავად სპეტაკი და ამაღლებული ჩვენი წარსული შეიძლება მყინვარივით დამანგრეველად გვექცეს, თუ მას რეალობად მივიჩნევთ და მასზე დავიწყებთ მომავლის საძირკვლის ხელახალ შენებას. მის „ფრთეთა ზეაი“ რისხვით გვემუქრება, რადგან ის არის სამხილი, მაჩვენებელი იმისა, რანი ვიყავით და რანი ვართ. „ესე უფროისად დასაშველ არს, უკუეთუ მამაი გუესუას წმიდაი, ანუ ძეი, ანუ მამაი, და ჩუენ უკუთურნი ვიყუნეთ“, კეთიხულობთ იოანეს სასარების იოანე ოქროპირისეულ განმარტებაში (გვ.148)

პოემაში „აჩრდილი“ მწერალი ამ დაქინებული მდგომარეობიდან გამოსავალზეც მიგვანიშნებს. გაუქმებული ტაძარივით სულიერად დაცლილ საქართველოს თანამდევნი უკედავი სული შთააგონებს, ვიდრე ქართველები საზოგადო ცხოვრების ავ-კარგში არ გაერკვევიან, ზნეობრივად და სულიერად არ განიწმინდებიან და გონების თვალთ რეალურად არ შეაფასებენ ვითარებას, მანამდე ისინი არც კი ირწმუნებენ შენს აღდგენასო. იმ ძალად, რომელსაც

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ათ ტომად, ტ.5, გვ.62

შეუძლია ქვეყნის ხელახალი აღორძინება, დასახელებულია „მცნების ნათელი“. იგივე — „ქრისტესა მცნება“, არის მიჩნეული მომავლის აღზრდის აუცილებელ პირობად ასევე ლექსში „ქართულის დედას“. არ გვეჩვენება სწორად მოსაზრება, თითქოს „არღილში“ ილია მამულისათვის თაღდადებულ გმირს დაეძებდეს, „განდეგილში“ კი — ამას ცვლიდეს „რწმენის რაინდის“ მოთხოვნით! „არღილშიც“ „რწმენის ნათლით ამაღლებულ“ გმირზეა ლაპარაკი და ამდენად ისიც ასევე რწმენის რაინდია.

## „ღვთისმშობლის წილხველილ ქვეყანაში“

„განდეგილთან“ დაკავშირებით ცალკე გვინდა ვისაუბროთ უკანასკნელ ჟამს ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში წრმოჩენილი ერთი თვალსაზრისის შესახებ. იგი შეეხება „ღვთისმშობლის ხატის მხატვრულ ფუნქციას“ ამ პოემაში. ხსენებული თვალსაზრისის მიხედვით მაცხოვრის და ღვთისმშობლის სახეებში „სქესობრივი სხვაობა მიწიერიდან გატანილ იქნა იმქვეყნიურში. მიმართება ცალკ-ცალკე ერთისა და მეორისადმი განისაზღვრებოდა სქესობრივი განსხვავებულობის შვევებით. ქრისტე იყო ცენტრალური პირი რელიგიური კულტისა ქალებისათვის, მარიამი კი მამაკაცებისათვის.“ ანუ ღვთისმშობლის „კულტს მამაკაცი ასკეტებისათვის ქონდა მიწიერი ხასიათი.“<sup>2</sup>

ამ თვალსაზრისზე დაყრდნობით იმ ეპიზოდებს, სადაც პოემა „განდეგილში“ ღვთისმშობელი ან ღვთისმშობლის ხატია ნახსენები, შესაბამისი ფსიქოლოგიური საფუძველი და მხატვრული ფუნქცია აქვს. ჩვენი აზრით, მთელი ეს თეორია სრულიად მიუღებელია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი ფსიქოლოგიური საფუძველი ძალიან შორს არის ილიასეული მსოფლმხედველობისაგან. მეორეც იმიტომ, რომ ღვთისმშობლის ხატის ამგვარ ფუნქციაზე ნაწარმოებში ერთი მცირე დეტალიც კი არ მიგვანიშნებს. ცოდვით დაცემულ ბერს შეიძლება უკადრისი რამ მოეჩვენოს, ან შეუფერებელი რამ გაიფიქროს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ჩვეულებრივი და ნორმალური მოვლენაა. მით უფრო, რომ ღვთისმშობლის ხატზე ქალის სახის დანახვამ ეს ცოდვილი ბერიც კი შეაძრწუნა. ასეთი ტექსტობრივი მონაცემების გამო არავითარი საფუძველი არა გვაქვს მსგავსი მოსაზრების დასაშვებად, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ პოემის ავტორი სპეტაკი სულის მქონე მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო და ამგვარ რამეს გონებაში არ გაიტარებდა.

ღვთისმშობელი დედა არის კიბე აღამიანთა ზეკასთან ღამაკავშირებული. მისი გზით განსორციელდა ძე ღვთისა, რომელმაც იხსნა ადამის მოდგმა სულიერი სიკვდილისაგან. იგი არა მარტო აღამიანებზე, თვით ანგელოზებზე აღმატებულია — ყოვლადწმინდაა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის,

1. ფირუზ ბეტრველი, განდეგილის პრობლემატიკა, ჟურნ „რელიგია“. 1993 წ. №2
2. ლადო მინაშვილი, ილია ჭავჭავაძე, გვ. 346

რომ მწერალს ბერის სულიერი მარცხი ღვთისმშობლის ხატზე მწყემსი ქალის სახის ხილვით ეჩვენებინა იმის ნიშნად, რომ მან სიწმინდე ცოდვაზე, ზეციური მიწიერზე, მარადიული წუთიერზე გაკვალა.

მეორეს მხრივ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პოემის მოქმედება არ არის სიერტეში განხორციელებული. ბერი საქართველოში, მყინვარზე გამოკვეთილ მონასტერშია და ამ ღვთისმშობლის ხატს ქვეყნის გადარჩენას ევედრება. საქართველო ღვთისმშობლის წილხედომილი ქვეყანაა. მაცხოვრის ადღვომიდან ორმოცდამათე დღეს, სულიწმინდის გარდამოსვლის ფაშს მოციქულებს წილად ხედათ საქადაგებლად სხვადასხვა ქვეყნებში წასვლა. ღვთისმშობელს სხვა ქვეყნებთან ერთად შეხვდა საქართველო. მაგრამ, რადგან აქ წამოსვლამდე წმინდა მარიამს ეუწყა, რომ მალე მიიძინებდა, საქართველოში ქრისტიანობის ქადაგება მოციქულებმა აღასრულეს. ჩვენი წელთაღიგსების პირველ საუკუნეში ისინი სწორედ ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატიით ჩამობრძანდნენ საქართველოში (აწყურის ხატი) და იქადაგეს ქრისტიანობა. მოგვიანებით ღვთისმშობელი მფარველობდა მოციქულთა სწორ წმინდა ნინოსაც. აი, რას წერს ამის შესახებ ილია 1888 წლის „ივერიის“ მეცხრე ნომერში: „ამ ჩვენს ღვთისმშობლის წილად-ხედომილს ქვეყანას ღვთისმშობლისავე ლოცვით და კურთხევით მოველინა ზეგარდმო შთაგონებული წმინდა ქალწული, გადმოლასა თავისი უძღურის ფეხითა მთანი და კლდენი... პირქვე დაამხო სალოცავნი კერპთმსახურებისანი და მათს ადგილას აღმართა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი პატიოსანი.“

ღვთისმშობელი განსაკუთრებული მეოხია ბერ-მონაზონთა. მისდამი აღსავლენ ერთ-ერთ დაუჯდომელში კვითხულობთ: „ზღუდე ხარ მონაზონთა წესისა ღვთისმშობელო“. „ქართველი მართლმადიდებლები – მამაკაცებიც და დედაკაცებიც ყოველთვის გრძნობდნენ და გრძნობენ ყოველდღე წმინდა ღვთისმშობლის მფარველობას, მიიჩნევდნენ მას უდიდეს მეოხად ღვთის წინაშე და მისდამი განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდათ. სწორედ ამგვარი დამოკიდებულება ჩანს ღვთისმშობლისადმი „აჩრდილშიც“, სადაც საქართველოს თანამდევნი უკვდავი სული ღვთისმშობელს ასე ევედრება:

„დედაე ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი მხვედრია...“

შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა...“

ამიტომ ჭიკა-ჭუხილის ატეხის შემდეგ სენაკში შებრუნებული განდევნილი ბერის შეხახებ რომ კვითხულობთ:

„ცრემლით აღტობდა ღვთისმშობლის ხატსა“

და ხელაღპყრობით ევედრებოდა

წაწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა“,

პირველ რიგში ის უნდა გაეიხსენოთ, რომ მოქმედება ხდება საქართველოში. რომელიც ღვთისმშობლის წილხედომილი ქვეყანაა და „ქვეყნის ხსნაში“ ბერი პირველ ყოვლისა ალბათ მის ხსნას შევედრებოდა ღვთისმშობელს.

ამიტომ, ჩვენი აზრით, ღვთისმშობლის ხატის მხატვრული ფუნქცია აქ



ასკეზის გზით დათრევსული ადამიანური ენებების სულიერ პლანში „ტრანსფორმირებულ“ გრძობებზე მინიშნება კი არ არის, არამედ მინიშნებაა იმაზე, რომ ის, რაც ბერს გადახდა თავს, დაკავშირებულია მსგელო ერის ტრაგედიასთან. ბერის ლოცვანი ძირს დავარდა. ცოდვით დაცემისა და ამით გამოწვეული უსასობის გამო მისი ლოცვა ევლარ მივიდა ღმერთამდე. მისი დაღუპვით დაიკარგა ქვეყნის ხსნისათვის მლადადებული – დაცარიულა ბუალერი.

აქვე გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ პოემა „განდევილის“ მიძღვნასთან დაკავშირებით ილიას მეუღლის ოლლა გურამიშვილ-ჭვჭავაძისადმი. ყოველგვარი არგუმენტების და რეალური დასაყრდენის გარეშე გამოითქვა ასეთი აზრი, თითქოს „განდევილის“ ხელნაწერში პოემის სათაურის ქვეშ ძღვნის ადრესატად თავდაპირველად სხვა პიროვნება იყო დასახლებული. შემდეგ იგი გადაშლილია და ოლლა გურამიშვილის სახელი წერიარ. ეს აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს. მკითხველს შეუძლია ნახოს ეს ხელნაწერი ან მისი ფოტოასლი და თავადაც დარწმუნდეს ამაში. ხელნაწერში გადაშლილია სათაურის ორი ადრეული ვარიანტი – „მეუდაბნოე“ და „ბეთლემი“, ასევე ქვეშ მინაწერი „ხალხში გაგონილი“. მაგრამ გადაშლილი სიტყვებიც კი იკითხება. რაც შეეხება ძღვნას, იგი სრულიად გარკვევით და სუფთად არის ნაწერი – „კნენა ოლგა ჭავჭავაძისას“. სამწუხაროა, რომ ზოგნი წმინდანების შეურაცხყოფას და მათ შესახებ უსაფუძვლო ჭორების გავრცელებასაც არ ერიდებიან.

ილიას თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში, რომელიც მხად არის გამოსაცემად, ეპისტოლარული მეშკვიდრეობის ორი ტომიდან ერთი მთლიანად ილიას ოლღასადმი მიწერილ წერილებს უკავია. რომლებშიც საოცარი სითბო. სიყვარული და პატივისცემა ჩანს. 1892 წელს გამოსული ილიას თხზულებათა პირველი კრებულის პირველ ტომს გარეკანზე დაკრული აქვს ქალაღლი წარწერით: „ჩემს კარგ ოლიკოს, ილია ჭავჭავაძე“.

ოლლა გურამიშვილი იყო უსაზღვროდ. სათნო და მოსიყვარულე ქალი. ნამდვილი მეუღლე და მეგობარი ილიასათვის. ამასთანავე იგი იყო საოცრად ღვთისმოსავი. „ღვთის გულისათვის, რომელიც აგრე გიყვარს...“ მიმართავდა ილია მას ერთ-ერთ პირად წერილში<sup>1</sup>. ცნობილია, რომ იმ დღეს, როდესაც ილიასა და მას თავს დაესხნენ, ოლლას ხელჩანთაში „დავითნი“ ჰქონდა, რომელსაც თურმე მუღამ თან დაატარებდა.

საინტერესოა ილიას კიდევ ერთი წერილი ოლღასადმი, რომელიც მის სულიერ განწყობას გვიჩვენებს: „მინდოდა დავრწმუნებულიყავ, რომ შენ ადამიანს უყურებ, როგორც ღვთის მიერ შექმნილ არსებას, რომელშიც უპირველეს ყოვლისა სული უნდა მზიანობდეს.“ სწორედ ასეთი ადამიანი შეიცნო მწერალმა თავის მეუღლეში და ამიტომაც უდიდეს პატივს სცემდა მას. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება.

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ათ ტომად. ტ.10. გვ.191

რომელშიც ერის სულიერი დაცემის ტკივილებია ნაჩვენები, მიუძღვნა იმ ადამიანს, რომელშიც „სული მზიანობდა“, რომელიც მისი ახლობელი იყო და პოემაში გამოთქმულ ნაფიქრალ-ნააზრევს სისრულით აღიქვამდა.

ოღლა გურამიშვილმა ილიას გარდაცვალების შემდეგაც ურყევად შეინახა ერთგულება და სიყვარული თავისი მეუღლისა. ამის დადასტურებაა მისი თხოვნა გუბერნატორისადმი: „სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი მაღალი ნიჭი შესწირა ადამიანის სულში ადამიანური გრძნობის, კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას“. მისი მკვლევებისადმი წაყენებული „ეს საზარელი სასჯელი დაარღვევს იმ ღვაწლს სიყვარულისას“ და გთხოვთ სასიკვდილო განაჩენი პატიმრობით შეუცვალოთო. ეს იყო ერთადერთი სწორი გზა, რითაც შეიძლებოდა გარდაცვლილისადმი პატივისცემის გამოხატვა და მისი ღვაწლის ამაღლება. სიკვდილზე. ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, ილიას მეუღლე მკვლევებმა თუ მათმა წამქეზებლებმა დააშინეს და თავისი ნების წინააღმდეგ დააწერიან ეს თხოვნაო. ასეთი რამის დაწერა საკუთარი სურვილის, საკუთარი გულისწადილის გარეშე წარმოუდგენელია ოღლა გურამიშვილის მხრივ. გასაგებია და ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ილიას მკვლევლობის ორგანიზატორები ყველაფერს იკადრებდნენ და მათ შორის მუქარა-დაშინებასაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ილიას მეუღლე ასეთ გარიგებაზე დათანხმდებოდა. ოღლა ჭკვეჭავაძის ეს ნაბიჯი სწორედ რომ ილიას ღირსების შესაფერია და ნუ დაუუკარგავთ მას ამ შინაარსს.

### „ტაძარი გაუშემოშლი“

„როდისღა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა  
თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კელაეცა აღიღვარსა...“

ილია ჭკვეჭავაძის მოთხრობებსა და პოემებში ძირითადად წარმოჩენილია გმირთა ტიპური სახეები. არც ლუარსაბი, არც კაკო, არც დთიკო და ბეჟანი ერთეულები არ არიან. მათზედაც შეიძლება გავრცელდეს ლუარსაბის შესახებ თქმული ავტორის სიტყვები – ისინი სხვებს გვანანნ და სხვები – მათ. ამ მხრივ პოემა „განდევილის“ ბერი „ოთარაანთ ქვრივის“ მთავარი გმირების მსგავსად. მათგან განცალკევებით დგას – იგი ერთადერთია, რომელმაც სცადა წლების მანძილზე დაცარიელებული წინაპართა სულიერების მწვერვალის გამოცოცხლება. ამ გმირის წარმოჩენით ავტორს ვერ ექნებოდა განზრახული პირდაპირი განზოგადებით უწვევებინა ასეულების ნამდვილი სახე. შესაძლოა ამანაც და პოემის იდუმალმა კომპოზიციამაც ვნაპირობა ის, რომ თავიდანვე ბევრმა შეიცნო, რომ ეს იყო ალეგორიული ნაწარმოები. მაგრამ რა აზრი იყო ჩადებული ამ ალეგორიაში, ამასთან დაკავშირებით შეხედულებები ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. კრიტიკოსთა უმრავლესობა, როგორც ზემოთაც ვნახეთ, მასში საერო და სასულიერო მოღვაწეობის დაპირისპირებას ხედავდა.

სხვათა აზრით აქ იყო წარმოჩენილი ელინიზმისა და ქრისტიანობის დაპირისპირება.

1894 წელს ჟურნალ „ივერიის“ 198-ე ნომერში ვარლამ ჩერქეზიშვილი „განდევლის“ შესახებ წერდა: „მასში ჟღერს სიმი ელინიზმისა, კარმონიით სავსე ცხოვრებისა და ამ ცხოვრების სიტკობის უფლებათა დაცვისა... იმის კარმონიულ ლექსში სცემს დატანჯული გული აწინდელი კაცობრიობისა, ასკეტიზმისა და იუდაიზმის სასტიკ ძალმომრეობისაგან ახალგანთავისუფლებულისა... ელინიზმში ამ წუთისოფლის ქება იყო, ქრისტიანული სარწმუნოება კი შეიქმნა მისი სრული ურმყოფელი.“ ასეთივე აზრისა იყო გერონტი ქიქოძეც. იგი წერს, რომ ამ პოემაში ილიამ „ბუდისტურ-ქრისტიანულ სპირიტუალიზმს და ასკეტიზმს დაუპირისპირა ელინიზმიდან და საქართველოს ეროვნული ტრადიციებიდან მომავალი ჰუმანიზმი...“

განსხვავებულად ხედავდა „განდევლის“ ალეგორიას მარჯორი უორდროპი. 1895 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემული პოემა „განდევლის“ შესავალში იგი წერდა: „განა განდევილი არ გამოხატავს მედიევიზმს და მწყემსი ქალი კი ასეთი მომაჯადოებელი და ნათელი რენესანსი არ არის, რომელიც საქართველოში დასავლეთზე ბევრად უფრო გვიან მოვიდა? მისი მშენიერებისა და მხიარულების წინაშე დრომოჭმული ცხოვრება დიდხანს ვერ იზვიმებს. მან ან უნდა გაიზიაროს მისი აღფრთოვანება, ან მოკვდეს.“

უკანასკნელ ხანს გამოჩნდა კიდევ ახალი აზრი, რომლის მიხედვითაც მწყემსი ქალი ჭეშმარიტ ქრისტიანულ რწმენას განასახიერებს, ბერი კი ასკეტიზმის გაუმართლებელ გზას. ლადო მინაშვილი წიგნში „ილია ჭავჭავაძე“ წერს: „სინამდვილეში მწყემსი ქალი არა ბუნებას, წარმართს, არამედ სწორედ იმ პირველქმნილი ქრისტიანული რწმენის ერთგულებას გამოხატავს.“

ჩვენი აზრითაც პოემა ალეგორიული შინაარსისაა, მაგრამ მის გმირთა სახეების ვერცერთ ზემოხსენებულ ახსნას ვერ დავეთანხმებით. არცერთ მათგანს არ ახლავს არგუმენტაცია და არ არის შეჯერებული ავტორის პირად შეხედულებებთან. ელინიზმსა და ქრისტიანობას შორის ილია უდავოდ ქრისტიანობას აღიარებდა უპირატესად, მედიევიზმსა და რენესანსს საქართველოში არ ჰქონია ისეთი კატასტროფული დაპირისპირება, რომ ერთს მეორის სიკვდილი გამოეწვიოს, რაც შეეხება იმას, თითქოს პირველქმნილი ქრისტიანული სარწმუნოება გმობდეს ასკეტიზმს, ასეთი აზრი ეწინააღმდეგება როგორც ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ რწმენას, ისევე ილიას პირად დამოკიდებულებას საკითხისადმი. შეიძლება „ქრისტოლოგებს“ ჰქონდეთ ასეთი დამოკიდებულება ასკეტიზმისადმი, მაგრამ რაც არ უნდა ფართოდ მიმოვიხილოთ ჩვენ მათი აზრები, ეს ამ თვალსაზრისს ილიას პირად მრწამსთან ვერ დაახლოვებს. ამ მხრივ ყველაზე საყურადღებოდ გვეჩვენება აკაკი ბაქრაძის პოზიცია, პოემის დედააზრს საქართველოს დაცემულ ყოფასთან რომ აკავშირებს.

მწყემსი ქალი და ბერი წარმოშობით ერთი საზოგადოების, ერთი ქვეყნის შვილები არიან. მათ ესმით ერთმანეთის ენა, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და ერთმანეთს ერთგვარად უპირისპირდებიან იმიტომ, რომ სიუჟეტის დასაწყისში ერთი სულის მშვენიერებას წარმოადგენს, მეორე კი – ხორციას. მწყემსი ქალის უკან დგას წუთისოფელი თავისი გარეგანი მშვენიერებებით და ხორციელი სიტკბოებებით, ბერის უკან კი წმინდა მამათა მიერ მიღწეული სულიერი სიწმინდე და ამასთანავე პირადად მისი ღვაწლის ნიშანიც – ის სასწაული, რომელიც ღმერთს „ნიშნად მადლისა მღალადებულზედ მოუვლენია.“ ამრიგად, თავდაპირველად დაპირისპირება ჩნდება აყვავებულ სულსა და აყვავებულ ხორცს შორის, მას შემდეგ კი, რაც ბერში მიძინებული „ხორციელი გულისთქმები“ კვლავ გაიღვიძებს. მწყემსი ქალის სახე საერთოდ ქრება და ეს ბერი თავად იქცევა ხორცისა და სულის დაპირისპირების ასპარეზად. ბერი, რომელიც პოემის დასაწყისში სულის აყვავებას განასახიერებს, ნაწარმოების ბოლოს სულიერად გაპარტახებულია. ეს მღვთმარეობა „კი ზუსტად შეესაბამება ერის სულიერი ცხოვრების მწვერვალის – „ბეთლემის“ იმ ორ სურათს, რომელიც პოემის პროლოგ-ეპილოგშია წარმოიწინილი. საერთოდ მწერლის შემოქმედებითი ჩანაფიქრის განსაზღვრისას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება პოემის აგებულებას. თუ თხზულების შესაჯავალში ერის სულიერი აყვავების სურათია წარმოიწინილი, ეპილოგში კი მისი გაპარტახებისა, რა უნდა იყოს ნაჩვენები მის ძირითად, ცენტრალურ ნაწილში, თვით გადმოცემულ ამბაეში. თუ არა დასურათსატება იმისა, როგორ მოხდა ეს გარდატეხა. პოემა რომ ალგეორიული არ იყოს და საქართველოს ზოგად ყოფას არ უკავშირდებოდეს, მწერალს მრავალსაუკუნოვანი გრანდიოზული ფონი არ დასჭირდებოდა ერთ ღამეში მომხდარი ამბის წარმოსახენად. მეორეს მხრივ, ამაზევე მეტყველებს ის ფაქტი. რომ თუნდაც ერთი წუთით, მაგრამ ფაქტია, რომ მწერალი ფიქრობდა პოემისათვის „ბეთლემი“ დაერქმია. ეს უკვე მივანიშნებს იმაზე, რომ ბერის ისტორიას რაღაც უფრო ფართო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. მისი ბედი პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ბეთლემთან. ფაქტიურადაც ასეც არის. სანამ იყო ეს ბერი, ბეთლემში კვლავ ისმოდა ღვთის სადიდებელი. განსაცდელის ჟამს ბერი ღოცულობდა ქვეყნის გადარჩენისათვის და სწორედ ეს ღოცვა შეაწყვეტინა მწყემსი ქალის ხმამ. ბერის დაცემით დაცარიელდა ბეთლემი და ვეღარ განახლდა ქვეყნის ხსნისათვის აღვლენილი ღოცვა. ამიტომ მისი დაცემა უშუალო კავშირშია ერის სულიერების გაპარტახებასთან.

პოემის ქვეშ მიწერილი აქვს „ლეგენდა“, მაგრამ ასეთი სიუჟეტი ქართულ ფოლკლორულ წყაროებში ვერ იქნა მიკვლეული. ამ გამოქვაბულის შესახებ ბევრ რამეს ყვებოდა ხალხი და ამდენად ეს ადგილი ჩვენი ერისათვის თითქოს ლეგენდარული იყო, მაგრამ პოემის ფაბულაც და შინაარსიც ჩვენი აზრით მთლიანად ილიას მიერ უნდა იყოს შექმნილი. სავსებით ვიზიარებთ ამასთან დაკავშირებით მკვლევარ ლალო მინაშვილის აზრს, ამ პოემის

ინიციატორი რომ ლეგენდა არ არის, ამის დასტურია მწერლის დაუმთავრებელი პიესა „ირაკლიო“. მართლაც ამ პიესას, რომელიც უსათაურო ჩანახატს წარმოადგენს, აშკარად ეტყობა სწორედ იმ თემით დაინტერესება ავტორისა, რომელიც ასახულია „განდევილში“, მაგრამ სიუჟეტი განსხვავებული ჩანს. ამდენად, საფიქრებელია, რომ იგი მწერლის შემოქმედებითი წარმოსახვის ნაყოფია და არა რაიმე მზა თემისა და ფაბულის მხატვრული დამუშავებისა

პოემაში არცერთი გმირი არ არის სახელდებული, არც დრო არ არის კონკრეტუზირებული. ერთადერთი რამ, რაც მასში დაზუსტებით არის აღნიშნული, არის მონასტრის საბელი „ბეთლემი“. რომელიც კონკრეტული მთის – მყინვარის წვერზეა გამოქვაბული. ამ ადგილთა სახელდებას ნაწარმოებში განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს, მწერალს შეეძლო, ისინიც არ დაესახელებია, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი განზრახვით ის, რაც პოემაში ხდება, უშუალო კავშირშია ამ ადგილთან, რომელიც პოემა „აჩრდილის“ მიხედვით საქართველოს უკვდავი სულის სამყოფელია.

დავაკვირდეთ ერთ დეტალს – რას უნდა ნიშნავდეს აქ სიტყვა „თანამდევნი“ ჩვენი აზრით ლირიკულმა გმირმა იხილა არა „ქვეყნის სული“, არამედ მისი თანამდევნი ანგელოზი, რომელიც უფლის მიერ დადგინებული ყავს თითოეულ ნათელღებულ ადამიანსაც, ტაძარსაც და მთელ ქვეყანასაც. ტაძარი რომც დაინგრეს, ანგელოზი მის ნანგრევებთან რჩება – იმ წმინდა ადგილას, სადაც ადრე წირვა-ლოცვა აღესრულებოდა. მოხუცის სახით მოვლენილი ეს ხილვა საქართველოს მფარველ ანგელოზს უნდა განასახიერებდეს, რომელიც დგას მყინვარზე ერის სულიერი ტაძრის ნანგრევებთან და მისი განასლებისათვის, „აღდგენისათვის“ ლოცვით შუამდგომლობს ღმერთთან. ერთგან, ილიაზე საუბრისას, სარწმუნოებისათვის წამებული. აწ წმინდანად შერაცხილი მღვდელი სიმონ მჭედლიძე წერდა „სამშობლოს ანგელოსიც“ ამას ჩასწერა უნებდა ყურშიო“.

„ანგელოზი“ ნიშნავს მათუწყებელს. იგი არის უსხეულო, უკვდავი სული. სწორედ მის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის არის „შორი მხედველი, ძლიერი, მალი...“ სწორედ ის არის ნუგემის მომცემი და „კეთილმაუწყებელი“. სწორედ მფარველი ანგელოზის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იზიარებს ტკივილს და სიხარულს იმისას, ვისი მფარველოც არის, ცრემლს ღერის მის ცოდვებზე და ხარობს მისი კეთილგონიერებით. მფარველი ანგელოზია მეოხი და შუამავალი ადამიანებს და ღმერთს შორის. მის შესახებ „აჩრდილის“ პირველ რუდაქციაში ნათქვამია:

„...არც ცოცხალს ჰგვანდა და არცა მკვდარს;  
ძალა არ ჰქონდა მასზედ სიკვდილსა,  
და არც თვით ჰგვანდა სიკვდილის შვილსა.“

ამიტომაც ეკითხება მას ლირიკული გმირი:

1. „მღვდელი სიმონ მჭედლიძე“. თბ. 1995 წ.

„კაცი ხარ ჩემებრ, თუ მარტო სული?  
ნუთუ იმ ქვეყნით შენ ხარ მოსული,  
სადაც მშვიდობა, ნუგეში ცხოვრობს,  
ანგელოზთ დასი ღვთაებას ჰგალობს?“

პოემის საბოლოო ვარიანტში კი, როგორც აღვნიშნეთ, ეს აჩრდილი თავის თავს საქართველოს „თანამდევ უკვდავ სულს“ უწოდებს. მისი სწავლებით საჭიროა ქვეყნის დაცარიელებული სულიერების აღდგენა და იმის ნიშნად, რომ ამგვარი რამ აუცილებლად მოხდება ცაზე იმდის ცისარტყელა გაილეკებს. „განდევილში“ მოქმედება იმავე მიზნზე ვითარდება, მაგრამ გაპარტახებული სულიერება აღდგენილი ჯერჯერობით მაინც არ არის – ტაძარი დაცარიელებულია, რწმენის ნათლით „ზედზიდვა-ამაღლება“ არ მომხდარა.

საყურადღებოა, რომ პოემაში ორგან ჩანს „ბეთლემისადმი“ ერის დამოკიდებულება:

„და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს  
ბეთლემს უწოდებს ღღესაცა ერი...“

„და ის ადგილი, ის არემარე

ესოდენ წმინდად სწამს ღღესაც ერსა...“

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი მიტოვებული და მიუწვდომელია, ერი მას მაინც „ბეთლემს“ – ცხოვრების და სიწმინდის სახლს უწოდებს, სახელი არ გადაურქმევია და მისი სიწმინდისადმი მოკრძალებით იქ შეფარებულ ნადირსაც კი არ ახლებს ხელს.

„ოდესღაც ტაძარს იმ გაუქმებულს

მეუდაბნოე შეკვდლებია...“

ვკითხულობთ „განდევილში“ და უნებლიედ გვაგონდება „აჩრდილისეული“ შედარება: „...დაუგდისრ, ვით ტაძარი გაუქმებული“. საერთოდ ამ ორ პოემას ბევრი რამ აქვს საერთო და ეგონებ ამ მხატვრულ სახეთა თანხედრაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. ერთგან პოეტმა მხატვრული შედარების მეშვეობით დააკავშირა საქართველოს სახესთან „გაუქმებული ტაძარი“, მეორე პოემაში კი სწორედ გაუქმებული ბეთლემის ტაძრის სახით წარმოგვიჩინა საქართველოს ალეგორიული ხატი. დაცარიელებული ბეთლემი სულიერად დაცარიელებული საქართველოა. მიტოვებულ ტაძართან, „უპატრონო საყდართან“ შედარება ჩვენი ქვეყნისა ილიას პუბლიცისტიკაშიც გვხვდება. სტატიაში „რა ვითხრათ, რით გაგახართ?“ ვკითხულობთ: „ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს სხვანი დაეპატრონებინან...“

საერთოდ „ტაძრის“ სახე, რა თქმა უნდა, რწმენასთან არის დაკავშირებული. ერთგან, პუბლიცისტურ წერილში ილია წერს: „ეჭვით გაღუესილი ჭკუა ღღედატამ ტაძარს აშენებს რწმენისას და ისევ თავადვე აქცევსო.“ ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ქვეყანა, სადაც ოდესღაც რწმენა

ყვეოდა, მწერალს ასევე ტაძართან შეედარებინა, მას შემდეგ კი, რაც მას რწმენა შეერყა, გაუქმებულ ტაძართან გაეფიქვებინა.

ადამიანის სასოწარკვეთილების და ჭკუა-გონების არევის, ყველაფრის უარყოფის სათავეს იღია რწმენის შერყევამი ზედაედა. „ეს დღევანდელი სპირიტობა, ბუდიზმობა, გრაფ ტოლსტოის „სულისკვეთება“, ის ამბავი, რომ ამერიკაში სადღაც ბავშვი დაბადებულა და დიდი და პატარა მირბის იმის თაყვანისსაცემლად და ბევრი სხვა ამისთანა განა იმას არ ჰმონებობს, რომ დღევანდლამდე ყოფილს ბინას ადამიანის მყუდროებისას ფუძე დაენძრა და თვით თალიც მთელის შენობისა გაირღვა და ქლამის გადმოქცევას. განა ყოველივე ეს იმის მაგალითები არ არის, რომ დღესაც მოუსვენარი გონება ადამიანისა ხან რას ეკიდება, ხან რას, რომ სადგური რამ მყუდროებისა სადმე და რაშიმე უპოვოს უბინაო სულსა, რომელიც დღეს ნაცარტუტასავით ჰდულსო?“ წერს იგი<sup>1</sup>. ადამიანის ამგვარი მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზად ილიას მტკიცე რწმენა მიანჩნია. მისი თქმით, „ერთი ბრძენისა არ იყოს, ქვეყანაზე ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ და ზოგიც იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ცასა და ცას იქით, სწორედ იმისთანა ადგილებია მაძებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავ.“<sup>2</sup> სწორედ ასეთი რწმენის შესახებ ამბობს უფალი: „ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვპრწმენე.“

ამრიგად „განდევილში“ ერის სულიერი დაცემის სურათი უნდა იყოს წარმოდგენილი. ოდესღაც „რწმენის ნათლით ამაღლებული“, ღმერთთან მიახლოებული საქართველო საწუთროს ხიბლმა აცდუნა, ხორციელმა ვნებამ დაამსო და უიშვლობამ დასაღუპად გასწირა.

„...ეხლანდელს დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოლიკამ გზა შეიშალა... სულ ყველაფერი აირივ-დაირივა, ტყუილი და მართალი ევლარავის გაურჩევით, ქვენა გრძობანი ზენა გრძობათა ადგილას გამეუფდნენ, ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფარა...ყველანი ვხედავთ ამას... და ვიშვნევთ, და ვიწყნარებთ ამისთანა ყოფას... თითქო კეთილს, მართალს, მადლს უღონობა შეანდრათ და ამის გამო ბოროტს, ტყუილს და ცოდვასლა მივენდენით სრულის იმედით, რომ იგი ჰქმნან კაცის ბედნიერებისათვის, რაც კეთილმა, მადლმა, მართალმა ვერ შესძლეს“ — წერს ილია სტატიში „უარყოფილობა ჩვენში“ და მასში გამოსჭვივის სწორედ ის ტკივილი, რაც ასახულია პოემა „განდევილში“ — ღვთიური მადლის პირბადით საცდურის მოსვლა, სულიერი დაცემა და საშინელი მარცხი. ამგვარი ახსნა ნაწარმოების მხატვრული შინაარსისა, რომელიც მრავალ მეცნიერს ფილოსოფიურ პოემად მიანჩნია, სრულიად არ აკნინებს მის მხატვრულ ღირებულებას. პოეტს არაჩვეულებრივად აქვს წარმოჩენილი ნაწარმოების ორივე პლანი — ზედაპირულიც, ერთი

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა აკად. გამოც. ტ.5, გვ. 541

2. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა აკად. გამოც. ტ.5, გვ.540.

ბერის სულიერი გარდატეხა, მისი ტრაგედია; და იგაუგურ-მხატვრულიც — ბერის სულიერი დაცემის სურათი. ერის ტრაგედია. ორივე მათგანი ისე ღრმად და საფუძვლიანად აქვს გააზრებული ავტორს, რომ ბერისა და ქვეყნის კერძო სახეებში ამასთანავე ჩანს ზოგადადამიანური, საკაცობრიო პრობლემებიც.

ემიგრაციაში მყოფ ჩვენს თანამემამულეს ივანე ზურაბიშვილს მიაჩნდა: „პოემის ძირითადი აზრი ის არის, რომ იდეალისათვის გადახვევა, რაშიაც უნდა გამოიხატებოდეს ის...უკარგავს ზეციურ მაღლს.“<sup>1</sup> პოემაში ასეთ საგნად დასახელებულია სულის ცხონებაო, წერს იგი. იდეალისათვის გადახვევასთან დაკავშირებით ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხსენებული მოსაზრება სწორად მიგვაჩნია. მაგრამ აქ რომ ნებისმიერი იდეალი იგულისხმებოდეს არა გვეჩინა. პოემის თემად ბერის ცხოვრება იმიტომ არის აღებული, რომ „სულის ცხონება“ მარტო ბერისთვის არ არის ცხოვრების მიზანი და საზრუნავი. ეს არის სწრაფვა არა მარტო სასულიერო პირთა, არამედ მთელი მართლმორწმუნე ერისა. რა კონკრეტული საქმიანობითაც არ უნდა იყოს იგი დაკავებული. ზეციურ მაღლს დაკარგავს ის, ვინც უფლისაგან მიმავალი გზიდან გადაუხვევს, ერი იქნება თუ — ბერი.

„განდეგილის“ მკვლევრები ზოგჯერ ზედმეტად აზვიადებდნენ ზოლმე პოემის ჩანაფიქრს — ილია მთელ საქართველოს ბერად შედგომისაკენ მოუწოდებდაო. რა თქმა უნდა. გონიერი კაცი ვერავის მოუწოდებს ისეთი რამისაკენ, რაც მათ არ ძალუძთ. ილიას კარგად ესმოდა, რომ ასეთი გზის არჩევანი „ადამიანის მრავალფერო ბუნებით“ იყო სოლიმე განპირობებული. მთელი ერი ბერობის უდიდეს ღვაწლს ვერ იტვირთებდა. მაგრამ ის მცირე ჯგუარი რომ მაინც ეტარებინათ, რომელიც ყველა ქრისტიანს მოეთხოვება მრწამსის აღიარებით და მცნებათა აღსრულებით, რა თქმა უნდა, მისი აზრით საჭირო იყო, რადგან დატეხულმა წამოდგომაზე რომ არ იფიქროს. შესაძლოა ველიდან უფსკრულშიც აღმოჩნდეს.

„ბეთლემი“ — ერის სულიერი ზესწრაფვის და ზნეობრიობის მწვერვალი დაცარიელებულია იმიტომ, რომ ერმა ერობა ვერ შესძლო და ბერმა — ბერობა. ღმერთთან სიახლოვეს. სულიერების მწვერვალზე დამკვიდრებას „თუ არ ღვთის ღირსი“, სხვა ვერ შესძლებს, თუ არ „მცნების ნათლით ზედზიდულ-ამაღლებული“, ვერავინ შეწვდება. ამიტომ „განდეგილში“ არც მარტო ერთი ბერის პრობლემა არის „მოჭრილი და არც მარტო ბერობისა. საერომაც და სასულიერომაც — მთელ ერმა მისთვის წილხელომილი ჯვარი უნდა იტვირთოს და ზიდოს იმ მწვერვალისაკენ, თუ უნდა, რომ კვლავ „ღვთის ღირსი“ გახდეს, სულიერების მწვერვალი დაიბრუნოს და დაცარიელებული „ბეთლემი“ გამოაცოცხლოს.

## „ვეტრუნი და ვეტრუნი სულ მერთი პარსკვლავსა...“

ილია ჭავჭავაძის ორი ღმერთი საყვარელი „ს“-სადმი

ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები. თუნდაც პატარა ლირიკული ლექსი ან ეტიუდი. დამოუკიდებელი მხატვრული ქმნილებაა და ერთგვარი

1. „ილია ემიგრანტთა თვლით“, ტ.1, 1996 წ. გვ.24ბ



სრულყოფილება ახსნათებს, მაგრამ როდესაც ღრმად დავაკვირდით ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, დავრწმუნდით, რომ ცალკეულ ნაწარმოებთა ჩანაფიქრის ჩაწვდომა და სწორი აღქმა ზოგჯერ ისევე ძნელია, როგორც კონტექსტიდან მოწყვეტილი სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის განსაზღვრა. შემოქმედის სხვადასხვა თხზულებები ხშირად ავსებენ და განმარტავენ ერთმანეთს. იშვიათობას არ წარმოადგენს მხატვრული სახეების ეროი ნაწარმოებიდან შერეული გადატანის და შემდგომი განვითარების შემთხვევებიც, რაც მათ ერთობლივ განხილვას აუცილებელს ხდის.

წინამდებარე თავი შეეხება ილია ჭავჭავაძის ორ ლირიკულ ნაწარმოებს, რომლებიც მწერლის ხელნაწერ რეეულებში ერთნაირ დაქარაგმებულ სათაურს ატარებს — „ს...ს“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მათ უკეთ აღსაქმელად თვალს გადავაველებთ მხატვრული სახეების მხრივ, ქრონოლოგიურად, იდეურად და თემატურად ამ ლექსებთან ახლოს მდგომ სხვა თხზულებებსაც.

პირველი ლექსი სათაურს — „ს...ს“ ატარებს მხოლოდ ხელნაწერებში, პუბლიკაციებში კი, როგორც ავტორის სიცოცხლისდროინდელში, ისე გვიანდელში, იბეჭდება უსათაუროდ („მამინ დავსტყებები...“) ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემისათვის დართულ შენიშვნებში მის შესახებ ნათქვამია, „ვერ გავარკვეთ, ვის ეკუთვნის ეს ინიციალებიო“; 1925-51 წლების კრებულებშიც ამასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული აზრი არ არის შემოთავაზებული; თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველ ტომში კი გამოთქმულია ვარაუდი, რომ ლექსი ეძღვნება რუსი კომპოზიტორის პეტრე ჩაიკოვსკის დას — საშენკას<sup>1</sup>.

მეორე ლექსი, რომელიც ავტოგრაფებში იმავე სათაურს ატარებს — „ს...ს“, მწერლის სიცოცხლეში, როგორც ცნობილია, არ დაბეჭდილა და შემორჩენილია ხელნაწერების სახით. ერთ-ერთი ავტოგრაფის ტექსტი გადახაზულია ავტორის მიერ და მისივე ხელით მიწერილი აქვს „რიტორიკა“. როგორც ჩანს, მწერალს ზედმეტი რიტორიკულობა შეუნიშნავს მასში და დაუწუნებია. ამ ფაქტის გამო ხსენებული ლექსი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა თანამედროვე გამოცემებში იბეჭდება „პოეტის მიერ უარყოფილ“ ან „ავტორის მიერ დაწუნებულ“ ლექსთა განყოფილებაში. მწერლის თხზულებათა ოცტომეულის პირველ ტომში მის შესახებაც იგივეს ვკითხულობთ: „ს...ს“ ჩვენი ვარაუდით გულისხმობს „სამას“, (ან „საშენკას“) ისევე, როგორც ლექსები „მამინ დავსტყებები...“ „ს...ჩ...სას“ და „ჩ...სას“.

კომენტარში დასახელებული ლექსები „ს...ჩ...სას“ და „ჩ...სას“ ამ სათაურებით რამდენჯერმე გამოქვეყნდა მწერლის სიცოცხლეშივე (ისინი დათარიღებულია 1860 წლის 21 და 22 ივლისით), მაგრამ არც რომელიმე პუბლიკაციაში და არც პოეტის ჩანაწერებში არსად არ იყო ახსნილი სათაურის ინიციალები. ამიტომ საკითხის დადგენა მეცნიერებს მოუხდათ. ამასთან

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა აკადემიური გამოცემა, ტ.1, 1987, გვ.348

დაკავშირებით აზრი გამოთქვეს გრ. ყოფშიძემ, ი. ბალახაშვილმა; მოგვიანებით კი მის კვლევას მიძღვნა სპეციალური წერილები: შ. აღსახიშვილის „ილია ჭავჭავაძის სამი ლექსის ადრესატის დაზუსტებისათვის“, ჯ. მუჯირის „შროშანების ფინანსი“, გ. შარაძის „ილია ჭავჭავაძე და ჩაიკოვსკები“. აზრთა სხვადასხვაობა დაკავშირებული იყო იმასთან, თუ რა ერქვა ლექსების ადრესატს – სოფიო თუ საშენკა და რა იყო იგი კომპოზიტორ ჩაიკოვსკისა – და თუ ბიძაშვილი. მაგრამ ყველა მკვლევარი აღიარებდა, რომ ეს ლექსები ეძღვნება ახალგაზრდა რუს ქალიშვილს – ჩაიკოვსკაიას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველ ტომში ამ ქალიშვილისადმი მიძღვნილად ხსენებულ ლექსებს გარდა, დასახელებულია ჩვენს მიერ განსახილველი ორი ლექსიც სათაურით „ს...ს“. კომენტარების ავტორი თავის ვარაუდს არ ასაბუთებს, მაგრამ მას დაახლოებით ასეთი არგუმენტები შეიძლება ჰქონდეს: 1. ის, რომ პოეტის ბავშვობის მეგობრის, კოხტა აფხაზის გადმოცემით რეალურად არსებობდა გენერალ ჩაიკოვსკის ასული, რომლითაც, მისი თქმით, „მეტად აღტაცებული იყო ილია“. 2. ის, რომ ლექსების სათაურის ინიციალი ემთხვევა ამ ქალისადმი მიძღვნილად აღიარებული ლექსის – „ს...ჩ...სას“ ერთ-ერთ ინიციალს. 3. ის, რომ ლექსები ტრფიალებათა დაწერილი. განვიხილოთ, რამდენად მყარია თითოეული ეს არგუმენტი.

1. კოხტა აფხაზის მოგონებაში დაწვრილებით არის აღწერილი გენერალ ჩაიკოვსკებთან მისი და ილიას პირველი სტუმრობის ამბავი, მაგრამ არ არის აღნიშნული. რიჯის მოხდა ეს და იცნობდა თუ არა მათ პოეტი 1858 წლის ბოლოს. 1859 წლის დასაწყისში ამ ოჯახთან მწერლის დიდი სიახლოვის დამადასტურებლად არ გამოდგება პოეტის წვერილი თავისი დის ნინოსადმი, რომლიდანაც ჩაიკოვსკებთან მწერლის ურთიერთობის წარმოსაჩენად მკვლევარები ხაზგასმით გამოყოფენ შემდეგ ადგილს: „ერთმა ქალმა ქალური ვერცხლის ქამარი მთხოვა ხანჯლითა და დავპირდი. შენი ჭირიშე, ნინუცი, ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან, მერე უნდა იცოდე, რა ქალია! იმათ ოჯახში როგორც შვილი ისე ვარ მიღებული. ასეთი დედ-მამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარეს.“ ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ ამ წერილში ქალის დედ-მამა ცოცხლად არის მოხსენიებული, მაშინ, როდესაც საშენკას დედა კარგა ხნის გარდაცვლილი ჰყავდა, გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ აქ მისი ოჯახი იგულისხმებოდეს. ამდენად ამ ბარათით ვერ დავამტკიცებთ, რომ ილია 1858 წლის ბოლოს ან მომდევნო წლის დასაწყისში დაახლოებული იყო ჩაიკოვსკებთან. ძნელი დასაჯერებელია, რომ ქალი მოგწონდეს, მის ოჯახში ხშირად დადიოდე, ამბობდე, რომ მისი დედ-მამა შვილივით გიყურებს და შენც შემაყვარეს თავი და სინამდვილეში არ იცოდე, რომ ქალი დედიტობოლია და ოჯახში მყოფი სხვა მანდილოსანი, მაგალითად – დედა გეგონოს ქალიშვილის დედა.

როგორც ვხედავთ, არავითარი რეალური საბუთი არ არსებობს იმის

დასამტკიცებლად, რომ ლექსების, სათაურით „ს...ს“ ყველაზე ადრეული ვარიანტის დაწერამდე – 1858 წლის 15 დეკემბრამდე, ილია უკვე იცნობდა ჩაიკოვსკის ასულს.

2. ინიციალი „ს“ თავისთავად ძალიან არასაიმედო დასაყრდენია, რადგან ამ ასოზე უამრავი საკუთარი და საზოგადო სახელი იწყება, რომელთა მიკვებით ბრუნვის ფორმასაც შეიძლება გამოვსატა ლექსის ძენა ქარაგამში შეფარული ადრესატისადმი. ასე რომ, ვერც ამაზე დაყრდნობით ვიტყვი, რომ „ს“ აუცილებლად „საშენკას“ ან „სოფიოს“ გულისხმობს.

3. ერთადერთი საიმედო ორიენტირი ლექსის შინაარსი და, მწერლის მხატვრული სტილისა და შემოქმედების თავისებურებებიდან გამომდინარე, მისი იდეურ-მხატვრული ანალიზია. ამიტომ ჩვენც ამაზე გავამახვილებთ ყურადღებას და ენახავი, რა სულისკვეთებით არის ნასაზრდოები ეს ლექსები.

ცხოვრება ადამიანისა მრავალფეროვანია და შემოქმედებაც სხვადასხვა თემებს მოიცავს, მაგრამ არის ხოლმე ზოგჯერ ისეთი გრძნობა, მოტივი, რომელიც თან გასდევს ამა თუ იმ მწერლის მთელ მხატვრულ მემკვიდრეობას. ასეთია ილია ჭავჭავაძესთან სიყვარული.

„კაცო, გიყვარდეს!  
კათ შთამომასსეს.  
როს მათ დამზადეს!

ლამპრად წინ მიმევა  
და ქვეყნად ჩემს სვლას  
სცემდა წმინდ ნათელს...“

ყველგან ეს სიტყვა ამბობს პოეტს და, მართლაც, ამ გრძნობით არის განმსჭვალული მისი თითოეული ნაბიჯი და სიტყვა.

ამქვეყნიურისადმი სიყვარული მრავალგვარი არსებობს – დედა-შვილური, ქალ-ვაჟისა, და-მშური. სიყვარული ზოგადად ადამიანისადმი, მოძმისადმი, საქმისადმი, ქვეყნისადმი და სხვ. მაინც ამ გრძნობათაგან ყველაზე ძლიერ რომელი ენთო მის გულში? რომელი იყო ის ვარსკვლავი, იგი რომ მარად ეტრფოდა? (იხ. ლექსი „მითხარით, რისთვის...“) აი, რას გკითხულობთ პოემაში „ქართველის დედა“:

„ეჰა, მამულო, შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა  
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა...  
ოდეს შენდამი სიყვარული დაიძერის გულში,  
დედაც კი შეილის სიყვარულს კლავს სენს სიყვარულში,  
რა სხივოსანი შუქი შენი აღმობრწყინდება  
კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება,  
ვითა მზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა,  
ვითა ზღვაშია დაცემული წვეთი წვიმისა.“

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ეროვნული გრძნობა ყოველივე ამქვეყნიურზე წინ დგას. ადამიანის გულში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სიყვარულს ღვთისადმი. იგი ცალკე მცნება და ცალკე გრძნობაა ყოველი მორწმუნისათვის და ილია ამქვეყნიურ გრძნობათაგან მასთან სამშობლოს

სიყვარულს ადარებს ხოლმე. ამიტომ უწოდებს მას „ძალსა ღვთიურსა“.

პატრიოტული სულისკვეთება ილიასთან თავს იჩენს სრულიად სხვადასხვა თემაზე სექშილ ლექსებში, ისეთებშიც კი, რაზელთა ძირითადი თემა ქალისადმი ტრფიალუბაა. ლექსში „მეც შავს თვალებს...“ მომხიბლველად არის აღწერილი შავი თვალების ეშხი და შინაგანი სიღრმე, მაგრამ მისი ორტაეუიანი ფინალური ფრაზა – „ვეძებ და ვეძებ აქ მე შავს თვალებს, მაგრამ რუსეთში ვინ დამანახვებს!“ – ამ ლირიკულ ქნილუბას სულ სხვა ნოსტალგიით ავსებს.

ასევე ხდება ზემოხსენებული „ჩ“–სადმი მიძღვნილ ლექსშიც. ძირითადი თემა აქაც ქალისადმი ტრფობაა, მაგრამ სიტყვებში:

„ერთხელ მითხრა: ცხოველ ქვეყნის  
ივერიის შობილი ხარ,  
მაღალ მთების ქარიშხალით,  
ელვით, ჭექით გაზრდილი ხარ,  
მე ჩრდილეთის ველზედ ვყვავი,  
ზამთრის სუსხით დაჩაგრული,  
შენს მხურვალს გულს ვითა გასცემს  
პასუხს ჩემი ცივი გული?“

ისეთი ემოციური დატვირთვა და ამაღლებული ეროვნული განცდა იგრძნობა, რომ იგი ჩრდილავს ქალისადმი ტრფობის თემასაც და ნაწილობრივ ლექსის პესიმისტურ განწყობასაც.

არსებობს მოსაზრება, რომ ილია ჭავჭავაძის არაერთი პატრიოტული ლექსი დაწერილია სატრფიალო ლირიკის მოტივებზე<sup>1</sup>. გავისხენოთ თუნდაც „ჩემო კარგო ქვეყანავ...“ რომელიც სალექსო ფორმითაც და რეფერენითაც ღოგვაგონებს სასიმღერო ლექსს „ორთავ თვალის სინათლევ...“

„...მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,  
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია...  
მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,  
მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...“

სამშობლოსადმი ტრფობა, მის აწმყოზე გოდება და მომავლისადმი სასოება ილია ჭავჭავაძის მრავალი ლირიკული ლექსის საფუძველია, მაგრამ პატრიოტული თემატიკისადმი განსაკუთრებით მკაცრი საცენზურო პირობების გამო მწერლის გრძობები და ჭეშმარიტი მისწრაფებები ხშირად პოეტურ ნილაბს არის ამოფარებული. მისი ყველაზე საკრალური სათქმელი ხან დედის ნანაში და ყრმის დალოცვაშია ჩაქარგული (იხ. „ნანა“ და „გ. აბხ.“), ხან ვილაცის სიმღერაში (იხ. „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ და მეფანტურის სიმღერა „მეფე დიმიტრი თავდადებულში“), ხან მთებთან და მდინარესთან საუბარში (იხ. „ყვარლის მთებს“, „ალაზანს“, „მტკერის პირას“), ხან ბუნების სურათებში (იხ. „ჩიტი“, „გაზაფხული“, „დაქარგული ედემი“), ხან ლეგენდაში

1. ლალო მინაშვილი, „ილია ჭავჭავაძის ლირიკა“

(„ბაზალეთის ტბა“), ხან სიზმარში („ძმაო, სურვილით“) და ხანაც პოეტურ სატირამში („ბელნიერი ერი“, „გამოცანები“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვებოდით“, „ჩრევა“).

შესაძლოა ცენზურის სიმკაცრითვე იყოს გამოწვეული ისიც, რომ საუკეთესო პატრიოტული ლექსები: „დაე თუნდ მოგვეღვ...“ „მესმის, მესმის...“ „მას აქეთ რაკი...“ „ჩემო კარგო ქვეყანე...“ და სხვ. უსათაუროებია, ზოგიერთი ლექსის სათაურში კი მაგ. „ელგია“, „კითხვა-პასუხი“, „ჩემი თარიარალი“, „იანიჩარი“ და სხვ. ამჟამად იგრძნობა, რომ ავტორი თავს არიდებს სათაურში ლექსის შინაარსის, მისი თემის და ჩანაფიქრის აქცენტირებას.

მხატვრულ ლიტერატურას და მით უფრო პოეზიას, ყოველდღიური მეტყველებისა და დოკუმენტური ლიტერატურისაგან განასხვავებს, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული გამომსახველობა. ხელოვანის წარმოსახვაში რეალობა პოეტურ სახეს იღებს და ზშირად ისეთ რთულ, სიმბოლურ-ალეგორიულ ფორმებში მოგვევლინება, რომელთა აღქმა იოლი არ არის. სწორედ ასეთ შემთხვევაში იგრძნობა განსაკუთრებული საჭიროება იმისა, რომ ნაწარმოები განვიხილოთ არა სხვებისაგან მოწყვეტით, არამედ მწერლის შემოქმედების მთლიან სპექტრში.

იღმა ჭავჭავაძეს აქვს სტუდენტობისდროინდელი ერთი ლექსი, რომელიც, ისევე, როგორც „ს...ს“, ავტოგრაფულ რეეულში გადახაზულია და მის მიერ დაწუნებულად ითვლება. ლექსი ასე იწყება:

„ძმაო! სურვილით, ანთებულ გულით, შემდგ ალწერილია თვით სიზმარი „მესიზმრა მშობელ ქვეყნის მთა-ბარი, ხევენა მსურდა მთის, ჩემ ძველ ნაცნობის შთანთქმა ტკბილ ხმისა ქართულის სიტყვისა, ალერსით შეპყრა ჩვენ მზის სხივისა... იქ ვნახე სახლი, სადაც მე თვალი პირველ ვახილე და რა ვიხილე? ტახტზედ ჯდა ქალი სწვიმდა მის თვალი, ჩემს თავსა ვკითხე, ვინ არს მტირალი? არის ვითომ ის? განა ყვავილის ჩრდილი თვით ყვავილს	რაც ცხადად მწაღდა, სიზმარი ხატდა.“ რითმე ედრების? ესცნობდი, არც ესცნობდი მტირალსა ქალსა და გულში ვგრძნობდი რიღაცის აღსა. დიდხან და დიდხან ცრემლს თვალით დვრიდა ყრუდ ხანდისხან კენესდა, ოხვრიდა, მერეთ გახერხა ბაგე ფერკრული და რა ახსენა? დავიწყებული ჩემი სახელი. მსმენმან იმ ხმისა – გავშაღე ხელი, ის იყო, ისა!.. მსურდა შემეპყრა, გულსა მიმეპყრა...“ და სხვ.
--	--

ლექსის შინაარსზე და მხატვრულ სახეებზე დაკვირვება აშკარად გვიჩვენებს, რომ ეს ქალი ალეგორიული სახეა და არა რეალური. სიტყვები: „მსურდა შემეპყრა, გულსა მიმეპყრა...“ ისევე არ არის ეროტიკული, როგორც ლექსის შესავალში ნათქვამი: „ხვევნა მსურდა მთის, ჩემ ქველ ნაცნობის... ალერსით შეპყრა ჩვენ მზის სხივისა“ და სხვ. ეს ქალი იმავე მშობლიური მთა-ბარის მხატვრული სახე უნდა იყოს, მაგრამ პოეტი ამბობს, მისგან მხოლოდ ჩრდილიღა დარჩენილიო. ამიტომაც უჭირს მისი შეცნობა ლირიკულ გმირს: „ესცნობდი. არც ესცნობდი მტირალსა ქალსა და გულში ვგრძნობდი რილაცის აღსაო“. თუმცა, საკმარისია, რომ მტირალმა მოუხმოს მას, ახსენოს მისი დაიწყოებული სახელი, რომ პოეტმა მაშინვე იცნოს იგი და ხელები გაშალოს მის გულში ჩასაკრავად. აქ ყურადღებას იქცევს სიტყვები: „დაიწყოებული მისი სახელი“. ილია ჭავჭავაძის თქმით, „ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დიდი ხანია დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძობითი სახელიღა გასდა...“ შეიძლება ლექსიდან ჩვენს მიერ გამოყოფილ ფრაზაშიც ამ სახელზე იყოს ლაპარაკი და ეს აზრი ჰქონდეს ავტორს გატარებული.

მკვნესარე, აცრემლებული მამულის სახემ არ შეიძლება არ მოგვაგონოს პოეტის სხვა ნაწარმოებები, რომლებშიც მსგავსი შედარებებია. მაგალითად ლექსი „ნანა“:

„გაიგებ მამულისას  
ბედქვემ დაჩაგრულისას,  
კენესის ხმასა მწუხარეს,  
შველის ძახილს მმუდარეს...“

ასევე ლექსი „გ. აბხ.“:

„ღმერთო! თან სდევდე უსუსურს ბავშვსა,  
რომ დღენი ისე არ დაელიოს,  
მინამ ტანჯვისა ცრემლი თვის ხალხსა  
ცოტათი მაინც მან არ მოსწმინდოს...“

და ბოლოს ლექსი „პოეტი“, რომელშიც ხელოვანის სანუკვარი მიზანი და დანიშნულება ასეა ჩამოყალიბებული:

„მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ,  
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა...“

როგორც ვხედავთ, იქ სადაც „მამული“, „ხალხი“ და „ერია“ პირდაპირ ნახსენებია, მსგავსი მხატვრული სახეები იოლად აღიქმება, მაგრამ როდესაც ღრმა ალეგორია და არა შედარება ან მეტაფორა – როცა მტირალი მამული აცრემლებული ქალის სახით არის წარმოჩენილი, რთული პოეტური სახე, რომლის უკანაც ფაქტიურად იგივე რეალური ხატი დგას, ძნელი გასაშიფრი ხდება.

ალბათ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ილიას ლექსი „ვიხილე სატრფო“ ნატურალისტური სიზუსტით – სიტყვა-სიტყვით იქნა აღქმული. წიგნში

„ჰაინრიხ ჰაინე ქართულ ლიტერატურაში“<sup>1</sup> კვითხულობთ: „რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის ლექსს – „ვიხილე სატრფო“, იგი დღემდე პოეტის ორიგინალურ ლექსადაა მიჩნეული. ჩვენი დაკვირვებით კი იგი არის ჰაინეს ლექსის „Ich hab im Traum geweint“ – „ძილში ვტიროდი“ მიბაძეა“. მკვლევარის აზრით „ჰაინეცა და ილიაც აღნიშნულ ლექსებში ასახავენ ლირიკული გმირის სულიერ მდგომარეობას საყვარელ არსებასთან განშორებისა და შემდეგ კვლავ დაბრუნების დროს. ორივე ავტორს მოვლენა ხილვებში აქვთ გადმოცემული.“ ჩვენც დავაკვირდეთ ჰაინეს ამ ლექსის იოსებ ბაქრაძისეულ ზუსტ თარგმანს და უნახოთ, მართლაც აქვს თუ არა ილიას ნაწარმოებს ამ ლექსთან იმოდენა მსგავსება, რომ იგი ორიგინალურად აღარ უნდა ჩაითვალოს. ჰაინესთან. კვითხულობთ:

„ძილში ვსტიროდი, მე დამესიზმრა

ვითომ შენ საფლავს იყავ მდებარე,

გამომეღვიძა და თვალებიდან

ვერა შევწყვიტე ცრემლი მდულარე.

ძილში ვსტიროდი, მე დამესიზმრა,

რომ ჩემზედ გული გაგციებოდა

გამომეღვიძა და თვალებიდან

დრღანას მდულარე ცრემლი მდიოდა.

ძილში ვსტიროდი. მე დამესიზმრა

რომ კვლავ ერთად ვართ ბედით დამტკბარი.

გამომეღვიძა... მაინც ჩემ თვალებს

ვერა შევწყვიტე ცრემლი მდულარი!

განვიხილოთ მსგავსება-განსხვავებანი უფრო დეტალურად:

1. ჰაინეს ლექსი სამსტროფიანია, ილიასი – ორიანი.
2. ილია სატრფოზე მესამე პირში ლაპარაკობს, ჰაინე კი მეორე პირში – ესე იგი პირდაპირ მიმართავს მას. შდრ. „იგი ცრემლს ქდვრიდა...“ (ილია) და „ვითომ შენ საფლავს იყავ მდებარი...“ (ჰაინე).
3. ილიასთან თავდაპირველად ტირის სატრფო და შემდეგღა თვით ლირიკული გმირი, რაც ჰაინესთან არ არის.
4. ჰაინეს გმირი ძილში ნახაზი სიზმრისეული ჩვენებების გამო ტირის, ილიას „ვიხილე“ კი რეალური უნდა იყოს, როგორც „მოვიდა სხვა-დღე“. ეს ისეთივე „უძილო სიზმარია“, რომლის შესახებაც მსგავსი მხატვრული სახეების მქონე ლექსში „პავლოვსკის პარკი“ ილია წერდა:  
„ეგრეთ ვეტრფოდი იმ ლეთიურს ხილვას  
და გასაოცარ უძილო სიზმარს.“

5. ჰაინე წერს: „ჩემზედ გული გაგციებოდა“, ილიასთან კი არ ჩანს, რომ სატრფო მის სიყვარულს დასტირის. წერია: „ბედს და სიყვარულს მოთქმით

1. ვენერა კავთიაშვილი, „ჰაინრიხ ჰაინე ქართულ ლიტერატურაში, 1978 წ. გვ. 39-40

დასტირდა...“

ნ. ჰაინესთან ლექსის ბოლოს სატრფო და ლირიკული გმირი ერთად არიან, მაგრამ ამ უკლანასკნელს მაინც მღუღარე ცრემლი სდის. ილიასთან კი ნათქვამია: „მას ხელთა ეპყრა სხვა ტურფა ვარდი“ და „იმ ვარდს ტრფობითა ის დაჰლიობდა“, რაც გამორიცხავს ლირიკული გმირის მონაწილეობას ამ „ახალი ბედით ტკობაში.“

როგორც ვხედავთ, ამ ლექსებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა. ფაქტიურად მათ საერთო მხოლოდ ის აქვთ, რომ ლირიკული გმირი ცრემლებს ღვრის და ეს ეჭოფვარ ლეიტმოტივად გაჰყვება სატრფოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა სურათებს. მხოლოდ ამ მსგავსების გამო ილიას ლექსი ნათარგმნად არ შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება მიბაძვას, მიბაძვებად ილია ჭავჭავაძის, და არა მარტო მის შემოქმედებაში, ითვლება ის ლექსები, რომლებიც ერთგვარი გამოძახილია რომელიმე სხვა მწერლის ნაწარმოებისა, იქნება ეს ქართული თხზულება თუ უცხოური. ასე მაგალითად, ილიას ლექსი „ჩემი თარიარალი“ ავტორისავე მინიშნებით მიბაძვია ალექსანდრე ჭავჭავაძისა ანუ პოეტური გამოძახილია მის ლექსზე „მუხამბაზი ლათიური“, მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, ორიგინალურ ნაწარმოებად ითვლება. ჩვენი აზრით, შესაძლოა ასეთი მიმართება მართლაც არსებობდეს ილიას ლექსსა და ჰაინეს ხსენებულ ნაწარმოებს შორის, (მით უფრო, რომ ასეთი მიბაძვა ილიას ჰაინეს სხვა ნაწარმოებზედაც ქონდა. ლექსს „მეცა მქონია კარგი მამული...“ ხელნაწერებშიც და ერთ-ერთ პუბლიცაციაშიც აწერია „მიბაძვა ჰაინისადმი“. მეცნიერთა ვარაუდით უნდა იგულისხმებოდეს ჰაინეს მესამე ლექსი ციკლიდან „უცხოეთში“ ), მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ იგი მთლიანად ილიასავე შემოქმედებითი წარმოსახვიდან იღებდეს სათავეს, რადგან ამის მსგავსი პოეტური სახეები გვხვდება ილიას სხვა, ადრინდელ ლექსებშიც, რომელთაგან ზოგი მხოლოდ ავტოგრაფის სახით არის შემორჩენილი და დაუმთავრებლად ითვლება. იხ. მაგ. ზემოთ ციტირებული ლექსი „სიზმარი“: „ტახტზედ ჯდა ქალი, სწვიმდა მის თვალი...“

ილიასა და ჰაინეს ლექსებს, ჩვენი აზრით, განასხვავებს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ – ილიას ეს ნაწარმოები მთლიანად ალეგორიული უნდა იყოს. დავაკვირდეთ ლექსის პირველ სტროფს:

„ვიხილე სატრფო:იგი ცრემლს ჰღვრიდა,  
ბედს და სიყვარულს მოთქმით დასტირდა,  
მის ცრემლი დამჭკნარ ვარდს დასდიოდა  
და მეც შორს მისგან ცრემლი მცვიოდა!“

ეს ნაწარმოები პოეტს რუსეთში აქვს დაწერილი და თუ გავიხსენებთ, სამშობლოსთან განშორებისას წარმოთქმულ მის სიტყვებს: „მშვიდობით, ჩემო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა“ და მის დაპირებას: „უცხოეთიდან კვლავ მოგაწვდით ჩემს გულს და თვალსა“, იოლად მივხვდებით, რომ ეს ცრემლებიც, რომლებიც „შორს მისგან“ სცვიოდა, იმავე გრძნობით და დარდით



უნდა იყოს გამოწვეული.

რა თქმა უნდა, თეორიულად შესაძლებელი იქნებოდა, რომ ამ „სატრაფოში“ რეალურად არსებული პიროვნება, მაგალითად, როგორც წიგნის „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატინანე“ ავტორებს მიაჩნიათ, იგივე ს. ჩაიკოვსკაია ყოფილიყო ნაგულისხმევი, მაგრამ სხვა დასკვნამდე მივყავართ ლექსის მხატვრულ სახეებზე დაკვირვებას.

ვარდის – ყვაილის სიბზოლოს ილია ხშირად იყენებს ლირიკულ ნაწარმოებებში. მაგალითად ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში კვითხულობთ:

„რაოდენ იმედთ და ნუგეშთა კოტრად ყვაილნი  
ჩასტკნენ შენს გულში განუშლელად ეგრე უღროოდ?“  
იგივე მხატვრული სახეა ლექსში „ოკ, სად არიან...“

„თვალწინ მიყრია უკეთესნი ყვაილნი მტკნარნი,  
მომიკვდა ეჭვ-ქვეშ მაცხოვარი თვით სასოება.“

და „ღვლა და შეიღის“ ანუ „ქართულის დღის“ პირველ რედაქციაშიც:

აი იმ დროიდან ერთი სცენა ამოღებული

სადაც გონება ჩვენი ხშირად ერთადა ჰყრუნდა,

სადაც ჭაბუკი ფანტაზია გაღალღებული

უკეთესთ ყვაილთ ქართულის გულში ღზენითა ჰქრეფდა.“

ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ამ სტრაფოთაგან რომელიმეში სიტყვა „ყვაილი“ პირდაპირი მნიშვნელობით იყოს გააზრებული. ამ მხატვრულ სახეებზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ ილიასთან მისი პოეტური შინაარსი იმედს უნდა უკავშირდებოდეს, მისი დატკნობა კი შესაბამისად იმედის დაკარგვას. ამ დასკვნიდან გამომდინარე გადავხედოთ ლექსის „ვიხილუ სატრაფო“ მეორე სტროფს:

„მოვიდა სხვა დღე, – განქრა მის დარდი,

მას ხელთა ეყრა სხვა ტურფა ვარდი,

იმ ვარდს ტრფობითა ის დაპლიმოდა –

და მე კი მაინც ცრემლი მტვიოდა!“

ამჟამად, რომ ამ ვარდს, რომლის სახე საერთოდ არ არის ჰაინეხთან, აქაც ალვეგორიული მნიშვნელობა აქვს. არაერთი იმედის ასეთი ახალი ყვაილი ქპონიათ ქართველებს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. ეგონათ ისიც, რომ რუსეთთან სამეგობრო ტრაქტატის დადება და მჭიდრო ურთიერთობა ააყვავებდა სპარსეთ-ოსმალეთთან ურიცხვი თავდაცვითი ბრძოლებით დასუსტებულ ქვეყანას, მაგრამ, როგორც ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან ჩანს, იგი ამის შესახებ განსხვავებული შეხედულებიხა იყო. ლექსში „რა ვაკეთეთ, რას ეშვრებოდით...“ ილია ამ ისტორიულ ფაქტს ასეთ სატირულ ფერებში აღწერს:

„...უცხო ხალხმა ხელთა გვიგდო,

ქართულის ბედი ბურთსავითა

სათამაშოდ წინ გაიგდო...

...საშველად მოწვეულმა

წავიჭირა თოკი ყელში..."

არასაიმედო აღმოჩნდა პოეტის აზრით იმედის ის ახალი ყვავილი – ის „სხვა ტურფა ვარდი“, რომელსაც „ტრფობით დაჰლიძოდა“ ქართველთა დიდი ნაწილი. ამდენად ალევორიულ პლანში ლექსის პოეტური სემანტიკა საკვებით ჩამოყალიბებულ სახეს ღებულობს. პოეტი წერს მის საყვარელ სამშობლოზე, რომ იგი დასტიროდა მამულიშვილთა უსიყვარულობას და თავის ბედს, დამჭკნარი ჰქონდა იმედის ვარდი; მის ცრემლებს უერთდებოდა ლექსის ლირიკული გმირის ცრემლებიც. შემდეგ თითქოს ქვეყანამ დარდი გადაიყარა და ახალი იმედი გამოუჩნდა. ის ტრფობით და ღიმილით შეჰყურებდა ამ იმედს, მაგრამ ლირიკულ გმირს, როგორც ჩანს, ამისი არ სჯეროდა და ამიტომაც მაინც ცრემლს ჰღვრიდა.

როგორც ვხედავთ, არ არის საჭირო აქ ვინმე კონკრეტული ასულის ვინაობის ძიება. ლექსი ეძღვნება მას, ვისაც „მარად ეტრფოდა“ მისი ავტორი და ეს ცრემლებიც იმავე მიზეზით არის დაღვრილი, რა მიზეზითაც პოემა „აჩრდილის“ წერისას იღვრებოდა. მისი პირველი ვარიანტის ეპილოგში კითხულობთ:

„აჰა, გათავდა!.. ქართველნო, მიცნობთ

ამ ლექსში მწუხარს და მტირალს ქართველს!

შორით, რუსეთით ძმა ძმებს მოგიტხრობთ

მას, რაც არ უშრობს ნამდვილ შვილსა ცრემლს.

ჩენი მშობელი, ტკბილი მამული

ცხადათ წინ მეღვა ბედით მოკლული..."

ამრიგად, ჩენი აზრით, ლექსი „ეზილელ სატრფო“ მთლიანად ალევორიული ხასიათისაა, სატრფოს სახეში მამულია ნაგულისხმევი და ამ მხრივაც იგი არ შეიძლება ჩაითვალოს პაინეს ლექსის თარგმანად ან შემოქმედებითი ჩანაფიქრით მის მსგავს ნაწარმოებად.

იმის გამო, რომ არსებობს მწერლის ამგვარი ლექსები, გვაქვს მხატვრული სახეების და ღრმა ალევორიების შექმნის ასეთი პრეცედენტები, ალბათ აღარ შეიძლება, რომ ყოველ ნაწარმოებში, სადაც სიყვარული, ტრფიალება ან ქალა ნახსენები, აუცილებლად ვინმე, კონკრეტული, რეალურად არსებული ადამიანის სახე ვეძიოთ.

რუსი ქალიშვილის ჩაიკოვსკიას გაცნობამდე და საერთოდ ჯერ კიდევ რუსეთში გამგზავრებამდე დაწერილ ლექსში „ყვარლის მთებს“ უკვე ჩანს პოეტის მოზღვაკებული, უსაზღვრო გრძნობაც სამშობლოსადმი. ცრემლთა ნაკადულიც და უპასუხოდ დარჩენილი ტრფობის უნუგემობაც. იღია ასე მიმართავს მშობლიურ მთებს:

„თქვენ შეგჩიოდით, შეგტიროდით, თუმც კი იმ ჩემს ცრემლს,

როგორცა ეხლა. ისე მაშინ არ სცემდით ნუგემს..."

უძველეს ტრადიციით არის აღსაგებ 1859 წლის 19 თებერვალს დაწერილი  
ლექსი „ვაი მას ვისაც...“

„ვაი მას – ვისაც ვაძლევდი მსხვერპლად  
ჩემს თავს, სიცოცხლეს, გრძობას, სურვილსა,  
ის აღარ ჰყვავის ამა ბნელ ქვეყნად,  
ეხლა ის არის მცხოვრები ცისა!“

გამიქრა ბედის ჩემის ვარსკვლავი,  
კვლავ დამიობლდა ობოლი თავი,  
წამერთო ყველა და ნუგეშად დღეს  
მარტოლა ცრემლნი მე დამშთენიეს.“

წერს პოეტი. ლექსის პესიმიზმი არ უნდა იყოს გამოწვეული პირადული  
ამბებით, რასაც მოწმობს მისი შექმნის წინა დღეს პოეტის მიერ მისი  
ღისადმი მიწერილი ბარათი, რომელიც ზემოთაც ვახსენეთ და რომელშიც  
იგი ერთი ქალიშვილის და მისი მშობლების შესახებ წერს. ბარათის მიხედვით  
ილიას პირადი ცხოვრება კარგად მიედინება. იმ ქალთანაც, რომელიც წერილშია  
ნახსენები და რომელსაც მკვლევარები მის სატრფოდ მიიჩნევენ, კარგი  
ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. როგორც ჩანს ვაებისა და ტანჯვის მიზეზი  
აქაც არა პირადული, არამედ საზოგადო სატყვივარია, ქვეყნის ბედთან  
დაკავშირებული.

უქასუხოდ დარჩენილი სიყვარულის ტანჯვით არის განმსჭვალული  
„ს“-სადმი მიძღვნილი პირველი ლექსიც, რომლის ადრეული ვარიანტი ასე  
იკითხება:

„მაშინ დავსტკებები სრულ სამოთხითა,  
რომ სულ შენ ცისფერს შეეყურებდე თვალს!..  
ვცხოვრობდე მხოლოდ მის გამოთქმითა,  
ჩემ გულზედ ეგრძობდე შენს მშვენიერს თავს,  
ესნთქავდე შენს სუნთქვას მთელისა გრძობით...  
მაშინ, ოხ მაშინ კი დაელოცავ ცას,  
მაშინ აღვივებ გულს წმინდა ლოცვით.“

რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ ტექსტზე დაყრდნობით, ავტორისეული სტილის,  
მხატვრული სახეებისა და მრავალი სხვა, თუნდაც ფსიქოლოგიური ფაქტორის  
გაუთვალისწინებლად, იგი ერთი წაკითხვით მართლაც შეიძლება მოგვეჩვენოს  
რეალურად არსებული ქალიშვილისადმი მიძღვნილ ნაწარმოებად, მაგრამ,  
როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანია, შევამოწმოთ ეს ვერსია და ვნახოთ, ხომ  
არა გვაქვს უფრო მეტი რეალური საფუძველი ამ ლექსის სხვაგვარად  
გააზრებისათვის. დავაკვირდეთ ცალკეულ ფრაზებს და გამონათქვამებს: „მაშინ  
დავსტკებები სრულ სამოთხითა“, წერს პოეტი. ამქვეყნიურ მიწიერ რეალობათაგან  
ილიას ნაწარმოებებში სამოთხესთან არის ხოლმე შედარებული მისი სამშობლო.  
იხ. მაგ. პოემა „აჩრდილი“:

„ვიმ ეს ქვეყანა ხმელეთის თვალი

დიდი სამოთხის კუთხე პატარა...“  
ლექსში „კითხვა-პასუხი“ მწერალი სამშობლოს ათქმევინებს:  
„მე სამოთხე ვარ და თქვენ კი, თქვენ კი!..  
ვაი, ძე ჩემი ბედკრულ-უძლური!“

ერთგან სამშობლო დაკარგულ ედემთან არის შედარებული, იხ...დაკარგული ედემი“:

„ვის უნახავს ის ედემი შლილი...“

ვის უნახავს ის სამშობლო ჩემი?“

რისი თქმა შეიძლება უნდოდეს უცხო ქვეყანაში და უცხო ხალხში მცხოვრებ პოეტს სიტყვებით:

„მაშინ დავსტკებები სრულ სამოთხითა,

რომ სულ შენ ცისფერს შევეურებდე თვალს...“

იმავე 1858 წელს დაწერილ ერთ ლექსში – „უცხოეთში“ პოეტის ნოსტალგია მწვავედ არის გამოხატული მშობლიური ცის მონატრების სახით:

„... და მხოლოდ ჩემი ურვით მოკლული

შემომტირის მე მწუხარედ გული...“

მისთვის ხომ არა, რომ ვსჭვრეტ სხვა ზეცას,

სხვათა უფერულთ ვარსკვლავთა დენას?

თუ მოაგონდა, რომ ერთხელ შეცა

ეგრეთ დამტკერდა სამშობლოს ზეცა,

ზეცა სულ სხვა ფრად გაბრწყინებული

და სულ სხვა რიგად დამშვენებული.“

ამ პერიოდის ლექსების სტილზე, მათ მხატვრულ სახეებზე დაკვირვებიდან გამომდინარე სავესებით შესაძლებელია, რომ „ცისფერ თვალში“, რომლის მუდმივ ცქერასაც ნატრულობს პოეტი, სამშობლოს ზეცა იგულისხმებოდეს. ეს ერთგვარად ჩანს კიდევაც ბოლო ტაეპის ემოციურ ამოძახილში:

„მაშინ, ოხ მაშინ კი დავლოცავ ცას,

მაშინ აღვივებ გულს წმინდა ლოცვით.“

ფრაზაში – „ჩემ გულზედ ვგრძნობდე შენს მშვენიერს თავს...“ გამოხატულის მსგავსი აღგვირგობის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი ლექსის „სიზმარი“ განხილვის დროს, იხ. „მსურდა შემეპყრა, გულსა მიმეპყრა...“ მსგავსი აღგვირგობა „მგზავრის წერილებშიც“: „იქნება (ჩემმა ქვეყანამ) მიმიღოს კიდევ და, როგორც თავისი შეილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგლოს ყური, მაგრამ შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ეუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვეურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგემოს ნუგეში მოეფინო, მტირალს ცრემლი მოეწმინდო...“

ახლა ვნახოთ, რამდენად შესაძლებელია, რომ სამშობლოსადმი მიძღვნილ ლექსში იყოს ისეთი გამონათქვამები, როგორებიც გვხვდება ამ ნაწარმოების მეორე ვარიანტში: „როს ვით მე გეტრფი, შენცა მეტრფოდე...“ თუკი ლირიკულ ნაწარმოებში შეიძლება, რომ ქვეყანა ცრემლს ჰღვრიდეს, კენსოდეს, მშველელს

დახდეს. ცხადია, რომ მას შეიძლება გააჩნდეს გრძობა და აქედან გამომდინარე, სხვისი გრძობის გაზიარების უნარიც, რადგან ქვეყანა სხვა რა არის, თუ არა – ხალხი, მისი თანამემამულეები. ამას მოწმობს ლექსის ერთი ტაეის ვარიანტული წაკითხვა: „მაშინ... მაშინ კი მე ვირწმენ კაცსა...“ აქ რომ ერთი კონკრეტული ქალისადმი ტრფობა იყოს გამოხატული. მაშინ ეს ფრაზა შეუსაბამო იქნებოდა.

სიტყვებში: „როს ვით მე გეტრფი, შენცა მეტრფოდე“, განსხვავებული მხატვრული გამომსახველობით იგივე აზრი უნდა იყოს გამოთქმული, რაც ლექსში „დაე თუნდ მოკვდე...“ სადაც პოეტი ამბობს, სიკვდილის არ მეშინია. ოღონდ „ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმა“ ნახოს ჩემი ნაკვალევი, რასაც ვთავაზობ მოიხმაროს და სამარეში მაინც ჩამომძასოს, რომ ამაოდ არ მიზრუნია მასზეო. ვფიქრობთ, რომ თანამემამულეთა ამგვარ დამოკიდებულებაში. მათ მიერ მისი შემოქმედების სწორ აღქმაში ხედავდა ილია სატრფოს თანაგრძობას მის სიყვარულზე. ეს აზრი მით უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება იმით, რომ ამ ლექსების დაწერის თარიღებს სულ რაღაც ერთი თვე აშორებს ერთმანეთისაგან.

რამდენად შესაძლებელია, რომ სიტყვებში: „ქალწულების კრთომით, მორცხეობით მე შენს სიყვარულს მეუბნებოდე“ სამშობლო იგულისხმებოდეს? ქალწული საერთოდ სახეა უბიწოებისა და სიწმინდისა და სავსებით შესაძლებელია, რომ იგი რაიმე წმინდას, თუნდაც ცოდვებისაგან განწმინდილ ერს განასახიერებდეს. ასეა მაგალითად ვახტანგ ორბელიანის ნაწარმოებში „იმედი“ ლირიკულ გმირს თითქოს ვერ გაურკვევია, ვინ მოეჩვენა მშვენიერი ქალწულის სახით და ეკითხება:

„ხარ ანგელოზი სამოთხითგან გადმოფრენილი...“

ან ხარ სატანა...

ან ხარ ასული ამ ქვეყნისა, ვით სხვა ასული,

მაგ ლამაზ მკერდექვეშ, როგორც სხვათა, შენც გიძგერს გული...“

ვახტანგ ორბელიანის ამ ლექსის გახსენება განსაკუთრებით საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ილიას აზრი მის შესახებ და ლექსის ალეგორიულ სახეთა მისეული ხედვა. პოეტი აღნიშნავს, რომ ეს ტურფა ასული ლექსში იმედს განასახიერებს – იმედს, რომელიც ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე ქვეყნის ბედნიერ მომავალს უკავშირდება. საერთოდ ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში ძალიან ხშირია სამშობლო ქვეყნის ტურფა ასულთან, სატრფოსთან ასოცირება. ამის შესახებ კვეთნება საუბარი.

იმ ასულზე, რომელიც ორბელიანის ლექსში იმედს განასახიერებს, ვკითხულობთ: „გრძობითა სახე უბრწყინავდა, უძგერდა გული...“ და თუკი ქვეყნის იმედის ალეგორიული სახის შესახებ ამის თქმა შეიძლება, რა თქმა უნდა, ისიც არ არის გასაკვირი, რომ ასევე ალეგორიულ ლექსში ილია ჭავჭავაძისთან ქალწულს, რომელიც იმავე სამშობლოს განასახიერებს,

ქალწულებრივი კრთომა და მორცხეობა ეტყობოდას. პოეზია, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა მრავალმნიშვნელოვნად – პოეზია და მას გამომსახველობის ნატურალისტური სიზუსტე არ უნდა მოეთხოვოთ. ქალწულ იმედს შეუძლია დაამძვილოს ამ პოეტური წარმოსახვის ავტორი! – ვახტანგ ორბელიანი. ქვეყნის ბედნიერი მომავლის წინასწარმეტყველებით და ასევე ქალწულის სახეში განხორციელებულ სამშობლოს პოეტურ ხატსაც შეუძლია ამ მხატვრული სახის ავტორს – ილია ჭავჭავაძეს სიყვარულზე სიყვარულით უპასუხოს, რაც არ უნდა გვაკვირებდეს. ეს ზომ პოეზიაა...

„მე დაგყურებდე ტრფიალებითა...“ კეთილშობილ ლექსი „ს...ს“ მეორე ვარიანტში და არ შეიძლება არ მოგვაგონდეს 1858 წლის მიწურულშივე დაწერილი პოემა „აჩრდილის“ პირველი რედაქციის კიდევ უფრო ხატოვანი შედარება:

„სულ საქართველო მოჩანდა შორსა...  
და ის მოხუცი, როგორც სატრფოსა,  
თვალითა სჭამდა, თრთოლით უმზერდა,  
და უფრო, უფრო გული უბგერდა.  
საქართველოცა თვის უხვ სიმდიდრით,  
თვის მინდვრებითა გარდიშლებოდა  
და მას ტრფიალსა ზღვანი ორივე მხრით  
როგორც საყვარელს გარდახვევოდა.“

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, კონტექსტიდან მოწყვეტილ ამ სტროფებში საქართველო რომ არ ყოფილიყო ნახსენები და ქარაგმა გექანოდა. ალბათ მისი პოეტური სემანტიკა და დელაბზრი ბევრად უფრო ძნელი ამოსაცნობი იქნებოდა.

როგორც ვხედავთ, ქარაგმანი სათაურის მქონე ლექსში წარმოდგენილის მსგავსი მხატვრული ასოციაციები პოეტის იმ პერიოდის ნაწარმოებებში უჩვეულო არ არის. სამშობლოს ხატი და სატრფოს სახე ერთი და იგივეა. მართალია, აჩრდილი პოემაა, მაგრამ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ იგი ლირიკული პოემაა. ნაწარმოების შესავალშიც და ეპილოგშიც პოეტი რამდენჯერმე გვიმეორებს: „ჩემს გულის წვასა“, „ჩემს ტანჯვასა და ჩემს ფიქრს“ მოგითხრობთ ეს პოემაო. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზემოთ განხილული ციტატაც სწორედ მისი თვალებით დანახულ საქართველოს აღწერს.

„მწყუროდეს, მაგრამ კრძალულებითა მე შენთვის კოცნაც ვერ გამებედოს...“ ამბობს პოეტი იმავე ლექსში და რომ მსგავსი რამის თქმა არა მარტო პირდაპირი, არამედ ალვეგორიული მნიშვნელობითაც შეიძლება, ამას მოწმობს „აჩრდილის“ იმავე ვარიანტის კიდევ ერთი სტროფი, სადაც ყაზბეგის მთის შესახებ ნათქვამია:

„იმ მორჭმულს მოხუცს თვით მთიებთ კრება  
თითქოო კრძალვით ეაღერსება!“

როგორც ვხედავთ, მხატვრულ სახეთა ღრმა ალგეორიულობა ილია ჭავჭავაძის პოეზიაში ჩვეულებრივი მოვლენაა და თუ „მთიებთ კრება“ კრძალვით ეალერსება მთას, პოეტური წარმოსახვისათვის არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ მწერალს სატრფოს სახეში წარმოჩენილი ქვეყნისათვის კრძალვით კოცნა ვერ გაებუდოს.

წარმოდგენილი ლექსის სხვადასხვა ვარიანტებზე მწერლის მუშაობის შემოქმედებითი პროცესის შესწავლის შედეგად მკვლევარი ლაღო მინაშვილი მივიდა ასეთ დასკვნამდე: „...თითქოს პოეტი თრგუნავს თავისსავე თავში ტრფობის მიწიერ მხარეს, თითქოს ცდილობს, რომ სატრფოშიც მხოლოდ სულიერი სიფაქიზე ექებოს და იხილოს.“<sup>1</sup> ლექსის სხვადასხვა წყაროებზე დაკვირვება მართლაც ამკარას ხდის, რომ მწერალს აქცენტები სულ სულიერზე გადააქვს, მაგრამ ამის მიზეზი სწორედ ლექსის ალგეორიულობა უნდა იყოს. ნაწარმოების პირველ ვარიანტში ეს მხატვრული სახე ისე იყო წარმოჩენილი, რომ ლექსის გამოხატვის პლანი ძალიან დამორებული იყო მის შინაარსს და მწერლის შემოქმედებით ჩანაფიქრს. თითქმის არ ჩანდა კვალი იმისა, რომ ლექსი სამშობლოს ეძღვნება. გვიანდელ ვარიანტში მწერალი შეეცადა წონასწორობის დაცვას ამ ორ პლანს შორის. ამისათვის მან პირველი ვარიანტის ფორმები ჩანაფიქრისათვის უფრო შესაფერისი ელფერის მქონე გამომსახველობითი საშუალებებით ჩანაცვლა.

ლექსში „ს...ს“ წლების სიმრავლითა და მანძილის სიშორით გამოცდილი უსასრულო ტანჯვა-ვაების აღმძვრელი გრძნობა ჩანს და არა მსუბუქი გატაცება, ხიბლი და მოწონება, როგორც ჩვეულებრივ სატრფიალო ლექსებში. მისი პირველი ვარიანტი დაწერილია იმავე დღეს, 1858 წლის 15 დეკემბერს, როდესაც შეიქმნა პოეტის კიდევ ერთი შედევრი „ქართულის დედას“. მართალია, ქართულის დედის სახე ბევრად უფრო ოლი აღსაქმელია, ვიდრე ალგეორულად სატრფოს სახით წარმოდგენილი სამშობლოს ხატი, მაგრამ ორივე ლექსი ერთი და იმავე პატრიოტული გრძნობით არის ნასაზრდოები და ორივე შექალაქდებს საქართველოს მომავალს. დედამ უნდა შობოს და აღზარდოს ეს მომავალი ისე, როგორც ეს „ქართულის დედაშია“ აღწერილი და იგი უნდა იყოს ისეთი წმინდა, უმანკო და საკრძალველი, როგორადაც არის ლექსში „ს...ს“

საყურადღებოა, რომ ლექსის „ს...ს“ პირველი რედაქციის დაწერიდან 15 დღის შემდეგ, არც კი ვიცით, ამ ლექსის მეორე რედაქციის დაწერამდე თუ უფრო გვიან, მწერალმა იმავე სათაურით – „ს...ს“ დაწერა ფაქტიურად ახალი ნაწარმოები:

„მას აქეთ, რაც შენ მე შემიყვარდი,  
აღარ შორდება ჩემ გულსა ურვა,  
უიმედობის ჰკლავს იმას ღარდი

1. ლაღო მინაშვილი, ილია ჭავჭავაძის ლირიკა, გვ. 111

და ჩემს ბელზედა უბოლო მღურვა.  
მე შენ ვერ გასმენ ჩემსა ტანჯვასა,  
მას. რაც ნელ-ნელათ მითხრის საფლავსა.  
შენ წინ დაეფარავ თვალში მთრთოლარს ცრემლს,  
შობისა უმალ მოვკლავ ოხვრას ჩემს...  
არა, ვერ გასმენ, მას. რაიც შობავს  
იმ ცრემლის გუბებს, იმ ოხვრის სუნთქვას.  
ჩემ საწყალ გულთან ეს სიყვარული,  
შენგან ჩაგრული და განგდებული,  
წავა, საფლავში დაიმარხება  
ისე, რომ არც კი დაგემღურება.“

მოგვიანებით მწერალმა ლექსის ერთ-ერთი ავტოგრაფი გადახაზა და, როგორც აღვნიშნეთ, მიაწერა – „რიტორიკა“. ეს ავტორისეული შეფასება რომ უკეთ გავიგოთ, გავიხსენოთ რიტორიკისადმი მისი დამოკიდებულება. კრიტიკულ წერილში „პასუხი“ ილია ჭავჭავაძე კიცხავს თ. ერისთავის „რიტორიკულს აღფრთოვანებას და სიტყვიერებას“, იგი ირონიულად იხსენიებს „ანბანთ თეორეტიკას, რიტორიკას და სხვა საგნებს“, ჩვეული სატირული კილოთი ექნწლავს რიტორიკას „კაცია, ადამიანის“ შესავალშიც. ცხადია, რომ ილია უარყოფითად უყურებდა ხელოვნებაში რიტორიკის ტყვეობას – გადაჭარბებულ მჭევრმეტყველებას, „ბრტყელ სიტყვებს“ და სათქმელის ბუნდოვანებას. ამიტომ მისთვის შეფასება „რიტორიკა“ ან „რიტორიკა უშვერი“, რომელიც მიუწერია მისივე ხელით გადახაზული ლექსის – „პავლოვსკის პარკისათვის“, ძალიან მკაცრი განაჩენია. მსგავს შეფასებას აძლევს პოეტი 1864 წელს კირილე ლორთქიფანიძისადმი მიწერილ ბარათში პოემა „ქართულის დედის“ ადრეულ რედაქციასაც.

ლექსი „ს...ს“ რომ ქალისადმი იყოს მიძღვნილი და არავითარ ალეგორიასთან არ გვეკონდეს საქმე, მაშინ გამორიცხული იქნებოდა ყოველგვარი რიტორიულობა და მასში გადმოცემული განცდები მარტივი გასაგები იქნებოდა, მაგრამ ამ ლექსსაც, ჩვენი აზრით, იგივე ეროვნული გრძობა უდევს საფუძვლად, რაც „პავლოვსკის პარკს“ და „ქართულის დედას“. ზედმეტი მჭევრმეტყველება და ჩანაფიქრის ბუნდოვანება კი გამოწვეულია მხატვრულ სახეთა ღრმა ალეგორიით და მათში ეროვნული სულისკვეთების შეფარვის სურვილით.

თუ „ს...ს“-ადმი მიძღვნილი პირველი ლექსის მხატვრული სახეების ამოსაცნობად მწერლის რამდენიმე სხვადასხვა ნაწარმოების ციტირება დანაღიზი დაგვეჭირდა, იმავე დასათაურების მქონე მეორე ლექსის თითოეული ტაეპი პირდაპირ შეგვიძლია შევედართო მწერლის მიერ პატრიოტულ თემაზე შექმნილ ცნობილ შედევრს „მას აქეთ რაკი...“

ორივე ლექსში გამოთქმულია, რომ პოეტის წუხილი და ტანჯვა გამოწვეულია სიყვარულით, შდრ.:

„მას აქეთ რაც შენ მე შემიყვარდი



ადარ შორდება ჩემს გულსა ურვა...“

და: „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,

ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შეება...“

როგორც ვხედავთ, მსგავსება აშკარაა, მაგრამ მწერალს შეუტანია ერთი დამატებითი ნიუანსი. გამოთქმით „ვცან სიყვარული“ „შემიყვარდის“ ნაცვლად მან არაჩვეულებრივი სიფაქიზით მიგვანიშნა, რომ თვით სიყვარული მამულისა ამ გრძნობის გაცნობიერებამდე კიდევ უფრო ადრე იბადება. იგი ალბათ გენეტიკურადაც დაყვება ქართველს და შემდგომშიღა ცნობიერდება.

ორივე ნაწარმოების მიხედვით ტანჯვის მიზეზი არის ის, რომ ავტორი თავის გრძნობას ვერ უზიარებს, ვერ უმხელს მას, ვისდამი სიყვარულითაც არის განმსჭვალული, შდრ.:

„მე შენ არ გასმენ ჩემსა ტანჯვასა...“

არა. ვერ გასმენ მას, რაიც შობავს

იმ ცრემლის გუბებს, იმ ოხერის სუნთქვას...“

და: „შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არის,

რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გაუუზიარო!..“

ასეთი მდგომარეობა ორივეგან საეკლავლო შედეგისაკენ მიდის, შდრ.:

„ნელ-ნელათ მითხრის საფლავსა...“

და: „ეგრედ კშვრება ჩემი ცხოვრება...“

საერთოა ის განწყობაც, რომ პოეტი საბოლოოდ მინც არ უჩივის ბელს, შდრ.:

„წავა, საფლავში დაიმარხება

ისე, რომ არც კი დაგემღურება...“

და: „და მე არ ვჩივი, მიხარიან...“

საინტერესოა, რომ ლექსში „მას აქეთ რაკი...“ შეტანილია ის ცალკეული აზრები და მხატვრული შედარებებიც, რომლებიც მესამე სტროფის სახით დამატა 15 დეკემბერს დაწერილი ლექსის „ს...ს“ მეორე ვარიანტს. ერთნაირი სათაურები და დაწერის თარიღების სიახლოვე უფლებას გვაძლევს, რომ ის სტროფიც შევადაროთ იმავე ლექსის „მას აქეთ რაკი...“ ტექსტს:

„ვიმ მაგ შენს ნარნარს გულისცემასა,

ვით ლოცვის ბგერას ღმობით ვისმენდე...“

და: „შენს ძარღვისცემას მე ყურს ვუკლებ სულგანაბული,

ღამე თენდება ეგრედ ჩემი და დღე ღამდება...“

შეადარეთ აგრეთვე:

„და ცოდვილთ ფიქრთა ზედმოსევასა

შენის სიწმინდით ვიკერიებდე...“

და: „დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის გროვდება...“

აშკარად ჩანს, რომ მწერალს ლექსი სათაურით „ს...ს“ კი არ უარუყვია, არამედ გადაუშუშავებია, დაუხვეწია და არაერთხელ გამოუქვეყნებია კიდევ ისევე უსათაუროდ, როგორც „ს...ს“-ადმი მიძღვნილი პირველი ნაწარმოები

და არაერთი სხვა პატრიოტული ლექსი.

მკვლევარი ლადო მინაშვილი ლექსის „მას აქეთ რაკი...“ წყაროების ანალიზისას დასძენს, რომ მის ადრეულ ვარიანტს ვიწრო ხასიათი და სენტიმენტალური ელფერი აქვს. შეიმჩნევა სწრაფვა მკვერმეტყველებისაკენ და გრძნობის ერთგვარი გაურკვევლობა. ის, რაც ამ ლექსთან დაკავშირებით არის თქმული, კიდევ უფრო ამკარად არის გამოხატული ლექსის პირველ რედაქციაში სათაურით „ს...ს“. ილიას ამ ტექსტზე დიდი მუშაობა ჩაუტარებია, ბევრი რამ შეუცვლია, გაუმჯობესებია, მაგრამ ზედმეტი რიტორიულობის მიზეზი აქაც იგივე იყო, რაც „ს...ს,“ადმი მიძღვნილ პირველ ლექსში. მისი დაძლევა აქ მოხდა იმის საშუალებით, რომ ამკარად გამოიხატა ტკივილის მიზეზი და, რაც მთავარია, გამოაშკარავდა ადრესატი. პირდაპირი მიმართების საშუალებით: „პოი, მამულო“ და „მაგრამ, მამულო...“ ფარდა აესადა ლექსის იდუმალებას.

იმას, რომ პოეტურ ნაწარმოებში ზედმეტ რიტორიკულობას იწვევს ალგორიზაცია, მოწმობს კიდევ ერთი ასეთი ფაქტი. პოემა „ქართლის დედის“ პირველ რედაქციაშიც რამდენიმე ადგილას ძალიან უსკრხულად იყო დაფარული საუბრის ობიექტი:

„ძლიერო სიტყვაე! ეთობბ დედასა, შენთან ვერთდები...“

„პოი, ძლიერო, დიღო სიტყვაე! შენს ღვთიურს ძალსა

ვინ დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ ჩვილ ქალსა...“

აღბათ ამიტომაც იყო, რომ მის შესახებაც იმავე ამბობდა მწერალი – „მიგადაშიე უფრო რიტორიკაო...“ გვიანდელ რედაქციაში აქაც, ისევე, როგორც ლექსში „მას აქეთ რაკი...“ მოხდა სათქმელის პირდაპირი გასქლავნება, ამ დიდი სიტყვის დაუფარავად გამოცხადება და ამდენად თავიდან აცილებული იქნა ზედმეტი რიტორიკულობა:

„ეჰა, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა

რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა...“

ლექსებში სათაურით „ს...ს“ რომ პოეტურ სახეთა სიდრმესთან და ალგორიულობასთან გვაქვს საქმე, ამას მოწმობს კიდევ ერთი გარემოება. პირველი ლექსი – „მაშინ დავსტკბები...“ თავის კიდევ ორ ლირიკულ ნაწარმოებთან – „ვიხილე სატრფო“ და „ჩემო მკვლელო...“ ერთად პოეტმა დასაბეჭდად გაუგზავნა კირილე ლორთქიფანიძეს და თან მისწერა: „რაკი არ მომეშვი, აი, „ტრფიალების“ ლექსს ჩემსას გიგზავნი... თუ ჭკვაში მოგივიდეს, დაბეჭდე. ხანდისხან ამისთანა ლექსებიც ქსდომებია ამ უდარდელს და ცრუდ-მოტრფიალეს ქვეყანას.“ წერილის გადაკრული ტონი და პოეტის მიერ სიტყვის „ტრფიალებისა“ ბრჭყალებში ჩასმა გვაფიქრებინებს, რომ მინიშნება ეხება დაქარაგმებული სათაურის მქონე ნაწარმოებს „ს...ს“ და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მასში პოეტურ ალგორიასთან გვაქვს საქმე.

კირილე ლორთქიფანიძე ხშირად აქვეყნებდა ხოლმე ილიას ნაწარმოებებს თავის კრებულებში და ისინი ერთად აწყობდნენ გეგმებს, რა როგორ

შეპარებასთ ცენზურისათვის. ამას მოწმობს შემდეგი ფრაზები კირალესადმი მიწერილი ილიას სხვა წერილებიდან: „ლონდ ეგ დაბეჭდოს და შეიძლება ცენზორს ბერი დაუთმოს“. ეხება სტესტას „ზოგიერთი რამ“. „ვეცი, რომ არ დაბეჭდვენ. თუნდ მანდ როგორმე მოახერხო და ნებართვა აიღო. აქ მთელს წიგნს ავიკრძალავენ“. ეხება პოემას „რამდენიმე სურათი...“ ასეთი მიმოწერისა და ურთიერთობის პირობებში კირილე ლორთქიფანიძეს არ გაუჭირდებოდა პოეტის გადაკრული ნაბეჭდის გაგება და ვიომბა სატრფიალო ლექსში ეროვნული სულისკეთების, სატრფოს სახეში კი მამულის სათაყვანებელი ხატის ამოცნობა.

როგორც ვხედავთ. მცირედ თუ მნიშვნელოვნად შეცვლილი სახით, მწერალმა მაინც მოახერხა სათაური „ს...ს“ მქონე ორივე ლექსის გამოქვეყნება. მაგრამ სათაური აღარ მიუცია. შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რა საჭირო იყო ლექსში სამშობლოსადმი ძღვნის დაქარაგმება, მაგრამ გასაკვირი აქ არაფერია. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ჩვენში ერიდებოდნენ არა მხოლოდ საყვარელი ქალის სახელის გამჟღავნებას, არამედ ეროვნული გრძნობისასაც. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ვახტანგ ორბელიანს პატრიოტულ, ალგორითულ ლექსში, სადაც სამშობლო ასევე სატრფოს სახით არის წარმოდგენილი, მდინარის სახელი აქვს დაქარაგმებული – იხ. ლექსი „მდინარე ა...ს“

აქედან გამომდინარე, საკვებით შესაძლებელია, რომ ლექსები სათაურით „ს...ს“ ეძღვნებოდეს „ს-ამშობლო-ს, „ს-აქართველო-ს“ და სათაურის ამგვარი დაქარაგმება, ბოლოს კი საერთოდ უსათაუროდ დაბეჭდვა, გამოწვეული იყოს ცენზურის მიერ მათი დაბეჭდვის აკრძალვის შიშით.

„...ყოველივე ბუნებისაგან, სიცოცხლისაგან აღმოჩენილი შეიძლება პოეზიის საგნად იყოს, მაგრამ პოეზიის აზრი, პოეზიის არსი ის არის, რაც დამალულია იმ აღმოჩენილს საგანში.“ „პოეზია და სწავლა მძაფრის სიმძლავრით განეყოფებიან იმასა, რასაც ვეძახით „ნამდვილ“ მეცნიერებას: რომელიც განმსჯელობისა და იქნება თვალწინ წარმოდგენის მეტსა არაფერს მოითხოვს ადამიანისგანა.“ „როდესაც ხელოვნებითი თხზულების საგანის მიხვედრაზე ან სხვადასხვანაირს დარწმუნებაზე და კილოზე მოხდება ცილობა“, ჭეშმარიტი აზრის დასადგენად გულისხმიერებაა საჭიროო. „პოეზიის მიხვედრა არის სულის საქმე“, – თარგმნიდა და განმარტავდა ილია ბელინსკის სიტყვებს პუბლიცისტურ წერილში „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“, სხვაგან კი, სტატიაში „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“ ასევე ღრმად და საფუძვლიანად უხსნიდა ლექსის წერით გატაცებულ ყმაწვილებს პოეზიის არსს: „პოეზია საგრძობელია და არა საცნობელი. იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულისთქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ღზინთა, ერთის სიტყვით ხილულთა და არა ხილულთა.“ „ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო – ერთი დიდებული წიგნია უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი – ხატებითა და სურათებითა...“ პოეტის ეს სიტყვები თითქოს გვკარნახობს, რომ თუ ლექსებს სათაურით „ს...ს“ მარტივად,

სიტყვა-სიტყვით აღვიქვამთ, ამ „დიდებულ წიგნს“, დაწერილს „ხატებითა და სურათითა“, მივიღებთ, როგორც უხატებოს და უსურათოს, რის გამოც ამოუცნობი დაგვრჩება ავტორის ჩანაფიქრი.

ასეთი გაუგებრობა პოეზიასთან დაკავშირებით გამორიცხვადი რომ არ არის ხოლმე. აკაკი წერეთელმა ლექსში „შიქასტა“ ალბათ ამიტომ გააფრთხილა მკითხველი:

„ნურენ სცდილობს, იმ ცრემლებში  
ნახოს კერძო სიყვარული!  
იქ იქნება საიდუმლო,  
გულგამხეთქი, დაფარული!  
ყოველს წვეთში ტანჯვას ნახავს  
საქართველოს გამომხატველს  
და მწარესა ნაკადულში  
გრძელ მოთხრობას, გულის დამწვევლს.“

სამწუხაროდ, ილიას ხსენებულ ლექსებს ავტორისეული ამგვარი კომენტარი არ ახლავს. ამიტომაც დავინახეთ მათში „კერძო სიყვარული“. „ს...ს“ სათაურის მქონე პირველი ლექსი კი „ქალის იდეალიზაციად“ იქნა მიჩნეული (ვახტანგ კოტეტიშვილი).

ჩვენს მიერ განხილული ერთნაირი ქარაგმული სათაურის მქონე ორი ლექსიდან ერთი პოეტისაკვე შეფასებით რიტორიულია. ნაწილობრივ იგივე ნაკლი აქვს მეორესაც, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს გამოწვეულია იმით, რომ მათში შეფარულია ის „დიდი სიტყვა“, რომლისადმი სიყვარულის გაცხადებაც ცენზურის პირობების გამო ყოველთვის არ ხერხდებოდა. ამრიგად, სათაურის ქარაგმაში „ს“ – „ს-აქართველო“ ან „ს-ამშობლო“ უნდა ვიგულისხმობთ – ჩვენი მამული, ის ერთადერთი ვარსკვლავი, რომელსაც ასე ეტრფოდა მარად მისი ერთგული შვილი – ილია ჭავჭავაძე.

### ცხოვრების ზღვაში

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში საინტერესო სურათს ქმნის მდინარის, ზღვის, ტბის, გუბის, წყაროს სახეები, რომლებიც მწერლის თხზულებებში მხატვრულ შედარებაზე დამყარებული სხვადასხვა სტილისტური ხერხების მეშვეობით წარმოჩინდება. ისინი მწერალს ზოგჯერ შეპირისპირებით, კონტრასტულად აქვს ნაჩვენები, მაგ. მდინარე – ზღვა, გუბე – წყარო; ზოგან ამ სახეების ბუნების გახსნით წარმოგვიჩენს მათთან ასოცირებული რეალური მოვლენების შინაგან წინააღმდეგობებს, მაგ. თერგი ელადიკაეკაზს იქით და სტეფანწმინდასთან. გვხვდება თითოეულ ამ მხატვრულ სახესთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა სახეებიც, მაგ. ზღვა – ნაღი, გუბე – მყრალობალაზი. თერგი – კალმახი და სხე.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მდინარის მეტაფორულ-ალეგორიული

სახე პირველად გამოჩნდა ლექსში „სიმღერა“ (1858 წლის 4 ივნისი). მასში თავიდანვე ცხადად გამოიკვეთა, რომ ლაპარაკია „ცხოვრების დინებაზე“, „ცხოვრების მდინარეზე“ და არა შესაბამის გეოგრაფიულ ცნებაზე. ცხოვრების ასოცირება, მისი შედარება მდინარესთან, ხატოვნად ჩანს მწერლის პუბლიცისტიკაში. წერილში „საქართველოს მოამბეზე“ ვკითხულობთ: „დროა (ხელოვნება) ჩაეღვს ცხოვრების მდინარის ძირშია და იქ მონახოს შიგამდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის.“ სტატიაში „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს...“ კი ვხვდებით ასეთ ფრაზას: „ყოველი ჩვენი უკეთესი იმედი... ცხოვრების მღვრიე წყალთა ღენას წაულამავს, წაულეჭნია...“ თვით სიტყვაც „მიმდინარეობა“ და მისგან წარმოებული სხვა ლექსიკური ერთეულები სწორედ ამ მხატვრული ალევორიის საფუძველზე ჩანს წარმოქმნილი და ისიც „-ება“ და „-ობა“ ბოლოსართით ნაწარმოებ მრავალ სხვა „სიტყვასავეთ“ ილიას დამკვიდრებული უნდა იყოს.

მდინარესთან ერთად ლექსში „სიმღერა“ პირველივე სტროფიდან იკვეთება „ნავის“ სიმბოლურ-ალევორიული ხატიც:

„სად მიგყვარ, მდინარე,  
მოწყენილ სიცოცხლისავე!  
ჩემს მცირეს ნავს რას არხვე,  
ზვირთო წუთისოფლისავე!“

ამ ნაწარმოებში გამოყენებული ზღვისა და ნავის მხატვრული სახეების და თვით თემის შემდგომი განვითარება ხდება რამდენიმე თვის შემდეგ, 5 ნოემბერს დაწერილ უსათაურო ლექსში „მარტო მივცურავ...“ იმ განსხვავებით, რომ აქ აღარ ჩანს მდინარის სახე. მცირე ნავი ლირიკულ გმირთან ერთად აზვირთებულ ზღვაშია მასთან პირისპირ დარჩენილი:

„მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში,  
თითქო უსურვლოდ და უფიქრელად,  
და ზღვის ღელვაში, გრიგალთ ქროლაში  
არარა აქვს რა ჩემს გულს იმედად...  
ზვირთი ზვირთზედა ჩემკენა სრბიან,  
ჯერ ჩემს მცირეს ნავს ზედ ასქლებიან  
და, ეუჭვრეტ რა მე ჩემ ნავის რხევას,  
ეუცდი ანუ მის, ანუ ზღვის ძლევას.“

ამ ლექსის მიხედვით საფრთხე, რომელიც ნავს ემუქრება, უფრო გაძლიერებულია, რადგან ზღვამ შეიძლება ერთი დარტყმით შთანთქას იგი და გააქროს მისი ნაკვალევიც კი. მაგრამ ლექსის ფინალში, მოსალოდნელ უბედურებასთან დაკავშირებულ ტკივილიან განცდებთან ერთად, მაინც გამოსჭვივის ერთი მნიშვნელოვანი რამ — ტრაგედიის მიზეზის და მასში საკუთარი წვლილის გაცნობიერება. ჩანს სინანული, რაც ხშირად შვების და

1. ზურაბ ჭუმბურიძე, ილია ჭავჭავაძის ენა და ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი, 1994. გვ.57

გადარჩენის საწინდარია ზოლბე.

„თუ ვერე წარეხდე, ნუ ატირდები,

მე იმ ცრემლებად არ ველირები!“

ამბობს პოეტი და მიუხედავად ლექსში დახატული თითქოსდა გამოუვალი მღვდმარეობისა, ამ ფინალურ აკორდში მინც ჩანს, რომ ის სულიერად არ დანებებულა – არ „წამხდარა“.

ნავის, გემის, ტივის მხატვრული სახეები არაერთგზის არის გამოყენებული მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ლიტერატურაში. ასეთი ალევორიები ხელსაყრელ საშუალებას იძლევა ვრცელ და უცხო გარემოში მასთან შეპირისპირებული, განსხვავებული მიკროსამყაროს წარმოსაჩენად. ეს სახეები სხვადასხვა მწერლებს სხვადასხვაგვარად აქვთ გამოყენებული – განსხვავებული განცდებისა და აზრების გამოსახატად. ზოგის ნავს აფრა აუშვია და ქარიშხლებს ეძებს (იხ. ლერმონტოვის „ილქანი“) ზოგისა უშიზნოდ დაეხეტება თვალწუნდენელ ოკეანეში (იხ. არტურ რემბო, „მოფრალი ზომალდი“), ვინ შუაგული ზღვისაკენ ისწრაფვის, ვინ კი – ნათსაყუდარს ეძებს. სპირი იყო ამ მხატვრული სახეების გამოყენება ქართულ პოეტებთანაც.

„ჩემი ნავი ნაღვლის ზღვასა

შევაცურე სარგებელად.

ან დაეინთქმი, ან მარგალიტს

ამოვიღებ, ვივლებ ზელად.“

წერდა დიმიტრი ყიფიანი. როგორც ილიას პუბლიცისტური წერილიდან ჩანს, მას ეს სიტყვები სახელოვანი ქართველი მამულიშვილის ცხოვრებისეულ კრეოდ კჷონდა აღქმული.

ნავის პოეტური სახე არის ბარათაშვილთანაც:

„ცხოვრების წყაროვ, მასე წმიდათა წყალთაგან შენთა,

დამინთქე მათში საღმობანი გულისა სენთა,

არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა.

არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა.“

ამ სტროფის შესახებ ილია ასეთ აზრს გამოთქვამს, ავტორმა „მიჰმართა სარწმუნობას, იქნება ამან მინც შემიკედლოს და დამინთქას საღმობანი გულისა სენთაო...“ ჩვენს მიერ ციტირებულ ამ ორ ქართულ ლექსში საგრძნობლად არის გამოკვეთილი ნავისა და ლირიკული გმირის ერთიანობა. ეს ნავი გმირისაგან განცალკევებით არ აღიქმება. „ჩემი ნავი“ და „მე“ ცალკე-ცალკე ნახსენები არ არის, მაშინ, როდესაც ილიას ლექსებში ნავისა და გმირის სახეები აშკარად სხვადასხვაა. ყიფიანისა და ბარათაშვილის ლექსებისაგან განსხვავებულ ელფერს აძლევს აქ ნავის სახეს მისი მუდმივი მსაზღვრელი „მცირე“. საყურადღებოა ისიც, რომ ლირიკულ გმირს იგი თავისი ნებით არ შეუცურებია არც ზღვაში და არც მდინარეში. ამრიგად, ილიას ამ ლექსებში გამოიკვეთა სამი ძირითადი ელემენტი: ლირიკული გმირი, ნავი და ზღვა. ნავს გმირისათვის აქვს ერთგვარი თავშესაფრის

ფუნქცია და წარმოადგენს მკვიდრ გარემოს მისთვის, ზღვა კი — პირიქით, არასასურველი, უცხო და აგრესიულია. ლექსების მიხედვით ნავის სახე ძალიან დაწვრილებით არ ჩანს, მაგრამ აშკარაა, რომ ლირიკული გმირი თავის ბელს აბსოლუტურად აკავშირებს მასთან. რა შეიძლება იგულისხმებოდეს ლექსის გმირის ამ მკვიდრ მიკროსამყაროში, რომლის შესახებაც ვიცით, რომ იგი ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ მუდმივად ეუქნება შთანთქმის საშიშროება? სამ სხვადასხვა ნაწარმოებში, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. კონკრეტული მდინარეებისადმი — ალაზნის, მტკვრისა და არაგვისადმი მიმართვებში პოეტი გამოთქვამს გულისტკივილს, რომ მათ შთანთქმეს ქვეყნის წარსული. ლექსში „სიმღერა“ ლაპარაკია აწმყოს შესახებ და ჩანს კვლავ იგივე „შთანთქმის“ საშიშროება. ამიტომაც, ჩვენი აზრით, ნავი უნდა განასახიერებდეს იმას, რაც ჯერ კიდევ გადურჩა ჟამთა დინებას და ხსნის იმედად და თავშესაფრად შემორჩა დღევანდელ ქართველობას. ყოველივე ამას ილია სამი ურთიერთდაკავშირებული მცნების სახით გამოხატავდა ხოლმე — მამული, ენა და სარწმუნოება. „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათ არ ეუპატრონებთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ წერდა იგი<sup>1</sup>. იმ ვარაუდს, რომ ნავის სახეში საქართველო უნდა იგულისხმებოდეს, განამტკიცებს მწერლის მიერ იმავე პერიოდში შექმნილ პატრიოტულ ლირიკასთან ამ ლექსის სულისკვეთების ერთიანობა. ამ მოსაზრების სასარგებლოდვე მტყვევლებს ეპითეტი „მცირეც“, რომელსაც საქართველოსადმი მიმართებაში ხშირად იყენებდნენ პოეტები.

რას შეიძლება განასახიერებდეს ზღვა? „აზრილის“ ადრეულ ვარიანტში ზღვასთან შედარებულია ქვეყნის მომხვედრი მტრები, რომლებიც „ვით ზღვა, სხვა ქვეყნებს მოედებიან...“ პოემის იმ ეპიზოდში აღწერილ ეპოქაში საქართველოს შესწევდა ძალა მტკიცე ჯებირივით წინ აღდგომოდა ამ მომხვედურთა ზღვას და პოეტის თქმით „მთებს იქით გარდაეხეწა“, მაგრამ, როგორც ილია ხშირად აღნიშნავდა, მის თანამედროვე საქართველოში დადგა საშიშროება მამაპაპათაგან შემორჩენილი იმ სამი საუნჯის დაკარგვასაც. ეს საფრთხე გარემო პალების მხრიდან იდგა და ამიტომ შესაძლებელია, რომ ზღვაში კონკრეტულად რუსეთის იმპერია იყოს ნაგულისხმევი. ეს — რაც შეეხებოდა „ზღვის“ საუარაუდო კონკრეტულ მნიშვნელობას. უფრო ზოგადად კი ზღვა ნავისაგან განსხვავებულ, მისდამი დაპირისპირებულ ნებისმიერ გარემოს შეიძლება განასახიერებდეს, თუნდაც წუთისოფელს, მისი „წყველაკრულვიანი საკითხავით“. ამ გაგებით ზღვის სახე ფართოდ არის გამოყენებული ქრისტიანულ ლიტერატურაში.

ვინც ილია ჭავჭავაძის ბუნებას იცნობს, ალბათ გაუკვირდება, რომ ლექსში „მარტო მივცურავ“ ხსნის გზა, რომელიც ნავს გადაარჩენდა, ნახსენები

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ.3, გვ.25

არ არის. ეს რომ ყოფილიყო, ალბათ ხსენებული ლექსიც ისევე ღიღხანს ვერ იხილავდა დღის სინათლეს, როგორც მოუვიდა პოემას „ქართვის დედა“, სადაც ნათან ასოცირებული, ყველასათვის ცნობილი ბრწყინვალე მეტაფორის სახით გაიფლავა განხილულ ლექსებში წარმოჩენილი განსაცდელისაგან თავის დაღწევის გზამ:

„თავისუფლებაჲ, შენ ხარ კაცთა ნათესაყუდარი...“

სიტყვა „ნათესაყუდარი“. რა თქმა უნდა, ნათან არის დაკავშირებული და ცხადად ჩანს, რომ ნათის ხსენის გზა აქეთკენ ესასებოდა ავტორს.

საინტერესოდ არის წარმოჩენილი მდინარის მხატვრული ალეგორია პოემა „აწრდილში“. აქ ცხოვრების მდინარე, რომელიც „ოდესღაც მოდენილა თვის ფართო გზაზედ“ შემდგომში „თითქო თვის ღენაში შეეყენებულა“ ესე იგი თვითდინებით სვლა შეუწყვეტია. შურსა და მტრობას გამოუხრამავს მისთვის კიდები, წაშლია კალაპოტი და თავადვე დაუნთქავს მის ირგვლივ ყოველივე:

„მაშინ გათხრილნი ის კიდენი მთლად დარღვეულან,  
ძლიერნი ზვირთნი იმ ცხოვრების აღქაფებულნი  
სხვადასხვა ტოტად გადმოსულან, გადაგდებულან,  
დაუნთქავთ შრომა, წინაპართა სისხლითა რწყულნი.“

აქედან გამომდინარე, პოეტის ოცნება, რა თქმა უნდა, არის ის, რომ ქვეყნის ცხოვრების მდინარე კვლავ თავის კალაპოტში მოექცეს და ძველი, ღვიძლი გზით იაროს:

„როდისღა ენახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა  
თვისთა ღიდების ნაშთსა ზედა კვლავცა აღმდგარსა,  
დროსთან დანთქმულსა სხვადასხვათა კავშირთა ბრძოლას,  
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?  
როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ არსებისა,  
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?..  
თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალება  
როდის დაადნობს დაჟანგებულს ღიდხნის ბორკილსა!..“

როგორც ვხედავთ, აქ უკვე სავსებით აშკარაა, რომ „ქვეყნის“, „მდინარის“ და „თავისუფლების“ მცნებები ურთიერთკავშირშია, მაგრამ ზემოთგანხილულ ალეგორიულ ლექსებში იგივე აზრი უფრო ღრმად არის შეფარული. მეორეს მხრივ, სწორედ სათქმელის სიცხადე იყო მიზეზი იმისა, რომ ამ პოემის დაბეჭდვაც ძალიან გაუჭირდა ავტორს.

ეკლესიის მამათა სწავლებით ჩვენ, ადამიანები ცხოვრების ამოებათა ზღვაში ვცურავთ. გვეიოლება და სიამოვნებას გვევრის ღინების მიმართულების მიყოლა, მაგრამ ამ ღინების ბოლოში საშინელი მორევია.

წარღვენასავით მობობოქრე ზღვა და მასში ობლად მცურავი ერთადერთი ნავი ლექსში ასოციციას აღძრავს ნოეს კიდობანთან, რომელიც ისტორიული წინასახეა ადამიანთა ხსენის გზის – ქრისტიანული ეკლესიისა. სასუღიერო



ლიტერატურაში ნავი და ნავთსაყუდელი არაერთგან არის გამოყენებული იგავური მნიშვნელობით. იგი გეხდება მაცხოვრის, ლეთისშობლის და წმინდანთა დაუჯდომლებში. მაგალითად ლეთისშობლისაში ვკითხულობთ: „გიხაროდენ, რამეთუ განჰმადლებ ნავთსაყუდელსა სულთასა...“ „გიხაროდენ ნავო, მწებებელთა ცხოვნებისაო...“ „სადეთო სჯულის“ ერთ-ერთ გამოცემაში ვკითხულობთ: „ხშირად ტაძარი შენდება წაგრძელებული ხომალდის ფორმით. ეს ნიშნავს, რომ ეკლესიას, ხომალდის მსგავსად, ნოეს კილობნის სახით, მიეყავართ ცხოვრების ზღვაში წყნარი ნავთსაყუდელისაკენ ზეციურ სასუფეველში.“ ამრიგად ილიას, რომელიც ასე ხშირად მიმართავდა წმინდა წერილისეულ იგავურ სახეებს, ჩვენი აზრით, ეს მხატვრული ალეგორიაც ქრისტიანული ლიტერატურის წიაღიდან უნდა ჰქონდეს შეთვისებული.

ამ აზრს კიდევ უფრო გვიმტკიცებს ეპიზოდი „გლახის ნაამბობიდან“, სადაც მტკვარში ჩავარდნილი კაცის გადარჩენის ამბავია მოთხრობილი. ნაწყვეტში მღვდელი ერთგან გემთან არის შედარებული: „როგორც გემი, ისე არღვევდა წყალს...“ და იქვე სხვა გმირის მეტყველებაში – ნავთან, იხ. „რარიგად მიდის, ნავია, აბა, შვილო...“ „ღმერთმა შეძლება მომცა და ინება ჩემის ცოდვილის ზელით იმ კაცის მორჩენა“, – ასე განმარტა მღვდელმა მომხდარი ფაქტი მოგვიანებით გაბრიელთან საუბარში. ესე იგი, ის, ამ შემთხვევაში „ნავთან“ და „გემთან“ შედარებული, ახორციელებდა ლეთის ნებას – აღამიანის ხსნას.

როგორც არაერთგზის დავრწმუნდით, ილია ჭავჭავაძის პროზაში ღრმად გაუაზრებელი მცირე დეტალიც კი არ არის და ალბათ სავარაუდოა, რომ ეკლესიის მოძღვრის – მოყვასის დაღუპვისაგან გადამრჩენის შედარება ნავთან და გემთან – აღამიანთა წარღვნისაგან მხსნელ კილობანიან, ქრისტეს ეკლესიის ასოციაციით უნდა იყოს შექმნილი. სხვაგვარად შეუფერებელი იქნებოდა ასე დაუინებოთ ნავთან და გემთან მისი შედარება, რადგან წარმოუდგენელია, რომ აქ მწერალს მღვდლის კარგად ცურვის უნარი ჰქონდეს შექმნილი. მღვდელი „ნავია“ და „გემია“ იმ გაგებით კი არაა, რომ სწრაფად მიცურავს, არამედ იმიტომ, რომ აღამიანის ხსნის სურვილი აქვს, მის საშველად მიდის და ღვთისაგან ძალაც შესწევს.

მოთხრობაში „ოთარაანთ ქერივი“ მომავლის იმედად – ერის შემაკავშირებლად გამოყენებულია ტივის სიმბოლური სახე. „შენი ტირილი მიხარიან“, ეუბნება კესოს არჩილი, „ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწავეს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბვერდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მოიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გააძთელოს და ვერე ორსვე ნაპირს გააერთებს...“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აქ ის აზრია, რომ მომავლის წალმა შემომბრუნებელი, გათიშულობისაგან

---

1. 1987 წელს ნიუ იორკის ჯორჯტაუნის საგების მონასტრის რუსული გამოცემა, გვ.610

მხსნელი, ერთიანობის აღმდგენი, ტივის მომტანი არის იმედინი სინანულის ცრემლი. ეს ცრემლი არჩილისავე თქმით, უბრალო წყალი არ არის, არამედ „მდუმარე წვიმისებერ ნაყოფის გამომცემელია.“ რაც შეეხება „ტივის“ სიმბოლიკას, რომლის მხატვრული დატვირთვაც ეჭვს არ იწვევს, ისიც ადამიანთა სულიერ ხსნასთან არის დაკავშირებული. მან უნდა აღადგინოს ის ზიდი, რომელიც გულის განუწმენდლობამ ჩატეხა ადამიანებს შორის. ტივი ერთად შეკრული თანაბარი ზომის მორებისაგან არის შეკრული. ეს მორები ცალკ-ცალკე მსგავს ფუნქციას ვერ ასრულებს. აუცილებლად მათი ერთად შეკვრაა საჭირო. ეს უნდა იყოს სახე გათითოკაცებულ ქართველთა გაერთიანებისაც.

ტივის მომტანი არის არა ნებისმიერი, არამედ სინანულის ცრემლი. მხოლოდ ის არის ნაყოფის გამომცემელი. ვფიქრობთ, რომ ლექსში „ბაზალეთის ტბა“ ერის ცრემლბში ასევე სწორედ სინანულის ცრემლი უნდა იყოს ნაგულისხმევი, რადგან იგი იფარავს თავის სიღრმეში იმ წალკოტს. რომელსაც დროთა ბრუნვა ვერ ერჩის და რომლის შუაგულშიც საიმედოდ არის დაცული ოქროს აკვანი:

„ერს თვისთა ცრემლთა ნადენით  
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.“

და: „ან თვით ერმა თვისი ცრემლი  
ზედ ტბად რისთვის დაადინა...“

ილიას მხატვრულ წარმოსახვაში ცრემლით არის შემდგარი მდინარე ალაზანიც, მაგრამ იმ მოვლენას, რომ ლექსში „ბაზალეთის ტბა“ ცრემლები ტბად არის ქცეული და არა მდინარედ, გარკვეული მხატვრული დატვირთვა უნდა პტონდეს. მდინარის ზვირთები მუდმივ დენაშია ისევე, როგორც უამთავლის საუკუნენი. მწერალს კი უნდოდა საქართველოს ისტორიის კონკრეტულ მონაკვეთზე, თამარის ეპოქაზე გამახვილებინა ყურადღება. ოქროს აკვანი – ქვეყნის ბედნიერი მომავლის ქვაკუთხედი, „ოქროს აკვანი ჩვენი ერსობისა“, როგორც ერთ პუბლიცისტურ წერილში ამბობს ილია, იმიტომ არის ტბის და არა მდინარის ფსკერზე, რომ იგი წყალს არსად არ მიატქვს, მარადუცვლელი წალკოტის შუაგულშია მოქცეული და „ქვეყნის დროთა ტრიალს“ არ ემორჩილება. ამგვარი დამოკიდებულება თამარის ეპოქისადმი ჩანს „აწრდილის“ ადრეულ რედაქციაში, სადაც ამ ისტორიული პერიოდის შემდგომი ხანის შესახებ ვკითხულობთ:

„მას აქეთ განქრენ საუკუნენი.

სამეფოებიც ბევრნი დაეცნენ,

ბევრ ხალხთ ცხოვრება, ბევრ ხალხთ საქმენი,

ვით მეტეორნი ცაშია. ჩაპქრენენ:

გარნა თამარის ძლიერ სახელმა

გაპჟანტა მტვერი საუკუნების

და აწ რვაას წლის შემდეგ ქართველმა

იცის სახელი თავის დიდების.

დიდი თამარი – საუკუნებში

და წარსულ დროთა მფარველ ღრუბლებში  
შორით მობრწყინავეს ნათლად და მტკბარად,  
ქართულის გულს ათბობს მარად და მარად.“

როგორც ვხედავთ, ამ ნაწყვეტიდან სავსებით ნათლად ჩანს, თუ რატომ „ჩაღდა“ ეს აკვანი თამარ დედოფალმა და არა ვინმე სხვამ.

არსებობს მოსაზრება, რომ ილიას ლექსს გარკვეული ძირები აქვს ქართულ ფოლკლორში. კერძოდ ასახელებენ იახსარიის ანდრეზს<sup>1</sup> მაგრამ ეს ლეგენდური წყარო მხოლოდ მამობრავებელი იმპულსი უნდა იყოს, რომელიც ილიამ გამოიყენა საკუთრივ მისეული მხატვრული სახეების და სრულიად განსხვავებული სიუჟეტის საშუალებით ახალი პოეტური ნაწარმოების შესაქმნელად. ამას მოწმობს ლექსის მხატვრულ სახეთა ანალიზი მწერლის მთელი შემოქმედების სიმბოლურ-ალეგორიულ სახეთა ფონზე. ეს ტბაც ისეთივე მხატვრული სახეა, როგორც მთა, ველი, უფსკრული, მდინარე, ზღვა, გუბე, წყარო – სხვა ლექსებში.

იახსარიის მითიდან, როგორც ჩანს, აღებულია გმირის მოვლინების ადგილი – ბაზალეთის ტბა, მაგრამ თამარ მეფის სახელთან ამის დაკავშირება და აკვანის, როგორც ახალი ცხოვრების საწყისის მხატვრული სახის გამოყენება მთლიანად ილიას ჩანაფიქრია. აკვანში ჩაწვენილი ყრმა – საქართველოს მომავალი უნდა აღიზარდოს თამარის წალკოტში და იგი გაზრდამდე ერმა თავისი ცრემლით უნდა დაიფაროს ანუ ეს ცრემლი მის გაზრდამდე არ უნდა დაშრეს.

ილიას ლექსს იახსარიის ანდრეზთან ორად ორი რამ აკავშირებს – გმირის მოლოდინი ტბიდან და ამ ტბის სახელი, რომელიც ფოლკლორულ წყაროთა ერთ ნაწილში სხვაგვარად – აბუდეაურის ტბად არის მოხსენიებული. ლექსთან ამაზე უფრო ახლოს მდგომი ფოლკლორული ვარიანტი, რამდენადაც ვიცით, არ მოგვეპოვება.

ჩვენი აზრით, გამორიცხული არ არის, რომ ილია თავის ლექსს განგებ ანიჭებდეს ლეგენდარულ ელფერს თავისი ჩანაფიქრს შესაფარავად. ამ ტენდენციასზე მეტყველებს ერთი ასეთი ფაქტი – „ბაზალეთის ტბის“ ექვსი ავტოგრაფული ხელნაწერიდან არცერთს არა აქვს მინაწერი, რომ ის არის ლეგენდა. 1883 წელს საცენზურო კომიტეტისათვის წარდგენილი ერთ-ერთი ცალი კი, რომელიც ჟურნალ „ივერიაში“ უნდა დაბეჭდილიყო, უსათაუროა და აქვს მინაწერი – „ხალხური თქმულება“. ეს მინაწერი, როგორც ვთქვით, არცერთ ავტოგრაფში და არცერთ ნაბეჭდ წყაროში აღარ დასტურდება. ამკარაა, რომ იგი ცენზურისათვის თვალის ასახვევად იყო მიწერილი, თუმც ამანაც არ გასჭრა, ლექსი მაინც აიკრძალა და შეიდი წლის მანძილზე

1. სიმონ წერეთელი, „ბაზალეთის ტბის ლეგენდის სულიერი საზრისი ილია ჭავჭავაძის ლექსის მიხედვით, იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1997 წ. №17

დაუბეჭდავი დარჩა. ეს ლექსი რომ მართლაც ზალხური თქმულების პოეტური ვარიაცია ყოფილიყო, ეს ფაქტი შწერლის ავტორაფებსა და ნაბეჭდ წყაროებშიც იქნებოდა მიითვებოდა და არა მინცადამინც საცენზურო ცალზე.

„ბაზალეთის ტბა“ 1883 წელს არის დაწერილი, ბევრად უფრო გვიან, ვიდრე ილიას არანეულებრივი პატრიოტული ლექსები, მაგრამ, როგორც ჩანს, გამოცდილი, დაბრძენებული პოეტი კვლავ ახალგაზრდულად იყო შემართული, იმედს არ კარგავდა და „ჩუმის ნატყვით“ კვლავ იმასვე ნატყვობდა, რასაც ყოველთვის – ყრმას. „ვისიცა ხელი პირველად დასწვდება იმა აკვანსა“ და ღედას, „ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის თვის ძუძუს მდლით ცხებულსა“ ანუ მათ, ვინც ერის დაკარგულ ერთობას აღადგენდა, გაათავისუფლებდა მას და ღირსეულ მომავალს აღუზრდიდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე არ გვეჩვენება მართებულად გრიგოლ რობაქიძის აზრი – ილიას ეს ლექსი ბალადაა, ვაჟას შიირი კი – „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“ – ბალადა არ არისო. ჩვენი აზრით თვით ის ფაქტი, რომ ვაჟამ ილიასადმი მიძღვნილ ლექსში გამოიყენა „ბაზალეთის ტბის“ მხატვრული სახეები და სულისკვეთება, უფრო ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ თვით ვაჟა ილიას ლექსს ბალადად არ აღიქვამდა. თავის შიირში იგი ესაუბრება ილიას იმ სახეებითვე, რაც მან შექმნა და რაც ასევე ახლობელი და ძვირფასი იყო ვაჟასთვისაც:

„ვაი, რომ რჩება აკვანი  
ბაზალეთის ტბის ძირასა  
და ღიდხანს კითხვადე გერჩება,  
„ეინ ამოიღებს იმასა?!“  
ან იმ ბაღს ვინ უპატრონებს,  
უსუსურს, მტირალს ბედისა,  
აკვანში რომ წევს საწყალი  
და ძუძუ სწყურის ღელისა...“

ილიას ლექსების შექმნის მამოძრავებელ იმპულსად ხდებოდა სხვა პოეტთა ნაწარმოებები, ფოლკლორული წყაროები ან რაიმე მოვლენა. პოეტი პოეტური სიტყვით ხშირად იძლეოდა პასუხს იმაზე, რაც გულს მოხვდებოდა და გრძობას აუფორიაქებდა, მაგრამ ეს ლექსები დამოუკიდებელი ნაწარმოებები. მათი შინაარსი ორიგინალურია. ჩვენი აზრით, „ბაზალეთის ტბაც“ ასევე უბრალოდ გამოძახილია დასახელებული ზალხური ლექსისა. ეს კი არ ნიშნავს იმას, რომ იგი ბალადაა.

დაეუბრუნდეთ კვლავ მდინარე წყლის სახეს. ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში, რომელიც არის პასუხი თ.გ. ბარათაშვილის სტატიაზე, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, აქ ხატოვნად არის შედარებული აზრის მდინარება წყლის ღენასთან. „სადაც...წყალი... ოდნავ უონამს, რა

1. გრიგოლ რობაქიძე, „ვაჟას ენგადი“, „ილია ემიგრანტთა თვლით“, 1996, ტ.1, გვ.261

ლონისძიება უნდა მოიხმარო, რომ იქიდან წყალი გამოიყვანო მცირე ხალხისათვისაც სამყოფი? და თუგინდ ქსწურო საქაჯაეითა და ძალდატანებით გამოიყვანო, მაინც მალე გამოიღვეა და დაშრება...“ წერს ილია. ეს წყალი – ეს მადლი ღვთისაგან მოდის და მისი ხელოვნურად გამოღვნა იქ, სადაც სათავე არ არის, არ შეიძლება.

საინტერესოდ არის გაშლილი თერგის მხატვრული აღგებობა მოთხრობაში „მგზავრის წერილები“. აქ კარგად ჩანს მისი, როგორც ადამიანთა ცხოვრების, ორგვარი ბუნება – ვლადიკავკაზს იქეთ და სტეფანწმინდასთან. საყურადღებო კონტრასტს იძლევა აქ თვით გეოგრაფიულ სახელოთა შედარებაც. პირველში დამპყრობლური უინი და ამპარტავნება აქცენტირებული – რუსეთის მიერ კავკასიის დამონებით გამოწვეული, მეორეში კი – სიწმინდე და თავდადება. მოციქულთა მიერ დიაკნად ხელდასხმული სტეფანე ქრისტიანობისთვის პირველი მოწაძე გახდა. „საქმე მოციქულთაში“ აღწერილია მისი სარწმუნოებრივი სიმტკიცე, ერთგულება და მიმტკეებლობა. როდესაც ხალხის ბრბო მისი სიკეთის სანაცვლოდ „ქვებსა დასკრებდა“, იგი მუხლმოყრილი ევედრებოდა უფლს, „ნუ შეურაცხავ ამით ცოდვასა ამასო“. ამ წმინდა სტეფანეს სახელი ერქვა მამის დღევანდელ დაბა ყაზბეგს. რომლის შესახებაც არის საუბარი მოთხრობაში.

როგორც ილია ამბობს, ვლადიკავკაზს იქით თერგი დამდგომებულია, „მიმხრნავალია დამარცხებულ და ნათრევე ლომსავეთა“, იმ კაცს ვაგვს, რომელიც „თითქო ან როზგვექემ არის გატარებული, ან დიდი ჩინი მიუღიაო“ აქ ჩვენთან კი – „შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი“, „გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავია“. პოეტი ნაწილობრივ თავადვე ხსნის ამ მხატვრულ სახეს – „თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისაო“. როგორც ვხედავთ, ამ სახეშიაც ჩვენი საზოგადო ცხოვრების მდინარებაა წარმოიწინილი. სიტყვებით: „უსრბოლო წყალში ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის, უღეგარ, უსვენარ თერგნი კი – კალმახი იცის“ – ადამიანთა ცხოვრებას ეხება აღგებორიულად. კალმახს, როგორც ამბობენ, სუფთა წყალი უყვარს და. მიუხედავად იმისა, რომ მთის მდინარეებს ძალიან სწრაფი ნაკადი აქვს, მშობლიურ გარემოს რომ დაუბრუნდეს, იგი ღინებას აღმა მიჰყვება.

თერგის სახესთან შევირისპირებით ავტორი აქვე გვიხატავს გუბის კონტრასტულ სურათსაც: „ნეტავი შენ თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადევ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ვე შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს“, – ამბობს ავტორი და „გუბეში“, ცხადია, რომ აღგებორიულად, მოღუნებულ, უაზრო ყოფას გულისხმობს. ეს მხატვრული სახე ასეთივე მხატვრული დატვირთვით გვხვდება „კაცია, ადამიანის“ შესავალში: „ერთს კარგად მოზრდილს, ხავსმოკიდებულს გუბეს ზედ წაეაწყდი... იმ გუბის ახლო-მახლო მეტად ცუდი ომხივარი იყო მოღებული: კაცს სული შეუგუბლებოდა, გონებას და გულს ობი ეკიდებოდა, მუხლი წინ წასადგომად მოცემული, მოეჭრებოდა და

დაეხუთებოდა.“ ეს ის გუბია, რომელსაც „ქართველები სამასხროდ ცხოვრებას ეძახიან“ და რომლის ბინადარნიც არიან ლუარსაბი და მისთანანი. აქ გვინდა ყურადღება მივაქციოთ მწერლის მიერ სიტყვათა შერჩევის ოსტატობას. ზღინარისთან შედარებისას ილია ამ სიტყვის ძირიდან წარმოქმნილ ლექსიკურ ერთეულ – „მდინარებას“ ხმარობს, აქ კი, გუბეზე საუბრისას. მოხერხებულად შემოაქვს სიტყვა „გუბება“. იმ ემოციურ და ესთეტიკურ ზემოქმედებაში, რომელსაც ილიას თხზულებები ახდენს მკითხველზე, ასეთ სიტყვათწარმოებებსაც აქვს გარკვეული წვლილი.

გუბის მხატვრული სახე ხატოვნად იყო წარმოჩენილი მწერლის მიერ 60-იანი წლების დასაწყისში შესრულებულ ესკიზებში მოთხრობისათვის, რომელსაც თავდაპირველად, როგორც ჩანს, „გუბე“ უნდა რქმეოდა. მასში ვკითხულობთ: „კარგი რამ იყავ მაშინ... თუმცა შენს ფიქრთა ოდნად მიკარებოდა ობი იმ დამპალის გუბისა, რომელსაც ქვეყნის სამასხაროდ ცხოვრებას ვეძახით...“

არცთუ იშვიათად გვხვდება გუბის, ლექის და ლაფის მხატვრული ალეგორია მწერლის პუბლიცისტიკაშიც: „უმეცარნი მოყვარენი ჩვენნი, ზედ დაასმენ ხოლმე, შეჩვენების და განგდების ბეჭედსა მას, ვინც კი ველარ მითმინს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა, ამოჰყოფს თავს, რომ სხვას მაინც უთხრას, ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო, თორემ დალაქებო მის წარმწყმედელ ოხშიერის ზედმოქმედებისაგან.“ „გაი იმ ხალხს, რომელმაც არ იცის, რისთვის ცხოვრობს, რომელიც ზავს იკიდებს ერთს დამპალს გუბეში და აღარ იცის, რომ გუბის გარედ მინდვრებია ამწვანებული და ჰაერი ცხოვრების მომნიჭებელი...“ სტატიაში „საქართველოს მოამბეზედ“ ვკითხულობთ: „ვინც ლაფში თავიღამ ფეხამდე ამოსერილია, არ შეიძლება ისე შეეზოს სხვას, რომ თავისი ლაფი იმასაც არ მოაცხოს.“ ამ მხატვრულ სახეში ნაგულისხმევი ობიექტური რეალობის მთავარი უბედურება ის არის, რომ, რაც არ უნდა დიდებული გარემო იყოს გუბის გარშემო, მისი „მღვრიე ზედაირი ვერ გადაიციემს დიდებულს სახეს“. „მაგას ანკარა წყალი უნდაო“ გვეუბნება მწერალი.

გუბისა და ანკარა წყლის, როგორც ცოდვიანისა და წმინდის, დაცემულისა და აძაღლებულის შეპირისპირება საუკეთესოდ ჩანს „დამაკვირდის“ სათაურით გაერთიანებულ ლექსთაგან ერთ-ერთის სიტყვებში:

„მადლისა წყაროს ასმევედ

ცოდვის გუბეში მდგომსაო...“

ეს მადლის წყარო უნდა იყოს იგივე „წყარო შეებისა“, „წყარო უკვდავებისა“, რომლის შესახებაც საუბარია აჩრდილის XVII თავში. „წყარო“ მსგავსი მნიშვნელობით სხვაგანაც ბევრგან გვხვდება, როგორც პოეზიაში, ისე პროზასა და პუბლიცისტიკაში. მაგ.: ლექსში „კითხვა-პასუხი“: „მე ტყბილ ცხოვრების წყაროსა გაწვდით და ვაი, თქვენ კი ძმა ძმის სისხლსა სვამთ!“

გამოთქმა „უკვდავების წყარო“ ლექსში „უსულღებულო ცხოვრება...“ კიდევ

უფრო აშკარად უკავშირდება სულიწმინდის მადლს და სასუფეველს:

„ნეტა ვინც კარგი საქმით  
აღნიშნავს თავის დროს!  
ის აქვე ეწაფება  
უკვდავების წყაროსა.“

კაცი, რომელიც სიკეთეს თესავს, ნაწილობრივ აქვე გრძნობს ღეთიერ მადლს და ნეტარებას, რომელსაც იმქვეყნიურ ცხოვრებაში კიდევ უფრო სისასისი იღებს.

წყაროს ალევორიის სახარებისეული შინაარსით 'ლატივორთვა ქართულ მწერლობაში პირველად ილიასთან არ გვხვდება. ეს იგავური სახე არაჩვეულებრივად არის წარმოჩენილი მაგალითად გურამიშვილის „ღავითიანშიც“, სათაურით – „უკვდავების წყაროს იგავთ ახსნა“:

„ცხოვრების წყარომ დაშრიტა  
ჯოჯოხეთს ცეცხლის ალები.  
ზედ მიესხურა, დამოსა  
ხორციოვე მკვდართა ძვალები,  
ჩაუღვა სული უკვდავი,  
მისცა აღდგომის ძალები.  
ემსაკო დაუძპო წერილი  
ადამს გარდუწყულა ვალები“.

რა თქმა უნდა, აქ „ცხოვრების წყაროში“ მაცხოვარი იგულისხმება, რომლის მეოხებითაც მოგვეცა „ხარება“ ახალი აღთქმისა და სულიწმინდის მადლი.

დაეუბრუნდეთ კვლავ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. როგორც დაერწმუნდით, განხილული ალევორიული სახეები მისი სტილის იმდენად სისხლხორცეული ნაწილია, რომ მათი ერთობლივი ანალიზი აუცილებელია ცალკეულ ნაწარმოებთა სიმბოლიკის სწორი აღქმისათვის. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მწერლის შემოქმედებაში ეს ლექსიკური ერთეულები თავიანთი პირდაპირი მნიშვნელობით, ან შესაძლოა, განსხვავებული ალევორიული გააზრებით არსად არ იყოს გამოყენებული, მაგრამ განხილულ მაგალითებს რომ ერთნაირი სისტემური მიზანდასახულობა აქვს, ჩვენი აზრით, აშკარა უნდა იყოს.

## „წაბჟლიან კვალნი დროო ნეტარო...“

მდინარის ზოგადი – ალევორიული სახის გარდა ილია თავის ნაწერებში მიმართვას კონკრეტულ მდინარეთა მხატვრულ ალევორიებსაც. ამჯერად საუბარი გვექნება ლექსებში „ალაზანს“, „მტკერის პირას“ და პოემა აჩრდილის ნაწყვეტში სათაურით „არაგეს“ მდინარეთა სახეების შესახებ.

ილია ჭავჭავაძე არც ერთადერთი და არც პირველი არ ყოფილა ქართველ პოეტთა შორის, ვინც ამ თუ იმ მდინარეს „შეკენესდა“ თავის გულისტკივილს

ანუ ცხოვრების მდინარების ფონზე წარმოაჩენდა თავის განცდებს. მდინარის მხატვრული სახე ამ თვალსაზრისით არაჩვეულებრივად არის ასახული ილიას საყვარელი პოეტის ბარათაშვილის ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“. წერილებში ქართული ლიტერატურის შესახებ ილია წერდა ბარათაშვილზე შესახებ: „ქხედავს მტკვარს და იმასაც საყოველთაო საკითხის პასუხსა სთხოვს“:

„ეინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?“  
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი და არას მეუბნებიო“ და განაგრძობს:

„არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება  
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?“

1859 წელს, ბარათაშვილის ნაწარმოების შექმნიდან 22 წლის შემდეგ, ილიამ დაწერა ლექსი „მტკვრის პირას“. აქაც საზოგადო, საქვეყნო ფიქრებია აღბეჭდილი და არა მარტო პირადული. ილიასაც შემოაქვს ვანცდები თანადროული ცხოვრების ამაოებაზე და აპირისპირებს მას წარსულთან, რომელსაც იგი ნეტარ დროს უწოდებს. ამ სანატრელი დროის კვალი ცხოვრების მდინარის ზვირთებმა წაშალა:

„შეეკენეს, შევტირი მე იმა ზვირთთა,  
თითქო მათ შთანთქეს ჩვენი წარსული.“

რას შეიძლება ნიშნავდეს წარსულის ამგვარი მონატრება? რა თქმა უნდა, დრო-ჟამის ბუნებრივი მდინარების დარღვევას და წარსულის აწმყოში გადმოტანას არ მოისურვებდა ავტორი. ერთადერთი რამ, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო აქ პოეტის წუხილის მიზეზი, არის აწმყოში იმის დაკარგვა, რაც იყო წარსულში. თუ რა არის ის „დიდი ხნის წყლული“, რომელიც ტკივილს აყენებდა მწერალს, ან რომელ დროს მისტირის იგი, ერთგვარი მინიშნებით ჩანს ლექსის პირველი ავტოგრაფული ხელნაწერის ეპიგრაფიდან, რომელიც წარმოადგენს ორ ტაეპს გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან:

„ღვანატრი დროთა, როს აქენდათ ტრფობა  
მამულისათვის გულს აღბეჭდილად.“

ამრიგად, სიტყვებში – „იმ დროთ გარდაეც ეს ჩემი კენესა“ პოეტი გულისხმობს იმ დროს, როდესაც მამულის სიყვარულით ჰქონდათ ქართველებს გული ანთებული. ნეტარი დროის კვალის წაშლაში კი ამ ეროვნული გრძნობის დაკარგვაა ნაგულისხმევი. წერილებში ქართული ლიტერატურის შესახებ ორბელიანის ამ სიტყვების და საერთოდ მისი შემოქმედების ამ მოტივის შესახებ ილია წერს: „ამ გზით გრ. ორბელიანმა ერთი ახალი ნაკადული ჩაურთა ჩვენს პოეზიის მდინარებას და ამით ცოტად თუ ბევრად განადიდა იგი და შეავსო.“

მდინარის მხატვრული სახე ისე ფართოდ იყო გავრცელებული პოეზიაში, რომ ალექსანდრე ორბელიანმა რუსთველისადმი მიძღვნილ ლექსში, რომელიც ერთდროულად არის ძიება და შეცნობა რუსთველისა, აღსავსე რიტორული



შეკობხვაბითა და მათშივე მაკცბული ღრმა შეფასებებით, ასეთი მეტაფორული სახე გამოიყენა დიდი ხელოვანისადმი ერთ-ერთ მიმართვაში:

„რომელს მდინარეს მოუთხრობდი შენს გულის წადილს?“

ლექსის „მტკვრის პირას“ მხატვრული სახეები და ჩანაფიქრი, როგორც ენახეთ. არ არის ისეთი ძნელი შესაცნობი. ამ მხრივ უფრო რთული აღმოჩნდა პოეტის მიერ იმავე წელს, მის შექმნამდე დაწერილი სხვა ლექსი – „ალაზანი“. ვიდრე მის განხილვას შევეუდგებოდეთ. გავისხენოთ ვახტანგ ორბელიანის დაქარაგმებული სათაურის მქონე ლექსი „მდინარე ა...“. ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების მკვლევარის – ნინო ვახანიას აზრით ქარაგმაში მდინარე ალაზანი უნდა იგულისხმებოდეს.

ამ ნაწარმოებშიც, ისევე, როგორც ზემოთ განხილულ ლექსებში, დამწუხრებული ლირიკული გმირი მიღის მდინარის პირას, რომელსაც უნდა გაუზიაროს თავისი ფიქრები, მაგრამ ნუგეშისცემას ვერ ღებულობს:

„კვალად მოვედი მე შენს ნაპირსა,  
კვალად ყურს ეუგდებ შენსა ბ(იბინსა)  
ვუსმენ, მაგრამ გულს ვეღარ მიხარებს...“

ამ ლექსში ცხოვრების მდინარის ფონზე ვხედავთ ახალ ალევგორიულ სახეს:

„ტურფა მდინარეც, შენს ლამაზ ველზედ,  
ზურმუხტის ფერად მწვანით მოსილზედ,  
სატრფო გულისა წვეს ბნელს სამარეს...“

მწერლის მიერ იმავე წელს შექმნილი სხვა ლექსის – „მოგონება“, საერთოდ ვახტანგ ორბელიანის მთელი შემოქმედების ანალიზისა და მისი პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გათვალისწინების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ეს „სატრფო გულისა“ არის სამშობლოს პოეტური სახე. ამაზე მიგვანიშნებს ერთი ასეთი მარტივი შედარებაც სხვა ლექსიდან:

„ეგრეთ უსულო ჩემთ თვალთა წინ იღო ივერი,  
მაგრამ მკვდარიც კი იყო ტურფა და მშვენიერი.  
ეგრეთ ასულსა ტურფას, წმინდას, ახლად მიცვლილსა,  
გულ-ხელდაკრეფილს, გაციებულს და ფერმიხდილსა  
აღარ აცხოვრებს ცა ბრწყინვალე და ქვეყნის შეება,  
მაგრამ მის სახეს კვლავ უბრწყინავს თვისი შვენება...“

დაკვირვებული მკითხველი იოლად შეამჩნევს, რომ ილია თავისი ლექსებით ხშირად ეხმიანება ხოლმე სხვა პოეტთა მიერ წამოჭრილ თემებს თუ მოტივებს. ლექსს „ალაზანი“ ორივე ავტოგრაფში მიწერილი აქვს „მიბაძვა“, მაგრამ არ წერია – ვისი. ჩვენი აზრით, ავტორისეული ეს მინაწერი უნდა მიგვანიშნებდეს სწორედ იმაზე, რომ ლექსი მხატვრული სახეებითა და სულისკვეთებით გამოძახილია ვახტანგ ორბელიანის დასახელებული ლექსისა. ასე შეეხმინა თვით ვახტანგ ორბელიანი მაგალითად, ილიას ლექსს „ჩემო კარგო ქვეყანავ...“ თავისი „სამშობლო ქვეყნის პასუხით“ და გამორიცხული არ არის, რომ ამ გაააქვრების შეჯამება იყოს ილიას ლექსი „კითხვა-

პასუხი“, რომელშიაც ზუსტად იგივე თემა წამოჭრილი და თან ორივეებერთად არის – მამულიშვილის შეკიობაც და ქვეყნის პასუხიც.

როგორც აღენიშნეთ, ლექსში „ალაზანს“ დროთა ბრუნვისაგან მდინარის ზვირთთა შორის დამარხულ-დანთქმული წარსულით გამოწვეული ისეთი სევდაა, როგორც ილიას ლექსში „მტკერის პირას“, მაგრამ მისი პოეტური სემანტიკის ახსნაში ერთგვარი დაბნეულობა შემოიტიანა „ცხოვრების ღმერთას“, ადრეულ რედაქციაში – „სატრფოს“ სახემ:

„აგერ ის მუხა, რომლის ჩრდილქვეს ვისხედით ერთად  
მე და ის, ვინცა აღმიჩნდა მე ცხოვრების ღმერთად...  
ორნივე გავსცქერდით დაუდგრომელ ზვირთთა დენასა,  
მაგრამ მასში ჩვენ არ ვეძებდით შედარებასა...“

მინნეულაა, რომ ამ ლექსში გამოხატული აბსოლუტურად პირადული განცდები, იგი მიძღვნილია ჭაბუკობისდროინდელი საყვარელი გოგონასადმი და მასში ნახსენებ „წარსულში“ ნაგულისხმევია სულ რამდენიმე წლის წინანდელი ამბები, რადგან პოეტი მაშინ 22 წლისა იყო.

თუ გაკითხავთ წინებით, რომ ამავე პერიოდში დაწერილ სხვა ლექსებში ილიას სატრფოს სახეში იგაურად ხშირად აქვს წარმოჩენილი თავისი სამშობლო, და თუ ამ ლექსსაც მიეუსადაგებთ ვახტანგ ორბელიანისეულ პოეტურ გასაღებს, თვალწინ სულ სხვაგვარი სურათი წარმოგვიჩნდება: მდინარე – ჟამთა მდინარება, რომელიც საქართველოს ისტორიის ალაზანთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ფურცელს უკავშირდება; მუხა – ფართოდ გავრცელებული სახე ჩვენი ქვეყნისა; სატრფო – ხატი ნეტარი საქართველოსი, იმდროინდელისა, როდესაც მისი ტრფობა მამულიშვილებს გულში ჰქონიათ.

„შენც გამოცვლილხარ, ალაზანო, მუხაც გამხმარა,

მეც უდრო-უდროდ გამერია თმებში ჭაღარა...“

სად არის ის ღმერთა, იგი გრძნობა, ის სიყვარული?

ყველა წარსულა, რად არ მიღის ხსოვნა ბედკრული?“

წერს პოეტი. ალაზანი, ანუ მისი წყალი, რა თქმა უნდა გამოცვლილია, რადგან იგი მუდმივ დინებაშია დრო-ჟამით. მუხა – საქართველოც გამხმარა მისი იმდროინდელი პოლიტიკური, ზნეობრივი თუ სულიერი მდგომარეობის გამო. ეს სახეები ერთგვარი გამოძახილია „აჩრდილისეულისა“: „აწ აღარა სჩქეფს წყარო ცხოველი, ხე ცხოვრებისაც იგი დამტკანარა“. სიტყვები: „გაჰქრა სიბრმავე აღტაცებულ სიყვარულისა!“ კი გამოხატავს იმ მამულიშვილური სიყვარულის დაკარგვას, რომლის შესახებაც ლექსის „მტკერის პირას“ ეპიგრაფში იყო ნათქვამი. ლირიკულ გმირსაც თმაში ჭაღარას ყრობისდროინდელი ჭაბუკური გატაცება ვერ გამოურევდა. ეს შეეძლო მხოლოდ იმ სიყვარულს, რომელზედაც უმღეროდა ქართველი დედა თავის შვილს.

„სიბრმავე აღტაცებულ სიყვარულისა“ უარყოფით ნიუანსად არ უნდა გავიაზროთ. ისევე, როგორც „ქმარწვილის ბრმა სარწმუნოება“ ბარათაშვილთან. ეს ორივე ამბულელებული გრძნობაა. რასაც გვემოწმება ილიას ხსენებულ

წერილები ქართული ლიტერატურის შესახებ: კიდევ უფრო ნაკლებად დასაშვებია, რომ ილიას „ცხოვრების ღმერთა“ ეწოდებინა ვინმე ასულისათვის, რადგან დავიწყება იმისა, რომ ქვეყნად ცაა „ღვთად მოუცია მარტო მამული“ მას, როგორც ეს „აჩრდილიდან“ ჩანს, უბედურების მიზეზად მიიჩნდა.

ამ ლექსის დაწერიდან რამდენიმე თვის შემდეგ შექმნილ სხვა პოეტურ ნაწარმოებში „ოჰ, სად არიან...“ ილია გულისტკივილით ამოთქვამდა:

„ჭკვიმ მოჰკვეთა ფრთა ჩემ ჭაბუკ დღის ლაღსა გრძნობასა,

ცივად დაარქვა „ფუჭი ალი“ ღვთიურ ტრფობასა...

აღმესპნენ იგი საოცარნი ყრმობის სიზმარნი,

გულმა დაჰკარგა იმ სიზმრების სარწმუნობა...“

ეს „ღვთიური ტრფობა“ იგივე სიყვარული უნდა იყოს მამულისადმი, რომელიც ჩანს ლექსში „ალაზანს“. ილიას არა მარტო ამ ნაწარმოებებში, არამედ იმავე პერიოდის სხვა თხზულებებში და წერილებშიც ჩანს, რომ მისი ფიქრები საქართველოს მიმავალთან დაკავშირებით ბევრად უფრო ამბლებული და დიდი იყო. ვიდრე რეალობა. სწორედ ეს შეეჯახება სასურველის ფაქტობრივთან ჰკვეთდა მას ფრთებს, მაგრამ მაინც სჯეროდა, რომ სულიერად ამაღლებული წარსულის მოგონებით შეიძლებოდა ქართველის გულში იმ დიდი მამულიშვილური სიყვარულის ხელახალი ვადვიება. მართლაც. მას ერთგვარი იმედი გაუჩნდა, რომ ახალგაზრდა თაობა გულგრილი არ იყო მამულისადმი და ცამეტი წლის შემდეგ იმედინად განაცხადა: „მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა...“ მაგრამ მაშინაც ეს სიტყვები მთელ ერს არ ეხებოდა.

როგორც ჩანს, ლექსი „ალაზანს“ საქართველოს წარსულს უნდა ეძღვნებოდა, მისი მონატრება უნდა იყოს და განა შესაძლებელია, რომ 1859 წელს, კახეთის აჯანყების ორასი წლის თავზე ილიას ამგვარი ლექსი რაიმე სხვა ჩანაფიქრით დაეწერა და არა იმ პატრიოტული სულისკვეთებით, რომელიც კახეთის იმ გმირთაგან გენეტიკურად და სულიერად მუდამ ცოცხლობდა მასში და ისე, როგორც ეს პეტრე უმიკაშვილისადმი მიწერილ ერთ პირად წერილშია. გაამოურებიხებდა ხოლმე ბახტრიონის აჯანყების შესახებ ხალხურ სასიმღერო ლექსში ერთი გმირის მიერ თქმულ სიტყვებს: „გადავალ, გადაფრინდები ბახტრიონს გალავანზედა.“ წინაპართა ამ დიდი სულის მქონე პოეტს, რა თქმა უნდა, ტკივილს მოჰგვრიდა და წარსულს მონატრებდა იმდროინდელი საქართველოს ჩამკვდარი ცხოვრება. კახეთის აჯანყების მსგავსი თარიღები ილიას არ ავიწყდებოდა.

დავაკვირდეთ კვლავ ზემოთგანხილული ლექსის – „მტკვრის პირას“ მხატვრულ სახეებს და შინაარსს. თუმც მასში ლაპარაკია მდინარის მიერ წარსულის დანთქმაზე, ისევე, როგორც ლექსში „ალაზანს“, მათ შორის არის საყურადღებო განისხევავებაც. ლექსში „ალაზანს“ პოეტი ამ წარსულს, როგორც ბედნიერ დროს ისე წარმოსახავს, ნაწარმოებში „მტკვრის პირას“

კი ამბობს: „და აღმშალა დიდი ხნის წყლული...“ აქვე მიგვანიშნებს, რომ ნეტარი დრო საუკუნემ აღგავა პირისაგან მიწისა:

„წაგშლიან კვალნი დროო ნეტარო!

მტკრად აღუგვიხარ საუკუნესა...“

ყველაფერ ამას იგი მისთვის ჩვეული მრავალმნიშვნელოვანი მრავალწერტილით გამოყოფს ლექსში. ჩვენი აზრით, მტკერისადმი მიმართული ეს ნაწარმოები გახსენება უნდა იყოს იმ დიდი ეროვნული ტრაგედიისა, რომელიც ამ ლექსის შექმნამდე თითქმის საუკუნით ადრე დატრიალდა მტკერის პირას ალა-მანძაღ-ხანის შემოსევის დროს. ეს ტრაგიკული დღეც მუდამ ახსოვდა ილიას და სწორედ მისი და მის თანამოაზრეთა ინიციატივა იყო 1895 წელს ამ დღიდან ასი წლისთავის აღნიშვნა. დაღუპულ გმირთა სულების მოსახსენებელ პანაშვიდზე დასასწრებად მამულიშვილები საქართველოს სხვადასხვა კუთხებიდან ჩამოვიდნენ თბილისს. საგურამოში მყოფ თავის მეუღლეს ილიამ წინასწარვე შეატყობინა წერილით<sup>1</sup>, რომ ამ თარიღის აღნიშვნას აპირებდნენ და ისინი ერთად ესწრებოდნენ პანაშვიდს კრწანისის ველზე. საქროველოს ისტორიის ამ ტრაგიკულ ფურცელს მიუძღვნა მწერალმა სპეციალური სტატია გაზეთ „ივერიის“<sup>11</sup> სექტემბრის ნომერში: „მან მოგვაგონა, გაგვახსენა ერთი დიდებული, თუმცა უბედური ეპიზოდი ჩვენის წარსულისა. „სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა სიკვდილი სახელოვანიო“ უნებლიედ გაგვირბინა ელვასავით ტანში, როცა ჩვენმა უგებურმა ცოცხლად ყოფნამ გაგვითვალისწინა ის სახელოვანი სიკვდილი. რომელმაც გაუთხარა წმინდა საფლავი კრწანისის ეკუყატა. ამ უმაღლესს გრძნობით გულთა ძებრა, სულთაძებრა ერთი იმისთანა დიდებული წამია, რომელსაც კაცი ინატრებს ხოლმე, ნეტავ ნუ მომშორდებაო, ზოგმა ახლა გაიგო, „რად მისტირიან წარსულს და რად ემდურიან აწმყოს.“ როგორც ვხედავთ, ლექსში „მტკერის პირას“ გამოხატულია ზუსტად ისეთივე დამოკიდებულება კრწანისის ბრძოლისადმი და ისეთივე განცდები, როგორც ამ სტატიაში.

საყურადღებოა, რომ ლექსის პირველ ავტოგრაფში (ლიტ. მუზეუმი, ილიას ფონდი, № 17501) თარიღად ეწერა „ოქტომბრის 3-სა“ და მწერალს შემდეგ ზემოდან მიუწერია „სექტემბრისათვის“. დათარიღების ასეთი ფორმა „-თვის“ თანდებულით, სხვაგან არსად არ გვხვდება და ჩვენი აზრით, იგი უნდა მიგვანიშნებდეს სწორედ იმაზე, რომ ლექსი „სექტემბრისათვის“ არის დაწერილი – სექტემბრისადმი მიძღვნილი. ეს კი უნდა იყოს 1795 წლის სექტემბერი. ამ მხრივ საინტერესოდ გვეჩვენება ლექსის „ალაზანს“ დათარიღებაც. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში დაწერილი ლექსები თითქმის ყველა თვით და რიცხვით ზუსტად არის დათარიღებული, ლექსს „ალაზანს“ მხოლოდ წელი აწერია – 1859. კახეთის აჯანყების თვე და რიცხვი ისტორიამ არ შემოგვინახა, დღემდე უცნობია და ამით ხომ არ არის

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ათ ტომად, ტ.10, გვ. 377

გამოწვეული ამ ლექსის ასეთი ზოგადი დათარიღებაც?

საქართველოს ისტორიის სხვა პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს პოემა „აჩრდილის“ V თავი, რომელიც სათაურით „არაგვი“ (საკუთარი პოემიდან „აჩრდილი“) იმავე 1859 წელს დაბეჭდა ილიამ ჟურნალ ცისკრის მე-10 ნომერში. აქაც მდინარე დროის მდინარების ზედაპირული ხატაა. მდინარის კერძო სახელთან დაკავშირებით კი სხვა მხატვრულ დატვირთვასაც უნდა ატარებდეს. პოემის მიხედვით არაგვი არის განსახიერება თავისუფალი, ბედნიერი საქართველოსი.

ქართველის ცხოვრების მოწამე შენ ხარ...

შენს კიდებზედ ჩემი მამული

იყო ერთ დროსა გამშვენებული...”

ასე მიმართავს პოეტი მას, მაგრამ ტკივილი აქაც იგივეა, რაც ზემოთ განხილულ ლექსებში:

„შენ ზვიროთბშორის ჩემის ქვეყნისა

გრძელი მოთხრობა დამარხულია.“

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ დეტალზე. არაგვის კიდეზე გადაშლილი ქვეყნის ბედნიერების ამსახველი ნათელი ფერების ტრაგიკულით შეცვლა ოითქოს უკავშირდება არაგვთან „მღვრიე და მღოვრი“ მტკერის შერევას:

„იქ, სადაც შენსა ძლიერსა წყალსა

შეურევ მღვრიეს და მღოვრსა მტკვარსა,

იქ ერთხელ ქართველთ სიცოცხლე აღდგა,

იქ მამულისთვის ქართველთ ხმა ჰქუხდა.

შენს ზვიროთებს გაჰყვნენ საუკუნენი

და საუკუნეთ – იგი ქართველნი.“

აქ ფრიად საინტერესოა ერთი რამ – ლექსის ბოლო რედაქციაში არაგვი სიწმინდესთან ასოცირდება, იხ. „შენს წმინდა თვალწინ“, „შენსა წმინდა წყალს“ და სხვ. პირველ რედაქციაში კი – პირიქით, ეწერა: „შენს მღვრიე თვალწინ“. და ორგან „შენსა მღვრიე წყალს“. მტკერისა და არაგვის წყლებს შორის ისეთი დიდი კონტრასტული სხვაობა არ არის, ერთს რომ წმინდა უწოდო და მეორეს – მღვრიე. ვერც არაგვის მღვრიე წყალი დაიწმინდებოდა ასე საგრძნობლად პოემის პირველი რედაქციის დაწერიდან მეორემდე. როგორც ჩანს, მწერალმა მუშაობის პროცესში გადაწყვიტა მდინარეთა ამ სახეებისათვის ალეგორიული ელფერი მიეცა. და მტკერისა და არაგვის შესართავის სახით ეჩვენებინა წმინდა წყლის მღვრიესთან აღრევის შედეგი.

ამ ლექსის მხატვრულ სახეთა ანალიზში დაგვეხმარება ილიას მიერ იმავე 1859 წელს ლერმონტოვის პოემა „მწირის“ თარგმანში მის მიერ შეტანილი ცვლილებები. ამ ნაწარმოების შესავალში აღწერილია საქართველოს სწორედ ის ადგილი, სადაც არაგვი ერთვის მტკვარს. ამ ფონზე გვიხატავს

რუსი პოეტი დანგრეული ტაძრის სურთს და მოხუც დარაჯს. ის საფლავის ქვაზე მტკერს გადაწმენდს და გამოაჩენს წარწერას, რომელიც მეტყველებს:

“О славе прошлой — и о том  
Как удручен своим венцом  
Такой то царь в такой то год  
Вручал России свой наро

როგორც ვხედვთ, საქმე ეხება საქართველოს რუსეთთან შეერთებას. ლერმონტოვი წერს, საქართველოს მეფე შეაჭირვა, დათრგუნა თავისმა გვირგვინმა, ანუ მეფობის ტვირთმა და გადაწყვიტა, თავისი ხალხი რუსეთისთვის ჩაებარებიაო. ეს და მისი მომდევნო ტექსტი:

“И божья благодать сошла  
На Грузию она цвела  
С тех пор в тени своих садов  
Не опасаяся врагов  
За границу дружеских штыков “

პოემის თარგმნისას ილიას არსებითად შეუცვლია და სინამდვილისათვის შეუსაბამებია, რადგან ჯერ ერთი, საქართველოს მეფეს თავის გვირგვინზე უარი არასოდეს უთქვამს და მეორეც, რუსეთთან სამეგობრო ტრაქტატის შემდეგ მოხდა აღა-მახმად-ხანის სასტიკი შემოსევა და რუსულ ხიმტებს მისგან არ დაეუცვივართ. ეს იყო ერო-ერთი ყველაზე სისხლიანი ფურცელი საქართველოს ისტორიაში. ილიას თარგმანი ანუ შეიძლება ითქვას, ილიას პასუხი ასე ვლერს:

„ვითარ ჰქონიათ აღრე ღიდება,  
ვით წართმევიათ ბედნიერება,  
როს ქართველთ მეფე ამა დ'წამ წელსა  
რუსს აბარებდა თვის ერთგულ ერსა.  
მას აქეთ, რაცა კურთხევა ღვთისა  
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,  
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა  
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს.“

მაკავშირებელი სიტყვით „როს“ პოეტი აზუსტებს, როდის წართმევია ქართველს ბედნიერება: „როს ქართველთ მეფე... რუსს აბარებდა თვის ერთგულ ერსა.“ ცხადია, რომ ილიას დამოკიდებულება საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის ფაქტისადმი სრულიად განსხვავდება ლერმონტოვისეულისაგან. ჩვენი აზრით შესაძლოა, რომ არაგვისა და მტკერის და მათი „შერევის“ მხატვრული სახეები ილიას პოემაში ლერმონტოვის ნაწარმოების ასოციაციებიდან გამომდინარე. საქართველოს ისტორიის კონკრეტულ პერიოდს – მის რუსეთთან შეერთებას უკავშირდებოდეს და აქაც იგივე ტკივილი იყოს ჩაქსოვილი. რამაც თვითნებურად, შეაკვლევინა ცნობილი რუსი მწერლის სტრიქონები. რუსული ჯარი, რომლის ხიმტებსაც უნდა უმადლოდეს „მწირის“

ავტორის აზრით საქართველო თავის „ბედნიერებას“ და „სიმშვიდეს“, სწორედ მდინარე არაგვის გასწვრივ მდებარე დარიალის ხეობის! გზით შემოვიდა ჩვენთან და არაგვი მომსწრე იყო დასახმარებლად მოწვეულთა არაერთი დალატისა.

პოემა „მწირის“ ილიასეული თარგმანი შემორჩენილია ავტოგრაფების სახით. დიდი სურვილიც რომ ქონოდა ავტორს მისი გამოქვეყნებისა, მაინც არავინ დაუბეჭდავდა. ერთადერთი გზა ამგვარი აზრების გამოხატვისა იყო მხატვრული სახეები, ალეგორიები, იგაუური ენა და ილიაც ამიტომ უფრო ხშირად მას მიმართავდა. ამის არაჩვეულებრივი დასტურია აქ განხილული პოეტური ნაწარმოებებიც.

ამ სამ ნაწარმოებში ალაზნის, მტკერისა და არაგვისადმი გაზიარებულ ტკივილები მდინარის ზვირიებში დანთქმული წარსულის ერთნაირი მონატრება რომ იყოს, ეს ზედმეტი თვითგამეორება იქნებოდა. ილიას მხატვრული ოსტისტობა კი სწორედ იმაშია, რომ თითოეულ მათგანში იგაუერ-მხატვრული ენით და ლამაზი პოეტური სახეებით სხვადასხვა ისტორიული ფაქტებისადმი თავისი დამოკიდებულება გამოხატა, წარსულის სამი მნიშვნელოვანი ფურცელი გაიხსენა.

ხელოვან და ღრმა ფილოსოფიური აზროვნებისადმი მიდრეკილ ადამიანებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ მდინარის ცქერა, წყლის ჭკალის ჭკერეტა მდლიტაციების იმპულსს იძლევა ზოლმე, მაგრამ განხილულ ლექსებში მდინარეს მხოლოდ ასეთი დატვირთვა არა აქვს. ეს კონკრეტული მდინარეებია, ქვეყნის ისტორიის ამა თუ იმ მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრე და მათი ჭკერეტა კონკრეტულ ფიქრებსა და მოგონებებს აღძრავს ავტორში.

### „იზღერის ბაღი“ და „ბუზმაპის“ ბიჭმეხი

„ქორი ბუზს არა იკადრებს,  
არცა სდევს საჭმლად ნლომითა,  
სონღული მუმლის შეპყრობად  
ფრთებსა არ გაშლის ზომითა.“  
„ორხმიანი სახალწლო ოპერეტი“

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები ავადმყოფის სასთუმალთან დაწყობილი წამლებივით მიგვანიშნებს, რა უჭირდა, რა სტკიოდა საქართველოს. ამდენად გვაძნობს იმასაც, დღევანდელ ჭირთაგან რომელია ახალი და რომელი ჯერ კიდევ წინა საუკუნეებიდან შემორჩენილი. განსაკუთრებით მრავლისმთქმელია ამ მხრივ მისი პირველი მოთხრობა „მეზავრის წერილები“. ეს თხზულება აღსავსეა როგორც საოცარი ლირიზმით, ისე რეალობის ობიექტური ხედვით. იგი მთელი სიღრმე-სიმძაფრით გამოხატავს ავტორისეულ პირად განცდებს და ამავე დროს პუბლიცისტური სიზუსტით ასახავს ზოგად ვითარებას.

როგორც სათაური გვამცნობს, ეს არის ელადიკავკასიდან<sup>1</sup> თბილისისაკენ მომავალი მგზავრის წერილები. ადრესატი ხაზგასმული არ არის, მაგრამ ეპილოგისეული მიმართვა: „ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი!“ – მიგვანიშნებს, რომ წერილები მიმართულია საქართველოსადმი. ამის შესაბამისად მოთხრობის გმირებიც გარკვეული ეროვნული ნიშნის მატარებელი განზოგადებული ტოპაჟებია და არა ინდივიდუალური თავისებურებებით აღბეჭდილი სახეები. მათი ხსენებისას გამოკეთილია სადაურობა – ფრანსიელი, რუსის იამშიიკი, რუსის ოფიცერი, მოხვეე, მოხსენიებულია აგრეთვე სომეხი სოფეაგარი. მოთხრობაში მწერალი ფართოდ იყენებს სიმბოლო-ალეგორიებს. ზოგი მათგანის – თერგისა და მყინვარის, ღღისა და ღამის მხატვრული დატვირთულობა თვალში საცემია, მაგრამ არის ისეთებიც, რომლებიც უფრო შეფარულია და განსაკუთრებულ დაკვირვებას მოითხოვს.

ოთხწლიანი განშორების შემდეგ სამშობლოსაკენ მომავალ მგზავრს – მთხრობელს, რომელმაც გზად სადგურის გუშაგის ოთახში შეისვენა. ათასნაირი ფიქრები აეშალა – როგორ ენუგეშებინა გასაჭირში მყოფი სამშობლო, რა ერჩია მისთვის, რით დაეამებინა ტკივილები. ამ ფიქრით აფორიაქებული, ის ხმაძლელა წამოიძახებს: „მართლა და რა უნდა ვქნა?“ რაზედაც მოულოდნელად ოთახში შემოსული გუშაგი უპასუხებს: „ჩაი უნდა მიირთოვო“. ეს უცნაური ჩამოხტომა ამაღლებული მამულიშვილური განცდებიდან შიშველ რეალობაზე შემთხვევითი არ არის, რადგან ამას მოსდევს საუბარი რუს ოფიცერთან, რომლის აზრებიც კიდევ უფრო ღიდ კონტრასტს ქნის მგზავრის გულმხურვალე ფიქრებთან, ვიდრე სადგურის გუშაგის შემოხვევითი შეუფერებელი პასუხი.

ოფიცრის თვითდაჯერებულობა და სიბრძივე ნაწარმოების ერთი გადაკითხვისას ხშირად ღიმილს იწვევს, მაგრამ თუ დაეკვირდებით, მივხვდებით, რომ ეს ღიმილი ცოტა ნაადრევეა. ილიასაკვე სხვა მოთხრობის – „კაცია, აღამანისა“ არ იყოს, ჯერ გასარკვევია, რა უნდა ვქნათ – ვიცინოთ თუ ვიტყროთ.

რუსი ოფიცერი მგზავრს დაუყინებს, პეტერბურგში იზღერი ბალი თუ ნახეო. თითქოს ბუნებრივია, ამა თუ იმ უცხო ქალაქიდან მომავალ კაცს შთაბეჭდილება ჰკითხო ნანახის შესახებ, მაგრამ ეს ბალი, რომელიც ოფიცრის თქმით, „განათლებლის გვირგვინია“, რადგან სავსეა თვალუუუნა ქალებით, რომელთაგან ნებისმიერს შეგიძლია ჩაველო ხელი, ჩვენს თვალწინ კონკრეტული ბალიდან გადაიქცევა განზოგადებულ მხატვრულ სახედ – ერთგვარ სიმბოლოდაც კი.

ოფიცერი აღშფოთებულია იმით, რომ საქართველოში ასეთი ბალი არ არის და „ანუგეშებს“ მგზავრს: „იქნება იმისთანა კაციც გამოვიდეს, რომ თქვენს ქალაქშიც იზღერის ბალი გამართოსო“. „მაშინ ჰნახავთ, რომ ერთს მშვენიერს დღეს სეირნობა გაიმართება იზღერის ბალში, იმ ბალში თქვენი ქალები თამამად სიარულს დაიწყებენ, გინდა ერთს უთხარ „შენი ჩირიშე“, გინდა მეორეს, ზმასაც არ გაგცემენ, აბა ხალხი „მაშინ ნახავს თავისს



სამოთხესო“.

ალეგორიებს წუთით თავი დაეანებოთ და დავაკვირდეთ, თუნდაც იმავე ოფიცრის აზრით, რატომ არ იყო ჩვენთან მსგავსი ბალი? „თქვენთან ქალები კი კაცს დანინახვენ თუ არა, იმალებიან“, – ამბობს იგი. როგორც ჩანს, ამგვარი ბალის უქონლობა სათანადო თვალწარმტაცი ადგილისა და გარემოვლებული ვალანის არქონით კი არ იყო გამოწვეული. არამედ შესაფერისი ქალების არყოლით და „ბალის გამართვაში“ დახმარება წლკოტის გასაშენებლად მატერიალურ ან ფიზიკურ დახმარებას კი არ გულისხმობდა, არამედ ზნეობრივ გავლენას ამგვარი „ფერიების“ „აღზრდა-მოძრავლების“ მიზნით და უზნეობის ზნეობრივ ნორმად გადასატყვევად – როცა სიძვა-მრუშობა სამარცხენო არ იქნებოდა, ცოდვა ცოდვად აღარ ჩაითვლებოდა. აკი თითქოს ამის პასუხად ამბობს კიდევ იმავე ნაწარმოებში გულნატკეპნი მოხევე: „მეძვე-მრუშობაი ჩამოვარდის, ხარბობაი, ანგარი გვერივის, ერთსულობაი დაეარდის, მტრობა-ბძარვაი გახშირდის.“ „იზღერის ბალი“ არა მარტო სიძვა-მრუშობის, საერთოდ ზნეობის გაპარტახების სიძბოლო უნდა იყოს.

ილია წერს: „ზნე-ხასიათის წვრსნა-გარკვევა გარკვევაა ადამიანის „სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა ანუ... მისის კაცობისა, ადამიანობისა“. მისივე თქმით, „სიმაგრე ქვეყნისა, ქვეყნის ძალ-ლონე, ერის შემნახველი და გამდიდებელი ქვითკირი ადამიანის ცხოვრებისა მარტო სათნოებაა და მარტო სათნოებიანი კაცი ჰქმნის ამ წუთისოფელს ტაძრად, სადაც ღმერთს აღიღებენ...“ აი, ამ სათნოებისა და ზნეობის გაპარტახება, ამ ქვითკირის დანგრევაა „იზღერის ბალი“

ილიას აზრით, თუ ადამიანს ზნე განწმენდილი არა აქვს პატიოსნებით, ნამუსიანობით, კაცთმოყვარეობით და სამართლიანობის გრძობით, გონიერიც რომ იყოს, „გონება ერთს ეტყვის და გული სხვას აქმნეინებს“. როგორი ზნეობისააც არის ადამიანი, საქმეც ისეთივე აქვს. ამიტომ რუსმა ოფიცერმა „იზღერის ბალისული“ ზნეობისათვის შესაფერი საქმიანობაც შესთავაზა ახალგაყნობილ ქართველ მგზავრს, თან ეს რჩევა, მისი ნათქვამი რომ გაეიშეოროთ, ცარიელი ლაპარაკი არ იყო. იგი ხანგრძლივი გამოცდილებითა და „სამეცნიერო საქმიანობით“ მიღებულ ცოდნას და მის ერთ „ბრწყინვალე“ აღმოჩენას ეყრდნობოდა.

ოფიცრის თქმით, ყმების ჩამორთმევამ და მოჯამაგირის იმედად დარჩენამ ცუდ ღლეში ჩააგდო მებატონეები. მოსამსახურეები ყველაფერს იპარავდნენ. ერთხელ, იმისათვის, რომ გაეგო მისი „დენშნიკი“ შაქარს მოიპარავდა თუ არა, მან ბუზები დაიჭირა, საშაქრეში ჩასვა და სარქველი დაახურა. როცა საშაქრის ახლისას ნახა, რომ შიგ ბუზები აღარ იყო, დარწმუნდა, რომ „დენშნიკს შაქარი მოპარული ჰქონდა. ასეთი იყო ოფიცრის „ბრწყინვალე აღმოჩენა“. მას შემდეგ იგი ამ ხერხით ამოწმებდა ნებისმიერი რამის ქურდობას, რასაც ოჯახში ყუთში ინახავენ.

თავისი „აღმოჩენით“ აღფრთოვანებული ოფიცერი ამბობს: „როგორ მოგწონთ ჩემი ოსტატობა? ფრანცუკებმაც იციან ზოლმე მაგისტანა ეშმაკობის მოგონება, მაგრამ იმათის მაშინების ყიდვა ძვირია, ეს ჩემი ოსტატობა კი გრომიც არ დაჯდება“ და არწმუნებს მგზავრს: თქვენს „წიტიან ქალაქს“, რომელიც სულ ერთი გადაფურთხების სიგრძისაა, და თქვენს, ცივილიზაციისაგან ჩამორჩენილ, გაუნათლებელ ქვეყნას ახლა სწორედ ეგეთი გამოგონებები უნდაო“.

როგორც ვხედავთ, ეს ბუზების ამბავიც თავიდან ერთი სულელური ახირებაა და მეტი არაფერი, მაგრამ სულ სხვაგვარ, განზოგადებულ და ალევორიულ სახეს იღებს, როდესაც სცილდება ოფიცრის პირადი საქმიანობის ფარგლებს და მისაბაძი მაგალითის სახით მიეწოდება რუსეთის მიერ „ახლად დაჭერილ“ ქვეყნებს.

„ეს აზრი ჯერ არავისთვის გამიძულანება, მაგრამ თქვენი ქვეყანა ისე მიყვარს, რომ თქვენ ვე გაცნობეთო“, — არწმუნებს მგზავრს ოფიცერი. „ეს ჩემი ოსტატობა რომ გავრცელდება, მაშინ შეიძლება, რომ ბუზების სყიდვა დაიწყონ, აი, ქვეყანაში ახალი აღებ-მიცემობა გაჩნდება, ჩაივლით ერთს მშვენიერს დილას თქვენს ქალაქში და დაინახავთ ბუზების მალაზიასა. ცუდია თუ? რამდენი მშვიერი კაცი ლუკმას იშოვნის ბუზების მეოხებითა...“ „ეხლა კი ბუზები რანი არიან...“ — ამბობს ოფიცერი და ჩანს, რომ მშვიერი ხალხის დაპურებაზე ნაკლებ არც ის უხარია, რომ ეს — არაფრად ჩაგდებული „ბუზები“ ამგვარად თავს დაიფასებენ. ის კი არა და პირის გემოსაც კი უქებს, არაყი იმათაც ისე ყვარებით, რომ არყის ბოთლში რომ ჩავსვი, შიგ ჩაიხრჩუნერო. მოკლედ, ოფიცრის აზრით, ამ აღმოჩენასთან დაკავშირებული პერსპექტივა ერთნაირად „მომგებიანია“ ჩვენთვისაც და „ბუზებისთვისაც“.

„სიცოცხლე ის არ არის, რომ ამდენი და ამდენი წელიწადი სვა და ჭამო... თავისუფალ დროს ზოცო ბუზები... ამისთანა სიცოცხლე უსაძაგლესია სიკვდილზე“ — წერს ილია ერთ პუბლიცისტურ წერილში და დასასოცი ბუზების არსებობაში აქაც თავისთავად იგულისხმება „არაწმინდა“ გარემო.

ლუარსაბისნაირ ზარმაც ქართველს მიაბიტად ჰგონია, რომ მხოლოდ ცოლის წინაშე საკუთარი „სიბრძნე-გამჭრიახობის“ გამოსაჩენად შეიძლება ჭერზე შემომსხდარი ბუზების გამოყენება, იგი მათი დაზოცვისთვისაც არ იწუხებს თავს, აქ კი თურმე აი. რა „დიდი“ შესაძლებლობები ყოფილა დამალული — ბუზების მეშვეობით ლუკმა-პურის შონაც ყოფილა შესაძლებელი და ქვეყნის „აშენებაც“.

ამჟამად, რომ ბუზებით საქმიანობა აქ ყველგან ალევორიულად აღამაინისათვის შეუფერებელი, უკადრისი საქმის კეთებას ნიშნავს. როგორც შემდეგ მოხვევის სიტყვებიდან გამოჩნდება: „ადრიდა... ვაუკაცობით სარჩოსაბადებულ მაშოვრ ვიყენით. კაცი უბრალოდ არ წარხდის. აწინა ტყუობით, მეძაე-მრუშობით, ფიცთა გატეხვით. ერთურთ დალატით სარჩოსაბადებულ საშოვარ გაგვიხდნის.“ აქედან ჩანს, რომ ამ ვნებას უკვე აქვს დაწყებული

ფეხის მოკიდება, უკვე დაწყებულა „ბუზებით“, სარჩო-საბადებლის მოპოვება.

როგორც ვხედვით, არც რუსი ოფიცრის ნალაპარაკი და არც გამცილებელი მოხვევის აზრები მოთხრობაში უსისტიემოდ არ არის გაფანტული – ისინი ერთმანეთს აესებს. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები თითქოს სათავგადასავლო სტილშია დაწერილი და მოგზაურის დღიურის თუ წერილის ფორმა აქვს, იგი იდეურ-თემატური თვალსაზრისით არაჩვეულებრივად არის შეკრული: იცვლებიან გმირები ანუ მოთხრობელის თანამოსაუბრეები – ფრანგი მგზავრი, რუსი ოფიცერი, მგზური მოხვეე. მაგრამ საგანი საუბრისა, პირდაპირი თუ ალევორიული სახით, თუ ჩავაკვირდებით, ერთა – საქართველოს ტყვიელები – მისი ბედი. ყოელა ეპიზოდი გაერთიანებულია მგზავრის ფიქრთა გრეხილით, რომელიც კრავს და ამოლიანებს ყოველივეს.

საყურადღებოა ერთი ძალზე დახვეწილი მხატვრული ნიუანსი. რუსი ოფიცრის შეკითხვაზე მისი ვინაობის შესახებ, მოთხრობელი პასუხობს: „სომხის სოვდარის დახლდარი“ ვარო. რა არის ეს – ტყუილი? მოთხრობელის სახე ზომ თითქოს ყველაფრით მიგვანიშნებს მის იდენტირობას ავტორისასთან. ცოტა ქვემოთ, მოხვევის საუბრიდან ქართველთა მდგომარეობის შესახებ თავიანთსავე ქვეყანაში, ვიგებთ: „აწინა შვეალე სომეხი უფრო გეაწიოკებს... სვამეხს რაი ეფვის, ვერ მოსაგერებელ, ვერ შესათამაშებელ...“ საქართველო სომეხ ვაჭართა სავაჭრო სახლად არის თითქოს ქცეულქ, სადაც ქართველები მოსამსახურეებად და დახლდარებად-ლა არინ დაყენებულნი. გავიხსენოთ „აწრდილის“ სიტყვები მცხეთის შესახებ: „და იგი დედაქალაქი ვრცელი აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა. ამიტომ მოთხრობელის პასუხი თავის ვინაობის შესახებ ტყუილი კი არა, ერთგვარად ორაზროვანი, სარკასტულ სახეში შეფარული სიმართლეა. საქართველო სამიკიტნოდ არის ქცეული, ქართველი კი თავის სამშობლოში – სომეხი ვაჭრის დახლდარად.

რუსი ოფიცრისა და სომეხი ვაჭრის ფუნქცია მეტ-ნაკლებად გასაგებია. ახლა დავაკვირდეთ, რა ჩანაფიქრი შეიძლება იყოს მოთხრობის შესავალში ფრანგი მგზავრის გამოჩენაში და თუ ყველა გმირი გარკვეულ ეროვნულ იერს ატარებს, რა შინაარსი დევს ამ სახეში? შალვა ამირეჯიბი სტატიაში „ილია ჭავჭავაძე“ წერს: „...ილია, რომელსაც რუსობა ისევე არ უნდოდა, როგორც მოხვეეს, საკსებით ამ ნიადაგზე ვერ დადგება. ევროპელობა მინც საერთო და რაღაც სავალდებულო ცნება იყო იმისთვის... მოხვეე და ილია ისე გაშორდნენ ერთმანეთს, რომ პირველს რუსული „ტალავარი“ არ ჩაუცვამს, მეორეს ევროპული არ გაუხდია.“<sup>1</sup> საინტერესო არის ის, რომ ილიას მოთხრობაში არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით ევროპული სამოსი არ აცვია. „ტალავარ არა გაქენ ქართველთა: რუსად მორთულ ხარნ“, ეუბნება მოხვეე და თავდაც ამბობს: „თუმცა მე რუსული მაცვია, დამიჯერე, რომ გულით ქართველი ვარო“ არც გადატანითი მნიშვნელობით არ ეტრფოდა

1. ...ილია ემიგრანტთა თვალთ, ტ.1. 1996, გვ.32

ილია უცხო სამოსელს, მათ შორის თუნდა ევროპულს.

ნაწარმოების მიხედვით ფრანგი მგზავრი რუსულ „პოვოსკას“ დასცინის და თითქოს იბრალებს ქართველს, რომელიც ამ „პოვოსკით“ მგზავრობს. „მებრალბებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტენინი და გაადღვებინოთ გულ-მუცელიო“, ამბობს იგი, მაგრამ თავად უკეთესს არაფერს სთავაზობს და მხოლოდ შორიდან დასცინის. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, ცოტა მოგვიანებით რუსი ოფიცერი რომ ამბობს თავის „აღმოჩენასთან“ დაკავშირებით „ფრანცუცებმაც იციან ხოლმე მაგისთანა ეშმაკობის შოგონება, მაგრამ იმათის მაშინების ყიდვა ძვირია, ეს ჩემი ოსტატობა კი გროშიც არ დაჯდებაო.“ ზომ არ მიგვანიშნებს ეს იმაზე, რომ ფრანგის – უცხოელის დამოკიდებულებაც ჩვენი ქვეყნისადმი არსებითად არ განსხვავდება რუსი ოფიცრის პოზიციისაგან?

ამ კიოხვაზე თითქოს პირდაპირ პასუხს იძლევა 1887 წლის 12 ოქტომბრის „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილი, რომელშიაც ილია აღწერს, როგორ შესაჭმელად უყურებენ ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, ინგლისი და გერმანია მაროკოს იმის გამო, რომ მისი სულთანი ავად გახდა და იმედი მოეცათ მისი დაპყრობისა. სტატიამი ვკითხულობთ: ევროპაში „დიდი განათლებაც არის, დიდად აყვავებული და გაძლიერებული მეცნიერებაც, მეტად მშვენიერი ხელოვნებაც, სასწაულთმოქმედი ხელოვნობაც, ერთის სიტყვით ყველაფერი, რაც აღამიანის, კაცობრიობის სახელსა და დიდებას შეადგენს. თუ კაცობრიობას თავმოსაწონი რამე აქვს, თითქმის მარტო ევროპის მაღლობელი უნდა იყოს, რადგანაც დღეს ყველაფერს და ყველას წინ მიუძღვის ყოველ საქმეში მრავალგვარად ძლევა მოსილი და გამარჯვებული ევროპა. ამ ძლიერს და განდიდებულს ყოფა-ცხოვრებას რომ უყურებს კაცი, ამ განათლებულს მსვლელობას, ამ ყოვლად შემძლებელს მეცნიერებას, ამ აუარებელს სიმდიდრეს, ჰგონია, რომ თუ ქვეყანაზედ სიკეთეა სადმე, ამ ევროპიდან უნდა გამოვიდესო და ყველა, დიდი და პატარა, ღონიერი და უღონო, ღარიბი და მდიდარი, მაღალი და მდაბალი, ყველა გაუჭირებლად სულს უნდა იბრუნებდეს ევროპის წყალობითა და მეოხებითაო. ზომ ასე უნდა იყოს, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ესე არ არის. ყოველ სიკეთესთან ევროპას ორი დიდი და ჯერხანად უძლეველი ჭირი სჭირს: შური და ხარბობა... ევროპას სხვა დანარჩენი ქვეყნები უპატრონონი ჰგონია, ანუ უკედ ვსთქვათ: ისე აქვს მიჩნეული, თითქო სხვა ყველა ერთად და თვითვეული ცალკე მარტო იმისათვის გაუჩენია ღმერთს, რომ ევროპამა პღრღნას, ევროპამა ჰხრას. თქმა არ უნდა, როცა ევროპა საღრღნელად და სახრავად გაიწევეს საითმე, ფერ-უმარილს კაცთმოყვარეობისას და გულმტკივნეულობისას წაიგდეს ხოლმე შურისა და ხარბობის დასაფარავად და ამბობს: განადირებული ერია, ნადირთსაცხოვრებელი ქვეყანაა: ცოდვაა არ მივეშველოთ, ცივილიზაციის სხივი არ მოეფინოთ, ნადირად ქცეული კაცი ისევ კაცად არ ვაქცოთ, გავერანებული ქვეყანა არ ავაყვავოთ, მისთა მკვიდრთა საბედნიეროდ. ამას ამბობს ევროპა და გულში კი თვითონვე დასცინის თავის

თავს ამ მოკლევადიან ტყუილისათვის... განათლება გვინდა შემოვიტანოთ... რა განათლებაა ის განათლება, რომ ხარბობა, ეს თვისება და უნარი მხეცისა, ვერ დაუმორჩილებია და ყველაფერი მაგისთვის უნაცვლებია, სამართალიც, კაცთ-მოყვარეობაც და მართო ძალმომრეობას, თვითნებობას, ძარცვა-გლეჯას, მტაცებლობას და ხეჭკას-ღა აფარფაშებს და ახეირებს ქვეყანაზედაო.“ როგორც ვხედავთ, ეს აღწერა გაჭრილი ვაშლივით გავს რუსი ოფიცრის პოზიციას „ახლად დაჭერილი“ ქვეყნისადმი და ამდენად არა გვეკონია, მოთხრობაში მოხრობელის და ილიას აზრი ეროვნულ პოლიტიკაში მოხვევისაგან განსხვავებული ყოფილიყო.

მოხრობელის ბოლო თანამოსაუბრე – მოხვეე შენატრის ძველ დროს, როცა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდა“ და ქვეყნის უბედურებას თავისუფლების დაკარგვასთან აკავშირებს. ეს ფაქტი ორივე ქართველში ტკივილს იწვევს და მოთხრობა მთავრდება მოხრობელის რიტორული მიმართებით თავისი მიწა-წყლისადმი: „როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის?..“

საინტერესოა, რომ კითხვას ქვეყნის უბედურების მიზეზებთან დაკავშირებით ილია სხვა თხზულებებშიც სვამს და ხშირად იქვე იძლევა პასუხს. მაგალითად საქართველოს თანამდევი უკვდავი სულის სიტყვებიდან პოემაში „აჩრდილი“ და ლირიკული გმირისა და ქვეყნის საუბრის ამსახველი ლექსიდან „კითხვა-პასუხი“ ვიგებთ, რომ ქვეყნის განახლებისა და სულიერი ამაღლებისათვის ზნეობრივი და სულიერი განწმენდაა საჭირო. პოემაშიც და ლექსშიც აქცენტები ქვეყნის შინაგანად გაპარტახებაზეა გადატანილი, მაგრამ არ ჩანს გარეგანი ფაქტორები, „მზავრის წერილები“ კი ქვეყნის სულიერი მდგომარეობის სხვა ასპექტს წარმოგვიჩენს – სწორედ სხვათა. გარეშეთა როლს მის ამგვარ დაკნინებაში. მოთხრობის შინაარსი, მისი მხატვრული სახეები, კომპოზიცია – ყველაფერი მიგვანიშნებს, რომ ქვეყნის ტკივილების დასაშუშებლად, მის სანუგეშებლად და ფეხზე წამოსაყენებლად მწერალს საჭიროდ მიაჩნია ის, რომ მას თავისი ბედი თავადვე ემართა. არც „იზღერის ბაღში“ ნაპოვნი „სამოთხე“, არც „ბუზების“ ალებ-მიცემობით ნაშოვნი ლუკმა-პური, არც ნამდვილი გენერლების მომრავლება, არც სომეხი ვაჭრის დახლდარობა და არც ფრანსიელის ძვირფასი საეშმაკო მამინები საქართველოს კარგს არაფერს უქადდა.

საერთოდ მოთხრობის ბოლოს დასმულ რიტორულ შეკითხვაზე საგულისხმო პასუხი, რომელიც გულში ედო მწერალს ამ შეკითხვის დასმისას, უნდა ვეძიოთ თვით მოთხრობაში და მწერლის დამოკიდებულებაში აღწერილი თემისა და საკითხისადმი.

მოთხრობა ასახავს საქართველოს მდგომარეობას მას შემდეგ, რაც ილიასავე სიტყვებით რომ ვთქვათ:

„უცხო ხალხმა ხელთა გვიგლო,  
ქრთვლის ბედი ბურთსავითა

სათამაშოდ წინ გაიგდო...“

ამიტომ ვხედავთ აქ ერთობადაკარგულ, მგლოვიარე, დაერდომილ, უნუგემო ქვეყანას, რომელსაც სომეხი ვაჭარი მატერიალურად ყველფს, რუსი ოფიცერი მორალურად და ზნეობრივად აპარტახებს, ფრანგი მგზავრი კი შორიდან დასცინის. ამ კონტექსტში დასმულ კითხვაზე, როდემდის ექნებოდა გულში ტკივილი ქვეყნის ერთგულ შვილს, ცოტა უფრო ძნელი იყო პირდაპირი პასუხის გაცემა. ამაზე მიგვანიშნებს ავტორის სიტყვებიც: „ჩემმა მოხვევებმა მე კიდევ ბევრი რამ სხვა მიიხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა.“ სწორედ ამ შემთხვევისა გამო“ ზემოხსენებული ლექსი: „რა ვაკეთეთ, რას ვშერებოდით? ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა“, რომელიც პირდაპირ იძლევა ამ პრობლემის ახსნას, მწერლის სიცოცხლისდროინდელ გამოცემებში სულ კუპიურებით იბეჭდებოდა და ციტირებული სიტყვები ან ამოღებული იყო და ან სრულიად გადაკეთებული. ასეთ პირობებში მწერლის ზერხი მხატვრული ორაზროვნებაა და მისი სათქმელი ლექსისა თუ მოთხრობის მხატვრულ სახეთა სიღრმეებში უნდა ვეძიოთ.

გვინდა ამ საკითხზე მსჯელობა დავამთავროთ ილიას სიტყვებით 1887 წლის 16 აპრილის სტატიიდან: „ერს, რომელსაც დღევრძელობა და მერმისი ჰსურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისთვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და გაწმენდა. ამაზედ უნდა მიიქცეს მთელი ღონე ერის გულშემატკივარის კაცისა. იგი დედა. თუ მამა, რომელიც თავისის შვილისათვის მზრუნველობას იმაზედ არ მიაქცევს, რომ კაცური კაცი გამოუვიდეს, იგი ჭიაა, რომელიც თავის ერს მერმისის ძირს უთხრის და უღრღნის დღემუდამ და იქნება არც კი ჰგრძნობდეს, რა ცოდვაში ჰდგება. იგი ნელ-ნელა ჰლესავს დანას, რომელმაც ადრე იქნება თუ გვიან ყელი უნდა გამოსჭრას მისივე შთამომავალსა, მისივე ერსა.“

## მხატვრული სტილის ზოგიერთი მხარე

### ილიას სიტყვაკაზმულობა

ილია ჭავჭავაძის არა მარტო მხატვრული ნაწერების, პუბლიცისტური და ეპისტოლარული წერილების ენაც კი საოცრად მაღალმხატვრულია, აღსავსე მახვილი შედარებებითა და ნაირფერი სტილისტური ზერხებით ამის შესახებ ბევრი დაწერილა და ამიტომ გამოვყოფთ მხოლოდ განსაკუთრებით დამახასიათებელ ნიმუშებს ან ისეთ ზერხებს, რომლებიც ნაკლებად არის შესწავლილი.

ილია ხშირად მიმართავს კონტრასტზე დამყარებულ მხატვრულ სახეებს:

ოქსიმორონს, დაპირისპირებას და სხვ. მის ნაწერებში გვხვდება ასეთი გამოთქმები: „უსამართლო მოსამართლე“, „მშვენიერ და ტკბილ უშვერსიტყვაობისათვის“, „ჯაგღავი მერანი“ და სხვ. ეს ტროპები ძალიან ესადაგება ილიასათვის დამახასიათებელ ნართულ, გადაკრულ კილოს. მაგრამ გვხვდება მძაფრი სიუჟეტის მქონე ეპიკურ ნაწარმოებებშიც, სადაც დამატებითი მხატვრული ელფერიით კიდევ უფრო ამძაფრებს სათქმელს

მაგალითად, მოთხრობას „სარჩობელაზედ“ ქვესათურად აქვს – „პატარა ამბავი“. არა გვეონია, რომ აქ სიტყვა „პატარა“ მოთხრობის მოცულობაზე მიუთითებდეს, რადგან ამისთვის არსებობს სპეციალური ტერმინები – ნოველა, მინიატურა, ეტიუდი, და სხვ. ამ უკანასკნელს კიდევაც იყენებს ილია თავის სხვა ნაწარმოებში – „უცნაური ამბავი“. მას ქვეშ მიწერილი აქვს – „ეტიუდი“. სიტყვაში „პატარა“ აქ მწერალს სხვა გულისტკივილი უნდა ჰქონდეს ჩაქსოვილი. ის, რაც ამ ნაწარმოებშია აღწერილი, ბევრს პატარა, უმნიშვნელო ამბავი ჰგონია, სინამდვილეში კი დიდი და სერიოზული, თითქმის საყოველთაო ჭირი და ტრაგედიაა. ამრიგად მხატვრული ეფექტი აქ მიიღწევა მოთხრობის შინაარსისა და ქვესათურის ერთგვარი კონტრასტით.

ასეთივე ხერხია გამოყენებული მოთხრობაში „გლახის ნამბობი“. ამჯერად ნაწარმოების შინაარსთან კონტრასტული ელფერი აქვს ეპიგრაფს: „რა ქმნას კარგმა მონარდემ, დროზედ შაში თუ არ მოვა.“ ადამიანს, ღვთის ქმნილებათა გვირგვინს. სამწუხაროდ, წუთისოფელი ზოგჯერ კამათელივით ათამაშებს. ქვეყნის ორიმტრიალში ჩათრეული, იგი, თითქოს სათამაშო ხდება მის ხელში. აი, ამგვარ შინაარსობრივ ინტერპრეტაციას იძლევა ეს, ერთი შეხედვით მსუბუქი გამონათქვამი მოთხრობის მძიმე სიუჟეტის ფონზე. და მაინც რა ქმნას? არის კი ადამიანის გამართლება იმაში, რომ ვარემოებამ არ შეუწყო ხელი და უბიძგა ბოროტებისკენ? თითქოს ამის პასუხად მღვდელი გაბრძენს ძალიან მნიშვნელოვან სიტყვებს ეუბნება: „რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა...“ სხვათა დანაშაულისათვის კი არ ისჯება ადამიანი, არამედ საკუთარი ცოდვისათვის.

ილიას ნაწარმოებებს ზოგჯერ შინაარსთან ყოველმხრივ შერწყმული, იმავე სულისკვეთების ეპიგრაფები და მინაწერები აქვს, მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ხშირია ასეთ შემთხვევებში კონტრასტული ელფერის გამოყენებაც.

ალეგორიულ ლექსს „გუთნისდელა“, რომელიც მძაფრი, ზოგადადამიანური საფიქრალით არის დატვირთული, მსუბუქი ფოლკლორული ეპიგრაფი აქვს:

„გადი-გამოდი, გუთანო,  
ღირღიტავ, ბანი უთხარო.“

ლექსის შინაარსის დაპირისპირება ეპიგრაფთან საეხებით ამკარავს ერთ უსათაურო ლექსშიც, რომელსაც წამძღვარებული აქვს ლერმონტოვის სიტყვები:

„Да вряд ли есть родство души...“ თავად ლექსი მთავრდება ასეთი ფრაზით:

„ეხლა კი მწამს, რომ ჰქონია  
თვისტომობა სულთან სულსა.“

ლექსს „ჩემი თარიარალი“ მიწერილი აქვს (მიბაძე ალ. ჭავჭავაძისადმი). თავისი ფორმით და ლეიტმოტივით ის მართლაც გავს ალ. ჭავჭავაძის „მუხამბაზ ლათიურს“; მაგრამ შინაარსით დაპირისპირება უფროა მასთან, რადგან სულ სხვევარ განწყობას გვიქმნის.

ძალიან ხშირად აქვს მხატვრულ-სტილისტური დატვირთვა ამა თუ იმ გმირის სახელის შერჩევას. ზოგიერთის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. ამჯერად კი გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ შემთხვევებზე, სადაც გმირები საკუთარი სახელის გარეშეა მოხსენიებული. თითოეულ ასეთ შემთხვევაში გმირის სახელად გამოყენებული საზოგადო სახელით რაღაც მნიშვნელოვანზეა ყურადღება აქცენტირებული. პოემაში განდევილ ბერზე მისანიშნებლად ნასმარია სიტყვები: „მეუღლანო“, „მღალადებელი“, „მწირი“, „ბერი“ — თითოეულ სიტყვაში ხაზგასმულია სულიერი ღვაწლი. მოიხრობაში „ოსაარაანთ ქვრივი“ მთავარი გმირი ყველგან ამ სახელით მოიხსენიება და მის თითოეულ ხსენებაზე ხაზს უსვამს, რომ ეს ღვთაება თავისი ქმრის ერთგული და მისი ოჯახის ტრადიციების, მისი სახის მატარებელია. მოიხრობაში „სარჩობელაზედ“ საკუთარი სახელის გარაშეა ყველგან მოხსენიებული „უმტროსი ძმა“. ეს ფაქტი კი მიგვაქცევინებს ყურადღებას იმაზე, რომ ყმაწვილი უმტროსია, თავისი დამოუკიდებელი გზა არა აქვს ცხოვრებაში და ძალაუჩიებურად აკეთებს იმას, რასაც მისი ძმა — ბეჟანი.

მხატვრული დატვირთვა უნდა პქინდეს მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“ მღვდლის ამ საზოგადო სახელით მოხსენიებას და იმასაც, რომ ნაწარმოების ეპილოგში იგი იცვლება „ბლადონინით“. ამ გმირის გულისხმიერება მოთხრობის დასაწყისშიც და მის ბოლოსაც არ გვაძლევს საბაბს, რომ სახელის შეცვლა გმირის შინაგან გარდატეხაზე მიმანიშნებლად მივიჩნიოთ. მაგრამ არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ მისი ამ ახალი წოდებისადმი მღვდელის და მოკიდებულების გამო სოფლის მღვდელმა მომაკვდავთან საზიარებლად წასვლაზე თქვა უარი. შესაძლოა ეს სახელი, რომელიც ბოლო ეპიზოდში ხშირად მეორდება და თავისი არაქართული ჟღერადობით ყურს გვჭრის, რუსეთის იმპერიის პირობებში ქართული ეკლესიის იმპაშინდელ მდგომარეობაზე მიგვანიშნებდეს.

ძალიან ნიშანდობლივია, რომ ილიას უყვარს სიტყვის ეტიმოლოგიაზე დაკვირება და მისი ძირების წარმოჩენა თავის ნაწერებში. სიტყვის „დოყლაპა“ აგებულებიდან გამომდინარე ერთგან იგი ქმნის ასეთ შედარებას: „ნაღებს ქვეყნისას და ცხოვრებისას მცოდნე კაცი ჰხდის და უცოდინარს საყლაპავად თუ დო დარჩა, ღმერთს მადლი შესწიროს!“ დო კაცისთვის შეუფერებელი სასმელია. იგი რუსთველთანაც გვხვდება და ღვინოსთან არის შეპირისპირებული: „ღვინოსა სმიდეს არ დოსა...“

ყურნალი „ცისკარი“ სულ ზედმოკლეობას უჩიორდა. სიტყვის „ხელმოკლე“



გათამაშებით ილიამ შექმნა გამოთქმა „ფეხბოკლე ლიტერატურა“, რაც ერთგვარ ასოციაციას იწვევს ტყუილის „მოკლე ფეხთან“ და მეორეს მხრივ იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მოკლე ფეხით შორს ვერ წავა. ამას გარდა მან „ციხის“ სათაურს კონტრასტული შინაარსის მქონე სახელი „ჯოჯოხეთის კარი“ მიუსადაგა.

ხშირად მიმართავს ილია ენაში უკვე დამკვიდრებული იდიომების გაშლას ან თავისებურ ახლებურ ინტერპრეტაციას. ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ ზემოთ გვექონდა საუბარი. იხ. „ცა ქუდადა აქვს და დედამიწა ქალამნად“. ანდაზას „ორი კურდღლის მადევარი ვერცეროს ვერ დაიჭერსო“ ილია ასე იყენებს განათლების საკითხებზე დაწერილ ერთ-ერთ სტატიაში: ისინი იქაღან „მე ოთხს კურდღელს გამოუდგები და ოთხსავეს ერთად დაევიჭრო, ნეტავი ექვსიც ერთად დაიჭიროს, ოღონდ კი მარტო კურდღლებს გამოუდგეს და ბავშვების სწავლას კი თავი დაანებოს.“

გამოთქმა „ახალი ხილი“, როგორც ჩანს, ილიაში ძალიან კარგ ასოციაციას არ იწვევდა, რადგან, როგორც ერსიან თავად ამბობს, არც არაფერი დაიწუნება იმითი, რომ ძველია და არც არაფერი მოიწონება მარტო იმით, რომ ახალია. ეს დამოკიდებულება ჩანს ამ გამოთქმის ერთ ასეთ ინტერპრეტაციაშიც: „თეატრის გამგეობამ ახალი ხილიც მოგვართო ნობათად. თუმცა ეს ახალი ხილიც მკვახე, უგემური და ცოტა დაჭანებული გამოდგა.“

მხატვრული შედარებებისათვის ილია ფართოდ იყენებს ბუნებაში არსებული მცენარეებისა და ცხოველების სახეებს. ზემოთ ვრცლად გვექონდა საუბარი ვაზისა და პურის მხატვრული სახეების შესახებ ილიას შემოქმედებაში, რომელსაც ჩამოყალიბებული, სისტემური ხასიათი აქვს და, ჩვენი აზრით, წმინდა წერილიდან იღებს სათავეს. ამას გარდა ხშირია მის ნაწერებში ხის, ნერგისა და სხვადასხვა ნაყოფის მხატვრულ შედარებებში გამოყენება. მაგალითად, „დამაკვირდის“ ერთერთ ლექსში ვკითხულობთ:

„თუ სახელის შოვნა გინდა,  
დღეს ისეთი ნერგი დარგე,  
რომ ხვალემა მადლობით სთქვას  
ნანერგისა შენით მარგე.“

„ნერგი“, რა თქმა უნდა, ალგორითული მნიშვნელობით არის ნახშიარი. ასევეა ერთერთ პუბლიცისტურ წერილშიც: „უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, თავგაუტანელი და ფეხმოუკიდებელი.“ როგორც ვხედავთ, ნერგი შეიძლება იყოს სალიც და „უფესვ-უშტოც“. ასევე გვხვდება ილიას მხატვრულ შედარებებში ნაყოფიერი და უნაყოფო, შეფოთილილი და გაშიშვლებული ხეც. ერთგან სოფლის თევთმმართველობა „ფუტურო ხესთან“ არის შედარებული.

გაზაფხულის ფონზე კონტრასტული მეტაფორული სახის მემკვიდრით მძაფრ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე „უფოთლო ხის“ სახე ლექსში

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა აკადემიური გამოცემა, ტ.5, გვ.231
2. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა აკადემიური გამოცემა, ტ.5, გვ. 128

„ოჰ, სად არიან“:

„განძრცენილქარ გრძნობით, უდროოდა მეკეთენენ ფრთენი, გაზაფხულა, მე კი ვდგევარ, ვით უფოთლოდ ხე...“

იოანე დამასკელის სავედრებელში ჯერის შესახებ ნათქვამია – „ესე არს ხე იგი, რომელი ჰსდგას თანაწარსადინელსა წყალთასა, და ფურცელნი მისნი არა დასცვიან“. ფურცლის დაუცვენლობა სრულყოფილებასთან, სისაესესთან, მადლთან ასოცირდება, ილიას ლექსში კონტრასტული სახის გამოყენება კი ამის საპირისპიროდ ლირიკული გმირის მიმე სულიერ განცდებზე, მადლისაგან, გრძნობისაგან განძარცვის შიშზე მიგვანიშნებს. გვხვდება შედარება ცარიელ ღეროდ დარჩენილ ფესვებდაჭრილ და ფოთლებდაბღერტილ ხესთან და უგულო ნაყოფთანაც „... ცარიელი სახელებია, უსაგნო, ნაჭუჭია უგულო, ფრაზა უქმიო“, წერს ერთგან ილია.

ხის მხატვრული ალგორია ყველაზე ცხადად, ბიბლიური სიბრძნისა არ იყოს, მისი ნაყოფიდან წარმოჩინდება. ეს ნაყოფი მრავალფეროვანია და ამას ძალიან კარგად იყენებს მწერალი. „ჩვენ თვითონ დაეცალიერდით გუდაფშუტასავით, ცარიელი სიტყვებია გვინდა, ცარიელი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს“, – ვკითხულობთ სტატიაში „ზოგიერთი რამ“.

გვხვდება შედარება პანტასთან, როგორც კარგად მსხმოიარე, მაგრამ ნაკლებად ფასოვან ველურ ხილთან: „ნუთუ პატიოსანი, უჩირქო ყოფაცხოვრების პატრონი... არ მოიპოვება საქართველოში და იაროსლაეში კი პანტასავით ცვივა.“ ერთ-ერთი საზოგადო მოღვაწის შესახებ კი წერს: განა ის „პანტაა, რომ ეგრე წყვილ-წყვილად ცვიოდეს ცილამო.“ კიდევ უფრო მეტი სარკაზმია „პანტის ჩირთან“ შედარებაში. „ორხმიან სააზალწლო ოპერეტში“ ვკითხულობთ:

„ღმერთმა ნუ ჰქმნას, დრო მოვიდეს,

ხილად ეხადდეთ პანტის ჩირსა...“

ეს ერთგვარი გამოძახილი უნდა იყოს გურამიშვილის სიტყვებზე:

„დრო მოვა, რომ გატკბილდების

ხილად სშკამენ პანტის ჩირსა...“

მოზერხებულად იყენებს ილია შედარებისათვის ნესვის ერთ თავისებურებას – გარედან რომ არ ეტყობა, როგორია შიგნით და აგებს ასეთ შედარებას: „ეს კარზე მომდგარი ახალი წელიწადი ჯერ ხომ გაუჭრელი ნესვია და რა საბუთია რომ შეეხართ?“

განსაკუთრებით ზუსტად მორგებულია საზოგადოების შედარება ჭრიანტელთან: „ჩვენი საზოგადოება სწორედ ჭრიანტელია, მერე რუსული ჭრიანტელი, რომელსაც აკროშკას ეძახიან და რომელშიაც კიტრიც არის, ისერიმიც და უფრო რუსული კვასი; ძმარიც, ხარდალიც, ყინულიც, ხორციც და თევზიც და ათასნაირი სხვა რალაცაები, მაგრამ არც ერთი მათგანი იმოდენა არ არის, რომ სხვაზედ ნამეტნავად გამოჩნდეს; სუყველანი ხორციით და სულით დაკეპილნი და დანამცეცებულნი არიან.“ შემთხვევითი არ უნდა

იყოს აქ მაინცადამაინც რუსულ ჭრიანტელთან შედარება, რადგან ილიას არაერთხელ გამოუთქვამს უკმაყოფილება რუსეთის თვითმპყრობელობის მისამართით იმასთან დაკავშირებით, ყველა ერს თავისებური კულტურა, თავისებური ცხოვრების წესი აქვს და ყველას ერთი საზომით წყვა, ყველაფრის გათანაბრება არ შეიძლებაო..

როგორც მხატვრული თხზულებების ანალიზისას ვნახეთ ეპიკურ ნაწარმოებებში მთავარ გმირთა გამოსაკეთად ილიას ხშირად აქვს გამოყენებული მათი ამა თუ იმ ცხოველ-ფრინველთან შედარება. საინტერესოა ამ მხრივ მხატვრული ტროპები „მეფე დიმიტრი თავდადებულთან“, სადაც ყანი სვავთან და მხეცთან არის შედარებული, წმინდა მეფე კი – მტრედთან და კრავთან – ამ უწმინდეს ბიბლიურ სახეებთან:

„სვავს ვინ ჰკითხავს, სისხლს რადა მსვამ,

სვავო, რადა ხარ სვავიო;“

„აწამა ვით სვავმა მტრედო...“

„საღერღელი აეშალა

ვით კრავის წინ მხეცსა ტყისას.“

მსგავსი შედარებები ფართოდ გვხვდება პუბლიცისტურ წერილებშიც: „სამართლის ურიგოდ მოწყობა სვავია, რომელიც სნთქავს ხალხის სიმდიდრესაო“, – ვკითხულობთ ერთგან.

კაჭკაჭი ცნობილია, როგორც სხვადასხვა ხმების მიზმიანი ფრინველი. აქედან გამომდინარე ილია წერს: „...აშინარი კაცი კაჭკაჭია და არა ჭეშმარიტი წარმომადგენელი მის მიერ ქადაგებულის აზრისა.“

მესამე დასელებს ილია კრუხს ადარებს: „...კრუხადა ზის და სჩეკს ტყუილების წიწილებს და ყოველ კვირა გამოჰყავს იარმუკაზე გასასყიდადო.“

სიცრუეს მწერალი „გამოუქნელ ხარს“ ადარებს, რომელიც „სიბრძნის უღლიდამ გამოეშვა და გაყალბებული დაიარება თავისად.“ სხვა შედარების მიხედვით „ადგილობრივი ვითარება ხმამოუღებელი სახედარია, ვისაც რა უნდა, იმას აპკიდებენ... სულ მზად არის სამსახურისთვის, როგორც შეკაზმული სახედარი.“

უთევზურ ადგილას კიბოც კი ძვირად ფასობს. აქედან გამომდინარეობს ილიას გამოთქმა: „მეც ვითომ კიბო ვარ უთევზურ ადგილას...“ მსგავსი შედარებები საოცრად ბევრია, რაც მწერლის ენას ხატოვანებას მატებს.

ილიას ნაწერებში ყველა მხატვრული ხერხი დიდი ოსტატობით არის ორგანიზებული და ემსახურება გმირთა სახეების ცხოველმყოფელ გამოქანდაკებას, საბოლოო ჯამში კი მწერლის ჩანაფიქრის განხორციელებას. ის, რომ მისი ლიტერატურული გმირები თითქოს ნამდვილი, ცოცხლი სახეებია, მიღწეულია თხზულებებში გამოყენებული ყველა მხატვრული ხერხის ერთობლიობით. გმირთა სახეების წარმოჩენას მწერალი ახდენს არა მარტო მათი გარეგნობის და თავს გადახდენილი ამბების აღწერით, არამედ საცხოვრებელი გარემოსა და ოჯახის, გმირთა ცალკეული ქცევებისა და

მეტყველების თავისებურების, ნაცმულობის და მრავალი სხვ. თითქოსდა უმნიშვნელო დატალღების ჩვენებით. რა შეედრება მაგალითად თათქარიძეებისა და ოთარაშვილების სახლ-კარის აღწერილობას.

მწერლის სიტყვები – „კარგი რამ იყო...“ „კაცია, ადამიანის“ შესავალში ისეთ კონტრასტს ქმნის მთელ აღწერილობასთან, რომ მძაფრ სარკასტულ ელფერს იძლევა. ზმირია უცნური, სატირული ასოციაციები: „მგლოვიარე“ სასიძინდის გვერდით ჩალურია, რომელსაც თავისი ზარმაცი პატრონით თითქო „გრილოში წამოწოლა“ უნდა, ისეა გადახრილი. ყველაფერი ამ კარ-მიდამოში რაღაც უნვეულოს და არასასიამოვნოს წააგავს.

სხვაგვარია ოთარაანთ ქვრივის ეზო: „საკმაოდ ფაროო გლეხკაცისათვის, გარს შემორტყმული ტყრუშულის ღობითა. ეზო წმინდაა, ფაქიზად შენახული და ღერეფნიდამ ჭიისკარამდე მწვანით აბიბინებული. ღერეფნის წინ, ერთ ორიოდ ნაბიჯზედ. უშველებელი კაკალი სდგას, შტოებძირდაშეებული, შემორგვალებული, თითქო განგებ შემოკვერცხლილია.“ თუ თათქარიძეების ღობე ფაქტიურად მოშლილია, ქვრივის ეზო ისე კარგად არის შემოღობილი, რომ იქ მის უნებლიედ „მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გაეღა.“

აქ მარტო ღობეში არ უნდა იყოს საქმე. ლუარსაბი ერთი მრავალთაგანია ხავსმოკიდებულ გუბეს დამსგავსებულ ქვეყანაში. ამიტომ მასა და სოფელს შორის „ღობე“ და ზღვარი წაშლილია, ქვრივი კი თითქოს ამ მაღალი ღობით იცავს თავს ამ სოფლის ამოებისაგან. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ღობე ამ შემთხვევაში თავისთავში ჩაკეტვას და სხვის უთანაგრძნობობას ნიშნავდეს. ეს რომ ასე არ არის, ამის დასტურია გასაკითხად მოსული გლაზა მთხოვრებისადმი და თანასოფლელებისადმი ქვრივის დამოკიდებულება. საყურადღებოა, რომ მისი ეზოს იდეალური წესრიგის გავლენით კაკლსაც თითქოს განგებ შემოურგვალებიან ბოლოები ამ პარმონიის შესანარჩუნებლად.

თათქარიძეებისა და ოთარაშვილების სახლის შიდა მოწყობილობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთის გაქონილი ფანჯრები და მეორისა – სათოფურები. პირველი თავისი სიბლანტით და სიბნელით, აგრეთვე ბრიყველი წარწერებით უქმობისა და ამოების სიმბოლოა, მეორე კი – მუდმივი სიფხიზლისა. თათქარიძეების სახლში ყველაფერს მტერის კორიანტელი ასდის და ძვირფასი ნივთებიც კი უწმინდურია, ქვრივის ოჯახში კი დიდი ხნის ფარდაგებიც „კარგად შენახული და ნაპატრონებია.“ მწერლის ხატოვანი მიგნებით ამ ოჯახის შრომისმოყვარეობას და სიფაქიზეს მარტო მნახველი კი არა, თითქოს თვით ნივთებიც კი გრძნობენ და „თავს იწონებენ, რომ კარგი მოძლეული და პატრონი ასჩენიათ.“

ამ გმირების კარ-მიდამოს აღწერილობა კარგად აქვს შეფასებული მიხეილ ზანდუკელს. გრიგოლ კიკნაძე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხების კვლევისას მიდის დასკვნამდე, „ყოფით დატალთა გადმოცემის

ფასი ჩვენს მწერლობაში საბოლოოდ ილია ჭავჭავაძემ გაგვიცნობიერაო.“  
ჩვენი აზრითაც მსგავს დეტალებს დიდი მხატვრული დატვირთვა აქვს ილიას შემოქმედებაში, მაგრამ მათი პოეტური სემანტიკის და ალევორიული სიღრმის შეცნობა კვლავ მოითხოვს დაკვირვებას და თანმიმდევრულ შესწავლას.

### დრო-ჟამის მხატვრული აღმშენებლობა

„დროს ჰსჭვრიტე, ჟამთა რა მოაქვს?  
რას ისხამს, რა მოისთვლების.“

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მრავალ შთამბეჭდავ სურათს შეხვდებით – ცადაწვდილ მთებსაც და აზვირთებულ მდინარეებსაც, თავისუფლების მოტრფიალ ლალ ფრინველებსაც და ოთახის სიბნელესთან მებრძოლ სანთელსაც, აყვავებულ მინდორ-ველსაც და კოსმიურ კატაკლიზმებსაც, მაგრამ არაფერი ეს თავისთავად არ მიიქცევს მწერლის ყურადღებას უადამიანოდ. ადამიანი, როგორც მას ილია იხსენიებს, „ღეთის ქმნილებათა გვირგვინი“, ერთადერთი მუდმივი საზრუნავია მისთვის. მთას პოეტი ადამიანისათვის ნუგეშისცემას სთხოვს, მდინარეს – წინაპართა ამბის მოყოლას; ჩიტის თავისუფლებაზე ადამიანის მონობა ახსენდება, სანთლის ჩაქრობაზე – წუთისოფლის სიმოკლე; აყვავებული მინდორ-ველი ჩამკვდარ გულს და მიძინებულ ქვეყანას აგონებს. ყველგან საბოლოო აქცენტია ადამიანზეა გადატანილი, ადამიანზე ფიქრს კი მუდამ თან ახლავს ფიქრი უფლის სამსჯავროზე.

ძალიან საინტერესო მხატვრულ სახეებს ქმნის მწერალი დრო-ჟამის ალევორიული დატვირთვით, კერძოდ დღისა და ღამის და წელიწადის დროებისათვის კონტრასტული შინაარსობრივი მნიშვნელობის მინიჭებით.

ღამის და დღის – ბნელის და ნათლის ყველაზე თვალსაჩინო ალევორიული სურათია „მგზავრის წერილებში“. დღე და ნათელი, როგორც სიცოცხლის, სიწმინდის, მოძრაობის, წინსვლის სიმბოლო. უპირისპირდება ბნელისა და ღამის „ბოროტებას“, რომელსაც უბედურება მოაქვს ადამიანისათვის. ქრისტიანულ ლიტერატურაში მაცხოვარს მოიხსენიებენ ზოლმე, როგორც „ნათელს ნათლისაგანს“, „სიმართლის მზეს“ და სხვ. აქედან გამომდინარე, ნათელი ასოცირდება ღმერთთან სიახლოვესთან, ბნელი კი შიანისშეშებს ღვთაებრივი მადლისაგან სიშორეს, მის მოკლებას.

„მგზავრის წერილებში“ კვითხულობთ: „ფიქრების გართვაში დრო ისე გამეპარა, რომ თითქმის ვერ შევიტყვე, მზე როგორ გამოესალმა მისგან გამთბარ ქვეყნიერებასა და როგორ მიეფარა მთებსა... დაღამდა, მაგრამ არ ვიცდი, რას ვიქმოდ. რომ იმედი არ მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედლა ეღირებოდა? ჰოი, ბნელო ღამევე, მეჯავრები შენ მე! შენ რომ

1. გრიგოლ კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, 1978 გვ. 253

არ დაარსებულყოფა ქვეყნისათვის, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურობაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა... პოი, ბოროტო წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენი!" დაღამების ამ სურათს, რომელსაც ამასფრებს მოხრობელის ამოძახილი: „ვაი, რა ცარიელია ეს სავეს ქვეყანა უადამიანოდ“, სულ ერთი აბზაცი ჰყოფს ასევე ხატოვანი გათენებისაგან: „გათენდა. რა მშვენიერი ხარ, დილის რიჟრაჟო! რა მშვენიერი რამა ხარ დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ!“ რაში დასჭირდა მწერალს ღამისა და დღის ამ კონტრასტული სახეების – ბუნების ამ უცნაური გარდატეხის ჩვენება? განთიადის სურათი ორ განსხვავებულ ნაწილად ჰყოფს მთელ ნაწარმოებს. პირველში სულ არახასიათოვნო ფიქრები და განცდებია აღწერილი – „პოვოსკაში“ „ხათქა-ხუთქი“, მყინვარის „განდგომილებითა“ და თერგის „ორპირობით“ გამოწვეული გულისტკივილი, საუბარი რუს პოდპორუჩიკთან, საქართველოს მომავლის მისეული სურათის წარმოდგენა და ბოლოს დაღამება. მოთხრობის მეორე ნაწილი იწყება გათენებით, გრძელდება ცხენზე ამხედრებით და მეგზურ მოხვევსთან ქვეყნის ავ-კარგზე გულითადი საუბრით.

განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მზიან დღეს მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“: „შვილო! ეს დღე დაიხსოვმე“, ეუბნება მოხუცი გლეხი – პეტრე თავის ვაჟს: „ეს დღე მე და შენთვის მზიანი დღეაო“. მაინც რა მოხდა ამ ეპიზოდში ისეთი. რამაც ასეთი ღრმა აზრით დაატვირთინა მწერალს გლეხის სიტყვები?

პეტრეს თავისი ცხოვრების დევიზად არიებული პქონდა ანდაზა: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“. ასეთი დამოკიდებულება თავისი თავისადმი ადამიანს უკლავს ღონისძიებას, მისწრაფებას. უფალმა კაცს ღვთაებრივი სრულყოფილებისაკენ სწრაფვა დაუსახა მიზნად და მან თუ თავისი თავი მწყერს გაუტოლა და „ხეზე შეჯდომაც“ კი მიუწვდომლად დასახა, ცისკენ გზას როგორღა გაიკვლევს, ღვთაებრივ სრულყოფილებაზე როგორღა იფიქრებს?

ილიას არ უყვარდა ლიტონი სიტყვები და არც ანდაზებს ხმარობდა მხოლოდ გარეგანი ხატოვანი ელფერისათვის. ამის ნათელი დასტურია ეს ეპიზოდიც, რომელშიაც მხოლოდ წიგნის კითხვის სწავლაზე არ არის ლაპარაკი. აქ ხდება გლეხი პეტრეს ცხოვრებისეული ხედვის ძირეული შემოტრიალება. მწყერს როგორ უნდა შეადაროს თავი ადამიანმა, რომლისთვისაც თვით უფალი ქვეყნად მოვიდა და ახალი აღოქმა მოუტანა, აღოქმა,

„რომელიც ჯვარზედ გაკრულმა მოგვცა

და მით გვიჩვენა, რა ახლოა ცა.“

აი, ეს მოაგონა მღვდელმა პეტრეს და დაარწმუნა: ნუ შეჯდება მწყერი ხესა, ნუ იქნება გვარი მისი, შენ კი ადამიანი ხარ და ადამიანმა ხის სიმაღლის კი არა შეუდარებლად უფრო მაღლის – ზეციური სასუფეველის დამკვიდრებაზე უნდა იფიქროსო.

პოემაში „ქართლის დედა“ გვხვდება გამოთქმა „დიდების განთიადი“:

„ვაი, რომ ბინდი დღეთა ჩემთა სიკვდილს მიქადის,  
როს ჩემი ზალხის დიდებისა სჩანს განთიადი.“

ცხადია, რომ აქ „დღეთა ბინდი“ სიკვდილის მოახლოებაზე მიანიშნებს, განთიადი კი განახლებაზე. თავისუფლებაზე.

მსგავსი კონტრასტული შინაარსია გამოყენებული „აჩრდილის“ ადრეული ვარინტის სიტყვებშიც:

„ბნელ ზედ გაცვალა ზალხმა ნათელი  
დამონებაზედ სასუფეველი!“

„აჩრდილის“ იმევე რედაქციაში იყო „მზე მომავლისა“ მსგავსი ალგორითული დატვირთვით:

„ზალხი აღინთებს კიდევ თვის ვარსკვლავს...“

და გაბრწყინდება მზე მომავლისა...“

ღამე არის ადამიანის სულიერი მიძინების ალგორითული სახე. მიძინებისა, რომელსაც ასე მკვეთრად უპირისპირდებოდა პოეტი:

„ოხ. ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,  
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“

წერდა იგი ლექსში „ელეგია“. იგივე მხატვრული სახე სხვაგანაც არაერთგზის მეორდება. მაგ. „აჩრდილის“ ადრეულ რედაქციაში იყო:

„ყოველი სცოცხლობს, ყოველი ცხოვრობს...“

და სძინავთ, სძინავთ მარტოკა კაცებს.“

თუ როგორ ძილზეა აქ ლაპარაკი, ამას მიგვახვედრებს წმ. პავლე მოციქულის ეფესელთა მიმართ ეპისტოლეს (5,14) გახსენება, სადაც წერია: „...განიღვიძე, რომელსა-ეგე გძინავს და აღდევ მკუდრებით და განგანათლოს შენ ქრისტიმან.“

სწორედ ამგვარ ძილს უპირისპირდება გათენებისა და გაღვიძების სურათები. ეს ჩანს „ოთარაანთ ქერიეში“ არჩილისა და კესოს საუბარში. თავის დას, რომელშიაც სინანულმა გაიღვიძა და სულიერად გამოაფხიზლა, არჩილი ეუბნება: „ეგ ცრემლიანი ცოდნა თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, — შუქია წინასი და შუქი ხომ დასაწყისია განთიადისაო“.

თავისთავად გათენების მომასწავებელია მამლის ყვილი და მწერალი ამ მხატვრულ სახესაც მსგავსი მნიშვნელობით იყენებს. „კაცია, ადამიანის“ შესავალში იგი მკითხველს მიმართავს, იმედი მაქვს, რომ საკუთარ ავ-კარგზე დაფიქრდები და გამოსწორებას შეეცდები, თორემ ამისი რომ არ მჯეროდეს, ამასღა ვიტყვოდი: „მე მიყვილია და გათენდება თუ არა, ეგ ღმერთმა იცის, წყრომა კი რომ არ ყოფილიყო, ეგ გათენება, ჩვენც კარგად გვეცოდინებოდა, როდის იქნებოდა!“

გათენების, როგორც საკუთარ ცოდვებზე დაფიქრების და მათი გასწორების მნიშვნელობა კარგად ჩანს 1885 წლის თებერვლის ერთ-ერთ სტატიაში, სადაც მწერალი დიდმარხვის დაწყებასთან დაკავშირებით მოუწოდებს მკითხველს, ქრისტიანული წესი აღასრულოს და საკუთარ ცოდვებზე იფიქროს. „მეც დავიყენე ჩემი თავი ჩემ წინა ვითარცა მსაჯულმა და გამკითხველმა...“

ვზივარ და შევეყურებ სულთამხუთავს... და ვნატრობ მამლის ყივილსაო...“  
ესე იგი, ვნატრობ სულიერ გათენებასო, წერს პოეტი.

სხვა პუბლიცისტურ წერილში ყურადრება გამახვილებულია იმაზე, რომ საკუთარი თავის გამოსწორების სურვილს, „თვლების ძალაუნებურად გულში ჩაბრუნებას თავისთავის განსაკითხად“ იწვევს ჩვენში ისეთი ადამიანის გამოჩენა, რომელიც მზესა კვავს, რომელსაც ბრმაც კი ჰგრძნობს, თუმცა არა ჰხედავს. „მწერლის აზრით, ქვეყანაზედ ნებისმიერ საზოგადოებას თითო-ოროლაჯერ მინც ეძლევა ასეთი შესაძლებლობა.

ღამესთან; ბნელთან შეჭიდების, მისი ძლევის საუკეთესო საშუალებაა მუდმივი სიფხიზლე, რომლის შესახებაც „მგზავრის წერილებში“ ვკითხულობთ: „კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულალტყიონებულსაო...“ ძილში ღვიძილის სახეც წმინდა წერილიდან იღებს სათავეს. „ქება ქებათაში“ წერია: „მე მძინავს და გული ჩემი მღვიძარე არს.“ (5.2). წმ. ბასილი დიდი მართალთა შესახებ ამბობს: „ამგვარის გულს ძილშიაც ღვიძავსო“. სულიერი მღვიძარებისაკენ მოვეიწოდებს თეო სახარებაც: „იღვიძებდით და ილოცევდით, რამეთუ არა შეხვიდეთ ვანსადელსა.“ (მათე 26,4) „წუთუკე მოვიდეს მყესეულად და გაოჩნეს თქვენ მძინარენი... არამედ იხილეთ და მღვიძარე იყვენით და ილოცევდით, რამეთუ არა იცით, ოდეს იყოს ჟამი იგი...“ (მარკ.13, 36)

ამრიგად „ნათელი“ არის სიკეთე. სიწმინდე – ყველაფერი, რაც აბსოლუტურ ნათელთან – ღმერთთან გვაკავშირებს: „ბნელი“ არის ცოდვა და ბოროტება; „ჯანთიადი“ კი – „ხიდა სიბნელესა და სინაათლეს შორის გაღებული“ – ერთგვარი გარდატეხაა, სასიკეთო ცვლილებაა. გადასვლაა ბნელიდან ნათელში, სულიერი განწმენდაა.

მზის ჩასვლა ილიას თხზულებებში გვხვდება გმირის ცხოვრებაში არასასიკეთო ცვლილებებზე მისი ცხოვრებისეული გზის საბედისწერო შემობრუნებაზე, ან მის აღსასრულზე მისანიშნებლად. მოიხრობაში „სარჩობელაზედ“ უმცროსი მძა ცდილობს შეაწყვეტინოს უფროსს ტყუილების ლაპარაკი და ხელი ააღებინოს ჩაფიქრებულ აკაკობაზე, მაგრამ ვერაფერს ახერხებს და სასოწარკვეთილია. „უმცროსი მთლად აირია. მიტრიალდა, ზურგი მებრძებებს და თავის მძას შეაქცია, დაიწყო უაზროდ ყურება და მერე დაჟინებით დააცქერდა ჩამავალს მზესა.“ წერს ავტორი და ამ სიტყვებით მიგვანიშნებს, რომ ამ ყაწვილის მზის ჩასვლა, მისი დაცემა დაიწყო. მაროლაც ამას მოჰყვება მისი ღუმბილი მოხუცის გაძარცვის დროს. შემდეგ კი ქურდობაში. ძარცვასა და მკვლევლობაში მონაწილეობა.

გარკვეული მხატვრულ-ემოციური დატვირთვა აქვს მზეს „გლახის ნაამბობშიც“. ერთ ეპიზოდში ვკითხულობთ, ჰქვიათ „თავი ჩაედუნა და მზეს არ უყურებდა, თითქო მზეცა და ქვეყანაც იმისთვის აღარ იყო.“ როგორც ვხედავთ, მზე არ ჩასულა, მაგრამ გმირისათვის იგი თითქოს აღარ არსებობს. ამით მწერალი კიდევ უფრო მძაფრად წარმოგვიჩენს, როგორ არის ჩამკვდარი



ცოცხალ ადამიანში იმედი.

„გლახის ნაამბობში“, როდესაც გაბრიელი დათიკოს მოკელის ამბავს ყვება, ამბობს: „მზე ჩაწურებაზედ იყო, რომ მე დათიკო დავინახე ცხენით მინდორ-მინდორ მომავალი“, რაც განაწინივით რეკს, რადგან რამდენიმე აბზაციით წინ ტექსტში ვკითხულობთ მისივე სიტყვებს: „იმ გაბოროტებულს გულზედ ცა და ქვეყანა რომ ხელში მჭეროდა, ყველსაერთად გაწურავდი და კბილით გავვლეჯდი“. მანამდე, ვიდრე დათიკოს და გაბრიელს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და ერთად ბრუნდებოდნენ მშობლიურ სოფელში. გაბრიელი ასე აღწერს ბუნების სურათს: „...ჩვენი სოფლის ბოლოში მივედი. მზე ჯერ ჩასული არ იყო და მთის წვერზედ ცუცხლივით ენოო“. მართლაც, მამინ ჯერ კიდევ თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო, „მზე ჯერ ჩასული არ იყო...“

ასევე მზის ჩასვლის, მაგრამ ემოციურად სულ სხვაგვარად დატვირთული სურათია აღწერილი „ოთარანთ ქერივში“ გიორგის სიკვდილის წინაც: „მზე ჯერ მთას არ გადასცილებოდა ჩასასვლელად, იქ მთის წვერზედ შემდგარიყო, თითქო ჰნანობს, რას ვეშურები და ამ ლამაზ ქვეყანას ვერე მალე რად ვეოხოვები“.

მზის ჩასვლა მეტაფორული მნიშვნელობით არის ნახმარი ერთ პუბლიცისტურ წერილშიც: „...სვენების ხანაშიაც კიდევ დაჰნათოდა ჩვენს ცხოვრებას შუქი წინა დღის ჩამავალის მზისა...“

ასევე კარგად ჩანს ამგვარი გამოთქმის პოეტური სემანტიკა სხვა სტატიამიც, სადაც მწერალი ამბობს: ძველ წელს „თვალი მოვარიდე. ზურგი შეეუქციე, პირი მზის აღმოსავალისაკენა ვქენი და რა დავინახე?... ზურგთუკან ძველია, თვალ-წინ ახალი, იქ სიკვდილია, აქ – სიცოცხლე...“ ამკარაა, რომ მზის აღმოსავალისაკენ შებრუნება აქ მომავლისაკენ ჭერეტას, მხნეობის მოკრეფას, სასოებით განმსჭვალვას ნიშნავს. საერთოდ მსგავს მაგალითებს ფართო კონტექსტში თუ განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ მზის მხატვრული სახე – მისი ნათელი და სითბო ყველგან მიგვანიშნებს იმ მაღლზე, რომელსაც ამა ქვეყნის ბინადარნი ყოველი ახალი დღის გათენებისას წყალობად ვღებულობთ ღვთისაგან.

„გლახის ნაამბობზე“ საუბრისას ჩვენ ვიმსჯელებთ შემოდგომის ალეგორიული სურათის მხატვრულ შინაარსზე, დავაკვირდით, რა სტილისტური დატვირთვა ჰქონდა იმას, რომ გაბრიელმა ვერ მიღწია შემოდგომამდე. ვნახეთ აგრეთვე, როგორ ზაზუასმით, მრავალმნიშვნელოვნად იყო აღწერილი გიორგის სიკვდილი „მაძლარი შემოდგომის“ მიწურულს. წელიწადის დროებს ილიას შემოქმედებაში სხვაგანაც არაერთგან აქვს მხატვრულ-ალეგორიული დატვირთვა. მათი შინაარსის უკეთ დასანახად კვლავ მივმართოთ პუბლიცისტისტიკის მარტივ შედარებებს.

„ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება – იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ

დამარბოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილს ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნელლი ცხოვრება, რომელიც ისევ-ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ. როგორც პირველი, თუ უკედავება უნდა. ცხოვრებასაცა აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა.“ წერს ილია. მისი აზრით: „ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა, რომელიც ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული...ის ხალხი, ის ცხოვრება მიწინააღმდეგებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტკერი დედამიწის ზურგიდამ.“

პარალელები ბუნების გაზაფხულსა და ადამიანის ცხოვრების შესაბამის ალეგორიულ სახეს შორის კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ჩანს იმავე სტატიის შემდგომი ეპიზოდში: „მაცხოვრებელია პირველი ქროლა ახალის ცხოვრებისა. გული სხვაგვარად მსცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეობას მწვანე ბლახსა და უფრო სხვარიგადა მსცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა. თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა...“

გაზაფხული დასაწყისია ბუნების გამოღვიძებისა. ყველაფერი ყვავის, იფოთლება. ამ ბუნებრივ სახესთან ცხოვრებისეული რეალობის კონტრასტული შეპირისპირებით მწერალი ქმნის ძალიან შთამბეჭდავ პოეტურ სურათებს. ერთ-ერთ ლექსში „გაზაფხული“ იგი აღწერს ბუნების მშვენიერებას და ბოლოს ბოულოდნელად წყვეტს მას კონტრასტული სახით, რომელიც ადამიანს უკავშირდება:

„ყველა ყვავდება,	და მარტო გული,
ყველა ახლდება.	ერთხელ მოკლული,
რა მხედავს ტბილ დღეს,	არც აყვავდება,
გამოცოცხლდება, –	არც გატოცხლდება!“

ასევე ხდება ამავე დასათაურების მეორე ლექსშიც. სადაც გაზაფხულის ბუნებრივ სურათს უპირისპირდება სამშობლოსთან დაკავშირებული სევდანარევი ალეგორიული სახე:

„აყვავებულ მდელი,	მამულო საყვარელი,
აყვავებულან მოები;	შენ როსლა აყვავები?“

„გაზაფხული“ ალეგორიული მნიშვნელობით არის ლექსში „ჩემი თარიარალი“:

„თუ დავესწრათ გაზაფხულსა,  
ჩვენგან ნათესს აღმოსულსა,  
მეტოჯილდო რაღად გვინდა.  
თუ ესჭვრეტთ მამულს გაფურჩენილსა?!“

როგორც ვხედავთ, წელიწადის დროებთან დაკავშირებული მხატვრული სახეებიც ილია ჭავჭავაძის სტილისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ხერხია, რომელიც ასევე ადამიანთა სულიერ მდგომარეობაზე და გარდატეხებზე მიგვანიშნებს.

ამ ალევორიათა სიღრმისეულ შინაარსს და მათ სათავეს თვალნათლივ წარმოგვიდგენს 1887 წელს აღდგომის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ილიასეული სტესტიის სიტყვები: „აბა, დაუკვირდით თვითონ ჟამს ქრისტეს აღზდვის დღესასწაულისას. რა საოცრად განსურათებულა ეს ძველისა და ახლის, სიკვდილისა და სიცოცხლის, ბნელისა და ნათლის ერთმანეთისაგან გაყრა. თითქო იგაეია, თითქო განგებ არის ასე მოძღვარი, რომ თვალნათლივ დაეინახოთ ის. რასაც გულითავე ვგრძნობთ. გონებითა ვხედავთ. როდის მოდის დღესასწაული ქრისტეს აღზდვისა? თითქმის პირველ ხანს გაზაფხულისას, ესე იგი მაშინ, როცა ზამთრისაგან გაყინული, სუდარაჟილი, განძრკენილი, უმწვანო, უყვავილო, უსიხარულო, უსიცოცხლო ბუნება სიცოცხლისათვის თვალს ახელს, იღვიძებს, ხელახლად ამწვანებისათვის, აყვავებისათვის, ახალის ცხოვრებისათვის. თუ ზამთრისაგან კვდება ბუნება, გაზაფხულისაგან მკვდრეთით აღზდება ხოლმე. იქ მიძინებული სიკვდილი ძველია, აქ მკვდრეთით აღდგომილი ახლად გამოღვიძებული სიცოცხლეა. თუ ზამთარი სახეა სიბერისა, მიძინებისა, სიკვდილისა, გაზაფხული სახეა ახლობისა, აღდგომისა, სიცოცხლისა.

არამც თუ დრო წლისა, არამედ საათიც კი დღისა. როცა პირველად აღმოვიტყვიით ხოლმე „ქრისტე აღზდგაო“ – ეს საათიც კი გვანიშნებს. რის მომასწავებელია აღდგომა ქრისტესი: აღზდგა ქრისტე და პნელი უნდა განშორდეს ნათელსა, ნათელმა უნდა იმეფოს, იხელმწიფოს. ეს ის საათია, როცა ღამე უკუიქცევა თვისის სიბნელითა და მის მაგიერ ცხოველყოფელი დღე მოდის თვისის სინათლითა. ამოდის თუ არა ცაზედ ალიონი – ეს წინამორბედი განსიადისა და მტრედისფრად გარიჟრაჟდება გუმბათი ცისა, ზარი დღესასწაულისა გვიწვევს სადიდებლად და სგალობელად ქრისტეს აღზდვისათვის, თითქო გვეუბნებოდეს: „აღზდვით ძილისაგან, მიდის ბნელი და მოკალს ნათელი. იხილეთ და გაიხარეთ! ეს ის საათია, როცა ღამის სიბნელე უთმობს ადგილს დღის სინათლესა, როგორც ძველის ცხოვრების ბნელმა დაუთმო ადგილი ახალის ნათელსა... ცხოვრების მომნიჭებელს ქრისტეს აღზდვის დღესასწაულს უკეთესი დრო ვერ შეერჩეოდა, თუ არა განსიადი გაზაფხულისა, ესე იგი ის ხანი და საათი, როცა ცხოველყოფელი სიბნო ცვლის სიცივეს, ნათელი ბნელსა და მიელს ბუნებას აღიმძღვებს საცხოვარი ძალით ახლად აღორძინებისა, ახლად გადაშლისა, ახლად აყვავებისა, ახლად ცხოვრებისა... მოძღვრება ქრისტესი იგივე განთიადი იყო, იგივე გაზაფხული კაცობრიობის ცხოვრებისათვის.“

## ქრისტე სულისა

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ აღქმაში ცალკეული არსებანი. საგნები და მოვლენები მჭიდროდ არის დაკავშირებული გარკვეულ ასოციაციებთან, რის გამოც მათზე დაფუძნებული სტილისტური ხერხები – შედარება, მეტაფორა

და სიმბოლო-ალეგორიებიც ურთიერთშეკავშირებულია და მთელი შემოქმედების ფარგლებში ერთიან ანალიზს საჭიროებს. ცალკეული გმირის, ზოგჯერ კი საზოგადოების გარკვეული ნაწილის შინაგანი სამყაროს ან სულიერი განწყობის წარმოსაჩინად, როგორც მხატვრულ ნაწერებში, ისე პუბლიცისტიკაში. მწერალი ხშირად იყენებს ადამიანის გადაადგილების საშუალებების – „ცხენის“, „ურმის“, „პოვოზის“ და სხვა მსგავს მხატვრულ სახეებს.

„დედაკაცის“ ქალამდე ჩამოსვლა და „მამაკაცის“ გაყვამდე, ცხენოსნის დაქვეითებაა, დიდისა პატარად გარდაქმნაა, დაფუყვაა“. ეკითხულობო ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში.

რუსთველის შემოქმედების ვიწრო, ეთნოგრაფიულ ფარგლებში გააზრების ცდას ილიამ „პეგასზედ მჯდომი ცხენოსნის“ დაქვეითება უწოდა.

პუბლიცისტურ წერილში „ფიქრი და შენიშვნა“ მწერალი გულისტკივილით აღნიშნავს: „ჩვენი ქვეყანა სათრეველაა ერთს დიდს ურემზედ გამობმული. საითაც გაიწეეს ურემი, იქით მიდის სათრეველაც.“

საზოგადოების ერთ ნაწილს ილია თოვლზე სათრევე ეტლს – ნალოს ადარებს და ამბობს: „ისინი ცხოვრების გზაზედ ნალოებად თუ გაჰოდგებიან, თორემ უღლის თავში ვერ ჩადგებიანო.“

ხშირად მსგავს მხატვრულ ალეგორიებს სატირული ელფერი აქვს. მაგალითად ერთგან ეკითხულობთ: „...მეჯდება ხოლმე მეტყველების ჯაგლაგს მერანზე, დაეშვება თავ-თაქვე და როცა საბუე შემოაწყდება, ყირაძალა გადადის.“ „სად გაუტა თავის კოჭლის ცხენით, თითქო-და მართლა უშიშარი და უწუნარი რაინდიარო.“

ამგვარი სატირული სახეები უხვადაა ლექსში „ბედნიერი ერი“:

„ყოვლად მომენი,	თვალაბმული,
ვით ჯორ-ცხენი	თავაკრული,
ნახელნი და ღონიერი...	პირს ლაგამი ზომიერი...“

ნათქვამის მეტაფორულ-ალეგორიული მნიშვნელობები განხილულ მაგალითებში იოლი შესამჩნევია, მაგრამ ეპიკურ ნაწარმოებებში მსგავსი იგავური სახეები ისეა ჩაქსოვილი სიუჟეტურ ქარგაში, რომ პირდაპირი მნიშვნელობით აღიქმება და ზოგჯერ ქვეტექსტში შეფარული აზრი შეუჩინეველი რჩება.

„მგზავრის წერილები“ იწყება იმით, რომ სამშობლოსაკენ მომავალი მთხრობელი ნაცნობ ფრანგს ემშვიდობება და „ფოშტის პოვოსკაში“ ჯდება. „ეგ ეტლი ვისი მოგონილიარო ეკითხება ფრანგი, რაზედაც ის პასუხობს, რუსისაო. „მგონი არა ხალხი მაგამი არ შეეცილოს. მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხარო, მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გაადღეებინოთ გულ-მუცელი.“ ამბობს ფრანგი ირონიულად. მგზავრი მიუგებს: „არა უშავს რა, მთელი რუსეთი მაგით დადისო“, რაზედაც უცხოელი სიცილით აღნიშნავს: „მაგით დადის? იმითმაც შორს არის წასულიო.“ რა თქმა უნდა, აქ

1. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი ხუთ ტომად, ტ.3, გვ. 352

გაშარკებულია არა იმდენად „პოვოსკა“, როგორც გადაადგილების საშუალება, რამდენადაც ის მიჩვენებთად სწრაფი, მაგრამ სინამდვილეში უაზრო ცხოვრების წესი. რომელსაც იგი სიმბოლურად განასახიერებს. ამასთანავე საყურადღებოა, რომ ქართველსაც ძალაუნებურად უწევს, ზემოხსენებულ სათრეველასავით, მისი აყოლა. „პოვოსკის“ უარყოფით სემანტიკურ დატვირთულობას კიდევ უფრო ამძაფრებს მგზავრის სიტყვები: „პოვოსკაში ქვებზედ „ხაოტა-ხუოქი“ უკეთესთა ფიქრთა დამიბნევედა ხოლო.“ როგორც ვხედავთ. იგი არა მარტო ფიზიკურად არის მოუხერხებელი, სხვა მხრივაც ზიანის მომტანია – საუკეთესო აზრებს უფანტავს ადამიანს. ეს აზრები კი აქ ქვეყნის მომავალს უკავშირდება.

პოვოსკის ალგორითული მნიშვნელობა იმთავითვე შენიშნეს მეცნიერებმა მის შესახებ ვრცლად აქვთ საუბარი მკვლევარებს მიხეილ ზანდუკელსა და ლადო მინაშვილს, მაგრამ ამას გარდა გარკვეული ალგორითული დატვირთვა უნდა აქონდეს იმასაც, რომ მშობლიური ქვეყნის გადარჩენის სურვილით გულანობული მგზავრი სტეფანწმინდიდან გზას ცხენით აგრძელებს. პოვოსკის სახე მოითხოვბაში დამოუკიდებლად კი არ არის, არამედ სწორედ ცხენთან შეპირისპირებით.

საოცრად ხატოვანია გამცილებელი მოხვეის სურათი. „სანახავად ღირსი იყო“, ამბობს მწერალი და ასე აღგვიწერს მას: „იგი, თითონ ზორბად მოსული იჯდა ერთ პატარა მთის ცხენზედ, ჩამოფეხატა ბანჯელიანი ქუდი თვალეზზედ და ისე გარინდებული იღვა განიერ უნაგირზედ გადაბოტებული, ისე არხეინად და გულაუმღვრველად აყოლებდა თავის ახოვანს ტანს ცხენის ბუნძულს.. რომ გვეგონებოდათ – ამისთანა ქეიფში სხვა კაცი ძნელად თუ იქნება ღედამიწის ზურგზედაო...“ ცხენისა და კაცის ამ იდილიურ ერთიანობაში მაინც აღმოჩნდა რღაც ზედმეტი. ეს იყო უზანგი, რომელიც გაწყდა და მოხვეე წუთიერად ცხენს გვერდზე მოექცა. ამან აიჭმევინა: „საჭირობოროტოია შეკაზმულ ცხენო“ და სიტყვებით: „დაილოც შიშვალ ცხენ“ მონატრა აბსოლუტურად შეუზღუდავი, უუზანგო და ულაგამ-უნაგირო, შიშველი ცხენი, რაც ჩვენი აზრით, აქ აბსოლუტური თავისუფლების სიმბოლური სახეა. ამას ერთვერად გვიდასტურებს ერთგან პუბლიცისტიკაში „აღვირის“ მსგავსი მხატვრული დატვირთვა: „უაღვიროდ სიარულის ნება მარტო ლოდინსა აქვს ამ შემობაწრულ სარბიელზედ, რომელსაც ადამიანის ცხოვრებას ეძახიანო“, წერს პოეტი და გულისტკივილს გამოხატავს. რომ სხვა ყოველივე აღვირამოლებულია.

პოემის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ შესავალში ვკითხულობთ:

„...მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე

მიჭრიალებდა. გზას აღვიძებდა...“

„მძიმე“, „ფეხმძიმე“ ანუ „ტლანქი“, „ბრიყვეული ჩვენებური ჭრიჭინა ურემი“, როგორც ილია სხვადასხვა ადგილას ამბობს. ნელა, ზანტად მიდის და თავისი ჭრიჭინით მხოლოდ დაცარიელებული ვიწრო გზის გამოღვიძება

შეუძლია, მაგრამ არა მიძინებელი სამყაროსი. ურემსაც აქ თავისუფლად მონაწილე ცხენი უპირისპირდება:

„მიღის ურემი და უეცრად  
ვიღაცამ ტყიდან ასკუპა ცხენი,  
მივარდა იგი ურემს მედგრად,  
მჭმუნვარე სახის ამაყად მჩენი.“

მხედარმა მეურმეს კუდიგორის გზა ჰკითხა და როდესაც პასუხი მოისმინა:  
„გაფრინდა ცხენი ვით შევარდენი,  
და მის ფეხის ხმას ხმა მისცა მთამა.“

მეურმემ ნატყრით და შურით გააყოლა თვალი მის ნაწარდს, რადგან ეგონა, რომ ეს იყო თავისუფლება. პოემაში ძალიან დახევეწილად. მხატვრული სიტყვის სიღრმეებით ნაჩვენებია, რომ ეს მაინც არ იყო სანატრელი თავისუფლება. რადგან ზაქრომ და კაკომ ფიზიკური შეუზღუდავობა მოიპოვეს სულიერი თავისუფლების დაკარგვის ხარჯზე. ეს ყველაზე უკეთ ჩანს სწორედ „ცხენის“ სახეზე დაკვირვებიდან. კაკოს ცხენი პატრონთან შეზრდილია და, როგორც თავად ამბობს, „მოუდრეკია, როგორც რომ ჟინი“. მაგრამ იგი მაინც ტყვეა და არა ლალი და თავისუფალი. როგორც ავტორი გვამცნობს, ის ღამითაც კი „კაზმმოუხდელი“ ძოვდა ბალახს

„და მას ფოთოლნიც მოშრიალენი  
ხშირად უფრთხობდნენ მოსვენებასა.“

„გლახის ნაამბობში“ ტუსალობიდან განთავისუფლებული გაბრიელი ბედთან ბრძოლას იმით იწყებს, რომ სომეხ მგზავრს ცხენ-იარაღს, ფულს და ტანსაცმელს წაართმევს. სწორედ ამ დღიდან იგი კაკოსავით ფიზიკურად თავისუფალია, მაგრამ ნაძარცვ ცხენზე ზის და ამიტომ მის თავისუფლებასაც მოჩვენებითი სახე აქვს. დათიკოსთან შეტაკებისას გაბრიელს ეს ცხენი უკვდება და ამჯერად იგი უდება მის მიერ მოკლული დათიკოს ცხენზე. რაც უბრალო აღწერილობითი წერილმანი კი არ უნდა იყოს, არამედ იმის მაჩვენებელი, რომ ამჯერად იგი დათიკოს მსგავსად მოძალადეა – მკვლელია. ცხენის სახეს რომ ამ მოთხრობაში მნიშვნელოვანი სტილისტური დატვირთვა აქვს, ეს ჩანს მწერლის მიერ ამ სახისადმი გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღებიდან. რამდენიმე წლის ამბავი სულ ორიოდ აბზაცშია ჩატეული, ცხენთან დაკავშირებით კი ყველაფერი ზედმიწევნით არის დაზუსტებული. როცა კახეთში გადახვეწას გადაწყვეტს, გაბრიელი მდინარე ალაზანში შედის, შუა წყალში კლავს ცხენს და ფეხით აგრძელებს გზას. აქ ერთხელ კიდევ იცვლება მისი ცხოვრების რიტმი და წესი. იგი ძალმომრეობას და ძარცვას თავს ანებებს, თმობს ამ მოჩვენებით გარეგან თავისუფლებას და კვლავ სიღუბჭირით, მაგრამ საკუთარი შრომით ცდილობს თავის გატანას.

„მგზავრის წერილების“ მსგავსად, სადაც ნათქვამია, მთებში დაბრკოლება იყო ფოშტით მაკალთათვის და ცხენის ქირაობა მიჩრჩისო, მწერალი აქაც ცდილობს განგვიმარტოს, გაბრიელს ეშინოდა, მოკლულის ცხენით მისი

კვალისათვის არ მიეგნოთ და ამიტომ მოკლაო, მაგრამ უცნაური ის არის, რომ კახეთში წასვლამდე, მოხშირებული ღვეწის მიუხედავად, ის ამ ცხენით დადიოდა. მწერლის ამგვარი ახსნა-განმარტებანი პირიქით, ეროგვარი გზამკვლევი შეფარული ალეგორიებისაკენ.

გროტესკული სახე აქვს ლუარსაბის ცხენზე ამხედრებას. „მეომრის თვალადობა ჰქონდა ამჟამად ჩვენი უამისოლაც საყვარელს ლუარსაბსა, თუმცა კი, როგორც ბაბბის ტომარა, ისე იღო ცხენზედაო“, ამბობს ავტორი. აქ ცხენს, ისევე, როგორც ლუარსაბის სახესთან დაკავშირებულ სხვა ატრიბუტებს, დაკარგული აქვს ჩვეულებრივი გააზრება და საწინააღმდეგო შინაარსით იტვირთება. ლუარსაბი და დარეჯანი, ანუ მოთხრობის პირველი ჩანახატის მიხედვით – ქეთევანი, ისე გვანან თავიანთ მოსახელე სახელოვან წინაპრებს, როგორც ცა და მიწა ერთმანეთს. მათი სახელებიც, ისევე, როგორც მათ სახეებთან დაკავშირებული ალეგორიული სახეები, სულ კონტრასტული შეუფერებლობის პრინციპზეა აგებული. ლუარსაბი შორს არის მერნის სისწრაფით მშუოთეარე ქროლის, ქვეყნის ბედ-იღბალზე თუ საკაცობრიო ტკივილებზე ფიქრის, ძიების და შორეული მიზნებისაკენ სწრაფვისაგან. იგი მოხვევსავით ცხენის მოძრაობას აყოლილი ფხიზლად კი არ ზის მასზე, არამედ, როგორც მწერალი გვეუბნება, ტომარასავით დევს.

„უწინ კაცი ამვენებდა ცხენსაც და თოფსაც, ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს ამვენებნო“, – ამ სიტყვებითაც ავტორს ალბათ სწორედ იმაზე უნდა მიგვანიშნოს, რომ ის შინაგანი აზრი; რითაც ჩვეულებრივ დატვირთულია ცხენი და თოფი, აქ – ამ შემთხვევაში უკვე დაკარგულია და ღრმა შინაარსს მოკლებულ ატრიბუტებად არის ქცეული.

ცხენისა და მხედრის მხატვრულ სახეთა ერთიანობას ძალიან კარგად ეხმაურება ილიას მიერ ჩაწერილი ერთ-ერთი „ამბავად გაკონილი“. ყაზახ-ბორჩალოში, ჩასულ ქართველ მეფეს მოხუცი ალაღარი სათვის უკითხავს: „ყაზახ-ბორჩალოს ცხენი უწინ გათქმული იყო მთელს საქართველოში, ეხლა კი იმისთანა ცხენები აღარ გამოდიან. რა იქმნენ ის უწინდელი ცხენებიო?“ მეფის უბრალო, პირდაპირ კითხვას ალაღარი იგავურად მასუბობს: „იმ ცხენებზედ ის უწინდელი ქართველები შესხდნენ და წაიღებნო“ ანუ როგორც ცხენები არ გვანან დღეს ძველ ცხენებს, ისე ადამიანებიო. მოხუცის ამ, როგორც მწერალი ამბობს „გულამოჯდომით“ ნაპასუხებ სიტყვებში მით უფრო მეტი ფარული აზრია ჩადებული იმით, რომ ამას იგი ეუბნება საქართველოს უკანასკნელ მეფეს – გიორგი მეცამეტეს, რომლის შემდეგაც აღარც საქართველო იყო ძველებური და აღარც ქართველობა. როგორც პლატონ იოსელიანი წერს წიგნში „ეცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა“ (გვ.213): „...არცა ოქმთა ზედა და ბრძანებათა დავითისაგან ბეჭდილთა, არცა ეკკლესიასა შინა მოხსენების ადგილთა, არცა მოუღანთა და არცა სახლსა შინა არღა ისმოდა ლექსი „მეფე“. დაუშთა ესე წოდება გარდაცვალებულსა გიორგისა და ისტორიისა შემდეგთა დროთათვის

საუწყებლად იგივე წოდება „მეფისა“ დამატებით „უკანასკნელისა“.

აი იმ. მეფისა და ალაღარის მიერ ჩანატრი ღროის ცხენია აღწერილი პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“:

„ცეცხლს აფრქვევდა თვალოვანა,

ქქუხდა, სჭკედა, მრისხანებდა,

თითქო ლოდინს ჰთაკილობსო.

ქშფოთავდა და ტორსა სცემდა...“

ეს იყო ცხენი, რომლის უხანგში „მეფის მეტს ვერეის შეეღა ფეხი“. კიდევ უფრო დიდებული სანახაეი იყო თვით მხედარი:

„ბძანა და ცხენიც მთაროვეს,

ზედ მოახტა ვეფხესავითა,

ცხენზედ იგი დალოცვილი

გამობრწყინდა მზესავითა.“

წერს ავტორი და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცეცხლისმფრქვეველ რაშზე ამხედრებული თვით მეფე მიდის მტერთან, სადაც შეურაცხოფა და სიკვდილით დასჯა მოელოს, ცხენისა და მხედრის ამ არაჩვეულებრივ სურათში ყველაზე მეტი სიდიადე და თავისუფლება იგრძნობა. მეფე მთლიანად ფლობს თავის ბედაურს და უკანასკნელადაც, მტრის წინაშე თავად შეაყენებს:

„თვით წაბრძანდა სარდლისაკენ,

მის წინ შეაყენა ცხენი...“

დაეუბრუნდეთ კვლავ ურმის მხატვრულ სახეს. მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ მოხუც პეტრეს სიამაყით ევსება გული იმის გამო, რომ გზის მამალი მისი შვილის ურემზე დასევს და პირველობა ურმის ქარავანში მას მიაკუთვნეს, მაგრამ ამო სიხარულია, რადგან ეს არის პირველობა, წინამძღოლობა ურმის ქარავნისა. რომელიც ერთსა და იმავე გზაზე ზანტად, ინერციით მიმავალი ცხოვრების სიმბოლური სახეა. ის გზა, რომელზედაც ურემი მიდის, თვით ურმიდან კარგად არ ჩანს, ალბათ ამიტომ ამბობენ, როცა ურემი გადაბრუნდება გზა მაშინ გამოჩნდებაო“ როგორც ირკვევა, ილია ჩაფიქრებია ამ ანდჯანს, რადგან ერთგან წერს: „გზის დანახვა მაშინ, როცა ურემი გადაბრუნდება, თუმცა ცოტა გვიანი საქმეა, მაგრამ ამასაც მნიშვნელობა აქვსო.“ აშკარად იგრძნობა, რომ „ურმის“ სახესთან დაკავშირებით მწერალს უარყოფითი ასოციაციები აქვს.

რამდენჯერმე ეპიზოდურად გაიყვებებს ურმის სახე „ოთარაანთ ქერივის“ ტექსტში: ერთგან ვიგებო, რომ გაუმაროვმა ურემმა კამეჩები კინაღამ დაახრჩო, მეორეგან პირუტყვები • წნელით არიან ურემზე მიბმული და შიშნულით ფერდებჩაცვენილნი ამაოდ უყურებენ იქვე ტყეში აბიბინებულ მუხლამდე ბალახს. ყველაზე მწვავედ კი ურმის სახე და მისი სიმბოლიკა გიორგის სიკვდილის ეპიზოდში იკვეთება. ტექსტში ვკითხულობთ: „წამოვიდა მალღლიდამ და ურმის ჭალს ზედ დაეგო ზურგიოა. ჭალმა ვერ გაუძლო, გადატყედა, მაგრამ ზურგის ძვალი კი შეუნგრია.“ გიორგი, როგორც განსახიერება



სრულყოფილებისაკენ სწრაფვისა, მსხვერპლი ხდება ურძის სახით გამოხატული სულიერად მოდუნებული ცხოვრებისა. რომელიც გზას კი არ გვიკვლევს, არამედ გვიფარავს. არც ის არის შემთხვევითი, რომ ვერც ურძის ჭკალმა გაუძლო ვიორგის დაცემას. ამ დღეს მართლაც შეერთდა ერთი „ქალი“ „ნახევარ გულით“ მცხოვრებთა მიძინებულ ყოფას. მართლაც აიღვეს ფეხი კუტებზე. მოდრკა ქედმაღლობა. სინანულის ცრემლმა განწმინდა გული.

ამრიგად, მხატვრულ ნაწერებში ცალკეული ალეგორიული სახეები ღრმა შინაარსობრივი დატვირთულობისაა. მათ დეტალური აღწერილობისათვის, რეალისტური ელფერის მისაღწევად ან პაუზის შესაესებად კი არ იყენებს ავტორი. არამედ თავისი ჩანაფიქრის სრულყოფილი წარმოჩენისათვის.

მწერლის სულიერი სამყარო. მისი განცდები ღა ნაფიქრალ-ნააზრევი გარკვეულწილად მთელ მის შემოქმედებაში, თითოეულ ასეთ მხატვრულ ნიუანსში აისახება, მაგრამ ლირიკაში ზოგჯერ გვხვდება ისეთი ცალკეული სახეები, რომლებიც უშუალო გამოხატულებაა, ერთგვარი სიმბოლოა ავტორის სულიერი სწრაფვისა. ილია ჭავჭავაძე ბარათაშვილის მერანს მისი „სულის ქროლას“ უწოდებს. მსგავსი პოეტური სახეები თვით ილიასთანაც გვხვდება. ჯერ კიდევ, ერთ-ერთ პირველ ლექსში – „ყვარლის მთებს“ ჩანს, რომ ლირიკული გმირის სულიერი სწრაფვა „სუბუქ ქარს“ და „თავისუფალ არწივის“ „ძლიერ ფრთას“ აყოლილი, თავს დასტრიალებს მშობლიური მიწის მწვეკრვალებს. რათა მიუახლოვდეს თვალთ უხილავ და მიუწვდომელ მათ „ზემო მხარეს“:

„მე თრთოლით ვსჭვრეტდი ლაყვარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს და შენატრიდი ყმაწვილურად თქვენს ზემო მხარეს...“

ენატრიობდი ხოლმე, რომ ევხეო სუბუქსა ქარსა

ან თავისუფალ არწივისა ძლიერსა ფრთასა,

რომ აღმოფრინდე და შევეხო თქვენს ამაყ თავსა...“

ამბობს მწერალი. რა თქმა უნდა, აქ არწივის ფრთის აყოლა არა პირდაპირი გაგებით არამედ სულიერი თვალსაზრისით უნდა იქნას გააზრებული. პოეტის სული მისწრაფვის იმ „ზემო მხარისაკენ“ და ამიტომაც ალბათ საყურადრებოა იმის გაჩვენება, რომ ქრისტიანულ ლიტერატურაში არწივი სახეა სულიერი სიმაღლისა.

ყმაწვილი ილიას გულში ბუღბუღის ხმით ტკბილად გალობს სიყვარული და აღძრავს მასში „სულის მშვიდ აღმაფრენას“ („ხმა გულისა“):

„ოურმე ჩემს გულში ნაზი ბუღბუღი

სტვენდა სიყვარულს გაგიყებული.“

ბუღბუღი აშკარა მეტაფორაა. თავისუფალი არწივის“ და „ბუღბუღის“ მსგავსად, ჩვენი აზრით, ალეგორიული მნიშვნელობა უნდა აქონდეს ჩიტის სახესაც ლექსში „ნატია“:

„ჯერ შევხედავ ცას,  
ქვეყნის დამადავს,  
მერედ – მთა და ბარს.  
ჩემსა შემნახავს,  
მერედ – ჩემს ფროტესა.  
ჩემ საყვარლებსა...“

მათის იმედით,  
მღერით და ლხენით,  
მსწრაფლ ისარივით  
ცას აღეფრინდები  
და შორს ქარივით  
ოვალწინ გაეკრები.“

მაგრამ ამ სიტყვებშიც ჩანს თვით პოეტის სულისკვეთება. მისი აღმაფრენა, რომელიც ბუღბუღისა და „თავისუფალი არწივის“ სახეებში უფრო იოლი შესამჩნევია.

ილიას შემოქმედებას ახასიათებს ერთ ლექსში წამოწყებული თემის და მსატკრული სახეების გავრცობა სხვაში. ამიტომ. ჩვენი აზრით. არ არის სწორი. თითქოს ილიას ლექსები „ჩიტ“ და „პოეტი“ ერთმანეთს უპირისპირდებოდეს თავიანთი სათქმელით. „მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო ვით ფრინველმა გარეგანმაო“ ამბობს ილია „პოეტში“. მაგრამ განა დასაჯერებელია, რომ ორი წლით ადრე თავისი შემოქმედებისადმი სრულიად განსხვავებული მოთხონა „ქონდა წაყენებული“?

ლექსში „ჩიტ“ ღრმა ალევორიაა და ადამიანის ყველანაირ დანიშნულებაზე მასში ვერ ილაპარაკებდა მწერალი. ამიტომ ხაზი გაუსვა მხოლოდ მსგავსებას – ცასთან სიახლოვის სურვილს. ასევე ლექსში „ხმა გულისა“ მხოლოდ გულში არსებულ გრძობაზე გველაპარაკა. ასეთი ღრმა მეტაფორული სახეების მქონე ლექსებში იგი პოეტის დანიშნულებაზე. რა თქმა უნდა. ვერაფერს იტყვდა. „ჩიტს“. „ბუღბუღისა“ და პოეტს შორის არსებული განსხვავების წარმოსაჩენად კი შექმნა ახალი ლექსი, რომელშიაც პოეტის დანიშნულებაში დამატკობელი მეტყველების გარდა ხაზგასმულია ერის „წყლულის“ და „ტანჯვის“, მისი ბედის და უბედობის გამოხატვა. ილია ყოველთვის აფასებდა და საევისი თაობის ახალგაზრდობის დიდ დამსახურებად თვლიდა იმას. რომ მან „ბუღბუღივით უაზრო გლობას პოეზიისა კრიჭა აუკრა და მადა წაართვა.“ და ჩვენი აზრით არც ჩიტისა და ბუღბუღის მეტაფორული სახეების შექმნისას არ იყო საწინააღმდეგო აზრისა. უბრალოდ იმ ლექსებს სხვა ალევორიული ჩანაფიქრი ჰქონდა.

ილიამ სიტყვატექნიკაშივე მწკვედ შეიგრძნო წუთისოფლის დაუნდობლობა და ის. რაც ჩიტის ალევორიაში ჰქონდა გამოხატული, 22 წლისამ უფრო ამკარა პოეტური მეტაფორით გამოთქვა სიტყვებში: „უდროოდა მეკვეთინენ ფრთენი“ ეს იყო მწარე რეალობასთან შეჯახების განცდები, მაგრამ ამის თქმა არ ნიშნავდა ფარ-ხმლის დაყრას. პოეტის აღმაფრენამ შესაძლოა დაკარგა

ის ყმაწვილური სიმსუბუქე და სილალე. მაგრამ სწრაფვა ზეცისაკენ, თავისუფლებისაკენ – ბოლომდე შერნა. რისი დასტურიც არის მთელი მისი შემდგომი მოღვაწეობა.

### „ანუ პითარი სამოსელი შვეიცარი...“

ილია ჭავჭავაძის თხზულებებში სხვა მხატვრულ სახეთა გვერდით ხშირია გმირთა სამოსელის ალეგორიული მნიშვნელობით დატვირთვა. „მეზავრის წერილების“ გმირი მოხევე ამბობს: „თვალთათვის ტყობად სამოსელ არანა... გული შეგნიდ არნ უხედველ. ტალავარ გარედ არნ, სახედველ.“ არც მოხევე ფიქრობს და არც თვით ილია, რომ კაცს ქართველობა მხოლოდ ტანისამოსზე ეტყობა ან რომ სამოსელი გულის სარკე იყოს, მაგრამ თვით ამ ვითარებას, რომ სამოსელი ერთგვარ წინასწარ შთაბეჭდილებას გვიქმნის ადამიანზე, სანამ მის გულს ამოვიცნობდეთ. ილია კარგად იყენებს თავის ნაწარმოებებში.

„კაკო ყანაღის“ უმირი – ზაქრო მეძროხე ბიჭების ღარიბული, მაგრამ მშვიდი. იდილიური ცხოვრების აღწერისას ამბობს:

„ზოგი აქ მიდის თექამოსხმული  
და მიიფშენიტაეს ზარმაცად თვალსა,  
სხვა იქ მიიმღერს დაღონებული  
და ერეკება თავის ძროხასა.“

თექა მწყემსის ჩვეულებრივი სამოსია. მაგრამ ამ სიტყვამ ჩვენი ყურადღება მიიქცია პოემის სხვა ეპიზოდში მისი ხელახალი გამოჩენის გამო. აქ თექამოსხმული მწყემსის, ზაქროს საბედისწერო ნაბიჯია არწერილი:

„მივევარდი თოფსა გამწარებული,  
მხრიდან გაღვიგდე მაშინვე თექა,  
და რო ყვიროდა: „დაჰკარ, დაჰკარი!“  
მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭექა.“

ამ ფაქტის შემდეგ ტყეში ყანაღად გაჭრილ ზაქროს თექა აღარ აცვია. ბატონის მოკვლის გამო იგი სამუდამოდ განშორდა მწყემსი ბიჭის თექასაც და იმ მშვიდ, უღარდელ ცხოვრებასაც. რომელსაც აქ სიმბოლურად თექა განსახიერებს.

„კაცია. ადამიანის“ გმირს – ლუარსაბს ნაწარმოებში ძირითადად ფეხშიშველას, „წითელ პერანგის და მის ვანუშორებელ ამხანაგის ანაბარას“ ეხედავთ, მაგრამ ამ, საცვლებში გამოწყობილ თავადს თავზე „ლურჯი ყალმუხის დარბაისლურად ჩატყეხილი ქუდი ახურავს.“ ამ ქუდით ლუარსაბი თითქოს გვეუბნება. ქუდი მხურავს და კაცი ვარო, მაგრამ ნახევრადშიშველი კაცის თავზე დარბაისლური ქუდი ბუტაფორიასავით გამოიყურება, კონტრასტულ ელფერს იძლევა და თითქმის გამორიცხავს კიდეც კაცურ-კაცობის სიმბოლურ მნიშვნელობას. თითქოს ამაზე მიგვანიშნებს იქვე ავტორი: „მეტი რა უნდა ქარაიქელს, რომლისთვისაც ბედს თუ ზვედრს დაუნინნავს, რომ თავისი

დღენი ქუდიო ბუზს ერეკებოდესო“ ესე იგი ლუარსაბს და მისნაირებს ქუდი კაცობის ნიშნად კი არა, სინამდვილეში ბუზების მოსაგერიებლად აქიოი.

ავტორი დაწვრილებით აღვეიწერს ლუარსაბის სიშიშვლის მიზეზსაც: „სიკვდილი იყო, რომ ვინმეს მოეშალა ამისი ქეიფი და ნებეირობა... სტუმარი ეჯავრებო, ამაზედ ამზობდა უგუნური ხალხი. მაგრამ განა სიტყნწით მისდიოდა ეს ამბავი?... თუ ეჯავრებოდა სტუმარი, იმიტომ ეჯავრებოდა, რომ უნდა ამდგარიყო და ტანთ ჩაეცვა. ადგომა კილევ არაფერი. ეს ისე არ ეზარებოდა ლუარსაბსა ტანთ ჩაეცმა იყო ამის სიკვდილი...“ იოლი წარმოსადგენია. ადამიანს, რომელსაც ფიზიკურად ტანთ ჩაეცმა ეზარებოდა, როგორ შესისლებდა ღირსებით და სპეტაკი სულით შემოსვას.

საინტერესოა დარეჯანის ჩაცმა-დახურვასთან დაკავშირებული ერთი შენიშვნა: „გადაიცვამდა ჩითის კაბასა. — ხანდახან უკულმაცა.“ საერთოდ დარეჯანი, როგორც ჩანს, წადმა-უკულმას გარწევისთვის თავს არ იწუხებდა. აზრებსაც ასევე უკულმა ატრიალებდა ხოლმე. მეორეს მხრივ, იგივე დარეჯანი საღამო ხანს „გამოიპრანჭებოდა ხოლმე და ასე იფიქრეთ, — უკაცრავად კი არ ვიყო, — საკურტუმესაც კი იკეთებდა.“ ასეთი ხან დაუღვევრობა და ხან ზედმეტობა დარეჯანის ჩაცმულობაში. მის ზერელეობაზე და ამსურდელობაზე მიგვანიშნებს.

ამ მხრივ სრულიად უპირისპირდება ლუარსაბს და დარეჯანს იოთარაანთ ქერივის გიორგი. მას არაფერი უცნაური და განსაკუთრებული არ აცნია და სწორედ ამ სისადავეში, ზომიერებაში და სისუფთავეშია აზრი ჩადებული. „კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა. იმისი ყათინებით მორთული საცკეთები. ჭრელი წინდები და ლამაზად გაწყობილი ფეხზედ ქალამანი რომ გენახათ. მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩვენბური გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სიტურფე და სილამაზე აქვს“. გვეუბნება ავტორი.

რაც შეეხება თვით იოთარაანთ ქერვის, როდესაც მას მკითხველი ეცნობა, უკვე დაქერივებულია და მუდამ შავი კაბით და მანდილით არის მოსილი, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ამ ოცი წლის მანძილზე მას კაბის შიგნით პერანგიც კი არ ჩაუცვამს მზიარული ფერისა. ავტორი ასეთ წვრილმანებს ტყუილად არ აღწერდა იმის თქმა რომ არ სდომოდა, ქერივი გარეგანად, წესის აღსასრულებლად, სხეების დასანახად კი არ გლოვობს, მთელი მისი არსებით მგლოვიარყო.

„გლახის ნაამბობის“ გმირი — გაბრიელი იგონებს მღვდელითან მისი პირველი შეხვედრის ამბავს: „მე ვიშვლიპე ქუდი და როგორც საღდათი უფროსს, ისე ქუდმოხდილი გამოვეჭიმე.“ განსაკუთრებული ხაზგასმით, მრავალმნიშვნელოვნად არის ნათქვამი 'ამის მომდევნო სიტყვები: „იმან თავის ხელით ქუდი თავზე დამხურა.“ თითქოს ამ ერთ პატარა მოქმედებაში გამოიხატა ყოველივე ის, რაც შემდგომში გაბრიელმა ამ მღვდლისაგან მიიღო — განათლება, თანაგრძნობა და ქრისტიანული ზნეობის არაჩუქულებრივი პირადი მაგალითი.

ქუდი ილიას სხვა ნაწარმოებებშიც ბევრგან არის სიმბოლური აზრის

მატარებელი. მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ მოხუცი პეტრე გ'ზად შეხვედრილი ახალგაზრდა ყმაწვილების შესახებ. რომლებმაც გაქურდეს, ამბობს: „რაკი ქართველმა რუსული შლაპკა დაიხურა, იმის საქმე წასულიაო.“ ასეც იყო, რუსულმა „შლაპკამ“ და ამ სიტყვაში ნაველისხმებმა რუსულმა რეჟიმმა ვერაფერი სიკეთე მოუტანა ბეჟანსა და მის ძმას. „სალდათის შკოლაში“ გაბატონებულმა ძალადობამ და ლანძღვა-გინებამ ისინი იძულებულად გააბოროტა, რომ გამოიქცნენ და ქურდობისა და ძარცვა-ვლევის გზას დაადგინენ. მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ განჭერიტა მოხუცმა გლეხმა. მას არ უფიქრია, რომ ამ ყმაწვილებს თავისი ნებით არ დაუხურავთ თავზე ის „სალდათური ქუდი“ ის კი არა და. როგორც ჩანს, ისე სძულდათ, რომ ერთ-ერთი პირველი, რაც უფროსმა ძმამ მოიპარა, სწორედ ჩერქეზული ქუდი იყო. ჩვენი აზრით, აქ რუსული და ჩერქეზული ქუდების შეპირისპირებაში ღრმა ალევორიული აზრი უნდა იყოს ნაღებული და XIX საუკუნის ისტორიული მოვლენებიდან გამომდინარე, რუსული ქუდის დახურვა დამონებაზე უნდა მიგვანიშნებდეს, ჩერქეზულისა კი დაუმორჩილებლობაზე.

პეტრესთან მეორე შეხვედრისას, ბეჟანის სიკვდილით დასჯის შემდეგ, უმცროს ძმასაც დიდი, თვალებზე ჩამოფხატული ქუდი ახურავს. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავადვე გრძნობს, ჩემი ბოლოც სახრნობელა იქნებაო, იმ წუთას, იმ თვალებზე ჩამოფხატულ ქუდში და არა „უკაზიროკო შლაპკაში“, იგი თავს თავისუფლად გრძნობს და ბრძოლას უცხდებს უსამართლობას: „მინამ თავზედ ქუდი მხურავს, მინამ პირში სული მიღვა, ქვეყანას ჩემი ძმის დაღუპვას არ შევარჩეო.“ ამგვარი ქუდი გარკვეული თავშესაფარის ასოციაციას იწვევს, ისევე, როგორც მისი და სხვა თხზულებებში ყაჩაღად გავარდნილობა შესაძრისელი – ნაბადი, მაგრამ ეს სულიერი თავშესაფარი მისც არ არის.

„რუსული შლაპკის“ დახურვის პრობლემა, როგორც პირდაპირი, ისე გადატანილი მნიშვნელობით, საუკუნის მეორე ნახევარში უკვე ძალიან მწვავედ იდგა. რუსიფიკაციის პოლიტიკის შედაგად შევიწროებას განიცდიდა ყოველივე ქართული – ენა, კულტურა, ზნე-ჩვეულება.

ხალხის ნაწილი უცხოურ ტანსაცმელს ძალა-უნებურად ისე შეეჩვია, რომ ქართული ჩოხის ჩაცმა ზოგს ეთაკილებოდა კიდევ. ერთ-ერთ თეატრალურ კრიტიკაში ილია წერდა: „ჩვენში უფრო ადვილად წარმოსადგენია „შლაპანი“ და „ტურნურიანი“ ქალი ქმარს შეზოსწყერს – ჩოხა რად გაცვია და ყალბუხის ქუდი რადა გხურავსო, ვიდრე იმის გამო, რომ გმირი არა ხარო...“ მაგრამ ყველა ერთნაირად იოლად ვერ შეაჩვიეს უცხო სამოსელს. ზოგისათვის ქართულ ტანსაცმელს ეროვნული მეობის, უცხო გავლენისადმი დაუმორჩილებლობის მნიშვნელობა ჰქონდა.

ცნობილია, რომ გამოჩენილი ქართველი მწერალი გიორგი ერისთავი მეფისნაცვალთან მეჯლისზე ჩოხით გამოცხადდა და ასეთი ჩაცმულობის გამო უკან გამოაბრუნეს, მსგავს წინააღმდეგობას აწყდებოდა ეროვნული ღირსების გამოვლენის თითოეული ცდა.

რუსული „სამოსლისადმი“ უარყოფითი დამოკიდებულება კარგად ჩანს „გლახის ნაამბობში“. გაბრიელი თავისი ბატონის. დათიკოს შესახებ ჰყვება: „საწყაღმა რაღაცა რუსული ტანისამოსი ჩააცევს. ძლიან ითაკილა პირველში. ისე. რომ ერთხელ შემომტირა კიდევ, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ კაცის ამბავი, ყველაფერს მალე შეერევია... ისიც შეერევიაო.“

ის მაგალითები, რომლებიც ჩვენ განვიჩილეთ, სამოსლის ის სიმბოლიკა. მეტნაკლებად მინც ცალკეულ გმირთა სახეების ჩამოყალიბებას ემსახურებოდა. მაგრამ არის ისეთი სიმბოლოც, რომელიც ილიას მიერ მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე დაწერილ რამდენიმე ნაწარმოებში გვხვდება. ეს თხზულებებია: ლექსი „მუშა“ და მოთხრობები „გლახის ნაამბობი“ და „სარნობელაზედ“. ამ ნაწარმოებების გმირებს – მუშას, გაბრიელს და ბუჟანს სიკვდილის წინ ერთნაირი სამოსელი აცვიათ – ეს არის „რუსის ფარაჯა“ ანუ ზურგზე ნაკეციანი პალტოსმაგვარი გრძელი სამხედრო ფორმა – რუსი ჯარისკაცის სამოსელი.

ლექსი „მუშას“ გმირი. ბატონის მათრახს გამოქცეული. თბილასში ჩამოსული ყოფილი გლეხია. იგი ტვირთის ზიდვით ცდილობს ლუკმაპურის შოვნას. ლექსში არსად არ არის ნათქვამი, რომ მას ან რუსეთში ეცხოვროს, ან ჯარში ემსახუროს, მაგრამ, რატიმღაც, ამ ყოფილ გლეხსა და დღევანდელ მუშას რუსის ფარაჯა აცვია. ეს სამოსელი საკმაოდ ხაზგასმით ფიგურირებს ლექსის ორ სხვადასხვა სტროფში:

„აჰა მიხვედი, მიუტანე ტვირთი პატრონსა.

რუსულ ფარაჯის კალთით შუბლზე იწმინდავ იფლსა...“

და: „მერე, ეინ იცის. რომელ ქოხში, რომელ სარდაფში

დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოდ მოსულსა სენსა.

მარტო ევლები და ლეიბად გექნება ნაიჯა

და სახურავად, თუ კი მოგყვა, რუსის ფარაჯა!“

ამ წინადადების ბოლოს ავტორს ძასილის ნიშანი დაუსვამს, რაც კიდევ უფრო გვაძახილებინებს ყურადღებას მის ბოლო სიტყვებზე: „რუსის ფარაჯა!“ საერთოდ. როდესაც ილიას ამა თუ იმ სიტყვის ან წინადადების აქცენტირება უნდა, ხშირად იყენებს ამისათვის ძასილის ნიშანს და როცა შინაარსის ფარულ სიღრმეზე უნდა მინიშნება – მრავალწერტილს.

ასე კედება, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ. „უბრალოდ ფუჭდება“ ადამიანი. ისე მიდის ამ ცხოვრებიდან. რომ მის ირგვლივ მყოფთაგან არავინ გრძნობს დანაკლისს. ზარივით რეკს პოეტის სიტყვები:

„აქ სად მოსულხარ... რაც დაჰკარგე და რაც დასტოვე,

მის მაგიერი ტფილისშია აბა რა ჰპოვე?..“

ეს მიმართვა მუშისადმი გეაფიქრებინებს. რომ ისიც ერთი „გზაბნეული ცხოვარა“, რომელსაც გზა შინისაკენ ვერ უპოვია.

რუსის ფარაჯა არის „გლახის ნაამბობის“ გმირის – გაბრიელის უკანასკნელი სამოსელიც. სანამ იგი. მიუხედავად დიდი ცხოვრებისეული

წინააღმდეგობებისა, ფიზიკურად თავისუფალი ადამიანია, ძალა ერჩის და მოქმედების უნარი შესწევს, ჩვეულებრივი ტანსაცმელი აცვია, არც კი არის აღწერილი – როგორი. მას შემდეგ კი, რაც ფაშმა უმუხტლა და კაცმა არ იპატივა, რაც საბოლოოდ დაძაბუნდა, იგი იძულებული გახდა თავისი ტანისამოსი რუსის ფარაჯაზე გაეცვალა, ერთი თუმანი სართი აედო და ერთხანს ამით გამოეკვება თავი. სწორედ ამ რუსის ფარაჯის ნაგლეჯებშია იგი გახვეული სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. როგორც ვხედავთ, რუსის ფარაჯა იმდენად მძარე საშოსელია, რომ მასთან აღებული სართით გლახამ ოროვენახეკარს ირჩინა თავი. მაგრამ მთავარი ესეც არ არის... უსახლკარო მუშა და გლახა ისეთ უსახურ ძონძებში ჩაჭმულიც შექმლი ენვენებინა ავტორს, რომ არც კი დამჩნეოდა, რისი ნაჭერი იყო ოდესღაც, მაგრამ მათ ტანზე ჩნდება არა უსახური საშოსელი, არამედ კონკრეტული – რუსის ფარაჯა. ამ ფარაჯაში მათი წარმოჩენა არ გამომდინარეობს ტექსტის სიუჟეტური ლოგიკიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ფარაჯით შემოსილი კაცი სიმბოლურად ძონძებით შემოსილზე უფრო საწყალობელია. ეს საშოსელი თავისი სიმბოლური აზრით უფრო მეტად ტრაგიკულია.

ორი გმირს – მუშასა და გაბრიელს სიცოცხლის ბოლო წუთებში აერთიანებთ ერთნაირი უილაჯობა და უიმედობა. ორივე მათგანს წართმეული აქვს არა მარტო ფიზიკური ძალღონე, არამედ თავიანთ მწარე ხვედრსაან შებრძოლების უნარიც. მათი საერსო თვისებების სიმბოლური გამოხატულება არის სწორედ „რუსის ფარაჯა“

ასეთივე ფარაჯა ეცვათ გაბრიელს და პეპიას მათი ტყვეობის დროს და ლექსი „მუშას“ გმირის მსგავსად პეპიასაც ამ ფარაჯაზე ამოხდება სული. „ჩამოვიყვანე ცხენიღამ პეპია, გაეუშალე ქვეშ ფარაჯა, დაეუღე თავით უნაგირის ბალიში და დაეაწვინე...“ ყვება გაბრიელი.

მასზე, რომ ფარაჯიანობა განწირულებაზე მიგვანიშნებს, კიდევ უფრო კარგად მეტყველებს მოთხრობა – „სარჩობელაზედ“. აქ ნათქვამია, სარჩობელასთან მისულმა პეტრემ ნახა, რომ „საღდათებს ერთი ვიდაცა რუსულ ფარაჯაში გახვეული კაცი მოჰყავთ.“ როგორც აღმონიშნება, ეს კაცი სიკვდილმისჯილია. იგი მოთხრობის ამ ნაწილში არაერთგზის არის მოხსენიებული და თითოეულ შემთხვევაში აუცილებლად არის ხაზგასმული მისი ფარაჯა: „ჩამოუტარეს ფარაჯაში გახვეული...“ „თვალი მოჰკრა ფარაჯაში გახვეულსა...“ „ის ფარაჯაში გახვეული“ და სხვ. როგორც პირველი ხსენებიდან ჩანს, ტუსადის ფარაჯა იგივე რუსის ფარაჯაა.

ჩვენი აზრით, აშკარაა, რომ თითოეულ ნაწარმოებში ასე ხაზგასმით, სიუჟეტური ლოგიკის საწინააღმდეგოდ ქართველთა ჩაცმულობაში შემოჭრილი რუსის ფარაჯა, რომელიც რეალურად რუსულ გარს უკავშირდება და ქართველი კაცის გონებაში თავისუფლების დაკარგვასთან, ეგზეკუციებთან და ყოველნაირ ძალადობასთან ასოცირდება, არის ამ გმირთა საბედისწერო საშოსელი – მათი განწირულების სიმბოლო, მაგრამ ამასთანავე, „რუსის ფარაჯა“, ისე, როგორც

სტილისტური ელფერიო დატვირთული სხვა სამოსელი. გმირის სულიერ სამყაროზეც მიგვანიშნებს. ამ სემიოტიკაში მას დაკნინებაზე.

სამოსელთან ადამიანის შინაგანი ღირსების შედარება პირდაპირი სახით გეხედება პუბლიცისტურ წერილებში. ეროგან ვკითხულობთ: „...საცა კი სხვის კარგს რასმე დაინახავს. მსუნაგსავეთ მაშინვე ხელს სტაცებს ჩემიანო. თითქო. თავისი საკუთარი სიკეთე და ღირსება არ გააჩნია. თითქო თუ სხვისა არ ჩაიცვა. არ დაიხურა, თითონ შიშველ-ტიტველიაო.“<sup>1</sup> სხვა სტატიაში წერია: „ამრიგად უბრალოდ. სადად. მაგრამ ფაქიზად ტანისაცემელს კაცი უსათუოდ შინაგანს ღირსებით უნდა იყოს მდიდარიო.“<sup>2</sup>

სამოსლის სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობით დატვირთვა მსოფლიო ლიტერატურაში გავრცელებული ხერხია. მაგალითად ჯონ გოლზუორთის „ფორსაიტების საგაში“ მხატვრული გააზრება აქვს ტანსაცემელს და მის ფერსაც კი. მაგრამ ამ სტილისტურ ხერხს აქვს უფრო ღრმა ძირებიც – იგი ფართოდ იყო გავრცელებული ქრისტიანულ სასულიერო ლიტერატურაში და როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში. ილია სწორედ იქედან უნდა იღებდეს მაგალითს.

ერთ-ერთ საგალობელში ნათქვამია. რომ ვინც ქრისტეს მიერ ნათელს იღებს, ქრისტეთი იმოსება. 1988 წლის საქართველოს ეკლესიის კალენდარში (გვ.345) მოყვანილია წმ. იოანე დამასკელის ასეთი სიტყვები: „ანუ ვითარი სამოსელი შევიმოსო მოსლუასა მას სიძისა მის უკუდავისასა, რომლისა წინაშე ვერ შემძლებელ ვარ წარდგომად სამოსლითა შეურაცხითა. და მე შემიგინებთეს სამოსელი იგი. რომელი ნათლისღებისა წმიდისა მიერ შემემოსა. იქვე ვკითხულობთ: „რომელი ამაღლდი ძელსა მას ზედა ცხორელსა და განიშომულე სორცი. შეჰმოსე სიშომულეა ჩემი. რომელი განმძარცვა ეშმაკისა.“

წმ. პაულე მოციქულის ეპისტოლეებიდან ჩანს. როგორი სამოსლით უნდა „იმოსებოდეს“ ქრისტიანი: „...მოირტყნით წელნი თქუენნი ჭეშმარიტებითა და შეიმოსეთ ჯაჭვი იგი სიმართლისაი და შეისხენით ფერხთა თქუენთა განმზადებულეებაჲ სახარებისა მის მშვიდობისაჲ... და ჩაფხუტი იგი ცხორებისაჲ დაიდვით.“(ეფეს. 6. 14-17)

„მე სიმართლით ვიმოსებოდი და ის ჩემით იმოსებოდა; მოსასხამად და თავსაკვრელად ჩები სამართალი მქონდა“, ამბობს მართალი იობი (29.14)

ცათა სასუფეველის შესახებ ქადაგებისას თავად უფალი ბრძანებდა. რომ „მის ქორწილზე“ ვერ დარსება კაცი. „რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე“. რომ ასეთებს უფლის ბრძანებით შეუკრავენ ხელ-ფეხს და განაგდებენ „ბნელსა მას ვარესქელსა“, სადაც იქნება „ტირილი და ღრჭენი კბილთაი“. იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადებაში“ ვკითხულობთ: „აჲ ესერა მოვალ. ვითარცა მარავთ. ნეტარ არს. რომელმან იღვიძოს და დაიმარხოს

1. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი სუო ტომად. ტ.5. გვ.84

2. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი სუო ტომად. ტ.5. გვ.174



საოსელი თვისი, რაითა არა შიშულად ვიდოდის და „ხედვიდენ უშუერებასა მისსა.“ ამდენად, ქრისტიანი უნდა უფროსილდებოდეს იმ „სამოსიკლს“, რომელიც ნათლისღებით მიენიჭა და მის სისპეტაკეს არ უნდა ბლალავდეს ცოდვებით. ზოგს ეს სამოსელი იმდენადაც კი განეძარცვება, რომ სრულიად შიშვლდება მისგან ანუ კარგავს სიწმინდეს.

„სახარება“, „გამოცხადება“, ეპისტოლეები, ძველი აღთქმის წიგნები, წმინდა მამათა გადმოცემები და ლოცვები – ეს იყო ის, რითაც სულიერად საზრდოობდნენ ჩვენი დიდი წინაპრები. ამაზე იყო დამყარებული მათი ცნობიერება, აზროვნება და წარმოსახვა. ამიტომ ბიბლიური წიგნების უმდიდრესი საგანძური არაჩვეულებრივი წყარო გახდა მხატვრული ლიტერატურისათვის. წმინდა წიგნებიდან გადმოღებულმა იგავურმა სახეებმა გაამდიდრა ქრისტიანული მწერლობა. ამის თვალსაჩინო გამოხატულებაა სწორედ ის მრავალფეროვანი სიმბოლო-ალეგორიებიც, რომელთა შესახებაც ჩვენ გვქონდა საუბარი.

### სულიერი იარაღი

„ვა, შემრჩა ცუდსა მეთევზეს  
უბრალოდ წყალთა მღვრევანი“  
დავით გურამიშვილი

თოფ-იარაღს, ფარ-ხმალს, მშვილდ-ისარს თავის ნაწერებში იღია ძალიან სშირად იყენებს გადატანითი მნიშვნელობით. გვხვდება გამოთქმები: „იარაღი უღონობისა“, „ფარ-ხმალი სულმოკლეობისა“, „პატიოსანი ხმალი“, „მოძღვრის ფარ-ხმალი“ და სხვ.

ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში ვკითხულობთ: „ჭორი და ცილი – ეგ უკადრისი იარაღი სუსტისა და უკადრისის კაცისა – ჩვენი იარაღი არ იქნება საომარს სარბიელზედ...“ რა თქმა უნდა, როგორც „იარაღის“, ისე „საომარი სარბიელის“ გადატანითი მნიშვნელობა აქ აშკარაა. გვხვდება ასეთი შედარებაც: „სხვა გზა, სხვა ფარ-ხმალი ტყუილ-უბრალე გულის ფხანაა და მტონარე ენის ქაიღია! სხვაგან ვკითხულობთ: „ცარიელ მუქარის და ქაღილის დაღაბრებული, პირგაღეჭილი ხმალი მოგვიღირა.“ „ძველებით სხენება სხვისა, ამით კილვა და ძაგება ძველი იარაღია უღონობისა... მწერლისა თუ მთქმელის არარაობის, ცარიელობის უტყუარი ნიშანი მაგ იარაღის ხმარებაა.“ „ამ უმართებულო და უკადრისს ფარ-ხმალს არ მოჰკიდებს ხელს იმისთანა კაცი...“

გვხვდება იარაღი სრულიად საწინააღმდეგო. დადებითი მნიშვნელობითაც: „აი, ამ პატარა სახლიდამ გამოვა ის დიდი ღონე, ის დიდი სერხი, ის ყოველთვის და ყველგან გამარჯვებული ფარ-ხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვია.“ წერს იღია წინამძღვრიანთ კარის სასწავლებლის შესახებ.

ამასთან აზრობრივად ახლოა სხვა შედარება: „რით უნდა გავუმკლავდეთ სწავლითა და ცოდნით შეთოფ-იარაღებულს.“ ცოდნას მწერალი „ფაქიზსა და წმინდა იარაღსაც უწოდებს, სკოლას კი – „ორპირ ხმალს“!

ჭეშმარიტი ლიტერატურა ყველგან და ყოველს შემთხვევაში მართებულობის, ზრდილობის, ადამიანის ღირსების ფარიც არის და ხმალიცა.“ „რჯული ჩვენი მამულის, ჩვენი ეროვნობის ხმლად იქცა ზედ მისევისათვის და ფარად ზედ მოსეულათვის.“ კეითხულობთ გაჩეთ „ივერიის“ 1888 წლის მეცხრე ნომერში.

როგორც ვხედავთ, იარაღი ყველგან შედარებულია ადამიანის ზნეობრივ, გონებრივ თუ სულიერ ღირსებებთან. რადგანაც როგორც ადამიანები, ისე მათი თვისებები განსხვავებულია, მსგავსი შედარებებიც საოცრად მრავალფეროვანია.

ზოგან მწერალი ალეგორიას აერცობს და აღრმავებს იმით, რომ უკვირდება ამა თუ იმ „იარაღს“ და ეძებს მის მფლობელს. „...სათავე ვუპოვოთ და გავიგოთ, ვისი ეშმაკობა უნდა იყოს ამისთანა ისრების სროლა, უნდა მშვილდი მოენახოთ, ვის ხელში აღმოჩნდება.“ მწერალი ასევე ალეგორიულად აღგვიწერს, თუ სად და ვისი დახმარებით მზადდება ესა თუ ის იარაღი: „მაგ საძაგელს ფარ-ხმალს სულმოკლეობისას და ჯაბანობისას სამჭედურად აქვს ზოლმე ყოვლად გახრწნილი და ამყაყებული გული ჩირქიანის კაცისა და საბერველად კიდევ „შაბაში“ და „ბარაქალა“ იმისთანა კაცებისა, ვისაც ბეზლობა და ერთგულება ერთს ფარღში მოუქცევია და ერთმანეთში განგებ ვერ გაურჩევია.“ „ბეზლის მთქმელს“ მწერალი „სამარცხენო ფარ-ხმლის მჭედელს ეძახის.

გვხვდება არა მარტო ცალკეულ პირებთან დაკავშირებული შედარებები იარაღთან, არამედ უფრო განზოგადებულიც: „მაშინ იქნება ხმლის ქაღილს ღონეც შესწევდა... ეხლა კი ხმალს ენა მუცელში ჩაუყარდა, ხმალმაც, როგორც ყოველივე სხვამ, თოკი ყელზე შეიბა და ფულს დაუკრა თავი, ვითარცა უძველეს ბატონს ყურმოჭრილმა ძლეულმა ყმამ.“

უცნაურ სიმბოლურ საომარ აღჭურვილობას ვხედავთ მხატვრულ-პუბლიცისტურ წერილში „სხარტულა“: ბქია „გამსტენავს დუდგულას თოფსა, თავის კრიტიკის ფურცლებს აბჯრად აისხამს და გამოვა მოედანზედ; მოპყვება თავისებურად თოფის სროლას და ჯირითს.“ აქვე გვხვდება სხვა მსგავსი შედარებებიც: „უანგიანი მუზარადი დევ-გმირის ზოილისა, მისივე რკინის პერანგი, საბახურები, ფარ-შიმშერი და ორად გატეხილი ხმალი...“ როგორც ვხედავთ, აქ იარაღი სარკასტული ელფერისათვის არის გამოყენებული.

ილიას ნაწერებში უარყოფითი აზრით არის დატვირთული იარაღის უქონლობა. „ქალი უფარ-ხმლო დედაკაცია, დედაკაცი ფარ-ხმლიანი ქალია და სად მივლენ ერთმანეთთან“, წერს იგი იმავე წერილში, აღწერს რა დაწვრილებით თავის აზრს ქალსა და დედაკაცს შორის განსხვავებაზე,

ნათლად ვიგებთ, რა ყოფილა ის სულიერი და ზნეობრივი „ფარ-ხმალი“, რომელიც მათ ერთმანეთისაგან განარჩევს.

უარყოფითი მნიშვნელობით ტვირთავს აგრეთვე მწერალი ამგვარ „ზნეობით იარაღზე“ უარის თქმას, მის ძირს დადებს: ჩვენი მიერ დათესილ-მომიკილი „ისეთი დიდი არ არის, რომ ჩვენი ფარ-ხმალი ძირს დავდოთ; მარტო მაგათ შევაჩერდეთ და მაგაზედ მეტი არა ვინდობოთ რა.“ ამ შედარებას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, რაც იდიომატურ გამოთქმას „ფარ-ხმლის დაწრა“.

„დროთა ბრუნვა მარტო ხორცს ერჩის, ხორცსა სძლევეს. ხორცს მაგისათვის არც ფარი აქვს, არც ხმალი.“ გვეუბნება მწერალი და უკვე აშკარად განვეციმარტავს, რომ ამგვარი იარაღი მხოლოდ სულისა და გულის „უჭკნობლობის ნიჭი და ღონა“. „ეგ ღვთაებრივი ნიჭი, როგორც ყოველივე ღვთაებრივი, დროთა მბრძანებელია და არა ყმა.“ (სტატია „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“) თუ სულით არ დაბერდები, „მაშინ ფარიც ხელთ გექნება მოსაგერად და ხმალიც სატყერად.“

როგორც ვხედავთ, აქ იარაღს ყველგან გადატანითი მნიშვნელობა აქვს. მწერალს არ უყვარს ნამდვილი იარაღი და „სისხლით ზღვევა“. მას მშვიდობიანი ბრძოლა ურჩევნია. დიდი, მძლავრი, მრისხანე და ძლიერი ხმალი და შუბი ზოგჯერ, მისი აზრით, იმდენს ვერ აკეთებს, რამდენსაც პაწია „ნემსი“ და „კალამი“ თავიანთი უსისხლო საქმიანობით (იხ. „დამაკვირდი“) საომარი აღჭურვილობიდან მწერალს სხვებზე მეტად ფარი მოსწონს, რადგან უსისხლოა და თან;

„დროზედ ნახმარი ფარიცა  
იგივე ხმალი არიო...“

მსგავსი ალევორიები მოხდენილად არის გამოყენებული მხატვრულ ნაწარმოებებშიც. ქვეყნის სულიერი და ზნეობრივი დაქვეითება-დაცემის სურათის აღწერის შემდეგ „მგ ზავრის წერილებში“ მოხვეე ამბობს: „უხმარ სატეეარს უანგი დაედვის...“ და ამ სიტყვებში ზემოთგანხილული მრავალი მაგალითის მსგავსად, უპირველეს ყოვლისა სულის იარაღს გულისსმობს და არა ფიზიკურს.

„რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი

თუ სიმართლისთვის დამინლუნგდება.“—

ამბობს ილიას გუთნისდედა და აქ „ხმალი“, ისევე, როგორც „გუთანში“ ადამიანის ღვთაებრივ ნიჭს გულისსმობს, რომელიც დაჩლუნგებია და უმოქმედოდღაა.

განხილული შედარებები, მეტაფორები და ალევორიები აშკარად მიგვანიშნებს, რომ „იარაღს“ ილიასთან გარკვეული მხატვრულ-ალევორიული ასოციაცია აქვს ადამიანის სულიერ ღირსებებთან. ჩვენი ყურადღება მიიქცია იმან, რომ მის პროზაში ამგვარი შედარებები თითქმის არ გვხვდება. კვლევამ კი გვიჩვენა, რომ აქ უბრალოდ უფრო ღრმა ალევორიზაციასთან გვაქვს საქმე და იქ, სადაც გმირის გარეგანი აღწერილობისას მისი საომარი ან სანადირო აღჭურვილობაა ნაჩვენები, თითქმის ყველგან ჩადებულია იგაური

მნიშვნელობაც იმავე გმირის სულიერ ღირებულებებზე. როგორ გმირსაც ამშვენებს იარაღი, ისეთივე ალეგორიული შინაარსით არის იგი დატვირთული, რისთვისაც იღწვის, რისთვისაც იბრძვის ესა თუ ის გმირი, იარაღიც შესაბამისი აქვს.

კაკო ყაჩაღის თოფ-იარაღი ფიზიკური ანგარიშსწორების საშუალებაა. ამ მხრივ იგი სანდო და უტყუარია, მაგრამ, რაც შეეხება უსისხლო, სულიერ ზემოქმედებას, ამ იარაღის პატრონს ეს არ შეუძლია. საყურადღებოა კაკოს შესახებ თქმული: „მალია, როგორც ხირიმის ტყვია და ტყვიასავით დაუნდობელი...“ კაკოს თოფ-იარაღს მსოლოდ პირდაპირი დანიშნულება აქვს. ამიტომ უწოდებს მას ავტორი „რკინის ძმებს“:

„მე თანა მყვანან რკინისა ძმები.

ჩემი სიათა, დამბაჩა, ხმალი...“

სულ სხვაა ლუარსაბის იარაღი. ცხენზე ტომარასავით დადებულ ლუარსაბს „წელზედ ერტყა ქართული ხმალი და გრძელი ლეკური ხანჯალი, უკან წელში გაყრილი ჰქონდა სვეადიანი დამბაჩა.“ რომ არ ვიცოდეთ, ვის ამკობს ეს იარაღი, ერთის წაკითხვით მას მშვენიერ აღჭურვილობად აღვიქვამდით, მაგრამ ლუარსაბის სახესთან მიმართებაში ეს ყოველივეც სარკასტულ იერს იძენს. ამ აზრს განამტკიცებს მწერლის ირონიული კომენტარიც: „ხმლის პირი ზედ წამოცმულ ვაშლით რომ ამოღებული სჭეროდა, თავიდან ფეხამდინ ორშაბათის ყეიჩი იქნებოდაო.“

სულიერი ღირსების გადატანითი მნიშვნელობა „იარაღს“ იმ ადამიანის, იმ გმირის მეშვეობით ეძლევა, რომელსაც იგი ეკუთვნის და ამიტომ მხატვრულ სახეთა, ყველა სტილისტურ საშუალებათა ერთად აღქმავ საჭირო.

ყველაზე ლამაზად იარაღის ალეგორია „ოთარაანთ ქერიჲსია“ წარმოიჩინილი. მწერალი, რომელიც მოზომილად ხმარობს თითოეულ სიტყვას, ამ შემთხვევაში უცნაურ სიუჟეტს იჩენს. გიორგის მომაკვდავი მამა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს იარაღზე ლაპარაკს ანდომებს. მერედა როგორ გულმოდგინედ უბარებს მეუღლეს: „მამისეული თოფ-იარაღი შეუნახე, გამოადგებაო.“

მოთხრობაში ცალკე თავი ეთმობა ამ იარაღის აღწერას და ქერივის ზრუნვას მასზე. ამ თავს ქვია „განძი და ანდერძი“ და მასში სწორედ იარაღი იგულისხმება: „ყველაზე უძვირფასესი განძი სხვა დარჩა ოთარაანთ ქერივს თავის ქმრისაგან. ქერივს კი მართლა უძვირფასესად მიანჩნდა და სხვისა კი არ ვიცით. ეს განძი თოფ-იარაღი იყო. მისი ქმარი, დიდი გამრჯელი, მოამაგე, დიდი მუშაკაცი, გათქმული მონადირეც ყოფილა. სახლში რომ შესულიყავით და კერიდან მარჯვენა ტახტის ზემოდ კედლისათვის შეგებდათ, ანახავდით ბუდით ჩამოკიდებულს კარგად მოზდილ თოფს, ხმალს, თავისის ყაწიშებითა, ხანჯალს, დამბაჩას, სასწრაფოს და საპირისწამლეს.

კვირა არ გავიღოდა, რომ ოთარაანთ ქერივს არ ჩამოეღო ეს იარაღი და გულდადებით არ გაეწმინდა. როცა ამას შეუდგებოდა, გვეგონებოდაო

ქლოცულობსო. ისე გულდასმით, კრძალვით და სასოებით დაუწყებდა ხოლმე წმინდასა...“ რა შთაბეჭედავი აღწერა. მაგრამ საოცარი ის არის, რომ მიუღწეველ ნაწარმოებში ერთი წვეთი სისხლი არ ჩანს ამ იარაღით დაღვრილი და ცნობილი მონადირის მიერ მოკლული არცერთი ცხოველის ტყავი ან რქები არ არის კედელზე გამოკიდული მონადირეთა ჩვეულებისაგან განსხვავებით. ეს კიდევ უფრო გვიბტკიცებს იმ აზრს, რომ ოთარაშვილების იარაღიც ალგეორიული მნიშვნელობის მქონე სულიერი აღჭურვილობაა და არა მატერიალური. ამ იარაღის გამუდმებული წმენდა სულიერი განწმენდის მაჩვენებელია, კედლებში დატანებული საოფეები კი – სულიერი სიფხიზლის ნიშანი.

რაკი ვნახეთ, რომ პუბლიცისტურ წერილებშიც და მოთხრობებშიც გვირთა იარაღის პოეტური სემანტიკა დამოკიდებული იყო მათი მფლობელის პიროვნულ სახეზე, რა შინაარსთან შეიძლება დავაკავშიროთ ოთარაშვილების ფარ-ხმალი და თოფ-იარაღი? ჩვენი აზრით, ამ მართლმორწმუნე ოჯახის სულიერი აღჭურვილობა იმ ორ დანაკს უნდა შევადაროთ, რომლის შექმნაც აუცილებელ პირობად დაუსახა მაცხოვარმა თავის მოწაფეებს. წმინდა მამების განმარტებით ესაა „ჭეშმარიტი რწმენა“ და „სარწმუნოებრივი საქმეები“. ეს მიაჩნდა ილიას ჩვენი მამულის, ჩვენი ეროვნობის ხმლად და ფარად და საუიქრებელა, რომ იმ გვირთა საჭურველიც, რომელთა სახეებშიც მწერალს ერის საუკეთესო თვისებები და მისწრაფებები აქვს ჩადებული, იგივე იქნებოდა. ამ იარაღის დაცვა, მოვლა. დაფასება, წმენდა – რწმენის განმტკიცებაა. ამგვარად მისი ფუჟიცია ოჯახში, მაგრამ ოჯახს გარეთ – განუკითხავ სოფელში მისი დანიშნულება სხვათა სულიერი მონადირებაა ანუ ამ რწმენის შესაბამისი საქმე.

ღვაკვირდეთ ამ იარაღის ადგილს ქვრივის დარბაზში. ოთახს სამი მხრიდან კარები აქვს დატანებული. ერთადერთი მოლიანი კედელი ჩრდილოეთისაა. აღწერილობის მიხედვით კერიის მარჯვნივ და მარცხნივ მდგარი ტახტები ამ კედლის გასწვრივ უნდა ყოფილიყო განლაგებული. ქრისტიანული წესის მიხედვით ისინი პირით აღმოსავლეთისაკენ იქნებოდა დადგმული და გამოდის, რომ მარჯვენა ტახტის ზემოთ, კედელზე დაკიდული იარაღი ფაქტიურად აღმოსავლეთის კედელზე ჰკიდია და გასაკვირიც აღარ არის, მისი წმენდა ლოცვასთან რომ არის შედარებული – ეს ქრისტიანულ ოჯახში სალოცავი კუთხეა. მასთან დაკავშირებით ყოველ გამონათქვამს სიმბოლურ-ალგეორიული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და „იარაღი“ პირდაპირი გაგებით არ უნდა იყოს აღქმული.

იარაღის გადატანითი, იგავური მნიშვნელობაც მრავალგან განხედება წმინდა წერილში და ვფიქრობთ, რომ ილიას მხატვრული წარმოსახვა ამ შემთხვევაშიც იქედან საზრდოობდა. ძველი აღსქმის მიხედვით მართალი ი... ამბობს: მეგონა „კვლავ აღმიდგებოდა ჩემი დიდება და მშვილდი განმიახლდებოდა ხელში...“ (იობ. 29,20)

აკვლე მოციქულის ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში (6,11) კი ვკითხულობთ: „...აღიღეთ ყოვლად საჭურველი იგი ღმრთისაი, რაითა შეუძლოთ წინადადგომად დღესა მას ღოროტსა და ყოველსავე იქმოდეთ, რაითა სდგეთ... ყოველსა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისაი, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურეებილთა დაშრეტად; ჩაფხუტი იგი ცხოვრებისაი დაიდგით და მახვილი იგი სულისაი, რომელ არს სიტყუაი ღმრთისაი.“ ამგვარია მართალთა იარაღი და ოთარაშვილების ფარ-ხმალიც მსგავსი შინაარსით უნდა იყოს დატვირთული.

მოვხუცი და ჩემი მშვილდი ძირს უნდა დავდოო, ერთნაირ ფარზას ამბობს ილიას ორი მოთხრობის – „სარწმუნელაზედ“ და „ოთარაანთ ქერიეი“ გმირები, ერთნაირი სახელის მქონე ორი გლეხი – ორი პეტრე. როგორც მწერლის პუბლიცისტურ წერილებში ვნახეთ, ამგვარი განწყობა და ამგვარი მოქმედება მწერალს წუთისოფელთან ჭიდილში დანებების, დამარცხების ტოლფასად აქვს გამოყენებული. მოთხრობის „სარწმუნელაზედ“ გმირის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. მაგრამ, როგორც ჩანს, არც „ოთარაანთ ქერიის“ გმირი პეტრე არ გამხდარა შემთხვევით გიორგის სიკედილის საბაბი. ეს მას უნდა დაედგა თივის ზეინისათვის თავი, მაგრამ „მრუდედ“ აკეთებდა საქმეს. ამიტომაც მისი გამობმული წნელი გაუწყდა გიორგის. ამ პეტრემ თავისდა უნებლიედ თავისივე სიტყვებით კისრად იღო ის, რაც მოხდა. მწერალი შემთხვევით არ ათქმევინებდა მას ამ უცნაურ სიტყვებს: „ჩემს კისერზედ იყოს, ჩემო გიორგი!“ მართალია, ამ უბედურების შემდეგ პეტრე ატირდა, მაგრამ მასაც იმ მეორე პეტრესავით არავითარი სინანული არა აქვს – „რა შეგცოდე, ღმერთო“. სხვებიც გულს უშვებდნენ: „შენი რა ბრალია?!“ „აღბად ეგ წერებულა მაგის შუბლზედო...“ ერთი კი ფაქტია, რომ რაკი ავტორმა ასე სალაპარაკო გახადა პეტრეს „უღანაშულოდა“, ეტყობა, რომ ჩვენი დაფიქრება უნდოდა, შემთხვევით არაფერი ხდებოდა.

იარაღის მხატვრულ მნიშვნელობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაღირობის ალგორითული სახეც. რკინის იარაღით ზორცს მონადირეობა, სულიერი იარაღით კი – სულს. ერთით ზორციელ შიმშილს დაიკმაყოფილებ, მეორეთი კი – სულს მიაწოდებ საზრდოს. მოთხრობაში „სარწმუნელაზედ“ მოხუცი პეტრეს მიერ ფაწვილებისადმი გამოჩენილმა ყურადღებამ უმცროსი ძმა თითქოს მოაბრუნა სიკეთისაკენ, ნდობისაკენ. პეტრესადმი გადაცემულ ბარათში ამის შესახებ ის წერს, შენმა გულკეთილობამ „კინაღამ მომინადირაო“ სამწუხაროდ მხოლოდ „კინაღამ“, რადგან პეტრემ თავისივე ნებით თქვა უარი ამ მონადირების იარაღზე – სიკეთეზე. ამიტომ ვეღარ შესძლო ამ სასიკეთო საქმის ბოლომდე მიყვანა – უმცროსი ძმის გულის მონადირება.

მსგავსი მნიშვნელობით არის ნახმარი „მონადირება“ „გლახის ნამბობშიც“. მღვდელთან მისი პირველი შეხვედრის შესახებ გაბრეული ამბობს, მისმა „თავდაბლობამ ჩემი გული მონადირაო“, თუმცა სამწუხაროდ მან ეს მაღლი ბოლომდე ვერ შეინარჩუნა.

ჩვენი აზრით, ნადირობა ალეგორიული მნიშვნელობით არის ნახმარი „გლახის ნაამბობის“ შესავალშიც. აქ ბევრი რამ არის ნათქვამი მთხრობელის ტრფიალებაზე ნადირობისადმი, მაგრამ ყოველივე ეს პირდაპირი მნიშვნელობით რომ გავიაზროთ, გაგვიკვირდება, რაში დასჭირდა ავტორს გაბრიელის თავგადასავლის შესავალში ამგვარი „ლირიკული წიაღსვლები.“

ილიას არაერთგან უთქვამს, მწერალი „ცხოვრების მდინარის ძირში“ უნდა ჩავიდეს თავისი ნაწარმოებებისათვის ცოცხალი სურათების სააოვნელადო, შესავალში კი, რომლის წამძღვარებასაც ფიქრობდა იგი მოთხრობისათვის „კაცია, ადამიანი?!“ მას სიმბოლურად ჰქონდა აღწერილი, როგორ ამოიყვანა ლუარსაბი ხავსმოკიდებული გუბიდან და შეიყვანა თავის მოთხრობაში. ეს წინასიტყვაობა ილიას აღარ დაურთავს მოთხრობისათვის, რადგან, როგორც კირილე ლორთქიფანიძეს წერს 1868 წელს გაგზავნილ ერთ წერილში, როცა გადაიკითხა, გამოჩნდა, რომ რაც წინასიტყვაობაში უნდოდა ეთქვა, „სულ ყველაფერი შიგ მოთხრობას აჩნდა“. ეს „ყველაფერი“, რაც „კაცია, ადამიანის“ წინასიტყვაობაშიც იყო და მოთხრობაშიც, არის ავტორის დამოკიდებულება აღწერილი ამბისა და გმირებისადმი.

სრულიად განსხვავებულია ამ მხრივ მოთხრობა „გლახის ნაამბობი“, სადაც ძირითადი ამბის მოთხრობელად გვევლინება თვით მთავარი გმირი. აქ კი ნამდვილად საჭირო იყო წინასიტყვაობა, რომელშიც ავტორის დამოკიდებულება იქნებოდა გადმოცემული მის მიერ აღწერილი ამბისადმი. ჩვენი აზრით, ნაწარმოების შესავალში სანადიროდ წამოსულ მთხრობელში ნაგულისხმევია მწერალი, რომელიც არა „ცხოვრების მდინარეში“, არა „გუბეში“, არამედ ამჯერად ახალ ალეგორიულ სახეში – „დაბურულ ტყეში“ – შურისძიების წყურვილით აღგზნებულ, ყაჩაღად გავარდნილ და ვნებათა კარნახით ლაღად მონავარდევ ცოდვილთა თავშესაფარში ეძებს სახეებს მოძავალი მოთხრობისათვის და როგორც ფოტომონადირე ფოტოებზე, ისევე, ოღონდ მხატვრული სიტყვით აღბეჭდავს მათ თავის მოთხრობაში.

„გლახის ნაამბობის“ შესავალში სათქმელი უფრო ღრმად არის ალეგორიზირებული იმით, რომ მისი ზედაპირული ხატი, მონათხრობის პირდაპირი მნიშვნელობა საკმაოდ რეალურად ქდერს და არა ზღაპარივით, როგორც „კაცია, ადამიანის“ შესავალში, სადაც იგი მთლიანად სიმბოლიზირებულია. აქ მკითხველს შეუძლია პირდაპირ აღიქვას ნათქვამი და საშუაზროდ სიღრმისეულ აზრს აღარ ეძებს.

„ჩვენ სოფელს ქვემოთ... კაი სანადირო ადგილები იყო... ყველგან ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში... კაი ადგილებია. რაც გინდა არის: დაიწყეთ მოხდენილ ირმიდამ და გაათავეთ დარბაისელ გარეულ ღორითა, ან გულისხმიერ დათვითა. ფრინველს ზომ ოვლა არ უნდა.“ ეს ყველაფერი ყურს პირდაპირი მნიშვნელობითაც მისაღებად ზედება, განსხვავებით ხავსმოკიდებულ გუბეში შეცურვისა და მოთხრობაში დასახატად იქედან ლუარსაბის გამოყვანისაგან. მაგრამ, მეორეს მხრივ, გულისყურით თუ წავიკითხავთ, იმ გუბის და ამ

ტყის აღწერებში საკმაოდ დიდ მსგავსებას. გუბეშიც. ზემოთაღწერილი ტყის მსგავსად. „მრავალი ცხოველი ირეოდა... ზოგს მგლის თავი ჰქონდა, ზოგს ფოცხვერისა, ზოგს მელისა, ზოგს გველისა და ბევრსა. ასე იფიქრეთ, წურბელისა.“ თვით ფრაზებიც კი ერთგან სამოგზაუროდ და მეორეგან სანადიროდ წასვლისა, ერთმანეთს მოგვაგონებს: „სახელი ღვთისა ვასხენე. ავიკიდე გუდა-ნაბადი და შეეუდეგი მგზავრობასა...“ ეკითხულობთ „წინასიტყვაობაში“, „ღმერთი ვახსენე, ავიღე ორლულიანი სოფი. დაეუძახე ჩემს მაძებარს და წავედი“. ეკითხულობთ „გლახის ნაამბობში“ მართალია. პირველ შემთხვევაში მთხრობელი თითქოს სამოგზაუროდ მიდიოდა და არა სანადიროდ, მაგრამ ფაქტია, რომ ის მოგზაურობაც ნადირობით დამთავრდა — „ერთი-ორიოდე ქვეშეშრომი მაინც დავიჭირო. რომ წუძვეში სიარულმა ტყუილად არ ჩამიაროსო“, თქვა მან, ესროლა ბადე და ლუარსაბი დაიჭირა.

„გლახის ნაამბობის“ შესავალშიც. ისევე, როგორც „კაცია, ადამიანის“ წინასიტყვაობაში, პარალელის გაკლებული ჯარემოს სხვადასხვა ბინადრებსა და ადამიანებს შორის. ამას გარდა ხაზგასმულია, რომ მთხრობელს უყვარს ნადირობა და სხვათა ამბების გაგება. ის ერთიანად შეთვალეირებს ხოლმე ტყეში ნადირს და საინტერესო ამბავს და შემდეგდა მიდის ორივეზე „სანადიროდ“. აქ უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტიც. რეალურად იღია ნადირობის ტრფიალი არასოდეს არ, ყოფილა. პირიქით. მისი ბავშვობის მეგობრის კოხტა აბაზის თქმით, „საზოგადოდ ნადირობა არ უყვარდა.“ იგი, როგორც მწერალი სხვაგვარად ნადირობდა — გუბეში შეცურვით ლუარსაბი მოინადირა, დათიკო — დაბურულ ტყეში იპოვა, გაბრიელი კი ტყილამ გამოსულს, მაგრამ უპატრონო საბძელში სიკვდილის პირას მყოფი.

დათიკო თავიდანვე ტყის ბინადარი იყო და იქვე მოკვდა ირმის მსგავსად. „ჩვენ, კაცები, ხანდინან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ“. „ჩვენ თვითონ სულიერთა მეუფენი, ჩვენ თვითონ ქმნილებათა გვირგვინნი. ჩვენ თვითონ ღვთის სახისანი ერთი-ერთმანეთს არ ვუთმობთ იმ ადვილსა...“ და შედეგად ამისა ეკედებით არა იქ, სადაც დავიბადეთ, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი გაგებით... მწერლის მთავარი ტკივილი გაბრიელია, რომელიც, დათიკოსაგან განსხვავებით მართლაც იყო ნახიარები ღვთაებრივ მადლს, მაგრამ დაჰკარგა. ერთგან გაბრიელი თავის თავზე ამბობს: „მე საყმალო კაცი არ ვიყავი. იქ ასეთი გული უნდა, რომ დედას კალთაში შეილი მოეკლა და ხელი არ აგიკანკალდეს. მე იმისთანა არ ვიყავი: გული მორბილებული მქონდა პატარაობიოვე, მე ვმწვილობიოვე სხვა მზემ დამკრა და სხვარივად გამითბო გულიო“, მაგრამ ბოლოს ეს გულის სითბო სიძულვილით გაფანტა და ღვთის სიტყვასთან ჩელმოკრედ დაბადებულმა კვლავ ცოდვებში ჩაქლა თავისი სული.

გაბრიელს არ ეყო სულის ღონე, რომ დათიკოსათვის ბოროტ საქმეებზე ხელი აეღებინებია. სულიერად მონადირებია და ფიზიკურად მოკლა იგი. მოთხრობაში „ოთარანთ ქვრივი“ კი „არმის“ სულ სხვაგვარ — ცოცხლად



მონადირებაზეა საუბარი. „ყვირილობის თვეში რომ ირემს მომაყენებდი ურმითო...“ იგონებს თავის მეუღლეს ქერივი. ეს არ იყო მოკლული ირემი და თვედორეს ცოლს ირმის მწვადების გემო არ აგონდება. მას ახსოვს იმ ცოცხალი ირმის „ზარიანი ხმა“, რომლის გაგონებაზეც გული გადაუტრიალდებოდა ზოლმე სიხარულით. რისთვის უნდა მოეყვანა თვედორეს ტყიდან „ირემი“? ან რატომ აკეშირებს ქერივი გიორგის ხასიათში მომხდარ გარდატეხას ყვირილობისას სანადიროდ წასული შეილის ხელცარიელ დაბრუნებასთან? „ამ ორის წლის წინად თოფ-იარაღი აისხა ზედა! უხელოდა მაშისეული, – წავიდა და სამი დღე შინ არ დაბრუნებულა... თუ სანადიროდ იყო. ხელცარიელი რად მომივიდა? მერე ყვირილობაც იყო...“ ფიქრობს აფორიაქებული დედა.

„ფურირმის ყვირილობა“ და „ჟამი მოგებისა“ ძველი აღიქმისეული იგავური სახეებია. წმ. დავითის ფსალმუნებში ვკითხულობთ (28,9): „ხმა უფლისა ნადრევედ მოამშობიარებს ირმებს და გააშიშვლებს ტყეებს და მის ტადარში ყოველივე ამბობს დიდებას.“ მართალი იობის წიგნში კი წერია (39,2): „თუ იცი ჯიხვსა დაბადების ჟამი? ფურირმის ყვირილობა თუ შეგინიშნავს, თუ დავითელია მისი მაკეობის თვეები? ან თუ იცი ჟამი მოგებისა?...“ ჩვენი აზრით, თვედორეს მიერ ცოცხალი ფურირმის მიყვანა სახლში ალევორიულად სულიერი ნაყოფის გამრავლებაზე და სულიერ მონადირებაზე უნდა მიგვანიშნებდეს, გაბრიელის მიერ „ირმის“ ფიზიკურად მოკვლისაგან განსხვავებით. ასეთია ოთარაშვილების უძვირფასესი განძის, მათი „თოფ-იარაღის“ ნანადირევი.

გავიხსენოთ კიდევ ორი ასეთი შემთხვევა. პოემა „განდევილში“ მწყემსი ქალის შესახებ ვკითხულობთ:

„ნაზად, ამაყად ცეცხლაპირს იჯდა,

ვით მინდვრის შევლი ყელმოღერებით...“

ზემოხსენებული მაგალითების ფონზე ვფიქრობთ, რომ ამ შედარების საფუძველი მინდვრის ლამაზ ბინადართან გარეგნული მსგავსების წარმოჩენა არ უნდა იყოს მხოლოდ. ეს ქალი გარეგნულად მშვენიერი, მაგრამ სულიერად მოუნადირებელია. როდესაც მას ფიზიკური საფრთხე ელოდა ავდრის გამო, ბერმა იგი შეიფარა თავის სენაკში, მაგრამ ქალი, რომელიც ფაქტიურად ღვთის მგობიელი იყო, უფრო დიდი საფრთხის – სულიერი სიკვდილის წინაშე იდგა და ბერმა, რომელიც უნდა ცდილიყო მის სულიერ მონადირებას, ფაქტიურად არაფერი არ გააკეთა ამისათვის.

მოთხრობაში „გლახის ნამბობი“ გაბრიელისა და თამროს პირველი შეხვედრის აღწერისას ქალზე ნათქვამია: „შეკრთა. როგორც შევლი მონადირესაგან...“ თამროს ბედი, მოთხრობის სიუჟეტის მიხედვით. დიდად იყო დამოკიდებული გაბრიელზე. მას რომ სიმშვიდე შეენარჩუნებინა და დათიკოსთან არასასიამოვნო საუბრით განრისხებულს ხანჯალზე არ ეტაცა ხელი, იქნებ თამროსაც სხვა ბედი სწოვდა, მაგრამ ვერ იტვირთა გაბრიელმა

იმ შემკრთალი შევლის „მონადირება“. მისთვის ფიზიკური საფრთხის აცილებას ცდილობდა, მაგრამ. როდესაც გზასაცდენილი. ცოდვებში ჩაფლული, სულიერი დაღუპვის გზაზე მდგარი ნახა, შეუბრალებლად „კრა ხელი და „მკერდიდამ, როგორც გველი, ისე მოიშორა. ისიც არ დაინდო დათიკოსაივით, რადგან ცოდვილად მიანნდა. არც კი დაფიქრებულა. რომ შეველა და წამოყენება ყველაზე მეტად სწორედ ცოდვილს უნდა. „არა უხმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა“. როგორც ამბობს მაცხოვარი სწორედ ცოდვილთა შესახებ (მათ 9,12)

მაცხოვრის მოწოდებით უბრალო მეთევზენი მის მოციქულებად. „კაცთა მესათხველებად“, „კაცთა მონადირეებად“ იქცნენ და როგორც ჩანს. იარაღისა და ნაღობის ამ აღვივრებით მწერალი თავისი გამირების ეროგვარ სულიერ ღვაწლზე ან ამ ღვაწლის უქონლობაზე მიგვანიშნებს. აკი მართლაც შესძლო გიორგიმ არჩილისა და კესოს სულიერი მონადირება. გიორგის სიკვდილით არჩილს თითქოს თვალები აეხილა და მის მიერ მხილებულმა კესომაც თავისი გულგრილობა და უსიყვარულობა რომ დაინახა, სინანულით ატირდა. საინტერესოა, რას ამბობს არჩილი ამ ცრემლებზე: „ცრემლი ზოგჯერ ფარია და ღროზედ ხმარებული ფარი კი იგივე მახვილიაო“. აი, ეს ფარ-ხმალი, ეს სინანულით განწმენდილი გულები იყო ის სულიერი განძი, ის სულიერი იარაღი. რომელიც გიორგიმ დაუნახებლად გადაულოცა მათ. ალბათ ამაზე თუ მიანიშნებდა მომაკვდავი თევდორეს სიტყვები: „შორს მანძილზე კარგად მიდის. ნიშანი კი ცოტა მაღლა დაუჭიროს...ეი... მაგის ტყეის ზუზუნი ერთ რათმედა ჯღირს!.. ეკ, რა ვუთხრა ამ წუთისოფელს!.. არ დამცალდაო“ და ვინ იცის. მწერალს ამდენი მრავალწერტილებით რაზე უფრო უნდოდა მინიშნება – მომაკვდავს ლაპარაკი უჭირდაო, თუ ამ სიტყვებს განსაკუთრებული, მრავალჯერ უფრო ღრმა შინაარსი აქვს, ვიდრე ზედაპირულად ჩანსო.

ასეთი უნდა იყოს იარაღის მხატვრულ-ალეგორიული მნიშვნელობა ილიას თხზულებებში და როგორც ეხედავთ, მათი პოეტური სემანტიკის ახსნასაც გადამწვევტი მნიშვნელობა აქვს მწერლის ჩანაფიქრის სწორი აღქმისათვის.

ჩვენ შევეცადეთ, მაგალითების საშუალებით შეძლებისდაგვარად წარმოგვეჩინა ამა თუ იმ მხატვრულ სახეთა ასოციაციური სათავე, რისთვისაც უმეტესად მწერლის პუბლიცისტური წერილები გამოვიყენეთ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ილია ჭავჭავაძის პუბლიკაციათა დიდი ნაწილი – ათი ტომის მოცულობის მასალა ჯერ კიდევ უცნობია თანამედროვე მკითხველისათვის და ჩვენც ყველაზე არ მიგვიწვდებოდა ხელი, დაახლოებით მაინც შეიძლება წარმოვიდგინოთ. რამდენად უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნება მის შემოქმედებაზე მათი ვაცნობის შემდეგ.

პუბლიცისტურ ნარკვევში „ქათა ღაღადი“ ილია წერდა: „სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისა და ორსახედ არ ჩაეხაება ერთსა და იმავე გულს. როგორც ორსახე ჭეშმარიტებაა შექცელებული, ისეც ორსახე სარწმუნოებაც. იგი ან ერთადერთია ერთს გულში. ან სულ არ არის. სარწმუნოება, რომლის დიდი ნასკვი ადამიანის სულიერს წიადშია, ოროჯაღა და ორგულა ვერ იქნება, რომ ჩვენსაც აყოს და თქვენსაც ერთსა და იმავე დროს. იგი ერთთავა და ეროგულაა. — თუ ასე ითქმის, ვერც თვალს და ვერც გულს ორად ვერ გაიყოფს, რომ ერთსაც ხედავდეს მართლმადიდებლად და მკორესაც, ერთსაც განუსიარაოს სასოება გულისა და მკორესაც. ამიტომ შეურყეველი ეროგულება სხვის სარწმუნოებისა საკუთარის სარწმუნოების შერყევია, უარყოფაა. თაჲდადებულნი ერთის სარწმუნოებისათვის, მკორისათვის თაჲდადებულნი ვერ იქნებიან და ნამეტანად შეურყეველ ერთგულებისანი. კაცი შეურყევლად მოსაკია მარტო იმ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებს და გულში ატარებს. „სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისაო“, ამბობს იგი და გულიდან ამოწურული მთელი მისი შემოქმედება მართლაც ამ ჭეშმარიტების მადლით არის ნასახრდოვები.

„მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი, და მამაი ჩემი მოქმედი არს. ყოველმან რტომან რომელი ჩემთან არს და არა მოიღოს ნაყოფი, აღიღოს იგი; და ყოველმან რომელმან მოიღოს ნაყოფი, განწმიდოს იგი, რათა უფროსი ნაყოფი გამოიღოს. ხოლო თქვენ აწვეე წმიდა სართ სიტყვითა მით. რომელსა ვეცყოდე თქვენ. დაადგკრით თქვენ ჩემ თანა, და მე თქვენ თანა. ვითარცა-იგი ნასხლევსა ვერ ხელ-ეწიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თვისით. უკუეთუ არა ეგოს ვენახსა ზედა, ეგრეთვე არცა თქვენ, უკუეთუ არა დაადგკრეთ ჩემ თანა. მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა და მე მის თანა ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი; რამეთუ თვინიერ ჩემსა არარაჲ ძაღ-გიც ყოფად არცა ერთი...“ ამბობს უფალი (იოანე 15,1-6) და წმინდა ილია მართალმაც, რომელიც უფალს არ განშორებია და ბოლომდე დარჩა მასთან, იმ ვენახის რტოსავით, მის მიერვე ნანატრი. „შვენიერი და ბრწყინვალე მტკევანივით“ გულსავესე და მადლიანი ნაყოფი გამოიღო.

დიდი იყო ქართველთა შორის ილიას სიყვარული და დაფასება. მაგრამ მისი შემოქმედების ჭეშმარიტი მნიშვნელობა მაინც ცოტას ესმოდა. ჩვენს მსჯელობას დავამთავრებთ ერთ-ერთი მათგანის — ეპისკოპოს ლეონიდეს მიერ მწერლის ცხედართან წარმოთქმული სიტყვით<sup>1</sup> რომელშიაც ობიექტურად, სამართლიანად არის შეფასებული ილიას და მისი ნაღვაწის მნიშვნელობა: „ზღუასავით ღრმა ილიას გულმა ორმოცდაათი წელიწადი განუწყვიტლივ აფრქვია თავის საშობლოს ნადავზე ცხოველი სიყვარულის საღმრთო ცეცხლი.

1. „ილიას სამრეკლო“. 1987, წ.

50 წლის განმავლობაში ილიას მირონცხებულ ენას არ მოუხვედია ქართველი ერისადმი მხურვალე სიყვარულის ძვირფასი გვირგვინების თხევა-ქარგვისაგან. 50 წელიწადი ამისი დალოცვილი მარჯვენა უხევადა მითესდა ყოველი ქართველის გულში კაცთა გატანისა, სიბრალულისა და სიყვარულის საკუთარი თითით გარჩეულს საღს და მამდარს თესლს!..

ჩვენ რომ ილია თავის დროზე გვეცნო, ჩვენ რომ ილიას ნამცნები მოძღვრება ერთ-ერთის სიბრალულ-სიყვარულისა. სამშობლოსათვის თავდადებისა და ქართველი ერის განვითარებისა მშობელი დედის რძესთან ერთად გვეცნა ჩვენი არსებობის სისხლად და სორცად. მაშინ არც დღევანდელი მარცხი შეგვემთხვეოდა. მაგრამ დამნაშავე ვართ ყველანი დიდიდან პატარამდე შენ წინაშე სულ მალალო! არც კაცი და არც ქალი, არც სწავლული და არც უმეტარი. არც დიდი და არც პატარა არ გაფასებდით ღირსეულად. არ გესარჩლებოდით თავდადებულად და სწორედ ამან გახადა შესაძლოთ შენი ძვირფასი სიცოცხლის მოსპობა ვერაგი სულისაგან.

შენთვის ისიც დიდი გასახარელი და სანუგეშო იქნება, რომ ეხლა მაინც შევიგნოთ ჩვენი მძიმე დანაშაული, ეხლა მაინც მივხვდეთ შენი მაღალი მოძღვრების მნიშვნელობას, ეხლა მაინც გაეიხადოთ იგი ჩვენი მოქალაქეობრივი არსებობის მტკიცე კანონად.“

1987 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე, რომელსაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი — უწმინდესი და უნეტარესი ილია II თავმჯდომარეობდა, ილია ჭავჭავაძე წმინდანად შეირაცხა და ეწოდა სახელი წმინდა ილია მართალი. ამასთან დაკავშირებით დაიწერა შესაბამისი ტროპარზი და ჩვენც გვინდა, რომ ამ წიგნის ბოლოს სწორედ ამ ტროპარის სიტყვებით შევლაღადოთ წმინდა ილია მართალს: „ღვაწლითა და სისხლითა შენითა უდაბნოი იგი სოფლისა მოიშუშაკე და გონებითა ღვთიებრწყინვალითა დაცემულნი კვალად აღგვაღვინენ. ჭეშმარიტება სთესე და გვირგვინი უკვდავებისა მოიპოვე. სიმართლისათვის დაითმინე და ზესთა სოფელი დიდებისა დაიმკვიდრე; ძეო ქართველთა ერისაო. ერისათვის წამებულო, წმინდაო ილია მართალო, ყოვლად დიდებულო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენათვის, შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.“

# შინაარსი:

მადლის წყარო

(„ილია ჭავჭავაძის მრწამსი და მისი შემოქმედება“)

I	„კვალი განათლებული...“	
	1. „არა მარტო ტკილ სმაოათვის...“	4
	2. ილია ჭავჭავაძის მრწამსი	24
	3. საქართველოს ქრისტიანული წარსული და ქართველ წმინ- დანთა სახეები	44
	4. ქრისტიანული მოტივები, მართლმადიდებლური რეალიები და ალუზიები	53
	5. „და შექვერებთ ცასა განცვიფრებული...“	72
II	„თესლი კიოილი“	
	1. „არა არის რს შემთხვევითი...“	81
	2. „რომელი იგი კლდოვანსა ზედა დაეთესა...“	83
	3. „გზასა ზედა...“	97
	4. „ეკალთა შორის...“	99
	5. „რომელთა ისმინიან სიტყუაი იგი და შეიწყარაინ...“	103
	6. „თესლიდან“ „პურაბდე“	112
	7. „ვაზი ობოლი“	121
	8. „გამოუცენელი გამოცანა...“	130
	9. მართლის გზა – „ორი დანაკი“	139
	10. ილია ჭავჭავაძის ებიკური ნაწარმოებების კომპოზიციური თავისებურება	153
III	დაცარილებული ბეოლემი	
	1. „ნაშთი ჩვენის სულიერად ზე-აღსაელობისა“	159
	2. მწყემსი ქალი და წუთისოფელი	167
	3. „იგი მწირიცა მწყრალი, გულმშრალი...“	178
	4. „მთაი მღუმარი“	191
	5. „ღეთისმშობლის წილხედომილ საქართველოში“	207
	6. „ტაძარი გაუქმებული“	210
IV	„ვეტრფი და ვეტრფი სულ ერთ ვარსკლავსა“	
	1. ილია ჭავჭავაძის ორი ლექსი საყვარელი „ის“-სადმი	216
	2. ცხოვრების ზღვაში 236	
	3. „წავგმლიან კვალნი დროო ნეტარო...“	247
	4. „იზღერის ბალი“ და „ბუჩების“ ბიზნესი	255
V	მხატვრული სტილის ზოგიერთი მხარე	
	1. ილიას სიტყუაკაზმულობა	262
	2. დრო-ჟამის მხატვრული აღგვორია	269
	3. ქროლა სულისა	275
	4. „ანუ ვითარი სამოსელი შევიმოსო...“	283

5. სულიერი იარაღი .....	289
VI ქვეშარტება გულისა .....	299
შინაარსი .....	301
გამოყენებული ლიტერატურის სია .....	302

### გამოყენებული ლიტერატურის სია

- ახალი აღმოჩენები უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი,  
საკათალიკოსო საბჭოს გამოც. 1963
- აბაშიძე კიტა, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის  
ისტორიიდან, 1962 წ.
- ასათიანი გურამ. საუკუნის პოეტები. 1988 წ.
- ბაირონი ჯორჯ გორდონ. მანფრედი, კაენი, ჩაილდ კეროლდის  
მოგზაურობა. თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა.  
1948 წ.
- ბაქრაძე აკაკი, ილია ჭავჭავაძე (წიწამური), 1984 წ.
- ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, 1989 წ.
- გოგებაშვილი იაკობ, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად. ტ.3.1990  
გორგაძე ს. გურგენიძე ნ., ილია ჭავჭავაძე ცხოვრება და  
შემოქმედების მატიაზე, 1987 წ.
- დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი. მართლმადიდებლური ზეიმი, 1994  
დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი. ქადაგებანი და თარგმანებანი. 1997  
დონანაშვილი გურამ, „ორი მოთხრობა“, 1984 წ.
- ესთეტიკური ძიებანი. IV  
ზანდუკელი მიხეილ, ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა,  
1968 წ.
- თაქთაქიშვილი-ურუშაზე ლეილა, მარჯორი უორდრობი,  
„თბილისი“, გაზ. 1986 წ. 17.XII. № 289
- თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 1984  
„ივერია“ გაზ. 1886-1907 წლების ნომრები.  
ილიას სამრეკლო, თბ. 1987 წ.
- ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, I, 1957 წ.  
II. 1958
- ილია ემიგრანტთა თვალისა, კრებული ორ ტომად, 1996 წ.
- იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, წიგნ .i-II.

1996 წ.

იოსელიანი პლატონ, ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა, კავთიაშვილი ვენერა, ჰაინრიხ ჰაინე ქართულ ლიტერატურაში.

1978 წ.

„კავკასიონი“ გაზ. 1995 წ. 30 ივლისი

კიკნაძე გრიგოლ. ლიტ. თეორიისა და ისტორიის საკითხები.

1978 წ.

კოტეტიშვილი ნახტანგ, „ქართული ლიტერატურის ისტორია.

XIX ს. 1959 წ.

„კრიტიკა“, ჟურნ. 1990 №6

„ლიტერატურული საქართველო“. გაზ. 1992 წ. 27 ნოემბ.

1997 წ. №17

ლიტერატურული მატრიანე, 1940. 1-2

ლიტერატურული შემკვიდრეობა, ტ. I. 1935 წ.

ლიტერატურისა და ესთეტიკის საკითხები I -III

მანსვეტაშვილი იაკობ, მოგონებები. ნახული და გაგონილი. 1985 წ.

მეუნარგია იონა, ილია ჭავჭავაძე. 1937 წ.

მინაშვილი ლადო, ილია ჭავჭავაძის ლირიკა.

მინაშვილი ლადო, ილია ჭავჭავაძე, იბ. 1995 წ.

მინდიაშვილი აკაკი, ღვთაებრივი და ეროვნული, 1995 წ.

„მნათობი“, ჟურნ. 1991 №6; 1993, №2; 1995, №5-6; 1996 №3-4; №7-8;

1997 №3-4, №7

მცხეთური ხელნაწერი, გამოშტ. „მეცნიერება“, 1983 წ.

ნარკვევები XIX ს. ქართ. ლიტ. ისტორიიდან, ტ. II, 1978 წ.

„რელიგია“ ჟურნ. 1993 წ. №2

„საქართველო“ ჟურნ. (რედ. ვალ. გუნია) 1908 წ. № 9, 11

საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1988 წ.

საღმრთო სჯული (საკითხავი წიგნი), საქართველოს საპატრიარქო, 1993 წ.

სახოკია თედო, ჩემი საუკუნის ადამიანები, 1984

სახოკია თედო, ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონი, 1979 წ.

სერგერაიკოვა მადინა, „რატომ დამარცხდა განდევილი“, (ხელნაწერი), 1996 წ.

„სკოლა და ცხოვრება“ ჟურნ. 1991 №9-10, 1992 №5, 1993 № 5-6

შარაძე გურამ, ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება, მოღვაწეობა,

შემოქმედება), ორ წიგნად. წ.1, 1987 წ. წ.2, 1990 წ.

- ქიქოძე გერონტი, ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე.  
1936 წ.
- ქიქოძე გერონტი, ეტიუდები და პორტრეტები, 1958 წ.
- „მრომა“ გაზ. 1883 წ. №18
- ნიქოვანი სიმონ, „რჩეული წერილები“. 1963 წ.
- „ცნობის ფურცელი“, გაზ. 1898 წ. № 537
- წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, ნაწ. I, II, 1993 წ.
- წმ. კლიმენტი რომაელი, კორინთელთა მიმართ პირველი  
ეპისტოლე, ჟურნ. „გზა სამეუფო“, დანართი №3, 1997 წ.
- „წყარო“. ჟურნ. 1993 წ. № 20
- ჭავჭავაძე ილია, თხზულებანი, ტ.III, 1892 წ.
- ჭავჭავაძე ილია, თხზულებანი, ტ.I. 1914 წ.
- ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა აკად. გამოც. (ოც ტომად) ტ.1-5
- ჭავჭავაძე ილია, თხზულებანი ათ ტომად. ტ. IV, X
- ჭავჭავაძე ილია, რჩეული ნაწერები. ხუთ ტომად, 3-5 ტ. 1987 წ.
- ჭავჭავაძე ილია, ლეარსაბ წამებული. ხელოვნება, 1990 წ.
- ჭუმბურიძე ზურაბ, რა გქვია შენ? 1971 წ.
- ჭუმბურიძე ზურაბ. ილია ჭავჭავაძის ენა და ტექსტის დადგენის  
ზოგიერთი საკითხი, 1994 წ.
- ხელაშვილი იონა, განმარტებაი სახისმეტყველებითი  
„ჯვარი ვაზისა“ ჟურნ. 1989 წ. № 3
- ჯიბლაზე გიორგი, ილია ჭავჭავაძე. 1978 წ.
- Благовестник Пермской Епархии 1997 №8
- Закон Божий, Московская патриархия, 1987
- “Кавказ” газ. 1906 № 11
- Этимологический словарь русского языка 1910 г



## შესწორებები:

წიგნში წმინდანები შესაბამისად უნდა იხსენიებოდნენ: წმინდა ილია მართალი, წმინდა მეფე დემეტრე, წმინდა იოანე ოქროპირი, წმინდა შუშანიკ დედოფალი, წმინდა პაულე მოციქული, წმინდა იაკობ მოციქული და წმინდა ბასილი დიდი, რაც ყველგან ასე არ არის.

ზოგან ციტატებს არ ახლავს მითითება: 17 გვ. (წიგნი იობისი 31, 14-23). 21 გვ. (მათე 7, 2) 69 გვ. (მათე 23, 27) და (შესაქმ. 8, 12)